აკაკი ახალაია

დიდი ჭყონი

რაიონის ცენტრი
და თავადების ოდაბადე

აკაკი ახალაია

დიდი ჭყონი

რაიონის ცენტრი
და თავადების ოდაბადე

ჭყონდიდი 2024

რედაქტორები: იგორ კეკელია
ანზორ სიჭინავა

გარეკანზე: დიდი ჭყონის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია
მარტვილის მუნიციპალიტეტის დროშა

დაიბეჭდა შპს ,,ფავორიტ სტილში“
საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქუჩა N5

ISBN 978-9941-8-6402-5

ანოტაცია

საქართველოში წიგნის გამოცემით ვერავის გააკვირვებ. ყოველწლიურად ათასობით წიგნი იბეჭდება. ჩვენი ნაშრომი არის პირველი ცდა ერთმანეთისაგან გამიჯნოს ნაწილი და მთელი, სოფელი და თემი (ადმინისტრაციული ერთეული, სასოფლო საკრებულო, სასოფლო საბჭო, სასოფლო საზოგადოება).

მუნიციპალიტეტი ქვეყნის ნაწილია. ადმინისტრაციული ერთეული-მუნიციპალიტეტის ნაწილია. ის შედგება ერთი ან რამდენიმე დასახლებისგან (სოფელი, დაბა, ქალაქი).

უბანი, ქუჩა, ეკლესია, ბაღი, სკოლა, მერიის შენობა, საკრებულოს შენობა-ამა თუ იმ, დასახლების შემადგენელი ნაწილია.

ხელვაჩაურის მერიის და საკრებულოს შენობები ქალაქ ბათუმის შემადგენელი ნაწილია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ცენტრი არის დაბა სტეფანწმინდა. ქალაქ რომის უბანია-სახელმწიფო ვატიკანი.

დიდი ჭყონის პოლიციის განყოფილების შენობა და დიდი ჭყონის მეურნეობის სკოლის შენობა სხვადასხვა დასახლების (სოფლის) შემადგენელი ნაწილებია და სხვადასხვა დასახლებების ტერიტორიაზე დგას. 9 თემში შემავალ 38 სოფელს ემსახურება დიდი ჭყონის პოლიციის განყოფილება.

1963-66 წლებში გეგეჭკორის რაიონი შედგებოდა: აბაშის საქალაქო, გეგეჭკორის სადაბო და დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოებისგან. ამავე წლებში, ჭყონის საბჭოში შედიოდა სოფლები: ტალერი, ეწერი, პატარა ოჩე და ნობულევი.

ჩვენი კვლევის ობიექტია დიდი ჭყონის (რაიონის, საპოლიციო უბნის, თემის) სივრცე და ამ სივრცეში მოქცეული ობიექტები. კვლევის საგანი ამოუწურავია, რადგან დიდი ჭყონის სივრცეში დაიბადა უამრავი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური, მოღვაწე, მეცნიერი, სპორტსმენი. ჟინოთა-ნამიკოლაო (ნაფოსტარი-შკანთა) ოდაბადეა: დგებუაძეების, ბეჭვაიების, ჯანაშიების, ჯანჯღავების, ოკუჯავების, ერქვანიების...

საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციამდე, ერთ სასოფლო საზოგადოებაში (თემში) შედიოდა სოფლები: ოჩე, ჟინოთა (დიდი ჭყონი), ნობულევი, ეწერი (ტალერი), სალხინო, ვახა, წაჩხურუ,

ლეცავე, ბალდა, სკურდი (გაჭედილი), ლებაჩე, დღვანა, კურზუ და გოდოგანი;

ნამიკოლაო, თამაკონი და გურძემი;

ლედგებე, კიწია და დოშაყე.

1924 წლამდე ერთი მამასახლისი, ერთი საბჭოს თავმჯდომარე ჰყავდა სალხინოს და დიდი ჭყონს, თამაკონს და ნამიკოლაოს, კიწიას და ლედგებეს.

შეუძლებელია დიდი ჭყონის ისტორიის შედგენა მეზობელი სოფლების ისტორიებისგან გამიჯვნით. მკითველი ჩვენს წიგნში გაეცნობა, დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის 9 თემში შემავალი, 40-ზე მეტი სოფლის, 1930 წლამდელ ისტორიას.

საკვლევი თემის სიახლე ისიცაა, რომ სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ახალი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, პერიოდული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუციამ, თვითმართველობის კოდექსმა დიდი ჭყონის თემშიც იკანონოს.

ადმინისტრაციული ერთეულები მუნიციპალიტეტის ოპტიმალური მართვის მიზნით იქმნება. ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით დიდი ჭყონის თემი 10-ჯერ მეტია დოშაყეს თემზე. სხვადასხვა სოფლის (თემის) შემადგენელი ნაწილებია დიდი ჭყონის N1 და N2: სკოლები, ბაღები, ამბულატორიები.

აღარ უნდა-
იყოს ძნელი,
გავარჩიოთ ჩვენი:
სოფელი და თემი,
ნაწილი და მთელი,
ნათელი და ბნელი,
ჭკვიანი და შტერი,
მოყვარე და მტერი.

წიგნის მიზანია გაუმჯობესდეს მარტვილელების გეოგრაფიული, ფინანსური, ადმინისტრაციული, სახანძრო-სამაშველო,

სასწრაფო-სამედიცინო და ასე შემდგომ ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი; მარტვილის ზედა ზონაში მცხოვრებლებსაც გვეღირსოს საზოგადოებრივი, კულტურული, სპორტული ცენტრები, სახანძრო-სამაშველო სამსახური...

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. ის დიდ დახმარებას გაუწევს: მოსწავლე-ახალგაზრდობას, ისტორიკოსებს, საჯარო მოხელეებს, საკრებულოს წევრებს.

წინათქმა

ჩვენი სოფლის გაურკვეველი სახელწოდება და საზღვრები, ჩვენი თემის შეუსწავლელი წარსული მიბიძგებს გამოვსცე წიგნი, სადაც შერწყმულია მდიდარი წარსული, უკეთესი აწმყო და მომავალი.

ცოდნა აღვივებს სიყვარულს ყოველივე იმისას, რაც ჩვენია. თუ გსურს ადამიანი გადააგვარო, მას არა მარტო უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო იგი.

აღდგენა ისტორიისა-თემის, სოფლის გამოცოცხლებაა, გამხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მომავალზე ფიქრი და ზრუნვაა.

მწერალი გრიგოლ რობაქიძე ამბობს: ,,გსურს გაიგო ,,ვინ ხარ“, უნდა შეიგნო ,,ვინ იყავ“; გინდა იქცე ,,რამედ“, უნდა შეიტყო ,,რა განვლე“; ,,საითკენ?“-მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: ,,საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვნა წარსულისა-იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა“.

ძნელია დაწერო წიგნი სოფელზე, თემზე, რომელთა სახელწოდება და საზღვრები არასდროს ყოფილა დადგენილი. ვწერ იმას, რასაც გონება მკარნახობს და თვალებმა წაიკითხა: არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო უწყებების მიერ შედგენილ აქტებში, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში დაბეჭდილ წერილებში.

წინამდებარე წიგნის ძირითად დოკუმენტურ ბაზაა არქივებსა და მუზეუმებში დაცული პირველადი საისტორიო წყაროები. ნაშრომში მაქსიმალურადაა შეზღუდული გარემოებების, ფაქტებისა და მოვლენების ავტორისეული შეფასება, მისი პოზიციის დაფიქსირება; დაუზუსტებელი და საეჭვო მონაცემები აქ ნაკლებადაა.

წიგნი თითოეული დიდი ჭყონელის ბიოგრაფიის ნაწილია. თითოეული გამოჩენილი ადამიანის ცხოვრება, ჯამში ჩვენი ქვეყნის ჯანმაგარი ისტორიაა. ყოველი ადამიანის წმინდა მოვალეობაა დიდი პატივისცემით მოეპყრას თავის გამოჩენილ წინაპრებს, შესანიშნავ თანამედროვეებს.

წიგნი კიდევ ერთხელ შეკრებს დიდი ჭყონში მის ღვიძლ შვილებს, შეკრებს რათა, ამიერიდან სამუდამოდ დაიდონ ბინა

მშობლიურ სოფელში. თითოეულ მათგანს ძალიან უყვარდა და უყვარს თავისი სოფელი. თითოეული მათგანი საკუთარი სიმართლით დააბიჯებდა და დააბიჯებს ამქვეყნად. ეს ჩვენი სოფლის ისტორიაა და მას გაფრთხილება სჭირდება.

ვერ ვიტყვი, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, ვინ რას იფიქრებს და რა აზრები მოუვა თავში, ის კი ვიცი, რომ მინდა, ჩვენი ცხოვრების რეალობა დავანახვო მკითხველს; ისიც მსურს, ისტორიას შემოვუნახო, თუ ვინ რისი გამკეთებელი არის და რითი შეიძლება დაამახსოვროს თავი საზოგადოებრიობას.

მჯერა წიგნი მეტ ცოდნას, ინფორმაციას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს. დაე მაპატიოს მკითხველმა, თუ ვერ შევძელი მეტი ინფორმაციის მოძიება. დიდი ჭყონსა და დიდი ჭყონელებზე კიდევ ბევრი დაწერს და მოგვითხრობს. მე მადლიერი დავრჩები თითეულისა, ვინც გამიზიარებს თავის შენიშვნებს და მოსაზრებებს.

წიგნის ავტორს ღრმად სწამს დიდი ილიას სიტყვები: ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთავსებია იგი.

სასიამოვნო ვალდებულებად მივიჩნევ, მადლობა ვუთხრა თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, მარტვილის არქივების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების თანამშრომლებს. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც დაუზარებლად გვეხმარებოდა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის და მასალის მოძიებაში. განსაკუთრებული მადლობა იგორ კეკელიას და ანზორ სიჭინავას. მათი რჩევებისა და მითითებების გარეშე ეს ნაშრომი ბევრად ღარიბი იქნებოდა დოკუმენტური მასალით.

დიდი ჭყონის მეგზური

დასახელება დიდი ჭყონი სხვადასხვა დროს აღნიშნავდა და აღნიშნავს:

1) 1924-1930 წლებში სენაკის მაზრაში შემავალ რაიონს და რაიონის ცენტრს; 1924-1992 წლებში არსებულ კოოპერაციას; აგრარურ ბაზარს, რომელიც 1924 წლიდან ფუნქციონირებს; ქვესადგურს, პოლიციის განყოფილებას, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას...

2) 1924 წელს შექმნილ თემს, სასოფლო საბჭოს, საკრებულოს, ადმინისტრაციულ ერთეულს;

3) ოდიშ-ლეჩხუმის სამთავროს სოფელ ჟინოთას უბანს;

4) სოფელ ,,ჟინოთა დიდი“-დან 1924 წელს გამოყოფილ დაბას;

5) დიდი ჭყონის საბჭოში: ჟინოთასთან, ოჩესთან, ნამიკოლავო მეორესთან, ლედგებესთან, მეურნეობასთან და ნაფოსტართან ერთად გაერთიანებულ სოფელს.

6) ეკლესიებს, დაწყებით და საშუალო სკოლებს, საღამოს სკოლას, მოზრდილთა სკოლას, სკოლა-ინტერნატს, სამუსიკო სკოლას, წულუკიძის N9 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალს, საავადმყოფოებს, ამბულატორიებს, საფერშლო პუნქტებს, კოლმეურნეობებს, ჩაის საბჭოთა მეურნეობას, ჩაის ფაბრიკებს, აბრეშუმის ფაბრიკას, ბაღებს, კინოთეატრებს, კულტურის სახლებს, საარჩევნო ოლქებს, საარჩევნო უბნებს, ფოსტა-ტელეგრაფის შენობებს, კავშირგაბმულობის განყოფილებებს, ბიბლიოთეკებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებას, ზღვის დონიდან 345 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მეტეროლოგიურ სადგურს, სატყეო უბანს, სამჭედლოებს, ტანსაცმლების, ფეხსაცმლების ატელიეებს, საქართველოს პირველობაში მონაწილე საფეხბურთო კლუბებს, სასადილოებს, ინვალიდების სასადილოს...

5) გეოგრაფიულ ობიექტებს, ჰიდრონიმებს, ტოპონიმებს მარტვილის, ზუგდიდის, ხობისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში; პატარა ფოთში მდინარე რიონზე კუნძულს, რომლის სახელწოდებაა ,,ჭყონი“.

სოფლის, თემის, რაიონის ინტერესები გვავალდებულებს ვიცოდეთ, გავიხსენოთ, რომ 1841 წლამდე ოდიშ-ლეჩხუმის სამთავ-

როს ტერიტორიაზე არსებული 9 სამოურავოდან ერთ-ერთის ცენ-ტრი მდებარეობდა დღევანდელ დიდი ჭყონის ადმინისტრაცი-ულ ერთეულში (თემში) შემავალ სოფელ ჟინოთაში.

1924 წლის 23 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის სალხინოს რაიონის VI კონფერენციამ ერთხმად გადაწყვიტა: და-უყონებლივ გადატანილ იქნას სარაიონო ცენტრი სოფელ ჟინო-თაში. დაევალა რაიკომს და რაიაღმასკომს აიღონ თავიანთ ხელში ინიციატივა შენობების გადატანის და აშენებისა (იხ. პიმენ ჩარგა-ზია, გაზეთი ,,კომუნისტი", 1924 წლის 8 მაისი, N103, გვ. 2).

სენაკის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუ-ტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა 1924 წლის 4 მა-ისს დაამტკიცა სალხინოს რაიპარტკონფერენციის დადგენილება. რაიონული ცენტრის სოფელ ჟინოთაში გადატანის სისრულეში მოყვანა დაევალა სალხინოს რაიაღმასკომს (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 3).

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდუმმა 1925 წლის 16 სექ-ტემბერს განიხილა დიდი ჭყონის (ყოფილი სალხინოს) რაიონის მდგომარეობის გამომრკვევი კომისიის თავმჯდომარე არჩილ გი-ორგაძის მოხსენება და დაადგინა: ვინაიდან დიდი ჭყონის თემი დამტკიცებულია სარაიონო ცენტრად, ყოფილი სალხინოს რაიო-ნის თემებისთვის სარაიონო დაწესებულებები იქნეს მოთავსებუ-ლი აღნიშნულ ცენტრში (იხ. შ.ს.ს. პოლიციის აკადემიის არქივი, ყოფილი პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 70, ფურცელი 113).

დიდი ჭყონის რაიონში შედიოდა 6 თემი: სალხინო, კურზუ, კიწია, თამაკონი, დიდი ჭყონი და გაჭედილი.

1927-1929 წლებში სენაკის მაზრაში შედიოდა 4 რაიონი: სენა-კის, აბაშას, ბანძას და დიდი ჭყონის. ამ დროს მარტვილის თემი შედიოდა ბანძის რაიონში (იხ. საქ. შ. ს. ს. პოლიციის აკადემიის არქივი, ყოფილი პარტიის ისტორიის არქივი, ფ. 31, ან. 1, ს. 144, ფ. 194).

ისტორიული სალიპარტიანო (ამჟამინდელი მარტვილის მუ-ნიციპალიტეტის ზედა ზონა) ცენტრით- დიდი ჭყონი, იყო და არის ადმინისტრაციულად, გეოგრაფიულად, ინფრასტრუქტუ-რულად მარტვილისგან განსხვავებული სივრცე, რომელიც ტე-

რიტორიით, დასახლებებისა და მოსახლეობის რაოდენობით, საქართველოში არსებული 69 მუნიციპალიტეტიდან, 15-20 მუნიციპალიტეტს აჭარბებს.

სოფელი დიდი ჭყონი უფრო მეტი სივრცის, მეტი დასახლების ცენტრია ვიდრე ქალაქები: მარტვილი, აბაშა, წალენჯიხა, ჯვარი. სოფლის, თემის ცენტრი ერთმანეთთან აკავშირებს ორი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას. დიდი ჭყონის ბაზრობაზე სავაჭროდ მოდიან მეზობელი სოფლებიდან, ქალაქებიდან, მუნიციპალიტეტებიდან.

არ გვაწყენს გახსენება საკუთარი სოფლის, თემის, სკოლის, ტაძრის ისტორიისა. გავიცნოთ, გავიხსენოთ XVIII საუკუნეში სალიპარტიანოს სამოურავოს მმართველები: მამუკა, ზაალ და დიმიტრი (ჯოღორია) დგებუაძეები;

სამეგრელოს ჭყონდიდელი ეპისკოპოსი, ნიკო დადიანის მეურვეთა საბჭოს წევრი (1853-1854 წ. წ.) ზაქარია დიმიტრის ძე დგებუაძე;

1848 წელს გახსნილი ჟინოთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია და მის აღმშენებელი ბეჟან დიმიტრის ძე დგებუაძე, ამ ეკლესიის მღვდლები: სიმონ კუხალაშვილი, ბესარიონ გაგუა, ზოსიმე გაგუა;

პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ოდიშ-ლეჩხუმის სამთავროს კანცელარიის უფროსი, სამეგრელოში ერთ-ერთი პირველი მომრიგებელი შუამავალი, ჟინოთის ეკლესიაზე მზრუნველი ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძე;

სამეგრელოს გლეხთა დიდი აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, სათათბირო ორგანო ,,სხუნუს“ წევრი, საქართველოში ხალხოსნური იდეების ერთ-ერთი პატრიარქი სქვამაია ნადარაია;

1863 წელს აჯანყებულნი, ციხეში დაღუპული ნამიკოლაოელი გლეხები: ბათაია, თედორიკა, ხახულიკა ჯანაშიები, ძუკუ და გიო ფაცაციები; 10 წლის ვადით ციმბირში გადასახლებული აჯანყების მეთაური ბოშინია ჯანაშია, ტომსკის გუბერნიაში 5 წლით გადასახლებული გულუ და სოფრომიკა ჯანაშიები;

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში მეგრელთა რაზმის მეთაური, გენერალი ბესარიონ დგებუაძე; ართვინის ოლქის უფროსი გიორგი ბესარიონის ძე დგებუაძე;

სხვადასხვა დროს მარტვილის, ონის, ამბროლაურის საპოლიციო უბნების პრისტავი ნესტორ დგებუაძე;

1898-1918 წლებში ბორდოს უნივერსიტეტის ლექტორი, ქართულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენელი პორფირი იულონის ძე დგებუაძე; 1899-1919 წლებში ,,სახალხო თეატრი"-ს წამყვანი მსახიობი სოფო რომანიშვილ-დგებუაძე; ცნობილი არქიტექტორი ქუჩუ დგებუაძე, ქართული ავტოსპორტის გამორჩეული პიროვნება, სსრკ ჩემპიონი, ავტოსპორტის მემატიანე გურამ დგებუაძე; საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნინო (ქაია) ალექსანდრეს ასული დგებუაძე; გუდაურის აღმომჩენი, სამხედრო წყალქვეშა ატომური რაკეტმზიდებისთვის ,,შავი ყუთის" შემქმნელი, კომპიუტერის ქართული შრიფტის ავტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძე;

1892-1896 წლებში ნამიკოლაოში, ლედგებესა და ჟინოთაში სკოლების დამაარსებლები: გრიგოლ ბერიძე, კონდრატე ჩაჩიბაია, მიხა დგებუაძე, ფარნავაზ დგებუაძე და დავით დგებუაძე;

ერთ-ერთი პირველი ქართველი დიპლომიანი აგრონომი, პოპულარული მომღერალი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძე; გუდაუთის, ლიმანის, ტუაფსეს საბაჟოების უფროსი ქსანტე დგებუაძე; XX საუკუნის დამდეგს ქუთაისში არსებული ლიტერატურული სალონი და მისი ,,დიდი დიასახლისები": პოეტი ქრისტესია დგებუაძე, მწერალი მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია, მომღერალი ვალენტინა იშხნელი, ქართველი პოეტების მუზა პაუსია დგებუაძე; პეტროგრადის საკავალერიო მეთაურთა კურსების 23 წლის კომისარი ილია დგებუაძე; სენაკის მაზრის სამხედრო უწყების უფროსი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე შოთა დგებუაძე; ,,მოგზაური თეატრი"-ს დასის გამგე, რეჟისორი და მსახიობი ალიოშა დგებუაძე; 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები ქვემო იმერეთში: ლევან და ნიკოლოზ დგებუაძეები; საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი იდა დგებუაძე;

სენაკის მაზრაში მომრიგებელი შუამავალი, დიდი ჭყონის მარადიული ოჯახის უფროსი ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძე; ხელოვანი აღათი ანჯაფარიძე-დგებუაძე; საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს რამ-

დენიმე მოწვევის დეპუტატი სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუ-აძე; 1921 წლის თებერვალში კოჯორთან დაჭრილი იუნკერი, ქარ-თველ მამულიშვილთა ორდენის უერთგულესი კავალერი ნიკო-ლოზ (კოლია) ნიკოლოზის ძე დგებუაძე; სალხინო-დიდი ჭყონის რაიონში 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვასილ (ტუტუ) ნიკოლოზის ძე დგებუაძე; მშობლების გვერდით, დიდი ჭყონის სასაფლაოზე 1989 წელს დაკრძალული თავადი მარგარი-ტა (მარგო) ნიკოლოზის ასული დგებუაძე;

1918 წელს ნამიკოლაოში სკოლის დამაარსებელი, ნაფოსტარ-ში წარმოდგენის გამართვის, სამკითხველოს გახსნის ინიციატორი ლუკა კეშელავა; საქართველოში პროგრამირების და ლიდერობის საუკეთესო ონლაინ-აკადემიის დამფუძნებელი და მთავარი მენ-ტორი ნიკა კეშელავა;

სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში 1924 წლის აჯანყების მეთაური, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელ-მძღვანელი სენაკის მაზრაში, დიდი ჭყონში სკოლის დამაარსებე-ლი თედო ესართია;

ლეგენდარული ქართველი მეომარი, საქართველოში 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, პოლკოვნიკი ირაკლი ცა-გურია; 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი აჭარაში გიზო ანჯა-ფარიძე;

1924 წელს აჯანყებული, ხვანჭკირთან დახვრეტილი დიდი ჭყონელები: პართენ კოკაია, იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია, უთუ ბეჭვაია, მ. საჯაია; დიდი ჭყონში აფთიაქის მფლობელი გაბისონია;

საქართველოს კომუნისტური პარტიის I მდივანი მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავა; ნიჟნე-ტაგილის საქალაქო კომიტეტის I მდივანი, საქართველოში კომკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანე-ლი შალვა სტეფანეს ძე ოკუჯავა; პოეტი ოლია ოკუჯავა; პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, კომპოზიტორი, მომღერალი, ბუკერის პრემიის ლაურეატი ბულატ შალვას ძე ოკუჯავა; თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი, აკადემიკოსი ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა; მედიცი-ნის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ნათელა მიხეი-ლის ასული ოკუჯავა, ნათელა ვაჟას ასული ოკუჯავა და მიხეილ ვაჟას ძე ოკუჯავა.

საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი ნიკოლოზ ჯანაშია; სსრკ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის I ვიცე-პრეზიდენტი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია;

სსრკ სახალხო არტისტი, სსრკ I-IV მოწვევის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი აკაკი ალექსის ძე ხორავა;

დიდი ჭყონის ისტორიაში ორი ყველაზე პოზიტიური მოვლენის ,,არქიტექტორი", სენაკის მაზრის ხელმძღვანელი ისიდორე გულორდავა;

სენაკის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ათანასე კოკაია; სენაკის მაზრის პროფკავშირების თავმჯდომარე, სენაკის რაიკომის პირველი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლაზარე კოკაია; სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, საპატიო ბიბლიოთეკარი, მეცნიერი, პედაგოგი ალექსანდრე კოკაია;

დიდი ჭყონის რაიონის პოლიციის უფროსი, დიდი ჭყონის რაიკომის მდივანი, მარტვილის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, საქ. სსრ ჩაის ტრესტის მმართველის I მოადილე ბეგლარ ჩაგუნავა;

აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების I მდივანი, საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის I მოადგილე, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, მარტვილის, ზუგდიდი რაიკომების I მდივანი, საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, საქართველოს კომკავშირის ბიუროს წევრი, სსრკ უმაღლეს საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, რეპრესირებული კირილე გიორგის ძე ბეჭვაია; საქ. სსრ კინომატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი კირილე კირილეს ძე ბეჭვაია; პროფესორი დევის კირილეს ძე ბეჭვაია; სენაკის რაიკომის I მდივანი იასონ ბეჭვაია;

ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი, ფოთის, სამტრედიის, გუდაუთის რაიკომების I მდივანი, სსრკ უმაღლეს საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, რეპრესირებული გრიგოლ (გრიშა) ნესტორის ძე კოკაია;

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე, სსრკ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული საქართველოში იასონ ნიკოლოზის ძე ნადარაია;

საქართველოს სსრ მთავარი პროკურორის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის გენერალ- მაიორი სარდიონ პორფილის ძე ჯანჯღავა; ცაგერის რაიკომის I მდივანი კაპიტონ პორფილის ძე ჯანჯღავა;

სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, გაზეთ ,,წინსვლა“-ს მთავარი რედაქტორი ჟორა პავლეს ძე ჯანჯღავა;

საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, დიდი ჭყონის მეურნეობის სკოლის დირექტორი ვასილ ტარანოვსკი; სოციალისტური შრომის გმირები: ლევან მარკოზია, ლევან კობახიძე, ვალენტინა კილასონია, ეფროსიმე ბეჭვაია, ვლადიმერ ბეჭვაია, ილარიონ გოგინავა, მიხეილ მელუა; გმირი დედები: შურა თოდუა და მედიკო ნაჭყებია;

საქ. სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გიორგი (ჟორა) გრიგოლის ძე კოკაია; სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენატი, სამამულო ომის მონაწილე ლარისა შახრაი; ბიზმესმენი, პოლიტიკოსი, საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის“ მფლობელი, ფიფას I აგენტი საქართველოში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი აქციონერი, ჭიათურმანგანეზის, ვარციხეჰესიის ერთ-ერთი მეპატრონე ილია კოკაია;

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, პოლკოვნიკი ლეონიდე ბართლომეს ძე დგებუაძე; საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვახტან გორგასლის სახელობის ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი თამაზ ლეონიდეს ძე დგებუაძე; თბილისის საკრებულოს წევრი გურამ ლეონიდეს ძე დგებუაძე; საქართველოს შინაგან საქმეთა

ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი მეგროსი ბართლომეს ძე დგებუაძე;

საქართველოს უმაღლეს საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, ასპინძის, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ხელმძღვანელი, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნოე სოფრომის ძე ჩაგუნავა;

სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქ. სსრ დამსახურებული ინჟინერი, საპატიო მეგზევე, ქ. ქაბულის საგზაო დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი ავთანდილ ბაგრატის ძე გოროზია;

გეგეჭკორის რაიკომის I მდივანი დავით ზოსიმეს ძე ერქვანია; თბილისისა და მცხეთის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარე დავით დავითის ძე ერქვანია; საქართველოს პარლამენტის წევრი (2016-2020 წ. წ) ალექსანდრე დავითის ძე ერქვანია; საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, საქ. სსრ დამსახურებული აგრონომი დავით ლევანის ძე ერქვანია; ხობის რაიკომის I მდივანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალი ზურაბ დავითის ძე ერქვანია;

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე გენო ჯანაშია; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი გივი ჯამბურია, პოლიციის გენერალ-მაიორი, ღირსების ორდენის კავალერი ელგუჯა ჯამბურია; პარლამენტის წევრი, გენერალი თემურ გენოს ძე ჯანაშია;

საქართველოს პარლამენტის წევრი, დამსახურებული ექიმი, მეცნიერი ამირან ნადარაია;

საქსტატის თავმჯდომარის მოადგილე, სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ ჯანჯღავა; სტუდენტთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, ფიდეს მწვრთნელი, საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდების მთავარი მწვრთნელი ლაშა ანზორის ძე ჯანჯღავა; ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ცირა ანზორის ასული ჯანჯღავა;

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი ბორის გადელია; საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი, წარმატებული მეწარმე, ცნობილი ქველმოქმედი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამგზის საპატიო მეგზევე, ღირსების ორდენის ორგზის და წმინდა ნიკოლოზის ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე დემურ გადელია; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლკოვნიკი, ღირსების ორდენის კავალერი აპალონ გადელია; მარტვილის რაიონის გამგეგელი სოსო გადელია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია;

საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი, ცნობილი ქველმოქმედი, ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს კომერციული დირექტორი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ნაული იოსების ძე ჯანაშია; საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ია (ნადია) ნაულის ასული ჯანაშია;

საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი, სამი საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელი, 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტის ავტორი, ცნობილი ქველმოქმედი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მარტვილის საპატიო მოქალაქე გოგი დავითის ძე გულორდავა; ეკლესიების მშენებლობების, ლიტერატურული ფესტივალის სპონსორები: დავით ტერენტის ძე გულორდავა, გია და გოდერძი გულორდავები;

საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გამომგონებელი, ექსპერტი ლეონიდე (ლევან) შოთას ძე ოკუჯავა; ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორი შოთა ლევანის ძე ოკუჯავა; ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი რუსუდან ლევანის ასული ოკუჯავა, შუა აზიაში საკავშირო მნიშვნელობის გზების დამპროექტებელი რეზო შოთას ძე ოკუჯავა; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი შორენა რეზოს ასული ოკუჯავა; ექიმი ზურაბ ოკუჯავა;

პოეტი ილია ერქვანია; პროფესორი თინათინ ერქვანია, ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი თათა ერქვანია;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია; მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზია;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, საპროკურორო საბჭოს წევრი, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე რევაზ ნადარაია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტეტის თავმჯდომარე იური ბეჭვაია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გენო ბონდოს ძე ბეჭვაია;

მსოფლიოს რეკორდსმენი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესი ადამიანი კოსტანტინე ჯანაშია;

რეპერი, გრემის ჯილდოს მფლობელი ირაკლი ახალაია; მარტვილის საპატიო მოქალაქეები: დემურ ახალაია, მარინა კიკალიშვილი და მურმან ბეჭვაია;

გამოჩენილი მეცნიერები: ივანე ნანავა, მამია დგებუაძე, დალი კოკაია, ვაჟა გოროზია, მაია დგებუაძე, ალექსანდრე კუკანია, ემზარ ხვიჩია, ნუგზარ თოდუა, გოჩა თოდუა, დაზმირ ჯოჯუა;

საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი მაყვალა ნაჭყებია, საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატები: ლუბა ჯიჯელავა, ვენერა ლიპარტია, ვალიკო თოდუა, უჩა ჯაფარიძე, თემურ ჩხეიძე, რუსუდან კილასონია;

კოლმეურნეთა რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობების დელეგატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ბორის ოკუჯავა; პროფკავშირების რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობების დელეგატი ლეილა ნაჭყებია; საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის დელეგატი აკაკი ლაშხია;

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, სსრკ-ში უმაღლეს ჯილდოს ლაურეატები: ვლადიმერ ვათას ძე თოდუა, სამსონ ხვიჩია, სამსონ სხულუხია,

ილია მარკოზია, ერმილე დიხამინჯია, ამბროსი დგებუაძე, აკაკი ხურცილავა, ჯოდო ბეჭვაია, ქსენია ფირცხალავა, დიონისე (დიანოზ) გოროზია, მიხეილ მანია, ნადია და შუტუ ბეჭვაიები, მედეა შავდია, მარგუშა ნადარაია, ანა სედნიცკაია (გულუა), ისიდორე კობახიძე, ირაკლი ლაშხია, ვარლამ თოდუა, ვერა ძუკუს ასული ოკუჯავა, ლუბა ნადარაია, რანის დგებუაძე, ვენერა კილასონია;

წიგნების დიდი ჭყონელი ავტორები: დემურ კილასონია, ფაუსტ ნადარაია, გენადი ნანავა, დავით ნაჭყებია; მეგრულ ენაზე ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი ჰამლეტ ნადარაია; დიდი ჭყონის ხელნაწერი ისტორიის ავტორი შოთა კუკანია;

მომღერლები ზაურ ხუხუა, გია კვაშილავა, ბადრი გვილავა; ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი ზვიად ხუხუა; ქოროგრაფები: დამზირ ჯანაშია, გონელი ჯიჯელავა, ბიძინა თორდინავა; მოცეკვავე გოჩა (ლუკა) ბეჭვაია;

სხვადასხვა დროს მარტვილის რაიონის ხელმძღვანელები: ექვთიმე ნადარაია, ვლადიმერ ბეჭვაია, ვალერიან გაგუა, ბიქტორ ხვიჩია, რევაზ კილასონია, ვასილ კუკანია, როლანდ გაგუა, გია გოროზია, მერაბ ქვარცხავა, ელდარ თოდუა; კომკავშირის რაიკომის I მდივანი რაფაელ ჯანაშია;

დიდი ჭყონის საავადმყოფოს გამგე (მთავარი) ექიმები: ალექსანდე რატიანი, ვლადიმერ ერქვანია, ევგენი მორგოშია, პიმენ გულორდავა, რაულ ბაღიშვილი;

დიდი ჭყონის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი იოანე თოდუა, ნაფოსტარის ეკლესიის წინამძღვარი მაქსიმე ჩაგუნავა, ნამიკოლაოს ეკლესიის წინამძღვარი ლაზარე ქაჯაია;

მეურნეობაში, ნამიკოლაოში, დოშაყეში, შკანთაში ეკლესიების მშენებლები: გივი ქუთელია, თამაზ ჯანაშია, ინეზა ჟვანია, ირაკლი დანელია, ალიოშა და ამირან ჯანაშიები;

სპორტული ღონისძიებების, მუსიკალური და ლიტერატურული ფესტივალების, ეკლესიათა მშენებლობის სპონსორები: ნუგზარ გაგუა, კარლო ბეჭვაია; დიდი ჭყონში ბავშვებისთვის გასართობი ცენტრის მომწყობი თემურ ბეჭვაია; ნამიკოლაოს სკოლაში წარჩინებულ მოსწავლეთა სტიპენდიის დამფინანსებელი გიორგი კოკაია;

წარმატებული დიდი ჭყონელი ახალგაზრდები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები მერი ჯანჯღავა და ბექა კილასონია; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორანტი გიორგი გოდერძიშვილი;

მოსამართლე კობა ჩაგუნავა,; პროკურორი ბესიკ ქვარცხავა; ექიმი დავით კვაშილავა; იურისტი გიორგი კვაშილავა; ჟურნალისტი სოფო ერქვანია; სამმართველოს უფროსი გიორგი ახალაია; ლეიტენატი გიორგი გოროზია, მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში დუგლას დგებუაძე; ფეხბურთელები: მარიამ გოროზია, ცოტნე და ვაჟა ფაცაციები;

უცხოეთში მოღვაწე წარმატებული დიდი ჭყონელები: ტიუმენის ოლქში საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსი, ქველმოქმედი რობერტ ფირცხელავა; პროფესორი ლეონ ბეჭვაია; ,,მის ესპანეთი“ იზაბელა თოდუა;

დიდი ჭყონის სკოლის წარმატებული მოსწავლეები: პროკოფი ხვიჩია, აპალონ ბასილაია, შალვა ნანავა, გურამ ყუფუნია, იაგო ხვიჩია;

დიდი ჭყონში მოღვაწე ცნობილი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, სოციალისტური შრომის გმირები: გრიგოლ ჩაჩიბაია, დავით ჯანჯღავა, კოსტანტინე გოგია, კალისტრატე შეროზია; გეგეჭკორის რაიკომის I მდივანი, პოეტი ევგენი ბართაია; გეგეჭკორის რაიკომის II მდივანი ვლადიმერ ახვლედიანი; გეგეჭკორის რაიკომის II მდივანი მურად კვაშილავა;

ცნობილი რევოლუციონერი, ქველმოქმედი, ქართული წიგნის მოამაგე, გამოცემელ-რედაქტორი, მარტვილში მუზეუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, დიდი ჭყონში წიგნის მაღაზიის მფლობელი ვასილ გადილია;

დიდი ჭყონელი ქალბატონების საამაყო მეუღლეები: ლეჩხუმის მმართველი ქაიხოსრო გელოვანი, მეფის არმიის გენერლები მელქისედეკ მიქელაძე და როსტომ წერეთელი, ახალმოწამე სიმონ მჭედლიძე, აკაკი წერეთლის ძმისშვილი ვასილ წერეთელი, პოეზიის მეფე გალაკტიონი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე, პოეტი ნომადი ბართაია, ექიმი გიორგი ხორავა.

არტეფაქტები

,,აბაშისა და ტეხურის აუზში რკინისა და ბრინჯაოს წარმოება ნეოლითის ეპოქაშია ჩასახული. თითქმის ყველა პრეისტორიულ ფენაში ვპოულობთ ამის დამადასტურებელ უამრავ მასალას“ (იხ. გივი ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, ტ. I, თბ. 2022 წ. გვ. 194).

არქეოლოგიური მასალებით დგინდება, რომ დიდი ჭყონის ტერიტორიაზე ადამიანები კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ცხოვრობდნენ. დიდი ჭყონის ისტორია პირველყოფილი საზოგადოებიდან იწყება. ამაზე მეტყველებს მისი ისტორიული სახელწოდება ჟინოთა: ,,თავისი ისტორიული წარსულით მეტად საინტერესო უბანია ჟინოთა, რაც ჟინანთართან არის დაკავშირებული...იგი უძველესი პირველყოფილი საზოგადოებიდან მომდინარეობს (იხ. გ. ელიავა, ,,აბაშისა და ტეხურის ხეობის ღირშესანიშნაობანი“, 1971 წ. გვ. 86).

გამყინვარების შემდგომ მსოფლიოში ოკეანის დონემ 120 მეტრით აიწია. კოლხეთის დაბლობი წინათ დაჭაობებული იყო, რის გამოც ჩვენი წინაპრები იძულებულნი იყვნენ, შუა ჭაობში მოეწყოთ ,,დიხა-გუძები“, სამოსახლო ხელოვნურად მოზვინული ბორცვები, რომელთა სიმაღლე ხშირად რამდენიმე მეტრამდე, ხოლო დიამეტრი 100 მეტრამდე აღწევდა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება დიდი ჭყონის ,,დიხა-გუძებში“ ნაპოვნი სახვრეტი, ნუკლეუსი, სახრისი. (იხ. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქეოლოგიის ფონდი, დოკ. 10010- ა 940, 941, 942).

ისტორიკოს შოთა კუკანიას შედგენილ დიდი ჭყონის ხელნაწერ ისტორიაში ვკითხულობთ: ,,ლედგებეში, მდინარე ჩხოუშის მარცხენა მხარეს, ვაჟა ინჯგიას სახლის გვერდით მდებარე საყანე ფართობზე ტრაქტორმა ხვნის დროს ამოყარა უცნაური ნივთები, რის შესახებ ეცნობა მარტვილის მუზეუმის დირექტორ გივი ელიავას. მუზეუმის ექსპედიციამ დაადგინა, რომ ამ ადგილზე უძველეს ადამიანთა არა მარტო ნამოსახლარია, არამედ აქ იწარმოებოდა ბრინჯაოს იარაღები და სხვა ნაკეთობანი. ამჟამად მუზეუმში ინახება აქ ნაპოვნი ბრინჯაოს ნაჯახები, ცულები, დანები და სხვა

ნივთები, რომლებიც მიწის ზედაპირზე იქნა ნაპოვნი. უძველესი პერიოდის მსგავსი ნივთები ნაპოვნი იქნა მდინარე დამიანეს ნაპირზეც“ (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი).

არქეოლოგიური მასალები ამტკიცებენ, რომ ნამიკოლაოში ნეოლითის ხანაში ყოფილა ამ ეპოქის ნამოსახლარები, სადაც ფართოდ იყო განვითარებული კერამიკული წარმოება (იხ. გ. ელიავა, ,,აბაშის და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“, თბ. 1977 წ. გვ. 136).

ისტორიკოსი გივი ელიავა წერს, რომ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამ ადგილებში ექსპედიციამ აღმოაჩინა უძველესი მეტალურგიული წარმოების კვალი, ამოიღეს ლითონის დნობის მნიშვნელოვანი რელიკვიები: ბრინჯაოს ზოდები, წიდა, სხმული, ღუმელის კედელთა ნამსხვრევები (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, ტ. II, თბ. 2023 წ., გვ. 13-14).

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება 1940 წლის ზაფხულში, დიდი ჭყონში, მიწის დამუშავებისას აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროს მონეტა, რომელიც მუზეუმს შეუძენია 1200 მანეთად ტაგუ დგებუაძისაგან. (იხ. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ნუმიზმანტიკური კოლექციების ფონდი, N4852).

ირაკლი კეისრის და ირაკლი-კოსტანტინეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტა-სოლიდის წონაა- 4, 43 გრამი, ზომა-20 სმ. (იხ. თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ. 1965, გვ. 64, გვ. 126).

მარტვილის მუზეუმში ინახება 1934 წელს დიდი ჭყონის საბჭოში შედგენილი დავთარი, რომლის თანახმად ტაგუ დგებუაძე ცხოვრობდა: ეზეკია, ბეგი, ივანე, დათიკო დგებუაძეების, ანტონ ქუთათელაძის, ჯარუ ბეჭვაიას მეზობლად (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი I, საქმე 1411).

ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის მიხედვით, დიდი ჭყონი ერთადერთი დასახლებაა მთელს საქართველოში, სადაც ნაპოვნ ოქროს მონეტაზე გამოსახულნი არიან ბიზანტიის იმპერატორები ჰერაკლე და კონსტანტინე.

ჰერაკლის მონეტების აღმოჩენის არეალი ზუსტად იმეორებს მისი საქართველოში ლაშქრობის მარშუტს (იხ. მაია პატარიძე, სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები, გვ. 55).

აღნიშნული მონეტის სოფელ დიდი ჭყონში აღმოჩენა გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ: 1) VII საუკუნეში სოფელ დიდი ჭყონის მიდამოებში მოხდა ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის; 2) დიდი ჭყონის გავლით გაილაშქრეს ბიზანტიელებმა სვანეთში, ან 3) მონეტა ეკონომიკური მიზნით მოხვდა იმ დროს მჭიდროდ დასახლებულ სოფელში.

დიდი ჭყონში ნაპოვნ, დიდი ჭყონელების შექმნილ, დიდი ჭყონელების მიერ მუზეუმებში მიტანილ არტეფაქტებს მკითხველი შემდგომ თავებში გაეცნობა.

„ჭყონიშ“ კულტი
და წარმართული ხანის სალოცავები

საზოგადოება თავისი სინორჩის პერიოდში ღმერთებად მიიჩნევდა ცას, დედამიწას, ცეცხლს, ხეს და მდინარესაც კი. ყოველ ბუნებრივ მოვლენაში ადამიანი ღვთიურ ენერგიას და სულს ხედავდა. იგი ამ მოვლენებს და ძალებს განსაკუთრებულ კერპებს-ხატებს აღუმართავდა.

მუხას დიდი ადგილი უჭირავს დასავლურ მითოლოგიაში; ის ზევსის საკულტო ხე იყო. მუხის ტოტებისგან დაწნული გვირგვინი რომაელ მმართველთა ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი გახლდათ. რომაელები და ბერძნები მუხის ტოტებით ამკობდნენ ყველაზე გაბედულ, მამაც და ძლიერ ადამიანებს.

მუხა მრავალ ქვეყანაში მიჩნეულია ეროვნულ ხედ. მუხის ფოთლებს ხატავდნენ სამეფო გერბებზე, გვირგვინად ადგამდნენ გამარჯვებულს. ის უძველესი გერმანული სიმბოლოა.

ამბობენ, რომ მუხის რკო ადამიანის თავდაპირველი საკვები ყოფილა და პირველი პურიც ადამიანს რკოსგან დაუმზადებია.

მუხის ქერქი ოდითგანვე იყო აღიარებული ხალხურ მედიცინაში, რადგან მას უამრავი სამკურნალო თვისება გააჩნია. უნიკა-

ლური ქიმიური შემადგენლობის გამო მუხის ქერქი შეუცვლელია ღვინის, კონიაკის და ვისკის წარმოებაში. ის იძლევა ძვირფას, ლპობაგამძლე სამშენებლო მასალას.

ისტორიაში, ცხოვრებასა და მცენარეთა სიმბოლიკაში მუხას ძალზე დიდი როლი ეკისრება. უძველეს საქართველოში მუხა, ვაზთან ერთად საკულტო მცენარეს წარმოადგენდა და ,,სიცოცხლის ხეს“ განასახიერებდა. ის მერქნის სიმტკიცის გამო ძლიერების, სიბრძნის, შეუდრეკელობის და უკვდავების სიმბოლო იყო.

მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმაზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი ეთაყვანებოდა; მირიან მეფეს გაქრისტიანების შემდეგ ხე მოუჭრია და მის ადგილას ჯერ ხის ეკლესია აუშენებია, რომელიც შემდეგ ქვის ეკლესიით შეუცვლიათ.

,,მარტვილის როგორც ტაძრის და ქრისტიანული ცენტრის უძველესობას ამტკიცებს საუკუნეების განმავლობაში შემონახული გადმოცემა ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ წარმართული მუხის მოჭრის და ქრისტიანობის ქადაგებაზე; კერძოდ ,,იქ სადაც დღეს დგას ქრისტიანული ტაძარი, ოდესღაც იდგა წარმართული, თუჯისაგან დამზადებული ,,კაპუნიას“ კერპი, რომელიც გამოსახავდა პირღია ადამიანს. ქურუმები ამ პირში დებდნენ ცოცხალ ბავშვებს, რომლებსაც ღმერთს სწირავდნენ მსხვერპლად. კერპი მიბმული იყო მუხის ხეზე და ,,კაპუნიას“ მადიდებელი ქურუმს მუხისა ეწოდებოდა ,,ჭყოინდარი“, როგორც ეხლა ეწოდება სამეგრელოს ქრისტიან ეპისკოპოსს (ქართულად ჭყონდიდელი).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხალხური გადმოცემებით, რომელიც შემორჩენილია პ. ა. ნადეჟდინის მიერ გამოვლენილ ქართულ ხელნაწერებში, საქადაგებლად ივერია წილად ხვდა ღვთისმშობელს; მაგრამ ის იქ არ გაემგზავრა და თავის ნაცვლად გაგზავნა ანდრია პირველწოდებული, რომელსაც გაყვა სვიმონ კანანელიც. მოციქულები ანდრია და სიმონი მივიდნენ მარტვილში, გაანადგურეს ,,კაპუნიას“ კერპი, მოჭრეს ის მუხა, რომელზეც ის იყო მიბმული და მის ადგილას აღმართეს ჯვარი; მაგრამ გავიდა გარკვეული დრო და იქ თავისით აღიმართა ტაძარი. გადმოგვცემენ, რომ როდესაც ანდრია პირველწოდებული ბანძაში იმყოფებოდა მას მოპარეს მარცხენა ფეხის ქალამანი. სხვა გადმოცემით

ეს სანდალი მოუპარია ანდრია პირველწოდებულისთვის დასვენების დროს ერთ-ერთ მეგრელ აზნაურს (იხ. დ . ჭითანავა, ,,ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“, თბ. 2010 წ. გვ. 263).

მარტვილის მუნიციპალიტეტის დროშასა და გერბზე გამოსახულია ოქროს მუხა. აქ სწირავდნენ მსხვერპლად დედისერთა ყრმას, ხარ-ძროხას. საჭყონდიდოს დიდი მუხის გარდა საქართველოში ასევე ცნობილია კიწიას, ბანძის, ბალდის, კულაშის ბუმბერაზი მუხები. ჭყონდიდის მუხა თითქოს კლასიკური ,,რეპლიკაა ზევსის მუხისა“ (იხ. ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983, გვ. 337).

კიწიაში XIX საუკუნის დასაწყისამდე მდგარა დიდი მუხა. მას ღვთიური ძალის მცენარედ მიიჩნევდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ ხარსა და ძროხას. სამღვდელო პირები, გვარად ბერიძეები წინ აღუდგნენ ამ წესს და მოჭრეს იგი.

ილორის სკოლის მასწავლებელი ლეონტი ჯაში წერს, რომ საჭილაოდან-კულაშში მგზავრობისას მისი ყურადღება მიიქცია ერთმა დიდმა მუხამ, რომლის ძირას ეყარა ვერცხლისა და სპილენძის ფულები, თოხები, ცხენის ნალები, დანები, შანდლები... ,,მუხის მახლობლად შევნიშნე ორმოცამდე ქათამი. გამიკვირდა რადგან ახლო-მახლო არავინ ცხოვრობდა. მეწისქვილემ მიამბო, რომ ქათმებსა და სხვა ოთხფეხა ცხოველებს დაკლავენ 10 ნოემბერს, გიორგობა დღეს. ამ დღეს აქ იკრიბება მრავალი მორწმუნე, თურმე კერპს ხარსა და ძროხას უკლავენ. მუხას სწირავენ ქათმებს, ცხვრებს, ღორებს, თხებს და მოსულ ხალხს უმასპინძლდებიან“ (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1886 წლის N4).

დიდი ჭყონი კოლხური, მეგრული (მარგალური) წარმოშობის ტოპონიმია, აკადემიკოს სერგი ჯიქიას მტკიცებით: მეგრელთა, მ-არგ-ალთა ძირი მოდის არგოსგან.

არგონავტების მითი მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი და უძველესი ლეგენდაა. არგონავტების მითშიცაა დასახელებული კოლხეთში არსებული წმინდა მუხა, რომელზეც ფრთოსანი ოქროს ვერძის საწმისი ეკიდა.

კოლხეთის მეფის აიეტის სალოცავად ითვლებოდა არეას ჭალაკი და ამ ჭალაკში საღმრთო მუხაზე დაკიდებული ოქროს საწ-

მისი. არეა ჩვენში ერთ-ერთ უმთავრეს ღმერთად ითვლებოდა, მისთვის შეწირული იყო სამშაბათი, რომელსაც ერქვა არეასი.

ოქროს საწმისი არის სიმბოლო ძველი სიბრძნისა, რომელიც იმჟამად შენახული იყო მხოლოდ კოლხეთში. ოქროს საწმისი არის იმ ქვეყანაში, რომელიც ფლობს სიბრძნეს. იგი ჰკიდია მუხაზე და ეს მუხა არის უძველესი კულტის გამოხატულება, რომელიც დაიწყო კოლხეთიდან და შემდგომ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მათ შორის საბერძნეთშიც (იხ. ზ. გამსახურდია, 1989 წელს ქუთაისში წაკითხული ლექციიდან).

წმიდა გიორგის კულტი ქართულ წარმართულ პანთეონში უკავშირდება მუხის კულტს. წმიდა გიორგი წარმოდგენილია მუხის სახით და იგი სიცოცხილს ხეს წარმოადგენს (ნიკო მარი).

მუხის კულტი აღწერილია კონსტანტინე გამსახურდიას რომანში ,,მთვარის მოტაცება". ყვავილის მოხდის შემდეგ კოსტანტინე არსაკიძე წითელ მამალს სწირავს ღვთაებას (დიდისტატის მარჯვენა).

XIX საუკუნეში დიდი ჭყონში მდგარი დიდი მუხის დარად, მეხი დაეცა გიორგი ჭყონდიდელის ეზოში მდგარ მუხას (დავით აღმაშენებელი). ამავე რომანის თანახმად, ღვანდარაში ბანაობდა გიორგი ჭყონდიდელი.

ამჟამინდელი დიდი ჭყონის ცენტრში ოდესღაც დიდი მუხა მდგარა, სადაც ყოფილა სალოცავი ადგილი... რიტუალი სრულდებოდა 21 სექტემბერს. აქ მომხდარა აჯანყებულ გლეხთა ყრილობა (იხ. გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ. 1977 წ. გვ. 132).

,,ადგილობრივ ხანდაზმულთა ნაამბობი: ,,ის ადგილი, სადაც დღეს დიდი ჭყონის სასოფლო კლუბისა და კინოთეატრის ეზოა, შედიოდა სოფელ ჟინოთაში. სწორედ აქ მდგარა ძველთაძველი სალოცავი მუხა, რომელსაც ეწოდებოდა დიდი ჭყონი- ,,დიდი მუხა". აქ ყოველი წლის 21 სექტემბერს (ახ. სტილით) ტარდებოდა ლოცვების რიტუალი და იყო გართობის და სოფლელთა თავშეყრის ადგილი. ნოუღალენის ბაზრობისკენ მიმავალი მგზავრები, მათ შორის- ჭოღელი მეთუნეები, ღამით აქ ჩერდებოდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ და იძინებდნენ ნაბდებზე. აქვე ჩაუტარებიათ შეკრება უტუ მიქავასა და უტუ თოდუას და აქედან წასულან

დადიანების დასარბევად. როცა ის ძველი მუხა წაქცეულა, მის ადგილას ახალი დაურგავთ და გაზრდილა, მაგრამ მეხი დასცემია და განადგურებულა. დიდი ჭყონის საბჭოს ცენტრი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ისტორიული სოფ. ჟინოთა. აქედან ყოფილი ,,დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის“ ცენტრამდე და მიმდებარე დასახლებულ უბნებამდე თითქმის 10 კმ-ია“ (იხ. პაატა ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ტ. VI, თბ. 2012 წ. გვ. 32-33). გამხმარი და გადამტყდარი ხის ნაცვლად ანტონ დგებიამ დარგო ნორჩი მუხა, მაგრამ იგი მეხმა გადატეხა 1921 წელს. (იქვე, გვ. 202).

ისტორიკოს შოთა ვასილის ძე კუკანიას განმარტებით, მუხას მეხი გასული საუკუნის 20-იან წლებში დაეცა. ის მოუჭრიათ მაგრამ, მოჭრილი ხისთვის ხელი არავის უხლია, რადგან ის წმინდა ხედ ითვლებოდა. მოსახლეობას მიაჩნდა, რომ მეხი ღვთის რისხვაა და ნამეხარი ხის ოჯახური მიზნისთვის გამოყენება დიდი ცოდვაა. (იხ. მარტვილის მუზეუმი ხელნაწერთა ფონდი).

,,ჭყონიშ ხვამა“, საღვთო მუხის ლოცვა იმართებოდა აპრილის დამდეგს; ლოცვას წინ ხანგრძლივი ორკვირიანი მარხვა უძღოდა. წინა ღამით მთელი სოფელი აიშლებოდა და უხუცესის მეთაურობით ტყისკენ მიეშურებოდა, მუხის ქვეშ იბანაკებდა, უხუცესი ილოცებდა, შემდეგ ნაბადს მოიბურავდა თავზე, ქალ-ვაჟნი რიგ-რიგობით მიდიოდნენ მუხასთან, ჯერ ეამბორებოდნენ, ხოლო შემდგომ ხანჯალს ჩაასობდნენ ტანზე, ილოცებდნენ, კვლავ ემთხვეოდნენ და მოხუცის წინაშე დაჩოქილნი აღსარებას იტყოდნენ. სანაცვლოდ, მისგან სანთლის ნაჭრებს იღებდნენ, მუხას სწირავდნენ მამალს, მამრ ცხოველს და მუხის ფოთლების გვირგვინით შემკობილნი ბრუნდებოდნენ შინ. ამ ლოცვას სხვაგვარად ამშაპსა და დოდგიმირის ლოცვას ეძახდნენ აფხაზეთში, ხოლო დანარჩენ სამეგრელოში-დოდგუმილს“ (იხ. ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 2010 წ. გვ. 715-716)

წარმართობის დროს მეგრელები თაყვანს სცემდნენ-,,დიდი ჭყონს“. შიგ მუხაში შედგამდნენ დაკლულ ღორს, რომელსაც სწირავდნენ ღვთაება კაპუნიას.

კაპუნობა-ცეცხლისა და სინათლის მბრძანებლის დღესასწაული აღინიშნებოდა დიდ მარხვამდე 16 დღით ადრე: ,,ღორს სწი-

რავდნენ დიდ ჭყონს, დიდ მუხას. როცა ანდრიამ მუხა მოაჭრევინა, დოდგიმირის სალოცავი ოჯახებში გადაიტანეს და კაპუნობა უწოდეს (იხ. ა. ქობალია, იქვე, გვ. 354).

კაპუნიას დიდი პირი ქონდა. ის იყო სპილენძის კაცი, რომელიც დიდი მუხის ქვეშ იჯდა. თუ ის, ვისაც ზვარაკი უნდა შეეწირა, დროზე არ მიუყვანდა შესაწირავს, კაპუნია წავიდოდა და მთელს ოჯახს შეჭამდა.

ლეგენდების თანახმად: დიდი ჭყონის ცენტრში ოდესღაც მდგარი დიდი მუხა 2000 წლის ყოფილა. მუხის ფესვებზე თამარ მეფის ფეხის ნატერფალი ყოფილა ამოჭრილი. მუხის ფუღუროში მოწყობილი სამლოცველო კომუნისტებს საპარიკმახეროდ გადაუკეთებიათ. მუხას დასცემია მეხი და დამწვარა.

მკვლევარი ნანა ოკუჯავა წერს: ,,დიდი ჭყონში ჩვენ ჩავიწერეთ მასალა თოდუებისგან, რომლებიც პარასკევის დღის უქმობით გვალვისგან ,,იცავენ“ მოსავალს. შესაძლებელია კვირა უქმ, დღეს იმუშაონ, პარასკევს კი-არა. ქარის საწინააღმდეგოდ სრულდება გარკვეული რიტუალი: ოჯახის უფროსი მამაკაცი დაკლავს წიწილას და თვითონვე გააკეთებს, დაილოცება: ქარმა არ გააფუჭოს ჩემი ყანაო და წიწილასაც მარტო შეჭამს“ (იხ. ნანა ოკუჯავა, ამინდის გამოცნობის ხალხური ნიშნებისთვის სამეგრელოში (დიდი ჭყონში მოპოვებული მასალები), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II, 1998 წ. გვ. 216-219).

ჟინოთა-ჟინანთარის უძველესი საკულტო-სარიტუალო ადგილი და ცენტრია. ამ დიდი ღვთაების პატივსაცემად და სალოცავად შორეული აფხაზეთიდანაც ჩამოდიოდნენ. ,,აქ ყოფილა ჟინანთარის სათაყვანებელი ქვა-ვარცლი, სადაც მის პატივსაცემად ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა და ლოცვა. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ჟინანთარი წმიდა გიორგიდ ჰყავდათ წარმოდგენელი. წმინდა გიორგი თეროსანი, აბჯრიანი მეომარი ყოფილა. ამიტომ ამ ადგილს თეროსანი ან თოროსანი დარქმევია. ნაოხვამუსაც (ნაეკლესიარს) ეძახიან“. (იხ. გ. ელიავა, დას. ნაშრომი, გვ. 133).

დიდებულ ღმერთ ანთარს, ჟინი ანთარსაც უწოდებდნენ, რაც ზებუნებრივ, ზეციურ ანთარს ნიშნავს. ის იყო მრავალფუნქციური ღვთაება, რომელსაც მეხის ტყორცნაც შეეძლო; იცავდა ოჯახს

შინ და გარეთ, იყო საქონლის და მოსავლის მფარველი ღვთაება. ანთარის ლოცვამდე ახალმოგებული ძროხის რძისა და მისი ნაწარმის გემება აღკვეთილი იყო, არც ყველი ამოყავდათ. ჩვენი წინაპრები მას დიდმარხვის წინა დღეს მიაგებდნენ პატივს. ვარაუდობენ, რომ ,,ჟინი ანთარი“ ძველკოლხურ ცის ღვთაება იყო.

მარტვილის მუზეუმის ,,გამოფენაზე წარმოდგენილია ჟინანთარისა და ალერტის საკულტო-სარიტუალო მასალები, ჟინოთას უძველესი სალოცავის, ბეჭვაიების ,,ჯინჯიში ხატიში“-ძირის ხატის სალოცავი ადგილის ფოტოსურათები. ალერტის სარიტუალო ხის სურათი და სხვა. ჟინოთა-ანთარის საკულტო-სარიტუალო ადგილია, ალერტში კი უძველესი რელიგიური დღესასწაული- ალერტობა იციან. აქვეა ფოტოსურათი ,,ქეჯვარობისა“ კურზუდან. გამოფენაში ჩართულია ალერტის წმიდა გიორგის ბორზალებიც და ჩვილ ბავშვთა გათვალვისაგან ,,დასახსნელი“ ვერცხლის ჯაჭვიც. ეს მასალა დამთვალიერებელს ნათელ შთაბეჭდილებას უქმნის წარმართული რელიგიის ხასიათსა და თავისებურებებზე“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, ტ. II, გვ. 107).

,,ტეხურის პირზე, აღმოსავლეთის გორაკებზე არის საკულტო ადგილი ,,ჟინანთარი“. ჟინანთარი, ანუ ზეციური ანთარი ნაყოფიერების, საქონლის სიმრავლის მომნიჭებელი ღვთაება იყო. მას ეთაყვანებოდნენ ჯანაშიები. ჯანაშიების ერთი დინო-,,ჯვარმამა“, ჟინანთარში საოხვამუროს და ჯვარს პატრონობდა. აქ მცირე ბაზილიკის (XIII საუკუნე) ნანგრევებია შემორჩენილი. მასში დაცულია ამ ეპოქის უნიკალური ჯვარი, რომელიც დღეს მარტვილის მუზეუმში ინახება. ამ მცირე ბორცვს ზემოთ, მაღალ გორაკზე, მაღალი გალავნით შემოზღუდული ციხე დგას. იგი 1957 წელს მიწისძვრამ დააზიანა“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 914).

,,მეტად მდიდარია ძეგლებით ჭყონი, სადაც ჟინანთარის ნაოხვამუ იყო. აქ ყოფილა გამოღმა ჟინოთა. აქვე მოედინება პატარა საოხვამურო ღელე- ღვანდარა, სადაც ჟინოშ კითად წოდებული თევზი ბუდობს. ის ღმერთის თევზად ითვლება“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 915).

სალხინოში არის ჟინიანთარის სალოცავი ,,ნაოხვამუ“ ადგილი. აქ წინათ ბაზილიკური ეკლესია იდგა და ჟინოთის ოხვამეს

უწოდებდნენ, ხოლო ტეხურის პირას, ჭალაში იყო დახაზურგა, გუძუბა, რაც ჟინოთის სალოცავად იყო მიჩნეული. აქ, გუძუბის გათხრისას აღმოჩნდა ქვების გროვა, რომლის ზემოთ იდგა ჟინოთის ხატსალოცავი. იგი ქვის კოტათი იყო დამაგრებული ქვა-ღორღის გუძუბაზე, რაც ასწლეულების განმავლობაში დაფარული იყო მიწის ფენით. გათხრის შედეგად იგი განთავისუფლდა და ზურგში კოტაამოჭრილი ხატ-ქანდაკება ამოღებულ იქნა მიწისა და ქვის ფენიდან;

ქანდაკება კირქვის ოთკუთხა ფილაა, სიმაღლით 30 სმ, განით 15 სმ, სისქით 10 სმ. ქვა-ფილას აქვს მარჯვნივ ქვის ყურის უსწორო ნიჟარა, ნახვრეტის გარეშე. ზედ თავზე, მარცხნივ, კოპია ირიბად ჩაჭრილი. ეტყობა ესეც ქვის მხატვრული გაფორმების ნაწილი იყო. შუბლზე ამოკვეთილია ორი ფართო თვალი. მარჯვნივ თვალის ჭრილის ოვალის ნაწილია, ხოლო მარცხნივ- უფრო ღია, ბრიალა თვალია. ცხვირის კონუსიც და ნესტოებიც ირიბად ამოთლილი ღიობია. ნიკაპის ღრუც ირიბადაა ოდნავ ჩაკვეთილი, რაც ღვთაების სახეს შედარებით ახალგაზრდის, მრისხანე და დამცინავ შთაბეჭდილებას ანიჭებს. ღვთაება ეტყობა, ღვთიური მადლით და კმაყოფილების ღიმილით ამკობს გარემოს. ღმერთი მადლიანია, ოდნავ ბრაზიანია, ღიმილით მადლს აყრის მლოცველს. ხატ-ქანდაკება დანიშნულია მხოლოდ ლოცვისა და დარიგებისთვის;

ჟინანთარის ჭალა მიუყვება ტეხურას თამაკონის ციხისკენ და მის გამოღმა ნაპირზე არის ოთხკუთხა ბაზილიკი, რომელსაც ,,ჟინანთარის ოხვამეს“ (ჟინანთარის სალოცავს) უწოდებენ. აქ, მის კედელზე დაცული იყო XIII საუკუნეში შესრულებული საოცრად ნატიფი ჯვრის ბარელიეფი;

ჭყონის სას. საბჭოსთან, ტეხურის პარალელურად მოედინება მცირე ღელე, რომელსაც ,,ღვანდარას“ ეძახიან;

ხალხის გადმოცემით, ამ მდინარეში ხელი ამოიბანა ჟინანთარმა. ამიტომ აქ საკმაოდ გრძელი, ელასტიკური და ძალიან ლამაზი თევზი ბინადრობს, რომელსაც ,,ჟინოშ კითებს“-ჟინოშ თითებს უწოდებენ. თევზები მართლაც თითებივით სწორი, გაწვართული, ელასტიკური და მოძრავი არსებები არიან. ,,ჟინოშ კითს“ არ იჭერენ და არ ჭამენ. მას პატივს სცემენ ჟინოს მიხედვით, რო-

გორც ღირსეულ საკულტო ერთეულს. ესეც ჟინოს და ჟინანთარის სარიტუალო ერთეულია და ჟინოს პატივისცემის დიდი ხნიდან შემორჩენილ რიტუალს წარმოადგენს. ეს ქანდაკება ამ ღვთაების პრიმიტიულ ხატს, ხატებას წარმოადგენს. ის რომ იპოვეს და ჩვენ გვაჩვენეს, თვითონ ჟინოს პატივისცემის ნიშნად ქედს იხრიდნენ და ილოცებოდნენ. ესეც ამ ღვთაების პატივისცემის რიტუალად მიგვაჩნია უდავოდ (იხ. გივი ელიავა, ,,სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები“, ტ. I, არტანუჯი 2022 წ. გვ. 408-410).

ქართულ მითიურ სახეთა და სალოცავთა სიმრავლე, მრავალღმერთიანობა, ღვთისშვილთა და კერპთა კულტები დროთა განმავლობაში შეცვალა მონოთეიზმა.

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს: ,,ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგანად შეიზარდა იგი“.

რაც დრო გადის წარმართული კვალი იკარგება, მაგრამ მართმადიდებლურ დღესასწაულს ხშირად ემჩნევა მისი დანაშრევი.

,,მარტვილის მუნიციპალიტეტს მოსახლეობა პირობითად ორ ნაწილად ყოფს: ქვედა ზონა-მდინარე ცხენისწყლიდან მდინარე აბაშამდე და ზედა ზონა-მდინარე აბაშიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საზღვრამდე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხალხური რწმენით გაჟღენთილი დღესასწაულები ზედა ზონის სოფლებში დასტურდება, ეს დღესასწაულებია: ხარება, წაჩხურობა, ალერტობა, ილიაობა, ბარბარობა და გაძღიკობა“ (იხ. რამაზ ხაჭაპურიძე, ქართველური მემკვიდრეობა XX, ქუთაისი, 2016 წ. გვ. 334).

ხარება დღეს, 7 აპრილს დაუშვებელია მუშაობა. ელიობა აღინიშნება კურზუში, ქეჯვარში 2 აგვისტოს.

წაჩხურობა იმართება აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს. წაჩხურობაში წასული იმ კვირას სახლიდან არ უნდა გამოვიდეს, თორემ ლოცვა, წყევლად დაუბრუნდება. წაჩხურუს და ნობულევის მოსახლეობას ეს დღესასწაული ,,გეძუნა“ (ადევთ). ყველა ოჯახი ვალდებულია სუფრა გააწყოს. ხუთშაბათ დღეს მიცვალებულს არ ასაფლავებენ.

წაჩხურუ თუკი უშვილობის ვედრებას მალევე შეიწირავს, ალერტის წმინდა გიორგი წყევლას მალევე შეისმენს.

დღეისათვის წარმართული აზროვნება დავიწყებას ეძლევა, რადგან ყველა სოფელში ეკლესიაა და მოძღვარი ჰყავთ.

დასახლებები, ციხე-კოშკები და ეკლესიები

ფეოდალურ საქართველოში სოფელი ეწოდებოდა ციხე-სიმაგრის, თავადების სასახლეს გარშემო არსებულ დასახლებას. XIX საუკუნეში ციხე-ეკლესიამ შეცვალა. სასოფლო საბჭოს, სკოლის ან კოლმეურნეობის შენობა იყო კომუნისტური ეპოქის სოფლის ცენტრი.

ახალი დასახლების შექმნას ყოველთვის წინ უსწრებდა: 1) შენობა-ნაგებობის (ციხის, ფეოდალის დოხორეს, ეკლესიის, სკოლის, კოლმეურნეობის სახლის) აშენება. 2) შენობა-ნაგებობის სახელწოდების დასახლებულ პუნქტზე გავრცელება.

ერთი დასახლების, ორ სხვადასხვა თემში, რაიონში გადანაწილება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფება არის დასახლების გაყოფის მოტივაცია.

დასახლება (ქალაქი) მარტვილი მდებარეობს მდინარე ინჩხიას მარცხენა ნაპირზე. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი. VII საუკუნის I ნახევარში სოფელ ჭყონდიდში აშენდა ყველა წმინდანის (მარტვირთა) მონასტერი. რადგან ტაძარი მარტვილთა სახელს ატარებდა, სალოცავის სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა. X საუკუნეში ეკლესია გადააკეთეს; მაშინ დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა. შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს და მარტვილი მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელად დარჩა. მარტვილის პარალელურად სოფელს ჭყონდიდიც ეწოდებოდა. შემდეგ სოფლის სახელად მარტვილი დარჩა, საეპისკოპოსო კათედრალს კი ძველი სახელი ჭყონდიდი შერჩა (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 45-46; ი. კეკელია, მარტვილის რაიონის იოკონიმია, ქუთაისი, 2010, გვ. 72; დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 178-179).

1830 წლის 1 ოქტომბერს, მარტვილის მონასტრის ეზოში გაიხსნა მარტვილის სასულიერო სასწავლებელი. მარტვილის მონასტრის გორაკის ძირში 1830 წლის 23 დეკემბერს გაიხსნა საერო სკოლა ნაოღალევისა. აქ იყო გახსნილი დაბა ნაოღალევის რამდენიმე დუქანი. 1855 წელს ქალაქ ნაოღალევის მმართველი იყო გოგი

ელიავა. 1921 წლამდე სოფელ მარტვილის ცენტრში მდებარეობდა დაბა (ქალაქი) ნაოღალევი.

სოფელ ბანძას ცენტრი, ოდესღაც დღევანდელი ვედიდკარის ტერიტორიაზე იყო. ვედიდკარში ცხოვრობდნენ თავადი ფაღავები. თანამედროვე ბანძაში (ურიათკარში) მოსახლეობა XVII საუკუნეში დასახლებულა.

1934 წელს ლეხაინდრაოს საბჭოდან გამოიყო სოფლები: ლეხაინდრავო და ნოჯიხევი. ძველი საბჭოს ცენტრი დატოვეს ნაგებერავოში და მას ეწოდა ნაგებერავოს საბჭო.

1925 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ნაგვაზაოს თემი (საბჭო) შედგებოდა სოფლებისგან: ზედა ნაგვაზო და ქვედა ნაგვაზაო. 1930 წლის დაყოფის მიხედვით ნაგვაზაოს საბჭო შედგებოდა სოფლებისგან: ნაგვაზაო ქვედა და ნაგვაზაო ზედა. ამავე საბჭოში გასული საუკუნის 60-იან წლებში გაუქმდა სოფელი-ლეჯღარკე.

ინჩხურის საბჭო დაარსდა 1932 წელს. ამ საბჭოში შევიდა სოფლები: ინჩხური, საელიავო, კვაითი და ნალეფსუ.

სალხინოს საზოგადოების დაარსებამდე (1870 წლამდე), სოფელ ჟინოთას ერთ-ერთი უბანი (ნაწილი) იყო დადიანების სასახლე და ამ სასახლის გვერდით მდგარი, ჯერ კიდევ 1882 წელს აშენებული ეკლესია (იხ. ოდიშის სამთავროს ადგილობრივი მმართველობა).

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით- 1) სახელწოდება ჟინოთა მომდინარეობს ორი სიტყვისაგან-ჟირი ნორთი, ორი განაყოფი, რადგანაც სოფელს ორად ყოფს ტეხური. 2) ჟინოსქუალები ესახლენ, ამიტომ დარქმევია ჟინოთა (აზნაურებს სამეგრელოში ჟინოსქუალებს ეძახდნენ).

ი. კეკელიას მოსაზრებით: ,,ჟინოთა შეიძლება გავიზიაროთ, როგორც ზემო მთა“ (იხ. ი. კეკელია, მარტვილის რაიონის იოკინიმია, თბ. 2010, გვ. 107).

ლამბერტის ,,სამეგრელოს აღწერა“-ს თან ერთვის სამეგრელოს რუკა, რომელზეც ჟინოთა, GINATA, ბანძას სამხრეთითაა, რაც სიმართლისგან შორსაა.

დღევანდელი სოფლები: დიდი ჭყონი, ჟინოთა, პატარა ჟინოთა და პატარა თამაკონი, 1921 წლამდე, ერთი სოფელი იყო და

შედიოდა სალხინოს საზოგადოებაში. სოფელ ჟინოთას ტერიტორიაზე მდებარეობდა თამაკონის (სალიპარტიანოს) სამოურავოს ცენტრი, მისი ,,დედა-ციხე“ (იხ. დიმიტრი ბერულავა, ჟურნალი ,,მწყემსი“, 1896 წ., N3; გივი ელიავა, ,,სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები“, I ტომი, 2002 წ., გვ., 408-410).

სენაკის მაზრის, სალხინოს რაიონის ცენტრი, ბაზარი, კოოპერაცია, ფოსტა 1924 წელს გადმოიტანეს სოფელ ჟინოთაში. სალხინოს საბჭოს, ამავე წელს გამოეყო დიდი ჭყონის საბჭო.

სალხინოს საბჭოში გაერთიანებულ სოფელს ეწოდა ჟინოთა პატარა (ახლა ქვია პატარა ჟინოთა). დიდი ჭყონის საბჭოში გაერთიანებულ სოფელს ეწოდა ჟინოთა დიდი. 1934 წელს სოფელს ჩამოშორდა მსაზღვრელი დიდი. დასახლებას დაუბრუნდა ძველი სახელწოდება-ჟინოთა.

დიდი ჭყონის რაიონის, საბჭოს, ბაზრის, კოოპერაციის, სკოლის, სახელწოდება გავრცელდა დასახლებულ პუნქტზეც და მივიღეთ ორი დასახლება: დიდი ჭყონი და ჟინოთა.

1870 წლამდე ,,წაჩხურუ“ მდინარე ტეხურის ორსავე ნაწილზე არსებულ დასახლებას ერქვა (იხ. ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკ. 7602). სოფელ წაჩხურუდან იყო უტუ (მართალია) თოდუა. ისტორიული წყაროები გვეუბნება, რომ 1870 წლამდე ერთი სოფელი იყო: წაჩხურუ, ეწერი და ნობულევი. 1930 წლამდე სოფელ ეწერის შემადგენლობაში შედიოდა: ტალერი და დიდი ჭყონის მეურნეობა.

1929 წელს სენაკის მაზრის, დიდი ჭყონის რაიონის, დიდი ჭყონის საბჭოს სოფელ ეწერში დაარსდა დიდი ჭყონის ჩაის მამული. 2-3 წელიწადში სახელწოდება მამული, დასახელება-მეურნეობამ შეცვალა, სოფელი ეწერი-დიდი ჭყონის მუშათა დასახლებამ.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ადამიანები სამუშაოდ მიდიოდნენ და არა, ბარაკებში საცხოვრებლად. მუშათა დასახლებისთვის დაბის სტატუსის მინიჭება ვერ მოხერხდა, რადგან კარ-მიდამოს მფლობელ გლეხობას მიწის ჩამორთმევა და ბარაკებში ცხოვრება არ სურდა.

დიდი ჭყონის მუშათა დასახლებას 1949 წელს გამოყვეს და დოშაყეს საბჭოში ჩარიცხეს სოფლები: ლეჟვანიე და ლექობალე. ამ სოფლებში მაცხოვრებლების, დიდი ჭყონის საბჭოდან ამო-

რიცხვა და დოშაყეს საბჭოში ჩარიცხვა მოხდა 35-37 წლის მერე, დიდი ჭყონის მეურნეობიდან-დოშაყეს მეურნეობის გამოყოფის პარალელურად.

მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ორი სხვადასხვა დასახლებაა: დიდი ჭყონი და დიდი ჭყონის მამული. ამ ორ სოფელს შორის მდებარეობს სოფლები: ჟინოთა, ოჩე და პატარა ოჩე (ტალერის თემიდან).

ერთ მუნიციპალიტეტში შემავალი სამი სხვადასხვა თემია: დოშაყე (მამული), ტალერი და დიდი ჭყონი. დოშაყეს თემში შედის სოფლები: მამული (ლეჟვანიე-ლექობალე) და დოშაყე. თემის ცენტრი მდებარეობს დიდი ჭყონის მამულში. ამ სოფელში მდებარეობს დოშაყეს თემის ამბულატორია, ბაღი, საჯარო სკოლა. ამ სოფლის გავლით უკავშირდება დოშაყეს თემში მაცხოვრებელი-გარესამყაროს.

რუკების, ორთოფოტოების მიხედვით: სოფელ ლეჟვანიეს ცენტრი მდებარეობს დიდი ჭყონის მამულის სტადიონთან. პატარა ოჩეს ცენტრი მდებარეობს დიდი ჭყონის მამულის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიასთან. ლექობალე- მარტვილში და ჩხოროწყუში არსებული მომიჯნავე, ერთნაირი სახელწოდების მქონე ორი სხვადასხვა სოფელია.

ქალაქ მარტვილიდან 15 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი დიდი ჭყონი. მარტვილიდან 23 კილომეტრში- დიდი ჭყონის მამული. ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით დიდი ჭყონის თემი 10-ჯერ მეტია დოშაყეს თემზე.

ფეოდალურ საქართველოში ,,თამაკონი ერქვა მხოლოდ ტეხურის მარცხენა მხარეს“ (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 51). ლამბერტის რუკის მიხედვით, სოფელი თამაკონი მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

თამაკონის (უნაგირას, ან ბჟერის, კალამუნას) მთა წარმოადგენს ორი მდინარის- ტეხურასა და აბაშას წყალგამყოფს. სენაკის მაზრაში 1870 წელს შეიქმნა თამაკონის სასოფლო საზოგადოება. მამასახლისის კანტორა განთავსდა მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე. 1926 წლიდან თამაკონის თემის სოფელ ,,ნამიკოლაო პირველი“-ს შემადგენელი ნაწილია, უბანია-,,შკანთა“.

მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე 1912 წელს არსებობდა პირველი თამაკონის და მეორე თამაკონის ეკლესიები. მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფელს, ეკლესიას ერქვა ნამიკოლაო. კიწიის საზოგადოებაში არსებობდა სოფელი კიწია III, დღევანდელი ზემო ლედგებე (იხ. გაზეთი ,,შინაური საქმეები", 3 ივნისი, 1912 წელი, N21).

,,1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკაზე აღნიშნულია თამაკონის ციხე, ბალდის ორგუმბათიანი მონასტერი და სკურდის ერთნავიანი ეკლესია. სამივე სოფელი ერთმანეთის გვერდით მდებარეობს" (იხ. შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, თბ. 1965 წ., გვ. 290).

ლიხთ-იმერეთის რუკის შესახებ დოც. შ. ბურჯანაძე წერს, რომ ეს ,,რუკა არის ფეოდალური საქართველოს ისტორიის სანდო პირველი წყარო, რომელიც თავის წარწერებში მართალია" (იხ. შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ. 1959 წ., ტ 1, გვ. 187).

,,აქედან გამომდინარეობს, რომ ამ პერიოდისთვის (1789-1803 წ. წ.) სალიპარტიანოს მთავარი ციხე, თამაკონის ციხე ყოფილა... შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ სალიპარტიანოს ძველი ცენტრი თამაკონ-ბალდის ტერიტორიაზე ყოფილიყო, ციხე-სიმაგრის ახლოს" (იხ. შ. ჯღარკავა, ,,სალიპარტიანო", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, თბ. 1965 წ., გვ. 291).

ფეოდალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი არის ქვეყნის ციხე-სიმაგრეთა ქსელით დაფარვა. ციხე სენიორის მთავარ იარაღად იქცა მისდამი ვასალურ მდგომარეობაში მყოფთა სამართავად, მტრისგან თავის დასაცავად. ის წარმოგვიდგება როგორც ე. წ. ,,თავადობის" ნიშანი, ქვეყნის დაპყრობის ნიშანი, როგორც ადმინისტრაციული მოხელის ძალაუფლების ნიშანი, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი.

ციხე-სიმაგრის დაპყრობა ხდებოდა მიწაზე ძალაუფლების მოპოვების მიზნით. ციხე იყო ქვეყნის ადმინისტრაციული სამართავი ადგილი, საომარი ოპერაციების ცენტრი. ვინც ციხეს ფლობდა გარშემო ტერიტორიის და მოსახლეობის ბატონიც ის იყო.

ციხე-დარბაზი კერძო პირს, ფეოდალს ეკუთვნოდა, ხოლო ციხე-სახელმწიფოს საკუთრება იყო.

შარდენის გადმოცემით მეგრელები: ,,ხშირ ტყეში გაშლილ ადგილზე, აშენებენ ოცდაათი ან ორმოცი ფუტის სიმაღლის ქვის კოშკს, რომელშიაც შეიძლება 50 ან 60 კაცი მოთავსდეს. ეს კოშკი არის ციხე-დარბაზის გამაგრებული ადგილი; აქ ინახება ბატონის და აგრეთვე მასთან თავშეფარებულთა მთელი სიმდიდრე. ამ კოშკის მახლობლად ხუთი თუ ექვსი ხის დაბალი კოშკი დგას, სადაც ინახება სურსათ-სანოვაგე და სადაც ალყის დროს თავს აფარებენ ქალები და ბავშვები. გარდა ამისა, ამ ღია ადგილზე არის კიდევ რამდენიმე ქოხი, ზოგი ხით ნაშენი, ზოგი ტოტებისგან დაწნული, ზოგიც ბამბუკისა და ლერწმისა. მთელი ეს ტერიტორია გარშემორტყმულია კედლითა და ხშირი ტყით ისე მჭიდროდ, რომ მასთან ახლოს მისვლა შეიძლება მხოლოდ ტყეში საგანგებოდ გაკაფული გზით. შეიტყობენ თუ არა მტრის მოახლოების ამბავს, გზას ხეებით ჩახერგავენ ისე, რომ შეუძლებელი ხდება მისი გადალახვა. კოლხები (მეგრელები) ამ ციხეებში იქამდე რჩებიან, ვიდრე მტრის საშიშროება არსებობს; როგორც კი საშიშროება გაივლის, ისინი უბრუნდებიან თავიანთ სახლებს“ (იხ. ჟან შარდენი, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1976 წ., გვ. 26).

თამაკონის და ჟინოთას ციხეები სალიპარტიანოს მმართველი დგებუაძეებისთვის იყო თავადობის, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელისუფლების ნიშანი.

,,თამაკონის ციხე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ყოფილა სალიპარტიანოში. ციხე მაღალ გორაკზეა აშენებული და გასცქერის მდინარეების აბაშისა და ტეხურის ხეობებს. ციხეს გარშემორტყმული ჰქონია მაღალი გალავანი“ (იხ. შ. ჯღარკავა, დას. ნაშრომი, გვ. 290).

თამაკონის ციხე მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ პატარა თამაკონში, ჟინაანთკარად წოდებულ უბანში, ამავე სახელწოდების მაცხოვრის სახელობის ეკლესიიდან 50-70 მეტრში. შემორჩენილია დასავლეთის და სამხრეთის კედლების ნაშთები. ჩრთილოეთიდან ეს ადგილი უყურებს მდ. ტეხურის ხეობას და მთა კალამონას, რომელიც შემდეგ მიემართება ინჩხურსა და გორდში; დასავლეთით - სალხინოს, სამხრეთ-

დასავლეთით- თამაკონს, სადაც ასევე არის ციხე-სიმაგრე; შემდგომ ის უნდა დაკავშირებოდა ნოღას ციხეს. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირთან და სოფ. სალხინოს გადასახვევთან (ნაფოსტართან) ახლოს. ის უყურებდა გორდს და ინჩხურს, სადაც ასევე არის ციხე-სიმაგრეები (იხ. ჭითანავა, ,,ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში", თბ. 2010 წ., გვ. 327-328).

ციხის მიმდებარედ ძველად უცხოვრიათ ჯამბურიებს და ჯანჯღავებს. იქ არის ნამარნევი ადგილი, სადაც ქვევრები იყო დამარხული.

ნიკო დადიანი წერს, რომ სოლომონ მეფემ აიღო თამაკონის ციხე (1802 წ.). ,,წარვიდა დადიანი ნოღიდან და მივიდა თამოკონს და მოსცა თამოკონი ჯოღორია დგებუაძემ (იხ. ნიკო დადიანი, ,,ქართველთ ცხოვრება", თბ. 1962 წ. გვ. 193).

თამაკონის ციხეს იხსენიებს გიულდენშტედტიც, ხოლო ს. მაკალათიას ამ სახით აქვს აღწერილი: ,,თამაკონის ჯიხა მდებარეობს სალხინოს მახლობლად. აქ იყო სადადიანოს ცენტრი და დარჩენილია რამდენიმე ციხის ნანგრევი. მათ შორის შედარებით კარგად არის დაცული თამაკონის ციხე, რომელსაც მაღალი გალავანი ქონია შემორტყმული. ციხე ნაგებია ქვითკირით, კედლები დარღვეულია და ჭერ-სახურავი ჩამოქცეული. სამხრეთით მხარეზე მიშენებული აქვს ოთხსართულიანი საყარაულო კოშკი, რომელსაც აქვს სათოფურები და ჩარდახები. ციხეში ქვევრებია ჩაფლული. ამ ქვევრებში სადადიანო კულუხის ღვინოს ასხამდნენ თურმე. ციხე მაღალ გორაკზეა აშენებული და გასცქერის მდინარე აბაშის და ტეხურის ხეობას" (იხ. სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 236-237).

,,პატარა თამაკონის (შქანთას) ციხე დგას აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფ მთაზე, ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ,,ნაცხადოუდ" სახელდებულ გორაზე. ადგილობრივები მას ნოჯიხენს, //ნაჯიხუს// ჯიხას უწოდებენ...1957 წლის მიწისძვრას ციხე მთლიანად დაუნგრევია (ელიავა, 1977; გვ. 125). მოგვიანებით, XIX ს. I ნახევარში, ციხეს ფლობდნენ მამა-შვილი ჯოღორია და ბეჟან დგებიები (დგებუაძეები)" (იხ. ი. კეკელია, ,,ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში", ქუთაისი 2013 წ., გვ. 43).

მდინარე წაჩხურისა (მარჯვენა მხარე) და მდინარე ტეხურას (მარცხენა მხარე) შესართავთან, არის ციხე-სიმაგრის ნაშთები; ის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაყურებს მდ. ტეხურის ხეობას და თამაკონის ჯიხას; ჩრდილოეთისკენ კი იმ ციხე-სიმაგრეებს, რომლებიც ჩვენ დავაფიქსირეთ სალხინოში. ეს ციხე შემოზღუდულია დაახლოებით ნახევარ ჰექტარზე, რიყის ქვით, კირის დუღაბზე. შიგნით, ოდნავ შემაღლებულ ბორცვზე, უნდა მდგარიყო ცალკე კოშკიც. ნაციხარი დაფარულია მიწითა და მცენარეულობით. სამხრეთის მხრიდან შემორჩენილი ღიობით მივდივართ მიწისქვეშა სათავსოში, რომელიც თითქმის ამოვსებულია მიწით; ძეგლის სრული სახით წარმოსახვისთვის საჭიროა ჩატარდეს გაწმენდითი და გათხრითი სამუშაოები (იხ. დ. ჭითანავა, ,,ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“, თბ. 2010 წ., გვ. 342).

ნამიკოლავოში, მდინარე ტეხურის მარჯვენა მხარეს, მაღალ გორაკზე, დგას ადგილობრივი კირქვისა და რიყის ქვისგან კირის დუღაბზე აშენებული კოშკი. მას დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მცირე მანძილზე კიდევ შემოუყვება მეორე კედელი, რომელიც დღეს თითქმის დანგრეულია. ის ჩრდილეთით უყურებს პატარა თამაკონის ჯიხას, აღმოსავლეთით- მოცაციხეს და თამაკონის მთას, სამხრეთით- მდინარე ტეხურის ხეობას და მის სანაპიროსთან ვაკეში მდგარ ციხეს (იხ. დ. ჭითანავა, იქვე, გვ. 345).

ნამიკოლაოში ორ ადგილას არის ტოპონიმი ,,ნოჯიხენი“ (ნაციხარი) წერს გივი ელიავა (იხ. გ. ელიავა, ,,აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“ თბ. 1977, გვ. 138).

თარგამეულის ციხე-სიმაგრის ნანგრევები მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე, დაბლობში (მდინარე ტეხურის წყალი მას უშუალოდ ეკვრის). მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია და ბჟერის მთა. ციხისგან ჩრდილოეთით არის ,,მოცაციხე“ (იხ. დ. ჭითანავა დასახ. ნაშრომი, გვ. 346).

თამაკონის მთის წვერზე, ნახუნაოს საზღვართან მდებარეობს ციხე-სიმაგრე, რომელსაც ადგილობრივები ,,მოცაციხეს“ ეძახიან (თითქოს აქ მაცი ხვიტია იმალებოდა). ციხე მდინარე ტეხურის ნაპირებიდან დაშორებულია დაახლოებით 4 კილომეტრით. ცი-

ხიდან 6-7 კილომეტრში მდინარე ბაშისწყლის ხეობა იწყება-ნახუნაო, წინაკვირკვე, აბედათი. ეს მთა და მასზე მდებარე ციხე-სიმაგრე ერთგვარად აერთიანებს აღმოსავლეთ და დასავლეთ სამეგრელოს თავდაცვით ხაზს. აქედან ჩანს თითქმის მთელი სამეგრელო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ციხეს აქვს სათოფურები და დაახლოებით 1500 მეტრის სიგრძის კედელი. ,,ჩვენ ამ ციხის ზოგიერთი კედელი ეგრისის სამეფოს დროინდელად მიგვაჩნია და შესაძლოა უფრო ადრინდელიც (იხ. ჭითანავა, იქვე, გვ. 346-347).

არავისთან არ ვაპირებ დავა-კამათს, იმის შესახებ, თუ რომელი ციხე-სიმაგრე იყო სალიპარტიანოს დედა-ციხე, რომელი ციხე მისცა ჯოღორია დგებუაძემ მთავარ გრიგოლ დადიანს. ისტორიული რეალობაა ბეჟან დგებუაძე ცხოვრობდა ჟინოთაში, ჯოღორია დგებუაძე ნამიკოლაოში, ისინი ფლობდნენ თამაკონის და ჟინოთას ციხეებს. საუკუნეების წინ, მტრების შემოსევისას, ჩვენი წინაპრები იმალებოდნენ თამაკონის, წაჩხურუს, ლესხულუხიეს, დოშაყეს გამოქვაბულებში.

ტეხურის ხეობა ტურისტებისთვის, აბაშის ხეობაზე უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს. გაჭედილის კანიონმა არ უნდა დაგვავიწყოს: ბჟერი, ლებარდე, ჩეგოლა, კემლაკესარი, ტობავარჩხილი, მღვიმური ტურიზმი.

დასავლეთ საქართველოში 65-მდე მღვიმეა, საიდანაც ბევრი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა.

დოშაყეს კარსტი 2 კმ-ზე მეტ მანძილზე ვრცელდება და მრავალფეროვანი სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით დამშვენებული მღვიმეა. მას მრავალ ადგილას აქვს გასასვლელი ხვრელები, რომლის შესწავლა, ალბათ ახალ ღირშესანიშნაობებსაც გამოავლენს. პირველი დარბაზი ქვითკირითაა ,,პირაკრული“ და, ეტყობა, შიშიანობის დროს სახიზრად გამოიყენებოდა. მისი სიგანე 30 მეტრს აღემატება, სიგრძე კი 45 მეტრამდეა. კედლის გაყოლებაზე არის ფართო თახჩები, რომელზეც თავისუფლად შეიძლება წამოწოლა. დარბაზის კედლები არცთუ ისე ხშირი სტალაქტიტებითაა დაფარული. სახურავი შედარებით მშრალია. მომდევნო რამდენიმე მღვიმე სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით საოცრადაა მოფენილი. მეოთხე დარბაზი შედარებით მშრალია. მას, როგორც

ჩანს, ასევე თავშესაფრის ფუნქცია ქონდა (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 896).

სოფელ დოშაყეში არის საინტერესო უფსკრულები, რომლებიც სამ ადგილას მოვნიშნეთ. სოფლის შესასვლელთან ახლოს, გზის პირას, შემთხვევით გაიხსნა უფსკრულის პირი, სადაც სამოოთხი მეტრის სიღრმეზე არის ყინულოვანი მღვიმე. ამის შემდეგ უფსკრული კიდევ ვრცელდება სიღრმეებში, ეტყობა, რამდენიმე მდიდარი მღვიმური წარმონაქმნისგან შედგება და, შესაძლებელია, რომ ერთ კმ-ზე არსებულ მეორე უფსკრულსაც უერთდება (იხ. ელიავა, იქვე).

გივი ელიავა ზემოთაღნიშნულ წიგნში გვაცნობს: კიწიის, თამაკონის, გაჭედილის, სალხინოს სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე არსებულ მღვიმეებს.

ლებარდე იზოლირებული კურორტი არ არის. ის კურორტთა ჯგუფია, რომელშიც შედის: ლებარდე, ჩეგოლა, კემლაკესარი, და ტობავარჩხილის ორი ტბა.

კურორტი ლებარდე თავისი სიმშვენიერით უტოლდება აბასთუმანს და შვეიცარიის კურორტებს ლეიზენსა და დავოსს. ის წარმოადგენს სამკურნალო ფაქტორთა კომპლექს: მთის კლიმატის, ზღვის კლიმატისა და ბარნეოლოგიური კურორტისას. ასეთი სამკურნალო ფაქტორებით მდიდარი კურორტი იშვიათია; ლებარდეს რაიონში მდებარე მინერალური წყაროებია: ჩეგოლაში, კემლაკესარში, დვირასა და ქობალიას კარში.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 2300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ორი ღრმა ტბა, საიდანაც ერთი-,,ვარჩხიიშ ტობა“ შედარებით დიდია, მეორე-უფრო მცირე.

ტეხურის ხეობა მდიდარია სასარგებლო თვისებების მქონე თერმული და მინერალური წყლებით. აქ უამრავ ადგილასაა მჟავე წყალი.

ქვემო სვანეთის გადასახედთან, ზღვის დონიდან 2800 მეტრ სიღმეზე არის გეოგრაფიული პუნქტი კემლაკესარი. ლებარდედან დაშორებულია 15 კილომეტრით. აქ დღეს ციხე-სიმაგრის უმნიშვნელო ნანგრევებიღაა. 100 წლის წინ კემლაკესარი ცნობილი კურორტი იყო და მას ლებარდეზე მეტი დამსვენებლები ჰყავდა.

ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარეობს კურორტი ჩეგოლა. ,,აქ არის სამი სახის მინერალური წყალი, რომლებიც უფრო მეტად გამოყენებულია სააბაზანოდ. ლებარდედან დაშორებულია 9 კილომეტრით, ხოლო პირდაპირი საცალფეხო გზა ლებარდეს მთის ქედიდან 4 კილომეტრია. ჩეგოლას ნაკლი ის არის, რომ მას ადგილზე არ აქვს მდებარეობა ხალხთა ტევადობისთვის. მინერალური წყალი კი არის მდინარე ტეხურის შენაკადის ვიწრო ხეობაში. შეიძლება ჩეგოლას მინერალური წყალი მილით გადმოვიყვანოთ ლებარდეში, რითაც მოხდება ლებარდეს გამდიდრება ბარნეოლოგიური ხაზით“ (იხ. ალ. რატიანი, გაზეთი ,,სოციალისტური სოფელი“, 1955 წლის 10 ივლისი).

ჩეგოლასა (თეთრ მთასა) და ლებარდეში გამოედინება ნარზანის ტიპის მინერალური წყლები. ,,სწორედ ხუთი წელიწადია (საუბარია 1910 წელზე), რაც თეთრი მთის ქებათა-ქება მესმის. დადგება თუ არა ზაფხული, მთელი ოდიში თეთრი მთის სახელს გაიძახის: ,,ვაი ნიტე ქომიღუდას თეში საქმე, ჩე გოლაშა მიდმართედას“ (ვაი, ნეტავი ისე მქონდეს საქმე, რომ თეთრ მთაზე შემეძლოს წასვლაო). ასეთი ნატვრა, ზაფხულის დამლევამდე მუდამ გვესმის. რასაკვირველია ეს ბევრს ნატვრად ურჩება, მხოლოდ უმცირესობა ახერხებს ამის ასრულებას და ყოველ ზაფხულს 700 კაცამდე გროვდება სააგარაკოდ.

ვისაც არ უნდა კითხო ოდიშში ამ მთის შესახებ, ყველასგან ამნაირ პასუხს მიიღებ: ,,ჰაერი დიდებულია, აბასთუმანი და ბაკურიანი რას მიედრება. უბედურება ისაა, რომ გზა ძლიერ ცუდი და საშიშია, ცხენიანი კაცი ძლივს გაეტევა, დიდი მანძილი ფეხითაა სასიარულო“ (იხ. პეტრე ქავთარაძე, ,,თეთრი მთა“, თენგიზ ვერულავას ბლოგი).

1927-1929 წლებში კურორტ ლებარდეს დირექტორი თედორე ჯოჯუა წერს, რომ ლებარდე მე-18 საუკუნის მიწურულს იქნა აღმოჩენილი მეჯოგეების (მწყემსების) მიერ. იმ დროს არსებობდა საცალფეხო გზა სალხინო-ქვიბია-ასხის მთის მიმართულებით და უღრანი ტყით იყო დაფარული.

ვაჭრებმა პავლე და ივანე ნაჭყებიამ, ილია თოდუამ, გიორგი და თომა კეშელავებმა კურზუ-დობერაზენის გავლით ლებარდე-ჩეგოლამდე გაიყვანეს უმოკლესი საცალფეხო გზა.

ამ პერიოდიდან ლებარდეში გაჩნდნენ მოიჯარადეები: ალექსი მიქაია და ანტონ პაპავა. ისინი დამსვენებლებს ახდევინებდნენ სათანადო გამოსაღებს.

1923-1928 წლებში ხელისუფლებამ ლებარდეში მიავლინა ქიმიკოსი კუპცისი, რომელმაც დაამტკიცა ლებარდეს მინერალური წყლების უდიდესი სამკურნალო თვისებები.

ლებარდეში 1928 წელს ჩავიდა გეოლოგების პარტია ინჟინერ ერისთავის ხელმძღვანელობით. შედგენილ იქნა საავტომობილო გზის პროექტი, რომელიც განუხორციელებელი დარჩა.

1936 წელს გეგეჭკორის რაიკომის მდივნის კირილე ბეჭვაიას მიერ კვლავ იქნა დასმული საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე კურორტ ლებარდეს მიმართულებით გზის გაყვანის შესახებ. რასაც მოჰყვა ინჟინერ ყალიბეგაშვილის ხელმძღვანელობით გზის გამყვანი ბრიგადის ჩამოსვლა.

ლებარდეში საავტომობილო გზა გაიყვანეს II მსოფლიო ომის შემდეგ (იხ. გაზეთი ,,სოციალისტური სოფელი“, 1961 წლის 6 იანვარი, N3).

გივი ელიავა წერს, რომ მჟავე წყალი ტეხურის ხეობაში უამრავ ადგილასაა. უნაგირას მთაზე, ჯოლევს ზემოთ, წყლითა და ჰაერით საოცრად გამორჩეულია აგარაკი ,,ბჟერი“. მის ქვემოთ, მდინარის პირას, ლეძამესთან, ცხელი წყლის აბანოებია, ცაიშის ტიპის წყლით, რომელსაც იყენებენ სამკურნალო დანიშნულებთ. თარგამეულის მთის შეფენაზე უძველესი გოგირდოვანი აბანოებია. ქვიბიის ზონაში არის მჟავე წყლით მდიდარი აგარაკი, რომელიც მიურატს შეუსწავლია. იგი მაშინ გაუწმენდიათ და იყენებდნენ. ჭყონის ჩაის მეურნეობაში სამ ადგილას შეინიშნება მარგანეცისა და მჟავე წყლის გამოსავალი (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 890-893).

დიდი ჭყონელ გეოლოგ ილია მარკოზიას დასაბეჭდად გამზადებული აქვს ნაშრომი-,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი სიმდიდრეები“. მისი მტკიცებით ტეხურის ხეობაში არსებობს: სპილენძის, ოქროს, პლატინის, მოლიბდენის, რკინის, ბარიტის საბადოები. რაიონი მდიდარია აგრომადნებით, ბუნებრივი სასუქებით.

,,ზედა ზონის სოფლები შეფენილია ქვემო სვანეთის მთაგრეხილის სამხრეთ კალთებზე. ეს ადგილები ცნობილია რკინითა

და სხვა მინერალური შენაერთებით, მდიდარი წყლებით; ძველთაგანვე ცნობილია ამ ადგილებში ქვანახშირის, რკინის, ტყვიის, სპილენძის და სხვა წიაღისეულის არსებობა. მოხუცები თავიანთი წინაპრების გადმოცემით მიუთითებენ ლითონთა მოპოვებისა და დნობის უძველეს ადგილებს; მაგალითად, კურზუში- ჩეჩონას, ნახუნაოში- ონოშქვერეს (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო I, გვ. 19).

სოფელ გაჭედილის მთელი ,,კურკუზა“ ცემენტის საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს, რამდენიმე ათეული წლის მდიდარი მარაგით. ასეთი ნედლეული ამ ქედზე (უნაგირაზე) მრავალ ადგილას, გაღმა-გამოღმა ფერდობებზე მასობრივად არის მონიშნული. ნამიკოლაოში, უნაგირას დასავლეთ ფერდობზე, ცემენტის გამოცდა უცდია ალიოშა ჯანაშიას და პირველი პროდუქცია გამოიტანა კიდეც გასაყიდად. ტეხურის სანაპიროზე მოიპოვება მარგანეცი; ბარიტის გამოსავლებიც კი არის, მერგელის მდიდარი ფენებით (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 890).

თამაკონი-ნახუნაოს მთებში მანგანუმის არსებობა XIX საუკუნეშიც იცოდნენ. ,,აქ XIX საუკუნის დასასრულს მარგანეცის ამოღება უცხოელ მეწარმეებს დაუწყიათ. ცნობილ მკლევარ-გეოლოგთა მიერ ამ მთის სხვადასხვა ადგილას დადასტურებულია სპილენძის, მარგანეცის და ნახშირის მადნების არსებობა. მარგანეცის საკმაოდ უხვი ძარღვი დღესაც ჩანს ნიადაგის ზედაპირზე. მარგანეცის მადნის საძიებო სამუშაოები 1886 წ. უწარმოებია კოცოვსკის. 1885-1896 წლებში ნალეპსაოსა და ნახუნაოში დაზვერვითი მუშაობა ჩაუტარებიათ იტალიელებს. სხვადასხვა დროს აქ ყოფილან კონუშევსკი და მეფერტი, რომლებიც ადგენენ, რომ წკირღალის ხევის მარჯვენა სანაპიროზე, ასევე ნალეპსაოში, ,,ჭადონასთან“ არის მარგანეცის მადნის საკმაოდ მოშიშვლებული ძარღვები. კონუშევსკის მონაცემებით, მარგანეცის მადნის გამოჩენას ადგილი აქვს ნახუნაოს მიდამოებში (ოცდაათ კმ-ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ახალსენაკიდან), წკირღალის წყაროს მახლობლად. მადანი ფენის ზედა ნაწილში საერთოდ მტკიცეა“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, I ტ. გვ. 297);

გივი ელიავა წერს, რომ ესიგუეს მთებზე იტალიელ მრეწველს -ვინმე ნაპოლეონს მარგანეცის მაღაროებიც ქონია. კურზუში არის კირქვის, ბაზალტის მდიდარი მასივები. აქვე, ამ ბაზაზე მუ-

შავდება ბაზალტის ფილები. აქვეა მარგანეცის მდიდარი გამოსვლები. ლებარდეს მიდამოები მდიდარია ტყვიით, მარგანეცით. განსაკუთრებით უხვადაა გრანიტისა და ბაზალტის შავი და წინწკლებიანი კირქვის მასივები. ქვიბია მდიდარია რკინის, ტყვიის, კალის, მარგანეცისა და ქვანახშირის გამოსავლებით. აქვე მოიპოვება გრანიტი და ბაზალტი. ვხვდებით მარმარილოს მცირე, ჯერ კიდევ შეუსწავლელ გამოსავლებსაც. გურძემში არის შესანიშნავი ფერადი კირქვები. ასეთი კირ-ქვითა და ბარიტის გამოსავლებით მდიდარია კიწია, დოშაყე. მდინარე ზანის ნაპირას სოფელ დოშაყეში რამდენიმე ადგილას არის ქვანახშირის საკმაოდ ძლიერი შრე (იხ. ელიავა, სამეგრელო ტ. II, გვ. 890).

განძის მაძიებლებს ალბათ დააინტერესებს ლეგენდა: თამაკონის ციხის მიდამოებში დამარხულია ოქრო და ვერცხლი. თამაკონის გამოქვაბულში ინახება განძი.

ჭყონდიდი I კათედრაა, რომელსაც აარსებენ ,,აფხაზთა მეფეები“ დასავლეთ საქართველოში; მეტიც, იგი საერთოდ პირველი ,,ქართული“ საეპისკოპოსოა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. ბ. კუდავა, ,,დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI ს.ს.), დისერტაცია, თბ. 2002, გვ. 128).

ოდიშის სამთავროში, მისი ჩამოყალიბების დროს, XVI საუკუნეში, ხუთი საეპისკოპოსო იყო: ჭყონდიდის, ცაიშის, ბედიის, მოქვის და დრანდის. XVII საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა წალენჯიხის საეპისკოპო. მდინარე ტეხური ყოფდა ჭყონდიდის და ცაიშის საეპისკოპოსოებს. ოდიშის სამთავროს საეპისკოპოსოები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შედიოდა.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში 1633-1649 წლებში იმყოფებოდა. ის ჩამოთვლის 12 საეპისკოპოსო კათედრას, საიდანაც 6 მოქმედი იყო.

სერგი მაკალათია წერს, რომ კაცია II დადიანმა ოდიშის ეკლესია გამოყო იმერეთისაგან და დააარსა ცალკე ოდიშის საკათალიკოსო (ს. მაკალათია, დას. ნაშ. გვ. 137).

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია 1825 წლის 26 მარტიდან საქართველოს ეგზარხოსის დაქვემდებარებაში გადასული სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების 1826 წლის აღწერის მასალები, სადაც 69 ნომრად აღწერილია ნამიკო-

ლაოს, 68-თარგამეულის, 67-თამაკონის, 63-დოშაკის... ეკლესიები (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 1, საქმე 65409).

სამეგრელოს ეპარქია დაარსდა 1818 წლის 28 დეკემბერს. მასში გაერთიანდა ჭყონდიდის ეპარქია, ცაიშის საეპისკოპოსო და ცაგერის ეპარქია. 1823 წელს აღნიშნული ეპარქიები გაერთიანდა. 1829 წელს, მას სამეგრელოს ეპარქია ეწოდა და მარტვილის ტაძარი კათედრად გამოცხადდა.

1788 წლიდან სამეგრლოში მღვდელმთავრები იყვნენ: მიტროპოლიტი ბესარიონი (დადიანი), გარდაიცვალა 1828 წელს. 1829-34 წლებში-მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი), 1835-42 წლებში -ეპისკოპოსი გიორგი (კუხალაშვილი), 1843-52 წლებში-ეპისკოპოსო ანტონი (დადიანი), 1853-54 წლებში-ეპისკოპოსი ზაქარია (დგებუაძე), 1854-1859 წლებშიეპისკოპოსი თეოფანე (გაბუნია), 1860-62 წლებში-ეპისკოპოსი გერონტი (პაპიტაშვილი), 1863-1865 წლებში-ეპისკოპოსი ბესარიონი (ჩიჩუა), 1865-1871 წლებში- ეპისკოპოსი ტარასი (ჩიჩუა) (იხ. ე. თაყაიშვილი ,,არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში“, თბ. 1914 წ. გვ. 162).

1852 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა ანტონ მიტროპოლიტი. ,,მთავარმა ითხოვა ეკურთხებინათ მის ადგილზე ცაიშის არხიმანდრიტი ზაქარია, მაგრამ სანამ ნამესტნიკს (მეფისნაცვალს) ამაზე ქაღალდი მიუვიდოდა, ისიდორე ექსარხოსს იგი უკვე წარედგინა სინოდში კანდიდატად და შემდეგს 1853 წელს 7 ივნისს, იგი ხელდასმულ იქნა სამეგრელოს ეპისკოპოსად სიონის სობორში. ზაქარია ეპისკოპოსი გარდაიცვალა სალხინოს სასახლეში 5 მარტს 1854 წელსა. მის ადგილზე ხელდასმულ იქნა სამეგრელოს ეპისკოპოსად არხიმანდრიტი თეოფანე“ (იხ. ი. მეუნარგია, ,,სამეგრელო დავით დადიანის დროს“, თბ. 1939 წ., გვ. 144).

დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ, 7 წლის ნიკო დადიანი სამეგრელოს მთავრად გამოაცხადეს და სრულწლოვანებამდე რეგენტად დედამისი ეკატერინე დაუნიშნეს. ეკატერინემ ერთგვარი მეურვეთა საბჭო შექმნა, მცირეწლოვანი მთავრის ბიძეების-გრიგოლ და კოსტანტინე დადიანების, აგრეთვე სამეგრელოს ეპისკოპოსის ზაქარია ჭყონდიდელის (დგებუაძე) შემადგენლობით (იხ. მეუნარგია, იქვე, გვ. 158).

ისტორიკოს ანზორ სიჭინავას მოძიებული მასალების მიხედვით: ზაქარია დგებუაძე დაიბადა 1800 წელს. ის იყო სალიპარტიანოს მოურავ დიმიტრი (ჯოღორია) დგებუაძის შვილი. ის მიბარებული იყო ცაგერის მონასტერში, სადაც ისწავლა საღრმთო წერილი.

1822 წელს ბერად აღკვეცეს და აკურთხეს მთავარდიაკვნად; 1834 წელს მღვდელ-მონაზვნად. 1836 წელს დაინიშნა ცაიშის მონასტრის გამგებლად; შემდეგ-წინამძღვრად. 1853 წელს თბილისში სამეგრელოს ეპისკოპოსად აკურთხეს. გარდაიცვალა 1854 წელს. დაკრძალეს მარტვილის მონასტერში.

დავით ლევანის ძე დადიანმა მმართველობის პირველსავე წელს ყურადღება მიაქცია სამღვდელოებას და 1842 წელს გაანთავისუფლა ბატონყმური დამოკიდებულებისგან. მღვდელი პირად საადგილმამულო ბეგარას იხდიდა; თითქმის ყველა მებატონეს ჰქონდა კარის ეკლესია; შაოსანი სამღვდელოება, სულ სხვა მდგომარეობაში იყო. მას მთელი ეპარქია და მრავალი მონასტერი ქონდა.

დავით დადიანის დროს სამეგრელოს სამთავრო ერთ ეპარქია იყო, რომლის სათავეში ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იდგა. მისი რეზიდენცია იყო მარტვილის ტაძარი. ჭყონდიდელების საზამთრო სადგომი იყო სუჯუნა.

დავით დადიანს 1852 წელს ჩაუტარებია საეკლესიო მამულებისა და გლეხების ზუსტი აღწერა. ოდიშ-ლეჩხუმის სამთავროში იმ დროს ყოფილა: სამრევლო ეკლესია- 242, სასახლის ეკლესიები- 32, სასაფლაო ეკლესიები- 6, ზედმიწერილი ეკლესიები- 28, ქვითკირის ეკლესია- 150, ხის ეკლესია- 148 (იხ. იონა მუნარგია, გვ. 141).

1852 წელს დავით დადიანმა ჯვარის მაზრაში მიავლინა თეოფანე არქიმანდრიტი. თეოფანე იყო გვარად გაბუნია, სამეგრელოს ეპისკოპოსი 1854 წლიდან. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტების თანახმად იმ დროს მაზრაში არსებულა 43 ეკლესია, არქიმანდრიტმა დაათვალიერა 41 ეკლესია, აღწერა ეკლესიები, მრევლის რაოდენობა. საეკლესიო თუ სამღვდელო მსახურება, ასევე ეკლესიებისა და საეკლესიო ნივთების რაოდენობა (იხ. ზ. ს. ი. მ. დოკ. 7602).

არქიმანდრიტის შედგენილი დოკუმენტის თანახმად: ჯვარის მაზრის ეკლესიებისა და საეკლესიო ნივთების მდგომარეობა სავალალოა, მღვდლებმა წერა-კითხვა ცუდად იციან. მრევლი თვინიერ მცირედისა ეკლესიაში არ დადის, არ უქმობენ, ან სუსტად უქმობენ, კერპული ლოცვები იციან. ბედნიერი გამონაკლისი იყო ჟინოთის (ოციმეს) წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია: ,,ჟინოთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია განვიხილე: შიგნიდან და გარედან დაწმენდილი, ხატ-ჯვრით და საჭირო სამკაულებით შემკული. მღვდელი ბესარიონ კუხალაშვილი ყმაწვილია, ცოლშვილი ჰყავს, წერა-კითხვა იცის კარგად. მრევლი არის 15 კომლი. კარგად იციან ქრისტიანული რიგები. ჩემი მხრით ვაქებ ამავე ეკლესიაზე ღვაწლსა ბეჟან დგებუაძისასა. (იხ. ზ. ს. ი. მ. დოკ. 7602).

დავით დადიანის საეკლესიო რეფორმები გააგრძელა ეკატერინე ჭავჭავაძემ. მან ეკლესია-მონასტრებში შემოიღო საშტატო ერთეულები და ბრძანება გასცა ნატურალური საეკლესიო გადასახადები შეეცვალათ ფულით. მონასტერთან შეიქმნა საეკლესიო ხაზინა. საეკლესიო პირები ჩამოაშორა მარტვილის საეკლესიო მამულების მართვას. ეკატერინეს გაბედულმა რეფორმებმა საეკლესიო მამულების და გლეხების ხელში ჩაგდების გზა მოუჭრა სინოდს (იხ. ლ. აბდალაძე, სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, დისერტაცია, ქუთაისი, 2014 წ, გვ. 111-112).

სამეგრელოში ორჯერ შეიქმნა დროებითი მმართველი საბჭო; ორივეში შეყვანილ იყვნენ სამეგრელოს მიტროპოლიტები. მათ ინტერესებს იცავდა მთავარი. იგი ეხმარებოდა სამღვდელოებას თავიანთ სამწყსოში წესრიგის დამყარებაში.

,,დასავლეთ საქართველოში მეტრიკების წერა შემოიღეს 1826 წელს და აღსარებითი სიებისა 1839 წელს (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1889 წ., N10).

1845 წლიდან სამეგრელოს ეკლესიებში შემოიღეს მეტრიკული წიგნების წარმოება. ამ დროიდან შტატის ეკლესიებში ასრულებდნენ დღევანდელი სამოქალაქო რეესტრის ფუნქციებს. მეტრიკული წიგნები შედგებოდა სამი ნაწილისაგან:

I ნაწილში ჩაწერილია დაბადებულის წოდება (თავადი, აზნაური, გლეხი). სახელი, გვარი, მშობლების სახელები, დაბადებისა

და ნათლობის თარიღი. მიმრქმელთა (ნათლიათა) წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი, მღვდლის და მედავითნის ვინაობა.

დაბადება-ნათლობის ჩანაწერებს ხელს აწერდნენ: მღვდელი, მედავითნე, მშობლები, ,,ნათლულობის მოწამე", რომელთაც ჰსურთ ჩაწერა სურვილისამებრ.

მეტრიკული წიგნის II ნაწილში-,,ქორწინებით შეუღლებულთათვის"-ჩაწერილია დაქორწინებულთა წოდება, სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი; მითითებულია სასიძოსა და სასძლოს მხრიდან ქორწინების თავდებთა ვინაობა; მღვდლის და მედავითნის ვინაობა. აქვე არის ქორწინების მოწმეთა ხელმოწერები ,,სურვილისამებრ".

მეტრიკული წიგნის III ნაწილში ჩაწერილია გარდაცვლილის წოდება, სახელი, მამის სახელი, გვარი, სქესი, ასაკი და გარდაცვალების მიზეზი, გარდაცვალების და დასაფლავების თარიღები.

მეტრიკული წიგნების დედანი წარედგინებოდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას, ასლი დაცული იყო ეკლესიაში.

1869 წელს იმერეთის ეპარქიას შეუერთდა აფხაზეთის ეპარქია, 1873 წელს- სამეგრელოს ეპარქია. 1886 წლამდე გაბრიელ ეპისკოპოსი მართავდა სამეგრელოს ეპარქიას, ხოლო მარტვილი დარჩა ქორეპისკოპოსის კათედრად.

ოდიშის ეპარქიის და გურიის კათედრის გაერთიანების შედეგად 1886 წელს შეიქმნა გურია-სამეგრელოს ეპარქია. საეკლესიო კათედრა მარტვილიდან გადაიტანეს ფოთში. მარტვილის ,,სობოროს", მონასტრის წინამძღვრად ითვლებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. დაიწყო ფოთის მარტვილობა და მარტვილის მონასტრობა.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებიდან ერთი-ოზურგეთში იყო, მეორე-სენაკში.

,,დეკანოზ კოსტანტინე კაჭარავას მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, 1870 წლისთვის სამეგრელოს ეპარქია დაიყო 8 ოლქად ანუ ,,საბლაღოჩინოდ". ოლქს სათავეში ედგა ,,ბლაღოჩინი", ანუ ,,მთავარუხუცესი". ისინი ეპისკოპოსებისგან გამორჩეული, საეკლესიო ხარისხში (ძირითადად დეკანოზები) მყოფი მღვდლები იყვნენ. სამეგრელოს ეპარქია იყოფოდა შემდეგ ,,საბლაღოჩინოებად", ანუ ოლქებად: სუჯუნის, საჭილაოს, ბანძის,

გორდის, სალხინოს, შხეფის, ზუბის და ჭაქვინჯის“ (იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 627).

საეკლესიო ოლქების სახელწოდება, საზღვრები და რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. 1871-1874 წლებში გამოცემულ ,,КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ“-ში წერია, რომ სალხინოს ბლაღოჩინი იყო-კუხალაშვილი, გურძემის-ხუხუნი, ალავერდის-ახვლედიანი, კიწიისა-ანჯაფარიძე. სალხინოში საეკლესიო ოლქის არსებობის შესახებ სხვა ინფორმაცია არსად იძებნება.

1875 წელს სენაკის მაზრაში არსებულა: სენაკის, რედუტ-კალეს, მარტვილის, ბანძის, უშაფათის, სუჯუნის და გორდის საბლაღოჩინოები. ზუგდიდის მაზრის ალავერდის ოლქის ბლაღოჩინი ყოფილა-ბესარიონ ხუხუნი, მოიდანახესი-სამსონ ანჯაფარიძე. ალავერდის (ალერტის) საეკლესიო ოლქი 1876 წლიდან სენაკის მაზრაში შედიოდა.

სენაკის მაზრაში 1884 წლისთვის არსებობდა 4 საბლაღოჩინო ოლქი: 1) მარტვილი-გორდის, 2) ალავერდის, 3) უშაფათის და 4) ბანძის.

,,1894 წელს ნაქალქევის ოლქის მთავარუხუცესი მღვდელი იოანე ხუხუნი თანამდებობიდან გადადგა, მის ადგილზე კონდრატე ჩაჩიბაია დაინიშნა“;

კონდრატე ჩაჩიბაია ახლადგახსნილი კიწიის ოლქის მთავარუხუცესად დაინიშნა 1914 წლის 2 სექტემბერს (იხ. ,,საპატრიარქოს უწყებანი“, 2007 წლის N29).

გრიგოლ ბერიძე წერს: განკარგულებით გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორისა 1889 წლის მაისში მე გადამიყვანეს ბლაღოჩინად ალავერტის (ალერტის) საბლაღოჩინო მაზრაში. იმ დროს აღნიშნული საბლაღოჩინო მაზრა შედგებოდა შემდეგი სოფლების ეკლესიებისგან: 1) ალავერდი, 2) ფოცხო, 3) მოხაში, 4) მეორე ფოცხო, 5) კვაუთი, 6) გურძემი, 7) მეორე გურძემი, 8) ნამიკოლაო, 9) თარგამეული, 10) თამაკონი, 11) მეორე თამაკონი, 12) კიწია, 13) მეორე კიწია, 14) დოშაკე, 15) სალხინო, 16) წაჩხურუ, 17) ეწერი, 18) ბალდა, 19) კურზუ, 20) გოდოგანი და 21) ნაფიჩხოუ (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1889 წლის N17).

დეკანოზი დიმიტრი ბერულავა წერს, რომ 1912 წელს სამეგრელოს ეკლესია-მონასტრები მოილოცა და რევიზია ჩაუტარა

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ: ,,სოფელ თაიადან მისი მეუფება გადაბრძანდა ალავერდის საბლაღოჩინო ოლქში" (იხ. ,,საპატრიარქოს უწყებანი", 2020 წლის N9).

ეპისკოპოსმა ლეონიდემ 1912 წლის 4-7 აგვისტოს რევიზია ჩაუტარა: კურზუს, ეწერის, წაჩხურუს, სალხინოს, პირველი თამაკონის, მეორე თამაკონის, ნამკოლოუს (თამაკონის), ჟინოთის, I კიწიის, II კიწიის, III კიწიის (ლედგებეს) ეკლესიებს; ჟინოთის ეკლესია შედიოდა ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქში (იხ. გაზეთი ,,შინაური საქმეები", 3 ივნისი, 1912 წელი, N21); ნაქალაქევისა და ალავერდის საბლაღოჩინო ოლქები ისე შედიან სოლივით ერთი მეორეში, ხან ერთი ეკლესია უნდა ჩხრიკო, ხან მეორე (იხ. ,,შინაური საქმეები" 1912 წლის N22).

ჟინოთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია აკურთხეს 1848 წელს. 1852 წელს ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა ბესარიონ კუხალაშვილი (იხ. ზუგდიდის მუზეუმი, დოკ. 7602). 1864 წელს ჟინოთის ეკლესიაში მღვდელი ყოფილა ბესარიონ გაგუა, ხოლო მედავითნე-დგებუაძე (იხ. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1718). მოგვიანებით ჟინოთის წმიდა გიორგის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა ზოსიმე გაგუა (საქმე 1724).

ჟინოთის ეკლესიის შესახებ პაატა ცხადაია წერს: ,,ოხვამეკარი//ოხვამე-//ნაოხვამუ-ბორცვი ნაეკლესიართან და სასაფლაოთი ტეხურის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესიაში ესვენა მანცხვარხატი. წყლის პირას, მაღალი კლდის თავზე მდგარა ხის ეკლესია, სადაც სალოცავად მოდიოდნენ ბეჭვაიები, მარკოზიები, დგებიები (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 495).

დავით ჭითანავას განმარტებით: ოციმეს, დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრთან ახლოს ადრე მდგარა ხის ეკლესია. დღეს იქ შენდება (აშენდა), წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (იხ. ჭითანავა, დას. ნაშრ. გვ. 360).

ანზორ სიჭინავას შედგენილ ბეჭვაიების გვარის ხელნაწერ ისტორიაში წერია:

1881 წლის 28 ოქტომბერს საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორას წერილობით მიმართა სენაკის მაზრის ს. ჟინოთაში მცხოვრებმა თავადმა ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძემ.

ის აღნიშნავდა, რომ მაისში გარდაიცვალა ჟინოთის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ გაგუა და აქაურმა ბლაღოჩინმა მღვდელმა ხუხუნმა ამ ეკლესიის სამრევლო გაუნაწილა მღვდლებს თოდუას, ადამიას, ჯანაშიას და ჩიქვანაიას. მრევლმა ეს დროებით ღონისძიებად ჩათვალა და არ გაუპროტესტებია. რამდენიმე თვის განმავლობაში ჟინოთის ეკლესიაში დამოუკიდებელი შტატი არ აღდგა და მღვდელი არ დაინიშნა, რაც ხელს უშლის ამ ეკლესიის მრევლს რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. მიზეზად სახელდებოდა ჟინოთის ეკლესიის მრევლის მცირერიცხოვნება, რაც სიმართლე არ არის.

ჟინოთაში დამოუკიდებელი შტატის ეკლესიის არსებობის დასასაბუთებლად განმცხადებელმს სინოდის კანტორას რამდენიმე არგუმენტი მოუყვანა:

1) ჟინოთის ეკლესია, რომელიც ააშენეს ევგენი დგებუაძის მამამ და სხვა ჟინოთელებმა, ადრე შედიოდა თამაკონის ეკლესიის სამრევლოში, რომელსაც ჟინოთიდან ყოფდა მდინარე ტეხურა და მიუდგომელი, ძნელად გასავლელი ადგილები, რის გამოც ჟინოთელები სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების შესრულებაში იზღუდებოდნენ. ჟინოთის ეკლესია აკურთხეს 1848 წელს.

სამეგრელოში ეკლესიების შტატის დამდგენმა კომისიამ 1859-1860 წლებში, იმის გამო, რომ ჟინოთა მახლობელი ეკლესიებისგან დაშორებული იყო რამდენიმე ვერსით, მისასვლელ გზებზე დაბრკოლებებს ქმნიდა მდინარე ტეხურა და ციცაბო ხევები, ჟინოთის ეკლესია დატოვა შტატის ეკლესიად. მას სამრევლო კომლების რაოდენობა 45-დან 96-მდე გაუზარდეს თამაკონის ორი ეკლესიისა და ნამიკოლაოს ერთი ეკლესიის მრევლის ხარჯზე: ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა მმართველომა სინოდმა.

2) ჟინოთის ეკლესიის შტატი მღვდელ ბესარიონ გაგუას დროს, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის სამართლიანი მხარდაჭერით შენარჩუნდა.

3) ჟინოთის ეკლესიის მრევლი მცირერიცხოვნად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან შტატის კომისიის საქმიანობის დროს აქ შედიოდა 95 კომლი, რომელსაც შემდგომ დაემატა ჩამოსახლებული 10

კომლი, რაც სრულიად საკმარისია ცალკე შტატის ეკლესიის არსებობისთვის. ამ დროს ბევრგან შტატის ეკლესიებს ყავთ 60 კომლადე სამრევლოები.

მღვდელი გაგუას გარდაცვალების შემდეგ ჟინოთის ეკლესიის შტატის მდგომარეობა არ უნდა შეცვლილიყო, რადგან ეკლესია მღვდელისთვის კი არ არსებობს, არამედ -პირიქით: მღვდელი ეკლესიისთვის, ორივე კი ხალხისთვის.

ევგენი დგებუაძე, როგორც მამამისის შრომით, მცდელობით და შეწირულობით აგებული ჟინოთის ეკლესიის მრევლი, ითხოვს აქ ცალკე მღვდლის დანიშვნას, რითაც მრევლს მიეცემა საშუალება დაიკმაყოფილოს სარწმუნოებრივი მოთხოვნილებები, ის განცხადებას ურთავს ჟინოთის ეკლესიის მრევლის კომლობრივ სიას, რომელშიც ჩაწერილნი არიან: 15 კომლი დგებუაძე, 4 კომლი მარკოზია, 11 კომლი კოკაია, 4 კომლი ერქვანია, 9 კომლი გოროზია, 5 კომლი სხულუხია, 5 კომლი თოდუა, 27 კომლი ჯანაშია, 2 კომლი ჯანჯღავა, 2 კომლი ფოცხორაია, 1 კომლი ხოხობაია, 1 კომლი ბასილაია, 1 კომლი მითაგვარია, 1 კომლი კორთხონჯია, 16 კომლი ბეჭვაია, 1 კომლი წოწორია.

1882 წლის 4 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ამ საკითხზე მიმართა საქართვლო- იმერეთის სინოდის კანტორას. ის აღნიშნავდა, რომ ჟინოთის ეკლესიაში, შტატი გაუქმებული არაა. აქ მღვდლის დანიშვნა ვერ მოხერხდა მრევლის მცირერიცხოვნების გამო, რადგან სხვა ადგილიდან გადმოყვანილი მღვდელი თავს ვერ შეინახავდა. ამიტომ სასურველია, მღვდლად აქ მცხოვრების დანიშვნა, რომელიც მრევლს მძიმე ტვირთად არ დააწვება. მღვდლის გამოცდის ჩასაბარებად ემზადება გარდაცვლილი მღვდლის შვილი, ჟინოთაში მცხოვრები, აქაური ეკლესიის მედავითნე გაგუა, რომელიც გამოცდის ჩაბარების შემდეგ დაინიშნება მღვდლად ჟინოთის ეკლესიაში.

1882 წლის 19 სექტემბერს სინოდის კანტორამ ე. დგებუაძის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა და ჟინოთის ეკლესია მიაწერა ეწერის მთავარანგელოზის ეკლესიას.

საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული მეტრიკული წიგნებიდან ირკვევა, რომ ჟინოთის ეკლესიას კურთხევიდან-დანგრევამდე დამოუკიდებლობა არასდროს დაუკარ-

გავს: 1882 წელს შედგენილი მეტრიკული წიგნები ინახება 1881 წელს შედგენილ მეტრიკულ წიგნებთან ერთად. I ნაწილი ცარიელია, II ნაწილში აღნიშნულია, რომ ამ წელს ჟინოთის ეკლესიაში მღვდელმა ხუხუნმა ჯვარი დასწერა გლეხ ხოხობაიას, III ნაწილში აღნიშნულია, რომ ჭვალისგან გარდაიცვალა თავადი ევგენი დგებუაძე. აღსარება ჩააბარა მღვდელ იოანე ხუხუნს. დასაფლავებულია ჟინოთას სასაფლაოზე.

1883 წელს ჟინოთას ეკლესიაში მონათლეს 8 ახალშობილი, ჯვარი დასწერეს 2 წყვილს. მეტრიკულ წიგნში დაფიქსირდა 5 გარდაცვლილის ვინაობა.

,,ს. ჟინოთის ეკლესია (ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქისა) ხისაა, იგი დაბალი და უხერხულია. მრევლს, როგორც ადგილობრივმა ბლაღოჩინმა გადმოგვცა, უკვე განაჩენი შეუდგენია, რომ ეკლესია შეაკეთონ და, რაც კი რამ აკლია ყველაფერი მოიპოვონ. ხსენებულ ეკლესიას ზედმიწერილი საჯვარეცა აქვს. საჯვარეს 135 კომლი ახლავს და საკუთარი შტატის დაარსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს“ (იხ. გაზეთი ,,შინაური საქმეები“, 3 ივნისი 1912 წელი, N21).

ლექვარცხეს უბანში (ჟინოთა), მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს, იდგა წმ. გიორგის თეთროსანის სახელობის ხის ეკლესია. ზოგიერთი გადმოცემით, ის იყო მაცხოვრის სახელობის. მღვდელი აქ ყოფილა კოსტა ქვარცხავა (იხ. ჭითანავა, დას. ნაშრ. გვ. 330).

ქვარცხავების უბანი მდებარეობს სოფელ პატარა ჟინოთაში, მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე 1922 წელს იდგა ჟინოთის სამების სახელობის ზედმიწერილი ეკლესია (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, სენაკის მაზრის ეკლესიებში დაცული ნივთების აღწერილობები, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 54).

ჟინოთის წმ. სამების ეკლესია იყო მიწერილი I თამაკონის მაცხოვრის სახელობის ეკლესიისადმი (იხ. ანზორ სიჭინავა, ,,დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია“, 2020 წ., გვ. 75).

,,პატარა თამაკონში, ჟინაანთკარად წოდებულ უბანში, მაღალ ბორცვზე, იქ სადაც ძველად უცხოვრია ჯღანჯღავების და ჯამბუ-

რიების გვარებს (სოფელი დღეს დაცლილია) დგას მაცხოვრის სახელობის ახლადაღდგენილი ეკლესია. აქ მღვდელი ყოფილა კოსტა ჯღანჯღავა (იხ. ჭითანავა, იქვე. გვ. 327).

ეკლესია 1992 წელს აღწერა არქიტექტორმა ლ. გიორგაძემ. ის მდებარეობს თამაკონის ციხიდან 60 მეტრში. თამაკონის ციხის შიგნით იყო თავად დგებუაძის კარის ეკლესია.

სოფელ ლედგებიეში, სოფლის სასაფლაოსთან ყოფილა წმიდა გიორგის ქვის ეკლესია. მღვდელი ყოფილა სამსონ ხუხუა. მიმდინარეობს ტაძრის აღდგენა.

,,მესამე კიწიის (ლედგებეს) ეკლესია ამ წელიწადნახევრის წინ დაწვა კიწიაშივე მცხოვრებელმა ერთმა გაურწმუნოებელმა გლეხმა. ხალხი მაშინვე გაიყო დასებად. მრევლის სულ მცირედი ნაწილი თხოულობდა ეკლესიის აშენებას ისევლე იქ, სადაც ძველი ეკლესია იდგა, დიდმა უმრავლესობამ კი სულ ახალი ალაგი აირჩია. ეპისკოპოსმა დაამტკიცა უმრავლესობის დადგენილება“ (იხ. ,,შინაური საქმეები“, 2012 წ. N21).

1873 წლის აღწერით, ნამიკოლაუში ხის ორი ეკლესია ყოფილა. ნამიკოლაუს მაცხოვრის ეკლესია თამაკონის თემის ტერიტორიაზეა; აშენებულია XVII-XVIII საუკუნეებში. მღვდლები ყოფილან -ბასილ და სოლომონ ჯანაშიები.

,,ს. თამაკონში 1844 წელს ავაშენეთ ეკლესია, რომელიც 1865 წელს გასკდა. შენობა მთლად დაინგრა 1883 წელს“. დანგრეული ეკლესიის ნაცვლად აუშენებიათ ხის ეკლესია. ეკლესიისთვის ასაშენებელი ადგილი შეუწირავს თავად გიორგი მანუჩარის ძე დგებუაძეს (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1887 წლის N18). მანუჩარ დგებუაძე ცხოვრობდა სოფელ ნამიკოლაოში.

1921 წლის 15 აპრილს გამოიცა დეკრეტი: სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისგან-სკოლის გამოყოფის შესახებ. ამავე წლის ივლისში ეკლესიას აეკრძალა დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების საბუთების გაცემა.

მეორე ნამიკოლაუს სასაფლაოსთან, XIX საუკუნეში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია მდგარა. აქ პირველი მღვდელი ყოფილა იოანე გაგუა. ახლა იქვე ახლოს აშენებულია ახალი ეკლესია, რომელიც აკურთხეს 2014 წლის ზაფხულში.

ეკლესიის ასაშენებელი ფინანსები და სამშენებლო მასალა მოიძია თამაზ ჯანაშიამ. ტაძრის ასაშენებელი თანხის ნაწილი (5 ათასი ლარი) პრეზიდენტის ფონდმა გაიღო.

მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ნამიკოლაოში, ჯანაშიების, ფაცაციების, ბეჭვაიების, ჯანჯღავების, ერქვანიების ოდაბადეში, 2000 წელს, ხის ეკლესია ააშენეს ძმებმა ალიოშა და ამირან ჯანაშიებმა; ქვის შესანიშნავი ეკლესია ააშენა ირაკლი დანელიამ.

,,ნაფოსტარის ივერიის ღვთისმშობლის სახელზე და მამაჩემის სულის მოსახსენებლად კოხტა ეკლესიის აშენებას შევუდექი. მშენებლობას მოსკოვიდან ვხელმძღვანელობდი, ადგილზე მრავალი ერთგული თანამოაზრე უანგაროდ შრომობდა და აშენებდა ღვთის საყდარს, მსურს განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა მამა სერაფიმეს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მის აგებაში. ეკლესია 2002 წელს გავხსენით (იხ. ნ. ჯანაშია, ,,გზა ტაძრამდე", თბ. 2014 წ. გვ. 107).

2011 წლის 20 მაისს დიდი ჭყონის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ახლად აშენებული ეკლესია მოინახულა და პარაკლისი გადაიხადა ილია მეორემ. 22 მაისს შედგა ტაძრის კურთხევა.

დიდი ჭყონის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია ნაული ჯანაშიას თაოსნობით და ფინანსებით იქნა აშენებული. ტაძრის პროექტი შეადგინა ხუროთმოძღვარმა რეზო ჯანაშიამ. ,,გოგი გულორდავამ ჩვენი ტაძრის სამრეკლო ააგო. 20-მდე სხვადასხვა სპეციალისტი მუნიციპალიტეტის სამშენებლო ორგანიზაციებიდან და სოფლებიდან დადიოდნენ და მუშაობდნენ.

ქალბატონი ნონა ხარებავა წარმატებული მეწარმეა და თვლის, რომ მისი წარმატება ქალისთვის რთულ და პრობლემებით სავსე სფეროში მამაზეციერის წყალობაა. მან ტაძრის ორივე შესასვლელი კარი ძვირფასი ჯიშის ხის მასალისგან დაამზადებინა.

როლანდ კემულარია მშენებლობას სამშენებლო მასალით შეეწია. აკაკი თოდუამ კი ხის მასალა და შვილის სახელზე წმინდა ნიკოლოზის ხატი უძღვნა.

ტაძრის მშენებლობას ასევე უანგაროდ შეეწიენ: ემზარ გულორდავა (ივერიის ღვთისმშობლის და ანდრია პირველწოდებუ-

ლის ხატებით); გოდერძი ჩარქსელიანი (2500 ბლოკი, 3000 გრძ. მ. არმატურით); უჩა ჯანაშია (განათების გაყვანილობით); მურთაზ და გოჩა ერქვანიები (ტაძრის გუმბათის ჯვარი); კარლო ბეჭვაია (ინერტული სამშენებლო მასალა); გოდერძი გულორდავა, გიზო კორთხონჯია (სამშენებლო მასალებით და საგნებით); დავით ბუაძე, რომელიც პირველად იყო დიდი ჭყონში; მან ნახა გადაუხურავი ტაძარი და იტალიურ კრამიტი შეუძინა“ (იხ. ნ. ჯანაშია, ,,გზა ტაძრამდე“, გვ. 143-144).

დიდი ჭყონის ,,მამული“-ს წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია გივი ქუთელიას თაოსნობით და ფინანსებით იქნა აშენებული. ფინანსურად, სამშენებლო მასალით, ეკლესიას შეეწიენ: თემურ დიხამინჯია, გოგი გულორდავა, გენადი ჯანჯღავა. ხატები შესწირა დათო პირტახიამ. სოფლის ახალგაზრდობა უანგაროდ შრომობდა და აშენებდა ღვთის ტაძარს.

დოშაყეს ეკლესიის მშენებლობის პროცესს ხელმძღვანელობდა და აფინანსებდა ინეზა ჟვანია, რომელიც აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლამდე ცხოვრობდა და ბუღალტრად მუშაობდა მეურნეობაში. ამ ეკლესიის მშენებლობისთვის თანხები სხვებთან ერთად გაიღეს ჭყონელებმა: კარლო ბეჭვაიამ, ელდარ თოდუამ...

ჟინოთას სასაფლაოზე 1848 წელს აშენებული ეკლესია ბოლშევიკებმა დაანგრიეს. 2017 წელს აქ ახალი ეკლესია ააშენა ვალერი ცაავამ.

სოფლები და ტოპონიმები

სოფლის სახელწოდება ,,ოჩე“-უხმოსავლიანს ნიშნავს. სხვა განმარტებით -საბატონო ყანას.

სოფელი არაა დაფიქსირებული ჯვარის მაზრაში. 1873 წლის აღწერის თანახმად სოფელში ცხოვრობდა 61 დროებითვალდებული გლეხის ოჯახი. მიწებს ფლობდა 6 თავად-აზნაური, მათ შორის ეკატერინე დედოფალი.

1886 წელს სენაკის მაზრის, მარტვილის საპოლიციო უბნის, სალხინოს საზოგადოებაში შემავალ 12 სოფელს შორის დასახელეულია ოჩეც (90 კომლი, 495 სული).

1915 წელს სოფელში ცხოვრობდა 749 სული (იხ. ,,კავკასიის კალენდარის“ 1916 წლის გამოცემა).

დიდი ჭყონის თემის დაარსების დღიდან სოფელი ოჩე მისი შემადგენელი ნაწილია. 1923 წელს ცხოვრობდა-740 სული. 1926 წელს-830.

სოფელი ორად გაყვეს 1935 წელს. 1949 წელს გამოყოფილ ნაწილს ეწოდა-პატარა ოჩე.

1939 წელს სოფელში ცხოვრობდა-355 სული, 1970 წელს 110 კომლი, 420 სული, 1979 წელს-445 სული, 1989 წელს-467 სული.

სოფელ ოჩეში 2002 წელს ცხოვრობდა-418 სული. 2014 წელს-283 სული.

1996 წელს სოფელში ცხოვრობდა 19 გვარი, კომლთა და სულთა მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა: გაგუა, თორდინავა, ნაჭყებია.

ისტორიკოს ლია გულორდავას განმარტებით-ოჩეს ტერიტორიაზე ხარობდა და ხარობს თეთრი ჯიშის ყურძენი ცოლიკაური, რომელსაც მეგრულად ჰქვია ,,ჩე“ (თეთრი)-ამიტომაც ამ ადგილს მოსახლეობამ შეარქვა ოჩე;

აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად ცხოვრობენ ნანავები და გაგუები, არსებობს უბნები-ლენანე, ლეგაგუე. სოფლის სასაფლაოზე (ტალერის თემი), 1841 წელს აშენდა ეკლესია.

,,ნამიკოლაო“- სახელწოდების შესახებ არის მრავალი გადმოცემა, რომლებიც მიუთითებენ, რომ უძველესი დროიდან აქ კერამიკულ წარმოებას მისდევდნენ, ამზადებდნენ კოლოს, პატარა სურებს, რომელსაც დიდი მოწონება ქონია ყველგან. აქ ზღვისპირეთიდანაც კი მოდიოდნენ ამ კოლოს წასაღებად.

ივანე ჯავახიშვილი წერს: ,,გურიასა და სამეგრელოში ჭურქვევრებს ადგილობრივ აკეთებდნენ. გურიაში ამ ხელობას ს. აკეთი და აცანა მისდევდა. სამეგრელოში კი ძველი სენაკი, მუხური, ჯვარი, ფახულანი, ჭალე, ჭკადუაში, კორცხელი და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო განთქმული ნამკოლი იყო“ (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 40).

,,სამეგრელოში ცნობილია სოფელი ნამკოლუ, სადაც კეთდება კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი. ამ სოფელში თიხის ჭურჭლის გაკეთებას დაახლოებით 200-მდე კომლი მისდევს და ხელოსნო-

ბა ოჯახში მემკვიდრეობით გადადის“ (იხ. ს მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 216).

,,კოლოს და საერთოდ ქოთნის პირველი ოსტატები ამ მხარეში ნიკოიავები-ნიკოიას გვარის ხალხი ყოფილა, ამიტომ ამ სოფელს ნაკოიო შეერქვაო“-ივანე ახალაიას ნაამბობი. ,,კოიოებს-პატარა დოქებს ამზადებდნენ აქ და ამიტომ ნაკიო ადგილი დაერქვაო“-ბიკი ნადარაიას გადმოცემა (იხ. გ. ელიავა, ,,აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“, თბ. 1977, გვ. 136).

,,ნამიკოლავოს ტერიტორია ეკუთვნოდა დადიანს. მისი მოურავი ყოფილა გურიიდან ჩამოსული ხურჩე ნიკოლავა. ამიტომ დარქმევია“. ,,საერთოდ გურიის ჯარი დახმარებია სამეგრელოს. იმის შემდეგ სამი ძმა ნიკოლავა აქ დარჩენილა, ერთმანეთისგან მოშორებით დასახლებულან...ერთი, სახელად ხურჩე დადიანის მოურავიც ყოფილა...მათგან აქ არავინ დარჩა“... ,,ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ტოპონიმისთვის ამოსავალია გვარი ნიკოლავა“ (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57 და 36).

გ. გრიგოლიას აზრით: კოლო ნიშნავს მწარეს, ნამიკოლაოში იდგა ბალმწარა და სახელიც აქედან მომდინარეობს.

ი. კეკელიას მოსაზრებით: ნამიკოლაო ის ადგილია, სადაც კალიები ბინადრობდნენ (ი. კეკელია, 2010-1, გვ. 83-84).

ნამიკოლაოში დავიბადე და გავიზარდე. ივანე ახალაია იყო ჩემი დიდი ბაბუა. ნეოლითის ხანაში არც ნიკოიას გვარი არსებობდა და არც ახალაიასი. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს ,,კოლოს“-გან.

სოფელში ამზადებდნენ: ქვევრებს, ჭის გვიმებს, დოქებს, ქოთნებს, კოკას. სოფ. ნამიკოლუ მეზობელ რაიონებსაც აწვდიდა ნაწარმს და ის მთელ მხარეში იყო განთქმული მეთუნეობით, რაც მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე იყო დამყარებული.

კერამიკული ნაწარმი აქედან გაჰქონდათ სენაკის, ლეძაძამეს, ბანძის, ნაოღალევის, აბაშის ბაზრობებზე.

ბაზრობა კვირაში ერთხელ იმართებოდა, სალხინოში, ბანძაში, სენაკსა და აბაშაში- კვირაობით, ლეძაძამეში-ოთხშაბათობით, ნაოღალევში-პარასკეობით.

,,მთხრობელი ა. წულაია გვიამბობდა, რომ კერამიკული ნაწარმი მათ ცაგერშიც უზიდიათ ცხენებით, ხოლო ჩარდახებიანი

ურმებით ხოფამდეც უვლიათ“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები I ტ, თბ. 2022, გვ. 564); დღემდე ცოცხლობს ხალხში ნათქვამი: ,,აბა ულა ხოფაშა თურქიშ მახორობაშა“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 891).

სოფელი ნამკოლუ 1841-57 წლებში შედიოდა ჯვარის მაზრაში, 1870 წლიდან- თამაკონის საზოგადოებაში, 1921 წლიდან- საბჭოში.

1873 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა-149 დროებით ვალდებული გლეხის ოჯახი. სოფელში მამულებს ფლობდნენ-სამეგრელოს მთავარი ნიკოლოზი, თავადები გიორგი, ნიკო, ანტონი, ონისიმე, გრიგოლ, ირაკლი, დარია, ნატალია, რევაზი, ყარამანი, ალექსი, ზურაბი, მაია, ევგენი, იულონ, სოლომონ დგებუაძეები.

ასევე მამულებს ფლობდნენ-ფაღავები, ჩიქოვანები, აზნაური გაბუნია. მიწის მფლობელ თავად-აზნაურთა რაოდენობა ამ სოფელში შეადგენდა-39-ს.

კავკასიის კალენდრის 1885 წლის გამოცემის მიხედვით სოფელში იყო 2 ეკლესია, ცხოვრობდა-1431 სული, 1894 წელს-1553 სული.

1886 წელს, სენაკის მაზრის, მარტვილის საპოლიციო უბნის, თამაკონის საზოგადოების, სოფელ ნამიკოლაოში ცხოვროდა 272 კომლი, 1553 სული.

ნამიკოლაოში სკოლა 1894 წელს გაიხსნა. მეორე ნამიკოლავოს სკოლა 1919 წელს გაიხსნა.

დღევანდელ მარტვილის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებს შორის, ნამიკოლაო ყველაზე მჭიდროდ დასახლებული იყო. 1915 წელს სოფელში ცხოვრობდა 3300 სული (იხ. კავკასიის კალენდრის 1916 წლის გამოცემა).

1921 წელს ნამიკოლავოს გამოეყო სოფელ ლედგებეს ნაწილი. 1923 წელს ცხოვრობდა-2148 სული, შედიოდა თამაკონის თემში.

1926 წელს სოფელი ორად გაყვეს, თამაკონის თემის სოფელ ნამიკოლავოში ცხოვრობდა-1477 სული. დიდი ჭყონის თემის სოფელ ნამიკოლავოში ცხოვრობდა-597 სული.

1939 წელს დიდი ჭყონის თემის ნამიკოლავოში ცხოვრობდა-948 სული, 1949 წლიდან სოფელს ნამიკოლავო მეორე ჰქვია.

ნამიკოლავო მეორეში 1970 წელს ცხოვრობდა 315 კომლი, 1151 სული. 1979 წელს ცხოვრობდა-1167 სული, 1989 წელს-1069 სული, 2002 წელს-1072 სული, 2014 წელს-727.

სოციალურ ქსელში განთავსებული, ჩემთვის უცნობი ავტორის მტკიცებით-ნამიკოლაოში ცხოვრობდნენ რუსი აზნაურები, რომლებთანაც არის დაკავშირებული ჯანაშიების გვარის ისტორია: როცა გლეხები შეშას ჭრიდნენ, მათთან მივიდნენ რუსები და უთხრეს-ჯა ნაშ;

თავდაპირველად ნამიკოლაოში აშენებულ იქნა წაბლის ხის ეკლესია, რომელსაც გააჩნდა სამრეკლო, სადაც ჩამოკიდებული იყო სამი სახის ზარი. ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა წირვა-ლოცვა. წელიწადში ერთხელ ხდებოდა რეკას ღელეში ჯვრის ამოღება, რომელიც დიდ ინტერეს იწვევდა მოსახლეობაში;

ეკლესიის გაუქმების შემდეგ მისთვის მოუგლეჯიათ ჯვარი, გაუტაცნიათ ხატები და ცეცხლში დაუწვავთ, ჩამოუგლეჯიათ კარები...

1996 წელს ნამიკოლაო მეორეში ცხოვრობდა 38 გვარი. მათგან მრავალრიცხოვანია: ჯანაშია, კოკაია, ახალაია, კორთხონჯია, ბერიშვილი, ერქვანია, ჯანჯღავა, ჯამბურია.

,,ლედგებე"- დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასეთი დასახელების სოფელი არ არსებობდა 1921 წლამდე. სოფლის ერთი ნაწილი შედიოდა -ნამიკოლაოს, მეორე ნაწილი- კიწიის, მესამე ნაწილი-ჟინოთას შემადგენლობაში. ლედგებეს უბანი მდებარეობდა ჩხოუშიასა და ფაქვაშიას შუა.

კიწია მესამეს 1921 წელს უწოდეს ლედგებიე, შედიოდა კიწიის სასოფლო საბჭოში. 1923 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა -742 სული.

1926 წლისთვის გაერთიანდა ზემო და ქვემო ლედგე (ნამიკოლაოს და ჟინოთას ნაწილი). სოფელი ამ დროიდან შედის დიდ ჭყონის საბჭოს შემადგენლობაში. სოფელში ამ წელს ცხოვრობდა 863 სული.

სოფელში 1939 წელს ცხოვრობდა- 965 სული. 1970 წელს 264 კომლი, 1064 სული. 1979 წელს-965 სული, 1989 წელს-1104 სული, 2002 წელს-1058 სული, 2014 წელს-697.

ისტორიკოს სოსო გოროზიას განმარტებით-მოსახლეობა ამ სოფელში ახალ მოსულია, ნადარაიები, რომლებიც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სოფელში, ჩამოსულები არიან დობერადან;

დობერა მდებარეობს ლედგებეს ჩრდილოეთით და დღეს იქ მოსახლეობა არ არის. ძირითადად გამოიყენება საძოვრებად და სახნავ-სათესად;

ლედგებეში ასევე ცხოვრობენ ოკუჯავები, რომლებიც ადრე თამაკონის თემის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სადაც ჰქონდათ მე-17 საუკუნეში მაცხოვრის ეკლესია. აქვთ დღესასწაული ოკუჯავობა, რომელიც ემთხვევა ამაღლების დღესასწაულს;

სოფელში მე-20 საუკუნის დასაწყისში იქნა აგებული ეკლესია, დაანგრიეს 20-იან წლეში; პირველი სკოლა ლედგებეში 1896 წელს აშენდა, დაარსებიდან დღემდე შვიდჯერ შეიცვალა ადგილი;

ბოლო თავადი რომელიც სოფლიდან წავიდა იყო-ივლიანე დგებუაძე, რომელსაც ჰქონდა ბრწყინვალედ მოვლილი ეზო და ბაღი, სადაც სხვადასხვა ჯიშის ხეები იყო.

სოფლის სკოლის, კოლმეურნეობის ისტორია, მისი გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფია-ცალკე კვლევის საგანია.

,,ნაფოსტარი"- ოდესღაც სოფელი წარმოადგენდა, სავაჭრო და კავშირგაბმულობის ცენტრს ჩვენს მხარეში.

1921 წლამდე სოფელში ფუნქციონირებდა კერძო დუქნები და პურის საცხობები.

ძველად, მეფის დროს მდინარე ტეხურის პირი კოკაიაშ კარადკოკაიას კარად იწოდებოდა. კოკაია ძლიერი ვაჟკაცი და საქმიანი ყოფილა, მას ჰქონია სავაჭრო სახლი და დუქნები. აქ გადიოდა გზა ჩრდილოეთის მხარისკენ. ,,ამ ცენტრში" ფოსტაც იყო, ამიტომ მას ნაფოსტარსაც ეძახიან. (გ. ელიავა, აბაშის და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 132). აქ დიდ ვაჭარ კოკაიას ჰქონია ფართლეულისა და საწვრილმანოს დუქნები. (იხ. ელიავა, გვ. 136).

აქვე ყოფილა ,,ჯვეში შარა" (ძველი გზა). ,,აქ მდინარეზე ვაზის ტოტებისგან შეკრული ბონდის ხიდი იყო გადებული, აქვე იყო შამშე ჯორდანიას აფთიაქი, საფოსტო დილიჟანსის მოსასვენი ადგილი. (იხ. ელიავა, გვ. 134).

,,კურტანიშ ხინჯი"-ერქვა ხიდს ტეხურაზე ნაფოშტართან. აქ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში გაიდო საურმე ხიდი, რომელზეც

გადიოდა ზუგდიდი-თბილისის სამხედრო გზა (იგივე შქა სამარ-გალოშ შარა)“ , (იხ. პ. ცხადაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 287).

ევგენი ივანეს ძე გოროზიას ნაამბობიდან ვიცი:

სოფელში სამრეწველო საქონელს ჰყიდდა ებრაელი რომენა ჯორჯიაშვილი, პურს აცხობდნენ-ნესტორ კოკაია, ლიონა კოკაია, ანტონ ქვარცხავა, გუჯა კოკაია, მაქსიმე კოკაია.

სოფელში კომუნისტების დრო ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

სოფლის გაზიფიცირება ვერ მოხერხდა, რადგან დასახლების სტატუსი არ გააჩნია. ნაფოსტარის მოსახლეობის დაინტერესების შემთხვევაში, ჩემი დაინტერესებაც გაიზრდება ამ საკითხით.

,,მამული“- მეურნეობის და კოლმეურნეობის, მამულის და დიდი ჭყონის გაყოფის გარეშე შეუძლებელია, ვინმემ-სადმე, მოახერხოს დიდი ჭყონის თემის მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

სამი თემის-დიდი ჭყონის, კიწიის და კურზუს საზღვართან 1929 წელს შეიქმნა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

იგი რაიონული ცენტრიდან 22 კილომეტრითაა დაშორებული, ტერიტორია უდრიდა 1233,44 ჰექტარს. სამი მხრიდან გარს არტყია მთები, რომლებიც მას ქარის ზეგავლენისგან იცავს. უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 406 მეტრს აღწევს.

1935 წელს გამოეყო დიდი ჭყონს საბჭოს სოფლები-ტალერი, ეწერი, ოჩე, 1937 წელს კიწიას საბჭოს გამოეყო სოფლები-დოშაყე და კიწია პირველი. კომუნისტებმა არ გამოუცვალეს სახელი მეურნეობას, არ მიანიჭეს დასახლების სტატუსი, არ მოახდინეს სოფლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფება და მივიღეთ, დიდი ჭყონის თემის შუაში გაკვეხებული- ტალერის თემი.

საქართველოში 1004 ადმინისტრაციული ერთეულია, მათ შორის დიდი ჭყონი ერთადერთია რომელსაც საზღვარი არა აქვს.

ცეცხლზე ნავთს ასხამს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიღებული აქტები.

საქ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 11 აპრილის N 47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს 237 საარჩევნო ოლქის საზღვრები:

N 185 დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქი-

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და სოფლსაბჭოები დოშაყის, ტალერის, კურზუს, სალხინოს და გაჭედილის.

N 186 თამაკონის ოლქი-

სოფლსაბჭოები თამაკონის, გურძემის, კიწიის და ჭყონის და ლეძაძამის ცხაკაიას რაიონიდან.

1939 წლის აღწერის მონაცემებით, დიდი ჭყონის თემში არსებობდა სოფელი- დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ცხოვრობდა-1438 სული. იმ დროს გეგეჭკორის რაიონში არ არსებობდა სოფლები-ლეჟვანიე, ლექობალე, პატარა ოჩე.

1949 წლის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით-ლეჟვანიე, ლექობალე შედის დოშაყეს თემში, პატარა ოჩე-ტალერის.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შემავალი სოფლებია-დოშაყე, ლეჟვანიე, ლექობალე, ტალერი, ეწერი, პატარა ოჩე, ნობულევი.

დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლებია-დიდი ჭყონი, ჟინოთა, ოჩე, ნამიკოლვო მეორე.

საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით:

მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა -დოშაყეს სასოფლო საბჭოს სოფელი, პირველი კიწია.

სოფელი მეურნეობა -კომუნისტების დროს წარმოადგენდა ტალერის და დოშაყის საბჭოების ცენტრს. პოსტკომუნისტურ ეპოქაში ამ სოფლის ამბულატორია, სკოლა, ბაღი ადგილობრივებთან ერთად ემსახურება დოშაყეს თემის მოსახლეობასაც.

დასახლების სტატუსის არქონა, ქმნის უამრავ გაუგებრობებს, გართულებებს, მიზეზია უამრავი უსამართლობის.

უაზრობაა ვამტკიცოთ მეურნეობა (მამული)-სოფელ დიდი ჭყონის შემადგენელი ნაწილია. ამ უაზრობისგან განკურნების გარეშე დიდი ჭყონი ყოველთვის იქნება მთელს საქართველოში ყველაზე უპატრონო თემი.

სოფელს ადგილობრივები უწოდებენ მამულს, სკოლის მასწავლებლის, ეკა გულორდავას განმარტებით-მამული ძველ დროში ეზო-კარს ერქვა;

სოფელში მაცხოვრებელ ჟიული თოდუას განმარტებით-მათი წინაპრები მამულში მიდიოდნენ სამუშაოდ.

1970 წელს ცხოვრობდა 177 კომლი, 1077 სული. 2002 წელს 753 სული.

,,ჟინოთა პატარა“- მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე.

1923 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა-311 სული. 1926 წელს-293 სული, შედიოდა სალხინოს საბჭოში.

1939, თუ 1949 წლიდან, სოფლის სახელწოდებაა-პატარა ჟინოთა.

სალხინოს თემის სოფელ პატარა ჟინოთაში 2002 წელს ცხოვრობდა-400 სული, 2014 წელს-249.

,,ნობულევი“-1964-65 წლებში შემოდიოდა დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში. დაბადების მოწმობებში, ამ წლებში დაბადებულებს უწერიათ-დაიბადნენ სოფელ დიდი ჭყონში.

1921-35 წლებში შედიოდა სალხინოს სასოფლო საბჭოში. 1923 წელს სოფელში ცხოვრობდა-201 სული. 1926 წელს-212 სული.

1873 წელს შედიოდა სალხინოს საზოგადოებაში, სოფელში ცხოვრობდა 13 დროებით ვალდებული გლეხი. მიწებს ფლობდა -9 თავადი და აზნაური. (იხ. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწერი ერთი, საქმე 813).

სოფელი არ ფიქსირდება ჯვარის მაზრის შემადგენლობაში. 1915 წელს ცხოვრობდა-631 სული. მეტი ინფორმაცია იხილეთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაში ტ. 7, გვ. 456.

სოფელში 1939 წელს ცხოვრობდა-231 სული, 1979 წელს-513 სული, 1989 წელს-230 სული, 2002 წელს ცხოვრობდა-148 სული, 2014 წელს-121 სული.

,,ტალერი“- ,,ოდესღაც აქ უცხოელ ვაჭრებს ქონიათ სავაჭრო სახლები, სახერხი ქარხანები, სალაროები და საწყობები, სალხინოს საზოგადოების ცენტრიც ეს ყოფილა დიდი ხნის წინათ, შემდეგ დავით დადიანს ცენტრი სალხინოში გადაუტანია“... ,,ამ ადგილას ქონიათ თავიანთი ძირითადი ბანაკი უცხოელ ვაჭრებს: ბერძნებს, თათრებს, რომლებიც ქვიბიასა და ტეხურის ხეობის მთების კალთებზე ამზადებდნენ კაკლის, ბზის, ურთხმელის მორებს და გზავნიდნენ საზღვარგარეთ გასაყიდად. მთებში მათ მო-

წყობილი ქონდათ სახერხი ქარხნები. აქ კი, ამ ადგილზე, მთავარ ბანაკში, მუშებს საზღაურს უნაღდებდნენ ფრანგული ფულით-ტაერათი. მუშები ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: ,,აბა მივშათ ტა-ერიშა“.

სხვადასხვა დროს ორჯერ იყო დიდი ჭყონის თემში შემავალი სოფელი. 1873, 1923, 1926 წლების აღწერების მიხედვით სოფელი ტალერი არ არსებობდა. რა თქმა უნდა არსებობდა გეოგრაფიული ობიექტი-ტალერი.

1939 წლის აღწერის მონაცემებით ცხოვრობდა-439 სული, 1979 წელს-532, 1989 წელს-734 სული, 2002 წელს-729 სული, 2014 წელს-476 სული.

,,ეწერი“- ჯვარის მაზრაში სოფლები-ეწერი, ტალერი არაა და-ფიქსირებული. 1873 წლის აღწერის მონაცემებით სოფელ ეწერში მიწებს ფლობდა- 9 თავადი და აზნაური. დროებით ვალდებული გლეხების კომლთა რაოდენობა იყო-19.

1915 წელს ცხოვრობდა 443 სული, ეწერი პირველში-1510 სუ-ლი (იხ. ,,კავკასიის კალენდრის“ 1916 წლის გამოცემა).

1923 წლის აღწერის მონაცემებით, სალხინოს თემში შემავალ სოფელ ეწერში ცხოვრობდა-271 სული, კურზუს თემში შემავალ სოფელ ეწერში-134 სული. ამავე საბჭოს სოფელ ღალში-166 სული.

1930 წელს დიდი ჭყონი საბჭოში შემავალ სოფელ ეწერი პირ-ველში ცხოვრობდა-311 სული. კურზუს საბჭოში შემავალ სოფელ ეწერი პირველში ცხოვრობდა-156 სული. ამავე საბჭოში შემავალ სოფელ ღალში ცხოვრობდა-171 სული, 1939 წელს ცხოვრობ-და-743, 1979 წელს-448, 1989 წელს-605 სული, 2002 წელს-497 სუ-ლი, 2014 წელს-494.

1929 წელს სოფლის ტერიტორიაზე დაარსდა ჩაის მამული.

,,პატარა ოჩე“- 1935 წლმდე შედიოდა სოფელ ოჩეს შემადგენ-ლობაში. 1939 წელს ტალერის თემის სოფელ ოჩეში ცხოვრობ-და-234 სული, დიდი ჭყონის ოჩეში-355.

ორ თემში, ორი ერთნაირი სახელის მქონე დასახლების არსე-ბობამ გამოიწვია გაუგებრობები, რისი თავიდან ასაცილებლად, ტალერის საბჭოში შემავალ სოფელს, 1949 წელს ეწოდა პატარა ოჩე.

1964-65 წლებში სოფელი შედიოდა დიდი ჭყონის საბჭოში. სოფელი ორ ნაწილად ჰყოფს დიდი ჭყონის თემს. 1979 წელს სო-

ფელში ცხოვრობდა -495 სული, 1989 წელს-411 სული, 2002 წელს-478 სული, 2014 წელს-221 სული.

ტოპონიმიკა ბერძნული სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ადგილის სახელწოდებას. ტოპონიმი წარსულის მატიანეა. დიდი ჭყონის ტოპონიმებს დაინტერესებული მკითხველი უკვე იცნობს გივი ელიავას, პაატა ცხადაიას, იგორ კეკელიას წიგნებიდან. სამწუხაროდ, ამ ავტორთა ნაშრომები არ იძებნება მარტვილის ბიბლიოთეკებში.

1977 წელს გამოიცა გივი ელიავას ნაშრომი ,,აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა". გთავაზობთ ამ წიგნიდან ჩვენის აზრით საინტერესო ტოპონიმებს:

,,ღეე ღვანდარა"- მიიღვანდარუ (მორაკრაკე ღელე), სუფთა და გამჭირვალეა. იცის წვრილი თევზი, ოდნავ მოწითალო ფორეჯეზით, ზოგჯერ 10 სმ სიგრძისა.

,,ჟინოშ კითი"-ჟინოს თითი. ღვთაება ჟინანთარმა-ჟინომ თითი ჩაყო თურმე ამ სუფთა ღელეში, დალოცა იგი და მისგან მისი თითის მსგავსი და ტოლა თევზები წარმოიშვნენ-გიორგი გაგუას ნაამბობი.

,,ოცუმე"- თევზების საყრელი ადგილი.

,,ნათუთუნუ" (ნათუთუნარი)- ბერძნებს თამბაქო ეთესათ თურმე.

,,რახვიი"- ,,მდინარის პირას კბოდე ჩავაკებული, საკმაოდ დაცული ქარისგან რეხიანი ადგილი. აქ მაღალ ხურმის ხეებზე მიშვებული ყოფილა ჩერგვალი-თეთრი რგვალი. იზაბელას ღვინოს მაშინ არ სვამდნენ, რადგან ბაღლინჯოს გემო აქვსო".

,,ოხვამე ფერდი" (ეკლესიის ფერდობი)- წმიდა გიორგის ეკლესიის მიდამოები.

,,გუგერი"- მაღალი ზოლისებური სერი. წინათ ტყიანი ადგილი.

,,კადარი"- ქვიანი ადგილი. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

..ფაქვაში"- სოფლის დიდი უბანია.

,,ნაკლასუ" ნასკოლარი - ადგილი.

,,ნაჩაჩანუ" ნაბოშარი - ადგილი. ასორმოცდაათი წლის წინათ ბოშები დაბანაკებულან აქ პირველად და ამის შემდეგ ნაჩაჩანუს ეძახიან.

,,ოკოტუე“- საქოთნე წითელმიწა ადგილი, რომლისგანაც ქოთანს ამზადებდნენ. ამ მიწას ურევდნენ თამაკონის ,,შრომის დროშის“ სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიიდან (უწინ ნამიკოლავოს გაგრძელება), ,,ოჭუბურედან“ მოტანილ მიწას და ქვევრებს ამზადებდნენ. ბატონყმობის გაუქმებამდე მიწა ბატონის იყო და მისი ამოთხრისთვის ბატონს ბეგარას უხდიდნენ, ხოლო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწათმფლობელს ბაჟს აძლევდნენ-ივანე ახალაიას ნაამბობი.

,,ოyურძენე“ (საყურძნე)- სავენახე ადგილი. მაღლარზე ოჯალეშის ჯიშის ვაზი ყოფილა მიშვებული.

,,წყურგიი“ წყარო- საყაჩაღო ადგილი. აქ გზაჯვარედინი იყო, ჭყონის, კიწიის, დოშაყესა და კურზუსაკენ მიმავალი. აქ იყრიდნენ თავს ყაჩაღები; მუდმივ საშიში ადგილი ყოფილა.

2012 წელს პაატა ცხადაიამ გამოსცა-სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანის VI ტომი, რომელშიც ასახულია მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის ტოპონიმები. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

..ახალი ცენტრი“-ახალი კანტორა დაერქვა უბანს ლახვაშიასა და ღაღულას შუა, სალარო ბეგში, როცა აქ გადმოვიდა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კანტორა-სამმართველო.

,,ჯვეში ცენტრი“ - მიკროუბანი სალარო ბეგში. აქ ყოფილა დიდი ჭყონის ჩ/ს მეურნეობის ცენტრი. ეს ცენტრი შემდგომ გადაუტანიათ აქედან დასავლეთით 1,5 კილომეტრზე.

,,სალარო ბეგი“- ვაკე-სერი ლახვაშიასა და ღაღულას წყალგამყოფი. აქ მდებარეოს ჯვეში-ცენტრიც და ახალცენტრიც. რესპ: ,,ბეგი გრძლად შემაღლებული ადგილია, ლარივით ფართო და სწორი. ალბათ ამიტომაა სალარო“. შდრ ,,ბეგი-კბოდე, ფლატე“ (გ. ელიავა); ალ. ქობალია: ,,ბეგი-ბექი, შემაღლებული ადგილი ვაკეში“; ,,ჭაობით გარშემორტყმული შემაღლებული ადგილი“ (დიდი ჭყონი)

,,ეწერი“ - ერქვა ძალზე ვრცელ ტერიტორიას, სადაც შემდეგ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები გაშენდა.

,,ლახვაშია“ - იწყება დიდი ჭყონის მეურნეობის ძველი ცენტრის ჩრდილოეთით, 0, 5 კმ-ზე.

,,ბაგრატიას კარი“-ჩაის ფართობი საბეჭვაიოში (ჟინოთა).

,,ბაგრატიშ კარი“ -ჩაის ფართობი საბეჭვაიოსა და საერქვანიოს შუა (ნამიკოლაო მეორე).

,,ბადუშ წყურგილი“ -წყარო საბეჭვაიოში, დამიანეს ნაპირზე. ბადუ კაცის სახელია (ჟინოთა).

,,გოჭკადირი“-გაჭედილი სოფლისა და თემის სახელწოდებაა, გოჭკადილი ერქვა ხიდს ჩხოუშიაზე (ლედგებე).

,,გოროზიეფიშ დიხა“ - სახნავი ჭყონაში (ნამიკოლავო მეორე).

,,გუიაშ წყურგილი“ -წყარო ღვანდარასა და ჭითა ღალს შუა, ნამიკოლავო მეორის საზღვართან (ჟინოთა).

,,დამიანე“ - მდინარე სათავეს იღებს ქვემო ეწერში, საჯოჯუოს აღმ-ით, ჭეჭყობში. გაივლის ონწარეს და სოფელ ჟინოთაში, ნათიფურესთან, ერთვის ღვანდარას მარჯვენა მხრიდან (ეწერი, ოჩე, ჟინოთა).

,,კადარი“ -ფერდობი ლახვაშიას მარჯვენა ნაპირზე, ნაჭვი ოხვამესთან. კადარი-მთის ბორცვის სამხრეთ ფერდობი, რომელსაც მზე ადგას. (ლედგებე).

,,კესაშ ნაyუდუ“// ნაკანტორუ - ვაკე რეკას ნაპირას. აქ ესახლა ქვრივი ქალი კესა. ხოლო შემდგომ აქვე იდგა კოლმეურნეობის კანტორის შენობა (ნამიკოლაო მეორე).

,,ლებეჭვაიე“ - უბანი სოფლის ცენტრის სამხრეთით. რეს: ბეჭვაიები გელათიდან ვართ, გვარად ბოჭორიშვილები. ერთ ჩვენს წინაპარს იქ ბატონი მოუკლავს, გამოქცეულა და თამაკონში, შქანთაშ ოხვამესთან, დასახლებულა. შემდეგ მისი შთამომავალი ჯერ შქაღელეში გადმოსულა, ხოლო ბოლოს აქ ჟინოთაში, დამკვიდრებულან მისი შთამომავლები“. (ჟინოთა).

,,ლენადარაიე“ -უბანი სარიკსა და ამარწუხას შუა (ლედგებე). ორივე ღელეა.

,,ლექვარცხე“- ქვარცხავების უბანი პატარა თამაკონის საზღვართან. მოსულან სოფელ ნაჯახავოდან. (პატარა ჟინოთა).

,,ნაკლასუ“ - სახნავი დობერაში, ადგილი სადაც სკოლა იდგა.

,,ნაფოშტარი“ - XIX საუკუნეში გადიოდა ზუგდიდი-ქუთაისის სამხედრო გზა ,,შქა სამარგალოშ შარა“ და სწორედ აქ მდინარის, ნაპირზე, იდგა ფოშტა.

,,ნაცაგურუ“ -ბექობი ოხვამეკართან. (ჟინოთა).

,,ნაჭვი ოხვამე“ - ,,ნახანძრი ეკლესია“- ნაეკლესიარი სასაფლაო ნოღაისა და ლახვაშიის წყალგამყოფ სერზე. რეს: ,,აქ ეკლესია დამწვარა 60 წლის წინათ, ზამთარში; მიზეზი იყო დავა აზნაურ დგებიებსა და გლეხებს შორის: დგებიებს უნდოდათ ეკლესიის გადატანა მათს უბანში. გლეხებმა არ დაანებეს. რომელიღაც მხარემ ერთი ჭკუამოკლე მოისყიდა და ეკლესიისთვის ცეცხლი წააკიდებინა“ (ლედგებე, პირველ კიწია).

,,ოხვამეკარი“//,,ოხვამე“// ,,ნაოხვამუ“- ბორცვი ნაეკლესიართან (სასაფლაოთი), ტეხურის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესიაში ესვენა მანცხვარხატი. წყლის პირას, მაღალი კლდის თავზე, მდგარა ხის ეკლესია, სადაც სალოცავად მოდიოდნენ ბეჭვაიები, მარკოზიები, დგებიები....საზიარაოა სოფელ ოჩესთან (ჟინოთა).

,,ოცანცალეში“ - ჭაობნარ-ბუჩქნარი ჭყონი-ნაფოსტარის გზაზე (ჟინოთა).

,,ოციმე“ - ღვანდარას და ტეხურის შეერთების ადგილი.

,,ოხვამე“ - სასაფლაო ლეჯანაშეში. იდგა მცირე ზომის ხის ეკლესია. ხატი არ ესვენა. იყო წირვა კვირაობით.

,,რეკა“ - ღელე, მოედინება დიდი ჭყონიდან. (ნამიკოლაო მეორე).

,,როხონა“ - ქვაღორღიანი ადგილი; ლოდნარი.

,,ჭუკიას წყურგილი“ - წყარო ლეგოროზიეში. ,,ჭუკიას“ -ერქვა ოლიფანტე.

,,ჭყონა“ - ერქვა მუხნარს, ჟინოთასა და თხვეცს შუა, ჟინოთას საზღვარზე. უწინდელი ჭყონას ტერიტორიაზე. უბნები- ეგოროზიე, ეერქვანიე, ეკოკაიე, ეკორთხონჯიე.

თავადების ოდაბადე

ოდიშის საერისთავოს ბაზაზე XVI საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ოდიშის სამთავრო, სადაც წარმოიშვა: ანჯაფარიძეთა, აფაქიძეთა, გოშაძეთა, ქორთოძეთა, ქოჩაკიძეთა, შელიების, ჭილაძეთა, ჯაიანთა და სხვათა სათავადოები.

ჩიქოვანთა გადადიანების შემდგომ დაწინაურდნენ ჩიქოვანების, ჩიჩუების, ფაღავების, დგებუაძეების საგვარეულოები.

გივი ელიავა წერს: ოჩეშიც დგებუაძეთა სასახლეს მიუთითებენ (იხ. სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, I ტომი, 2022 წ. გვ. 124).

თავადი დგებუაძეები ცხოვრობდნენ ჟინოთასა და ნამიკოლაოში. დიდი ჭყონის თემში შედის სოფელი ლედგებე. დგებუაძეების გარეშე ერთი დიდი, ცარიელი ფურცელია სოფლების- დიდი ჭყონის, სალხინოს, თამაკონის, ტალერის, დოშაყეს 1856 წლამდელი ისტორია.

ჟინოთელი დგებუაძეები იყვნენ ჯერ დადიანების, შემდგომ მიურატების ყველაზე სანდო პირები. სამწუხაროდ, ამ გვარის ისტორია სათანადოდ შესწავლილი არაა. ვიცით:

ღემუნა (დგებუაძე) იყო მდივანი აბგარ მეფის, რომელმაც აღწერა ცხოვრება აბგარ მეფისა, წელსა ქრისტეს აქეთ-67-ს...მეფემან მიიღო თავადად (დგებუაძე) წელსა 785-ს. (ივერია 1883 N 11-12, 1884 წელი N 1-12). გვარი დგებუაძე XVII საუკუნეშია დამოწმებული: დგებუაძე წიწაკოჩი როგორც მოწმე და შუამავალი, გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფაღავასთვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 58).

როდის დასახლდნენ დიდი ჭყონის, ლედგებეს, ოჩეს, ნამიკოლაუს ტერიტორიაზე დგებუაძეები, უცნობია. ცნობილია ის რომ ოტია დადიანის მიერ (1748-1758წ.წ) მამუკოჩი ნაჭყებიასთვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმედაა დასახელებული მოურავი მამუკა დგებუაძე. იმ მასალების გათვალისწინებით რომელთაც ქვემოთ გავეცნობით, მამუკა დგებუაძე სალიპარტიანოს მოურავი ჩანს (ბ. კვარაცხელია, მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში, დისერტაცია, 2003 წ. გვ. 94).

კაცია დადიანის მიერ, 1758 წელს ჭუკია ალშიბაიასთვის მიცემულ წყალობის წიგნში მოწმედ არის დასახელებული მოურავი ზაალ დგებუაძე (ბ. კვარაცხელია, იქვე).

1759 წლის 30 დეკემბერს ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა, ბატონიშვილებმა და თავად-აზნაურებმა: ჩიჩუამ, ჩიქვანმა, ფაღავამ, აფაქიძემ, მხეიძემ, დგებუაძემ, ჩიჯავაძემ, ჯაიანმა, ქოჩაქიძემ, მიქაძემ, ჯოლიამ, შელიამ, ქართველისშვილმა, საჯაიამ პირობა

მისცეს იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, რომ ტყვეებს არ გაყიდიდნენ.

1795-1804 წლებს შორის გრიგოლ დადიანის მიერ გაბუ ნაჭყებიასთვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოხსენიებულია მოურავი დიმიტრი დგებუაძე (ბ. კვარაცხელია, დისერტაცია, გვ. 94).

სალიპარტიანო ყოველთვის იყო დადიანების სამფლობელო. ოდიშის სამთავროს სახასო მამულად გამოცხადების შემდგომ, სამოურავოდ გადაეცა თავად დგებუაძეებს-ჯერ ჯოღორიას, შემდგომ - მის ძმა ავთანდილს.

1824 წლის 2 იანვარს მსაჯულთუხუცესი ნიკო დადიანი თავად ჯოღორია დგებუაძეს წერდა: ეს ივანე ანჯაფარიძე და მისი ძმები და მამა, მე მიბრძანებია-სამართლით გაარიგე. (ნიკო დადიანი დღიურები (ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწერი წიგნი N32, გვ. 1).

1829 წელს ლევან V დადიანის მიერ აზნაურ ბეჟან ანჯაფარიძესთვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმედ არის დასახელებული სალიპარტიანოს მოურავი კონსტანტინე დგებუაძე. (ზუგდიდის მუზეუმი ZD-17 გვ 4), რომელსაც ვხედავთ ლევან V-ის მიერ მღვდელ ნიკოლოზ ანჯაფარიძისთვის იმავე წელს ბოძებულ წყალობის წიგნში, სადაც მის სახელად ნახმარია კოსტა, (იქვე, გვ. 3; კვარაცხელია, გვ. 95).

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული დოკუმენტების თანახმად: 1793 წელს თამაკონის მოურავი იყო-ჯოღორია დგებუაძე (დოკ. ა-1931), გრიგოლ დადიანი 1788-1804 წ. წ პირობის წიგნს აძლევს თავის მოურავ- დიმიტრი დგებუაძეს (დოკ. ა-1932), ბეჟან კაციას ძე დადიანი დიმიტრი დგებუაძეს უბოძებს აზნაურ გიორგიტა ცაგურიას ოჯახს (დოკ. ა-1934). სამეგრელოს დედოფალი მართა 1835 წელს, წყალობის წიგნს წერს ბეჟან დიმიტრის ძე დგებუაძეს (დოკ. ა-1935). 1842 წლის 16 დეკემბერს დიმიტრი დგებუაძე ნასყიდობის წიგნს აძლევს შვილს ბეჟან დგებუაძეს (დოკ. ა-1933).

1863 წელს ჟინოთელი აზნაურები გიორგი, კოსტა და ბახვა ვახთას ძე დგებუაძეები წყალობის წიგნს აძლევენ წულაიებს (იხ. დოკ. ა-1050); სამეგრელოს მმართველობის მიმართვა ევგენი დგებუაძისადმი (იხ. დოკ. ა-1936); ეკატერინე ჭავჭავაძის მიმართვა თავად ევგენი დგებუაძეს (იხ. დოკ. ა-1942).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება ლევან დადიანის მიერ, აზნაურ ზალიკა დგებუაძისთვის 1827 და 1832 წლებში გაცემული წყალობის წიგნები (იხ. ქიმ, ისტორიული საბუთები, ნომრები: 772 და 773).

1855 წელს კოსტანტინე ფაღავას მიერ ბუხუ და ბეტა ქაჯაიებისთვის მიცემულ ხელნაწერში მოწმედ დასახელებულია სალიპარტიანოს ბოქაული ალმასხან დგებუაძე (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი HD, საბუთი N 10975).

1857 წლის 26 აგვისტოს სახელმწიფო მრჩეველი დიუკრუასი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ატყობინებს, რომ სალიპარტიანოს მმართველი ბეჟან დგებუაძე 28 აგვისტოს, კვირას, ბაზრობაზე, ზუგდიდში აპირებს არეულობის მოწყობას (იხ. არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. XII, გვ. 316).

,,სალხინოსა და ნოღას (პეტრე ბატონიშვილის სამოსახლო სოფელი) შუა, სალიპარტიანოში, რომელიც ერთ დროს აწ მოსპობილის დადიან-ლიპარტიანების გვაროვნობას ეკუთვნოდა, ორი მცირედი და ხელმოკლე თავადთა გვაროვნება სცხოვრობდა: დგებუაძეები და ჩიჩუები. პირველ გვარში ყველაზე შეძლებულად ბეჟან დგებუაძე ითვლებოდა. ბეჟანი მხნე მოხუცი იყო, ამ ადგილების მოურავობა ებარა, როგორც მთავრების დროს, ისე რუსის მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგაც; მისი შვილი, ქუთაისში ნასწავლი, საბჭოს კანცელარიაში მსახურობდა“ (იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1856-1867 წლებში, თბ. 1934 წ. გვ. 255).

მხეიძეთა გვარის გენეალოგიის თანახმად ირკვევა: 1834 წელს სოფელ ჟინოთაში დაიბადა პუპი ბეჟანის ასული დგებუაძე. ის იყო მეუღლე პეტრე დავითის ძე მხეიძის.

1825 წლის 15 გიორგობისთვეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვარს მაქსიმე ქიქოძესა და მის მეუღლეს, მარიამ დგებუაძეს შეეძინა ტყუპი ვაჟები; მათგან ერთი მალევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე იყო-წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე).

სერგი ჭილაიას რომანის თანახმად, გვარად დგებუაძე იყო გიგო ფაღავას მეუღლე, დედა-მექი ფაღავასი.

კავკასიის მეფისნაცვალმა 1850 წლის სექტემბერში წერილობით მიმართა დავით დადიანს და სთხოვა შეედგინა მის სამთავ-

როში მცხოვრებ თავად-აზნაურთა სია. მაზრის მდივანბეგებმა პირველი დავალება მიიღეს 1850 წელსვე. დეტალური აღწერა ჩატარდა 1850-54 წლებში. დედანი დაცულია პეტერბურგში; მასალებს მიაკვლიეს და მისი ასლები გადაიღეს რუსეთში მოღვაწე ქართველებმა იგორ მიქაძემ და დავით გულორდავამ. აღწერა 2013 წელს წიგნად გამოსცეს ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა და ანზორ სიჭინავამ. წიგნის სახელწოდებაა- ,,სამეგრელო თავადები და აზნაურები“.

წიგნის მიხედვით, აზნაური დგებუაძეები ცხოვრობდნენ სუჯუნის, ზუგდიდისა და ჯვარის მაზრებში.

აღწერის მიხედვით, ირკვევა: დიმიტრი, ავთანდილ, მამუკა და კოხტა დგებუაძეების შთამომავლები არიან ჯვარის მაზრაში მცხოვრები თავადი დგებუაძეები.

თავად დიმიტრი (ჯოღორია) დგებუაძეს ჰყოლია 5 ვაჟი-60 წლის ალმასხანი, 55 წლის ლევანი, 50 წლის ბეჟანი, 45 წლის გიორგი და 43 წლის მანუჩარი. დიმიტრი დგებუაძე აღწერისას ცოცხალი არ იყო. დიმიტრის შვილები, ალმასხანი და ლევანი, სიძე, მარღანია ჯამბულათი ნახსენებია ბეჟან კაციას ძე დადიანის მიერ დიმიტრი დგებუაძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი ა-1934).

ბეჟან დიმიტრის ძე დგებუაძეს ჰყოლია 2 ვაჟი და 3 ქალიშვილი. აზნაური დგებუაძეებიდან ყურადღება მიიქცია ჯოღორია ივანეს ძე დგებუაძის შვილმა-30 წლის ბეჟან დგებუაძემ (ამ სახელის და გვარის მქონე პირი მოკლეს ნამიკოლავოს აჯანყების დროს).

თავად ავთანდილ დგებუაძეს ჰყოლია 7 ვაჟი: გიორგი 39 წლისა, დავითი - 35, ხახუ- 33, ზურაბი-31 წლის. ამ დროს გარდაცვლილები არიან: კოსტანტინე, ფრიდონი და მაქსიმე.

თავად მამუკა დგებუაძეს ჰყოლია 2 ვაჟი: მანუჩარი და ტოტი;

თავად კოხტა დგებუაძის ვაჟები არიან: გოგია, ნიკო და ანტონი.

პ. ცხადაია წერს, რომ თავად მამუკა დგებუაძის ნადოხორუ მდებარეობს ლეფარულეში, ოჟვაბუეს მარჯვენა ნაპირზე (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 365). სოფელ ოჩეში დგებუაძეების სასახლის არსებობაზე ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

ოდიშის სამთავროს თავად-აზნაურთა 1850-1854 წლების დეტალური აღწერის თანახმად, სამეგრელოში ცხოვრობდა თავადი დგებუაძეების 19 ოჯახი. ბეჟან დგებუაძე ცხოვრობდა ჟინოთაში, ყველა დანარჩენი- ნამიკოლავოსა და თამაკონში.

ბანძელი ფაღავები, ამჟამინდელ სოფელ ვედიდკარის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ; სალხინოს მეპატრონე დადიანები-ზუგდიდსა და გორდში;

აშილ მიურატი სოფელ ჭკადუაშშია დასაფლავებული; მისი ცოლი და შვილები-საზღვარგარეთ.

სოფელ კურზუშია დასაფლავებული დიდი ნიკოს (დადიანი) უფროსი შვილი. ის და მისი შვილები ცხოვრობდნენ ჭკადუაშში, ნოღაში, კურზუში.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დიდი ჭყონი ერთადერთი თემია, რომელსაც სხვასთან განუყოფელი თავადური ოჯახით შეუძლია იამაყოს.

ოდიშის სამთავროს ადგილობრივი მმართველობა

ისტორიული წერილობითი წყაროებისა და ტოპონიმიკური მასალის გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფელი ჟინოთა და მისი მიმდებარე სოფლები შედიოდა სალიპარტიანოში, რომელიც ყველაზე დიდი სათავადო იყო სამეგრელოში.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, სალიპარტიანო ცალკე საერისთავო ყოფილა ოდესღაც. იგივე აზრისაა ო. სოსელია.

სანამ სალიპარტიანო ოდიშის მთავრის სახასო მამულად იქცეოდა, იყო განუყოფელი საუფლისწულო, რომელსაც მისი მფლობელი ბატონიშვილ-ლიპარტიანი განაგებდა.

მხეიძეთა საგვარეულოს ისტორიულ ნარკვევში საუბარია, ბეჟან პაატას ძე მხეიძის მიერ, XVIII საუკუნის I ნახევარში, ჟინოთას ციხის დაცვისა და თამაკონის ციხის გამაგრების შესახებ. ოტია დადიანის მთავრობის პერიოდში (1728-1757 წ. წ.) თურქებმა ალყა შემოარტყეს ჟინოთას ციხეს. ომში გაიმარჯვეს ქართველებმა.

გოგილო ბასილაია წერს, რომ ახლანდელი დიდი ჭყონის ტერიტორიაზე კაცია II დადიანმა (1744-1788 წ.წ.) ომი მოუგო თურ-

ქებს. ,,ბიკენტი გეგელიას თქმითა-ტეხურისა და წაჩხურუს შესაყართან ბრძოლის ეს ამბავი თაობიდან-თაობის თავსაქებრად ძალიან დიდ ხანს გადაეცემოდა თურმე“ (იხ. გოგილო ბასილაია, ,,ჩვენი სალხინო“, გვ. 36-37).

ოდიშის სამთავროს ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი მოხელე იყო მოურავი. იგი სათავეში ედგა სამთავროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. მისი ხელქვეითები იყვნენ თემის უფროსები, ამ უკანასკნელთა ხელქვეითები კი- სოფლის უხუცესები.

სამოურავო ერთი ან რამდენიმე თემისგან შედგებოდა, ხოლო თემი თავის მხრივ რამდენიმე სოფელს აერთიანებდა (იხ. ბ. კვარაცხელია, მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში, დისერტაცია, თბ. 2003 წ.).

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში ოდიშის სამთავრო დაყოფილი იყო 12 სამოურავოდ. სოფლები, ამა თუ იმ საერო და საეკლესიო ფეოდალის (თავადი, აზნაური, ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღვარი) რეზიდენციის: ციხე-სიმაგრის, ციხედარბაზის, სასახლის, ეკლესიის ირგვლივ ერთიანდებოდნენ. სოფლის მამასახლისები, მოურავის ხელქვეითები იყვნენ. (იხ. ბ. კვარაცხელია, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX საუკუნეებში, თბ. 2009 წ. გვ. 113-122).

მთავრის მოურავები საბუთებით იწოდებიან მოურავებად, ოღონდ იმ სოფლის აღნიშვნით, რომელიც მათი ხელქვეითი სამოურავოს დედასოფელს, ანუ ისეთ სოფელს წარმოადგენდა, სადაც იდგა სასახლე, ციხე ან ტაძარი, რომელთა განსაგებელიც არის სამოურავოში შემავალი ყველა სოფელი (კვარაცხელია, იქვე).

ლევან დადიანის მიერ აზნაურ პეტრე ელიავასთვის 1828 წელს მიცემულ წყალობის წიგნში წერია: ,,შენი წინაპრები მარტვილის მოურავები იყვნენ და შენც გეძლევა მოურავობა მემკვიდრეობით (იხ. ქიმ, ისტორიული საბუთები, N1229).

ოდიშ-ლეჩხუმის სამთავროში ყველაზე დიდი სამოურავოს (თაკვერს, ლეჩხუმს) 1880-1803 წლებში მართავდნენ როდამ დგებუაძის ქმარი და შვილი.

ქაიხოსრო გელოვანი იყო ლეჩხუმის ისტორიაში უძლიერესი სარდალ -მოურავი (1780 -1799). ნიკო დადიანის ცნობით: ,,ქაი-

ხოსრო გელოვანი მოურაობდა ლეჩხუმს და მძლავრებდა ოდიშ-საცა“ (იხ. ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ. 1962, გვ. 59).

1798 წლის ცნობით, სარდალ-მოურავმა ქაიხოსრო გელოვანმა და მისმა მეუღლემ დგებუაძის ასულმა როდამმა ააშენეს ეკლესია. ქაიხოსროს და როდამს ყავდათ 8 შვილი.

ბერი ქაიხოსრო გელოვანი დაიბადა 1766 წელს, გარდაიცვალა 1851 წელს; 1799-1803 წლებში იყო ლეჩხუმის სარდალ-მოურავი.

1804-1811 წლებში ნინო ბაგრატიონი მრჩეველთა საბჭოსთან ერთად მართავდა სამეგრელოს. საბჭოში შედიოდნენ: ნიკო დადიანი (დიდი ნიკო), ეპისკოპოსი ბესარიონი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ბერი გელოვანი.

ბერი გელოვანი იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. ის და მისი ძმა, გიორგი მდივანბეგებად ჰყავდა დანიშნული დავით დადიანს. მარშალ არჩილ გელოვანის ბაბუის-ბებია იყო როდამ დგებუაძე.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტებით მტკიცდება: 1841 წლამდე, დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული 9 სამოურავოდან (რაიონი, მუნიციპალიტეტი), ერთერთის ცენტრი ყოფილა დღევანდელი დიდი ჭყონის თემი. სხვადასხვა დროს სალიპარტიანოს სამოურავოს (რაიონის) ცენტრი მდებარეობდა ჟინოთაში, ოჩეში, ნამიკოლავო მეორეში, ანუ იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდა სალიპარტიანოს მოურავი.

ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ სალიპარტიანოს (თამაკონის, მარტვილის ზედა ზონის) მოურავები სხვადასხვა დროს იყვნენ: მამუკა დგებუაძე, ზაალ დგებუაძე, ჯოღორია (დიმიტრი) დგებუაძე, ავთანდილ დგებუაძე, ისევ დიმიტრი დგებუაძე, ან მისი რომელიმე შვილი, კოსტანტინე (კოსტა) დგებუაძე.

კ. ბოროზდინი და დიუკრუასი სალიპარტიანოს მოურავად იხსენიებენ-ბეჟან დგებუაძეს.

ლევან დადიანის მიერ 1806 წელს, ავთანდილ დგებუაძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში სწერია:

,,შენმა უფროსმა ძმამ ჯოღორიამ მრავალგზის გვიღალატა. პირველათ ციხე გაგვიცა და თორმეტს წელიწადს დაგვიკარგა, ჩვენს ხელით გაზრდილი მერიქიფე ჩვენს სასმელს ღვინოზე მოგვიკლა, მერმეთ როდესაც ღმერთმან მისი უხვი მოწყალება მოგვივ-

ლინა და ყ(ოვლა)დ მოწყალის ხელმწიფის საფარველი დამედვა, მაშინ ჩვენი ციხე გამოვთხოვეთ, მაგრამ მაშინაც უმეტესი წინააღმდეგობა იხმარა. ჩვენ ჩვენი ციხე არ მოგუცა თავის მისის ნებით და მტერია. კიდევ როდესაც თავადი ციციანოვი პავლე დიმიტრივიჩი მოკლეს და გადიცვალა, მაშინ ხელახლა ჩვენი ღალატი და სიკუდილი მოინდომა და თავს გვესხმოდა და ორსავეს დედაშვილს დახოცვას გვიპირებდა. ამოდენი ღალატისა და ორგულობისთვის ჩვენგან წყალობა სახელო სალიპარტიანო ჯოღორიასთვის გამოგვირთმევია და მოურავობისგან გადაგვიყენებია და ჩვენის ერდგულის ავთანდილისთვის მიგვიცემია. სალიპარტიანო სახელოთ (გ) ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულობასა და სამსახურში". არშიაზე მინაწერი: ,,ქ. ბებიაჩემს სალიპარტიანოსგან რომელიმე ყმა და მამული განკუთვნილად ქონდა და ახლა ჩვენ ერთად შეგვიკრია და შენთვის სამოურავოდ მოგვიბარებია" (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი ა-543, წყალობის წიგნი ლევან დადიანისა ავთანდილ დგებუაძისადმი).

ზემოთაღნიშნული დოკუმენტი მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა სოფიო დგებუაძემ. ჯოღორია დგებუაძე იყო მისი ბაბუის-ბაბუა. უცნობია, რატომ ინახებოდა ავთანდილ დგებუაძისადმი ბოძებული წყალობის წიგნი მისი ძმის შთამომავალთან.

მწერალ ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ბაბუის ბაბუა იყო ავთანდილ დგებუაძე. ისტორიულ რომანში ,,ოქროს ბეჭედი" მწერალი წერს, რომ ჯოღორიამ სულ ორ-სამ წელიწადში მოახერხა საყვარელი ძმების, გრიგოლისა და მანუჩარის ერთმანეთზე გადამტერება. მანუჩარმა თავის ძმას მთელი სალიპარტიანო წაართვა ჯოღორიას რჩევითა და შემწეობით...მანუჩარმა ჯოღორიას ნამიკოლაოს ციხე აჩუქა რამდენიმე სოფლით.

1791-1804 წლები ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იყო ჩვენი მხარის ცხოვრებაში. აღნიშნულ პერიოდში სალიპარტიანო და მისი მთავარი ციხე-სიმაგრე, თამაკონის ციხე მთავარმა გრიგოლ დადიანმა (ლევანის მამა) დაკარგა. ამაში ჯოღორია დგებუაძის დადანაშაულება უმართებულოა შემდეგი გარემოებების გამო:

სალიპარტიანოს ყველა მამული გაერთიანდა და უშუალოდ მთავრის საკუთრებაში გადავიდა გრიგოლ დადიანის გარდაცვა-

ლების მერე. კაცია II მთავრობისას სალიპარტიანოს ბატონი იყო მანუჩარ დადიანი.

გრიგოლ დადიანმა მამის (კაცია დადიანის) გარდაცვალების შემდეგ, 1788 წელს დაიკავა სამთავროს ტახტი. ანა დედოფალს (გრიგოლის დედინაცვალს) ღვიძლი შვილის, მანუჩარის გამთავრება სურდა. იმერეთის მეფისგან თავისი სიძის (მანუჩარის) გამთავრებას ითხოვდა სამურზაყანოს მფლობელი-ლევან შარვაშიძე.

იმერეთის მეფემ დავით II-მ (1784-1789) გადაწყვიტა გრიგოლის მცირეწლოვანებით ესარგებლა და სამეგრელოს სამთავროს დასამორჩილებლად, ლეჩხუმის ხელში ჩასაგდებად ოდიში დალაშქრა და მთავრად გრიგოლის უმცროსი ძმა-მანუჩარი დასვა.

1789-1792 წლებში ოდიშის თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი გრიგოლ დადიანს ემხრობოდა, მეორე ნაწილი- მის ძმას, მანუჩარ დადიანს.

მათხოჯის ბრძოლაში გამარჯვების შემდგომ (1789 წლის 11 ივლისი) გრიგოლ დადიანმა დაიბრუნა სამეგრელოს ტახტი, იმერეთში კი დავით არჩილის ძე გამეფდა სოლომონ II-ის სახელით.

სოლომონ ლიონიძის ინიციატივით 1790 წელს გამართულა საქართველოს მეფე-მთავრების შეკრება, სადაც გაფორმდა ,,ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფო ქალაქსა ტბილისს“.

ტრაქტატის შედეგად დამყარებული მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1792 წელს იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის განხეთქილება მოხდა. სოლომონ მეორემ, გრიგოლ დადიანი ტახტიდან გადააყენა და მანუჩარ დადიანი გაამთავრა.

1792-1799 წლებში ოდიშის ტახტზე იჯდა მანუჩარ II დადიანი. ტახტწაგვრილმა გრიგოლ დადიანმა ლეჩხუმის სარდალ-მოურავ ქაიხოსრო გელოვანის მეშვეობით 1799 წელს შეძლო ისევ გამთავრება.

ტახტის დაბრუნების მიუხედავად, გრიგოლის ხელისუფლება ჯერ კიდევ სუსტი იყო, იმ დროს რეალურად ქაიხოსრო გელოვანი გაცილებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ ოდიშში; გრიგოლ დადიანმა მოაკვლევინა ერთგული ქაიხოსრო გელოვანი და ტახტის მოცილე მანუჩარს სალიპარტიანო უბოძა.

1802 წელს სოლომონ მეფემ აიღო თამაკონის ციხე და ტყვედ წაიყვანა 400 კაცი. ოდიშის მთავარი გახდა გრიგოლის მეორე ძმა ტარიელი. უკვე მერამდენედ ტახტწაგვრილმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის სახელმწიფოს მეშვეობით შეძლო ტახტის დაბრუნება და ამის სანაცვლოდ 1803 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ სათხოვარ პუნქტებს.

ოდიშის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ,,წარვიდა დადიანი ნოღიდან და მივიდა თამაკონს და მოსცა თამაკონი ჯოღორია დგებუაძემ“ (იხ. ნიკო დადიანი, ,,ქართველთ ცხოვრება“, 1962 წ., გვ. 193).

1804 წელს სამეგრელოში რუსეთის ჯარის შეყვანამ იქ ჩაშალა თავად-აზნაურების მოსალოდნელი აჯანყება.

ნინო დადიანი (ლევანის დედა) ცდილობდა თავიდან ჩამოეშორებინა ყველა მეტოქე. ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ მეტოქე დადიანები, მხეიძეები, გელოვანები, დგებუაძეები თვითმპყრობელობის დაუძინებელ მტრებად მოენათლა, ყველა ისინი რუსეთში გადაესახლებინა და სამეგრელოში მარტო თავისი მემკვიდრე დარჩენილიყო.

დიმიტრი (ჯოღორია) დგებუაძემ არც რუსების ერთგულებაზე დადო ფიცი და არც ლევან დადიანის. ის არ ეხმარებიდა გრიგოლ დადიანს ძმებთან ომში; მას არ აწყობდა რუსის ჯარის სამეგრელოს ტერიტორიაზე ყოფნა და ამიტომ შერისხეს იგი ლევანმა და მისმა დედამ.

გივი ელიავა წერს: ,,ლევან დადიანმა და მისმა დედამ ჯოღორია დგებიას ამბოხისა და განდგომის გამო ჩამოართვეს მოურავობა და მის ძმას, ავთანდილს უბოძეს. მასვე უბოძეს ჯოღორიასეული ციხე (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 119)

ნინო დადიანის რუსეთში გადასახლების შემდეგ ჯოღორია დგებუაძემ დაიბრუნა სალიპარტიანოს მოურავობა.

დავით დადიანის გამთავრებამდე ოდიშში საბატონო სოფლების სამსჯავრო და საპოლიციო საქმეები ებარა ბატონს, მემამულეს, ხოლო 1840 წელს დადიანის მიერ გატარებული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმის შედეგად გაუქმდა მოურავის ინსტიტუტი და 1841 წლის 1 იანვარს შეიქმნა უზენაესი სასამართლო.

1841 წელს მართალია სამთავრო სამოურავოები გაუქმდა, მაგრამ სოფლის მოურავები და ფეოდალთა მოურავები ამის შემდეგაც არსებობდნენ.

ოდიშის სამთავროს ადგილობრივი მმართველობის ყველაზე ქვედა რგოლს წარმოადგენდა ხელოსანი. მამასახლისი და ხელოსანი სამეგრელოში ერთი და იგივე სახელოს ორი სხვადასხვა სახელი იყო. ერთ სოფელში შეიძლება რამდენიმე ხელოსანი ყოფილიყო.

ხელოსნობა მოურავისებური თანამდებობაა, იმ განსხვავებით, რომ ხელოსანი ვალდებული არ იყო სასახლეში ეტრიალა, სხვა მოსამსახურეებთან ერთად.

მოურავებს ხელოსანი ყავდათ აქეთ-იქით გასაგზავნად. რაფიელ ერისთავის ცნობით, ხელოსნები სოფლის მამასახლისებს ერქვათ (კვარაცხელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 98).

ოტია დადიანის მიერ (1748-1757) მამუკოჩი ნაჭყებიასთვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმედაა დასახელებული ხელოსანი ძიკიელა ბასილაია (ბ. კვარაცხელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94), 1793 წელს ნინო დედოფლის მიერ მიქელ გეგელიასათვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმედ იხსენიება ხელოსანი ლაკუშია, რომელსაც მოწმედ ვხედავთ გრიგოლ დადიანის მიერ გაბუ ნაჭყებიასთვის 1795-1804 წლებს შორის ბოძებულ წყალობის წიგნშიც. აქ მისი გვარიც არის დასახელებული, ძიკიელა ბასილაია (იხ. კვარაცხელია, დასახ. ნაშრომი, იქვე).

ხელოსანის სახელო მემკვიდრეობით არ გადადიოდა, მამიდან შვილზე. ხელოსანი თუ ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას გადაყენება ელოდა.

ჟიულ მურიეს ცნობით: სამეგრელოში მამასახლისს სოფლის მოსახლეობა ირჩევდა, დამტკიცებით კი: თუკი სოფელი სახასო იყო მთავარი ამტკიცებდა, თუ საბატონო- სოფლის მფლობელი -თავადი, თუ საეკლესიო-ეპისკოპოსი ან წინამძღვარი.

სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1840-1853) ჩაატარა მთელი რიგი რეფორმები-სამთავრო კარის მმართველობაში, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, განათლებაში, საეკლესიო საქმეებში და სხვა; მან ხელი შეუწყო გზების, არხების გაყვანას, ვაჭრობის განვითარებას, აბრეშუმის ქარხანის (1852 წ.), არყის სახდელი ქარ-

ხნების გახსნას. დავით დადიანმა გაჭრა ნოქალაქევი-დიდი ჭყონი-სალხინოს გზა.

დავით დადიანის დროს სამეგრელოდან ირლანდიაში, ინგლისში გატანილ იქნა სიმინდი, დაიწყო კომბოსტოს, კარტოფილის (ზოგი ცნობით-მარწყვის) მოყვანა; კუბიდან ჩამოიყვანა სპეციალისტები და სენაკის მიდამოებში დააწყებინა ენდროს მოყვანა; ასევე ააღორძინა თუთის ხეების დარგვის ძველი ტრადიცია, გააშენებინა ზეთისხილის ბაღები, გამოიწერა თამბაქოს ამერიკული და ევროპული ჯიშის ნიმუშები. მოკლე ხანებში სამეგრელოში მოყვანილი თამბაქო მიეწოდებოდა თბილისის თამბაქოს ფაბრიკებს. ზუგდიდში ბაზრის გახსნამ ადგილობრივების ჯერ გაოცება, შემდგომ- კმაყოფილება გამოიწვია.

სანამ დავითი მთავარი გახდებოდა, უკანონოდ შობილი ბავშვები ბერებს მიყავდათ. დავითმა ბავშვები დედებს დაუტოვა. მას არ უყვარდა მხდალი და წვერგაუპარსავი თავად-აზნაურები.

ოდიშის მთავრები დავით დადიანამდე წერილობით საქმისწარმოებას გაურბოდნენ. იწერებოდა წყალობის წიგნები, სიგელები მაგრამ არ იყო დაწესებულება, სადაც უნდა დაცულიყო სამთავრო საქმეთა წარმოება და მიწერ-მოწერა. დავითის დროს შეიქმნა ქართული და რუსული კანცელარიები.

1841 წელს ოდიშის მთავარმა დავით დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმის სამთავრო 8 მაზრად დაყო. (ზუგდიდის-24 სოფელი, ზუბის-25 სოფელი, ჯვარის-33 სოფელი, სუჯუნის-29 სოფელი, საჭილაოს-24 სოფელი, მარტვილის-23 სოფელი, ლაილაშის-41 სოფელი და მურის-45 სოფელი). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ამ ფორმამ იარსება 1857 წლამდე. დაყოფის მიხედვით: სუჯუნის მაზრაში მოექცა სოფლები ონოღია, ნაგიბეროუ, ბანძა, ორქა, ჯოლევი, ნოქალაქევი და სუჯუნა.

მარტვილის მაზრაში შედიოდა: მარტვილი, გორდი, ინჩხური, ხუნწი, ჟუშქი, კინჩხა, ბალდა, საელიავო, ქვაითი, ბომბოთი, ნალეფსოუ, პირველი ნახუნუ, მეორე ნახუნუ, მესამე ნახუნუ, აბედათი, ნაჯავახოუ, პირველი ნაგვაზოუ, მეორე ნაგვაზოუ.

ჯვარის მაზრაში გაერთიანდა სოფლები: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგურუუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ჯუმითი, ლეწურწუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი,

ჟინოთა, ლეცავე, წაჩხურუ, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოღა, მუ-ხური, ლექარჩე, ნაკიკიანი, ნაჯაგუუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსა-მე, დოშაკი, კიწია, მოიდანახე, ნოღა. (იხ. ი. მეუნარგია, დასახელე-ბული ნაშრომი, გვ. 112).

ოდიშის სამთავროს ასეთი დაყოფა ემსახურებოდა მთავრის ძალაუფლების გაძლიერებას. მოურავობა თუ მემკვიდრეობით გადადიოდა, მდივანბეგს მთავარი ნიშნავდა. ჯვარის მაზრის მდივანბეგი 1844 წლამდე იყო გიორგი დადიანი; ის დაკრძალუ-ლია სოფელ კურზუში. ივანე ოტიას ძე ჩიქოვანი მდივანბეგი იყო 1845-1851 წლებში, სიმონ ჩიქოვანი- 1852-1854 წლებში, ის იმავ-დროულად უმაღლესი სასამართლოს მდივანბეგიც იყო. კაცია გი-ორგის ძე დადიანი 1855-1856 წლებში ასრულებდა ჯვარის მაზ-რის მდივანბეგის ფუნქციას (იხ. კავკასიის კალენდარი, 1850-1857 წლების გამოცემა).

თითოეული მაზრა დაყოფილი იყო რამდენიმე სამოურავოდ. თითოეულ სოფელს თითო მოურავი ჰყავდა.

მოურავებს მთავრის ნაცვლებს ეძახდნენ. ისინი სამოურავოში იცავდნენ წესიერებას. მათზე საჩივარი, ან მაზრის მდივანბეგთან შეჰქონდათ, ან მთავართან.

ჯვარის მაზრის სოფლების ჩამონათვალში დასახელებული არ არის ოჩე, სალხინო და სკურდი: 1841 წლამდე ოჩე, დიდი ჭყონი, სალხინო, სკურდი და გაჭედილი- სხვა, რომელიღაც სოფლის, ან სოფლების შემადგენლობაში შედიოდა.

გ. ბასილაიას მტკიცებით: ,,1845 წლისთვის ჯვარის მაზრის შემადგენლობაში ლეცავე, ჟინოთა და წაჩხურუ ისეთივე დამო-უკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა, როგორც თავად სალხინო, კურზუ, კიწია და თამაკონი“ (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

ევგენი ბართაია წერს, რომ სალხინო სოფელს 1882 წელს დაერ-ქვა (იხ. ,,ადამიანები და საქმეები“, თბ. 1963 წ. გვ. 23).

გივი ელიავას განმარტებით, სალხინო ოდესღაც დაბურული ყოფილა ჩვეულებრივი ხურმისა და ჭუტა ვაშლის შესანიშნავი, ნათელი ტყით. ხურმისა და ჭუტა ვაშლის ასწლოვან კორომებს შემოხვეული ჰქონია ოჯალეშისა და ხვანჭკირის ჯიშის ვაზი. ამი-ტომ სოფლის ცენტრს დღესაც უძველეს სახელწოდებას-ოჯალეშს

ეძახიან, ხოლო მისი აღმოსავლეთით გორაკებიან ზეგანს- ხვანჭკირს (იხ. გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 138).

ლევან V დადიანამდე (1804-1840) სალხინოში ფიცრული სახლი მდგარა. ამის შესახებ ი. ბატონიშვილი წერს: ,,იმ დროს დადიანს სალხინოში არ ჰქონდა კარგი სასახლე. წვიმა ატანდა და შიგნითაც ატალახებული იყო"; თუ რატომ არ ჰქონდათ უკეთესი სახლი ავტორისთვის მთავრის პასუხი მოყავს: ყოველთვის არა ვდგებით აქა და ცოტახნისათვის რაღა უნდა ვიხმაროთ ღონე"-ო. (იხ. ი. ბატონიშვილი, ,,კალმასობა", ტ. 2, თბ. 1991 წ., გვ. 415).

სალხინოს სასახლის მშენებლობის დროს, სასახლის უფროსი კომენდანტი იყო ჟინოთელი თავადი ბეჟან დგებუაძე. სამუშაოდ გამოყვანილ ხარ-კამეჩს მეზობელი სოფლის გლეხობა ბეჭვაიებს აბარებდა. (იხ. ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63)

ივა ხურცილავა, რომლის მონაყოლიც ჩაიწერა იონა მეუნარგიამ, 1873 წლის აღწერის მიხედვით ცხოვრობდა სალხინოში; იყო აზნაურ შავდიას დროებით ვალდებული გლეხი. ივას ოჯახი შედგებოდა 3 კაცისა და 5 ქალისაგან. ე.ი. სენაკის მაზრის სალხინოს საზოგადოებაში უკვე არსებობდა სოფელი სალხინო (იხ. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 813).

ჟურნალ ,,კავკასიის კალენდარ"-ის 1871 წლის გამოცემაში შესულია ამიერკავკასიის გზების რუკა. ამ რუკაზე სალხინო მდებარეობს ქუთაისი-ჯვარის გზაზე. ამავე კალენდრის 1883 წლის გამოცემაში წერია, რომ 1874 წლის მონაცემებით, სალხინოში ცხოვრობდა 703 სული. სოფელში არსებობდა 2 ეკლესია, სასოფლო საზოგადოება; ნამიკოლაოში ცხოვრობდა 1431 სული. სოფელში არსებობდა 2 ეკლესია; კიწიაში ცხოვრობდა 1500 სული. სოფელში არსებობდა 2 ეკლესია; გურძემში ცხოვრობდა 1550 სული. სოფელში არსებობდა 3 ეკლესია.

1841 წლამდე სოფლები ამა თუ იმ საერო, თუ საეკლესიო ფეოდალის რეზიდენციის ირგვლივ ერთიანდებოდნენ. დადიანების სასახლე, ონტყოლესა და წაჩხურუს სამკუთხედი ყოველთვის რომელიღაც სოფლის ნაწილი, უბანი იყო. სალიპარტიანოს მოურავები იყვნენ დგებუაძეები. იონა მეუნარგიას განმარტებით სოფელი სალხინო არ არსებობდა ჯვარის მაზრაში.

ევგენი დგებუაძე

საქართველოს ისტორიაში არაერთ ადამიანს შეუმოსავს თავისი სიცოცხლე დიდების შარავანდებით და ქვეყნის სულიერი ცხოვრების დიდი ისტორია შეუქმნია. ძველთაგან ნათქვამია: დრო საფლავის გორაკებს შლისო, მაგრამ ჟამთა სიავემ, ჩვენი მეხსიერებიდან ვერ ამოშალა იმ ადამიანთა დიდებული სახელები, რომლებსაც დიდი ქართული კულტურის შესაქმნელად უშრომიათ, ოფლი უღვრიათ.

ჟურნალ ,,ცისკრის" 1861 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა ევგენი დგებუაძის პოემა-,,ოფოფი". ევგენი წერდა ლექსებს და იგავებს. მან თარგმნა მეგრულ ენაზე ,,გლეხთა განთავისუფლების მანიფესტი". მას ახლო სამსახურეობრივი ურთიერთობა ქონდა თბილისში ბარონ ნიკოლაისთან, რომელიც იყო რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, სოფიოს მეუღლე. ბარონ ნიკოლაის ნათლული იყო ევგენის ვაჟი, ნიკოლოზი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მემამულესა და გლეხებს შორის არსებული ყოველგვარი დავა უნდა გადაეჭრა მომრიგებელ შუამავალს.

1864 წელს თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა ილია ჭავჭავაძე. ამ დანიშვნის გამო იონა მეუნარგია წერს: ,,ამაზე უკეთეს ადგილს ილიასათვის კაცი ვერ კი წარმოიდგენდა, მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის, გლეხი კაცის მამაა, მისი ,,მფარველი ანგელოზი", როგორც ამბობდნენ იმ დროებში, როცა თანამდებობა არსებობდა. კანონი იმას სდებს, იაროს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი, და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე სომხეთში, როგორც დღეს არის, მაგალითად, გადავარდნილი ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდამ ორ ნაბიჯზე."

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, მისმა მეუღლემ, ოლღა გურამიშვილმა სასამართლოს მკვლელების შეწყალების თხოვ-

ნით მიმართა. ოლღას ამ საქციელმა რუს მწერალ გორბუნოვ-პოსადინს ათქმევინა: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან, საქართველოდან ამოაშუქა.

საქართველოში, მშობლიური ტეხურის ხეობაში, დუტუ მეგრელის სუჯუნაში, გლეხთა აჯანყებებით რუსეთის იმპერიაში ცნობილი სენაკის მაზრაში, იქ სადაც აჯანყებულმა გლეხებმა მოკლეს ევგენის მამა- პირველი მომრიგებელი შუამავალი იყო ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძე. ის დაჯილდოებული იყო სტანისლავისა და წმინდა ანნას ორდენებით. ჯილდოს ხელს აწერდა რუსეთის მეფე ალექსანდრე II. ამ ორდენებით იგი დაჯილდოვდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. (იხ. მარტვილის მუზეუმი, დოკუმენტები: ა-1938 და ა-1939).

სამეგრელოში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობა დაწესდა 1868 წელს. ევგენი დგებუაძე გარდაცვალებამდე მუშაობდა ამ თანამდებობაზე (იხ. ,,КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ“-ის 1868-1882 წლების გამოცემები).

,,1872 წლის 30 მაისს სენაკის მაზრის ნოღისა და კიწიის საზოგადოების მცხოვრებლებს 364 ოჯახის ,,მეუფროსეთა ყრილობაზე ქონიათ სჯა იმაზედ, რომ ,,ეხლანდელ მდგომარეობასა შინა“ სოფლის საზოგადოებას აკლია ,,საშუალობა“ მწერლის ქირაობაში, სოფლის სასამართლოსთვის შენობის აღშენებისთვის“ და ,,გახსნისთვის შკოლისა, მაღაზინებთა“. ამისთვის ერთი ხმით გარდავსწყვიტეთ, უსთხოვოთ უფალი მიროვის პოსრედნიკს (მომრიგებელ შუამავალს) მესამე ოტდელისა (განყოფილებისა) სენაკის ,,ვეზდისა“ (მაზრისა) ,,კნიაზ“ (თავად) ევგენი დგებუაძეს, რათა მან განსადიდებლად საშვალობასა ზემო აღწერილ საგანზედ რომელ იშუამდგომლოს კიწია, დოშაყე, ნოღა, ლეგოგიე, ალავერტი შედგეს ერთ საზოგადოებად რომლისა ჩვენ თანახმა ვართ“-აღნიშნავენ ისინი“ (იხ. ანზორ სიჭინავა, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, 2020 წ, გვ. 18).

ოდიშის სამთავროში დავით ლევანის ძე დადიანამდე არ იყო კანცელარია. მის დროს შეიქმნა ქართული და რუსული კანცელარიები.

ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძე სწავლობდა მარტვილის სასწავლებელში, ,,მამამისს ის გაუგზავნია ქუთაისს ექვთიმე წერე-

თელთან, რომელიც გუბერნიის მმართველობის სეკრეტარი იყო, ამ უკანასკნელს კი გაუმწესებია ჯამაგირზე უეზდის (სამაზრო) სასამართლოს მწერლად 120 მანეთად წელიწადში. ეს რომ მთავარს შეუტყვია, დაუბარებია მამამისი და უთხოვია მისი შვილი მოეყვანა და მთავრის კანცელარიაში დაეყენებია. მამამ მთავრის თხოვნა ბრძანებად ჩათვალა და ის მაშინვე წავიდა ქუთაისს, მაგრამ იქ ურჩიეს, ნუ წაიყვან, სწავლას მოცდებაო, გაფუჭდებაო და მამა ხელცარიელი დაბრუნდა. ეს რომ მოხსენდა მთავარს, ბრძანა: ოთხი მოსახლე გლეხი ჩამოართვით დგებუაძეს, სანამ შვილი არ მოიყვანოსო. მეტი გზა არ იყო, ქუთაისის უეზდის სასამართლოდან ევგენი დგებუაძე მთავრის კანცელარიაში გადმოიყვანეს“, წერს იონა მეუნარგია. (იხ. ,,სამეგრელო დავით დადიანის დროს“, თბ. 1939 წ. გვ. 33-34).

ექვთიმე წერეთელი იყო ცნობილი მწერლის, გიორგი წერეთლის მამა. უცნობია, ევგენი დგებუაძე დავით დადიანის გარდაცვალების მერე გახდა რუსული კანცელარიის უფროსი თუ, მის სიცოცხლეში.

1855 და 1856 წლებში გამოცემულ ,,КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ“-ში აღნიშნულია, რომ ევგენი დგებუაძე ხელმძღვანელობდა სამეგრელოს სამთავროს რუსულ კანცელარიას.

მარტვილის მუზეუმში ინახება ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ ევგენი დგებუაძისადმი 1857 წელს გაგზავნილი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ევგენი დგებუაძე ხელმძღვანელობდა რუსულ კანცელარიას (იხ. ხელნაწერთა ფონდი, დოკ. ა-1942, მიმართვა ეკატერინე ჭავჭავაძისა ევგენი დგებუაძისადმი).

კორნელი ბოროზდინის წიგნიდან ირკვევა, რომ ევგენი დგებუაძე სამეგრელოს საბჭოს კანცელარიაშიც მუშაობდა (კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრომი გვ. 255).

სამეგრელოს საბჭოში ევგენი დგებუაძე ჯერ ციხე-სიმაგრეთა საქმეების მეთვალყურედ მუშაობდა, შემდეგ კანცელარიის უფროსად (იხ. ,,КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ“-ის 1860-1867 წლების გამოცემები).

მარტვილის მუზეუმში არსებულ ,,სტენდზე გამოფენილია სამთავრო კარის უკანასკნელი დიდი მოხელეების-სახლთუხუცესების-ევგენი დგებუაძის, დავით ჩიქოვანის ფოტოები; მათ ქვე-

მოთ სალომე დადიანის სავარძელი დგას (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 126).

ევგენის მეუღლე იყო სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის სახლთუხუცეს ივანე ჩიქოვანის ქალიშვილი-სოფიო ჩიქოვანი.

ევგენი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია დიდი ჭყონის სასაფლაოზე, სადაც შემონახულია საფლავის ქვა წარწერით: ,,სამეგრელო, ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძე, სასარგებლო თანამედროვე ძე მამულისა. დაიბადა 24 დეკემბერს 1832 წელსა, მიიცვალა 1882 წლის 9 ნოემბერს".

მარტვილის მუზეუმში ინახება ევგენი დგებუაძის გარდაცვალების მოწმობა N3288 (იხ. დოკ. 1937).

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება

სამეგრელოს გლეხთა 1856-57 წლების აჯანყებაზე ბევრი ნაშრომია დაწერილი. აჯანყებაზე საუბარია ბეჭდურ, ელექტრონულ ენციკლოპედიებსა თუ სხვადასხვა სახის ცნობარებში.

აჯანყების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს მღელვარება, რომელიც ჩაისახა 1856 წლის შემოდგომაზე თამაკონის (ნამიკოლაოს) ყმა-გლეხებში, რომელიც ეკუთვნოდა თავად ჩიქოვანს. (დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წ. წ. თბ. 1957, გვ. 70).

დავით ახალაია წიგნში ,,წარსული ცხოვრების ფურცლები" სწერს: ,,ამბოხების თანამედროვე თედო ხოშტარიას ჩვენებით თამაკონში (ნამიკოლაოში) გლეხების გამოსვლა ჯერ კიდევ არ იყო ჩახშობილი, როცა დაიწყო მღელვარება სალხინოში სამთავრო ყმა-გლეხებს შორის. აჯანყება იწყეს თამაკონელმა გლეხებმა თავად ჩიქოვანებისამ, რომლებიც უსამართლო მოპყრობას მიზეზად იჩემებდნენ...მაგრამ ვინემ ისინი დაწყნარდებოდნენ, თავი იჩინა მეორე ახალმა ამბოხმა თვით მთავრიანს... სადედოფლო მამულში, სალიპარტიანოსა, და იქვე სალხინოს მთელი ხალხი შეგროვდაო ათასობითო...(საქ. ც. ს. ა. ძველი საბუთთა განყოფილება, ფონდი 1462, ფურც. 59). ესაა პირველი სანდო ცნობა თანამედროვისა". (დ. ახალაია, ,,წარსული ცხოვრების ფურცლები", ქუთაისი 2018 წ. გვ. 153).

სალხინოს სასახლის მშენებლობაზე მოყვანილ გლეხებს დედოფლის წისქვილში უმინდოდ სიმინდსაც არ უფქვავდნენ. არ აძლევდნენ საჭმელს, სამუშაო იარაღს, ბინას. გლეხებისგან არჩეულმა დეპუტაციამ ბაჟისაგან განთავისუფლება სთხოვა გრიგოლ დადიანს, მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მიიღო. გლეხებმა მუშაობა შეწყვიტეს. სახლთუხუცესმა ძალის გამოყენება სცადა, მაგრამ აჯანყებულებმა მისი მოხელეები სცემეს და გააქციეს.

ლიასა და ჯვარში აჯანყების დაწყების საბაბი გახდა გრიგოლ დადიანის განკარგულება, ხსენებული სოფლებიდან გლეხების აყრისა და იქ საფუტკრის გაშენების შესახებ. ისინი მართლაც აყარეს ამ ათვისებული მიწებიდან.

აჯანყებულებზე ვიცით, რომ უტუ თოდუა იყო სოფელ წაჩხურუდან. არქიმანდრიტი თეოფანეს განმარტებით: 1852 წელს წაჩხუროს მთავარანგელოზის ეკლესიაში მრევლის რაოდენობა იყო 210 კომლი, საიდანაც ნახევარი მდინარე ტეხურას გაღმა ცხოვრობდა. (იხ. ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკ. 7602).

აჯანყებულთა სათათბირო ორგანოს- ,,სხუნუს“ თავკაცები იყვნენ სქვამაია ნადარაია, შუკოჩია კილასონია და გვატი გადილია. თავდაპირველად აჯანყდა 7 სოფელი. აჯანყებულთა სალხინოდან კიწიაში გადაადგილების წინ 16 სოფელი იყო აჯანყებული.

სერგი მაკალათია აღნიშნავს: გლეხების აჯანყება თანდათან ფართო ხასიათს იღებდა. ამ მოძრაობას ჩქარა სათავეში ჩაუდგა არალეგარული წრე ,,სხუნუ“, რომელიც შედგებოდა სამი წევრისაგან. მეამბოხე გლეხები დაბანაკდნენ სალხინოსა და კიწიის საზღვარზე, სადაც აღმართეს წითელი დროშა ,,შილა“ და მეთაურად აირჩიეს მეჭურჭლე გლეხი უტუ თოდუა, რომელსაც უწოდებდნენ ,,მართალ“ თოდუას. მეამბოხე გლეხობას ახლა მთელი სალიპარტიანო გვერდში ამოუდგა. სალხინოდან 4.000 კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა ლაშქარი ,,ურდუმი“ უტუ თოდუას მეთაურობით გადავიდა წალენჯიხაში. (სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1992 წ. გვ. 157).

დიმიტრი ლემონჯავას წიგნში აღნიშნულია: უტუ თოდუა იყო წაჩხურუდან, გააზატებული სამთავრო ყმა, ჯამ-ჭურჭლის ხელოსანი. ზოგიერთი ცნობით თოდუა შედიოდა ,,სხუნუს“ შე-

მადგენლობაში. (დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოშო, თბ. 1970 წ. გვ. 6). ორულე-ეწერში შეკრებილმა აჯანყებულებმა წაჩხურუს საყდრიდან გამოტანილი ხატის წინაშე დადეს ფიცი, რომ იქნებოდნენ ერთმანეთის ერთგულნი და დადგებოდნენ ყველანი ერთისათვის (იქვე, გვ. 185).

გოგილო ბასილაიას მტკიცებით: ,,გარკვეულია, რომ სხუნუს შექმნის საფუძველი უტუ თოდუას სახლში ჩაეყარა. მისი შემადგენლობა იქვე, ან წაჩხურუს ფერდობზე იკრიბებოდა“ (გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 64). სიტყვები-,,ურდუმი“, ,,სხუნუ“ და ,,შილა“ იშვნენ სოფელ სალხინოში (იქვე, გვ. 74).

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით სერგი მაკალათია ამტკიცებს რომ, სალიპარტიანოში აჯანყებულ გლეხთა ,,ურდუმი“ დაბანაკდა დღევანდელი დიდი ჭყონის თემის ტერიტორიაზე, აქ აღმართეს წითელი დროშა ,,შილა“. (იხ. ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157).

,,ალექსი ალშიბაიას ახსოვს უტუ მიქავა და გლეხების ამბოხება სამეგრელოში. ის მაშინ ყოფილა 10-12 წლის. კურზუდან უტუს ჯარში მოქმედებდა ისიდორე ფირცხალავა, ნაფიჩხუდან კი ხუტაია ბერია-ო. მიქავამ მებატონეებს მსახურები წაართვა. ჩვენი ოჯახიდან გააქციეს შინა-მოსამსახურე 10 წლის კოკია გაბისონია. ბავშვი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და ამის გამო ალექსის დედას წერილი მიუწერია უტუსთვის და ეს წერილი დედას გაუტანებია ალექსისთვის, რომელიც მისულა დიდი ჭყონში, სადაც უტუ თავისი ჯარით მდგარა (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941 წ. გვ. 243).

აჯანყების მონაწილეების გუჩურ ჟვანიასა და პიხვინია გადილიას ჩვენებების საფუძველზე კოლხიდელი წერს: ,,ეს აბობოქრებული მასა წაჩხურუს ეკლესიის გალავანში ფიცის მიღების შემდეგ, დაბანაკდა ,,კირილ-ხინჯში“, სალხინოსა და კიწიის საზღვართან, აქ აღმართეს წითელი დროშა ,,შილა“ და მეთაურად აირჩია მებატონის ყოფილი ქეშიკი უტუ თოდუა“ (მ. კოლხიდელი, ,,გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა“, თბ. 1926 წ. გვ. 36).

ადგილობრივ ხანდაზმულთა ნაამბობი: ჟინოთაში დიდ მუხასთან ,,ჩაუტარებიათ შეკრება უტუ მიქავასა და უტუ თოდუას

და აქედან წასულან დადიანების დასარბევად (იხ. პ. ცხადაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33).

ზემოთაღნიშნული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შტაბი მდებარეობდა დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრში.

ისტორიკოს ლია გულორდავას მტკიცებით, სათათბირო ორგანო ,,სხუნუ“ სალხინოში გლეხთა აჯანყების დაწყებამდე მოქმედებდა. (იხ. ლია გულორდავა, რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა 1803-1867 წლების სამეგრელოს სამთავროში, გვ. 232, დისერტაცია).

მ. კოლხიდელის განმარტებით ხალხოსნურ იდეებს გაერთიანება ,,სხუნუ“ აჯანყების დაწყებამდე ავრცელებდა. (მ. კოლხიდელი, გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, თბ. 1926 წ, გვ. 35). სანამ სამეგრელოში აჯანყება დაიწყებოდა, მანამდე მოქმედებდა საიდუმლო ორგანიზაცია ,,სხუნუ“ რომელიც შედგებოდა 3 წევრისგან სქვამაია ნადარაიას, შუკოჩია კილასონიასა და გვატი გადილიასგან (იქვე, გვ. 35). პირველად ამ წრეში ჩაისახა აზრი სალხინოს სასახლის შესაკეთებლად გამოძახილი მუშების გაფიცვისა, სამთავროს მმართველის დროებით მოადგილე გრიგოლთან დეპუტაციის გაგზავნისა და სხვა. (იქვე, გვ. 75).

,,როდესაც გლეხებმა სალიპარტიანო აიღეს, მაშინ უკვე მოწყობილი იყო ასაფეთქებელი ნიადაგი ,,სამანჩოში“ (დღევანდელი წალენჯიხის რაიონი), არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის შუკოჩია კილასონიას მიერ, წალენჯიხის მცხოვრებ მთელ ,,ლაკადაში“ (ზემო სამეგრელო) ცნობილ უტუ მიქავასთან. (კოლხიდელი, იქვე, გვ. 36).

1873 წლის აღწერის მონაცემებით, შუკოჩია კილასონია ცხოვროდა სოფელ კიწიაში, იყო ივანე და სპირიდონ დგებუაძეების ვალდებული გლეხი. (იხ. ქ. ც. ა, ფონდი N8, ანაწერი 1, საქმე 813). აღსანიშნავია, რომ 1926 წლამდე კიწიის შემადგენლობაში შედიოდა ლედგებე. მისი სახელწოდება იყო-კიწია III.

სათათბირო ორგანოს - ,,სხუნუს“ მეორე ხელმძღვანელი სქვამაია ნადარაია ხალხური მელექსის გადმოცემით ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა:

,,სქვამაიას მიძახუდეს,
დო მართალო ვორდი სქვამი,
ერთი-მორთი ქილორიში,
კიპაროზიშ მიღუდ ტანი“.

სქვამაია ნადარაიას შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სოფელ ლედგებში. (იხ ფ. ნადარაია, ნადარაიების გვარის ისტორია, გაზეთი მარტვილი, 13 მარტი, 2016 წ).

1857 წლის 13 მაისს, ეკატერინე ჭავჭავაძესთან შეხვედრაზე შეგნებულად არ მივიდა უტუ თოდუა. ,,სქვამაიას სიტყვა არ ქონდა დამთავრებული, როცა ატყდა ჩოჩქოლი. თურმე დედოფლის ამალის წევრები შეეცადნენ მის დაჭერას, რასაც დროულად მიუხვდნენ. ამ დროს ხის ტოტზე ჩამომჯდარმა ვიღაც კიწიელმა გადილიამ ჭყონდიდელს ჩამოსძახა: ,,შენ ჩვენი სულიერი მამა კი არა, დედოფლის მსახური ხარო“ (გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 67).

ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტებით მტკიცდება: 1) სალიპარტიანოში აჯანყებული გლეხები თავდაპირველად შეიკრიბნენ ორულე-ეწერის ველზე (იხ წაჩხურუს ყმა-გლეხის ნატული ბერიშვილის ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ჩვენება; ლემონჯავა დასახელებული ნაშრომი, გვ. 185). 2) სალხინოს სასახლის დაკავებისა და ორულე-ეწერის ველზე ფიცის მიღების შემდგომ, აჯანყებულთა ,,ურდუმი“ დაბანაკდა სალხინოსა და კიწიის საზღვარზე, სადაც აღმართეს წითელი დროშა ,,შილა“. 3) უტუს ჯარი დაბანაკებული იყო დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრში. 4) სათათბირო ორგანო ,,სხუნუ“ იშვა სოფელ ლედგებში. 5) სამეგრელოს 1856-1857 წლების აჯანყება დაიწყო და დასრულდა სოფელ ნამიკოლაოში. 6) ისტორიული რეალობაა-ერთი სოფლის ფარგლებში ვერ ეტევა სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. 7) უტუს ჯარმა გაიარა სამეგრელოს ყველა სოფელში.

აჯანყება დამარცხდა, სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობა გაუქმდა; აჯანყებულთა მოთავეები დააპატიმრეს და გადაასახლეს. სამეგრელოდან ბევრი წავიდა საცხოვრებლად: აფხაზეთში, სვანეთში, გურიაში თუ იმერეთში. ჩვენს სოფელში დასახლებულა უჩარდია კუკავა, რომელსაც გამოუცვლია გვარი. მისი

შთამომავლები არიან დიდი ჭყონელი კუკანიები (იხ. შ. კუკანია, ხელნაწერი ისტორია).

აჯანყების დასრულების შემდგომ: განთავისუფლდა რამდენიმე ათასი ყმა, მიეცა მათ დაქორწინების უფლება, მოისპო ყმების ყიდვა-გაყიდვა. მოქალაქეებს მიეცა უფლება, სადაც უნდოდათ იქ დასახლებულიყვნენ, ოღონდ ბეგარა უნდა ეკისრათ. ორი ბატონის მსახურება შეიცვალა ერთის მსახურებით.

ვიზიარებ ისტორიკოს ლია გულორდავას მოსაზრებას: ,,რუსეთის იმპერიას მიუძღვის ლომის წილი 1856-1857 წლების აჯანყების: 1) დაწყებაში; 2) პროცესის ესკალაციაში; 3) სისხლიანი ანგარიშსწორების მომზადებასა და; 4) ჩახშობაში. (ლ. გულორდავა, რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა 1803-1867 წლების სამეგრელოს სამთავროში, გვ. 221, დისერტაცია).

1857 წლის 1 აგვისტოს სამეგრელოში შემოვიდა რუსეთის ჯარი და გამოქვეყნდა მეფისნაცვლის ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ უნდა შეიცვალოს სამეგრელოს სამთავროს არსებული ხელისუფლება სამეგრელოს საბჭოთი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იპოლიტ დიუკრუასი. ამ საბჭოში შევიდა 2 რუსი მოხელე, 2 მეგრელი თავადი და ერთი მეგრელი აზნაური.

ოდიშ სამთავროს დე-ფაქტოდ გაუქმებას, რუსი ჯარის შემოსვლას სამეგრელოში მოყვა თავად-აზნაურების უკმაყოფილება. 1857 წელს სამეგრელოს თავად-აზნაურობამ თავისი პროტესტით მოაგონა რუსეთის მთავრობას, რომ მან დაარღვია ხელშეკრულება და ფეხით გათელა შეხედულება რუსეთის ქვეშერდომობის შესახებ.

1857 წლის 26 აგვისტოთი დათარიღებულ მოხსენებაში სახელმწიფო მრჩეველი დიუკრუასი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ატყობინებს: სოფელ ჭაქვინჯში, გლეხის ქოხის სხვენში იმალებოდა გიორგი დადიანი, რომელიც ხალხს აჯანყებისკენ აგულიანებდა და ის დააპატიმრეს; მან ჩვენება მისცა თავად ბეჟან დგებუაძის წინააღმდეგ, რომელიც ზუგდიდში აპირებდა მღელვარების მოწყობას, თუმცა ეს გამოსაძიებელია.

მოხსენებიდან ირკვევა: არეულობა უნდა მომხდარიყო 28 რიცხვში, კვირა დღეს ზუგდიდში ბაზრობისას. დიუკრუასი კაპიტან სერედინს ავალებს ბეჟან დგებუაძის დაპატიმრებას და მას-

თან მიყვანას. ის დგებუაძეს მოიხსენიებს სალიპარტიანოს მმართველად (იხ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. XII, თბ. 1904 წ, გვ. 316).

უცნობია რუსებმა რა გამოიძიეს. ბეჟან დგებუაძე ცხოვრობდა სოფელ ჟინოთაში, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, იყო ევგენი დგებუაძის მამა.

კორნელი ბოროზდინის წიგნში გამოქვეყნებულია ევგენი დგებუაძის სიმამრის სურათი. რუსეთის იმპერიის ერთგული მოხელის ყურადღება ივანე ჩიქოვანმა მიიქცია სოფელ ზანაში მოწყობილი აჯანყებით: დედოფლის ერთგული ჩიქოვანი ვერ შეეგუა ეკატერინეს რუსეთში გასახლებას და გადაწყვიტა რუსების სამეგრელოდან გაძევება. ამბოხისთვის ივანე ტამბოვში გადაასახლეს.

ზანაში აჯანყების ჩაქრობის შემდგომ ეკატერინე პეტერბუგში გაიწვიეს. სამთავრო გაყვეს სამ ოლქად: ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმისა. 1867 წელს გაუქმდა ოდიშის სამთავრო. სენაკის და ზუგდიდის მაზრები ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

ნამიკოლაოს გლეხთა აჯანყება

ნამიკოლავო ისტორიული სახელია ტეხურის ხეობაში მდებარე სოფლისა და ხშირად დღესაც გამოიყენება ნამიკოლავო პირველისა და ნამიკოლავო მეორის გამაერთიანებელ სახელად. დღევანდელი ,,ნამიკოლავო მეორე“-ს ტერიტორიაზე არსებობს ტოპონიმი- ,,ბეჟაშ გინაuვილა“ (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 142).

აჯანყების თანამედროვე თედო ხოშტარიას ჩვენებით, სამეგრელოს გლეხთა აჯანყება დაიწყო და დასრულდა სოფელ ნამიკოლაოში. ვინაიდან სოფელი ნამიკოლაო თამაკონის თემში შედიოდა, ისტორიაში ცნობილია როგორც თამაკონის გლეხთა აჯანყება.

1819 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა მდივანბეგ როსტომ ჩიქოვანს 5 კომლი გლეხი აჩუქა: ,,გიბოძე თამაკონს ხუთი მოსახლე კაცი“ (ესენია: სვიმონიკა, ჯოღორია, ძღვაკა, გო-

გიელა ჯანაშიები და დედულია ფაცაცია (იხ. მხარეთმცოდნე II, გვ. 54).

ჯანაშიების და ფაცაციების 5 კომლის ვალდებულება თავად ჩიქოვანის მიმართ ის იყო, რომ მათ ყოველ წელს 100 კოკა ღვინო და 10 ღორი უნდა გადაეხადათ.

5 კომლი დროთა განმავლობაში 23 კომლად იქცა. როსტომის შვილებმა გლეხებს 460 კოკა ღვინო და 46 ღორი მოსთხოვეს. გლეხებმა საჩივრით მიმართეს მაზრის უფროსს, გუბერნატორს, მეფისნაცვალს. უყურადღებოდ დარჩენილმა გლეხებმა უარი თქვეს გადასახადის გადახდაზე, რადგან ჯანაშიებისა და ფაცაციების გამრავლებას არ მოჰყოლია მიწის ნადელების გადიდება.

,,1863 წლის გლეხთა ამბოხება თამაკონში როგორც თარიღისა, ისე აგრეთვე მისი წარმოშობის სოციალური მოტივების მიხედვით, უნდა ჩაითვალოს 1857 წლის სამეგრელოს გლეხების ცნობილი აჯანყების, კერძოდ ნახუნუსა და საჩიჩუოს, აჯანყების თითქმის უშუალო გაგრძელებად. (შ. ჩხეტია, გლეხთა აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის 1937 წ. ნაკვეთი I, გვ. 112).

ოფიციალურ საბუთებში ეს აჯანყება ცნობილია ჯანაშიების და ფაცაციების აჯანყებად, მაგრამ მთავარ როლს ამ აჯანყებაში თამაშობდნენ ჯანაშიები. ხელისუფლების აზრით, აჯანყებამ იფეთქა იმ რაიონში, რომლის მოსახლეობაც მოუსვენარი ხასიათითაა ცნობილი. აქ ყოველთვის პირველად დაიბადებოდა ხოლმე ხელისუფლების საწინააღმდეგო აღმაშფოთებელი მოძრაობა.

1863 წლის მაისის დასაწყისში ჯანაშიებმა და ფაცაციებმა კრება მოიწვიეს და ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ გადასახადებს არ გადაიხდიდნენ და მებატონეებს არ დაემორჩილებოდნენ, ხოლო თუ ჩიქოვანები მოისურვებდნენ ძალით გადასახადების აკრეფას და მათ დამორჩილებას, იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გლეხები შეუდგნენ სოფლის გამაგრებას და იარაღის მომზადებას.

გლეხებმა შექმნეს საბჭო, სადაც: ცნობების მიმწოდებელი იყო ხახულია ჯანაშია, ხალხის შემკრები-სოფრომიკა ჯანაშია, ხელისუფლებასთან მისაგზავნი პირი-ნიკოია ჯანაშია და სხვა. თუ რამდენი კაცისაგან შედგებოდა საბჭო უცნობია. მოძრაობის მეთა-

ურები იყვნენ გამოძიების მიერ მთავარ დამნაშავეებად მიჩნეული-ბოშინია ჯანაშია, გულა ჯანაშია, ბათაია ჯანაშია და ხახულია ჯანაშია. საბჭო იკრიბებოდა ბათაია ჯანაშიას სახლში.

,,როცა ფაცაციების და ჯანაშიების საზოგადო კრებამ აირჩია ,,სხუნუ", სხუნუში გაერია ვინმე რუხაია, რომელიც ჯოღორია მოურავის კაცი ყოფილიყო. ამ კაცს ჯოღორიასთვის მიეტანა სხუნუს გადაწყვეტილება. ხალხმა მოითხოვა მისი გაძევება. როცა სხუნუ წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას, მაშინ ისევ შეიკრიბა ,,საზოგადოში კრება", აირჩია ,,სხუნუს" ახალი შემადგენლობა, გააძევა საზოგადოებიდან რუხაია და ,,დუდ-მანჯღვერად" კოჩია ჯანაშია აირჩია" (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, I ტ. 2022 წ. გვ. 791).

აჯანყებით შეშფოთებულმა გუბერნატორმა ბრძანა: აჯანყება ჩანასახშივე უნდა იქნეს მოსპობილი.

,,9 მაისს სოფ. თამაკონში ჩავიდა ოკრუგის უფროსის მოადგილე ნანეიშვილი 10 კაზაკის თანხლებით" (იხ. ქუთაისის არქივი, ფონდი 8, საქმე 1235, ფურც. 27-28).

ნანეიშვილმა სოფლის ხელოსანი გაუგზავნა აჯანყებულებს და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა მათ; გლეხებმა ხელოსანი დააკავეს. ამის შემდგომ მათ აზნაური გუტა ცაგურია მიუგზავნა, მაგრამ- უშედეგოდ.

საქმეში სენაკის ოლქის უფროს ბოროზდინის ჩარევა, საოლქო ხელისუფლების სიჯიუტე, ქართველებს ძვირად დაუჯდათ: 1863 წლის 10 მაისს ნაფოსტარის ხიდთან გლეხებსა და კაზაკებს შორის ატეხილ სროლაში დაიღუპა თავადი ბეჟანა დგებუაძე. დაიჭრნენ მისი თანმხლები პირები, აზნაური გიორგი დგებუაძე და გლეხი გუთუ კვაშილავა. სენაკის ოლქის უფროსმა ბოროზდინმა 150-200 აჯანყებულს, რომლებსაც რუსებისთვის არც უსვრიათ, 700-800 კაცისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები მიუსია. სოფელი სულერთიანად გადაწვეს და გააპარტახეს. დაზარალებულთა მოწმობით, მოწინააღმდეგეს დაუწვავს 29 სახლი, ,,თავისი მოწყობილობებით", 13 ნალია ,,სიმინდითა და ფეტვით გავსებული", 300 საწნეხელი, საწოლი და ტანისამოსი. გარდა ამისა, მათ წაუსხამთ შინაური საქონლის დიდი რაოდენობა. გლეხებმა იარაღი დაყარეს. დაიწყო რეპრესიები; დააპატიმრეს 30-40 კაცი. აქედან ხუთი

გასამართლებამდე გარდაცვლილა, 13 პასუხისგებაში მიუციათ. პასუხისგებაში მიცემული გლეხებიდან ზოგს ციმბირში გადასახლება მიესაჯა, ზოგს- სასჯელის უმაღლესი ზომა-ჩამოხრჩობა. (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. თბ. 1970 . გვ. 246-249).

გივი ელიავა წერს: ,,ფაცაციების და ჯანაშიების მრისხანე აჯანყებამ მეფის ხელისუფლება ისე შეაშფოთა, რომ რეგულარული არმიის ორი პოლკი გამოაგზავნა აჯანყების ჩასახშობად (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II. გვ. 959).

ისტორიკოს ირაკლი ახალაიას მტკიცებით, ციხეში გარდაიცვალნენ: ბათაია, თედორიკა და ხახულიკა ჯანაშიები, ძუკუ და გიო ფაცაციები. აჯანყების ხელმძღვანელ ბოშინა ჯანაშიას სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ჩამოერთვა უძრავ-მოძრავი ქონება და 10 წლის ვადით გადაასახლეს ციმბირში. აჯანყების მონაწილეები გულუ და სოფრომიკა ჯანაშიები კი ტომსკის გუბერნიაში გადაასახლეს 5-5 წლის ვადით (იხ. ი. ახალაია, ,,საგლეხო რეფორმა სამეგრელოში", სოხუმი 1958 წ., გვ. 32).

სოფელ ნამიკოლაოში 1856 წელს დაწყებული გლეხთა აჯანყება, ამავე სოფელში დასრულდა 7 წლის შემდგომ. 1863 წლის 10 მაისს ნაფოსტარის ხიდთან რუსების გასროლილი ტყვიით დასრულდა ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობა.

ისტორიული რომანები და სინამდვილე

ხალხური გადმოცემების თანახმად ნამიკოლაოს აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ერქვანიებს. ისინი ცხოვრობდნენ ტეხურის მარცხენა მხარეს.

ხალხური ლექსის თანახმად ბეჟან დგებუაძე ერქვანიამ მოკლა. (სხვა გადმოცემით ჯანაშიამ მოკლა). აჯანყებულების მიერ ჯოღორია დგებუაძის მკლელობაზე საუბრობენ ისტორიკოსები, მწერლები.

მარტვილის მუზეუმში ინახება მოგონება ნადია პეპუს ასულ ფარცვანია-ჯანაშიასი, ბეჟან დგებუაძის მკველობაზე გამოთქმული ლექსის გამო: ერთ დღეს გავარდა ხმა, ბატონი მოდისო და შე-

იკრიბნენ ჯანაშიები და დასხდნენ ტეხურის ხიდთან. დგებუაძე მოდიოდა გადასახადების ასაკრეფად.

გლეხების ჯგუფს გამოეყო მონადირე სოფრომიკა ჯანაშია და მიმართა დგებუაძეს, რომ ხიდზე არ გამოსულიყო, თუ არა მოკლავდა. დგებუაძემ არ დაუჯერა. სოფრომიკამ ესროლა კაჟის თოფი და ხიდზე დავარდა დგებუაძე. მისი ,,ხუთოშმანათიანი" კრავის ქუდი ტეხურაში ჩავარდა და წყალმა წაიღო.

ამ შემთხვევის გამო სოფელში ჩამოდგა ეგზეკუცია და ხიდს გამოღმა მცხოვრები ჯანაშიები არმიის დახმარებით დააპატიმრეს, ხოლო მათი ცოლ-შვილი სოფელ ნახუნაოში გაიხიზნა. სოფელი მთლიანად გადაწვეს.

პატიმრების ნაწილი გადასახლებამდე გარდაიცვალა. სოფრომიკა ციმბირში გადაასახლეს. დიდი ხნის შემდეგ ნახუნაოში გახიზნული ხალხი დაბრუნდა თავის ნასახლარზე.

მოსახლეობაში გავრცელებული სხვა ლექსის თანახმად, ჯოღორია დგებია მოკლა ვიღაც კოჭოიამ (იხ. ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 240).

შალვა დადიანის დაუმთავრებელ რომანში ,,ურდუმი", ჯოღორიას დგებუაძეს სამეგრელოს მთავართან უჩივიან ნამიკოლაოელი გლეხები: ნამიკოლაოში მცხოვრები ჯათურია ჩილაჩავა მთავარს სთხოვს- ჯოღორიასგან გამათავისუფლეო. მთავრის თანდასწრებით გლეხები, მღვდლები და აზნაურები ჯოღორიას ბრალს სდებენ: ძილიხანას, ტუხიას, ეკაიას, ცატუს, პეჩეს, რისკას, მზეხას, პოპინეს... გაუპატიურებაში, გლეხების ტანჯვაში, მღვდლებისა და აზნაურების ჩაგვრაში.

ისტორიულ რომანში ,,ოქროს ბეჭედი"-მწერალ ფუცუ დგებუაძეს, ნამიკოლაოელი ალექსი დგებუაძის შვილიშვილს, ნამიკოლაოში, პარლამენტარ იაგო ხვიჩიას დიდი ბაბუის სახლში გაზრდილს, უარყოფით პიროვნებად ჰყავს გამოყვანილი თავადი ჯოღორია დგებუაძე.

,,მე როგორც იყო გავბედე და შალვა დადიანს ჩემი ,,ოქროს ბეჭედი" ვაჩვენე. მაინტერესებდა მისი აზრი. მან დაკვირვებული შენიშვნები მომცა. წიგნის პირველი გამოცემა აქ, სოხუმში გადაწყვიტეს და ზოგი შენიშვნებიც მომცეს. გარჩევას შალვა არ დასწრებია. შემდეგ თბილისში მწერალთა კავშირში შემხვდა, მოიბოდი-

შა, თან დაატანა: რა გიქნია, ფუცუ, რაც თავადებს ცუდი ჰქონდა, ყველა ჯოღორია დგებუაძისთვის მიგიხვევია. აქაოდა დაუზოგველი ვარო, ჯოღორია, მართალია მკაცრი მებატონე იყო, მაგრამ შესამჩნევი გულადი მეომარი და ვაჟკაცი, თავისი სამშობლოს დამცველი, ზოგი რამ კარგი ხასიათი დესპოტშიც ეტევა, ძლიერ გაგიწირავსო“(იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ., გვ. 562).

მე არც ფუცუს პროკურორობას ვაპირებ და არც ჯოღორიას დაცვას. ჩემთვის უცნობია ჯოღორიაზე შალვა დადიანის შეხედულების ცვლილების მიზეზი. ცნობილია, მწერლებს გმირებთან ერთად უარყოფითი პერსონაჟებიც სჭირდებოდათ და შექმნეს კიდევაც ჯოღორიას სახით.

სამეგრელოში 1850-1854 წლებში ჩატარებული ქართველ თავად-აზნაურთა ოჯახების დეტალური აღწერის თანახმად ოდიშის სამთავროში ცხოვრობდა ორი ბეჟან ჯოღორიას ძე დგებუაძე, ორივე იყო აზნაური. დიდი ჭყონელი ბეჟან დიმიტრის ძე დგებუაძე თავადი იყო.

თავადი ჯოღორია დგებუაძე თავის ბიოგრაფიით შეიძლება ნაკლებად იმსახურებდეს გამოსარჩლებას, მაგრამ ნათქვამია: ერთი-მგლისკენ, ერთი-თხისკენო.

ისტორიული რეალობაა: 1) დიმიტრი (ჯოღორია) დგებუაძემ არც რუსების ერთგულებაზე დადო ფიცი და არც ლევან დადიანის; 2) ჯოღორია დგებუაძე არ დაეხმარა რუსებს ფოთის ციხის აღებაში და ამაზეა აგებული თურქებზე ბავშვების გაყიდვის ლეგენდა; 3) რუსეთ-თურქეთის 1853-56 წლების ომში თავადი ჯოღორია (დიმიტრი) დგებუაძე ვერც ლომივით ბრძოლას შეძლებდა და არც ომიდან გამოქცევას-იმ დროს, ის გარდაცვლილი იყო; 4) რუსებმა 1857 წლის 1 აგვისტოს დაიჭირეს ნოღაში მცხოვრები გიორგი ბატონიშვილი; პეტერბურგში გაიწვიეს ეკატერინე დედოფალი; ტამბოვში გადაასახლეს ივანე ჩიქოვანი. სალიპარტიანოს რაიონში ყველაზე გავლენიანი თავადის ბეჟან დგებუაძის სიკვდილი, მისი ცოლ-შვილის ნოსირში გასახლება, გლეხების აწიოკება, ციმბირში გადასახლება შედიოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებში.

ნოსირელი დგებუაძეები

ალექსანდრე ცაგარელი 1880 წელს გამოცემულ ,,მეგრულ ეტიუდებში“ აღნიშავს, რომ საჩიჩუოში, ხორშში ცხოვრობს 70 წლის გერია დგებუაძე, რომელიც წარმოშობით სალიპარტიანოდანაა.

1850-1854 წლების თავად-აზნაურთა აღწერის თანახმად: ნოსირში დგებუაძეები დასახლებულან ლევან დადიანის დროს. ისინი იყვნენ სახლისკაცნი ჟინოთაში მცხოვრებ სამთავრო აზნაურ ქაქუჩელა დგებუაძისა.

ნოდარ დუმბაძის უფროსი ქალიშვილის, მანანა დუმბაძის ბლოგზე განთავსებულია, მისი მეუღლის, ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძის ოჯახის ისტორია: მხატვრულ -დოკუმენტური ამბავი, საოჯახო საგა. ვლადიმერ მალოვიჩკოს დედა ნინო (ქაია) ალექსანდრეს ასული დგებუაძე მუსიკის მასწავლებელი იყო. მამა, არქიტექტორი ვიქტორ ლეონიდეს ძე მალოვიჩკო დაიბადა უკრაინაში.

ალექსანდრე იულონის ძე დგებუაძე დაიბადა 1873 წელს, სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში. მისი ბაბუა იყო თავადი ბეჟან დგებუაძე. იულონის შთამომავლების გადმოცემით: იულონ დგებუაძე დაიბადა თამაკონში, ხოლო ბეჟან დგებუაძე 1864 წელს საქართველოში ბატონყმობის გაუქმებაზე უარის თქმის გამო მოღალატეობით მოკლეს აბოლოციონისტებმა.

ზუგდიდისა და მარტვილის მუზეუმებში დაცული დოკუმენტების თანახმად: თავადი ბეჟან დგებუაძე, მისი შვილები-ევგენი, იულონი, პუპლინა (პუპი), ქეთევანი და სალომე ცხოვრობდნენ ჟინოთაში. არქიმანდრიტი თეოფანე აქებს ბეჟანის მზრუნველობას ჟინოთის ეკლესიაზე.

მხეიძეთა გვარის საოჯახო ნუსხის თანახმად:1834 წელს ჟინოთში დაიბადა პუპი ბეჟანის ასული დგებუაძე.

მიქელაძეების საოჯახო ნუსხის თანახმად: 1861 წელს სოფელ ჟინოთაში დაიბადა ნინო (მინა) ევგენის ასული დგებუაძე. თავადი ბეჟან დგებუაძე მოკლულ იქნა აჯანყებული გლეხების მიერ 1863 წელს.

ოდიშის სამთავროს თავად-აზნაურთა 1850-1854 წლების აღწერის თანახმად, ბეჟან დგებუაძის ოჯახი შედგებოდა 6 წევრის-

გან: 1)-ბეჟან დგებუაძე-50 წლისა; 2) ევგენი- 20 წლისა; 3) იულონი- 12 წლის; 4) პუპლინა- 15 წლისა; 5) ქეთევან -9 წლისა; 6) სალომე- 6 წლისა.

1866-67 წლებში შედგენილ იქნა სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საგვარეულო საოჯახო ნუსხა, რომლის თანახმად თავადი იულონ ბეჟანის ძე დგებუაძე იყო 23 წლის. მეუღლეს ერქვა-ანა, შვილებს-ბაბილინა, ნინუცა, კოსტანტინე და მართა.

1871-1878 წლებში გამოცემული კავკასიის კალენდრიდან ვიგებთ, რომ იულონ ბეჟანის ძე დგებუაძე მუშაობდა სენაკის მაზრის სასამართლოში.

ჟინოთის ეკლესიაში შედგენილი მეტრიკული წიგნების მიხედვით, ჟინოთის ეკლესიაში 1865 წელს მოინათლა: პელაგია იულონის ასული დგებუაძე. თავადი იულონ დგებუაძე, მისი მეუღლე და 1890 წელს გარდაცვლილი ქალიშვილი ნინო დაკრძალულნი არიან ჟინოთას სასაფლაოზე. ჟინოთას ეკლესიაში 1881 წელს აღასრულეს ჯვრისწერა ვლადიმერ თეიმურაზის ძე ფაღავასი და ეკატერინე იულონის ასულ დგებუაძისა.

იულონ დგებუაძე იყო ევგენი დგებუაძის ძმა. უცნობია, რატომ ითხოვდა მოკლული ბეჟანის ძმა (ჯოღორია დგებუაძე), მოკლული ძმის ოჯახის გასახლებას. ოდიშის სამთავროს თავად-აზნაურთა 1850-1854 წლების აღწერის თანახმად, თავად ბეჟან დგებუაძის ძმებს ერქვათ: ალმასხანი, ლევანი, გიორგი და მანუჩარი. სავარაუდოდ ,,ჯოღორია“ იყო თიკუნი: დიმიტრი, ალმასხან და ბეჟან დგებუაძეებისა.

გადმოცემების მიხედვით ირკვევა: ბეჟანის ქვრივი იძულებული გამხდარა დახმარება ეთხოვა მთავრისთვის, რომელსაც ის ნოსირში დაუსახლებია. ოჯახის წევრებისთვის დაუტოვებიათ კეთილშობილის წოდება, ჩამოურთმევიათ სამთავრო წოდებები.

ნოსირში იულონს ცოლად შეურთავს გიგო გამსახურდიას ერთადერთი ქალიშვილი მარია. იცოცხლა 110 წელი. შეეძინა 3 გოგო და 6 ბიჭი.

პორფირი იულონის ძე დგებუაძე დაიბადა 1875 წელს. 1894 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია. ის სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში; ერთი წლის შემდეგ სასწავლებლად გაემგზავრა საფრანგეთში. ბორდოს უნი-

ვერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ დატოვეს ფრანგული ენის კათედრაზე და ქართველი, წარმოშობით დიდი ჭყონელი, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ფრანგებს ბორდოს უნივერსიტეტში ასწავლიდა ფრანგულ ენას და ლიტერატურას. კითხულობდა ლექციებს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში; მუშაობდა თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის მასწავლებლად; შეადგინა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. პ. დგებუაძე დააპატიმრეს 1936 წელს-მიუსაჯეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; გადასახლებიდან დააბრუნეს ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების შუამდგომლობის შემდეგ.

პორფირის ძმის შვილიშვილის, ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძის გადმოცემით: პორფირი დგებუაძე ბორდოდან ნოე ჟორდანიას ჩამოუყვანია. ის ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი (მისიის ხემძღვანელი) აზერბაიჯანში.

ანდრო იულონის ძე დგებუაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. იყო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი. მისი მეუღლე სოფიო რომანიშვილი 1899-1919 წლებში იყო ,,სახალხო თეატრი“-ს წამყვანი მსახიობი, მთავარ როლებს ასრულებდა მარჯანიშვილის თეატრში.

ანდროს და სოფოს შვილები ქუჩუ და ჩიტო იყვნენ ცნობილი არქიტექტორები. ქუჩუ დგებუაძის დაპროექტებულია, მისი ხელმძღვანელობით აშენდა ვაკის პარკი, სპორტ-კომპლექსი ,,ქარიშხალა“. იყო ქალაქ ქუთაისის მთავარი არქიტექტორი. გარდაიცვალა 1963 წელს, 51 წლის ასაკში.

ქართული ავტოსპორტის ყველაზე გამორჩეული პიროვნება, პირველი ავტომრბოლელი, ვინც მაშინდელი ფორმულა I-ის საბჭოური მოდელით წრიულ რბოლაში სსრკ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (1975 წ) იყო, გურამ ანდროს ძე დგებუაძე. მან არაერთ გამოცდილ მეტოქეს აჯობა და საერთაშორისო შეჯიბრების საგზურიც მიიღო. თავისი ცხოვრების ბოლოს ავტოსპორტის მატიანე დაგვიტოვა. მისი წიგნი ,,ფორმულა I-ის სათავეებთან“ 2011 წელს გამოიცა. ავტოსპორტში თამაშდება დგებუაძის სახელობის თასი. ის იყო ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2012 წელს.

დომენტი იულონის ძე დგებუაძე იყო ოფიცერი. მსახურობდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის დაცვაში. მისი ძმა მიხეილი იყო ფოთის პორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გადასახლებიდან მიხეილ დგებუაძე საქართველოში ვეღარ დაბრუნდა.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 5 ოქტომბრის N423 ბრძანებულებით: თბილისის N7 საბავშვო ბაღის მასწავლებელს ნინო (ქაია) ალექსანდრეს ასულ დგებუაძეს მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძე 1958 წელს ხელბურთის ნაკრები გუნდ ,,ქარიშხალას" შემადგენლობაში გახდა საქართველოს ჩემპიონი. იყო საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატის გამარჯვებული სამთო-სათხილამურო სპორტში. ის ხელმძღვანელობდა სამხედრო წყალქვეშა ნავების ატომური რაკეტმზიდების ,,შავი ყუთის" შექმნას.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძემ კომპიუტერისთვის ქართული შრიფტი შექმნა, გუდაური აღმოაჩინა, გუდაურით ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი დაინტერესა. 2021 წელს ვლადიმერ მალოვიჩკო-დგებუაძე იყო ცესკოს თავჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები გვაძლევს საშუალებს, რომ ვამტკიცოთ: ნოსირში დასახლებული იულონ დგებუაძე იყო ევგენი დგებუაძის ძმა. ჟინოთადან-ნოსირში, იულონ ბეჟანის ძე დგებუაძის ოჯახის გადასახლებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

სასოფლო საზოგადოებები

სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმება გამოცხადებულ იქნა 1867 წლის 19 თებერვალს. კანონი ზეიმით წაიკითხეს მარტვილის ტაძარში და სამეგრელოს ყველა ეკლესიაში.

იაკობ გოგებაშვილი წერს: ,,1867 წელს სენაკში ურმებით მოზიდეს გლეხთა განთავისუფლების მანიფესტი მეგრულად დასტამბული და უსასყიდლოდ დაურიგეს როგორც გლეხკაცებს,

ისე თავად-აზნაურებს“ (იხ. ი. გოგებაშვილი, ,,მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხებისთვის“, გვ. 482).

1869 წ. 1 იანვრიდან საქართველოში გაუქმნდა წოდებრივი სასამართლოები და ჩამოყალიბდა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებანი. მაზრებში დაწესდა მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებით. მომრიგებელ სასამართლოებში გაჩნდა მოხელეთა მთელი შტატი, მოსამართლის თანაშემწის, კანდიდატის, ბოქაულის და სხვა.

სამეგრელოში დაარსდა 12 სამომრიგებლო განყოფილება, აქედან, 5 ზუგდიდის, 5-სენაკის და 2-ლეჩხუმის მაზრაში. დანიშნულ იქნა 12 მომრიგებელი შუამავალი და 12 მათი კანდიდატი. მომრიგებელი შუამავალი აუცილებლად თავად-აზნაურთა წრიდან უნდა ყოფილიყო და გუბერნატორის წარდგინებით მეფისნაცვალს უნდა დაემტკიცებინა (იხ. ი. ახალაია, ,,საგლეხო რეფორმა სამეგრელოში“, სოხუმი 1958 წ., გვ. 94).

სენაკის მაზრაში მომრიგელ შუამავლებლად დამტკიცებულ იქნენ: კოსტანტინე ლევანის ძე დადიანი, ნიკო ბესარიონის ძე დადიანი, ალექსი თომას ძე ნანეიშვილი, ევგენი ბეჟანის ძე დგებუაძე, კოსტანტინე მიხას ძე დადიანი, ხოლო კანდიდატებად: ნიკო ელიზბარის ძე დადიანი, ნიკო მიხას ძე ფაღავა, ალექსანდრე მერაბის ძე ჩიქოვანი, ალექსანდრე კაციას ძე დადიანი და დათა როსტომის ძე ჩიქოვანი (იხ. საქ. ცსა არქივი, ფონდი 220, საქმე 37, ფურც. 9-10; КАВКАЗКЫЙ КАЛЕНДАРЬ-ის 1868-1870 წლების გამოცემები).

მომრიგებელ შუამავალს უნდა შეედგინა ,,საწესდებო სიგელი“, ანუ მიწის პასპორტი, რომელსაც ამტკიცებდა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწის ფონდი მემამულეთა საკუთრებად გამოცხადდა, გათავისუფლებულ გლეხებს კი მუდმივ სარგებლობაში ღალის გადახდის პირობით, მისცეს გარკვეული ოდენობის მიწის ნაკვეთები, ნადელები და თანაც მისი გამოსყიდვის უფლება. მემამულეები, რომლებიც 60 დღიურზე ნაკლებ მიწას ფლობდნენ, განთავისუფლდნენ გლეხებისთვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებებისგან. ნადელები არ მიუღიათ შინაყ-

მებს და იმ გლეხებს, რომლებსაც რეფორმამდე არ გააჩნდათ მიწის ნაკვეთები.

1865 წლიდან საქართველოში ჩამოყალიბება დაიწყო სოფლის ადგილობრივი გამგებლობის ორგანოებმა, რომელსაც საზოგადოებრივი მმართველობები ერქვა. ამ ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა სოფლის სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოება, გადასახადების აკრეფა, სწავლაზე, ჯამრთელობის დაცვაზე, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა, კამერალური აღწერების ჩატარება და კონტროლი. მამასახლისს უნდა მიეცა გლეხისთვის სასოფლო საზოგადოებიდან გაშვების მოწმობა და საშოვარზე წასვლის ნებართვის ბილეთი.

ახალ დაწესებულებებს მხოლოდ გლეხთა ფენა ექვემდებარებოდა. სოფლის მცხოვრებთა სხვა ნაწილზე მისი ხელმძღვანელობა არ ვრცელდებოდა. საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანო სოფლის ყრილობა იყო. ყრილობაში მონაწილეობის უფლება ოჯახის ყველა უფროსს ქონდა.

სოფლის ყრილობის ფუნქციებში შედიოდა: სოფლის თანამდებობის პირთა არჩევა; დადგენილების მიღება სოფლიდან მავნე პირთა გადასახლების თაობაზე; ობლად დარჩენილ მცირეწლოვანთათვის მზრუნველების დანიშვნა; ოჯახის გაყოფაზე ნებართვის მიცემა; საერთო მიწების გამგებლობა; თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი და სხვა.

სოფლის ყრილობის დადგენილება კანონიერად ითვლებოდა, თუ მას ესწრებოდა მამასახლისი და ოჯახის უფროსთა ნახევარი მაინც. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად საჭირო იყო ხმების ორი მესამედი, სხვა საკითხები კი წყდებოდა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მართლსაჯულების საწარმოებლად არჩევნების გზით საგლეხო სასამართლოები ყალიბდებოდა. ბევრგან გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, აფთიაქი, გაიყვანეს გზები.

სამეგრელოში სოფლების გაერთიანება საზოგადოებებად 1869 წლიდან დაიწყო. ამ წელს სამეგრელოშიც აირჩიეს სოფლის მამასახლისები.

სალიპარტიანოს შემადგენლობაში შეიქმნა სალხინოს, კიწიისა და თამაკონის საზოგადოებები. ნოღის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: ნოღა, ლეგოგიე და ალავერდი (ალერტი).

საზოგადოებებში შემავალ სოფლებს ჰყავდა საკუთარი მოურავი. სამი წლით ირჩევდნენ საზოგადოების მამასახლისს, ნაცვალს და მოსამართლეებს. არჩევნების შედეგს გუბერნატორი ამტკიცებდა. თანამდებობის პირები ფიცს დებდნენ მაზრის უფროსის წინაშე. გუბერნატორს შეეძლო სოფლის მამასახლისის გადაყენება ყრილობის გარეშეც.

აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭებოდა მამასახლისს, ხოლო მართლმსაჯულება -სოფლის სასამართლოს. სოფლის სასამართლო შედგებოდა არანაკლებ 3 წევრისგან. სასამართლო წყვეტდა გლეხთა დავა-საჩივრებს 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში.

ლუსიენ მიურატის სიდედრის, მარი-მარგარეტ-ერმინი დე როიანის მტკიცებით:

მამასახლისს (მერს), ორ-სამ დამხმარესთან ერთად ხალხი ირჩევს, მოადგილეს ხელფასს არ უხდიან... ას კაცზე ერთი მოსამართლე მოდის...ძროხის ქურდი, მის ღირებულებაზე 15-ჯერ მეტს იხდის, პირველი მესამედი მიდის მეფესთან, მეორე -სასამართლოში, მესამეს-პატრონს აძლევენ. ფოსტა კვირაში ორჯერ მოდის...სოფელ სალხინო-ში 150 ბავშვი და 3 მასწავლებელია. სამეგრელოში მუნიციპალიტეტები ძირითადად 10-15 ვერსის ფართობზეა. მიწის კადასტრი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და ფლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის გამო დაუსრულებელი სასამართლო გარჩევებია (საუბარია 1909 წელზე- ა.ა). (იხ. ი. ნაჭყებია, ფრანგი ავტორების ცნობები XIX საუკუნის საქართველოს შესახებ IV, გვ. 119).

როცა დიდ მდინარეს პატარა უერთდება, სახელიც და სახრავიც, დიდ მდინარეს რჩება. სალხინოში მიურატების ჩასახლების, საზოგადოების შექმნის შემდგომ როლები შეიცვალა: უკვე ჟინოთა შედიოდა სალხინოს საზოგადოებაში (და არა სოფელში).

1870-1917 წლებში სოფლები: ჟინოთა, პატარა ჟინოთა და პატარა თამაკონი ერთი სოფელი იყო და შედიოდა სალხინოს საზოგადოებაში.

1860 წლის ,,კამელიარის“ აღწერით სამთავრო გლეხები ითვლებოდა სამეგრელოში 14 ათასი სული, ეკლესიას ჰყავდა -15 ათასი. ბატონიშვილებს -22 ათასი და დანარჩენ თავად-აზნაურებს- 60 ათასი. მაღალწოდებას შეადგენდნენ: თავადი- 1309 სული, აზნაური- 10361 სული და სამღვდელოება- 2340 სული (იხ. ი. მეუნარგია, დას. ნაშრომი, გვ. 89).

1873 წელს ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის დროებით ვალდებული გლეხების აღწერა, რომლის თანახმად სოფელ ოჩეში ცხოვრობდა 61 დროებით ვალდებული გლეხის ოჯახი, ნამიკოლაოში 149, ჟინოთაში 36, აქედან: ბეჭვაია-16, ჩაგუნავა-5, მარკოზია-4, წულაია-4, კეკუტია-3, ქვარცხავა-2, ხოხობია-2;

ნამიკოლაოში მამულებს ფლობდა 39 თავად-აზნაური, მათ შორის სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი;

ოჩეში მამულებს ფლობდა 6 თავად-აზნაური, მათ შორის- ეკატერინე ჭავჭავაძე. ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი იყო დიმიტრი გეგელია;

სოფელ ჟინოთაში ყველაზე მსხვილი მემამულე იყო ეკატერინე ჭავჭავაძე. მიწას ასევე ფლობდნენ კოსტა და ბიჭი დადიანები, თავადი ონისიმე, ტაია, ნიკო , აზნაური პავლე დგებუაძეები (იხ. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 813).

,,ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის კომლობრივი აღწერის (1886 წ.) ცნობარში (იხ. свод...1893) აღნიშნულია, რომ სალხინოს თემის 12 სოფელში ცხოვრობს 818 კომლი (5447 სული). ეს სოფლებია: სალხინო//სარხინო (ც)-126 კომლი, 888 სული), ბალდა-148 კომლი (1229 სული), ვახა-46 კომლი (281სული), დღვანა-51 კომლი (318 სული), ჟინოთა 94 კომლი (501 სული), ლებაჩე-27 კომლი (180 სული), ლეცავე//ლეცეე-54 კომლი (378 სული), ნაბულევი//ნაბული-55 კომლი (354 სული), ოჩე-90 კომლი (495 სული), სკურდი-46 კომლი (337 სული), წაჩხურა//წაცხური-52 კომლი (301სული), ეწერი-29 კომლი (185 სული)“.

აღწერის თანახმად: სალხინოს საზოგადოების 12 სოფელში ცხოვრობდა 15 თავადი. ამ წოდების 4 კაცი და 11 ქალი ცხოვრობდა ერთ სოფელში, ჟინოთაში. აღწერის თანახმად ჟინოთაში ცხოვრობდა-28 აზნაური. ასევე 28 აზნაური ცხოვრობდა ოჩეში.

თამაკონის საზოგადოების სოფელ ნამიკოლავოში ცხოვრობდა 272 კომლი, 1553 სული, საიდანაც თავადის წოდება ქონდა-16 სულს, აზნაურის 28-ს.

სალხინოს საზოგადოების ცენტრი თავდაპირველად, დღევანდელი ტალერის ტერიტორიაზე ყოფილა. შემდგომ დავით დადიანს სალხინოში გადაუტანია. (გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 138).

მარტვილის მუზეუმში დაცული დოკუმენტების თანახმად: 1883 წლის სექტემბერში პეხუ დარსალია-სალხინოს საზოგადოების მამასახლისი იყო, 1886 წლის ნოემბერში-ნაფიჩხუსი (იხ. ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი ა-364 და დ. ა-359).

1872 წელს კიწიის საზოგადოების მამასახლისი ყოფილა იოსე ნადარაია, მოსამართლენი: იასე ხუხუა, ჯათუნია ჭკადუა, გუტი ბერაია; ნოღის საზოგადოების მოსამართლე და მამასახლისი- ნიკო გოგია, მოსამართლეები: გვატი წიფურია და გვეჩერე თოდუა (იხ. ანზორ სიჭინავა, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ. 2020 წ. გვ. 19).

ნაოღალევის (მარტვილის) საბოქაულო

1854 წელს სამეგრელოში არსებობდა ქალაქები: ზუგდიდი, სენაკი (იგულისხმება ძველი სენაკი), სუჯუნა, ორპირი, ნაოღალევი, ლაილაში და ჭრებალო (კვარაცხელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 73). მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტი იყო ბანძა (ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ. 1985, გვ. 793).

1855 წელს გამოცემულ ,,კავკასიის კალენდარ“-ში მითებულია ქალაქების მმართველთა ვინაობა. 1856 წელს ნაოღალევის მმართველი ყოფილა გოგი ელიავა.

,,სოფელი მარტვილი მდებარეობს მაღლობზე. ამ სოფლის შუა გულში გაშენებულია ლამაზი ქალაქი დ. ნაოღალევი“ (გაზეთი ,,თანამედროვე აზრი“, 1917 წ. N13, გვ. 4).

1886 წლის აღწერის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში 3 საპოლიციო უბანი იყო: აბაშა, მარტვილი და ნოქალა-

ქევი. აქედან მარტვილი და აბაშა შედგებოდა 9-9 თემისგან, ნოქალაქევში შედიოდა 11 თემი (საზოგადოება).

ნაოღალევის (მარტვილის) საბოქაულოში შედიოდა: კინჩხის, კიწიას, ნაგვაზაოს, მარტვილის, ნაფიჩხოვოს, ნახუნავოს, ნოღის, სალხინოს და თამაკონის საზოგადოებები. ცხოვრობდა 36 413 სული, თავადის წოდება ჰქონდა 86 კაცს.

აბედათის, ბანძას, ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოებები შედიოდა ნოქალაქევის საბოქაულოში.

ნოღას საზოგადოება შედგებოდა 3 სოფლისგან: ალავერდში (ალერტი) ცხოვრობდა 74 ოჯახი (434 სული), ლეგოგიეში- 83 ოჯახი (460 სული), ნოღაში- 161 ოჯახი (892 სული).

კიწიის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: დოშაკი და კიწია;

ნაფიჩხუს საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: ღალი, გოდოგანი, კურზუ, ნაფიჩხუ, ჭოღა.

თამაკონის საზოგადოების 4 სოფელში ცხოვრობდა 862 ოჯახი (4876 სული). ეს სოფლებია: გურძემი- 327 ოჯახი (1779 სული), თამაკონი- 182 ოჯახი (1062 სული), თარგამეული 81- ოჯახი (482 სული), ნამიკოლაო -272 კომლი, (1553 სული), საიდანაც თავადი იყო-16, აზნაური-28).

1914 და 1915 წლებში გამოცემული ,,КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ“-ის მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის, მარტვილის საპოლიციო უბნის, სალხინოს საზოგადოების სოფელ სალხინოში ცხოვრობდა 1214 სული, ოჩეში-749, ჟინოთაში-752; ნამიკოლაო შედიოდა თამაკონის საზოგადოებაში, ცხოვრობდა-3330 სული. გურძემში ცხოვრობდა 3237 სული. ბანძა შედიოდა ნაქალაქევის საპოლიციო უბანში, ცხოვრობდა-930 სული.

1902 წელს გამოცემული ანალოგიური კალენდრის მიხედვით, სენაკის მაზრაში ცხოვრობდა 109.482 სული. აქედან მარტვილის (ნაოღალევის) საპოლიციო უბანში ცხოვრობდა-37053 სული.

ნაოღალევის საბოქაულო 1902-1916 წლებში შედგებოდა 7 თემისაგან: კიწიის, თამაკონის, სალხინოს, კინჩხის, მარტვილის, ნაგვაზაოსა და ნახუნაოსაგან.

კიწიის საზოგადოება შედგებოდა 4 სოფლისგან, საზოგადოების გეოგრაფიული კოორდინატები იყო 40, 23, 4. 1902 წელს ცხოვრობდა 4355 სული.

თამაკონის საზოგადოების გეოგრაფიული კოორდინატები იყო 32, 15, 4. 1902 წელს ცხოვრობდა 4927 სული.

სალხინოს საზოგადოება შედგებოდა 15 სოფლისგან. 1902 წელს ცხოვრობდა 9111 სული. გეოგრაფიული კოორდინატები იყო 45, 18, 15.

ანანოვების ,,იმპერიაში“

1860 წელს გაიხსნა ფოთის ნავსადგური. 1858 წელს ბარიატინსკიმ ფოთიდან-ბაქომდე რკინიგზის გაყვანის საძიებო სამუშაოების შესასრულებლად მოიწვია ინგლისელი სპეციალისტები: გაბი და ბელი.

მშენებლობის პროექტი პეტერბურგს წარედგინა 1862 წელს; დამტკიცდა 1864 წელს. მშენებლობა დაევალა ბრიტანელ მშენებლებს; დაიწყო 1865 წელს, დასრულდა 1872 წელს. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა სამტრედიასა და ბათუმს შორის; თბილისსა და ბაქოს შორის.

პეტერბურგში 1866 წელს ჩასულმა ძმებმა მიხრაკ და აბგარ ანანოვებმა სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ მოახერხეს პროექტის შეცვლა და ქუთაისის ნაცვლად რკინიგზამ გაიარა სოფელ რიონში, დასავლეთ საქართველოში ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელის ალექსანდრე ანანოვის მამულში.

რკინიგზის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ ლახვარი ჩასცა ქუთაისს. მჭიდროდ დასახლებული ადგილების: ხონის, მარტვილის, ბანძის, სენაკის ნაცვლად დაწინაურდა სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი. ისედაც მდიდარმა ანანოვებმა, კიდევ უფრო მეტი ფული იშოვეს. ,,მადლიერმა თბილისმა“, ალექსანდრე ანანოვი თბილისის სათათბიროს წევრად აირჩია.

ანანოვებმა გვიან გააცნობიერეს მათი დანაშაული ქუთაისის წინაშე. დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით საკუთარი სახსრებით ააშენეს სპეციალური სახლი ყრუ-მუნჯი ბავშვებისთვის; უხვად

სწირავდნენ უსახლკაროებისა და ობლების დახმარების ფონდში. აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუთაისი-რიონის რკინიგზის ხაზის მშენებლობაში, რომელიც 1877 წელს დასრულდა; რეალური მიერთება მხოლოდ 15 წლის შემდეგ, 1887 წელს მოხერხდა.

ნიკო ნიკოლაძემ 1869 წელს, ქალაქ ქუთაისის თავმა 1911 წელს მოითხოვეს, რომ სარკინიგზო მაგისტრალს გაევლო მჭიდროდ დასახლებული პუნქტები: ძველი სენაკი, ბანძა, მარტვილი, მათხონჯი, ხონი...

როგორც ირკვევა: ბანძაში რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგი ყოფილან სოფლის არისტოკრატები-თავადი ფაღავები. მათ ეშინოდათ მიწების დაკარგვის (იხ, ი. კეკელია, ჟურნალი ,,დიოსკურია“, 2020 წ. N4-5; მისივე, ,,ბანძა ესკიზები“, წიგნი III).

ანანოვების ახირების, რუსეთის იმპერიის რკინიგზის ადმინისტრაციის მოხელეების მექრთამეობის გამოისობით ბანძის, მარტვილის საქმე ცუდად წავიდა. ქუთაისი დღესაც, მხოლოდ ტყიბული-წყალტუბოს სარკინიგზო ჩიხის ცენტრია.

გვახსოვდეს დიდი ჭყონელებო, რომ ჩვენთვის მარტვილში, ბანძაში რკინიგზის გაყვანა უფრო საჭირო იყო, ვინემ ბანძა-მარტვილში მაცხოვრებლებისთვის; ჩვენ უფრო შორს ვართ აბაშიდან, სენაკიდან.

ასეა: ვიღაცას მიწის დაკარგვის ეშინია, ვიღაცას საკრებულოს, პარლამენტის წევრობით მიღებული დაუმსახურებული პრივილეგიების, ვიღაცას ანანოვებთან კამათს-ნაცის და ქოცის სახელით სიმართლესთან ბრძოლა ურჩევნია.

ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენს წინაპართა ცთომილებას და მასთანვე გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ.

,,ანანოვების“ ინტერესი, ჩემი და სხვისი სამსახური-სოფლის, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა არ უნდა დავაყენოთ.

სწავლა-განათლება, სკოლები

აღზრდა მარადიული კატეგორიაა და იარსებებს, ვიდრე არსებობს საზოგადოება. პირველყოფილური საზოგადოების დროს ყველაფერი, მათ შორის ბავშვიც ეკუთვნოდა თემს. აღზრდას მა-

შინ სტიქიური ხასიათი ქონდა და ხორციელდებოდა შრომითი საქმიანობის (ნადირობა, თევზაობა) პროცესში.

ცოდნა-გამოცდილების შესაძენად მოზარდ თაობას ყოველთვის ესაჭიროებოდა მცოდნე და გამოცდილი ადამიანი-მასწავლებელი. გამოცდილი ადამიანებისგან სწავლობდნენ ხელობას მოზარდები.

X საუკუნეში, მარტვილში მოქმედებდა ჰიმნოგრაფიული სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე მინჩხი და სტეფანე სანანოისძე.

მარტვილსა და საირმეში (ლეჩხუმში-ეკუთვნოდა დადიანებს) XIX საუკუნეშიც განაგრძნობენ არსებობას მწიგნობრობის კერები. ხსენებულ ცენტრებში მოღვაწეობდნენ წიგნის გადამწერი ოსტატები: მონაზონი რომანოზი, მღვდელ-მონაზონი გიორგი ქავთარაძე, ბერი გრიგოლ მიქელაძე, გიორგი მდივანი, მონაზონი იოანე, დიაკონი ბასილ ცხაკაია, ანტონ კაჭარავა, ნიკიფორე და სხვა (იხ. ლ. აბდალაძე, საულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, დისერტაცია, ქუთაისი 2014 წ. გვ. 67)

ძველი ქართული კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა სკოლა. საქართველოს რუსეთის იმპერიაში მოქცევამდე, ყველა დიდ ეკლესიასთან და მონასტერთან არსებობდა საეკლესიო- სამრევლო სკოლები (იხ. ნ. ვასაძე, ,,პედაგოგიკის ისტორია, თბ. 1988 წ. გვ. 339).

,,საშინაო სკოლები“ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ბევრი იყო. ისინი არსებობდა თითქმის ყველა სოფელში, მღვდლის ოჯახებთან, ძალიან ხშირად გლეხთა სახლებშიც” (იხ. გ. თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1974 წ. გვ. 244).

,,ძველს დროში თითქმის ყველა მღვდელს ჰქონდა ეკლესიასთან დაარსებული სამრევლო სკოლა (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“ 1889 წლის, N5).

სოფელში ძნელი იყო ფულის შოვნა. ახალგაზრდა გლეხები იწყებდნენ სწავლას ოსტატებთან, შეგირდებად უდგებოდნენ მათ, ეუფლებოდნენ სხვადასვა ხელობას. გლეხი იხდიდა სწავლის საფასურს. ხელოსანი მოსწავლეს ხშირად ხელობასთან ერთად წერა-კითხვასაც ასწავლიდა.

თამაკონელი ბეხუ ქაჯაიას მიერ, 1851 წლის 20 მარტს, სწავლის ქირის გადახდის შესახებ გაცემულ პირობის წიგნში წერია: ,,მე, ქვემორე ხელისმომწერმა ოდიშის მცხოვრებმა სოფელ თამაკონის საბატონო ყმამ ბეხუ ქაჯაიამ, მოგეცი წერილი, შენ დათა მიქელაძეს მას შინა, რომელ მოგაბარე ჩემი მკვიდრი, დუტუ ქაჯაია და შენ უნდა ასწავლო მას დალაქობა და აგრეთვე წიგნი, რომელიც უნდა იქნას შენთან ოთხი წლის ვადით და შენ ამ დადებულს ვადამდე უნდა ასწავლო დალაქობა და წიგნი, ხოლო ხარჯში და საოსტატოში უნდა მოგართვათ ოცი მანეთი ვერცხლის ფული, ამ აღნიშნული ფულის ნახევარი უნდა მოგცე ექვსი თვის განმავლობაში და ნახევარი როდესაც ვადა შესრულდება, რითაც სახელმიფო გადასახადი შეგხვდეს მისი მომცემი მე ვიყო. გარდა ამისა, თუ ჩემმა შვილმა რამე ხელუკუღმართობა ქნას მისი მზღვეველი მე ვიყო. ხელს ვაწერ ბეხუ ქაჯაია, იოანე დავითის ძე ცანავა და აზნაური მაქსიმე მდივანი“ (იხ. თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო მე-19 საუკუნის I ნახევარში, თბ. 2001 წ. გვ. 213).

ხელოსნობის სასწავლებლად თვით მთავრები აგზავნიდნენ თავიანთ ყმებს. მეუნარგიას ცნობით, დავით დადიანი წელიწადში 12 კაცს აგზავნიდა ხელობის სასწავლებლად. მთავარი თვითონ იხდიდა სწავლის გადასახადს.

,,XVII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, მათ შორის სამეგრელოში, კათოლიკე მისიონერები აარსებენ სკოლებს. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდა და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შეერთებისთვის ნიადაგის მომზადება (იხ. გ. გალდავა, მარტვილის პირველი საშუალო სკოლის ისტორია, თბ. 2023 წ. გვ. 11).

ნახარებავოს ეკლესიაში უბრალო ბერად 1788 წელს დამკვიდრდა ანტონ ჭყონდიდელი. ,,ნახარებავოში არსებობდა მცირე საეკლესიო სასწავლებელი, სადაც პირველ-დაწყებით განათლებას იღებდნენ. აქ უსწავლია მხატვარსა და წიგნების მომკაზმველს-ბესარიონ ჩიქოვანს. აქ გადაწერილი რამდენიმე წიგნი დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მათ შორის შესანიშნავია სჯულის კანონი, გადაწერილი მე-18 საუკუნის დასასრულს. ანტონ ჭყონდიდელი პედაგოგი და სახელმძღვანელოს ავტორიც

იყო“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები, I ტ. 2022 წ. გვ. 118).

1830 წლის 1 ოქტომბერს მარტვილის მონასტრის ეზოში გაიხსნა მარტვილის სასულიერო სასწავლებელი; მარტვილის მონასტრის გორაკის ძირში 1830 წლის 23 ოქტომბერს გაიხსნა მარტვილის საერო სკოლა;

იპოლიტე ვართაგავა წერს: ,,წინათ სასულიერო სასწავლებელი გაუხსნიათ მარტვილის გორაკზე, იქ სადაც მონასტერი და დიდი საყდარი იყო. მაგრამ რადგანაც ამ გორაკზე ასვლა ყოველდღე დაბლიდან- სოფლიდან, მოწაფეებსა და მასწავლებლებს ძლიერ უძნელდებოდათ, სასწავლებელი გადმოუტანიათ დაბლა სოფელში, იქ, პატარა სავაჭრო მოედანი (ბაზარი რამდენიმე დუქნით) იყო (იხ. ი. ვართაგავა, ,,მოგონებები“, წიგნი I, თბ. 1956 წ. გვ. 26).

1831 წელს დასავლეთ საქართველოში ოთხი სამაზრო და სასულიერო სკოლა არსებობდა: მარტვილში, ნაოღალევში, ქუთაისსა და ოზურგეთში. მარტვილსა და ნაოღალევში სკოლების გახსნამდე: დიდ ნიკოს (დადიანს) კურზუსა და ნოღაში გახსნილი ჰქონია საეკლესიო და სამეცნიერო სკოლები.

ნაოღალევის სკოლას მოსიარულე სკოლას უწოდებდნენ, რადგან სკოლა ადგილს იმის და მიხედვით იცვლიდა, თუ სად იმყოფებოდა ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. ნაოღალევის სასწავლებელში პირველად 16 მოწაფე ჩაირიცხა, 1834 წლისთვის მათმა რაოდენობამ 45-ს მიაღწია; 1836 წელს- მოწაფის გარეშე დარჩა, მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა; 1839 წელს კი გაუქმდა. მისთვის განკუთვნილი თანხა გადაეცა თბილისის კეთილშობილთა პანსიონს, ხოლო სამაზრო სასწავლებლის კუთვნილი ავეჯი და სხვა ქონება- ქუთაისის სამაზრო სასწავლებელს.

,,ამგვარად, 40-იანი წლებისთვის (XIX ს) მთელს დასავლეთ საქართველოში (მომავალ ქუთისის ქუბერნიაში) იყო მხოლოდ ორი სახელმწიფო (მთავრობის) საწავლებელი-ქალაქ ქუთაისსა და სოფელ ნაოღალევში. ერთი სამაზრო სასულიერო საწავლებელი სოფელ მარტვილში და ორი სკოლა გურიის მთავრისა სამეგრელოს მფლობელისა (იხ. გ. თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, თბ. 1974 წ., გვ. 256).

მარტვილის სასულიერო საწავლებელში 1856 წელს სწავლობდა 108 მოწაფე. 1860 წელს გაიხსნა მესამე კლასი. ასწავლიდნენ: 1) საღმრთო რჯულს, 2) არითმეტიკას, 3) რუსულ ენას, 4) ქართულ ენას, 5) გალობას.

1864 წლიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებელი ოთხკლასიანი გახდა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ეწოდა. სასწავლებელს ქარმა სახურავი რამდენიმეჯერ მოგლიჯა, ცეცხლი 2-ჯერ წაეკიდა და მესამედ, 1876 წელს მთლიანად დაიწვა. 1877 წელს ის ქუთაისში გადაიტანეს, 1878 წელს- მარტვილში დააბრუნეს; ისევ დაიწვა 1881 წელს და სენაკში გადაიტანეს. სასწავლებლის მარტვილში დაბრუნება ვერ მოხერხდა და 1891 წელს მარტვილში გაიხსნა ორკლასიანი სამაგალითო სკოლა.

იპოლიტე ვართაგავა წერს, რომ 1881 წელს მარტვილის საწავლებელი შვიდწლიანი ყოფილა (სამი მოსამზადებელი ჯგუფი და 4 კლასი) (იხ. ი. ვართაგავა, ,,მოგონებები“, წიგნი I, თბ. 1956 წ. გვ. 25).

1870 წელს სამეგრელოში ყოფილა 58 სამაზრო და 149 სამრევლო სკოლა. სენაკის მაზრაში ყოფილა 12 სასოფლო სკოლა, სადაც სწავლობდა 323 ბავშვი. ზუგდიდის მაზრაში არსებობდა 6 სასოფლო სკოლა, სადაც სწავლობდა 118 ბავშვი (იხ. ,,КАВКАЗКЫЙ КАЛЕНДАРЬ“, 1870 წლის გამოცემა, გვ. 388-389).

თუ რამდენად დიდი იყო ლტოლვა სწავლა-განათლებისადმი ჩვენში, ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი ფაქტები: 1) 1871 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ალექსანდრე II. მას სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებმა და ცალკე პირებმა 449 თხოვნა მიართვეს სკოლის გახსნის შესახებ. 2) კიწიელი გ. ანჯაფარიძე კახეთიდან ჩამოსულ სტუმარს ეუბნება: ,,ეგ გახლდათ სენაკში, მაგას ჩააცვეს ვაჟური ტანისამოსი და შეიყვანეს ვაჟების სკოლაში, ვაჟებს შორის სასწავლებლად. მაგისი ვინაობა არავინ მოწაფეთაგან არ იცოდა, არ იცოდნენ თუ ეგ ქალი იყო, გარდა მასწავლებლისა და ეგ ვაჟური საქციელი და სითამამე სწავლასთან ერთად იქ მიიღო (იხ. დ. ბარნაბიშვილი, მოგზაურობა მარტვილიდან კიწიამდინ, გაზეთი ,,დროება“, 1871 წლის N30).

თბილისში, უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება სკოლების დაგეგმვა-აღრიცხვის ჟურნალები, სადაც წერია: გე-

გეჭკორის რაიონის სოფელ კომუნაში (კიწიაში) სკოლა გახსნილა 1870 წელს. ამ სკოლის დირექტორები 1939-42 წლებში ყოფილან: ალექსანდრე კუჭავა და ბენია ჩაჩიბაია (იხ. ფონდი 300, ანაწერი 13, საქმე 1984).

ალ. კოკაიას ცნობებით: 1875 წელს გახსნილა სოფელ ბანძის ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა (იხ. გაზეთი ,,სამშობლო“, 1985 წელი). ბანძაში იმ დროს 700 კომლზე მეტი ცხოვრობდა. სკოლა მდებარეობდა დღევანდელი ვედიდკარის ტერიტორიაზე.

,,გასული საუკუნის 80-იან წლებში ბანძაში გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა, ერთი მასწავლებლით, რომელსაც ხელფასს აძლევდა სოფლის მოსახლეობა. იმ დროს ბანძის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: ვედიდკარი, მახათი, ორქა და ნაჩალიჩაო. სკოლა მდებარეობდა დღევანდელი ვედიდკარის ტერიტორიაზე.

1891 წელს შაურკარში გაიხსნა სკოლა. შემდგომში გაიხსნა წერა-კითხვის სკოლები: ნაჩალიჩაოში, ორქაში, ონოღიაში, ნაგიბერაოში და ნაჯახავოში; 1896 წელს ბანძაში ორკლასიანი სკოლა გაიხსნა.

XX საუკუნის დასაწყისში ბანძაში გაიხსნა საქალებო სკოლა. სამასწავლებლო სკოლა“ (იხ. გაზეთი ,,ჭყონდიდი“, 1990 წლის 19 ნოემბერი, N108).

დიმიტრი ბერულავა წერს, რომ 1884 წლის 12 ივლისიდან უწმიდესი და უმართებულესი სინოდის ცირკულარული უქაზისა ჩვენს მხარეში გახსნილ იქნა მრავალი საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ხალხი დიდი ხალისით მიეგება მთავრობის ამ განკარგულებას. აივსო სენაკები (ეკლესიის ეზოში მდგარი სახლები) ბავშვებით, სადაც მათ მასწავლებლებად დახვდნენ მედავითნეები, რომელთა უმეტეს ნაწილს მასწავლებლობის არა გაეგებოდათ რა (იხ. დ. ბერულავა, ჟურნალი ,,მწყემსი“, 1895 წლის N9).

ბერულავას წერილიდან ასევე ვიგებთ, რომ ალავერდის (ალერტის) საბლაღოჩინო მაზრაში იმ დროს არსებულა მთელს ეპარქიაში სამაგალითო შვიდი სამრევლო სკოლა. სკოლების მეთვალყურე დეკანოზი გიორგი ბერიძე წელიწადში სამჯერ ამოწმებდა თითოეულ სკოლას. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვე ამოწმებდა ზოგიერთ სკოლას.

1884 წლიდან საქართველოში მასიური ხასიათი მიეცა საეკლესიო და სამრევლო სკოლების გახსნას. კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიშის თანახმად: ლეხაინდრაოში სკოლა 1885 წელს გახსნილა, 1889 წელს სწავლობდა 34 ვაჟი და 6 ქალი. ჯოლევის სკოლა 1885 წელს გახსნილა, 1889 წელს სწავლობდა 31 ვაჟი და 9 ქალი. I კიწიაში სკოლა 1883 წელს გახსნილა, 1889 წელს სწავლობდა 34 კაცი. I გურძემში სკოლა 1884 წელს გახსნილა, სწავლობდა-44 კაცი. კურზუში სკოლა 1885 წელს გახსნილა, სწავლობდა 14 კაცი. II კიწიაში სკოლა 1886 წელს გახსნილა, სწავლობდა 34 კაცი. სალხინოში სკოლა 1889 წელს გახსნილა, სწავლობდა 54 კაცი. II გურძემში სკოლა 1889 წელს გაუხსნიათ, სწავლობდა 25 მოსწავლე-21 ვაჟი და 4 ქალი. ალავერდის (ალერტის) სკოლა 1886 წელს გახსნილა, სკოლაში სწავლობდა 29 ვაჟი და 9 ქალი (იხ. ლალი აბდალაძე, სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, დისერტაცია, ქუთაისი, 2014 წ).

II გურძემის წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მასწავლებელი სოლომონ ჯანაშია მადლობას უცხადებს სოფლის მცხოვრებ გიგოია ჯავახიას, მასზედ რომ, მუქთად დაუთმო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის შეგირდებს ძვირფასი 4 თვალიანი სახლი, ასევე შეშა და სხვა საჭირო მასალა (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1895 წ., N22).

გურძემის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ცნობილი პედაგოგი და მწერალი კირილე ჯავახია. უცნობია, სალხინოს სკოლის გამგე რომანოზ გაგუა ტალერიდან იყო თუ წალენჯიხიდან. 1885 წელს ტალერში დაიბადა ცნობილი პედაგოგი და მეცნიერი კოსტანტინე რომანის ძე გაგუა.

1887 წელს უწმინდესმა სინოდმა მოვალეობად დაუდგინა შტატის ეკლესიებს სამრევლო სკოლების გახსნა.

,,სამეგრელოს სამრევლო სკოლების სამასწავლებლო რჩევა იმყოფებოდა ქალაქ ქუთაისში. ამ რჩევის განკარგულებას პირველად იმერეთი იგებდა, სამეგრელო კი გვიან და და ხშირად რჩევის ზოგიერთი სასარგებლო და საყურადღებო განკარგულება სულ შეუტყობელი რჩებოდა სამეგრელოსთვის. დღეს საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა მთლად შეიცვალა. ყოვლად სამ-

ღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ სკოლებს. მათმა მეუფებამ დანიშნა საეკლესიო სკოლების სამასწავლებო რჩევა. მისი ერთი წევრი ბ. ძიმისტარაშვილი დანიშნა სამეგრელოს საეკლესიო სკოლების დასახედავად. ბ. ძიმისტარაშვილმა ამ მოკლე დროში დაათვალიერა სენაკის მაზრის ყველა საეკლესიო სკოლები და შეიტყო, თუ რომელ სკოლაში რამდენი მოსწავლე იყო, ვინ სად ასწავლიდა და როგორ " (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი", 1888 წლის N17).

ნიკო სიმონის ძე ჯანაშია წერს, რომ სენაკის მაზრაში 1889 წელს არსებობდა 17 პირველდაწყებითი საერო უწყების საწავლებელი, რომელშიც სწავლობდა ვაჟი 958 და ქალი 57; მაზრაში ასევე არსებობდა სათავადაზნაურო სკოლა რომელშიაც 1165 მოსწავლე ყოფილა; ერთი ოთხკლასიანი სასულიერო საწავლებელი და 26 სამრევლო სკოლა, ამ სკოლებში სწავლობდა სულ 1358 ბავშვი. ამათგან ვაჟი 1245 და ქალი 113 (იხ. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი", 1901 წლის 4 იანვარი, N1345).

ეწერის (ტალერის) ქვის ეკლესია აკურთხეს 1890 წელს. ეკლესიის გვერდით სკოლის ასაშენებელი მიწა შესწირა სალომე დადიანმა. სკოლა გაიხსნა 1890-91 წლებში (იხ. დ. ბერულავა, ჟურნალი ,,მწყემსი", 1896 წლის N3).

გაზეთ ,,დროება"-ში 1885 წელს დაბეჭდილი წერილის მიხედვით, სამსონ ანჯაფარიძემ გახსნა კიწიაში სკოლა. ამავე წლის ჟურნალ ,,მწყემსი"-ს N16 მკითხველს აუწყებს: სამსონ ანჯაფარიძემ თავისი ხარჯით ააშენა სკოლისთვის სახლი; იყიდა მოწყობილობა და ავეჯეულობა და 11 თებერვალს გაბრიელ ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით გახსნა სკოლა, სადაც სწავლა დაიწყო 7 ქალმა და 21 ვაჟმა. ფულს ობლებისა და ღარიბების ნაცვლად იხდიდა სამსონ ანჯაფარიძე.

კონდრატე მალაქიას ძე ჩაჩიბაიამ ისარგებლა თავისი გავლენით (იყო საეკლესიო ოლქის მთავარუხუცესი) და 1896 წელს ნებართვა მიიღო სოფელ კიწიაში გაეხსნა ორკლასიანი სამასწავლებლო სასწავლებელი.

ისტორიკოს სოსო გოროზიას მოძიებული მასალების მიხედვით (ბეჭდური ვერსია გადმომცა მარტვილის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა გულორდავამ): ლედგებეს სკოლა დაარსდა

1892-1893 წლებში, ეს იყო ე. წ. ,,მოგზაური სკოლა“, რომელიც დაარსა კოტე ჩაჩიბაიამ სოფლის თავადების მიხა და გუია დგებუაძეების მხარდაჭერითა და გვერდში დგომით.

პირველი სკოლა თავად ფარნაოზ დგებუაძის სახლში გახსნილა. მალე სკოლა გადატანილ იქნა გიორგი სხულუხიას სახლის გვერდით, სადაც აშენდა შენობა ორწლიანი პატარა სასწავლებლისთვის. სკოლაში ასწავლიდნენ: პლატონ ნადარაია, მელიტონ ნადარაია, აკაკი სიხარულიძე, ჯოჯუა და სხვა ღირსეული მამულიშვილები. სკოლას სპონსორობას უწევდა ამბროსი ნაჭყებია, რომელიც მუშაობდა ზუგდიდში წიგნების მაღაზიაში. სკოლას ჰქონია საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა. სკოლა მალე დანგრეულა და მოსახლეობას იგი გადაუტანია გაბრიელ კილასონიას სახლში. რადგანაც სკოლა ისევ შეეკედლა ოჯახს, მოსახლეობას შეუძენია ერთსართულიანი ხის სახლი და დაუდგამთ დღევანდელი სოფლის ცენტრის სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც დღეს ხვიჩიები ცხოვრობენ. მასწავლებლებად მუშაობდნენ ნესტორ თოდუა (დირექტორი), სამსონ გადილია, იუ ნადარაია, კოტე ჩაჩიბაია, პლატონ ნადარაია, ესპილე ხვიჩია. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს სკოლა უცნობი მიზეზით დამწვარა. ამ დროს განადგურებულა ამბროსი ნაჭყებიას გამოგზავნილი უნიკალური ბიბლიოთეკაც. ამის შემდეგ სკოლა დროებით გადაუტანიათ ლევან ჩაგუნავას ოჯახში. მალე შეუძენიათ ხის შენობა და დაუდგამთ ერასტო ფირცხელავას ოჯახში. შვიდწლიანი სკოლის შენობა დაუდგამთ ე. წ. კანტორის წინ. იმავე ადგილას 1968 წელს აშენდა დღევანდელი სკოლა, რომელსაც 2021 წელს ჩაუტარდა სრული რეაბლიტაცია.

,,სოფ კიწია: აქ გაიხსნა 21-22 ენკისთვეს ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, ახალი რეფორმისა. ამ სკოლის დაარსება უკვე დამტკიცებულია უწმინდესის სინოდთან დაარსებულ სამასწავლებლო საბჭოსაგან და სკოლას კრედიტიც გაეხსნება, ამ მოკლე ხანში. ეს სასიამოვნო ამბავი უკვე შეუტყობინებიათ სკოლის ხელმძღვანელის, მ. ბლაღოჩინის კონდრატე ჩაჩიბაიასთვის (იხ. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“, N42, 1896 წელი).

,,1896 წლის 22 ენკენისთვეს (სექტემბერი) სალომე დადიანი მიწვეულ იქნა კიწიაში ორკლასიანი სკოლის გახსნა-კურთხევაზე. მას დიდი პატივისცემით შეხვდნენ კიწიის საზოგადოების მამა-

სახლისი და აღნიშნული სასწავლებლის ხემძღვანელი ბლაღოჩინი კონდრატე ჩაჩიბაია. სალომემ მათ აღუთქვა დახმარება თანხით და ავეჯით (სკამები, მაგიდები...). კურთხევის შემდეგ პრინცესა მიიპატიჟეს სადილზე. ,,გამიგია,-უთხრა მათ-კიწიელებს უყვართ სტუმარი, ამიტომ მიპატიჟებაზე უარს როგორ გეტყვითო". მეორე დღეს შეპირებული თანხა და ავეჯი კიწიაში იყო" (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ 151).

1896 წლის 30 დეკემბერ გამოცემულ ჟურნალ ,,მწყემსი"-ს N 23-24-ში ნიკიფორე ბარაბაძე წერს, რომ სენაკის მაზრაში, სოფელ კიწიაში, თანახმად უწმიდეს სინოდთან არსებული საბჭოს გადაწყვეტილებისა გაიხსნა ორკლასიანი სამრევლო სკოლა. სასახელოდ ამა კიწიის საზოგადოებისა: ადგილობრივ მკვიდრთ, მიუხედავად თავისი უკიდურესი მატერიალური მდგომარეობისა, უფასოდ დაუთმეს ამ სკოლას ეზო-ფერმისთვის თორმეტი ქცევა სახნავ-სათესი მიწა და ფულით ათასი მანეთი სკოლის სამუდამო შენობისთვის. აგრეთვე უფასოდ დაუთმო ამ საზოგადოებამ სკოლას ოთხ-ოთახიანი სადგომი. 169 მთხოვნელს ქონია სკოლაში სწავლის სურვილი. მიღებულ იქნა 110 ყმაწვილი.

უახლესი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტის თანახმად, ლედგებეს სკოლა 1896 წელს გახსნილა. იგივეს ამტკიცებს სოციალურ ქსელში ისტორიკოსი სოსო გოროზია.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ლედგებეს სკოლა XIX სა-უკუნის 90-იან წლებში გახსნილა. მისი პირველი ხელმძღვანელი ყოფილა დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია. უცნობია სალომე დადიანი ლედგებეში ესწრებოდა სკოლის გახსნას თუ კიწიაში.

გოგილო ბასილაია წერს რომ, ,,სალხინოს ორკლასიანი სამრევლო სკოლა 1889 წელს გაიხსნა ლეცავეს უბანში, მისარონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მრევლისთვის. ეს იყო პირველი სასწავლო დაწესებულება მთელს სალიპარტიანოში" (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 149).

1900 წელს გაზეთ ,,კვალი"-ს მე-10 ნომერში დაბეჭდილი წერილიდან ირკვევა, რომ სალხინოს სამრევლო სკოლასთან გახსნილი ყოფილა საკვირაო სკოლა, სადაც მეცადინეობა მხოლოდ კვირა დღეს ტარდებოდა. ,,ამ ფრიად სასიამოვნო საქმის დაარსებაში

დიდი თანამგრძნობელი შეიქმნა ადგილობრივი სკოლის გამგე მღვდელი რომანოზ გაგუა“.

1889 წელს სალხინოში დაარსებულ იქნა სახალხო ორკლასიანი სამინისტრო სკოლა. ონტყოლეს ხიდთან სიახლოვის გამო მას ონტყოლეს სკოლას უწოდებდნენ.

სკოლა მთელი საზოგადოების, ანუ 12 სოფლის კუთვნილება იყო. 1891 წელს აღნიშნული სკოლა ხანძრისგან განადგურდა. ახალი სკოლა სალხინოს ცენტრში აშენდა.

თამაკონის თემის გამგებელ თემურ პირტახიას გადმოცემით: თამაკონში პირველი სკოლა 1894 წელს გაიხსნა. სავარაუდოდ, ეს სკოლა გაიხსნა მწერალ ფუცუ დგებუაძე-ფულარიას მამის საკუთრებაში არსებულ მიწაზე:

,,ბავშვები ვიზრდებოდით. მე უკვე 7 წლის ვარ. ხმები დაირხა, ჩვენს კუთხეში სკოლა უნდა გაიხსნასო.

სამამასახლისოში ,,სხოდი“ შედგა, ხალხს უნდა დაედგინა სკოლის გახსნა, მამაც იქ ტრიალებდა, ყველაფერი მოგვარდა, მხოლოდ სკოლის შენობისთვის ადგილი ვერ შეარჩიეს. ცენტრიდან ჩამოსული ინსპექტორი ათვალიერებს ადგილებს. ერთ ადგილს არ აცილებდა თვალს, მდინარე ტეხურის ჭალაში, დავარდნილ ვაკეს, რომელიც ნაყოფიერი მიწის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს იქნებოდა კარგი, ამბობს ინსპექტორი, თუ პატრონი მოგვირიგდება და ძლიერ ძვირად არ დააფასებს.

ეს მიწა დათიკო დგებუაძისაა, დაიძახა ვიღაცამ. მამას აუხსნეს, რაშიც იყო საქმე და მიწის საფასურიც შეაძლია ინსპექტორმა. მამაჩემი დიდად შეწუხდა და უთხრა:

-მართალია მდიდარი არ ვარ, მაგრამ ფულს არამც და არამც არ ავიღებ, უფასოდ დაგითმობთ, ოღონდ თქვენ სოფელს სკოლა აღირსეთო.

მამამ სკოლას სამი ქცევა მიწა დაუთმო, რისთვისაც სახალხო მადლობა გამოუცხადეს. ის სკოლის მშენებლობის კომისიაშიც აირჩიეს. საუბედუროდ ჩვენს სახლიდან იმ სკოლამდე სამი კილომეტრი იყო. მე იმ სკოლაში არ მივლია, ხოლო ჩემი ძმები შოთა და ალიოშა მიაბარეს. ორი წლის შემდეგ სიშორის გამო იქ ერთ ახლობელ ოჯახში დააბინავეს, დედაჩემი დიდად განიცდიდა ვაჟების შორს ყოფნას, ეშინოდა მდინარეში არ დამეხრჩონო. მამა-

ჩემი დედას არწმუნებდა: არავის არაფერი არ გაუჭირდება, მე იმ აზრისა ვარ, ყველა შვილი მაგ სკოლაში უნდა მივაბაროო. ჩემმა ძმებმა იმ სკოლაში მხოლოდ მესამე განყოფილებამდე დაყვეს, უკვე მოუსწრო მათ ჩვენი ოჯახის ქუთაისში საცხოვრებლად გადასვლამ (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ., გვ. 448-449).

ისტორიკოსი შალვა ჯღარკავა წერს, რომ ფუცუს 1897 წელს დაბადებული ძმა, ილია სწავლობდა სოფლის ორკლასიან სკოლაში (იხ. ,,შრომის დროშა“, 1981 წლის 21 ივლისი, N86).

1883-1910 წლებში ყვირილაში (ზესტაფონში) გამოდიოდა საეკლესიო ჟურნალი ,,მწყემსი“. ამ ჟურნალში დაბეჭდილი წერილებიდან ვიგებთ, რომ მარტვილის ზემო ზონაში არსებული ეკლესიები შედიოდა ალავერდის (ალერტის) საბლაღოჩინო ოლქში. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის წინადადებით, ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზმა გიორგიმ ბერიძემ ათზე მეტი სკოლა გახსნა საბლაღოჩინოში. 1910 წელს ის დაჯილდოვდა ენქერით. დეკანოზის ხარისხი მიანიჭეს I კიწიის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელ კონდრატე ჩაჩიბაიას.

სოფელ ჟინოთას საზღვრების, სალხინოს საზოგადოებაში XIX საუკუნეში გახსნილი სკოლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მღვდელი დიმიტრი ბერულავა: ,, სალხინოს საზოგადოებაში არათუ ეხლა, ხუთი-ექვსი წელიწადია, ხუთი სკოლა არის გახსნილი და ამ სკოლებისთვის აშენებულია საკუთარი სახლები. ეს სკოლები არის გახსნილი კურზუში (1885 წ), ნაფიჩხოვო-გოდოგანში, ეწერში, თამოკონო ჟინოთაში და სალხინოში. დეკ. ბერიძის საბლაღოჩინოში სწავლის საქმე სამრევლო სკოლებში სასიამოვნოდ მიდის, ამას დაგიმტკიცებთ თქვენ ეპარქიალური სამოსწავლო რჩევის საბუთები და მადლობა სასულიერო მთავრობის მხრივ გამოცხადებული, ხსენებული სკოლის მასწავლებლებისადმი. სხვა დასამტკიცებელ საბუთთა შორის მოგახსენებთ, რომ ზემო აღნიშნულის მოღვაწეობისათვის ბლაღოჩინი დეკ. ბერიძე დაჯილდოვდა უწმინდესი სინოდის მადლობით და ნიშნად მადლობისა მიიღო წიგნი ,,დაბადება“ (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი“, 1896 წლის N3).

აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რონ დღევანდელი სოფლები: დიდი ჭყონი, ჟინოთა, პატარა ჟინოთა, პატარა თამაკონი

ერთ მთლიანი ერთეული, ერთ სოფელი, ერთ ,,სამოხიო“ იყო 1921 წლამდე. გადმოცემების თანახმად: სკოლა გახსნილი ყოფილა ჟინოთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე.

დიმიტრი ბერულავას წერილიდან ასევე ვიგებთ, რომ სალხინოს საზოგადოებამ, ამ საზოგადოებაში გასახსნელ ორკლასიან სამრევლო სკოლას მთავრობისგან მოითხოვნელად შესწირა ორი ათასი მანეთი, ხუთი ქცევა მიწა და სახლის ასაშენებელი მასალა. სამინისტო სკოლის გახსნაზე მოსახლეობა უარს ამბობდა რადგან: ,,სამინისტრო სკოლაში ქართულ ენას სრულიად არ ასწავლიან. ორი, სამი სიტყვა რუსული ჩვენს შვილებს არაფრად გამოადგა და მეორედ ერთი, სამინისტრო სკოლა მთელს სალხინოს საზოგადოებას, რომელიც ათი თხუთმეტი ვერსის მანძილზეა დაშორებული, ვერ დააკმაყოფილებს ამ მხრით მცხოვრებთა სურვილს და მოთხოვნილებას“.

1961 წლის 15 იანვარს გაზეთ ,,სოციალისტურ სოფელში“ დაიბეჭდა თამაკონის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ჟ. გვილავას წერილი, სადაც წერია:

XIX საუკუნეში თამაკონის თემში არსებობდა ერთი სამრევლო სკოლა მაცხოვრის ეკლესიასთან. 90-იან წლებში თამაკონში მომწიფებულა აზრი ახალი სკოლის გახსნისა. სოფლის თავკაცებს ნებართვა მიუღიათ, სახსრებიც შეუგროვებიათ. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ სკოლის ადგილმდებარეობის საკითხს გამოუწვევია: ერთ ნაწილს შენობის აგება დღევანდელ ნაფოსტართან ნდომებია, მეორე ნაწილს-ნახურცილავოში, მესამე ნაწილს-თვით თამაკონში, თემის ცენტრში.

ყველაზე გავლენიანი პროტექტორი ნაფოსტარელებს ჰყოლიათ და გამარჯვებაში დარწმუნებულიც ყოფილან. თამაკონის ცენტრში, წყაროს გვერდით გახსნილა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი აგრონომიული განყოფილებით.

უახლესი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტის თანახმად: II თამაკონის სასწავლებელი გაიხსნა 1902 წელს. 1938 წელს აქ იყო დაწყებითი სკოლა. მისი გამგე იყო ბორის ჯანაშია.

1901 წელს თამაკონის სასოფლო სკოლაში სწავლობდა 150 ბავშვი, 1902 წელს თამაკონის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობ-

და 154 ბავშვი, მეთვალყურედ მუშაობდა ანდრო ბახტაძე; სალხინოს ორკლასიან საწავლებელში ამავე წლებში სწავლობდა 97 მამაკაცი და 5 გოგონა. სასწავლებლის მეთვალყურე ყოფილა ბეგლარ იოსავა (იხ. КАВ КАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ-ის: 1901, 1902, 1903 წლების გამოცემები).

კიწიას სკოლაში 1910 წელს სოციალ-დემოკრატების ჯგუფი ჩამოუყალიბებია სასწავლებლის გამგე ნიკოლოზ ანჯაფარიძეს; სპარტაკელებს ემხრობოდნენ კიწიის სკოლის მოწინავე მასწავლებლები: ვასილ ჯანაშია, ტარას წულაია, ვლადიმერ თოდუა, სამსონ სხულუხია (იხ. ალექსანდრე კოკაია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1967 წლის 20 ივნისი, N72).

1898 წელს მარტვილის მონასტერთან გაიხსნა ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი. 1902 წელს ნაოღალევში გაიხსნა ქალთა სასწავლებელი.

КАВКАЗКІЙ КАЛЕНДАРЬ-ის 1910 წლის 65-ე გამოცემიდან ვიგებთ, რომ იმ დროს აბედათში არსებულა 2 კლასიანი სკოლა, რომლის მეთვალყურე ყოფილა ბახტაძე, მასწავლებელი პ. უ. ნადარაია;

ბალდაში ერთკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ყოფილა ს. გ ნადარაია;

ბანძაში ორკლასიანი სკოლაში მასწავლებლებად მუშაობდნენ: ლაბახუა, გოგოლაძე, კაჭარავა, ხუხუნი და გაბუნია; სკოლის მმართველი ყოფილა ანტონ კეკელია;

ბომბოთის ერთკლასიან სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ქურდია;

გურძემის სკოლაში მასწავლებელი იყო მხეიძე;

დოშაყის ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა დ. თოდუა, ჟინოთას ეკლესიებში: ი. გაგუა და კ. ჯღანჯღავა;

ინჩხურის ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი იყო ა. გეგეჭკორი, მღვდელი -ლ. გ. ჭალაღანიძე;

კიწია პირველის სკოლის მასწავლებელი იყო კ. გადილია; კიწია მეორეს ორკლასიან სკოლაში ასწავლიდნენ: ნ. ა. ანჯაფარიძე, მ.გ. ბერიძე, ე. ქუთელია; ამავე სოფელში არსებულა ერთკლასიანი სკოლა სადაც ასწავლიდა ნ. ს. ჯანაშია; კიწია მესამეს (ლედგებეს) სკოლის მასწავლებელი ყოფილა პ. ნადარაია;

კურზუს სკოლის მასწავლებელი ყოფილა ი. მ. ახალაია;

მარტვილის ორკლასიანი სკოლის მასწავლებელი იყო ს. პ. ქუთათელაძე; ერთკლასიან სკოლაში ასწავლიდა ლ. ნოდია; მარტვილის ერთკლასიან ქალთა სასწავლებელში ასწავლიდა ლიდ. ჩიქოვანი;

ნაგვაზაოს ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი ყოფილა კ. ბ. ახალაია;

ნახარებავოს ორკლასიანი სკოლის მეთვალყურე ყოფილა სულავა, მასწავლებელი ს. ფაცია;

ნახუნაოს სკოლაში ასწავლიდა კ. ჭუბაბრია;

ონოღიის სკოლაში ასწავლიდა ვ. გაბუნია;

სერგიეთის სკოლაში-ვ. ს. ახალაია;

ხუნწის ერთკლასიან სკოლაში- ჩიხლაძე;

ეწერის (ტალერის) ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი ყოფილა ი. ო. კაკულია;

თარგამეულის სკოლის მასწავლებელი ყოფილა კ. ს. ყურუა;

სალხინოში ყოფილა ორი სკოლა, სადაც მასწავლებლებად მუშაობდნენ: კ. გობეჩია, ი. ა. როყვა და თ. გ. სხულუხია;

1910 წელს სოფელ ნამიკოლაოში (ალბათ თამაკონის სკოლაზეა საუბარი) ყოფილა ორკლასიანი ნორმალური სკოლა, რომლის მეთვალყურე ყოფილა ცაგარეიშვილი, მასწავლებლები: ბერუჩევი და კაპუტიძე;

თამაკონში (მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე) არსებულა 2 ეკლესია, ორივე ეკლესიასთან არსებულა სკოლა; ერთში ასწავლიდა ს. დ. ჯანჯღავა, მეორეში-ლ. დ. კეშელავა.

სოფელ ნამკოლოუს ,,დანგრეული, ფანჯრებჩალეწილი და გაპარტახებული შენობა სამრევლო შკოლისა გულისამღვრევ სანახაობას წარმოადგენდა და მისი მეუფება დიდად გაუწყრა მღვდელსაც და მრევლსაც.

ამავე მრევლში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც თავისი მოხდენილი შენობით და უფრო კი ხეხილის ძვირფასი ბაღით მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამგვარი სასწავლებლები რომ გამრავლდნენ სამეგრელოში, მცხოვრებლების დღევანდელი ღარიბული მდგომარეობა ჩქარა სასურველად შეიცვლებოდა“ (იხ. გაზეთი ,,შინაური საქმეები“, 3 ივნისი, 1912 წელი, N21).

ვინმე ,,ნახურცილაოელი“ თამაკონის ნორმალური სკოლის შესახებ წერს: ,,შკოლას ამშვენებს მეტად ლამაზად მორთული ბაღი, მაგრამ გლეხებისთვის ეს სულ ამაოა; ისინი ბაღით ვერ სარგებლობენ. მებაღის ჯამაგირის გადახდა კი გლეხკაცობას მძიმე ტვირთად აწევს. შკოლის ბატონ-პატრონებმა, ვერც ძველმა და ვერც ახალმა ვერ გაამართლეს ხალხის მოლოდინი და გულიც აუცრუეს მას“ (იხ. გაზეთი ,,კოლხიდა“ 1912 წლის N151).

,,ნაქალაქევიდან ტალერამდე დღენახევრის სავალია. ამ გზაზე არაფერი საყურადღებო არ შემხვედრია, გარდა თამაკონის საზოგადოების სკოლისა; მგონია ეს ერთად ერთი სკოლაა ოდიშში, სადაც წერა-კითხვის გარდა, მეურნეობასაც ასწავლიან; აქედან თურმე მცხოვრებთაც აძლევენ სანერგეს. მშვენიერი სანახავია ეს სკოლა, ყოველნაირი ხეხილით და მცენარეულობით სავსე მთელი ეზოთი. ძლიერ სამწუხაროდ დამირჩა, რომ დაწვრილებით ვერა გავიგე რა ამ სკოლისა, რადგან ყველა აქ მყოფი ზაფხულის სიცხეს გაქცევია. თამაკონიდან ახლოა საბაჟო, ე. ი. დუქანი და კანტორა თეთრი მთის მოჯარადეებისა. თეთრ მთაზე მიმავალი ამ ადგილს ვერ აშორდება, აქ გახდევინებენ ,,ბაჟს“- ცხენზე მანეთს“ (იხ. პეტრე ქავთარაძე, ,,თეთრი მთა“, თენგიზ ვერულავას ბლოგი).

სალხინოს საეკლესიო-სამრევლო სკოლაში 1912 წელს სწავლობდა 260 ყმაწვილი (იხ. პ. კვარაცხელია, გაზეთი ,,შინაური საქმეები“, 1912 წლის N16).

გივი ელიავასთვის ლუბა კონდრატეს ასულ ჩაჩიბაიას 1973 წელს პარიზიდან გამოუგზავნია წერილი, სადაც ის წერს: ,,51 წელიწადია, რაც მე სამშობლო დავტოვე და ვცხოვრობ საფრანგეთში. მამაჩემის მოხუცებულობა და მასთან დაშორება ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ ცხოვრების ბორბლის უკუღმა ტრიალმა ასე ინება. ჩემი მეუღლე, შალვა აბდუშელი, 65 ქართველთან ერთად, 1922 წელს მოხდა გადასახლებაში. მეც გავიზიარე მისი ხვედრი. ყველამ ბევრი უბედურება გადავიტანეთ, მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარული და კონტაქტი არ დაგვიკარგავს. აქ დაბადებული შვილი (ექიმი, ნევროფსიქიატრი) ქართულად აღვზარდეთ და ქართულს საუცხოოდ ლაპარაკობს. მას უყვარს მისი მშობლების სამშობლო და ყოველთვის მზად არის, სამსახური გაუწიოს, როგორც განსვენებულმა მამამისმა და ბაბუამ-დეკანოზმა კონ-

დრატე ჩაჩიბაიამ. მამაჩემი საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა სულ ახალგაზრდა ყმაწვილი. ის იყო გამსჭვალული ხალხის უსაზღვო სიყვარულით და სწორეთ ეს უანგარო რწმენა და სიყვარული უწყობდა ხელს მისი საყვარელი კუთხის აყვავებასა და შეგნების გაღვიძებაში.

სულ მალე მამა ღებულობს ნებართვას, ააშენოს მშვენიერი, დიდი ორსართულიანი შენობა, სადაც ის თავს უყრიდა სხვადასხვა ტიპის სკოლას. ხსნის პანსიონს შორეული სამეგრელოს სოფლებიდან ჩამოსული მოწაფეებისათვის. მთელი პლეადა ახალგაზრდებისა თავს იყრის მის გარშემო. ამ სკოლიდან გამოდიან სოფლის მასწავლებლები, აღჭურვილნი ხალხისადმი უანგარო სიყვარულით. ხსნის გოგონებისთვის ჭრა-კერვის, აბრეშუმის ჭიის მოვლისა და მეოჯახეობის სკოლას. სკოლის ეზოში მოწაფეებისთვის აშენებს ფინლიანდიის ტიპის აბანოს. მიაღწევს კიწიაში ფოსტისა და საამხანაგო კოოპერატივის, საქორწილო და დამმარხავი კასის გახსნას. იმხნად ამ ტიპის კულტურული დაწესებულების დაარსებაზე ოცნებაც კი ძნელი იყო. დედა ყველაფერში ეხმარებოდა მამას. ჩვენ, შვილებს კი გვევალებოდა გამოცდაში ჩაჭრილი მოწაფეების ზაფხულში მომზადება, მეზობლის პატარა ბავშვების დაბანა-დავარცხნა, რომ პატარაობიდანვე მიჩვეოდნენ ჰიგიენას. საღამოობით გლეხებს ვასწავლიდით წერა-კითხვას, ვუწერდით ჟურნალებს, ვდგამდით წარმოდგენებს და ჭირ-ვარამში მათთან სულ ახლოს ვიყავით. მამა თავის დაუღალავ მუშაობაში პოულობდა ზნეობრივ კმაყოფილებას. აი მოკლე კონსპექტი მამაჩემზე. და მე ბოდიშს გიხდი, რომ ზედმეტად დაგღალეთ“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 276-277).

,,კიწიის შესახებ გაზეთ ,,აზრში“ 1914 წელს გამოქვეყნებულია პუბლიკაცია, საიდანაც ირკვევა, რომ სენაკის მაზრის ამ სოფელში არსებობს ორკლასიანი სამასწავლებლო- საეკლესიო სკოლა, სადაც ოთხასამდე მოსწავლე სწავლობს. სკოლაში არის პანსიონი, სადაც თავსდება ოცდაათამდის შეგირდი. ხაზინის მიერ აგებულ სკოლას ხაზინავე ინახავს. სკოლას ჰყავს დანიშნული გამგეობა, რომლის წევრები არიან მასწავლებლები და გარეშე პირნი“ (იხ. ი. კეკელია, გაზეთი ,,მარტვილი“, N8, 26 აგვისტო, 2023 წ).

გოგილო ბასილაია წერს: ,,დედის (სალომე დადიანის) პირობა შვილმა ბებემ განახორციელა. მან 1913 წელს მიურატების თანხითა და სხვადასხვა შემოწირულობით დაიწყო სალხინოს სამინისტრო სკოლის კაპიტალური ნაგებობის მშენებლობა. პირველმა მსოფლიო ომმა დროებით შეაფერხა მშენბლობის ტემპი.1916-1917 სასწავლო წლისთვის სკოლამ ახალმოსახლეობა იზეიმა. შენობა ერთსართულიანი იყო, მაგრამ სრულად აკმაყოფილებდა არა იმ პერიოდის, არამედ შემდგომ საშუალო სკოლის მოთხოვნებსაც 1957 წლამდე (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 152).

პერიოდული პრესის ფურცლებზე ,,ბუბა ბაჭუა“ წერს: ,,სოფ. სალხინოში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო 4 კომპლექტიანი სასწავლებელი ავტონომიური განყოფილებით. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ შკოლისთვის ააგეს ქვის შენობა, რომელიც 14 ათას მანეთამდე დაჯდა. პრინცმა ლიუსენ მიურატმა ამ სკოლას ხუთი ათას მანეთამდე შესწირა.

ს. სალხინოში განზრახულია უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის დაარსება, რომლისთვისაც სოფელი აძლევს ზემო დასახელებულ სკოლის შენობას და ერთდროულად დახმარებას ათას მანეთს (იხ. ,,თანამედროვე ზრი“, 1915 წ. N185).

უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი სალხინოში დაარსდა 1917 წელს.

სკოლაში სწავლის პერიოდში, მეორე ნამიკოლაოს სკოლის მასწავლებელმა ევგენი გოროზიამ მიამბო, რომ ის სწავლობდა თამაკონის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ქართულად მხოლოდ საღვთო რჯულს ასწავლიდნენ. პირველი კლასის მოსწავლე 9 წლის უნდა ყოფილიყო. პირველი გაკვეთილი საღვთო რჯულით იწყებოდა. მათი მღვდელი იყო ამბაკო ჯანაშია.

მეორე ნამიკოლაოს სკოლის მასწავლებელ, მიხეილ ჯანაშიას შედგნილ ავტობიოგრაფიაში წერია: ,,მშობლებმა პირველად სწავლა დამაწყებინეს თამაკონის 2 კლასიან ნორმალურ აგრონომიულ სასწავლებელში, რომლის 6 წლიანი კურსი დავამთავრე 1917 წელს. იმავე წლის სექტემბერს სწავლა განვაგრძნე თამაკონის 2 კლასიანი სასწავლებლის ბაზაზე გახსნილ უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში, რომლის კურსი დავამთავრე 1919 წელს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო განათლების რეფორმა, რაც ითვალისწინებდა უფასო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას, საგანმანათლებლო კერების ფართო ქსელის შექმნას.

სენაკის მაზრაში 1919 წელს არსებობდა 112 პირველდაწყებითი სასოფლო სკოლა და 13 უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, ერთი საოსტატო სემინარია, 2 სასოფლო-სამეურნეო სკოლა (ძველ-სენაკსა და თამაკონში), ერთი საფეიქრო სკოლა (ლეხაინდრაო-ონოღიაში). ყველა ტიპის სკოლასა და სასწავლებელში სწავლობდა 13053 ბავში. მათ ასწავლიდა 232 მასწავლებელი, საიდანაც საშუალო განათლებით იყო-58, საოსტატო სემინარიიდან-25. დანარჩენი მასწავლებლები იყვნენ დაბალი განათლებით (იხ. გაზეთი ,,ერთობა“, 1919 წლის 17 დეკემბერი).

1918 წელს დაიწყო სკოლების გადაცემა-ჩაბარების პროცესი ერობებისთვის. ,,1919 წლის 29 დეკემბერის მონაცემებით სენაკის მაზრაში ითვლებოა 121 დაწყებითი სკოლა, საიდანაც 11 ახალგახსნილი იყო. 41 სკოლას ინახავდა ერობა (ს. ც. ს. ა. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 546, ფურცელი 1).

კერძო პირების ინიციტივით 1912 წელს ნაოღალევში გახსნილა ბაღი (იხ, ევგენი ბართაია. ,,ადამიანები და საქმეები“, თბ. 1963 წ., გვ.79).

,,ახალ-სენაკში გაიხსნა ბაღი. განყოფილებას მიზნად აქვს გახსნას ბაღი შემდეგ სოფლებში: სალხინო, მარტვილი, სუჯუნა, კიწია, გორდი, აბაშა, ონტოფო (ამათგან პირველ რიგში მარტვილსა და სალხინოში, სადაც შესაფერისი შენობები უკვე არის).

მაზრაში არსებობს: ა) 127 დაბალ დაწყებითი სკოლა, ზოგადი განათლების 315, ხელსაქმის 19 და ერთი ტანვარჯიშის მასწავლებლით. ბ) 20 უმაღლესი დაწყებითი სკოლა, 129- ზოგადი განათლების, 14 -ხელსაქმის, 7- ტანვარჯიშის, 2- გალობის და ერთი- მუსიკის მასწავლებლით“ (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“ 1921 წ., 9 დეკემბერი, N232).

,,სენაკის მაზრაში არის დაარსებული 5 ტექნკუმი, 2 სამეურნეო სკოლა, 141 მთლიანი შრომის სკოლა, 2 პროფესიონალური, 1 მუშათა კლუბი, 1 სახალხო უნივერსიტეტი, 157 ქოხ-სამკითხველო,

12 ბიბლიოთეკა, 1 საბავშვო ბაღი, ერთი საბავშვო სახლი და სხვა. მასწავლებელთა რიცხვი დაახლოებით 700-მდეა. მათი ნივთიერი მდგომარეობა არის ძალიან ცუდი (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1922 წლის 10 თებერვალი, N32).

ანტონ მარკოზიას სახლში, 1919 წელს გაიხსნა ჟინოთის დაწყებითი სკოლა, რომლის გამგე-მასწავლებელი იყო თედო ესართია. სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა მისი მეუღლე ფედოსია მეზონია. ანტონ მარკოზია ცხოვრობდა იმ ადგილას, სადაც შემდეგ აშენდა დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკა.

1920 წელს სკოლა გადავიდა დიომიდე და კაპიტონ ბეჭვაიეზის სახლში. სწავლობდნენ სკოლის ასაკისა და ასაკგადაცილებული მოზრდილები. სწავლა მიმდინარეობდა ორ ცვლაში.

დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის ტერიტორიიდან კაპიტონ ალექსის ძე ბეჭვაია გაასახლეს 1935 წელს (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 1, ანაწ. 1, საქმე 8, ფურც. 87).

ნამიკოლაო მეორეში სკოლა გაიხსნა 1919 წელს. მისმა გამგე-მასწავლებელმა ლუკა კეშელავამ სკოლას საკუთარი სახლი დაუთმო.

,,ნესტორ თოდუამ საკუთარ სახლში უსასყიდლოდ გახსნა სამკლასიანი სასწავლებელი, რომელმაც რამდენიმე წელი იარსება. შემდგომში მის ბაზაზე შეიქმნა ოჩეს ოთხწლიანი სკოლა“ (იხ. გაზეთი ,,ჭყონდიდი“, 1996 წლის N3).

დიდი ჭყონის სკოლა სენაკის მაზრაში იყო ერთადერთი, სადაც უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი (თედო ესართია) ასწავლიდა.

ლუკა კეშელავას პედაგოგიური მოღვაწეობის 18 წლიანი გამოცდილება ქონდა.

ლედგებეს სკოლის გამგე-მასწავლებელ სამსონ ხვიჩიას კომუნისტებმა ლენინის ორდენი და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს (პარტიის ისტორიის) არქივში დაცული დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ 1929 წელს დიდი ჭყონის თემის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში ასწავლიდა 14 მასწავლებელი: ლადი კვიტატიანი, ვალია ჯიჯელავა, ანასტასია

ნაჭყებია, ნესტორი თოდუა, მარო ნაჭყებია, ვარლამი გოროზია, ისაკი ნადარაია, ბიქტორი ჯიჯელავა, ყარამანი ჯანაშია, ამბროსი ჯგერენაია, ილია ფარცვანია, ბიქტორი გვილავა, ლადი ხუხუა, შალვა სანიკიძე (ფონდი 31, ან 1, საქმე 208, ფურცელი 160).

1932 წელს მარტვილში გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებელი.

უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება 1938-41 წლებში არსებული სკოლების დაგეგმვა-აღრიცხვის ჟურნალები, საიდანაც ვიგებთ, რომ იმ დროს დიდი ჭყონის თემში 4 სკოლა არსებულა:

ლედგებეში 1896 წელს გახსნილა სამრევლო სკოლა. 1939 წელს სკოლაში სწავლობდა 113 მოსწავლე. საწავლებელი იყო ოთხკლასიანი. სკოლის დირექტორი იყო დავით ზოსიმეს ძე ერქვანია (შემდგომში- გეგეჭკორის რაიკომის I მდივანი), ის ასწავლიდა ქართულ ენას და ლიტერატურას. 1938-41 წლებში მასწავლებლებად მუშაობდნენ: იონა ნადარაია, გიორგი გოროზია, ივლიანე ახალაია, ვარლამ კვესელავა, ეპრაქსია ინჯია, ქსენია მარკოზია, თამარ პატარაია, ივანე თოდუა, მინადორა ჯგერენაია, ლიდა ნაროუშვილი და ბაბილინა თაფლაძე (ფონდი 300, ანაწერი 13, საქმე 211).

სკოლის გამგე-დირექტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: კონდრატე ჩაჩიბაია, სამსონ ხვიჩია, ევგენი გოროზია, დავით ერქვანია, კონდრა ჯანაშია, ბაგრატ ინჯია, ალიოშა ერქვანია, შოთა ჯინჯოლავა, შოთა კუკანია, მურმან ბეჭვაია, თამილა შულაია.

მეორე ნამიკოლაოში სკოლა 1919 წელს გაიხსნა (ჟურნალში 1922 წელი წერია, ჟურნალში ჩადებულ ინსტრუქციაში 1918 წელი). 1939 წელს სკოლა ოთხკლასიანი ყოფილა. მის დირექტორად 1939 წელს მუშაობდა ვარლამ ესტატეს ძე ჯანაშია. სასწავლო ნაწილის გამგე ყოფილა მელენტი იოანეს ძე კოკაია. მასწავლებლებად მუშაობდნენ: ისიდორე კობახიძე, ევგენი ფილიპეს ძე ბართაია (შემდგომში- გეგეჭკორის რაიკომის I მდივანი, პოეტი), აკაკი კორთხონჯია, მარო გოროზია, საშა კეშელავა, ალექსანდრა ჯანაშია, ლენა თოდუა, გივი ოსიძე, ილია გოროზია, გალაკტიონ გოროზია, თამარ ივარდავა, ფეო ჯანაშია.

სკოლაში ჰქონიათ: ბადე, საყვირი, დოლი, ,,შახმატი“, 2 გლობუსი, 9 რუკა, თაროზო, ბარომეტრი, კომპასი... (იხ. ფონდი 300, ანაწერი 13, საქმე 2014).

ნამიკოლაოს რვაწლიანი სკოლა 1972 წელს გადაკეთდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლად. სხვადასხვა დროს სკოლის გამგე-დირექტორები იყვნენ: ლუკა კეშელავა, მარო ახვლედიანი, ვარლამ ჯანაშია, აკაკი კორთხონჯია, კუკური ფოცხორაია, მელენტი კოკაია, ალიოშა ერქვანია, შოთა ჯინჯოლავა, მამია ჯანაშია, ანდრო კოკაია, შორენა ახვლედიანი და მიხეილ ნაჭყებია.

დიდი ჭყონის სკოლა 1919 წელს გაიხსნა. ბოლშევიკებს ჩვეულებისთვის არ უღალატიათ და სკოლის გახსნის თარიღად ,,მაგიური ციფრი“ 1921 წელი ჩაუწერიათ. ჟურნალში არასრული სკოლის გახსნის თარიღად 1924 წელია ჩაწერილი.

ტერენტი ახალაიას გადმოცემით: დიდი ჭყონის სკოლა 1927 წლამდე გუია დგებუაძისთვის ჩამორთმეულ სახლში იყო განთავსებული. ამ წელს სოფლის ცენტრში გაიხსნა შვიდწლიანი სკოლა. სწავლა მიმდინარეობდა მიხა დგებუაძისთვის ჩამორთმეულ სახლში და სალხინოდან მოტანილი კლუბის შენობაში. გამგე ყოფილა არზიანი. ასწავლიდნენ: საშა კეშელავა, ამბროსი ჯგერენაია.

საშუალო სკოლა 1934 წელს გახსნილა. მისი დირექტორი 1934-36 წლებში იყო სალხინოელი სამსონ სხულუხია (საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენის კავალერი).

სკოლაში 1938-39 წლებში სწავლობდა 435 მოსწავლე. სკოლის დირექტორი იყო ტარასი გიორგის ძე ჩაგუნავა. სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა ივლიანე ნადარეიშვილი. 1938-41 წლებში სკოლაში მასწავლებლებად მუშაობდნენ: ვლადიმერ თოდუა (1934 წლიდან), ალექსანდრე წოწორია, მიხეილ ჯანაშია, დიმიტრი ქოიავა, ევგენი თორდინავა, კალისტრატე ხარებავა, ბაგრატ გოროზია, პარმენი მარკოზია, ქსენია მარკოზია, ლენა ბეჭვაია, ქსენია ბეჭვაია, არეთა ჯანჯღავა, ლიდა ჯანაშია, ვალენტინა ჯანაშია, ვაროსი ბერაია, ვარლამ ბეჭვაია, ალექსანდრე ხუხუა, ალექსანდრე მანია, ალექსანდრე თოდუა, კონდრატე კეკელია, ივლიანე ჯანაშია, ბორის ჯანაშია, იპოლიტე ერქვანია, არეთა ჟინჟოლავა, პაშა ჯოჯუა, ილია ერქვანია.

სკოლას ჰქონია ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა 805 წიგნი და 102 ჟურნალი. ქიმიის კაბინეტში განთავსებული იყო 81 ნივთი, ბუნების კაბინეტში-59 ნივთი, სამხედრო საქმის კაბინეტში-16 ნივთი, ფიზკულტურის კაბინეტში-6 ნივთი.

სკოლას ჰქონია დაქირავებული შენობები. ზოგიერთ ოჯახს ქირის გარეშეც დაუთმია სკოლისათვის ოთახები (იხ. ფონდი 300, ანაწერი 13, საქმე 2038).

სხვადასხვა დროს სკოლის გამგე-დირექტორები იყვნენ: თედო ესართია, არზიანი, სამსონ სხულუხია, ტარასი ჩაგუნავა, აკაკი ფარცვანია, მელენტი კოკაია, მალაქია სხულუხია, ვარლამ ჯანჯღავა (1958-1977), მიხეილ კეკუტია, შოთა კუკანია, იურა ხვიჩია, დავით ნაჭყებია.

დიდი ჭყონის მეურნეობაში 1933 წელს გახსნილა რუსული სკოლა, რომელსაც 1938 წელს საკუთარი შენობა არ ჰქონია, ის განთავსებული ყოფილა ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახლში; ყოფილა ოთხკლასიანი. აქ სწავლობდა 183 მოწაფე. 1937 წელს დირექტორი ყოფილა ნიკოლოზ დანელია. 1938 წლიდან სკოლას ხელმძღვანელობდა ვასილი ტარანოვსკი (შემდგომში- საბჭოთა კავშირის გმირი, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი). სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა ვახტანგი მოზდოკემი. მასწავლებლები იყვნენ: ილია კუხალაშვილი, ნესტორ თოდუა, ალექსანდრა კლიმოვა, ისაკ კაკულია, ნადეჟდა მედვედევა, აკაკი უჩავა და იაკობ გალჩენპოვი (ფ. 300, ან. 13, საქმე 2005).

დიდი ჭყონის მეურნეობაში სკოლის გამგე-დირექტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ნიკოლოზ დანელია, ვასილ ტარანოვსკი, გრიშა ბეჭვაია, აკაკი ლაშხია, იურა კვაშილავა, სოსო გოროზია, ოლეგ გულორდავა.

დიდი ჭყონის საშუალო სკოლასთან არსებობდა სკოლა-ინტერნატი, დიდი ჭყონის საღამოს საშუალო სკოლა, რომელიც ამ პროფილის ერთადერთეთი სკოლა იყო მარტვილის ზედა ზონაში. დიდი ჭყონის მოზრდილთა სკოლის დირექტორი 1939 წელს ყოფილა კ. ხარებავა. სხვა ინფორმაციით, მოზრდილთა სკოლის დირექტორი 1939 წელს ყოფილა ალექსი იაკობის ძე ერქვანია.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, დიდი ჭყონის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ადელინა ბასილაის ჩამოუყალიბებია ნორჩ ქიმიკოსთა წრე, რომელშიც 1964 წელს გაერთიანებული ყოფილა 32 მოსწავლე. სკოლაში რეგულარულად გამოდიოდა კედლის გაზეთი ,,ნორჩი ქიმიკოსი“ (იხ. გაზეთი ,,კოლხეთის ცისკარი“, 1964 წლის 31 მარტი).

დიდი ჭყონის მეურნეობაში ომის შემდგომ გაიხსნა ქართული და სომხური სკოლები. ,,კომკავშირის მდივან ველოდი ნაჭყებიას წინადადება მიღებულ იქნა და (დიდი ჭყონის) მეურნეობასთან გაიხსნა წულუკიძის N9 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალი, სადაც მოწვეულ ლექტორებთან ერთად ლექციებს კითხულობდნენ პარტიული კომიტეტის მდივანი შოთა კილასონია, მექანიზატორი გრიგოლ (ჟორა) გაგუა, აგრონომი ავთანდილ გაბისონია და მექანიზატორი ვაჟა გულორდავა (იხ. მ. მანია, ,,უხვად, იაფად", თბ. 1972 წ, გვ. 6).

,,მექანიზაციით დაინტერესებულთათვის მეურნეობაში მუშაობს წულუკიძის N9 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალი; მასში მეცადინეობს ტექნიკით დაინტერესებული 60-მდე მუშამოსამსახურე" (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს", თბ. 1971 წ., გვ. 42).

1958 წელს გაიხსნა მარტვილის სამუსიკო სკოლა, რომელსაც 37 წელი ხელმძღვანელობდა დიდი ჭყონელი ზაურ ხუხუა.

დიდი ჭყონის საშუალო სკოლასთან 1971 წელს გაიხსნა სამუსიკო სტუდია, სადაც პედაგოგად მიწვეულ იქნა ლამზირა დანელია. 1981 წელს გაიხსნა შვიდწლიანი სამუსიკო სკოლა, რომელიც განთავსებული იყო საშუალო სკოლის I სართულზე. სხვადასხვა დროს მისი დირექტორები იყვნენ: ნუგზარ იაკობიძე, ბადრი გვილავა, ავთანდილ უგულავა, როინ ხარებავა და მურად გვილავა. სკოლის საგუნდო განყოფილების ვაჟთა გუნდას ხელმძღვანელობდა მარტვილის სამუსიკო სკოლის დირექტორი ზაურ ხუხუა.

სამუსიკო სკოლა 1985 წელს გადავიდა საშუალო სკოლის ძველ ერთსართულიან შენობაში. 1987 წელს სკოლის სახურავი თოვლმა ჩაანგრია და ის შეიკეედლა მახარაძის სახ. კოლმეურნეობამ.

1992-1995 წლებში სამუსიკო სკოლის ინვენტარი მოიპარეს, კოლმეურნეობის შენობა დაწვეს. პედაგოგები ბინებში ამზადებდნებ ბავშვებს.

კოლმეურნეობის ეზოში გასული საუკუნის 90-იან წლებში აშენდა სამუსიკო სკოლის ახალი შენობა, რომლის ნაწილში 2008 წელს განთავსდა დიდი ჭყონის ამბულატორია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

დიდი ჭყონის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საგუნდო განყოფილებებში სწავლობს 55 მოსწავლე. სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებზე ისინი წარმატებას აღწევენ მარტვილის სამუსიკო სკოლის სახელით. სამუსიკო სკოლის შენობა ამორტიზირებულია, არა აქვს საკონცერტო დარბაზი. ჭერი და კედლები გაბზარულია (სამუსიკო სკოლის შესახებ მასალები მომაწოდა მურად გვილავამ).

ომამდე მარტვილში არსებულა 10 ბაღი. გეგეჭკორის, ბანძის და ინჩხურის ბაღები ყოფილა განათლების სახალხო კომისარიატის ბალანსზე. დიდი ჭყონის მეურნეობის (რუსული) ბაღი ყოფილა კვების მრეწველობის კომისარიატის ბალანსზე. სწავლობდა 33 ბავშვი. ჰყოლიათ ერთი გამგე-აღმზრდელი და 2 ტექნიკური მოსამსახურე.

თავისი ბაღი ჰქონია ლედგებეს კოლმეურნეობას, სადაც ყოფილა 2 ჯგუფი. სწავლობდა 56 ბავშვი. ყავდა გამგე მასწავლებელი და 2 ტექნიკური პერსონალი (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 300, ანაწერი 15, საქმე 87).

1950-1991 წლებში დიდი ჭყონის თემში არსებობდა 5 ბაღი: ნამიკოლავო მეორეში, ნაფოსტარში, ლედგებეში, დიდი ჭყონსა და დიდი ჭყონის მეურნეობაში. თავისი ბაღი ჰქონია დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკას. 1955 წელს ბაღში სწავლობდა 15 აღსაზრდელი. ბაღის გამგე ყოფილა ც. ხუნწელია, მასწავლებელი ა. სხულუხია (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1955 წლის 7 ოქტომბერი, N120).

ტალერის სასოფლო საბჭოს გამოყოფამდე, ანუ 1966 წლის მაისამდე დიდი ჭყონის თემში არსებობდა: სამი საშუალო და 4 რვაწლიანი სკოლა 160 პედაგოგით და 2150 მოსწავლით. გარდა ამისა იყო 6 საბავშვო ბაღი (იხ. ალექსანდრე კოკაია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1966 წლის 15 იანვარი, N6).

კულტურა და ხელოვნება

კულტურა და ხელოვნება ჩვენს სოფელში ნეოლითის ხანიდან არსებობს. მარტვილის მუზეუმში ინახება დიდი ჭყონში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანის სამკაულები. ამავე მუზეუმის ექსპე-

დიციამ დაადგინა, რომ სოფელ ლედგებეს ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანი აწარმოებდა ბრინჯაოს იარაღს (იხ. არტეფაქტები).

არქეოლოგიური მასალები ამტკიცებენ, რომ სოფელ ნამიკოლაოში ყოფილა ნეოლითის ხანის ადამიანების ნამოსახლარები, სადაც ფართოდ იყო განვითარებული კერამიკული წარმოება (იხ. გ. ელიავა, ,,აბაშის და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა).

სოფელ ნამკოლუს სახელწოდების შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. აქ დამზადებული კოლოს (პატარა სურების) წასაღებად შორეული ზღვისპირეთიდანაც მოდიოდნენ.

მეჭურჭლეობის მხრივ ,,სამეგრელოში ცნობილია სოფ. ნამკოლუ, სადაც კეთდება კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი. ამ სოფელში თიხის ჭურჭლის გაკეთებას დაახლოვებით 200-მდე კომლი მისდევს და ეს ხელოსნობა ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა.

მიწას ეზიდებიან ადგილ ,,ენწერიდან", რომელიც ნამკოლუდან ორი კილომეტრით არის დაშორებული. ენწერი დავაკებული ველია და აქ მეჭურჭლეები მიწას ბარით სთხრიან და ურმებით ეზიდებინ. კარებზე მიტანილ მიწას შემდეგ ზელავენ ფეხით" (იხ. ს. მაკალათია, დას. ნაშ., გვ. 216-217).

ხალხური შემოქმედება ყოველთვის იყო სულიერი კულტურის უშრეტი წყარო. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში კარგადაა ასახული გლეხობის ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ.

ნამიკოლაოს გლეხთა აჯანყება არაერთ ხალხურ ლექსში აისახა. ხალხი დიდებით მოსავდა ნამიკოლაოსა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყებების მეთაურებს.

ვინც ჩვენი ერის კულტურის ისტორიას საღი მოაზროვნის თვალით გადახედავს, არ შეიძლება გულისტკივილით არ შენიშნოს, რომ ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც დიდი კულტურის, დიდი საუნჯის შესაქმნელად ოფლი უღვრია, უშრომია.

ჟურნალ ,,ცისკრის" 1861 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა დიდი ჭყონელ ევგენი დგებუაძის პოემა ,,ოფოფი".

თუ გონების თვალით შევხედავთ XIX საუკუნის ,,ცისკრის" გარშემო შემოკრებილი მწერლების შემოქმედების არსს, მაშინ საინტერესო გახდება ევგენი დგებუაძის პოემაც, მისი შინაარსიც და მწერლის ჩანაფიქრიც:

როცა ფრინველებმა არწივი დასვეს მეფედ, მაშინ ოფოფსაც ერგო გარკვეული პატივი მეფისაგან. ოფოფმა მეფის კარზე ბარტყებიანად დაყო რამდენიმე ხანი.

ოფოფს ერთხელ შეხვდა დასევდიანებული ძერა, რომელიც ჯიშით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ სწავლული და გაზრდილი იყო. ძერა შეეხვეწა ოფოფს: მარჩინე და გაგიზრდი ბარტყებსო. ოფოფმა ნახა შვილების განსწავლულობა და საკენკთან ერთად ძერას ფულიც გადაუხადა.

ძერამ მოინდომა ფრინველებში გარევა. ის მოტყუებით დაუმეგობრდა: ჯერ ჩიტს, მერე ქორს. ფრინველებმა შეიტყვეს ძერას უჯიშობა და ძრახავდნენ: ოფოფს, ჩიტს და ქორს-უჯიშო ძერას ნდობის გამო.

,,ადვილად შესაძლებელია, რომ პოემას თაობათა შორის ბრძოლასთან არავითარი კავშირი არ ქონდეს, არამედ უფრო დადიანის სამთავრო კარის ცხოვრებასა და იქ გამეფებულ ინტრიგებს ასახავდეს“ (იხ. სერგო ფაცაცია, პეტრე კირთაძე, გაზეთი ,,სოციალისტური სოფელი“, 1961 წლის 2 დეკემბერი, N150).

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: როცა მზე ამოდის, ვარსკლავები არ ჩანანო. რა ვუყოთ: ევგენი დგებუაძე ის მნათობია, ის პოეტია, ის მწერალია-ვისითაც სამეგრელომ უნდა იამაყოს. მზის ელვარებამ ვარსკვლავების არსებობა არ უნდა დაგვავიწყოს.

მარტვილის მუზეუმის გამოფენაში ,,წარმოდგენილია ქართველ ოქრომჭედელთა მიერ დამზადებული ვაზები, რომლებზედაც ქართველ მეფეთა და წმინდანთა სახეებია ამოტვირფული და აზარფეშა, რომლის ფსკერი ჭედური ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. იგი შემკულია ფირუზით და ლალით. ეს ნიმუშები მოტანილია დგებუაძეების ოჯახიდან. აქვე ჩართულია დგებუაძის, მართა დედოფლის ერთ-ერთი შიმუნვარის ოქრომკერდით ნაქსოვი კაბა. იგი ჩვენი მხარის დიდებული ქალის ტანსაცმლის შესანიშნავი ნიმუშია. კაბა გაწყობილია ვერცხლით, ფირუზითა და სხვა ძვირფასი ქვებით (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 121).

1958 წელს აღნიშნული კაბა მუზეუმს საჩუქრად გადასცეს მარგარიტა და სოფიო დგებუაძეებმა. აღათი დგებუაძე იყო მათი დედა, პარასკევა-დეიდა (იხ. დიდი დიასახლისი). კაბაზე აღათი

და პარასკევა ანჯაფარიძეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში.

,,ოქრომკერდით ნაქარგი, ძვირფასი თვლებითა და ვერცხლით მორთული ეს ლამაზი კაბა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ეროვნული ტანსაცმლისა და ქარგულობის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად“ (იხ. ანა ჩიქვანაია, ჟურნალი ,,სათანო“, 2007 წლის ივლისი).

კაბა შავი ფარჩისაა, ხოლო გულისპირი და ქამარი ბორდოს-ფერ ხავერდზე ნაქარგი. ოქრომკერდით შესაბნევი ღილები კი-3 წყვილი ჩავრაზია, რომელიც ვერცხლისაა ოქროს წყალში გავლებული და ფირუზის თვლებით არის შემკული.

თვით კაბა შედგება 4 ნაწილისაგან: ზედაწელი, ქვედაწელი, გულისპირი და ქამარი. კაბა იმდროინდელ საზოგადოებში განსაკუთრებულ ყურადრებას იქცევდა და რამდენიმეჯერ პრიზიც მიუღია.

1909 წელს, ფოთში, აკაკი წერეთლის იუბილეზე კაბა ეცვა პარასკევა ანჯაფარიძეს; კაბას ყურადღება მიაქცია აკაკი წერეთელმა და სთხოვა პარასკევას ამ კაბაში სურათი გადაეღო და მისთვის გაეგზავნა, რაც პარასკევამ შეასრულა.

აკაკისთვის გაგზავნილ სურათზე შემდეგი წარწერა იყო: თქვენმა ქვეყნის დამატკბობელმა ენამ ტკბილად მიბრძანა, რომ მომერთმია თქვენთვის ჩემი სურათი ქართულ ჩაცმულობაში გადაღებული, რომლითაც 1909 წლის 25 აპრილს ადრესი მოგართვით (იხ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, სოფიო დგებუაძის მოგონება).

გივი ელიავასთვის-სოფიო დგებუაძის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: ,,ამ კაბას რომ ჩაიცვამდა დეიდა, მთელი დღე, ჯერ კიდევ პატარა ბავშვი, შორიახლო დავსდევდი მას, რომ მეცქირა ამ კაბის მშვენიერებისთვის. ამჟამად მხოლოდ წელიწადში ერთხელ ამოვიღებ, გავამზეურებ და ისევ ბავშური გატაცებით დავჩერებივარ საათობით.

თქვენ ნაწილობრივ მაინც იცით რამდენი გაჭირვება, განადგურება გაიარა მამაჩემის ოჯახმა და მეც მასთან, როგორც უფროსმა შვილმა (უმცროსები გასაზრდელები იყვნენ, მამამ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა). მაგ კაბის შეძენის სურვილი ბევრს ქონდა

და რომ გამეყიდა, მდგომარეობა შემიმსუბუქდებოდა, მაგრამ ვერ შეველიე, მით უმეტეს, ვერ წარმომედგინა, რომ საქართველოს იქით წასულიყო ეს კაბა.

ჩემთვის ფასდაუდებელია, მაგრამ მუზეუმისთვის უნიკუმია და როგორც ქართული ხელოვნების ნიმუში, უდავოდ ძვირფასია. ხოლო თქვენი მუზეუმისთვის, იმ კუთხის შვილების ნამუშევარი, განსაკუთრებით ძვირფასია (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 199).

გაზეთ ,,საქმეში" გამოქვეყნდა ჟინოთაში მცხოვრები ანტონ და ტრიფონ დგებუაძეების წერილი, რომელშიც საუბარია სოფელ ჟინოთაში სამკითხველოს გახსნის აუცილებლობაზე (იხ. გაზეთი ,,საქმე", 1910 წლის 4 ნოემბრი, N34).

1918 წლის 26 სექტემბერს გაზეთ ,,ერთობა"-ს N205-ში დაიბეჭ-და, შემდეგ, 1924 წელს ხვანჭკირთან დახვრეტილი პარმენ კოკაიას წერილი: ,,ს. ნამიკოლაო-კოკაიას კარი (სამეგრელო)". ნამიკოლა-ოს ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფის მიერ 17 ივნისს გამართულ იქნა წარმოდგენა მასწავლებელ ლუკა კეშელავას მეთაურობით; წარმოდგენა კარგად ჩატარდა, ხალხიც კმაყოფილი დარჩა, ბილე-თების ფასებიდან შემოვიდა 685 მან. და 50 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 280 მანეთი. ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფმა ეს შემოსა-ვალი გადადო სამკითხველოს დასაარსებლად, რომელიც დაარსეს კოკაიას კარზე. დიდ მადლობას უცხადებს სამკითხველოს გამგე-ობა იმ პირებს, ვინც იკისრა ამ ადგილზე სამკითხველოს დაარსე-ბა".

ნაფოსტარში (ასე უწოდეს ,,კოკაიას კარს" 1921 წლიდან): ,,წარ-მოდგენის მომზადება და ჩატარება მეც კარგად მახსოვს. წარმოდ-გენის მონაწილეები პიესა ,,არსენას" რეპეტიციებს გადიოდნენ ოქროპირ კოკაიას დუქნის (ამჟამად იმ შენობის პირველი სართუ-ლია დარჩენილი და მასზე ახლადდაშენებულ მეორე სართულზე მოთავსებულია სასოფლო ბიბლიოთეკა და საექიმო უბანი) მეორე სართულზე.

იმ ხანად კოკაიას კარზე წარმოდგენისთვის არც სცენა იყო და არც მაყურებელთა დარბაზი, სახელდახელო სცენისა და მაყურე-ბელთა დასაჯდომი ადგილების (მათე კოკაიას დუქნის წინ) მო-წყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ოქროპირი, ანდრია, და-

ვით, ნესტორი, ონისიმე და იონა კოკაიები, პეპუ კორთხონჯია, სანდრო (ალექსანდრე) ფაცაცია, ბაგრატ გოროზია, კოსტა ჯანჯღავა და სხვები.

როლებს ასრულებდნენ: არსენა კოლია (ნიკოლოზი) დგებუაძე, ნუნუ-გოგუცა დგებუაძე, ფარსადანი-სპირიდონ ჯანაშია და სხვები. წარმოდგენა, რომელიც პირველად ნახა ადგილობრივმა მოსახლეობამ, მართლაც კარგად ჩატარდა და ხალხიც ძალზე კმაყოფილი დარჩა.

სამკითხველო რომელიც გაიხსნა ,,კოკაიას კარზე", მოთავსებული იყო იონა კოკაიას დუქანში; სამკითხველოში ბევრი იყო წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. მკითხველთა შორის აღსანიშნავია ათანასე კოკაია, ბ. გოროზია, ლ. კეშელავა, კ. ჯანჯღავა და სხვები, რომლებიც ხშირად ხმამაღლა კითხულობდნენ გაზეთებიდან საინტერესო მასალებს.

სამკითხველოს გამგეობაში ლუკა კეშელავას (თავმჯდომარე) გარდა შედიოდნენ: ნ. დგებუაძე, სპ. ჯანაშია, ბ. გოროზია და სხვები" (იხ. ალექსანდრე კოკაია, გაზეთი ,,სოციალისტური სოფელი", გეგეჭკორი, 1961 წლის 10 მაისი, N55).

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წიგნები, ჟურნლ-გაზეთები და ბიბლიოთეკის ინვენტარი დაუტაცებიათ და ნაფოსტარის ბიბლიოთეკამ 1958 წლამდე შეწყვიტა არსებობა.

,,1925 წლის 29 ივნისს სოფლის (დიდი ჭყონის) დარბაზში მოძრავი კინო აპარატის საშუალებით უჩვენეს ადგილობრივ გლეხობას შესაფერისი ახსნა-განმარტებებით სურათები: ,,ქრისტინე", ,,საქართველოს გასაბჭოება". სურათების მიმდინარეობა ტექნიკურად კარგად იყო მოწყობილი. ასეთი სურათების ჩვენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც გლეხობას, ასევე ხელისუფლებას (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი" 1925 წლის 9 ივლისი, N 155).

დიდი ჭყონში 1936 წელს არსებულა მუშა-ახალგაზრდობის გუნდი შალვა ხუხუას ხელმძღვანელობით. დიდი ჭყონის საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებული ყოფილა სიმებიანი ორკესტრის შემსწავლელი წრე. ირიცხებოდა 8 მსმენელი. ხელმძღვანელი ყოფილა აპ. ბასილაია (იხ. გაზეთ ,,სოციალისტური სოფელი"-ს ნომრები-20 და 14).

ლედგებეს კოლმეურნეობაში 1951 წელს ჩამოყალიბდა საკოლმეურნეო მომღერალთა გუნდი. კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში ბიბლიოთეკა 1954 წელს გაიხსნა. ,,სოფელ დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის ბიბლიოთეკა (გამგე ჰამლეტ ნადარაია) მდიდარია სხვადასხვა სახის ლიტერატურით. მარტო 1956 წელს შეძენილ იქნა 7 ათასი მანეთის ლიტერატურა. ამ წელს ბიბლოთეკას გამოწერილი ჰქონია 28 სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთი. ბიბლიოთეკარმა კოლმეურნეებთან ჩაატარა საუბრები თემებზე: ,,არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?!", ,,რატომ ლაპარაკობენ ადამიანები სხვადასხვა ენაზე?!" (იხ. ,,სოციალისტური სოფელი", 1956 წლის 22 ინვარი, N22).

დიდი ჭყონის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის ფონდში 1956 წელს ყოფილა 2500 წიგნი. ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა პ. ერქვანია. აქტიური მკითხველები ყოფილან: დ. გულორდავა, ი. მარკოზია, ჟ. კილასონია, ი. გოროზია, გ. კოკაია, ო. ჯანაშია, დ. ჯოჯუა და სხვები (იხ. ვ. ბოლბოთი, ,,სოციალისტური სოფელი", 1956 წლის 29 იანვარი, N13)

დიდი ჭყონის საშუალო სკოლასთან 1957 წელს ჩამოყალიბებული ყოფილა მომღერალთა თვითმოქმედი წრე, რომლის ხელმძღვანელი ყოფილა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ტრიფონ ხუხუა.

ნაფოსტარში 1958 წელს გაიხსნა ბიბლიოთეკა, 1979 წელს აშენდა საბავშვო ბაღი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის (ნამიკოლაოს) ბიბლიოთეკაში 1959 წელს ჰქონიათ 4805 წიგნი.

1962 წელს გეგეჭკორის რაიონში ყოფილა 22 სასოფლო კლუბი, 18- კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა, 27 სასოფლო და 2 საბავშვო ბიბლიოთეკა, 5 კულტურის სახლი (იხ. ,,სოციალისტური სოფელი", 1962 წ., N10).

დიდი ჭყონის საბჭოში 1966 წელს არსებობდა ორი სასოფლო და ერთი მუშათა კლუბი, ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა (იხ. ალექსანდრე კოკაია, გაზეთი ,,შრომის დროშა" 1966 წლის 15 იანვარი, N6).

1968 წელს დიდი ჭყონის სასოფლო ბიბლიოთეკამ საკავშირო დათვალერებაზე მიიღო I ხარისხის დიპლომი. ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი ამ დროს შეადგენდა 7891 ერთეულს.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დიდი ჭყონის თემში ფუნქციონირებდა 1 კულტურის სახლი და 3 კლუბი, 8 ბიბლიოთეკა.

,,სოფლის (დიდი ჭყონი) ცენტრში მეოთხე წელია მიმდინარეობს 500 ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა, როგორც იქნა გასულ წელს მოხერდა მისი გადახურვა (იხ. ამბროსი კვაშილავა, გაზეთი ,,კოლხეთის ცისკარი", 1963 წლის 24 თებერვლი, N33).

დიდი ჭყონის კულტურის სახლი ექსპლუატაციაში შევიდა 1966 წელს. მისი პირველი დირექტორი იყო ვახტანგ ერქვანია. სხვადასხვა დროს აქ დირექტორები იყვნენ: დემურ ახალაია, სერგო ოკუჯავა, მარინა კიკალიშვილი. კულტსახლის სამხატვრო ხელმძღვანელებლად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: მურმან სხულუხია და დემურ ახალაია.

დემურ ახალაიას გადმოცემით: 1966 წელს დიდი ჭყონის კულტურის სახლთან შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა რომელშიც შედიოდნენ: დემურ ახალაია და დოდო ბეჭვაია (მუსიკალური ხელმძღვანელები), მურმან სხულუხია (სამხატვრო ხელმძღვანელი), ახმეტ ბეჭვაია, ვალიკო გვილავა, ავთო ჯანაშია, თამაზ ციკოლია, სულიკო ბეჭვაია, თამაშა შულაია, ნანული ხაინდრავა. 1973 წლიდან აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები იყვნენ: ინდიკო ნაჭყებია, ნარგიზა დანელია, მზია ბეჭვაია;

დიდი ჭყონის კულტურის სახლთან 1978 წელს შეიქმნა ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელი იყო დემურ ახალაია; ორკესტრის შემადგენლობაში შედიოდნენ: მურმან სხულუხია, ინდიკო ნაჭყებია, იმედო კვარაცხელია, გრიშა სიორდია, ჯაგიდო ნანავა, მამანტი ჯამბურია, კაკო კალანდია, კოლია აშორტია, გურამ ჯანჯღავა, რეზო თოდუა, მამანტი ხუხუა, ნერონ ახალაია, გურამ ახალაია, ალდონა ჯანაშია, ნუნუ ჯანაშია, მედიკო ჯანაშია, ციცო ერქვანია, ცისკარა გაგუა, ზაირა გაგუა, ზეინაბ სალუქვაძე, იამზე ჩაგუნავა, გია ბერიშვილი. ანსამბლს მუსიკის დარგში დახმარებას უწევდნენ გურამ გაბუნია და ბადრი გვილავა;

გასული საუკუნის 70-იან წლებში მეურნეობაში (კლუბის გამგე ტატაჩი ჩარგაზია) ჩამოყალიბდა საესტრადო კოლექტივი, რომ-

ლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნუგზარ ნაჭყებია, დემურ ახალაია, ბადრი გვილავა, ზურაბ თოდუა, გია კვაშილავა, ინეზა ჟვანია, სვეტა ზარქუა, მალხაზ თორდინავა.

დიდი ჭყონის კულტურის სახლთან ფუნქციონირებს ბავშვთა ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერის ანსამბლი. 1988 წლიდან მისი ხელმძღვანელები იყვნენ: ზაურ ხაჟომია, ანზორ ხელაია, გონელი ჯიჯელავა, დამზირ ჯანაშია, გიგა ხელაია, ზაზა ჯანაშია.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი უამრავი პრიზის მფლობელია. თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლმა ჟიურის და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. თურქულმა პრესამ მას ვრცელი სტატიები მიუძღვნა.

2022 წლის 23 ივლისს სოფელ დიდი ჭყონში ჩატარდა საიუბილეო კონცერტი, სადაც ანსამბლ ,,ჭყონდიდს“ მიენიჭა ,,სახალხო-სანიმუშო ქორეოგრაფიული ანსამბლი“-ს წოდება.

ანსამბლი ჭყონდიდი გაერთიანებულია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირში. მიღებული აქვს 3 გრანპრი და უამრავი დიპლომი. ქორეოგრაფები დაჯილდოებულნი არიან ,,ამაგდარის“ მედლებით, საპატიო სიგელებით.

მარინა კიკალიშვილს და დემურ ახალაიას დიდი ჭყონში სტუდიები აქვთ გახსნილი; ისინი ასწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საკრავებზე დაკვრას.

2015 წელს მარტვილის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს დიდი ჭყონის კულტურის სახლის დირექტორი მარინა კიკალიშვილი; სამხატვრო ხელმძღვანელი დემურ ახალაია-2022 წელს გახდა მარტვილის საპატიო მოქალაქე.

ბიძინა თორდინავამ დიდი ჭყონში 2010 წელს დააფუძნა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ერთსულოვნება“. ის დაჯილდოებულია: ოქროს, ამაგდარის და ბრწყინვალების ორდენებით. მიღებული აქვს: სახალხო მოღვაწის, ხელოვნების ქომაგის და სანიმუშო ქორეოგრაფის წოდება.

კალმით, ბგერით, ფუნჯით არაერთმა დიდი ჭყონელმა ასახელა მშობლიური სოფელი და რაიონი. (მათზე წიგნის სხვა თავებში მოგითხრობთ).

სოციალ-დემოკრატების დიდი ჭყონში

გადმოცემების თანახმად, დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრში, ოდესღაც მდგარი დიდი მუხის ძირში თავს იყრიდნენ რევოლუციონერები და ადგენდნენ სამოქმედო გეგმას. დიდი მუხის ქვეშ დაირწა მარტვილელი სოციალ-დემოკრატების აკვანი.

,,1905 წლის წლის 20 ნოემბერს სოფელ დიდი ჟინოთის ტერიტორიაზე, დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრთან ახლოს, თითქმის ლეგალურად, ჩატარდა სალხინოს, თამაკონის, კიწიის საზოგადოებათა კრება-მიტინგი. ამ შეკრებას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი რევოლუციონერები ფარნა გეგელიას ხემძღვანელობით (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 111).

,,როგორც ადგილობრივი მოხუცი გლეხები ადასტურებენ ზემოთაღნიშნული მიტინგი, რომელსაც მაშინ ყრილობას ეძახდნენ, მართლაც შედგა სალხინოს საზოგადოების სოფელ ჟინოთაში არსებულ ვრცელ მინდორზე, სადაც იდგა მუხის ჯიშის დიდი ხე (დიდი ჭყონი). სწორედ იმ ადგილზე, სადაც ეს ,,დიდი ჭყონი“ იდგა, ახლა კინოთეატრის კაპიტალური შენობაა აღმართული და მთელი სოფელიც ამ მუხისა და მის გარშემო გამართულ ზემოთაღნიშნულ ისტორიული ყრილობის მიხედვით, დიდი ჭყონის საამაყო სახელს ატარებს (იხ. ბ. გეგელია, გაზეთი ,,შრომის დროშა“ 1970 წ. 15 დეკემბერი, N148).

ძმები ფარნა და ილიკო გეგელიები იყვნენ სალხინოს საზოგადოების სოფელ ტალერიდან (იხ. ბ. გეგელია, მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი III, ა-2872, სოფ. სალხინოს გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან, შედგენილი ბ. გეგელიას მიერ).

1931-34 წლამდე სოფელ ტალერის ერთი ნაწილი შედიოდა ოჩეში, მეორე-ეწერში. გივი ელიავას განმარტებით: დიდი ჭყონის საბჭოს ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას არის გეგელიების ნასახლარი. (იხ, გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977 წ. გვ. 137).

ფარნა გეგელიას ,,თანასოფლელობისთვის“ ბრძოლას არ ვაპირებ. ის ეკლესიების დანგრევის მერე გახდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო ც. ა. კ-ის წევრი.

1905 წლის 20 ნოემბერს დიდი ჭყონში (ჟინოთაში) გამართულ ყრილობას ესწრებოდა არა ნაკლებ 5 ათასი კაცი. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) მეფისა და მისი მთავრობის ადგილობრივი მოხელეების გადაყენების შესახებ. 2) ახალი მთავრობის მოხელეების არჩევის შესახებ. 3) მიწის საკითხის შესახებ. 4) პრინცესა მიურატის შესახებ.

,,ამ კრება-ყრილობის ჩატარების დღეს- ადრე დილიდან გვიან საღამომდე განსაკუთრებული განწყობილება სუფევდა, დაკვრა ბუკ-ნაღარისა, სიხარულის გამომხატველი ჟივილ-ხივილი, ცეკვა-თამაში, თოფების სროლა, სიმღერა, რევოლუციური შემახილები,,ძირს მეფე, გაუმარჯოს ერთობას“. თითქოს მიწა ზანზარებდა. ჰაერში ბოლი ადიოდა (იხ. ბ. გეგელია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1970 წ. N148, 15 დეკემბერი).

დადგენილებების მიღების, გლეხთა კომიტეტის თავჯდომარედ-ფარნა გეგელიას, სამი საზოგადოების გაერთიანებული წითელი რაზმის მეთაურად-ილიკო გეგელიას არჩევის შემდეგ, ყრილობის მონაწილეები გაემართნენ სალხინოსაკენ. ათასზე მეტი კაცი მიადგა მდინარე ტეხურაზე, ე.წ ,,აფთიაქის კართან“ არსებულ ვაზის წკნელისაგან დაბლანდულ ხიდს, რომელმაც ვერ გაუძლო დიდ სიმძიმეს და მასზე მყოფი ხალხი წყალში ჩაცვივდა, მაგრამ ამას არავინ შეუშინდა. მათ ფონით გადალახეს მდინარე და დადიანების სასახლის რკინის ჭიშკარს მიადგნენ, რომელიც საკეტით აღმოჩნდა დაკეტილი. ხალხმა მოინდომა ჭიშკრის გატეხვა, მაგრამ ამის უფლება ხელმძღვანელებმა არ მისცეს, რადგან იცოდნენ რომ სასახლეს შეიარაღებული რაზმი იცავდა პრინც ლუსიენის მეთაურობით.

დადიანების სასახლიდან დემონსტრანტები სალხინოს კანცელარიისკენ გაემართნენ, სადაც 15 დამფრთხალი სტრაჟნიკი იყო თავშეფარებული. მათ დემონსტრანტებს იარაღი უბრძოლველად ჩააბარეს და დაიშალნენ.

1905 წლის: ,,24 ნოემბერს წითელრაზმელების მიერ განიარაღებულ იქნა სენაკის მაზრის მარტვილის პოლიციის საგუშაგო; იმავე დღეს განაიარაღეს ბოქაული და საბოქაულოს გამომძიებელი; 25 ნოემბერს თავს დაესხნენ სალხინოში პრინცესა სალომე დადიან-მიურატის სახლს, რევოლუციონერებმა ხელთ იგდეს

სწრაფმსროლელი იარაღები, რევოლვერები, ვაზნები, სანადირო თოფები. შეშფოთებულმა პრინცესამ შვილებთან ერთად თბილისში გაქცევით უშველა თავს. (ვ. საბახტარიშვილი, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წ. თბ. 1975, გვ. 35).

1905 წლის 8 დეკემბერს გაზეთ ,,სხივში“ ვინმე თამაკონელი წერს, რომ 24 ნოემბერს პრინცესამ გადასცა სტრაჟნიკებს 60 ბერდენკა, შეაძლია მათ ფული, ღვინოზეც დაპატიჟა, მაგრამ უარი მიიღო, ჩვენ ყაჩაღები არ ვართ-ო.

,,სხივის“ 1905 წლის დეკემბრის ნომერი იუწყება: აქ ყოველგვარი დაწესებულება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელშია. სალომე დადიანი აიძულეს, ყველა მოსამსახურე და მუშა გაენთავისუფლებინა. სალომე გაიქცა, 4 კაცი ყარაულობს პრინცესას მამულებს. (იხ. გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905-1907 წ. წ. გვ. 76).

გოგილო ბასილაიას მტკიცებით, დადიანების სასახლეს 10 კაცი იცავდა. მცველების ქურდობაში მხილების შემდეგ მოიწვიეს ახალი კრება. წაღებული ქონების დაბრუნებისა და დამნაშავეთა დასჯისთვის სასამართლოს უფლებით აირჩიეს 25 კაციანი ჯგუფი (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 112-113). ჯგუფის წევრი იყო მიურატების სანდო პირი, დიდი ჭყონელი თავადი ნიკოლოზ (გუია) დგებუაძე.

სენაკის მაზრაში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ხელთ იგდო ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლება. მის განკარგულებაში იყო სტამბაც. კომიტეტის წევრებს შორის განაწილებული იყო ფუნქციები: კომიტეტის თავჯდომარე იყო ი. ციბაძე. შეიარაღებულ ძალებს და ფინანსურ საქმეებს განაგებდა ი. ჩიხლაძე. წითელი რაზმების სამხედრო წვრთნა და ტაქტიკური მომზადება დავალებული ქონდა ნ. შალამბერიას და ა. შ.

კომიტეტს თავის განკარგულებაში ჰქონდა იარაღის სახელოსნო, სადაც წარმოებდა იარაღის შეკეთება და ვაზნების დამზადება. დეკემბრის ბოლოს ხელთ იგდეს ციხე და გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები; ბანკს, ფოსტას და რკინიგზის სალაროს დაუყენეს თავიანთი დაცვა“ (საბახტრიშვილი, იქვე).

ნაოღალევის საბოქაულო იყოფოდა 4 რევოლუციურ რაიონად: ნაოღალევის, ბანძის, სალხინოსა და გორდისა. რაიონის გლეხთა რევოლუციური კომიტეტი შედგებოდა 9-11 წევრისგან.

სალხინოს რაიონში მოქმედებდა სასამართლო, სამივე საზოგადოების მიერ პარიტეტულ პრინციპებზე არჩეული 26 წევრისგან. ვლადიმერ დემურია სამივე საზოგადოების მიერ იყო არჩეული ამ სასამართლოს თავმჯდომარედ.

სალხინოს საზოგადოების გლეხთა კომიტეტი შედგებოდა 9 წევრისაგან: ტოტია ცაავა, ერასტო გუნავა, პავლე ნაჭყებია, სვიმონ ქვარცხავა, მიხა ნაჭყებია, მელიტონ ხურცილავა, ილარიონ სხულუხია, პავლე ბეჭვაია, ანტო ბეჭვაია. სალიპარტიანოს სამივე საზოგადოების გლეხთა კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ფარნა გეგელია. სამივე საზოგადოებას სამხედრო ამოცანათა გადაწყვეტისათვის ჰყავდა 200-ზე მეტი შეიარაღებული კაცისგან შემდგარი რაზმი ილიკო გეგელიას ხელმძღვანელობით.

რევოლუციონერები 2 თვე ფლობდნენ ძალაუფლებას, 1905 წლის დეკემბრიდან 1906 წლის 9 იანვრამდე. შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში რუსების დამსჯელი რაზმები შევიდნენ.

ფარნა და ილიკო გეგელიების ხელმძღვანელობით მარტვილის ზედა ზონაში მოქმედმა წითელმა რაზმმა გურია-სამეგრელოს გაერთიანებულ რაზმებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარების წინააღმდეგ სურამის უღელტეხილიდან ვიდრე სამტრედიის პლაცდარმამდე წარმოებულ ბრძოლებში.

,,გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მოსპობისა და სენაკის მაზრაში ,,წესრიგის აღდგენის“ მიზნით, 1905 წლის 1 მარტიდან სენაკის მაზრა გამოყოფილ იქნა ქუთაისის გუბერნიიდან და დაუმორჩილდა ,,რიონის განსაკუთრებული რაზმის“ უფროსს, გენერალ მაიორ ალიხანოვ-ავარსკის“ (იხ. ალექსანდრე კოკაია, საქართველოს ბოლშევიკები არჩევითი სასოფლო ორგანოების სათავეში 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, დისერტაცია 1961 წ., გვ. 298).

რევოლუცია დამარცხდა, დაიწყო რეპრესიები. სოფელ სალხინოში დააპატიმრეს მასწავლებელი ნ. კუხალაშვილი, გადაწვეს მისი სახლი.

სალომე დადიანის მოთხოვნით, 2 თვე სალხინოში დარჩა კაზაკთა ასეული ინოკიტ იაშვილის მეთაურობით. 1906 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს ფარნა გეგელია, ხოლო მისი ძმა და დედა საკუთარ ეზოში მოკლეს.

,,ახალ-სენაკიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს: ხელისუფლებას პრინცესა მიურატის სასარგებლოდ: ნაოღალევისა, სალხინოსა და ნამიკოლაოს საზოგადოებაში მცხოვრებ გლეხებზე გამოუწერიათ 60. 000 მანეთი. თითოეულ გლეხზე თურმე 25-28 და მეტი მანეთი მოდის გადასახადად. გადასახადი გააწერა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა დადეშქელიანმა, სოფელში თურმე კაზაკებია ჩაყენებული (იხ. ჟურნალი ,,მწყემსი", 1906 წლის N5).

1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობის გამო ალიხანოვ-ავარსკიმ ბანძაში კეკელიების და გაბუნიების უბანი ააოხრა, იავარყო და გადაწვა (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო ტ. I, 2022 წ. გვ. 143); 1905 წლის რევოლუციის მრისხანე დღეებში სოფელ სალხინოსა და ბანძაში საბარიკადო ბრძოლები გაიმართა. დამსჯელმა რაზმებმა სოფლები გადაწვეს, მრავალი ათეული ვაჟკაცი გააციმბირეს, საიდანაც ისინი მშობლიურ სოფლებს არ დაბრუნებიან, ციმბირის ცივ მიწას მიებარნენ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო, ტ. II, გვ. 959).

I მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის 1 აგვისტოს და დასრულდა 1918 წლის 11 ნოემბერს. ომმა მოიცვა 38 სახელმწიფო. 1914 წელს გერმანელებმა და თურქებმა დაბომბეს რუსეთის სანავსადგურო ქალაქები, მათ შორის- ფოთი, სოხუმი და ბათუმი.

ათობით დიდი ჭყონელი იბრძოდა I მსოფლიო ომში. ზოგიერთი მათგანი ტყვედ ჩავარდა, ზოგი დაიღუპა. როგორც კი რევოლუცია მოხდა რუსეთში, ჯარისკაცები იარაღით დაბრუნდნენ სოფელში.

სოფელში არსებობდა სხვადასხვა პარტიის უჯრედი. მათი უმრავლესობა მენშევიკი იყო. იყვნენ ბოლშევიკებიც და სხვა პარტიათა წარმომადგენლები. სენაკის მაზრაში მენშევიკებს-4000 წევრი ყავდათ, ბოლშევიკებს-600.

1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. სახელმწიფოს მმართველი ძალა გახდა, ხელისუფლებაში მოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის ერთ-ერთი ლიდერი სენაკის მაზრაში იყო თედო ესართია.

,,ჟორდანიას მთავრობის წლებში სოფლის ცენტრში გაიხსნა კერძო სავაჭროები: ს. ბეჭვაიას, ბ. ერქვანიას და სხვათა მიერ. გაიხსნა დაწყებითი სკოლა სადაც ასწავლიდნენ: თედო ესართია და მისი მეუღლე ფედოსია მებონია. 1917-21 წლებში გლეხობის დიდმა ნაწილმა შეძლო მიწების შეძენა. ისინი მთლიანად განთავისუფლდნენ თავად-აზნაურთა ვალდებულებებისგან. ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები ლეგალურად, თუ არალეგალურად მაინც მოქმედებდნენ და იმხრობდნენ სოფლის ღარიბ მოსახლეობას (იხ. შ. კუკანია, ხელნაწერი ისტორია).

ეროვნული მთავრობის გატარებულ რეფორმებს შორის მნიშვნელოვანი იყო აგრარული რეფორმა. სალხინოს საზოგადოებაში საადგილმამულო კომისიას თავმჯდომარეობდა თედო ესართია. წევრები იყვნენ: ა. ხულორდავა, ბ. ბასილაია, ს. ნაჭყებია.

1920 წლის 11 ივლისს გაზეთ ,,ერთობა“-ში (N 179) დაბეჭდილი წერილის თანახმად: სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალხინოს საზოგადოების კრებას ესწრებოდა 40 კაცი. კრების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა თედო ესართია.

წიგნში ,,კურზუ და კურზუელები“ აღნიშნულია, რომ თედო ესართია დაიბადა 1898 წელს (სოფელ გოდოგანში). მან დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. ,,მუშაობდა სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ის იყო რუსული ენის კარგად მცოდნე. მის მიერ სოფელში შემოტანილ იქნა ცოლიკაურის დაბლარი ჯიშის ვაზი. იყო ძლიერი ნებისყოფის ახოვანი ჭაბუკი. იმყოფებოდა ორჯერ გადასახლებაში. პირველად 1922-33 წლებში, მეორედ-1937 წელს. დაიღუპა ციმბირში (იხ. მაკა ბერაია და ელიზა კალანდია, ,,კურზუ და კურზუელები“, ქუთაისი, 2004 წ. გვ. 40).

მარტვილის მუზეუმში ინახება დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში 1934 წელს შედგენილი საკომლო დავთარი, რომლის თანახმად: თედო ესართია ცხოვრობდა დიდი ჭყონში (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი I, საქმე 1411).

უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების თანახმად თედო ხახუს ძე ესართია დაბადებულა 1886 წელს კურზუში. 1904 წლიდან იყო მენშევიკური პარტიის წევრი, უმაღლესი განათლებით. 1924 წლის აგვისტოში ყოფილა სენაკის მაზრაში აჯანყების

ხელმძღვანელიც და მენშევიკური პარტიის თავმჯდომარეც (იხ. ფონდი 08, საქმე 2013).

საქართველოში ყველაზე ადრე, 1918 წლის აგვისტოში, ჩამოყალიბდა სენაკის მაზრის საერობო თვითმართველობების დაწესებულებანი. მაზრა გაიყო 5 სასამართლო უბნად. ჩატარდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევნები.

თვითმართველობის არჩევნები დაინიშნა 1918 წლის 28 ივლისს, მაგრამ ტექნიკური სირთულეების გამო გადაიდო 4 აგვისტოსთვის. მაზრა გაყოფილ იქნა 6 საარჩევნო ოლქად. სულ ამომრჩეველი იყო 55 500, ხმა მისცა -16 624-მა.

არჩევნები ვერ ჩატარდა მარტვილის ოლქში. უნდა აერჩიათ 6 ხმოსანი-მარტვილის, თამაკონის, სალხინოს, კიწიის, ნაგვაზაოს და კინჩხისა. (იხ. ,,ერთობა“ 1918 წლის N159, N177-ვინ გაიმარჯვა სენაკის მაზრაში). ამ ოლქში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო ნიკო კუხალეიშვილი.

გაზეთ ,,,ერთობაში“ დაბეჭდილი წერილიდან ირკვევა, რომ არჩევნების ჩატარებას ხელი შეუშალა ბოლშევიკთა მოროდიორობამ: ,,5 აგვისტოს შემოცვივდნენ სალხინოს ბაზარში 40-მდე შეირღებული ბოლშევიკი, მათგან 30 ცხენოსანი იყო. შემოსვლისთანვე მოუყარეს თავი ვაჭრებს, დააჩოქეს და მცველი დაუყენეს, მერე დაიწყეს ძარცვა. გარდა რკინისა და მარილისა, თუ ვინმეს რამე ქონდა ყველაფერი წაიღეს. გაძარცვეს ფოსტა (იხ. გაზეთი ,,ერთობა“, 1918 წლის N178).

სალხინოს საზოგადოებაში არჩევნები ჩატარებულა მოგვიანებით: ,,ხალხი კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია, იგი ჯერ არ გამორკვეულა. გაბოლშევიკებული ხალხი აიყოლიეს ესერებმა და 10 ნოემბრის საერობო არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა მიიღეს (იხ. დ. ბასილაია, გაზეთი ,,ერთობა“, 1918 წლის 30 ნოემბერი, N260).

1918 წლის 15 სექტემბერს ქალაქ ახალსენაკში სენაკის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა გაიხსნა. იმ დროს მაზრაში 33 თემი იყო.

არ ისვენებდნენ ბოლშევიკები, რომლებმაც საქართველოში აჯანყების მოსაწყობად უზარმაზარი თანხა გამოყვეს.

1918 წლის 6 მარტს სოფელ ძველ სენაკში ბოლშევიკებმა აჯან-

ყების დროშა ააფრიალეს და არსებული ხელისუფლება გაუქმებულად გამოაცხადეს. შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო.

ხელისუფლებამ 8 მარტს დაიჭირა აჯანყების მეთაური საშა გეგეჭკორი. მის ნაცვლად ბოლშევიკებმა აჯანყების ხემძღვანელად აირჩიეს შ. ასკურავა. შტაბში შედიოდნენ: ლეონტი კარტოზია, მიშა გეგეჭკორი, აკაკი ოჩიგავა და სხვები.

1918 წლის 30 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა ბანძაში, ნაოღალევსა და ნოქალაქევში. 31 მარტს აჯანყებულებმა დაიკავეს მარტვილი.

6 აპრილს ხელისუფლება აღსდგა ბანძაში. იმავე დღეს მოხდა შეტაკება ნოჯიხევთან. აჯანყებულები გამაგრდნენ სოფელ გაჭედილთან. აჯანყებულთა ერთი ნაწილი ხელისუფლებამ ოჩამჩირეში დაიჭირა და დააპატიმრა, მეორე ნაწილი პარტიზანულ მოძრაობაზე გადავიდა.

,,პარტიზანები კონტროლს უწევდნენ დიდი ჭყონს, სალხინოს, კიწიას, თამაკონს და ზოგიერთ სხვა სოფლებს. პარტიზანული რაზმის ერთმა ნაწილმა (მასში უმთავრესად აჯანყებულთა ხემძღვანელები შედიოდნენ) გადაწყვიტა სოხუმში გადასვლა და იქ აჯანყებულებთან შეერთება. დიდი ჭყონი-სალხინოს რაიონში არსებული პარტიზანული რაზმის მეთაურობა დაევალა პავლე ბაჩილავას“ (იხ. ვ. ჯანჯღავა, ,,გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველში 1917-1921 წ. თბ. 1982 წ. გვ. 82).

1918 წლის 5 ივლისს მარტვილში ჩავიდნენ ეგრეთწოდებული სენაკის მფრინავი რაზმის ჯარისკაცები, რომლებმაც მოახდინეს სალხინო-ბალდის ,,ბოლშევიკური“ გამოსვლების ლიკვიდაცია. გორდი, სალხინო, მუხური, ნარაზენი, აბასთუმანი დაიკავა გენერალ გედევანიშვილის და გენერალ კონიევის რაზმებმა (იხ. ტრიფონ ბასილაია, გაზეთი ,,ალიონი“, 1918 წლის 16 სექტემბერი, N16).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლებამ საშა გეგეჭკორი ციხიდან გაანთავისუფლა. თავის ავტობიოგრაფიაში გეგეჭკორი წერს: ,,შიმშილობის გამოცხადების გამო მე გამანთავისუფლეს და გადამიყვანეს შინაურ პატიმრობაზე. მაგრამ გაიგეს, რომ მე არ ვასრულებდი შიდაპატიმრობის წესებს-განვაგრძობდი მუშაობას, ხელმეორედ დამაპატიმრეს, მე მოვახერხე გაქცევა და ხონის ორ-

განიზაციის დახმარებით გადავედი სამეგრელოს მთაგორიან ადგილებში (იხ. საშა გეგეჭკორის ავტობიოგრაფიიდან, ,,კომუნისტი“, 1928 წლის 10 ივნისი).

ტყუის ,,საშა მოუსვენარი“. შიდაპატიმრობაში მყოფმა გეგეჭკორმა ჩაიცვა ქალის ტანსაცმელი და გაიქცა სამეგრელოს მთაგორიან ადგილებში (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 11 აპრილი 1962 წ.).

აჯანყებულებს, საშა გეგეჭკორს ხელისუფლებასთან ბრძოლაში ეხმარებოდნენ აფხაზები და ოსები, რადგანაც ხელისუფლებამ მათ არ მისცა ავტონომია.

გარდაბნის ხილ-ბოსტნის მეურნეობის დირექტორის (1960 წ.) გრიგოლ კოკაიას მოგონებების თანახმად: ბოლშევიკების რაზმი ვინმე ოჩიგავას ხელმძღვანელობით მდგარა დიდი ჭყონსა და სალხინოში. ხელისუფლების კომისარი სალხინოს თემში ყოფილა გუდუნია სხულუხია, თამაკონის თემში-ესტატე ოკუჯავა (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი I, დოკ. 1478).

შეიარაღებული აჯანყება უმოკლეს დროში ჩაახშვეს. გეგეჭკორის რაზმელები აფხაზეთში გაიქცნენ. 1918 წლის 3 ოქტომბრის გაზეთ ,,შინაური საქმეები“-ს 348 ნომრიდან ვგებულობთ: სენაკში სამხედრო-საველე სასამართლოს 3 კაცის, მათ შორის- ოჩიგავას სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია.

გაცხადებული ნეიტრალიტეტის მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უმძიმეს მდომარეობაში მყოფი ქვეყანა იყო: სასაზღვრო გაურკვევლობებით, სამეზობლო ომებით, შიდა, ბოლშევიკური აჯანყებებით, მუდმივი მუქარით ჩრდილოეთიდან, მუდმივი ხიფათით სამხრეთიდან, კარგი წამოწყებებით, დემოკრატიული კანონებით.

დიდი ჭყონის მარადიული ოჯახი.

გამორჩეულთა ხვედრია საკუთარი სოფლის მარადიული შვილობა. ნებისმიერი გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფია, დროთა განმავლობაში ისტორიულ მნიშვნელობას იძენს.

გაზეთ ,,კომუნისტის“ 1926 წლის 18 აგვისტოს ცნობით: ვასილ (ტუტუ) გუიას ძე დგებუაძის ორმოცი დღის ჩამოტირილი დანიშ-

ნულია 21 აგვისტოს, ახალი სტილით, დღით შაბათს, სოფელ ჟინოთაში, სენაკის მაზრა.

1927 წლის გაზეთ ,,კომუნისტის“ N157-ში დაიბეჭდა უწყება: ღრმად დამწუხრებული დედა, აღათი სამსონ ანჯაფარიძის ასული დგებუაძისა, დები: სოფიო, ნინა და მარგარიტა, ძმა ნიკოლოზ დგებუაძეები, სიძე იროდიონ ნანეიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დანიშნულია მათთვის დაუვიწყარ და უდროოდ დაკარგულ; ვასილ (ტუტუ) გუიას ძე დგებუაძის წლის ჩატირილი და ძვირფასი, ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძის სამი წლის აღსანიშნავი პანაშვიდი (სასაფლაოზე), 14 ივლისს, დღის ხუთშაბათს სოფელი ჟინოთა (სენაკის მაზრა).

მკითხველი უკვე იცნობს ნიკოლოზ (გუია) დგებუაძის მამას და ბაბუას, ევგენი და ბეჟან დგებუაძეებს.

თუ რამდენად პატივსაცემი პიროვნება იყო გუია დგებუაძე თავის დროზე, ამის დასტურად ერთი შემთხვევაც იკმარებს. როდესაც სოფელ სალხინოში მიურატების ოჯახს გლეხები აუჯანყდნენ და მათ გასაროზგად სიმკაცრით განთქმულმა ალიხანოვმა დამსჯელი რაზმი გამოაგზავნა, ნიკოლოზ დგებუაძეს მათი უფროსისთვის უთქვამს: თუ ამას გააკეთებთ, გთხოვთ, პირველი როზგი მე დამკრათო. მას ასეთ რამეს ვერავინ აკადრებდა და ასე გადარჩენილა გლეხობა ცემასა და დამცირებას (იხ. ემზარ კვიტაიშვილი, ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა, ჟურნალი ,,მნათობი“, 2000 წ. N3-4).

საფრანგეთში გამგზავრების წინ სალომე დადიანმა მთელი თავისი ქონება დაუმტკიცა შვილს - ანტუანეტა (ბებე) მიურატს. სამეგრელოში ანტუანეტა 1920 წლამდე ცხოვრობდა. ის ნიცაში გარდაიცვალა 1954 წელს.

1916 წლის 10 თებერვალს ნოტარიუსის დამოწმებული საბუთის მიხედვით, ანტუანეტა მიურატი სენაკისა და ზუგდიდის მაზრების მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძეს ანდობდა, ის უნდა ყოფილიყო მისი საქმეების და ადგილ-მამულების განმკარგულებელი და მმართველი (იხ. ე. კვიტაიშვილი, ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა, ჟ. ,,მნათობი“, 2000 წ. N3-4).

ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძე დაიბადა 1869 წელს. ის იზრდებოდა გლეხის, ხახუია ჯანჯღავას ოჯახში და ნათესაური

ძიძიშვილობის კავშირი დღემდე გრძელდება, მე-4-5 თაობაში, რასაც ხელი შეუწყო გუიას ქალიშვილის-მარგალიტას იმავე ოჯახში გაზრდამ.

გუიას განათლება მიღებული ჰქონდა მარტვილსა და ქუთაისში, იყო ბარონ ნიკოლაის, რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრის ნათლული. კარგად ფლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ოჯახს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები, რომელიც განადგურდა ოციანი წლების რეპრესიების დროს. შემორჩენილია ორი წიგნი, ,,ვეფხისტყაოსანი“ და ,,ბისმარკი“.

გუია, მამამისის მსგავსად იყო მომრიგებელი შუამავალი. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მიურატების ოჯახთან, განსაკუთრებით ლუსიენთან. მონაწილეობდა მიურატების სახლში გამართულ წვეულებებში, ნადირობაში, მარულაში. გუიას სახლში ჩერდებოდა აფხაზეთიდან მარულაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული 100-150 ცხენოსანი.

სააღდგომო და საახალწლო სუფრაზე ყოველთვის თავს უყრიდა შვილების გამზრდელ გლეხობას- ჯანჯღავებს, კოკაიებს, ბეჭვაიებს... მარტვილის მუზეუმში ინახება გუა დგებუაძის სადარბაზო წერილი (სავიზიტო ბარათი) (დოკ. ა-540).

ბაბუაჩემის, 1932-33 წლებში დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ტერენტი ახალაიას ნაამბობიდან ვიცი, რომ გუია დგებუაძისთვის ჩამორთმეულ სახლში, ჯერ სკოლა განთავსდა, მერე- საავადმყოფო. ჟინოთას ეკლესიაში 1910 წელს შედგენილი მეტრიკული წიგნიდან ირკვევა, რომ ბაბუა ყოფილა ნიკოლოზ დგებუაძის ნათლული.

პარლამენტის დეპუტატ ნაული ჯანაშიას ბიუროს უფროსის-გიორგი (ჟორა) გაგუას განმარტებით, გუია დგებუაძის სახლი იდგა, ნაული ჯანაშიას სახლის წინ. ანგელინა ჯანჯღავას გადმოცემით: გუიას ნასახლარზე მურმან ჯამბურიას ოჯახი ცხოვრობს დღეს. გუიას მეზობლები იყვნენ: თომა დგებუაძე და მისი შვილები: მიშა და კოკი. ნაული ჯანაშიას მამის და ბაბუის გადმოცემით: დგებუაძეების ქვითკირით ნაგები სასახლის ნარჩენები და საკარმიდამო ნაკვეთი 1936 წელს საბჭოთა ხელისუფლებას ნაულის

მშობლებისთვის გამოუყვია (იხ. ნ. ჯანაშია ,,გზა ტაძრამდე“, თბ. 2014 წ. გვ. 56).

ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძე გარდაიცვალა ქართული არისტოკრატიის წინააღმდეგ წარმოებული მასობრივი რეპრესიების დროს, 1924 წელს. დაკრძალულია დიდი ჭყონის საგვარეულო სასაფლაოზე.

ვასილ (ტუტუ) ნიკოლოზის ძე დგებუაძე, კანცელარიის საქმეების მცოდნე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აჯანყებაში, რისთვისაც დააპატიმრეს. (იხ. ლ. ჯიქია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160, გვ. 299). დაიბადა 1904 წელს, სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში; გარდაიცვალა 1926 წელს. ის დაკრძალულია დიდი ჭყონის სასაფლაოზე.

დიდი ჭყონში დღესაც ბევრს ახსოვს მაღალი, გამხდარი, შთამომავლობით არისტოკრატი კოლია დგებუაძე (მეგობრობდა სკოლის დირექტორ ვარლამ ჯანჯღავასთან). დაიბადა 1899 წელს. გარდაიცვალა 1975 წელს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

კოლია დგებუაძე იყო იუნკერი. 1921 წელს კოჯორთან იარაღით ხელში ებრძოდა წითელ არმიას. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ხევსურეთში ეახლა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, დიდად აღტაცებული არ დარჩენილა მისი გეგმებით და დასცილდა.

1922 წელს დამოუკიდებელი საქართველო მეტეხის ციხეში არსებობდა და კოლიაც იქ იყო.

ჟურნალ ,,ერთობა“-ში გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, რომ 1922 წლის 16 დეკემბერს კოლია დგებუაძე 52 პოლიტპატიმართან ერთად გაუსახლებიათ საქართველოდან. გასახლებულთა შორის იყვნენ: ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ანანია სალუქვაძე, მარკოზ გაბისონია, ისმაილ ხეცურიანი, ვლადიმერ გრიგოლის ძე ანთელავა...

,,კოლია დგებუაძე ის პირია, ვისაც ჩემთან თავგადასავლის ერთგვარობა აკავშირებს. თითქმის ერთნაირ პირობებში გავატარეთ სიყრმე-სიჭაბუკე, ქართული გიმნაზია, თბილისის უნივერსიტეტი, მოსკოვის უნივერსიტეტი, მეტეხი, გადასახლება.

ის ქართველ მამულიშვილთა მცირერიცხოვანი ორდენის უერთგულესი კავალერია. თავისუფალ საქართველოს საკანცელა-

რიო კალმის გულგამაწვრილებელი წრიპინითაც მსახურობდა და მის დამოუკიდებლობას მკერდითაც იცავდა.

ცოცხალი, მახვილი გონება, ქართული თავაზიანობა, დაუშრეტელი ოპტიმიზმი, რომანტიული ბუნება. შევმზერ მის ფიქრითა და განცდით დასერილ შუბლს და ვგრძნობ რომ მასთან მაკავშირებს მჭიდრო სულიერი ნათესაობა (იხ. ვლადიმერ ანთელავა, ჟურნალი ,,ერთობა", 1990 წ. N4, გვ. 11; ვ. ანთელავა, ,,ფიქრები მამულზე", თბ. 2006 წ.).

დიდი ჭყონში ქონებაჩამორთმეულმა, თბილისში მცხოვრებმა, ავადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს, დაჭერის შიშით რამდენიმე თვე აბანოში გაატარა გამოუსვლელად.

1921 წლის 23 თებერვალს, ბოლშევიკების მიერ თბილისის აღებამდე ორი დღით ადრე, იუნკერი, კოჯრის ბრძოლების მონაწილე ნიკოლოზ (კოლია) ნიკოლოზის ძე დგებუაძე ბარათს უგზავნის დედას :

,,ძვირფასო ბ. დედა!

ღმერთს ვთხოვ თქვენს კარგად ყოფნას ძვირფასი ქმარ-შვილებით, როგორ ბრძანდებით ბ. დედა, ხომ კარგად, მე კარგად ვარ, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. მე დღეს ჩამოვედი პოზიციიდან. ხვალვე ისევლე წავალ უკან. ჩამოვედი თმის მოსაპარსავად, ვიყავი დაჭრილი ცოტა, მაგრამ არაფერი მიშავს-ვიცი რომ ახლა შეიშლებით ჭკუიდან. არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი და რომ არ მომეწერა, სულ შეიშლებოდით. ნუ შეგეშინდებათ. მე როგორც ვარ, პიპუშა გეტყვის. კოწია იაშვილი დაჭრეს ფეხში, მაგრამ არაფერი უჭირს. სულ დაჭრილები ვართ იუნკრები 27 კაცი. ამათ გარდა, 2 იუნკერი მოკლეს და 2 აფიცერი. ერთი იუნკერი ახვლედიანი იყო (კაკუ ქე იცნობდა), რომელიც მოკლეს, სხვები ყველანი კარგათ ვართ. იცოდეთ, ჩემი ნუ გეშინიათ, ტყვილა შეიწუხებთ თავს. ჯვებე დადიანი კარგად არის, ისიც ჩვენთან არის პოზიციაზედ.

მოგიკითხათ ყველამ; გკოცნით ყველას. თქვენი მორჩილი შვილი კოლია დგებუაძე. კაკის და მაროს წერილი მისწერეთ, შეატყობინეთ ჩემი ამბავი.

23. 02.1921 წელი, ღამის 10 საათი."

ეს წერილი თავისებური დოკუმენტია საქართველოს ახლო ისტორიის შესასწავლად. წერილში ნახსენები, ფეხებში დაჭრილი კოწია იაშვილი არის პაოლო იაშვილის უმცროსი ძმა, რომელიც 1937 წელს გადაასახლეს და დაიღუპა. ჯვეზე დადიანი, კოლია დგებუაძის მამიდაშვილია, კაკი და მარო-მამიდები. წერილში ნახსენები კაკუ, სონია დგებუაძე იყო აკაკი წერეთლის ძმისშვილის-ვასილ დავითის ძე წერეთლის მეუღლე.

,,საქართველოს ბულბულის, ერის დიდი მოჭირნახულის აკაკი წერეთლის ახლობლებიდან, მის მშობლიურ საჩხერის რაიონსა და სოფელ სხვიტორში მხოლოდ საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ყველასათვის დიდად პატივცემული სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუაძე-წერეთლისა შემორჩა წუთისოფელს. იგი არის ჩვენი სასიქადულო მგოსნის რძალი. ვასილი ძალიან ყვარებია აკაკის და დიდ პატივს სცემდა მას. რაჭალეჩხუმში მოგზაურობის დროს პოეტს თან წაუყვანია ძმისწული და ვასილიმაც ბევრი საინტერესო მოგონებები დატოვა ამ მოგზაურობაზე და საერთოდ აკაკისთან ახლო ურთიერთობაზე (იხ. ს. ლაშხი, ჟურნალი ,,საქართველოს ქალი“, 1979 წ . N4).

სახალხო განათლებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი...სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუაძე დაიბადა 1898 წელს სოფელ დიდი ჭყონში (იხ. გაზეთი ,,სოფლის ცხოვრება“ 1980 წლის 10 დეკემბერი). სწავლობდა ჯერ ფოთის, შემდეგ ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიებში.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ 1918-1919 წლების დოკუმენტში აღნიშნულია: 1918 წელს წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებული სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუაძე 1917 წელს დაარსებულ სალხინოს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა.

დაოჯახებამდე, 1929 წლამდე მუშაობდა ფოთში. ოჯახის შექმნის მერე სონია წერეთელი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვიტორის სკოლაში. 1939-42 წლებში მუშაობდა საჩხერის პედაგოგიურ სასწავლებელში. პედსასწავლებლის საჩხერიდან გადატანის შემდეგ მუშაობდა საჩხერის N2 საშუალო სკოლაში რუსუ-

ლის მასწავლებლად. 1958 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით ,,სახალხო განათლების წარჩინებული“.

ათეული წლების მანძილზე სოფიო დგებუაძე ხემძღვანელობდა რუსული ენის მასწავლებელთა რაიონულ მეთოდურ გაერთიანებას.

სოფიო ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საჩხერის რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრი. ორჯერ 1951 და 1955 წლებში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად.

გივი ელიავა წერს: მუზეუმის შექმნის პირველსავე დღეს დავუკავშირდით აკაკი წერეთლის ერთ-ერთ მემკვიდრეს, მისი ძმიშვილის მეუღლეს, ქალბატონ სოფიო (სონია) დგებუაძე-წერეთლისას. სოფიო დგებუაძის ნაჩუქარი არაერთი არტეფაქტი ამშვენებს მარტვილის მუზეუმს (იხ. მარტვილის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, ხელნაწერებში ამოკითხული წარსული, ნაწ. I; გ. ელიავა, სამეგრელო ტ. II, გვ. 199-201).

სოფიო დგებუაძეს დიდი დამსახურება აქვს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის, საინტერესო ექსპონანტებით შევსებისა და აკაკის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. მან მუზეუმს გადასცა მამამთილის, დავით წერეთლის მდიდარი არქივი. გარდაიცვალა 1980 წლის დეკემბერში; დასაფლავებულია სხვიტორში.

ნინო ნიკოლოზის ასული დგებუაძე დაიბადა 1903 წელს. სწავლობდა ჯერ სალხინოს სასწავლებელში, შემდგომ- ბათუმის ქალთა გიმნაზიაში. იყო გათხოვილი იროდიონ ბარნაბის ძე ნანეიშვილზე. გარდაიცვალა 1942 წელს. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

ემზარ კვიტაიშვილის ნაწერებით გავიცანი გუია დგებუაძის ქალიშვილი მარგარიტა (მარგო) დგებუაძე. დაიბადა 1909 წელს. დაამთავრა ფოთის ქალთა გიმნაზია, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მუშაობდა ექიმ ვენეროლოგად. საკუთარი სოფლიდან ბოლშევიკების მიერ განდევნილი ქალბატონის სხეული 1989 წელს მშობლიური ჟინოთას მიწამ მიიბარა. ჟინოთა- დიდი ჭყონის მარადიული ოჯახის საცხოვრებელი ადგილიცაა და სამუდამო ნავთსაყუდელიც.

გუია და აღათი დგებუაძეების დიდი ოჯახიდან მხოლოდ ნინოს ყავდა შვილი-თათული (იათამზე) ნანეიშვილი. განათლებით ექიმი, პედიატრ-ჰემატოლოგი.

მადლობელი ვარ უფლის ქალბატონი თათულის გაცნობისთვის. მან გადმომცა ევგენი დგებუაძის ოჯახის ხელნაწერი ისტორია. მას ჰყავდა 2 შვილი: ნინო და რამაზ ლომინაძეები. გარდაიცვალა 2022 წელს.

რამაზ ლომინაძე დაიბადა 1952 წელს. იყო სპორტის ოსტატი ფარიკაობაში. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდული ორგანიზაციების კავშირს, უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოებას. იყო ვაკის გამგებლის მოადგილე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. 2014-2018 წლებში იყო ევროპის უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივესიტეტის პროფესორი.

მარინა ილიას ასულმა ვეკუამ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში 2019 წელს დააფუძნა, მისი მეუღლის, პროფესორ რამაზ მერაბის ძე ლომინაძის ფონდი; დაწესდა რამაზ ლომინაძის სახელობის სტიპენდია.

მერაბ რამაზის ძე ლომინაძე არის კოლუმბიის საპატიო კონსული საქართველოში. მუშაობდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი“-ს ფინანსურ დირექტორად, ნამახვანჰესის გენერალურ დირექტორად.

დიდი დიასახლისი

დგებუაძეების ოჯახის ბურჯად ითვლებოდა გუიას მეუღლე, აღათი სამსონის ასული ანჯაფარიძე. ის დაიბადა კიწიაში, იმ დროს ერთ-ერთ სახელოვან ოჯახში. მის ბაბუა ნიკოლოზ ანჯაფარიძე წლების მანძილზე იყო მთავარუხუცესი.

აღათის მამიდა, მაკრინე გათხოვილი იყო დეკანოზ ნესტორ ალშიბაიაზე. ბიძა, მაქსიმე იყო მღვდელი.

სამსონ ანჯაფარიძე დაიბადა 1824 წელს. მღვდლად აკურთხა ზაქარია დგებუაძემ. მოიდანახეს ოლქის მთავარუხუცესად და-

ინიშნა 1853 წლის 13 დეკემბერს (იხ. ,,საპატრიარქოს უწყებანი“ 2018 წლის 21-27 მარტი).

რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბრძოლაში დაიღუპა ორი ძმა ანჯაფარიძე, რომელთა ცხედრებს თურქები ოჯახს არ უბრუნებდნენ.

მღვდელი სამსონი ღამით შეიპარა მტრის ბანაკში, მოიპარა ორივე მიცვალებულის გვამი და ცხენზე დაკრულები მიასვენა ჭირისუფალთა ოჯახში. ამ საქციელის გამო მან რამდენიმე თვე მონასტერში გაატარა.

1892 წელს დეკანოზი სამსონი შტატიდან გავიდა და პენსია დაენიშნა. ის 1914 წელს გარდაიცვალა და დაკრძალეს კიწიის ეკლესიის ეზოში. მისი ინიციატივით გაიხსნა რამდენიმე სკოლა.

აღათის დედა ადრე გარდაიცვალა. მისი ძმა ნესტორი მუშაობდა ბათუმში ნოტარიუსად, მეუღლედ ჰყავდა მარიამ ჩაჩიბაია. აღათის ძმისშვილი გიზო ანჯაფარიძე დაიბადა 1887 წელს კიწიაში. პეტერბურგში (მეორე ვერსიით მოსკოვში) მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში; იყო იმ მებრძოლი რაზმის წევრი, რომელიც იცავდა მაქსიმ გორკის.

1913 წელს დაბრუნდა ბათუმში, მუშაობდა ადვოკატად. 1915-1916 წლებში იცავდა რუსეთის იმპერიის სამხედრო მმართველობის მიერ დაპატიმრებულ აჭარლებს. 1917 წელს აირჩიეს ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. ის ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იყო დამფუძნებელი კრების წევრი. მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულად ქალაქ სოჭში; 1920 წელს აირჩიეს ქალაქ ბათუმის თავად. 1921 წლის 3 მაისს დააპატიმრეს სხვა პარტიულ ლიდერებთან ერთად. 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა ბათუმსა და მთელს აჭარაში; დახვრიტეს 1937 წელს. დიდი წვლილი მიუძღვის ნამიკოლაოს სკოლის გახსნაში.

რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ოთარ გიზოს ძე ანჯაფარიძე დაიბადა 1920 წელს. 1943-1946 წლებში ის იყო ბათუმის სანეპისადგურის მთავარი ექიმი.

1958 წელს დააარსა და გარდაცვალებამდე (1996 წ.) ხელმძღვანელობდა მოსკოვის ვირუსული პრეპარატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი მისი სახელობისაა. ის იყო საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ვაქცინებისა და შრატების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

აღათის მეორე ძმა, ეპიფანე გარდაიცვალა საფრანგეთში. მესამე ძმა, მელიტონი გარდაიცვალა 1906 წელს. აღათის ბიძაშვილის შვილია -ვერიკო ანჯაფარიძე.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება მზითვების სია ბლაღოჩინის მღვდლის სამსონ ანჯაფარიძის მიერ, ასულისა მისისა პარასკევასადმი მითხოვნილისა სჯულიერ მეუღლედ აზნაურის სამსონ ქავთარაძისადმი. (მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკ. ა-545).

პარასაკევა ანჯაფარიძე ცხოვრობდა ფოთში. მას ახლო ურთიერთობა ქონდა ნიკო ნიკოლაძესთან, აკაკი წერეთელთან, იონა მეუნარგიასთან. გარდაიცვალა 1926 წელს. სამსონ ქავთარაძე იყო ფოთის თვითმართველობის ხმოსანი.

1908 წელს ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ფოთის ქალთა საზოგადოების სახელით მგოსანს სიტყვით მიმართა და საჩუქარი მიართვა პარასკევა ანჯაფარიძემ. 1909 წელს ფოთში გამართულ აკაკის იუბილეზე პარასკევა იყო საიუბილეო კომისიის წევრი და საიუბილეო საღამოს დიასახლისი ნინო მეუნარგიასთან და ელისაბედ სალაყაიასთან ერთად (იხ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, პედაგოგ სოფიო დგებუაძის ხელნაწერი მოგონება აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით).

მარადიული ოჯახის დიდ დიასახლისს- აღათი ანჯაფარიძეს განათლება მიღებული ჰქონდა ოჯახში. კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას; ფლობდა რუსულ ენას, მხატვრულ ხელსაქმეს. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა რომ შვილებს მიეღოთ შესაბამი-

სი განათლება. გარდაიცვალა 1952 წელს. დაკრძალულია სოფელ დიდი ჭყონში.

,,მახსოვს ბაბუას და მამაჩემის გადმოცემით, რომ იმ თავად დგებუაძეების ქვიტკირით ნაგები სასახლის ნარჩენები და საკარმიდამო ნაკვეთი 1936 წელს საბჭოთა ხელისუფლებას მამაჩემისთვის გამოუყვია. მამაჩემს კი სანამ დაიკავებდა, მიუმართავს უმცროსი დგებუაძის ქვრივისთვის, აღათისთვის, რომელიც მამულების ჩამორთმევის შემდეგ სოფლიდან არ გადასახლებულა, ის იყო ფრიად განსწავლული და კეთილშობილი ადამიანი. მოხუცებულობაშიც არისტოკრატის იერი შერჩენოდა;

-ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, თუ მე თქვენს ნამოსახლარს გადმომცემენ,-უკითხავს მამაჩემს. პასუხი კი ასეთი ყოფილა: -მე ვინ მკითხავს, მაგრამ თქვენი მადლობელი ვარ, რომ მოგაგონდით და პატივი დამდეთ სტუმრობითო. როცა მამამ ნასახლარი გადახურა, თურმე აღათიმ მამაჩემს, როგორც ახალმოსახლეს, კრუხი 21 ახალგამოჩეკილი წიწილით, კოკა ღვინო და პურმარილი მიართვა, კარ-მიდამო დაულოცა (იხ. ნაული ჯანაშია, ,,გზა ტაძრამდე“, თბ. 2014 წ. გვ. 56).

მარტვილის მუზეუმში ინახება ოქრომკერდით ნაქარგი მეგრული ეროვნული კაბა, რომელზეც აღათი და პარასკევა ანჯაფარიძეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ XIX საუკუნის 80-90 წლებში.

ევგენი დგებუაძის შვილები

ევგენი დგებუაძეს ჰყავდა 6 ქალიშვილი, რომლებიც გათხოვილნი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

გენერალ მელქისედეკ მიქელაძეს და ნინო (მინა) დგებუაძეს შვილი არ ყოლიათ. ცხოვრობდნენ კულაშში. მიქელაძეების საოჯახო ნუსხის თანახმად, ნინო დგებუაძე დაბადებულა 1861 წელს, გარდაცვალების თარიღი უცნობია.

გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილი წერილის თანახმად: მელქისედეკ მიქელაძემ კულაშში სკოლის ასაშენებლად ადგილი შესწირა (იხ. გაზეთი ,,ივერია“, 1893 წ. 14 ივლისი, N148). 1909 წელს და-

იჭირეს თავადი მელქისედეკ მიქელაძე (იხ. გაზეთი ,,ფონი“, 1909 წ. 18 ოქტომბერი).

გუია დგებუაძის შვილიშვილმა, თათული ნანეიშვილმა გადმომცა ხელნაწერი, სადაც წერია: ევგენის ქალიშვილი კაკუ გათხოვილი იყო საჩხერეში დრაგუნთა პოლკის გენერალ როსტომ წერეთელზე. მისი ორი ვაჟი დახვრიტეს ზესტაფონში, ვაგონში 1924 წელს.

ჩემს მიერ ინტერნეტში, ჟურნალ-გაზეთებში მოძიებული ინფორმაციის თანახმად: გენერალ როსტომ წერეთელს ჰყავდა 4 ვაჟი. შედიოდა ნიკოლოზ II-ის უახლოეს გარემოცვაში. მსახურობდა მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში. 1905 წელს მეთაურობდა დრაგუნთა პოლკს. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. 1921 წლის თებერვალში სარდლობდა ვლადიკავკაზ-დარიალის მიმართულების ჯარებს. დაიღუპა ქართული არისტოკრატიის წინააღმდეგ წარმოებულ მასობრივი რეპრესიების დროს, 1924 წელს (იხ. ქართველი გენერლები, თბ. 2015 წ. გვ. 97).

დავითი და ლევანი მეზღვაურები იყვნენ. ,,დავით როსტომის ძე წერეთელი გემის კაპიტანი იყო. ომის დროს, როდესაც იაპონელებს გემი უნდა ჩაეგდოთ ხელში, კაპიტანმა წერეთელმა დაიძახა: ,,ქართველები ტყვედ არასოდეს ბარდებოდნენ“, ჩამოხსნა დროშა, შემოიხვია ტანზე და გადაეშვა ზღვაში“ (იხ. ბაბო დადიანი, გაზეთი ,,მამული“, 1991 წ. N 3).

პეტრე და მისი ძმა ბაუკი 1924 წლის აგვისტოში დააპატიმრეს, მოათავსეს ვაგონში. პეტრეს სილამაზით ჯალათი ტალახაძეც მოიხიბლა. პატიმარი ვაგონიდან ჩამოაყვანინა და იქაურობის გაცლა ურჩია. პეტრე ადგილიდან არ დაძრულა,- თუ დასახვეტთა რიცხვი განსაზღვრული გაქვთ და მე ზედმეტი ვარ, გთხოვთ ჩემს ნაცვლად ვაგონში რომ პატარა წერეთელია და ის გაანთავისუფლეთო. ტალახაძემ შეუსრულა თხოვნა პატიმარს.

როცა ზესტაფონში ვაგონებს ტყვიები დაუშინეს, პეტრე წერეთელს უყვირია, ბავშვები ვაგონების შუაგულში გადაიყვანეთო. თვითონ ვაგონის კედელთან დარჩა და გარედან შემოჭრილ ტყვიებს აეფარა. როცა ცოცხალ-მკვდარი, სისხლში აზელილი ხალხი ვაგონის ხის კედელს მიაწვა და ხრამში გადაეშვა, მკვდრებში

ცოცხლებიც აღმოჩნდნენ. ალბათ სწორედ ისინი, ვინც სროლისას ვაგონის შუაგულში იდგა. მკვდართა შორის გადარჩენილები ხრამიდან ამოფოფხდნენ და იმ სისხლიანი დღის საშინელება ამოიტანეს (იხ.Facebook, ცოტა რამ ყველაფრის შესახებ, 2013 წ. 8 დეკემბერი).

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების, ქართული ეროვნული არმიის (1918-1921) ოფიცრების, ბაუკ და პეტრე წერეთლების დედასთან, მაკრინე (მაკო) თარხან-მოურავთან ერთად გადაღებული სურათი.

რამდენი ცოლი ყავდა გენერალ როსტომ წერეთელს, ყავდა თუ არა კაკუ დგებუაძესთან შვილები, ჩვენთვის უცნობია.

მარიამ დგებუაძე და კოტე მდივანი ცხოვრობდნენ ზესტაფონში. ჰყავდათ ერთი შვილი დავით მდივანი. მისი შვილია- ნანული დავითის ასული მდივანი.

ანიჩკა იყო გახა დადიანის მეუღლე; ფატუ გათხოვილი იყო საბერიოში, ნიკო ჩხოტუაზე.

ალექსანდრა სოფელ ჯვარში იყო გათხოვილი ბესარიონ დადიანზე. მათ ჰყავდათ 5 ვაჟი და ერთი ქალიშვილი- შთამომავლობა არ დარჩენიათ. სავარაუდოდ მათი შვილია კოლია დგებუაძესთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჯვებე დადიანი.

საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში ინახება მეტრიკული წიგნები. ჟინოთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შედგენილი მეტრიკული წიგნების თანახმად 1876 წლის 3 იანვარს დაბადებულა: თავადი ევგენი ევგენის ძე დგებუაძე, რომელიც 1890 წელს ტიფისგან გარდაცვლილა.

ჩოჩია დგებუაძეს შვილიშვილისთვის, ანტონ ქუთათელაძისთვის უთქვამს, რომ უმცროსი ევგენი დგებუაძის საფლავზე დაურგავთ მაგნოლიის ჯიშის ხე. (ეს ხე ახლაც დგას სასაფლაოზე).

საქართველოს ისტორიის მრავალი ფურცელი დღემდე ჩვენი თაობისთვის უცნობია და დღის სინათლეს ელის. შესავსებია ჩვენი ისტორიის თეთრი ლაქები, რომელთაგანაც განსაკუთრებით საყურადღებოა ბედი ქართველი თავადებისა, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნამიკოლავოელი დგებუაძეები

საგლეხო რეფორმების შემდეგ საქართველოს ერთ-ერთი შეძლებული ფეოდალი იყო სოფელ ღანირის საზოგადოებაში მცხოვრები თავადი ალექსი დგებუაძე. ის დაიბადა ნამიკოლავოში, იყო განათლებული; მან ცოლად შეირთო აზნაურ ელიავას ქალიშვილი ელისაბედი, რომელსაც არ უსურვებია სამეგრელოში ცხოვრება და ალექსი დედასთან, ნინო ასათიანთან ერთად სამუდამოდ ღანირში დარჩენილა საცხოვრებლად.

ღანირში ალექსი დგებუაძეს შეუძენია 1200 დესეტინა მიწა. ის დიდი პატივისცემით სარგებლობდა სოფლის მოსახლეობაში, ეხმარებოდა სოფლის ყველა გაჭირვებულს, ღანირის სასოფლო საზოგადოებას (იგი შედგებოდა სოფლებისგან: ღანირი, ქვიტირი და პატარა ჯიხაიში); მას ღანირის ეკლესიის ასაშენებლად შეუწირავს 500 მანეთი, ხოლო ამ ეკლესიის შიდა მოწყობისთვის კიდევ ამდენივე.

არ შეესაბამება სიმართლეს ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ალექსი დედისერთა იყო. ქართველ თავადთა და აზნაურთა 1850-54 წლების აღწერის, 1866-67 წლებში შედგენილი სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საგვარეულო საოჯახო ნუსხის თანახმად: ალექსი კონსტანტინეს ძე დგებუაძეს ჰყავდა და-ძმა, ყარამანი და აღათი; ისინი იყვნენ 1806 წელს სალიპარტიანოს მოურავად დანიშნულ ავთანდილ დგებუაძის შვილიშვილებო. ალექსი დგებუაძეს ჰყოლია 6 შვილი: მიხეილი, ივანე, დავითი, ნიკოლოზი, ქსანტე და კაპიტონი.

ალექსი ახალგაზრდა გარდაიცვალა, დარჩა სამი ვაჟი: დავითი, ნიკოლოზი (კოკინია) და ქსანტე. დატოვა დიდძალი ქონება დიდი ჭყონსა და ღანირში (ამასთან 30 ათასი მანეთის თამასუქებიც). ალექსის საქმეები გააგრძელეს მისმა მეუღლემ და შვილმა, კოკინიამ.

ელისაბედ ელიავა ,,ტიპიური ფეოდალი იყო, მრისხანე, თვითნება და დიდი ნებისყოფის მქონე. იმ დროის შესაფერისად, დიდად განათლებული. უყვარდა მიწა, მამული. გლეხს იშვიათად დაახსნევინებდა თავს. წინააღმდეგი იყო მამულის დაქუცმაცების. მას არ სურდა თავისი ერთიანი მამულის დაქუცმაცება

და შვილებისთვის დანაწილება. ამიტომ მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება შუათანა შვილს, კოკინიას დაუტოვა, რის გამოც დანარჩენების გულიწყრომა დაიმსახურა“ (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ.).

ყოფილა მშრომელი და კეთილი, ხელმომჭირნეცა და ქველ-მოქმედიც. სცოდნია ბალახებით მკურნალობა.

ელისაბედის გადაწყვეტილება იყო სწორი და გონივრული. დავითსა და ქსანტეს სოფელში ცხოვრება არ სურდათ. კოკინიამ ღანირში შექმნა ბაღ-ფერმა რომელიც ცნობილი გახდა მთელ საქართველოში.

ჩვენს სახელოვან წინაპართა შორის, რომელთაც მთელი თავისი ცოდნა და გულწრფელი ზრახვანი ქვეყნის მომავალი კეთილ-დღეობისთის შეუწირავთ საპატიო ადგილი უჭირავს ერთ-ერთ პირველ სწავლულ ქართველ აგრონომს და შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძეს. ის ქართველ თავადთა იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომლებმაც მიზნად დაისახეს ქართველი ერის ბედნიერებისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლის ქარ-ცეცხლში დაიდაგნენ.

ნიკოლოზ დგებუაძე დაიბადა 1863 წელს. 1883 წელს მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გაზეთ ,,ივერიაში“ 1886 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნებული ცნობის თანახმად სასწავლებლად გაემგზავრა საფრანგეთში.

1889 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ მარსელის სასოფლო-სამეურნეო აკადემია მებაღეობა-მევენახეობის განხრით.

ნიკოლოზ დგებუაძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მან საქართველოში პირველმა შემოიტანა და გაახარა იაპონური ატამი და ხურმა, იაპონური ზღმარტლი. იტალიური იასამანი, კაკლისა და მსხლის რამდენიმე მანამდე უცნობი სახეობა (გულაბი მსხალი, საადრეო მსხალი), მანდარინი, ლიმონი, გრეიფუტი (იხ. გაზეთი ,,წინსვალა“, სამტრედია, 1962 წლის 25 ოქტომბერი).

მან შექმნა ტრიფოლიატის ბუჩქებიდან ცოცხალი ღობე, რომელიც ახლაც ფართოდაა გავრცელებული.

კოკინია არამარტო კარგი პროპაგანდისტი და მასწავლებელი იყო, არამედ თანასოფლელ გლეხობის ჭირისა და ლხინის მოზიარეც. იგი სამართლიანად ითვლებოდა სოფლის თავკაცად,

,,მომრიგებელ მოსამართლედ“, გაჭირვებაში ხელის გამმართველად.

კოკინია უსასყიდლოდ ურიგებდა სოფლის მოსახლეობას ხეხილის ნერგებს, თესლებს. თავისი ბაღის ექსპონანტებს ხშირად გზავნიდა რუსეთის ქალაქებში მოწყობილ გამოფენებზე, საიდანაც მრავალი ოქროს მედალი და სიგელები ჰქონდა მიღებული.

ნიკოლოზ დგებუაძემ თავის სახლში გახსნა წისქვილი და არყის სახდელი, სადაც არაყს მთელი სოფელი უფასოდ ხდიდა (ოღონდ შეშა უნდა მიეტანათ). წისქვილიდან მიღებულ ,,მინდ“-ს ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ. მას ხილის საშრობი ჰქონდა სამტრედიის ცენტრში. ამ საშრობით უფასოდ სარგებლობდა მთელი სამტრედიის მოსახლეობა (იხ. ავთანდილ თელია, ,,ნალოლიავები და სათუთად გაზრდილი ოთხი ხის მოკვეთა“, თბ. 1990 წ.). კოკინია იყო სოფელში სკოლის დამაარსებელიც და სასკოლო შენობის შეძენისა და დადგმის ორგანიზატორიც (იხ. ა. თელია, დასახ. ნაშრომი).

კოკინია დგებუაძე იყო ცნობილი მომღერალი, თამადა, სოფლის მეცენატი, მწიგნობარი. მისი შესრულებული სამი ათეულზე მეტი სიმღერაა ჩაწერილი გრამფირფიტებზე, რომლებიც გავრცელებულია ჩვენში და უცხოეთში (იხ. ანდრო თევზაძე, ლიტერატულური წერილები, თბ. 1977 წ., გვ. 125).

სიმღერის შესრულებასთან ერთად, კოკინია მუსიკასაც წერდა. ამბობენ, როგორც აკაკის გენიალურ ლექსს ,,სულიკოს“ ვარინკა წერეთელმა (მაჭავარიანის ასულმა) შეუწყო საჩონგურო მოტივი და ის ხალხურ სიმღერად აქცია, ასევე კოწია ერისთავის ლექსისთვის თავის დროზე კოკინია დგებუაძეს შეუწყვია სასიმღერო ხმა, რომელიც შემდეგ ხალხმა მიიღო და შეიყვარა (იხ. ს. ცაიშვილი, ,,კოწია ერისთავი“, 1938 წ., გვ. 83).

კოკინია აქტიურად მონაწილეობდა ქართული თეატრის საქმიანობაში. იგი იყო არა მარტო მსახიობი, არამედ თეატრის დიდი მოჭირნახულეც.

კოკინია იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა აგრონომიულ და სხვა ხასიათის სტატიებს.

ნიკოლოზ დგებუაძე ხშირად სტუმრობდა აკაკი წერეთელს საჩხერეში. კოკინიას სახლში სტუმრობდნენ აკაკი წერეთელი,

ნიკო ნიკოლაძე, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, ლადო-ალექსი მესხიშვილი, ეფემია მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, დები იშხნელები, მათგან ერთი, ამ ოჯახის რძალი იყო... (იხ. ,,გურია NEWS“, 3 ივნისი, 2021 წ.; ჟურნალი ,,დავითის ფარი“, 2006 წ. ივნისი; ი. ახუაშვილი, თავადი დგებუაძეები, თბ. 2006 წ.).

კოკინია დგებუაძე პრაქტიკულად ახორციელებდა იმ იდეებს, რასაც ილია ჭავჭავაძე თავისი ,,ივერიიდან“ მოუთხრობდა ქართველ მკითხველს. ილია ჭავჭავაძე და კოკინია სამსახურეობრივადაც იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან კოკინია დიდხანს მსახურობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში. მათი გაცნობა მოხდა ბანძაში. კოკინიას სიმღერის მოსმენის შემდეგ ილიას თვალებზე ცრემლი მოსდგომია, კოკინია და დანიელა (ჯანაშვილი) გულში ჩაუკრავს, ხოლო შემდეგ კოკინია საგურამოში მიუწვევია, თანაც ესეც უთქვამს:

,,შენი წერილი დავბეჭდე ,,ივერიაში“, მაგრამ ასეთი კარგი კოკინია თუ იყავი, არ მეგონა“ (იხ. ჯ. მიქელაძე, ,,მეგობართა პორტრეტები“, თბ. 2008 წ.).

1904-1912 წლებში გამოცემულ ,,КАВКАЗКЬЙ КАЛЕНДАРЬ“-ის მიხედვით, კოკინია დგებუაძე ყოფილა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე.

ნიკოლოზ დგებუაძეს და მის მეუღლეს, თავად გენერალ გიორგი მიქელაძის ერთად-ერთ ასულს ვარინკას ჰყავდათ 6 შვილი: 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი. 1924 წელს 2 შვილი დაუხვრიტეს. მანამდე ვაჟი დაეღუპა. ოჯახის მწუხარებას დაემატა მისი სახლ-კარისა და ეზო-გარემოს განადგურება.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდგომ კოკინია დგებუაძე დააპატიმრეს და სხვა პატიმრებთან ერთად ფეხით წაიყვანეს ხონიდან-ქუთაისში. კოკინია პატიმრებს წინ მიუძღოდა მარსელოიზის სიმღერით. ის ორ დღეში გაანთავისუფლეს (იმ დროს მისი ბიძაშვლი, შალვა ელიავა იყო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე).

ღანირში დაბადებულ კოკინიას იმერეთში ნამიკოლაოელად თვლიდნენ. ისტორიულ ნარკვევში მიქელაძეების გვარის შესახებ

მოთხრობილია: თავადი ნიკოლოზ ალექსის ძე დგებუაძე (1864-1938) ცხოვრობდა ნამიკოლაოში, მეუღლე ბარბარე გიორგის ასული მიქელაძე დაიბადა 1873 წელს, გარდაიცვალა 1951 წელს.

ლევან ნიკოლოზის ძე დგებუაძე დაიბადა 1896 წელს ღანირში, 1921-24 წლებში მონაწილეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში; სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1918-1921 წლებში იყო ეროვნული არმიის ოფიცერი, საქართველო-სომხეთის ომის (1918) მონაწილე. 1921 წელს კოჯორ-ტაბახმელასთან ებრძოდა XI არმიას. 1922-24 წლებში იყო დამკომის რწმუნებული. მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, რის გამოც დახვრიტეს.

დახვრეტამდე შალვა ელიავამ პირობა წაუყენა ლევანის დედას: იმ პირობით გავანთავისუფლებ ლევანს, თუ კომუნისტებს შემოგვიერთდებაო.

ლევანმა ჯერ დედას, მერე მამას უთხრა, რომ კომუნისტების შემოთავაზება მისთვის იყო შეურაცხმყოფელი. შემდგომ გაირკვა, რომ შალვა ელიავამ თვითონ მოაწერა ხელი კოკინია დგებუაძის შვილების დახვრეტაზე გადაწყვეტილებას (იხ. ა. თელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50).

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დგებუაძე დაიბადა 1900 წელს ღანირში. 1920 წლიდან ის სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ისტორიის განხრით. იბრძოდა სომხებთან ომში, კოჯორ-ტაბახმელასთან. იყო 1921 წლის ბათუმისთვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერი, დამკომის რწმუნებული. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ძმასთან ერთად დახვრიტეს.

კოკინიას ქალიშვილები: იდა და ლიზეტა სამტრედიელებისთვის კარგად ცნობილი პედაგოგები იყვნენ. მათი მოწაფეები იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, ვახტანგ ბალავაძე, ჯემალ ღაღანიძე, აკადემიკოსი ბენო ბალავაძე.

ნიკოლოზ დგებუაძის შვილიშვილებიდან ერთი ცაგერის რაიკომის I მდივნად მუშაობდა, მეორე-სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

დგებუაძეების კერა ღანირში არ გააცივა კოკინიას შვილიშვილმა, ნიკოლოზ დგებუაძემ, რომელსაც ჰყავს ორი ვაჟი: ზაზა და ირაკლი (იხ. ავთანდილ თელია, დასახ. ნაშრომი, თბ. 1990 წ.).

ალექსის უფროსი შვილი დავითი გაიზარდა სამეგრელოში. მამის გარდაცვალების შემდეგ ის დასახლდა ნამიკოლავოში, რადგან დედამ პირდაპირ უბრძანა: ,,წადი სამეგრელოში, მამიშენის მამულში დასახლდი, გამზრდელებიც იქვე ახლოს გყავსო" (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია ,,მოგონებები", თბ. 1968 წ. გვ. 442).

დავით დგებუაძემ შეასრულა დედის ბრძანება და ნამიკოლუში დასახლდა. მისი შვილი, ფუცუ იგონებდა: ,,მამაჩემის ძიძას, დარჯა ჯანაშიას, თავისი გაზრდილისთვის უთქვამს: ის შენი კერპი დედა, რადგან დედობას არ გიწევს, მოკვდეს დარჯა ჯანაშიას ქალი, თუ იმაზე ნაკლები დედობა გაგიწიოს, ხუთი ვაჟი მყავს, ხუთივეს თავზე შემოგავლებ, კიდეც დაგასახლებ, პირველ შვილსაც გაგიზრდი, მტრის ჯინაზე ხელი გამოიღე, ჯირითი და ნადირობა დროის დაკარგვაო" (იხ. ფუცუ დგებუაძე, ,,მოგონებები", გვ. 446).

ნამიკოლაოში დავით დგებუაძის ოჯახი 14 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ჰყავდათ რემა, მრავალი მეწველი ძროხა, ჰქონდათ წისქვილი. 1900 წელს ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა.

1903 წელს დავით დგებუაძე სენაკის მაზრაში მცხოვრებ მემამულეებს აურჩევიათ ქუთაისი გუბერნიის ყრილობის დელეგატად (იხ. ,,КАВКАЗКЬЙ КАЛЕНДАРЬ", 1903 წლის გამოცემა).

სახელოვანი შვილების მამა, დავით ალექსის ძე დგებუაძე თავისი დროისთვის მეტად განათლებული პიროვნება ყოფილა, იგი მსახურობდა ქუთაისში, ქალაქის თვითმართველობაში და ეროვნული კულტურის ძვირფას ტრადიციებზე ზრდიდა შვილებს. მას სოფლის გოგონებისა და ბიჭუნების ერთგვარი ,,სკოლა" ჰქონდა გახსნილი.

,,ჩვენი ოჯახი მატერიალურად არ იყო წელმაგარი. გეგეჭკორის რაიონში სოფელ ნამიკოლუში, პატარა მამულის პატრონი მამაჩემი (ღანირის დიდი მამულით ჩემი მამა არ სარგებლობდა), ქუთაისში მსახურობდა, თვეში 75-80 მანეთი ეძლეოდა. მწირ ნიადაგიან სოფლიდან მხოლოდ მცირე რამით სარგებლობდა. იმ სო-

ფელს ახლა დიდი ჭყონი ქვია“ (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968, გვ. 500).

დავითის მეუღლე იყო ლირიკოსი პოეტი ქრისტესია დგებუ-აძე-ლორთქიფანიძე (1856-1920). ისინი ითვლებოდნენ ქუთაისში მცხოვრებ ერთ-ერთ ულამაზეს წყვილად. ცოლ-ქმარს ჰყავდა 8 შვილი. მათი შვილებიც სილამაზის განსახიერებანი იყვნენ.

ოჯახი დიდი იყო, სტუმრიანი, ხელგაშლილი. მას დგებუაძეე-ბის ,,ლიტერატურულ სალონსაც“ ეძახდნენ. ამ ოჯახის სტუმრები ყოფილან აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი დადიანი (კოლხიდელი), ვარინკა წერეთელი (ქრისტინე ლორთქიფანიძის დეიდაშვილი და ფუცუს ნათლია), იოსებ გრი-შაშვილი, სიმონ ქვარიანი... დავითის სახლში ერთი წელი ცხოვ-რობდა პოეტი სიმონ ჩიქოვანი, რომელსაც რუსულში ამეცადი-ნებდა დავითის ქალიშვილი, პაუსია.

ქრისტინე დგებუაძე სისტემატიურად, უშუალოდ მონაწილე-ობდა ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ,,დიდი სამზადი-სის შემდეგ გადაწყდა ალექსანდრე ყაზბეგის მოწვევა. შევთან-ხმდით. მივიღეთ დეპეშა, კვირას ელოდეთო. მთელი ქუთაისი ფეხზე დადგა. სადგურში ყვავილებით მორთული ეტლი დავახ-ვედრეთ. მატარებლის დამხვდურებს ელდა ეცათ: ალექსანდრე ყაზბეგი ეტლიდან ახალუხის ამარა ჩამოვიდა, უაბზინდო ქამ-რით. ჩოხა არ ჰქონდა. მასპინძლებმა ვერ შეიმჩნიეს, იცოდნენ მი-სი ხელმოკლეობა. მშვენიერ საუზმეზე მიიწვიეს; ქრისტინემ იმავ წუთს წერილი აფრინა ეტლით ქმართან, ჩოხა გამოგვიგზავნე სას-წრაფოდო. შინ მყოფმა ბაბამ საუკეთესო ჩოხა აარჩია და შიკრიკს გაატანა. დიდი სიფრთხილით სთხოვეს მწერალს ჩოხა ჩაეცვა-სი-ამოვნებით დათანხმდა. დიდი მოუვიდა. მაშინ მხრებზე მოასხეს და სცენაზე ისე გაბრძანდა. ამ ჩოხით მრავალ სურათშია გადა-ღებული დიდი მწერალი-,,მზით გაცვითა“ (იხ. აგული დადიანი, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ნაამბობი).

დავითის უფროსი შვილი მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია დაიბადა 1887 წელს. იზრდებოდა ნამიკოლაოში, პარლამენტარ იაგო ხვიჩიას დიდი ბაბუის სახლში.

1897-1900 წლებში ცხოვრობდა ნოტარიუს ივლიანე ანჯაფარი-ძის (ვერიკოს მამის) ოჯახში. მეოთხე კლასში სწავლობდა, როცა

ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო აფხაზეთში, სოფელ მერხეულში 1906 წელს. რუსული და ქართული ენების მასწავლებლად მუშაობდა ბაქოში.

,,1909 წელს განცხადება გავგზავნე საქართველოს განათლების მზრუნველის სახელზე, რომელშიაც ვთხოვდი ნებართვას, ახალსენაკში (ახლანდელი ცხაკაია) გამეხსნა ოთხკლასიანი ქალთა კერძო პროგიმნაზია ჩემი ხარჯით“ (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ. გვ. 500).

1 სექტემბერს სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. 1911 წლის მეორე ნახევარში სკოლა უფრო მრავალრიცხოვანი გახდა.

1921 წელს სოფელ ხორშში საკუთარი სახსრებით დააარსა დაწებითი სკოლა, სადაც თვითონ ასწავლიდა. მუშაობდა თბილისისა და ქუთაისის საბავშვო სახლებში, სოხუმის ქართულ სკოლაში. 1934 წელს მწერალი კვლავ დაუბრუნდა გარდაცვლილი მეუღლის სოფელს და მის მიერვე დაარსებულ სკოლას, სადაც დარჩა 1937 წლამდე. რუსულის მასწავლებლად მუშაობდა ჯერ ქვიტირში, შემდგომ- ღანირში.

სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ფუცუ დგებუაძე დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით ,,სახალხო განათლების წარჩინებული“.

ფუცუ იყო აქტიური სოციალ-დემოკრატი, იცნობდა სტალინს. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო აკრიტიკებდა ,,ბელადის“ სისასტიკეს და ბოლოს ,,აფთარი“ შეარქვა.

ლექსების წერა ფუცუმ 12 წლის ასაკში დაიწყო, პირველი ნოველა 1907 წელს დაიბეჭდა. 1916 წელს ,,სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი ,,წალენჯიხა“. 1927 წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი ,,გრძნობათა ნანგრევებზე“. 1954 წელ ცალკე წიგნად დაისტამბა ,,ტყვარჩელის ლამპიონები“.

1952 წელს გამოიცა მისი ისტორიული რომანი ,,ოქროს ბეჭედი“, სადაც ასახულია XIX საუკუნის სამეგრელოს ისტორია. 1959 წელს სოხუმში, 1968 წელს თბილისში გამოვიდა მისი წიგნი ,,მოგონებები“.

მწერალმა საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა ნამიკოლაოზე. ის წერს, რომ იმ სოფელს, სადაც მწერალი 13 წლამდე ცხოვრობდა ახლა დიდი ჭყონი ქვია.

ფუცუ დგებუაძე გარდაიცვალა სოხუმში 1969 წელს. ის გამოასვენეს ჭანბას სახელობის თეატრიდან; დაკრძალულია სოხუმის მთაზე, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

შოთა დავითის ძე დგებუაძე გაძიძავებული იყო სოფელ სალხინოში, კოსტა სხულუხიას სახლში. ახალგაზრდობაში ჭიდაობით იყო გატაცებული; ნიღბით ჭიდაობდა, ვინაიდან თავადებს ცირკში ჭიდაობა სამარცხვინოდ მიაჩნდათ. ,,კნიაზ მასკა“ შეარქვეს. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლას თავი დაანება, რადგან გვამის გაკვეთაზე გული წაუვიდა. უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე შევიდა. იმპერიალისტურ ომში, როგორც მრავალი თავადი, მოხალისედ წავიდა. დიდი ჩინი მისცეს და საბოლოოდ სენაკის მაზრის სამხედრო უწყების უფროსად დანიშნეს. ცოლად ქუთაისელი ულამაზესი ქალი ვალენტინა იშხნელი შეირთო. მომღერალ იშხნელთა უფროსი და. საარაკო სილამაზის ქალს საარაკო ხმა ქონდა, ოპერაში მიიწვიეს, უარი თქვა-შვილები მყავს გასაზრდელიო.

ხანდაზმული ვალენტინა იშხნელი რადიოში მღეროდა დებთან ერთად. სიცოცხლის ბოლო წლებში შოთა დგებუაძე თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ.

ალიოშა (ალექსი) დგებუაძე ნიჭიერი მსახიობი იყო. შალვა დადიანმა იგი მისი დაარსებული მოგზაური თეატრის დასის გამგედ, რეჟისორად და მსახიობად მიიწვია. შეთავსებით შალვა დადიანიც ვიყავიო, ხუმრობდა იგი. მის მოვალეობასაც ხშირად ასრულებდა. იგი კინოშიც მოღვაწეობდა. ქუთაისში მან დაარსა საჭადრაკო კლუბი.

ბიჭიკო დგებუაძე ფოთში დასახლდა. საბაჟოს უფროსად დაიწყო მუშაობა. 1926 წელს მიმავალ მატარებელს შეუგდეს კონტრაბანდისტებმა და მათთან შეთქმულმა მილიციონერებმა.

პაუსია დგებუაძე ულამაზესი ქალი იყო. გრიგოლ დადიანმა, გიორგი შერვაშიძემ და იოსებ გრიშაშვილმა მას ლამაზი ექსპრომტები უძღვნეს, ქუთაისელმა ,,ოქროს“ ახალგაზრდობამ მას ლირიკული სიმღერები გამოუთქვეს.

,,ილია დგებუაძე დაიბადა ნამიკოლაოში 1897 წელს. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სკოლა, შემდეგ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1917 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. იგი იმ დროს პეტროგრდში საარტილერიო სასწავლებლის კურსანტია. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი დაინიშნა თავრიდის სასახლის კომენდანტის ადიუტანტად" (იხ. გაზეთი ,,თბილისი", 1961 წლის 23 დეკემბერი, N296; გაზეთი ,,შრომის დროშა", 1981 წლის 21 ივლისი, N86).

ბოლშევიკი დავით ქილინჯარაშვილი იგონებს: ,,თავრიდის სასახლის დერეფნებში აჩქარებით მოაბიჯებდა ვ. ი. ლენინი. ის და ი. ბ. სტალინი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, მე და დგებუაძე კომენდანტის დავალების შესასრულებლად მივეშურებოდით და წინ შემოვხდით მათ...გავემზადეთ სამხედრო პატაკის მისაცემად. სტალინი ჩვენსკენ მობრუნდა, ჩვენ სწრაფად მივეცით სამხედრო სალამი. სტალინს სახეზე ღიმილმა გაურბინა,-გამარჯობათ ამხანაგებო!-მოულოდნელად წარმოთქვა მან. ვლადიმერ ილიას ძემ თავი მაღლა ასწია და გამჭრიახი გამოხედვით შეგვათვალიერა. -თქვენი თანამემამულეები არიან?-შეეკითხა სტალინს და როცა დადებითი პასუხი მიიღო, ჩვენ მოგვმართა-საიდან მოხვდით აქ? მე ვუპასუხე, რომ საარტილერიო სასწავლებლიდან ჯერ წითელ გვარდიაში მოვხდით, იქიდან კი აქ. ახალგაზრდობა ჩვენთან მოდის. ეს კარგია!-წამახალისებლად თქვა ვლადიმერ ილიას ძემ და სტალინთან ერთად განაგრძო გზა" (იხ. შ. ჯღარკავა, გაზეთი ,,შრომის დროშა", 1981 წლის 21 ივლისი, N86).

1918 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ პეტროგრადში შექმნა საკავალერიო მეთაურთა კურსები. მის სამხედრო კომისრად დანიშნეს 21 წლის ილია დავითის ძე დგებუაძე.

1918 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი, ხელისუფლებისა და დამხობილი მთავრობის მომხრეებს შორის. საბჭოთა სახელმწიფო მტრების რკალში მოექცა. როცა თეთრგვარდიელები პეტერბურგისკენ დაიძრნენ, ბოლშევიკებმა შექმნეს წითელ კურსანტთა რაზმები, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კავალერისტი კურსანტები. წითლებმა-თეთრები განდევნეს საბჭოთა რუსეთის საზღვრებიდან. ამ რაზმის ერთ-ერთი კომისარი იყო ილია დგებუაძე.

ბარონ ვრანგელის და ანარქისტ მახნოს რაზმების გასანადგურებლად 1920 წლის შემოდგომაზე შეიქმნა კურსანტების მეორე რაზმი-ბრიგადა, რომლის სამხედრო კომისრად (პოლიტიკურ ხემძღვანელად) დაინიშნა ილია დგებუაძე.

17 დეკემბერს კურსანტების ბრიგადამ უკრაინაში გაანადგურა მახნოს რაზმის ნაწილი, ნაწილმა კი უკან დაიხია 80 კილომეტრის მანძილზე.

სწორედ იმ ღამეს მახნოს რაზმმა გააკეთა მოულოდნელი 80 ვერსიანი გადასვლა და სასტიკად გაუსწორდა შტაბის მთელ შემადგენლობას.

1921 წლის 6 იანვარს ბრიგადის შტაბის მოკლულთა გვამები (სულ- 15, მათ შორის ი. დგებუაძე) მიასვენეს პეტროგრადში და დაასვენეს ზამთრის სასახლის წმ. გიორგის დარბაზში. 8 იანვარს დგებუაძე და მისი 14 ამხანაგი დაასაფლავეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1922 წლის 25 ივნისი, N142; გაზეთი ,,კომუნიზმის გზით“, წულუკიძე, 1967 წლის 11 ნოემბერი, N135).

მელიტონ (მეტია) დგებუაძე ,,მოურჯულებელი“ სოციალ-დემოკრატი იყო. მეეზოვეს არ აპატია ამხანაგოთი მიმართვა; სცემა პოლიციელები. გამომძიებელმა ლავრენტი ბერიამ მიუსაჯა დახვრეტა. შალვა ელიავას ჩარევის შემდეგ სასჯელი, 6 წლის პატიმრობით შეუცვალეს. გათავისუფლების შემდეგ დააპირა უცხოეთში გაპარვა, ამის გამო მეორეჯერ დააპატიმრეს. ციხეში ისწავლა გერმანული ენა, პოლიტიკური ეკონომია, კლასიკური და ანტიკური ფილოსოფია.

ციხიდან გამოსული მ. დგებუაძე ღანირში დასახლდა. ბიძამისის კოკინიას კვალს გაყვა: მამისეული დანგრეული წისქვილი შეაკეთა, ხილი დარგო. 1937 წელს ისევ დააპატიმრეს. დებმა მის კვალს ვერ მიაგნეს.

დავით და ქრისტინე დგებუაძეებმა აღზარდეს ობოლი მაკი ხვიჩია. ,,დები ფუცუ და პაუსია, ძმა მელიტონ ხვიჩია...იუწყებიან მაკი დავითის ასულ დგებუაძის გარდაცვალებას (იხ. ,,საბჭოთა აფხაზეთი“, 1966 წლის 27 დეკემბერი, N249).

1865 წლის 8 ივნისს თავად ალექსი კოსტას ძე დგებუაძეს და მის მეუღლე ელისაბედს შეეძინა ვაჟი ქსანტე. ბავშვი მონათლეს

12 ივლისს ნამიკოლუს მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში. მონათლა მღვდელმა ვასილ ჯანაშიამ. მიმრქმელი იყო თავადი კოსტანტინე დათიკას ძე ჩიქოვანი, მედავითნე-ბესარიონ ჯანჯღავა.

დედამ ქსანტე სახელმწიფო სამსახურში მოაწყო და უთხრა: ,,შენ სოფლად მაინც არ იცხოვრებ, არც ცოლ-შვილი გყავს, როდესაც მოისურვებ ჩამოხვალ შენს ოჯახში, დაისვენებ და ინებრივებ“ (იხ. ი. ახუაშვილი, ,,თავადი დგებუაძეები“).

ბიძაჩემი ქსანთე ბათუმის საბაჟოს მმართველი იყო, მისი ცოლი ალიოშა ჯაფარიძის ბიძაშვილი იყო, წერს ფუცუ დგებუაძე.

როცა ელისაბედი გარდაიცვალა, კოკინიამ თავისი მამულიდან ნაწილი უფროს ძმას დაუთმო; ქსანტე სახელმწიფო სამსახურში დარჩა. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა: გუდაუთის, ლიმანის, ტუაფსეს საბაჟოების უფროსად.

მარტვილის, ონის, ამბროლაურის პრისტავად თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მსახურობდა ნამიკოლაოელი ნესტორ დგებუაძე.

1882 წლის 28 ივლისს გამოცემული გაზეთ ,,კავკაზი“-ს თანახმად: სენაკის მაზრის სოფელ ნიმიკოლში (ნამიკოლაოში) ცხოვრობდა კონსტანტინე დგებუაძე, თავად ყარამან დგებუაძის ვაჟი. 1866-67 წლებში შედგენილ სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საოჯახო ნუსხის თანახმად ჰყავდა შვილები: ბესარიონი, მიხეილი, ნესტორი და ანეტა.

ნამიკოლაოს მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში მღვდელ გიორგი ხორავას მიერ 1847 წელს შედგენილი მეტრიკულ წიგნში წერია, რომ ეკლესიის მრევლი ყოფილან გიორგი და მანუჩარ დიმიტრის ძე დგებუაძეები.

გენერალი დგებუაძე

გენერალ-მაიორი ბესარიონ ტატაშის ძე დგებუაძე დაიბადა 1841 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში (1877-78 წ.წ). მეთაურობდა მეგრელთა რაზმს. გარდაიცვალა 1882 წელს.

2012 წელს გამოცემული საქართველოს ენციკლოპედიის II ტომის, 343 გვერდზე აღნიშნულია: დაიბადა მარტვილში, დაკრძალულია მარტვილში.

სამეგრელოში 1850-1854 წლებში ჩატარებული ქართველ თავადთა და აზნაურთა დეტალური აღწერის, 1866-67 წლებში შედგენილ სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საოჯახო ნუსხის თანახმად: თავადი დგებუაძეები ცხოვრობდნენ ჯვარის მაზრაში. ისინი იყვნენ: დიმიტრი, ავთანდილ, მამუკა და კოხტა დგებუაძეების შთამომავლები.

აღწერის და ნუსხის თანახმად: მამუკა დგებუაძეს ჰყოლია ორი ვაჟი: ტოტი და პრაპორშჩიკი მანუჩარი. ვინ იყო ტატაშ დგებუაძე უცნობია. აღწერასა და ნუსხაში მითითებული ასაკი პოდპორუჩიკ ბესარიონ მანუჩარის ძე დგებუაძისა ზუსტად ემთხვევა გენერლის დაბადების წელს.

პაატა ცხადაია წერს, რომ თავადი მამუკა დგებიას ,,ნადოხორუ" მდებარეობს ლეფარულეში, ოჟვაბუეს მარჯვენა ნაპირას. ნამიკოლაოში მცხოვრებ ჯოღორია (დიმიტრი) დგებუაძის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა მანუჩარი.

პროფესორი დამანა მელიქიშვილი წერს, რომ გიორგი ბესარიონის ძე დგებუაძე იყო მისი ბებიის ძმა. გენერალ ბესარიონ დგებუაძეს ცოლად ჰყოლია მამია გურიელის და. გენერლის ცოლისძმა ყოფილა სოხუმის ქალაქის თავი. მამის (გენერალ დგებუაძის) სურათი რომ გადაერჩინა, ეკატერინე დგებუაძეს სურათი შუაზე გადაუტეხავს და ლეიბში ღრმად დაუმალავს (იხ. დ. მელიქიშვილი, ,,წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე", თბ. 2017 წ.).

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ გენერალი დგებუაძე იყო ევგენი დგებუაძის ბიძაშვილი.

თავადი გიორგი ბესარიონის ძე დგებუაძე დაიბადა 1875 წელს სოფელ ნამიკოლაოში. გარდაიცვალა 1938 წელს. მისი მეუღლე იყო მარიამ მიქელაძე (1894-1967). მათი ქალიშვილს ჰქვია თალიკო.

1902 წლის 10 ნოემბერს, გაზეთ ,,ცნობის ფურცელი"-ს პირველ გვერდზე გამოქვეყნდა გიორგი დგებუაძის წერილი სადაც, ის აკრიტიკებს ბავშვებისთვის სკოლებში მეგრულის სწავლების მცდელობას.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად 1906 წლის იანვარში დაინიშნა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი. აჯანყებული გურულების დასაწყნარებლად გამოაგზავნეს პოლკოვნიკი კრილოვი.

როცა კრილოვი წვავდა, ცეცხლს აძლევდა, სიკვდილს თესავდა მარჯვნივ და მარცხნივ, ლანჩხუთის პოლიციის პრისტავად მუშაობდა გიორგი დგებუაძე. ის, გიორგი ბერიძე და ვასილ ხუნდაძე ერთად გაგზავნეს კრილოვთან მოსალაპარაკებლად.

დგებუაძე ბოქაული კი იყო, მაგრამ რევოლუციას თანაუგრძნობდა და რევკომთან ქონდა საიდუმლო კავშირები. მან პატაკი ჯერ რევკომს გააცნო და მხოლოდ შემდეგ წაიღო ოზურგეთის გარნიზონში. ამასობაში აჯანყების ხელმძღვანელებმა ქალაქის დატოვება მოასწრეს (იხ. გრიგოლ მახარაძის ბლოგი, ,,გურიის გადაწვა“).

ყარსის ხელშეკრულების დადებამდე (1921 წლის 13 ოქტომბრამდე), ართვინის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში იყო. ნამიკოლაოელი გიორგი დგებუაძე 1921 წელს დაინიშნა ართვინის ოლქის უფროსად (იხ. გაზეთი ,,ბათუმის ცხოვრება“, 1921 წლის 28 იანვარი, N20, გვ. 3).

ეკატერინე ბესარიონის ასული დგებუაძე 1876 წელს დაიბადა, 1944 წელს გარდაიცვალა. აკადემიკოსი მარგალიტა მჭედლიძე იგონებს: ,,დედაჩემი ძალიან ნატანჯი ქალი იყო, სიკვდილს მრავალჯერ ჩახედა თვალებში: ზესტაფონში რომ ვაგონები ჩაცხრილეს, იმას დედაჩემმა ნახევარი საათით ვერ მიუსწრო და ამან გადაარჩინა“ (იხ. დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260).

,,ჩვენ ვიცით იმათი სახელები-არაბთა, მონღოლთა, სპარსთა თუ თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა...მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდით სახელები ჩვენი დროის ახალ-მოწამეებისა, რომელთა მოწამეობრივ აღსასრულს ერთი თაობის მანძილი თუ გვაშორებს“ (დ. მელიქიშვილი, იქვე, გვ. 7).

გენერლის ქალიშვილის, ეკატერინე დგებუაძის მეუღლე სიმონ მჭედლიძე, ქართულმა მართმადიდებულმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა 1995 წლის 19 სექტემბერს. ის 4 სხვა მღვდელთან ერთად, დახვრიტეს 1924 წლის მარიამობა ღამეს საფიჩხიის სასაფლაოზე. ტყვიანასროლებსა და ჯერაც ცოცხლებს მიწა მიაყარეს.

სიმონ მჭედლიძის მოწამებრივ გმირობასთანაა დაკავშირებული ტრადიციული მიმართვა ,,სიმონ“. 1924 წელს სოფელ როდინაულში ეკლესიის კურთხევის გამო სიმონი დააპატიმრეს. მისი წამება გაგრძელდა ერთი თვე. წამების დროს სიმონ მჭედლიძეს ასე-

თი სიტყვებით მიმართავდნენ ჯალათები: ,,გტკივა სიმონ?“ ,,არა სიმონ?“ ,,აბა ახლა რას იტყვი სიმონ“...

ჩეკისტებიც გაოცებული ყოფილან სიმონის გამძლეობითა და შეუპოვრობით. სწორედ მათგან გავარდა ხმა სიტყვა ,,სიმონ“-ზე და ის გახდა გამძლეობისა და ამტანობის სიმბოლო.

1908 წელს ქუთაისში, თამარ მეფისა და პაოლო იაშვილის ქუჩების კუთხეში, სიმონ მჭედლიძემ იყიდა შენობა და გამართა სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა მისივე დაარსებული გაზეთი: ,,შინაური საქმეები“, შემდეგ- ჟურნალი ,,განთიადი“. ორივე გამოცემას თვითონვე რედაქტორობდა. ,,შინაურ საქმეებში“ ბეჭდავდა თავის ნაწერებს მღვდელი პ. კვარაცხელია (სალხინოს სკოლის პედაგოგი). სტამბაში იბეჭდებოდა იმერეთის მხარის 10 სხვადასხვა გაზეთი. აქვე გამოიცა 100-მდე წიგნი. მათი უმრავლესობა გამოიცა გამომცემლის შემწეობით, ხოლო 20 დასახელება მისივე ავტორობით და თანაავტორობით დაისტამბა.

გენერლის შვილიშვილები არიან: აკადემიკოსი მარგალიტა მჭედლიძე, ცნობილი მომღერალი, პროფესორი, ოპერის და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი დიმიტრი მჭედლიძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის I გიმნაზიის ისტორიის შემქმნელი ბარბარე მჭედლიძე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი იუნკერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, აფხაზეთის გზათა მინისტრი ბიძინა მჭედლიძე.

ეკატერინე დგებუაძის შვილიშვილები არიან: დამსახურებული ინჟინერი ბიძინა ბიძინას ძე მჭედლიძე, კინორეჟისორი ნანა მჭედლიძე, ცნობილი ჟურნალისტი და დიპლომატი რამაზ მჭედლიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი დამანა მელიქიშვილი.

პერიოდული პრესის ფურცლებზე

,,სამწუხაროდ მარტვილისა და მისი მუნიციპალიტეტის ახალი და უახლესი ისტორია ფაქტობრივად შეუსწავლელია. XIX საუკუნის რეფორმისშემდგომი ქალაქებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ადმინისტრაციულ-ტერი-

ტორიული დაყოფის, განაშენიანებისა და გარეგნული იერსახის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები ინტენსიურად შუქდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე: ,,დროება", ,,ივერია", ,,მწყემსი", ,,ცნობის ფურცელი", ,,ისარი", ,,შრომა", ,,ამირანი", ,,მეგობარი", ,,ფონი", ,,ხომლი", ,,ლახვარი", ,,თეატრის მაცნე", ,,თანამედროვე ქვეყანა", ,,ერთობა", ,,კოლხიდა", ,,იმერეთი", ,,საქართველო", ,,ეკალი" და სხვა მრავალი" (იხ. ი. კეკელია, გაზეთი ,,მარტვილი", 2023 წლის 26 აგვისტო, N8).

1861 წელს ჟურნალ ,,ცისკარში" დაიბეჭდა ევგენი დგებუაძის პოემა ,,ოფოფი". ამავე ჟურნალის, ამავე ნომრიდან ვიგებთ, რომ ჟურნალი გამოწერილი ჰქონიათ: ევგენი და მანუჩარ დგებუაძეებს.

დ. ბარნაბიშვილი წერდა: ,,მარტვილის გორას ჩამოვცილდით თუ არა, შევედით ნაოღალევში, სადაც მრავალი ხალხი იყო შეკრებილი, ,,პარასკეობის" მიზეზით...მივიხედ-მოვიხედე თუ არა, ვნახე, რომ იქ უსაქმოდ არავინ იდგა: ზოგი ვაჭრობდა სხვისგან, ზოგი ყიდდა და ზოგნი ერთმანეთში საგნებსა სცვლიდნენ. აქ ბევრი იყო ყმაწვილი, ვაჟკაცი, პატარა ქალები, დედაკაცები და ბებრები: თითოეულ ამათგანს რამდენიმე საგნები ეჭირათ გასაყიდად. ცარიელი მათში იშვიათად იპოებოდა…

...აი თვით ხიდი როგორია: ექვს-შვიდს საჟენს წყლის სიგანეზე არის უბოძოთ მრგვალი ხის ხიდი გადავლებული, ის არც არის რკინებით დამაგრებული ერთმანეთზედ და არც თოკითა. მეგრელებს სცოდნიათ ფიზიკური კანონები და ამ კანონებით უმოქმედიათ ამ საქმეში. სცოდნიათ, რომ მოკაკული ხე, რომელსაც ზურგი ზემოთ აქვს აშვერილი არ გატყდება ადვილად, ზურგზე რომ სიმძიმე რამე დაადგან, თუ რომ თავი და ბოლო მაგრათ აქვთ რაშიმე უძვრელად და მტკიცედ გამაგრებული და ამ ცოდნით უსარგებლიათ. წყლის სიგანეს ერთი გრძელი ლატანი რომ ვერ გასწვდომია, ორი ერთმანეთზე წვერებით გადაუბამთ და ისე გაუწყვიათ სამი-ოთხი წყვილი, ყველა ესენი ცისარტყელასაებრ გადაუვლიათ ტეხურისთვის. ლატნების ძირები აქეთ-იქით ნაპირებში ძალიან მტკიცედ და უნძრეველად არიან დამაგრებულები და ზევით ერთმანეთზე არიან მიკრულნი ვაზის წნელით.

აქეთ-იქით ხელის მოსაკიდებელი მოაჯირი აქვს გაკეთებული კაცის გადაუვარდნელობისათვის“ (იხ. ,,მოგზაურობა მატვილიდან კიწიამდინ“, გაზეთი ,,დროება“, 1871 წ. N30).

XIX საუკუნის 70-იან წლებში ვიღაც ხონელ შარაბიძეს ერთი თვე დაუყვია სოფელ ტალერში, სადაც მდგარა 40-მდე სავაჭრო დუქანი. კურზუში ჭრიდნენ ბზას (იხ. გაზეთი ,,დროება“, 1873 წლის 21 სექტემბერი, N37).

გაზეთმა ,,ივერიამ“ 1886 წლის 16 ოქტომბერს მკითხველს აუწყა ოდესელი სტუდენტების დგებუაძის და ჟურულის სასწავლებლად წასვლა საფრანგეთში. ამავე გაზეთში 1890 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა იმ თავად-აზნაურთა სია, ვინც ერთგულება შეჰფიცა ლევან დადიანს. ერთგულების ფიცზე ხელმომწერთა შორის არის ავთანდილ დგებუაძე.

1894 წლის 16 ივნისს გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილი წერილიდან ვიგებთ, რომ ქუთაისის სავაჟო გიმნაზია დაამთავრა 24 მოსწავლემ. გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა პორფირი დგებუაძემ.

გაზეთ ,,კვალი“-ს 1896 წლის 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა სოლომონ ჯანაშიას წერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ ნამიკოლავოში წინა წელთან შედარებით 20-ჯერ ნაკლები მოსავალი მოსულა. ამას დაემატა კიდევ ერთი უბედურება: მხალს გაუჩნდა მატლი; მოსახლეობა მარხვის დღეებში მხოლოდ მხალს ჭამს.

სოფელ მარტვილში ,,არსებობს ორი ორკლასიანი სკოლა- სამრევლო და სამინისტრო-ორივე შესაფერისი შენობებით და ეზოადგილით, არსებობს აგრეთვე უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო და საავადმყოფო ქსენონი ერთი ექიმით, ორი ფერშლით და ერთი ბებია ქალით (ამ საავადმყოფოსთვის საკუთარი ხარჯით მშვენიერი ქვითკირის სახლი ააგო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა). გარდა ამისა აქ არსებობს სენაკის მაზრის ჯარისკაცთა გასაწვევი განყოფილება, აფთიაქი და მაზრის საპატიმრო მოწყობილობა. აქ ნაცვლად ძველი დუქნებისა, ააგეს ახალ გეგმაზედ ასამდე მშვენიერი ქვითკირის კოპწია დუქანი, რომელთაგან ზოგი ორსართულიანია. დაბას აქვს ჩინებული ბაღი, აქ ახლად დაარსდა ყოველწლიური ბაზრობა, რომელიც 20 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე გასტანს ხოლმე“ (იხ. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“ 1898 წლის 19 თებერვალი, N459).

,,ალერტის ტაძარი ქალაქის ტაძარს მოგაგონებს. ეკლესიის ახლოს ბაზრობაა. იქვე ახლოს ჯირითობა“ (იხ. ,,ცნობის ფურცელი“, 1899 წლის N824).

ვასილ გადილია წერს: ,,სოფელ კიწიაში დღეს შენდება ქვითკირის ეკლესია ხის ეკლესიის მაგიერ...იქვე ახლოს არის სამრევლო სკოლა, რომლის საძირკველი გამონგრეულია და კედლებიდან ქარი თავისუფლათ უბერავს, სახურავი გაფუჭებულია...1903 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა ფოსტის სადგური და ნაწილის ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, ფოსტის დამტარებელი ცხენები და კაცები თქვენი ხარჯით, უნდა დაიქირავოთო, რომ ატარონ წერილები და ფულიო. ყრილობამ უარი განაცხადა, ფოსტა კი არა, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება და ახალ წლამდის სიმინდი არ მეყოფაო...სოფელი ისე გაჭირვებულია, რომ თითქმის მთელი ახალგაზრდობა გარეთ სამუშაოთ მიდის“ (იხ. გაზეთი ,,კვალი“, 1903 წლის 14 დეკემბერი, N33).

,,სოფელი სალხინო მართლაც კოხტად მორთულ-მოკაზმული დაგვხდა. გაუკეთებიათ სავაჭროდ ხის ფარდულები. ისმოდა დაფა-ზურნა და დუდუკი. შევხედე ქალაქელი კინტოები აქაც მოსულან და თამაშობენ. გარს შემოხვევიან სოფლის ქალ-ვაჟნი და ესენიც იწვევენ ერთმანეთს სათამაშოდ. გაზეთებშიც იყო გამოცხადებული, რომ პრინცესა სალომე დავითის ასული მიურატისა 25 აგვისტოდან ჰმართავს იარმურკას ადგილობრივ ნაწარმთა გასასაღებლად და იწვევს ყველას. ჩვენი სტუმრობის მეორე-მესამე დღეს უნდა მომხდარიყო ფალავან ესებუას ჭიდაობა და მარულა (დოღი), რის გამოც აფხაზებსაც მოუყვანიათ ცხენები“ (იხ. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 24 თებერვალი, N 2752).

გაზეთ ,,სხივი“-ს 1905 წლის 8 დეკემბრის ნომერი, დღევანდელი დიდი ჭყონის ცენტრში გამართულ მიტინგის შესახებ უყვება მკითხველს.

1906 წლის 7 მარტის ,,ცნობის ფურცელში“ წერია, რომ სალომე დადიანი ჭყონში გამართული მიტინგის შემდგომ მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. სალხინოს საზოგადოების კანცელარიაში დაბანაკებულმა კაზაკებმა სცემეს გლეხები.

გაზეთ ,,ახალი გზა“-ს 1910 წლის N45-ში გამოქვეყნდა ანტონ ჯანაშიას წერილი, სადაც საუბარია სოფელ ნამიკოლაოში გაჩენილ ხანძარზე.

სოფელ ჟინოთაში მცხოვრები ბეჭვაიების პრობლემაზე ,,ტეხურის მეხი“ წერს: ,,სალხინოს საზოგადოების სოფელ ჟინოთაში სახლობს 18 გლეხი გვარათ ბეჭვაიები. მათ დღეს თუ ხვალ უნდა აიბარგონ, რადგან მიურატების ვექილების თარეშს ბოლო არ მოეღო. აგერ 30 წელზე მეტია რაც ერთი ადგილ-მამული გლეხების უფლებაშია და სწორედ ეს ადგილი იჯარით გადასცა ვექილმა გ. დგებუაძემ მახლობელი სოფლის გლეხებს ივანე და ეგნატე ხულორდავებს. ამან ძალზე ააღელვა გლეხები ბეჭვაიები და მიმართეს მიურატების ვექილს და სთხოვეს ვინაიდან ეს ადგილი მათი საკუთრებაა და ეს ,,უსტავნი ღრამოტა“-შიც უწერიათ, იჯარით არ გაეცათ.

გლეხთა და მიურატის ვექილს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ვექილის ბრძანებით ბოქაულმა გლეხებს გამოუცხადა, თუ ხულორდავების წინააღმდეგ რაიმე ზომა მიიღეს პასუხს აგებენო.

საჭიროა ამ საქმეს ადგილობრივმა ინტელიგენციამ და დეპუტატებმა ყურადღება მიაქციონ“ (იხ. გაზეთი ,,სიმართლის ხმა“, 1914 წლის N20).

,,ბუბა ბაჭუა“ წერს, რომ სოფელ სალხინოში არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, ახლადგახსნილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამ სოფელში კვირაში ორჯერ არის ფოსტის აპერაცია (იხ. გაზეთი ,,თანამედროვე აზრი“, 1915 წლის N185).

1917 წლის 31 აგვისტოს გამოცემულ გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა“ წერია, რომ გაანთავისუფლეს საპატიმროდან ნესტორ კოკაია, რომელსაც კონტრრევოლუციონერობაში სდებდნენ ბრალს.

გაზეთ ,,ერთობა“ წერს, რომ სალხინოში ტყეს წაეკიდა ცეცხლი და გადაიწვა აუარებელი ტყე. ამას ხალხი შორიდან უყურებდა, სანამ ძალით არ გამოიყვანა სახლებიდან მილიციის უფროსმა გ. სხულუხიამ. ცეცხლი გაჩენიდან 4 დღეში ჩაუქვრიათ (იხ. დ. ბასილაია, გაზეთი ,,ერთობა“, 1918 წლის 30 ნოემბერი, N260).

,,ამას წინათ სალხინოს რაიონის მილიციის უფროსი ბ-ნი გუდუ სხულუხია რამდენიმე მილიციონერის თანხლებით სენაკში

გაემართა ჯამაგირების მისაღებად. გზაზე ისე დამთვრალიყვნენ, რომ ერთმანეთს ვერ ცნობდნენ. სალხინოდან ერთი ვერსის მოშორებით ატეხეს სროლა. ამ სროლაში დაიჭრა სოფლის მუშა კ. გეგელია, რომელიც წევს მაზრის საავადმყოფოში“ (იხ. გაზეთი ,,ერთობა“, 1920 წლის 23 დეკემბერი, N293).

გაზეთ ,,სახალხო საქმე“-ში გამოქვეყნდა აქვსენტი ფარულავას წერილი, სადაც ავტორი ცდილობს დაასაბუთოს სენაკის მაზრიდან მარტვილის გამოყოფის აუცილებლობა (იხ. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1920 წლის 6 აპრილი, N796).

გაზეთ ,,სოციალისტური სოფლის“ 1993 წლის 12 აგვისტოს N32-ში დაიბეჭდა ფრიდონ ნაროუშვილის პოემა ,,დიდი ჭყონი“ :

მხარეში, სადაც ძევს დიდი ჭყონი
დასაბამიდან უქმი ბუნება-
იყო და ისე ვიდოდნენ დრონი,
მძლავ მანქანების აგუგუნება
და ბუნებასთან სასტიკი შებმა
არავის მანდ არ აუტეხია,-
ყოფილა ტყე და ისიც დრო და დრო
ყმების ნაჯახებს გაუჩეხია.
ადამიანი იყო სხვაგვარი
მას ეზო ქონდა გარშემო ყორე,
მანდ ნიადაგი ძარღვებ მაგარი
იყო და იყო ცხოვრება მდორე;
მანდ დიდი ჭყონი იდგა შუაგულ
ვით სიჩუმე და სევდა ზვიადი;
და მძინარ, მძინარ საუკუნეებს
ასაზრდოებდა ღამის წყვდიადი
გულგამობრული და ტანვეება
იდგა მუხა და არ ყავდა მოძმე,
მხოლოდ რამდენჯერ გრიგალს შეება
გადარჩა მხოლოდ ყოფილა მოწმე
კოშმარულ დროთა და მეფეების
დინასტიათა პირქვე დაცემის...
მანდ მიაწერა ბებერ ხეს ბრძენმა

ნიჭი ხსოვნის და გადაცემის:
,,დედის კივილი და მოთქმა დებისა
ცრემლებით ნალბობ ჩონგურით თქმულა,
მათ მწუხარება გაყიდულ ძმების
დარჩათ და მარად გულდათუთქულან,
მუხა უთუოდ იყო ჭაბუკი
როცა მიყავდათ ვაჭრებს ,,ჭკორები“,
შვილგაყიდული ბღაოდა მამა
და იხრჩობოდა ცრემლის მორევით.
აატირებდნენ ჩონგურზე ლექსებს
და იმღერებდნენ ყმა ბულბულები:
ძმებო სადა ხართ, სად დაითესეთ!
ძმებო სად ტირის თქვენი გულები!
თუ ძალადურად გახდით თათარი-
ვერ გადმოლახეთ უცხო მთანია,
ან დების ხსოვნა, ხუჭუჭა ძმებო,
თუ სამარეში ჩაგიტანიათ!
,,იქნებ გეამათ თათარის რჯული
და შეიყვარეთ მათი მხარენი,
იქნებ ამაოდ სწუხს დების გული
გაყიდულ ძმებზე მგლოვიარენი-
ასე მღეროდნონ ყმა-ბულბულები,
მათ ლოყებს აჩნდა ცრემლების ნამი
და სევდიანი სიმღერა იყო
მათი ყოფა და მათი დროჟამი.
მხარეში სადაც დევს დიდი ჭყონი
ველური დაღი აჩნდა ბუნებას...
მუქთახორების წავიდნენ დრონი
და მანქანების აგუგუნებამ
შემოიტანა ახალი ჰანგი
და ადამიანს ეცვლა ფერი;
სოფლის გოგონა-სოფლის ბულბული
შრომობს და ახალ მოტივით მღერის...
თქვენ ველურ ბუნებას ძმებო შეებით
და ცხარე ოფლით ხართ დანამული,

და როგორც წიგნი, ხშირ ტრანშეებით
გადახატულა ჩაის მამული.
ომით სურთ მძიმე ფრონტის აღება,
სადაც ჩაია ბრძოლის საგანი...
მანდ ცაგარელი ებრძვის გარღვევას
როგორც პირველი დამკვრელთაგანი.

სენაკის ბოლშევიკური მაზრა

1920 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო და სანაცვლოდ, საქართველო ნეიტრალიტეტზე დაითანხმა. ამ გზით, საქართველომ მოკავშირეების შეძენის თეორიულ შანსზეც კი უარი თქვა და ამის წყალობით, 1921 წელს იგი იოლად დაიპყო რუსეთმა, დაარღვია რა, ერთი წლით ადრე საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება.

დედაქალაქის დატოვების შემდეგ ქართული ჯარი და ეროვნული გვარდია ებრძოდა რუსულ არმიას: ხაშურთან, ოსიაურთან, სურამის ქედზე, აფხაზეთში. 4 მარტს რუსები შევიდნენ სოხუმში, 9 მარტს მტერმა დაიკავა ზუგდიდი, 8 მარტს-სენაკი, 10 მარტს ქუთაისი და სამტრედია, 14 მარტს-ფოთი.

1921 წლის ,,11 მარტს წითელი არმიის ძალებით სენაკში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა...იმავე დღეს განთავისუფლდა აბაშა, მარტვილი, სალხინო“ (იხ. ბ. დავითაია, ,,ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე“, 1976 წ. გვ. 98).

1921 წლის 21 აპრილს სალხინოში შედგა დიდი მიტინგი, რომელიც გახსნა პიმენ ჩარგაზიამ, საბოლოო სიტყვა თქვა ისიდორე გულორდავამ (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“, N10, 1921 წლის 5 მაისი).

სალხინოში, კიწიაში, კურზუსა და თამაკონში გაიმართა 1 მაისის აღსანიშნავი მიტინგი, რომელიც სალხინოში გახსნა-ალექსანდრე ჯოჯუამ, კიწიაში-თომა გადილიამ. კურზუში მიტინგს ხელმძღვანელობდა სენაკის მაზრის სამხედრო კომისარი პანტი ნაჭყებია, მოხსენება გააკეთა-პიმენ ჩარგაზიამ. თამაკონში

მიტინგის თავმჯდომარედ აირჩიეს ბეგლარ ნაროუშვილი, მდივნად-ივანე ჯანაშია, მოხსენება გააკეთა ს. ხვიჩიამ (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“, N13, 1921 წლის 15 მაისი).

სოფელ ლედგებიეში (კიწიის თემი) 1921 წლის 8 მაისს გამართულა N5 კომიაჩეიკის (კომუჯრედის) საერთო კრება, რომლის თავმჯდომარედ აურჩევიათ ერასტო ფირცხალავა, მდივნად-იაკიმე ჩაგუნავა, კომიაჩეიკის ხელმძღვანელად ალექსანდრე ხარბედია (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N17, 1921 წლის 29 მაისი).

1921 წლის 13 მაისს სალხინოს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში შედგა ქალების კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს ქეთევან გეგელია, მდივნად ეფროსიმე თოდუა.

,,1922 წლის 4 ივნისს სალხინოს შრომის ერთიანი სკოლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა დამშეულთა სასარგებლოდ. წარმოდგენის დაწყებამდე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამგე ათანასე კოკაია.

დაბა სალხინოში 13 მაისიდან არის შემდგარი დამშეულთა დამხმარე რაიონული კომიტეტი, რომლის განკარგულებაში არის დრამატული დასი. თავისი არსებობის ხანაში შესძლო კომიტეტმა წარმოდგენების საშუალებით დამშეულთა სასარგებლოდ მოეგროვებინა ორი მილიონი მანეთი, რომელიც გაეგზავნა დამშეულთა სამაზრო კომიტეტს.

კომიტეტი პირველ რიგში მადლობას უცხადებს დრამატულ დასს ამხ. ჟენია გადილიას, ნანა ფიჩხაიას და ამბაკო წულაიას, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებს რომლებიც გვეხმარებიან საქმის მოგვარებაში (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1922 წლის 17 ივნისი, N135).

სენაკის მაზრის დღევანდელი რევკომი შედგა 2 აპრილს, 5 პირისაგან. 5 აპრილს მოიწვიეს თემის რევკომების კონფერენცია (იხ. ს. მამულია, გაზეთი ,,კომუნისტი“, 1921 წლის 11 დეკემბერი). სენაკის მაზრის რევკომის თავჯდომარედ 1921 წლის აპრილში დანიშნულ იქნა ს. მამულია (იხ. გ. საითიძე, ,,სამსონ მამულია“, თბ. 1968 წ. გვ. 49).

,,სენაკის მაზრა დაყოფილია 7 რაიონად: აბაშა, ბანძა, მარტვილი, სალხინო, ნოქალაქევი, ძველი სენაკი და ახალი სენაკი. შვი-

დივე რაიონში და თემებში არის აღდგენილი და დაფუძნებული 163 კომუნისტური უჯრედი, ხოლო ქალაქ ახალ-სენაკში არსებობს ცხრა. სულ ახალ-სენაკში და მაზრაში ითვლება 172 კომუნისტური უჯრედი, რომელშიც ირიცხება 927 წევრი და 1101 კანდიდატი, სულ 2028 წევრი და კანდიდატი.

მაზრაში არის დაარსებული 36 თემკომი. რაიონში რომელიც შედგება 6-12 თემისაგან, არის 35-60 კომუჯრედი. ახალ-სენაკის, ძველი-სენაკის და აბაშის რაიონებში ქალთა შორის სამუშაოდ დანიშნულები არიან ქალები, დანარჩენ რაიონებში კაცები. მაზრის აგრონომიულ ქვეგანყოფილებას აქვს სამი პუნქტი: ლეხაინდრავოსა, სალხინოსა და მარტვილში.

რევკომის ახალი შემადგენლობა არის არჩეული წარსული წლის 1 აპრილს. მაზრა დაყოფილია 7 საარჩევნო რაიონად" (იხ. გაზეთი კომუნისტი, 1922 წლის 10 თებერვალი N32, საუბარი სენაკის მაზრის პასუხიმგებელ მდივან მაკარ ბედიასთან).

1921 წლის 28 დეკემბერს გაიმართა ახალ-სენაკის რაიონის პარტიული კონფერენცია. დაესწრო 25 დელეგატი.

ვინაიდან ახალ-სენაკის რაიონში რაიკომი არ არსებობდა და პარტიულ მუშაობას ხელმძღვანელობდა სამაზრო პარტკომი, მოხსენება გააკეთა სამაზრო პარტკომის წარმომადგენელმა პეტრე ნადარეიშვილმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა მამულიამ აღიარა, რომ სენაკის მაზრაში მცხოვრები 2000 კომუნისტი 9 თვის განმავლობაში ერთხელაც არ შეკრებილა. დეკემბრამდე ერთხელაც არ ჩატარებულა სამაზრო კონფერენცია, რომელიც მაზრის ხელმძღვანელ ორგანოებს აირჩევდა. სამაზრო პარტკომი კი ზემოდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მიერ იყო დანიშნული (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი", 1922 წლის 15 იანვარი).

ტყუილში ამხელს კომუნისტ მამულიას, გაზეთი ,,კომუნისტი" -18 ივლისს გაიმართა სამაზრო კონფერენცია რომელსაც დაესწრო 7 რაიონის, 47 ,,იაჩეიკის" (უჯრედის) წარმომადგენელი (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი", 1921 წლის 26 ივლისი, N118).

ბანძასა და ძველ სენაკში 1922 წლის თებერვალში გაუქმდა რაიკომები. ერთ თვეში, ყველა სხვა რაიკომში შტატების შემცირების

ხარჯზე ისევ აღდგა (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 14, ფურცლები 190 და 201).

სალხინოს რაიონის მართვის ორგანოები დაბინავდნენ დადიანების სასახლეში. რაიონი შედგებოდა 4 თემისგან : თამაკონის თემში არსებობდა -6 იაჩეიკი, კიწიის თემში- 5 იაჩეიკი, კურზუს თემში -7 იაჩეიკი, სალხინოს თემში- 6 იაჩეიკი (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1921 წლის 9 ივლისი, N104). სალხინოს რევკომის I თავმჯდომარე იყო კოწია ცაავა (იხ. გაზეთი ,,შრომის დროშა“ 1972 წლის 13 იანვარი, N5).

უცნობია როდის დაყვეს სენაკის მაზრა რაიონებად. რამდენი პარტიული უჯრედისგან შედგებოდა სალხინოს რაიონი. გაზეთ ,,კომუნისტ“-ში გამოქვეყნებული წერილებიდან ვიგებთ: ,,29 ივლისიდან 15 აგვისტომდე რაიონული პარტიული კომიტეტის ინიციატივით მთელს სალხინოს რაიონში მოხდა ჩანასახების რეორგანიზაცია. გაიწმინდა ყველა ჩანასახი არაკეთილსაიმედო ელემენტებისგან. მთელს რაიონში არსებობს 22 მტკიცე ჩანასახი წევრების და კანდიდატების საკმაო რიცხვით (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“ 1921 წლის 4 სექტემბერი, N152).

23 აგვისტოს შედგა სალხინოს რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელიც გახსნა რაიკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ჩარგაზიამ. კონფერენცია აირჩია რაიკომი შემდეგი შემადგენლობით: პიმენ ჩარგაზია, ისიდორე გულორდავა, ალექსანდრე ჯოჯუა, ილია ცაავა, თომა გადილია, გერასიმე ხვიჩია და აქვსენტი ბერულავა (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“, N45, 1921 წლის 4 სექტემბერი).

აგვისტოში სალხინოს რაიონში მცხოვრებ ბოლშევიკებს რაიკომი კი აურჩევიათ მაგრამ თბილისში ნოემბერშიც არ ცოდნიათ, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში რაიონების არსებობა (იხ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჟურნალი ,,მოამბე“, 1921 წლის 26 ნოემბერი, N21).

1924 წელს მარტვილის რაიონში ცხოვრობდა 17 160 სული, რაიონის ტერიტორია შეადგენდა 131 კვადრატულ კილომეტრს. ბანძას რაიონში ცხოვრობდა 16 735 სული, ტერიტორია შეადგენდა 148 კვ. კილომეტრს. სალხინოს რაიონში ცხოვრობდა 14 686

სული, ტერიტორია შეადგენდა 584 კვ.კ. (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, ანაწერი I, საქმე 145, ცნობები საქ. სსრ ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ).

სალხინოს რაიონი არ იყო ერთი მთლიანი გეოგრაფიული და ეკონომიკური ერთეული. რაიონში ვერ მოეწყო, ვერ მოქმედებდა ხალხისთვის სასურველი ხელისუფლების ორგანო. რაც უფრო დაშორებულია ხელისუფლების ორგანო მცხოვრებთაგან, მით უფრო მეტი ზიანი მოაქვს, მით უფრო დიდია ბიუროკრატიზმი, მით უფრო ყრუ ხდება მცხოვრებთა გამოძახილის მოსასმენად. რაიონი უნდა იყოს აგებული გეოგრაფიული და ეკონომიკური საფუძვლების მიხედვით.

სოფელ სალხინოსთან დამაკავშირებელი გზების შესახებ გოგილო ბასილაია წერს: ,,გზა სოფლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების სარკეა. სალხინოს გამვლელი გზა არასოდეს ჰქონია. აქ გზები მხოლოდ შემოდიან და გასვლაც იმავე გზით ხდება...სალხინო საავტომობილი გზით დაკავშირებულია ნობულევსა და ბალდასთან“ (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16).

გეოგრაფიული მდებარეობის გამო სალხინო, ვერც რაიონის ცენტრად შედგა და ვერც ბალდა-ნობულევის თემის. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფების შედეგად სალხინოს თემიდან: დიდი ჭყონს გადაეცა-ეწერი, გაჭედილს-ბალდა, ტალერს-ნობულევი. სალხინოდან-მეურნეობაში გადაიტანეს მეტეროლოგიური სადგური.

დიდი ჭყონის რაიონი

დადიანების სასახლეში დაბინავებული რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია რაიონის მოსახლეობისთვის. 1924 წლის 23 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის სალხინოს რაიონის VI პარტკონფერენცია, რომელსაც დაესწრო პარტიის 60 წევრი და სამაზრო პარტკომის წარმომადგენელი ისიდორე გულორდავა. მოსმენილ იქნა მოხსენება ისიდორე გულორდავასი და გამოტანილ იქნა შესაბამისი რეზოლუცია.

რაიკომის წევრების და სამაზრო პარტკონფერენციის წევრების არჩევის შემდეგ, კონფერენციამ იმსჯელა სალხინოს რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ და ერთხმად დაადგინა: დაუყონებლივ გადატანილ იქნას სარაიონო ცენტრი სოფელ ჟინოთაში. დაევალა რაიკომს და რაიაღმასკომს აიღონ თავიანთ ხელში ინიციატივა შენობების გადატანის და აშენებისა. ამასთანავე ეთხოვა სამაზრო პარტკომს და სამაზრო აღმასკომს ამ გადაწყვეტილების დამტკიცება (იხ. პიმენ ჩარგაზია, გაზეთი ,,კომუნისტი“, 1924 წლის 8 მაისი, N103, გვ. 2).

სენაკის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა 1924 წლის 4 მაისს დაამტკიცა სალხინოს რაიპარტკონფერენციის დადგენილება. რაიონული ცენტრის სოფელ ჟინოთაში გადატანის სისრულეში მოყვანა დაევალა სალხინოს რაიაღმასკომს (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 3, ფურც. 14).

სენაკის სამაზრო აღმასკომმა N158 ტელეგრამით შეატყობინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: ,,სალხინოს რაიონული ცენტრის გადატანა ხდება ჟინოთაში (სალხინოს თემშია) საპატიო მიზეზების გამო, თანახმად სალხინოს რაიონული კონფერენციის და სალხინოს რაიაღმასკომის დადგენილებისა, რომელიც დადასტურებულია სამაზრო აღმასკომის მიერ (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 5, ფურც. 119).

სამაზრო აღმასკომის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ითხოვდა რაიონის მოსახლეობა: ,,სენაკი. ამხ. ათ. კოკაიას! თქვენი წერილი ,,სალხინო“ თუ ,,დიდი ჭყონი“ მეტად დიდია, თუმცა ადგილობრივი თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და საკმაოდ დასაბუთებული. უადგილობის გამო და აგრეთვე მოსალოდნელი კამათის თავიდან აცილების მიზნით, არ წავა. ჩვენ ვუცდით ამ საკითხზე სამაზრო აღმასკომის დასკვნას;

სალხინო. ამხ. ,,დიდი ჭყონელს“ თქვენი კორესპოდენციაც ეხება იმავე საკითხს. ისიც გაჭიანურებულია. ვერ დავბეჭდავთ (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“ 1924 წლის 24 ივნისი N142).

1924 წლის 11 დეკემბერს გაიმართა სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ პრეზიდიუმის წევრები: მ. ბედია, ვ. ნოდია, ი. ხუხუა, კ. მელიქიძე და ათ. კოკაია.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა დიდი ჭყონის რაიკომის N2 პლენუმის სხდომის ოქმი: გაუქმდა გოდოგანისა და ოჩეს ჩანასახები წევრთა სიმცირის გამო. გოდოგანის ჩანასახი შეუერთდა კურზუს ჩანასახს, ოჩესი-ჟინოთას ჩანასახს. ამავე სხდომაზე დამტკიცდა დიდი ჭყონის რაიკომის გადაწყვეტილება: სიმთვრალისა და უმიზნოდ თოფის სროლის გამო საყვედური გამოეცხადა პარტიის წევრებს და კანდიდატებს: ვასილ ფონიავას, სიმონ ჩაკვეტაძეს, აქვსენტი ბერულავას, ფილიპე გაგუას, ერასტი ფირცხალავას, რომანოზ კეშელავას, ძაკი სხულუხიას, იაკობ ნაჭყებიას, ესტატე უჩავას და ანდრი ჩაგუნავას (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 44, ფურცელი 9).

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1925 წლის 3 იანვარს განიხილა და დაამტკიცა დიდი ჭყონის რაიკომის მიმართვა სალხინოს უბნის სახალხო მოსამართლედ ბიქტორ ცაავას დატოვებაზე. ამავე დღეს პრეზიდიუმმა შვებულებაში გაუშვა დიდი ჭყონის რაიონის პასუხისმგებელი მდივანი პიმენ ჩარგაზია (იხ. პარტიის ისტორიის არქივი ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 70, ფურცლები 1 და 7).

1925 წლის 3 მარტს პირადი განცხადების საფუძველზე რაიონის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა დატოვა პიმენ ჩარგაზიამ. რაიონის პოლიციის უფროსობიდან მოხსნეს ლაშხია და მის ადგილას დანიშნეს ბეგლარ ჩაგუნავა.

1925 წლის 22 ივლისს სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა პლენუმის დამთავრების შემდგომ 2 თვით შვებულებაში წასვლის ნება დართო დიდი ჭყონის რაიკომის პასუხისმგებელ მდივანს, ნიკო შამათავას (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 70, ფურცელი 91).

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1925 წლის 11 სექტემბერს არ დააკმაყოფილა დიდი ჭყონის თემის საბჭოს დადგენილება პიმენ ჩარგაზიას აღმასკომის თავმჯომარედ მოთხოვნის შესახებ. უარის მიზეზი გახდა პიმენის განცხადება. ამავე დღეს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა დიდი ჭყონის რაიკომის თხოვნა

და კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღო: არსენა ნადარაია, მიხეილ კორთხონჯია, პლატონ გადილია, გერასიმე ცაავა... კანდიდატად მიიღეს ლუკა გულორდავა (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 70, ფურცელი 104).

1925 წლის 16 სექტემბერს სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა დიდი ჭყონის (ყოფილი სალხინოს) რაიონის მდგომარეობის გამომრკვევი კომისიის თავ მჯდომარე არჩილ გიორგაძის მოხსენება და დაადგინა: 1) დაევალოს სამაზრო აღმასკომის ფრაქციას შესცვალოს წესი სივრცის გამორკვევისა, რათა გლეხობაში არ ექნეს ადგილი უკმაყოფილებას; 2) ყოფილი პრინც მიურატის სასახლის შენობები დაცულ იქნეს დანგრევისგან, სამეურნეო იარაღები იქნეს გამოყენებული ადგილობრივად რაც შეიძლება. დანარჩენებს რეალიზაცია ეყოს; 3) ვინაიდან დიდი ჭყონის თემი დამტკიცებულია სარაიონო ცენტრად. ყოფილი სალხინოს რაიონში შემავალ თემებისთვის სარაიონო ხასიათის დაწესებულებები იქნეს მოთავსებულ აღნიშნულ ცენტრში; 4) ამხ. ნიკო შამათავა მოიხსნას კიწიის თემიდან და დაინიშნოს დიდი ჭყონის თემკომის მდივნად. კიწიის თემში თემკომის მდივნად დაინიშნოს ამხ. კოწია ცაავა (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 70, ფურცელი 113).

როგორც ირკვევა, მოსახლეობა არ დალოდებია სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას: დიდი ჭყონში 1924 წელს გახსნილა სალხინოს რაიონის ბაზარი, სალხინოდან დიდი ჭყონში გადმოუტანიათ რაიონის კოოპერაცია (იხ. გაზეთი ,,მუშა“, 1924 წლის 24 ივნისი, N142).

1925 წლის 1 თებერვალს გაზეთ ,,კომუნისტში“ პიმენ ჩარგაზიას დაბეჭდილი წერილიდან ირკვევა, რომ სალხინოს რაიონის ცენტრი დიდი ჭყონში ყოფილა განთავსებული: ,,ავიღოთ სალხინოს რაიონი, ეს რაიკომი აერთიანებს 5 თემს და 12 უჯრედს. რაიონის ცენტრიდან კიწიის თემი დაშორებულია 12 ვერსით, კურზუს თემი 12 ვერსით, თამაკონის 7-ით, სალხინოს თემი 3-ით“.

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1925 წლის 20 ნოემბერს განიხილა სალხინოდან საავადმყოფოს და ფოსტა-ტელეგრაფის დიდი ჭყონში გადატანის საკითხი. საკითხი გადაეგზავნა

სამაზრო აღმასკომს (იხ. პ. ი. არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 70, ფურცელი 113).

1927 წლის 3 ივნისს გამართულმა სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა აკაკი მიქეს ძე ფოცხორაიას დაუბრუნა დიდი ჭყონის კომკავშირის რაიკომის წევრების: ბეჭვაიას და ღურჭუმელიას მიერ ჩამორთმეული იარაღი (იხ. პ. ი. არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 98, ფურცელი 211).

დიდი ჭყონში რაიონის ცენტრის გადმოტანის შემდეგ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება: 1927 წლის 28 აგვისტოს გაიხსნა ნაფოსტარის ხიდი, რომლის აგება ითავა სამაზრო აღმასკომმა; მას დახმარება გაუწია მოსახლეობამ, რომელმაც თავის მხრივ გაიღო 6. 000 მანეთი, საიდანაც 3 ათასი მარტო დიდი ჭყონის თემმა გაიღო. ხიდის აგება დაჯდა 19 ათასი მანეთი. პროექტი შეადგინა ინჟინერმა ბიჭაშვილმა, სამუშაოებს ხემძღვანელობდა ტექნიკოსი გ. ცომაია. ასეთი კონსტრუქციის ხიდი პირველად აიგო ამიერკავკასიაში. ხიდი აიგო 6 თვეში (იხ. ,,კომუნისტი", 1927 წლის 28 აგვისტო, N195).

1927 წელს დიდი ჭყონის რაიონში მუშაობდა ნაფოსტარისა და სალხინოს სახერხი ქარხნები, სალხინოს მამული. სენაკის მაზრაში იმ დროს არსებობდა 4 კურორტი, საიდანაც სამი: ლეზარდე, ჩეგოლა და კემლარ-კესარი მდებარეობდა დიდი ჭყონის რაიონში. 1928 წლის იანვარში სენაკის სამაზრო კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია სალხინოში გრეხილ-ავეჯეულის ქარხნის გახსნა.

სახელმწიფო-სავალდებულო დაზღვევის გასატარებლად სენაკის მაზრა 1927 წლის აგვისტოში დაყოფილ იქნა 4 სააგენტოდ: ახალი სენაკის, ახალი აბაშის, ბანძის და დიდი ჭყონის (იხ. პ. ი. არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 99, ფურცელი 56).

1928 წლის 30 მარტს, სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა დიდი ჭყონის თემკომის სხდომის ოქმი N15 და დაამტკიცა: ა) დიდი ჭყონის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარედ პ. გაგუა. საბჭოს თავმჯდომარედ აქვსენტი ბერულავა ბ) დიდი ჭყონის თემაღმასკომის თავმჯდომარედ დიმიტრი კილასონია. გლეხკომის თავმჯდომარედ პარმენ მარკოზია გ) დამტკიცდა თემკომის დადგენილება თედორე ჯოჯუას კურზუს

სახერხი ქარხნის გამგედ გადაყვანის და ნაფოსტარის ქარხნის გამგედ ბ. უბირიას წამოყენების შესახებ (იხ. პ. ი. ა. ფ. 31, ან. 1, საქმე 118).

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდუმმა 1928 წლის 5 ივლისს დიდი ჭყონის რაიმილიციის უფროსად წამოაყენა ლომიას კანდიდატურა. (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფოდი 31, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი 2).

1929 წლის 8 თებერვალს სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: მაზრაში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით ახალი სანერგეები მოეწყოს აბაშის და დიდი ჭყონის რაიონებში (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფ. 31, ან. 1, საქმე 144, ფურცელი 80).

1929 წლის 1-10 ივლისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობა, რომელაც როგორც დელეგატი ესწრე-ბოდა დიდი ჭყონის რაიკომის მდივანი ბეგლარ ჩაგუნავა (იხ. პ. ი. ა. ფონდი 31, ან. 1, საქმე 116).

სენაკის მაზრაში 1927-1930 წლებში არსებობდა 4 რაიონი: სენაკის, აბაშის, ბანძის და დიდი ჭყონის. ამ პერიოდში მარტვილის თემი შედიოდა ბანძის რაიონში (იხ. შ. ს. ს. პოლიციის აკადემიის არქივი, ყოფილი პარტიის ისტორიის არქივი, ფ. 31, ანაწერი 1, საქმე 144, ფ.194).

დიდი ჭყონის რაიონში შედიოდა 6 თემი: გაჭედილი, სალხინო, კურზუ, დიდი ჭყონი, კიწია და თამაკონი. რაიონში ცხოვრობდა 18 130 სული.

1928 წლის 1 მაისს გაიხსნა აბაშის ჰიდროელექტროსადგური. ამავე წლის შემოდგომიდან კიწიელებმა გუგერის მასივზე დაიწყეს ჩაის პლანტაციისთვის ნიადაგის დამუშავება.

გოგილო ბასილაია წერს: ,,1926-1927 წლებში ხე-ტყის ბაზაზე, წაჩხურუს ენერგიის გამოყენებით ამუშავდა ხის სახერხი ქარხანა, რომელსაც მიენიჭა საშა გეგეჭკორის სახელი. მალე იგი გადაკეთდა გრეხილ-ავეჯის ფაბრიკად. მისი ძირითადი ამოცანა იყო სახელმწიფო დაწესებულებების, განსაკუთრებით სკოლების მომარაგება ავეჯით. ამზადებდა მერხებს, მაგიდებს, კარადებს, სკამებს, საკლასო დაფებს. ღებულობდა დაკვეთებს სხვადასხვა სახის ავეჯზე (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 172).

დარაიონებამდე დიდი და გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა თუ რომელ სოფელში უნდა ყოფილიყო რაიონის ცენტრი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ: დიდი ჭყონი და სალხინო. სალიპარტიანოს რაიონის ერთიანობა დაარღვიეს კიწიელებმა (სენაკის მაზრაში 1927 წელს არსებობდა კიწიას რაიონი).

1929 წლის 14 აგვისტოს საქ. კ. პ. ბ სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოყო კომისია ალ. კაჭარავას, პ. ჩარგაზიას, კ. ცაავას შემადგენლობით. კომისიას დაევალა გარაიონებასთან დაკავშირებით დიდი ჭყონი-სალხინოს მოსახლეობის ურთიერთ-შორის დამოკიდებულების შესახებ საქმის სათანადოდ შესწავლა, მათ შორის კინკლაობის მოსპობა და მეზობლური დამოკიდებულების აღდგენა (იხ. პარტიის არქივი, ფ. 31, აღ. 1, საქმე 145, ფურც. 31-32).

პარტიის ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტებით დგინდება, რომ სენაკის მაზრის 3 რაიონად დაყოფა გადაწყვიტა თბილისმა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების სისწორეში მოსახლეობის დარწმუნება ვერ გაბედა მაზრის უუნარო ხელმძღვანელობამ, ან კიდევ;

რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ვერ გაუბედეს, რომ მარტვილის სასოფლო საბჭო და დიდი ჭყონის რაიკომი ხის ბარაკებში ბინადრობდა, რომ დადიანების სასახლეში რაიონის მომავალი ხელმძღვანელობა უფრო კომფორტულად დაბინავდებოდა.

სენაკის სამაზრო კოტეტის პრეზიდიუმმა 1929 წლის 2 აგვისტოს დაადგინა: ვინაიდან მაზრის 3 რაიონად დაყოფა ვერ უახლოვებს მასებს ხელისუფლებას, რისთვისაც აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს მაზრის 6 რაიონად დაყოფა. 1929 წლის 9 აგვისტოს მიღებულ იქნა მაზრის 40 სოფლის საბჭოდ და 5 რაიონად დაყოფის გადაწყვეტილება. 1930 წლის 2 იანვარს დაამტკიცეს წარმოდგენილი პროექტი მაზრის 10 რაიონად დაყოფაზე (იხ. პარტიის ისტორის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 145, ფურცლები: 18 და 22, საქმე 201, ფურცელი 1).

მომხსენებელმა სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 1930 წლის 24 თებერვალს განაცხადა: დიდი ჭყონის თემი გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს თავისი მდებარეობით სენაკის მაზრის მთა-გორიან ნაწილში, ამავე დროს ის ეკონომიკური ცენტრიცაა და გასაღები მდინარე ტეხურის ხეობათა და აგარაკ

ლებარდესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ჭყონის ეკონომიკური ცენტრის უპირატესოანი სავსებით უზრუნველყოფილია სათანადო მაჩვენებლებით, როგორიცაა: აფთიაქი, სკოლები, ტელეგრაფი, აბრეშუმის ფარდული, ჩაის საბჭოთა მამული, სადაც განუწყვეტლივ მუშაობს 300-500 მუშა. სისტემატურად კვირაში ერთხელ და წლიურად 2 კვირიანი ბაზრობა იმართება (იხ. პ. ი. ა. ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 201, ფურ. 61).

1924-1930 წლებში ჩუმად მყოფი სალხინოელების დაგვიანებული ,,გამოღვიძება", კიწიელების ჩივილი- დიდი ჭყონის რაიონის გაუქმებით დასრულდა. რაიონის ცენტრს- დადიანების სასახლე, კიწიას თემი, კიდევ უფრო დაშორდა.

მოგვიანებით სალხინოში გააუქმეს მევენახეობის მეურნეობა, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გადაიტანეს მეტეროლოგი სადგური. კიწიას თემს გამოეყო დოშაყე. დიდი ჭყონმა შეინარჩუნა კოოპერაცია, საკოლმეურნეო ბაზარი.

კომუნისტებმა მონგირიე-წკირიგოლას მთათა ფერდობი: დიდი ჭყონის მეურნეობა (მამული) აქციეს ახლადშექმნილი მარტვილის რაიონის ეკონომიკურ ცენტრად. ახალ ეკონომიკურ ცენტრში მარტვილის, სალხინოს, დიდი ჭყონის გავლით მიჰქონდათ: ბანძაში, ხუნწში მოკრეფილი ჩაი, მიჰყავდათ კოლმეურნეები, მასწავლებლები და მოსწავლეები ჩაის საკრეფად.

მარტვილის რაიონში

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 30 ივლისის N230 დადგენილებით: ყველგან გაუქმდა ოლქები და მაზრები. 15 აგვისტოს ლიკვიდირებულ იქნა სენაკის მაზრა. პიმენ ჩარგაზიას, მონიავას და კ. ცაავას შემადგენლობით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია. დიდი ჭყონის და ბანძის რაიონების გაერთიანებით მივიღეთ მარტვილის რაიონი.

1929 წლის 14 ოქტომბერს დამტკიცდა მარტვილის, აბაშის და სენაკის რაიკომების შტატი. მარტვილში რაიკომის I მდივნად დაინიშნა (სალხინოელი) ბიქტორ ცაავა. (იხ პარტიის ისტორიის არ-

ქივი, ფონდი 3, ან. 1, საქმე 145, ფურც. 206). სენაკის რაიკომის I მდივნად დაინიშნა დიდი ჭყონელი ლაზარე კოკაია. აბაშის რაიკომის I მდივნად დაინიშნა ალექსანდრე ჯოჯუა ტალერიდან.

მარტვილის რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა 1929 წლის 17 ოქტომბერს დაადგინა: ვინაიდან მარტვილის რაიაღმასკომს ბინა არა აქვს, ის დაბინავდეს ვეტპუნქტის შენობაში (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 1, ანაწ. 1, საქმე 1 ფურც. 3).

პარტიის ისტორიის არქივში ინახება საბუთი რომელშიც წერია: მარტვილის რაიონი იურიდიულად მუშაობს 1930 წლის 15 აგვისტოდან. ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციის შემდეგ. ხოლო ფაქტიურად 1929 წლის 1 ოქტომბრიდან. ტერიტორია შეადგენს 879 კვ. კილომეტრს; მოსახლეობა- 48 113 სული, საიდანაც ქართველი იყო 47020 სული, ებრაელი-1050 სული, დანარჩენი ეროვნება- 43 სული. (იხ. პ. ი. ა. ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 207).

სენაკის მაზრაში 1929 წელს ჩატარებული მრეწველობის აღწერის მიხედვით დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სამჭედლო-71, სადურგლო-53, ტანსაცმლის სამკერვალო-61, ფეხსაცმლის-100, წისქვილი- 224, აგურ-კრამიტის ქარხანა-44.

1925 და 1930 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარების თანახმად, დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა 13 თემი: ბანძის, ლეხაინდრაოს, ჯოლო-აბედათის, მარტვილის, გაჭედილის, ხუნწის, ნახუნოვოს, სალხინოს, თამაკონის, კიწიის, კურზუს, დიდი ჭყონის და ნაგვაზაოსი.

ინჩხურის საბჭო დაარსდა 1932 წელს. ამ საბჭოში შევიდა სოფლები: ინჩხური, საელიავო, კვაითი და ნალეფსუ. 1934 წელს ლეხაინდრაოს საბჭოდან გამოიყო სოფლები: ლეხაინდრაო და ნოჯიხევი. ძველი საბჭოს ცენტრი დატოვეს ნაგებერავოში და ეწოდა ნაგებერავოს საბჭო.

1935 წელს შეიქმნა ტალერის და სერგიეთის საბჭოები. ხუთ სოფლის საბჭოს დაერქვა ნახუნავოს საბჭო. კიწიას საბჭოს გამოეყო-გურძემი I, თამაკონის საბჭოს-გურძემი II და შეიქმნა გურძემის საბჭო ცენტრით ნაქიაჩში.

კიწიის საბჭოს 1937 წელს გამოეყო სოფლები: დოშაყე და კიწია I. შეიქმნა დოშაყეს საბჭო. ამავე წელს შეიქმნა ჯოლევის საბჭო.

1954 წელს გაერთიანდა მუხურჩა და ვედიდკარი, ჯოლევი და აბედათი, გურძემი და თამაკონი, ნოღა და კიწია. 1957 წელს შეიქმნა გურძემის თემი. 1964 წელს გაუქმდა ტალერის საბჭო. 1966 წელს დიდი ჭყონის საბჭოს გამოეყო ტალერის საბჭო.

მარტვილის რაიონს, საბჭოს და სოფელს 1936 წელს შეეცვალა სახელი. ამავე წელს ლიკვიდირებულ იქნა სალხინოს და ონოღიის მეურნეობები.

1956 წელს სოფელ გეგეჭკორს მიენიჭა დაბის სტატუსი, 1982 წელს-ქალაქის. 1963-1966 წლებში გეგეჭკორის რაიონს მიერთებული იყო აბაშის რაიონი. დაბა გეგეჭკორში მდებარე რაიკომს და რაიაღმასკომს დაექვემდებარა აბაშის საქალაქო საბჭო. გაერთიანებული რაიონის ეკონომიკური ცენტრი იყო დიდი ჭყონის მუშათა დასახლება.

1933 წელს დიდი ჭყონში ამუშავდა რაიონში პირველი ჩაის ფაბრიკა, 1936 წელს- დიდი ჭყონის N2 ჩაის ფაბრიკა.

დიდი ჭყონში 1934 წელს გაიხსნა ზემო ზონაში პირველი საშუალო სკოლა.

XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა და გაუქმნდა: მახათის მეღორეობის მეურნეობა, მარსელის თუთის საბჭოთა მეურნეობა, სალხინოს ხის სახერხი ქარხანა.

გოგილო ბასილაია წერს: 1934 წელს ლესხულუხეს უბანში მუშაობა დაიწყო ხის უდიდესმა სახერხმა ქარხანამ, რომლის სიმძლავრის თანაფარდი სახერხი იმ დროის დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა. მისი ძირითადი მოვალეობა იყო რკინიგზისთვის შპალების მიწოდება“ (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 172).

გეგეჭკორის რაიონში 1939 წელს იყო-62 კოლმეურნეობა, 9 ფერმა. არსებობდა ერთი სარაიონო და 2 სასოფლო ბიბლიოთეკა, 14 სასოფლო კლუბი, 10 სასოფლო სამკითხველო, 3 საბავშვო ბაღი, 7 საკოლმეურნეო ბაღი;

რაიონში ფუნქციონირებდა 4 საავადმყოფო, არსებობდა 16 საექიმო პუნქტი და 8 საფერშლო პუნქტი; მუშაობდა 26 ექიმი და 63 ექიმის თანაშემწე;

ფუნქციონირებდა 23 დაწყებითი, 37 არასრული-საშუალო, 9 საშუალო, 5 მოზრდილთა საშუალო სკოლა; მუშაობდა 489 მასწავლებელი, საიდანაც 72 იყო უმაღლესი განათლებით (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1939 წლის 27 ნოემბერი, N58).

,,1955 წლამდე დაბა გეგეჭკორში (სოფელ გეგეჭკორში) სამრეწველო ხასიათის არცერთი საწარმო არ იყო. 1961 წელს აშენდა საკონსერვო ქარხანა; 1960-62 წლებში მოხდა აგურის ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქცია. 1962 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ლურსმნის ავტომატიზირებული ქარხანა, რომელმაც გამოუშვა 4 სხვადასხვა ზომის ლურსმანი. ექსპლუატაციაში შევიდა მავთულბადის საამქრო (იხ. ევგენი ბართაია, ,,ადამიანები და საქმეები“, თბ. 1963 წ. გვ. 17).

გეგეჭკორის ღვინის ქარხანა 1956 წელს აიგო. ის მუშაობდა საკუთარ ნედლეულზე. 1961 წელს ამუშავდა საკონსერვო ქარხანა.

მარტვილსა და ბანძაში ჩაის ფაბრიკების აშენებამდე ხუნწში, ონოღიაში მოკრეფილი ჩაი, დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის გავლით მიჰქონდათ N2 ჩაის ფაბრიკაში. ამავე ფაბრიკაში მიჰქონდათ: ლედგებეში, გურძემში მოკრეფილი ჩაი.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა 1957 წლის 1 ივლისს. მას ჰქონდა 4 განყოფილება: ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოლოგია-მინერალოგიის და საბჭოთა სოფლის სოციალისტური ცხოვრებისა.

1936-1951 წლებში მარტვილის რაიონი იყოფობოდა 4 საარჩევნო ოლქად: ბანძა, მარტვილი, დიდი ჭყონის მეურნეობა და თამაკონი.

დიდი ჭყონის მეურნეობის ოლქში გააერთიანეს: გაჭედილი, სალხინო, კურზუ, ტალერი, დოშაყე და მეურნეობა. ამ წლებში დიდი ჭყონის საბჭო, მეურნეობის გამოკლებით-თამაკონის ოლქში შედიოდა.

1963-1990 წლებში ერთ, დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქში იყო გაერთიანებული: სალხინოს, ტალერის, კურზუს, დოშაყეს და დიდი ჭყონის საბჭოები. თამაკონის ოლქში შედიოდა: კიწიის, გურძემის, თამაკონის, გაჭედილის, ინჩხურის და ნახუნაოს საბჭოები.

გეგეჭკორის რაიონს, გეგეჭკორის საქალაქო საბჭოს და ქალაქ გეგეჭკორს 1990 წელს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება მარტვილი.

დიდი ჭყონის საბჭო

ბოლშევიკური ლეგენდაა-1921 წელს შეიქმნა დიდი ჭყონის საბჭო. მრავალუცნობიანი განტოლებაა დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს შექმნის ისტორია.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით დიდი ჭყონის თემში ცხოვრობდა 1467 სული. იგი შედგებოდა 3 სოფლისგან, საიდანაც სოფელ ოჩეში ცხოვრობდა 740 სული, ჟინოთა დიდში-416 სული, ჟინოთა პატარაში-311 სული.

ამავე აღწერით, კიწიის საბჭოში შემავალ სოფელ ლედგებიეში ცხოვრობდა 742 სული. თამაკონის საბჭოში შემავალ სოფელ ნამიკოლავოში-2148 სული.

მარტვილის ზედა ზონის მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაახლოებისა და მათი უკეთ მომსახურების მიზნით 1924 წელს დიდი ჭყონში გადმოიტანეს რაიონის ცენტრი. სალხინოს საბჭოს გამოეყო სოფლები: ოჩე, ეწერი, ჟინოთა და შეიქმნა დიდი ჭყონის საბჭო. 1923 წლის აღწერის მონაცემები გამოქვეყნებულია მოგვიანებით. პატარა ჟინოთა არასდროს ყოფილა დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს შემადგენელი ნაწილი.

საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში დაცული ჩანაწერების თანახმად: დიდი ჭყონის საბჭო 1924 წლის შემოდგომაზე შეიქმნა. მანამდე სოფლები: ,,ჟინოთა დიდი“ და ,,ჟინოთა პატარა“ ერთი სოფელი იყო და შედიოდა სალხინოს საბჭოში. დიდი ჭყონის საბჭოში 1924 წლამდე არ გაცემულა დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობები.

1925 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, დიდი ჭყონის თემი შედგებოდა 3 სოფლისგან: ეწერი, ჟინოთა დიდი და ოჩე. თემში ასევე შედიოდა ნობულევის ნაწილი. საბჭოს შენობა მდებარეობდა დაბა დიდი ჭყონში.

დიდი ჭყონის ჩაის მამულის (მეურნეობის) დაარსებამდე, დიდი ჭყონის თემი შედგებოდა 5 სოფლისგან: ჟინოთა დიდი-433 სული, ოჩე-830 სული, ეწერი I-311 სული, ნამიკოლავო-597 სული, ლედგებიე-863 სული (იხ. 1926 წლის აღწერის შედეგები, 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი).

შემდგომში ,,ჟინოთა დიდი"-ს ჩამოშორდა მსაზღვრელი ,,დიდი" და გამოეყო სოფელი დიდი ჭყონი. ,,ჟინოთა პატარა" მსაზღვრელის წინ მოექცა. ,,ლედგებიე" შეიცვალა -,,ლედგებე"-თი.

სენაკის მაზრის, დიდი ჭყონის რაიონის, დიდი ჭყონის თემის, სოფელ ეწერში 1929 წელს დაარსდა დიდი ჭყონის ჩაის მამული. 1930 წელს სენაკის მაზრაც გაუქმდა და დიდი ჭყონის რაიონიც.

სოფლის, თემის, მუნიციპალიტეტის ინტერესები მოითხოვს გავიგოთ და ხელისუფლებასაც გავაგებინოთ, რომ 1934 წელს დიდი ჭყონის სასოფლო საბჭო შედგებოდა 6 სოფლისგან: 1) ჟინოთა (ცენტრი)-126 კომლი, 534 სული. 2) ნამიკოლავო მეორე-108 კომლი, 733 სული. 3) ოჩე-73 კომლი, 518 სული. 4) ტალერი-149 კომლი, 739 სული. 5) ლედგებე (კიწია III)-138 კომლი, 622 სული. 6) ეწერი I-79 კომლი, 399 სული (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 2558, ,,მასალები მარტვილის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ").

1934 წლის 20 დეკემბერს მარტვილის მესამე სარაიონო ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ფარცვანიამ განაცხადა: დიდი ჭყონი არის ვეებერთელა თემი. საჭიროა დიდი ჭყონის თემის- თემებად დაყოფა.

მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაახლოებისა და მათი უკეთ მომსახურების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოდან ახალი საბჭოს გამოყოფა (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის არქივი, ფონდი 1, ანაწ. 1, საქმე 9).

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 20 თებერვლის N45 დადგენილებით: დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები-ტალერი, ეწერი, ოჩე; სალხინოს სასოფლო საბჭოს სოფელი ნობულევი, და დაარსდა ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ტალერში.

კიწიის საბჭოს 1937 წელს გამოეყო სოფლები: დოშაყე და კიწია I. სოფელი დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მოექცა ტალერისა და დოშაყეს საბჭოებს შორის.

ვინაიდან დიდი ჭყონის საბჭოს და დიდი ჭყონის მეურნეობას ერთმანეთისგან ყოფდა ტალერის სასოფლო საბჭო: 1939 წლის აღწერის დროს შედგენილ სააღრიცხვო ბარათებში გაკეთდა, დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში შედგენილ საკომლო წიგნებში კეთდებოდა ჩანაწერები: მეურნეობაა (მუშათა დასახლებაა)-დიდი ჭყონი, სოფელია (კოლმეურნეობაა)-ჟინოთა.

1939 წლის აღწერის მონაცემებით, დიდი ჭყონის საბჭო შედგებოდა 5 დასახლებისგან: დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა; ცხოვრობდა-1438 სული, ჟინოთა-754 სული, ლედგებე-965 სული, ნამიკოლავო-948 სული, ოჩე-355 სული.

ორი დიდი ჭყონის არსებობამ გამოიწვია გაუგებრობები და დასახლებას, რომელსაც 1939 წლის აღწერის თანახმად დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერქვა, ომის შემდგომ გამოეყო სოფლები: ლეჟვანიე და ლექობალე; სოფელ ჟინოთას გამოეყო სოფელი დიდი ჭყონი. ცვლილებები ასახულია 1949, 1961, 1966, 1977, 1987 წლებში გამოცემულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარებში, საფოსტო ინდექსებში.

კომუნისტებმა ვერ მოახერხეს დიდი ჭყონის მეურნეობისთვის დაბას სტატუსის მინიჭება, რადგან მხოლოდ ქაღალდზე არსებული სოფლების (ლეჟვანიეს და ლექობალეს) მოსახლეობას არც განკულაკება (მიწები ჩამორთმევა) აწყობდა და არც დოშაყესთან მიერთება.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 იანვრის N56 ბრძანებულებით; გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონისა და ტალერის საბჭოები გაერთიანდა ერთ, დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოდ, ცენტრით სოფელ დიდი ჭყონში.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის 1966 წლის 12 მაისის N73 ბრძანებულებით, დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ტალერი, პატარა ოჩე, ნობულევი, ეწერი და მათგან შეიქმნა ტალერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტალერში.

,,1970 წელს ამ სოფლებში მკვიდრობდა 1030 კომლი (4524 სული). სოფლების მიხედვით განსახლების სურათი ასეთი იყო:

ლედგებე-264 კომლი (1064 სული); ნამიკოლავო მეორე-315 კომლი (1151 სული); ოჩე-110 კომლი (420 სული); ჟინოთა 264 კომლი (1012 სული); დიდი ჭყონი (ანუ საბჭოთა მეურნეობა)- 177 კომლი (1077 სული). თემის მასშტაბით მრავალკომლიანი და მრავალსულიანი გვარებია: თოდუა (102 კომლი, 456 სული); ჯანაშია (85 კ., 268 სული), გაგუა (68 კ., 352 სული), კილასონია (60 კ., 2 96 სული), ბეჭვაია (71 კ., 304 სული), ნაჭყებია (51 კ.,194 სული), კოკაია (49 კ., 144 სული), ჯანჯღავა (39 კ., 99 სული), ნადარაია 38 კ., 138 სული), ახალაია (34 კ., 124 სული), კეკუტია (30., 106 სული) (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 31).

გეგეჭკორის რაიონში პირველი ,,შრომის ზეიმი“ 1975 წელს ჩატარდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში. ის დღე სავსე იყო ღონისძიებებით. ხალხი ცეკვავდა და მღეროდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობას გამოეყო დოშაყეს მეურნეობა. გაყოფას მოჰყვა დიდი ჭყონის საბჭოდან მოსახლეობის ამორიცხვა და დოშაყეს საბჭოში ჩარიცხვა (მეურნეობას გამოეყო: ლეჟვანიე და ლექობალე).

ბაბუაჩემის, 1932-33 წლებში დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ტერენტი ახალაიას გადმოცემით: დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს პირველი თავმჯდომარე ყოფილა თევდორე ჯოჯუა. სალხინოდან ჩამოუტანიათ ორი შენობა. ერთში განთავსებულა კანცელარია, მეორეში- ბიბლიოთეკა. ერთი ყოფილა დახურული ყავრით, მეორე- ,,ცინკით“. ჭყონში ჩამოუტანიათ თავად გუია (ნიკოლოზ) დგებუაძისთვის ჩამორთმეული სახლი, სადაც თავდაპირველად დაწყებითი სკოლა, შემდგომ- საავადმყოფო განთავსებულა. ასევე ჩამოუტანიათ მიხეილ დგებუაძისთვის ჩამორთმეული სახლი. სოფლის ცენტრში გაუხსნიათ პურის საცხობი, კერძო სავაჭროები, სამჭედლო, ფეხსაცმლის ატელიე.

თედორე გიორგის ძე ჯოჯუა 1922 წელს ,,ნაფიჩხუდან გადმოყვანილ იქნა სალხინოს პარტრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ; სხვადასხვა დროს ის მუშაობდა კურზუსა და დიდი ჭყონის საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარედ, ლებარდეს დირექტორად, თამაკონის სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარედ, ხობის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარედ (იხ.

ალექსანდრე კოკაია, ,,ჩვენი რაიონის გამოჩენილი ადამიანები“, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1967 წლის 27 ივნისი, N75).

1922 წლის ივლისში ჩატარდა სენაკის მაზრის ეკლესიებში განძეულობის აღწერა. ჟინოთის ეკლესიის აღწერას ესწრებოდა სალხინოს თემის აღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე თევდორე ჯოჯუა, ეწერის მთავარანგელოზის ეკლესიის აღწერისას თევდორე ჯოჯუა თავმჯდომარის მოადგილე ყოფილა. იმავე დღეს წაჩხურუს ეკლესიის შემოწმების აქტზე ხელს აწერს სალხინოს თემის აღმასკომის თავმჯდომარე თევდორე ჯოჯუა (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 54).

ახალ-სენაკში 1923 წელს გამართულ კონფერენციას თედორე გიორგის ძე ჯოჯუა ესწრებოდა კურზუს თემის ორგანიზაციის სახელით (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 25).

,,აბგესის მშენებლობაზე მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხკაცობის ორგანიზებულად და აქტიურად მონაწილეობის მიღების მიზნით სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის ს. მამულიას მითითებით (1923 წლის შემოდგომაზე) თემსაბჭოებში არჩეულ იქნა სამეულები, რომელთა თავმჯდომარეები იყვნენ: დიდი ჭყონში-თევდორე ჯოჯუა, სალხინოში-ბიქტორ ცაავა, კურზუში-აქვსენტი ბერულავა, თამაკონში-ალექსანდრე ფარცვანია, გაჭედილის თემში -კალისტრატე წოწორია“ (იხ. ალ. კოკაია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1988 წლის 22 მარტი, N36).

1925 წლის მარტში დიდი ჭყონის თემში აღმასკომის თავმჯდომარედ არჩევნების შედეგად დაინიშნა პარმენ ბურდღუს ძე გაგუა, მის ამხანაგად- ერასტი ლომიკას ძე ფირცხალავა და მდივნად -სევერიანე დავითის ძე კოკაია (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 285, ანაწერი 5, საქმე 150).

1927 წლის ივნისში დიდი ჭყონის თემკომის მდივანი ყოფილა ბეგლარ მათეს ძე ჩაგუნავა. თემში ცხოვრობდა 3028 სული; არსებობდა პარტიის 2 უჯრედი, რომლებშიც გაწევრიანებული იყო პარტიის 14 წევრი და 18 კანდიდატი (იხ. პ. ი. ა., ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 98).

გაზეთი ,,კომუნისტი“ მკითხველს მოუთხრობდა: ,,ფართო მწვანე ველი ტროპიკული მცენარეებით, ირგვლივ ცა დაბჯენილი

მაღალი მთები, რომლების თავზე წამდაუწუმ მისრიალებს თეთრი ღრუბლები, მსუბუქი ჰავა და კოხტა სახლები-აი დიდი ჭყონის გარეგნული სურათი.

ეს თემი ორი წელია რაც დაარსდა. მოსახლეობის უაღრესად განვითარებული თვითმოქმედების წყალობით დღეს ამ თემს აქვს: კარგად მოწყობილი საავადმყოფო და აფთიაქი, კოოპერატივი, მილიცია, საკრედიტო ამხანაგობა, რადიო და ეს ყველაფერი მოსახლეობის ინიციატივით არის გაკეთებული.

ერთ სახლზე აღმართული მაღალი ანძით დიდი ჭყონი დაკავშირებულია თბილისთან, მოსკოვთან, ბერლინთან, პარიზთან და სტამბოლთან. და საღამოს ჟამს დიდი ჭყონელი გლეხები თავს იყრიან ამ სახლში, სადაც მათ ეფინებათ უხილავი მომღერლების ტკბილი ხმები, დიდი ჭყონი-ბერლინი, დიდი ჭყონი-სტამბული, სივრცე დაძლეულია“ (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1927 წლის 28 აგვისტო, N195).

უახლესი ისტორიის არქივში შენახული დოკუმენტების თანახმად, 1928 წელს დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა პარმენ გაგუა. სხვა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოფელი ლედგებიე წინათ შედიოდა ნამიკოლაოსა და ჟინოთაში. სოფელი ეწერი I წინათ შედიოდა ოჩეში (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, აღწერა 1, საქმეები N661 და N1033).

1929 წელ დიდი ჭყონის თემის საბჭოს არჩევნებზე 1595 ამომრჩეველი და 6 საარჩევნო უბანი ყოფილა: 1) ჟინოთას უბანი-232 ამომრჩეველი. 2) ოჩეს უბანი-249 ამომრჩეველი. 3) ეწერი-ტალერის უბანი-360 ამომრჩეველი. 4) ზემო ლედგებიეს უბანი-165 ამომრჩეველი. 5) ქვემო ლედგებიეს უბანი-229 ამომრჩეველი. 6) ნამიკოლაოს უბანი- 360 ამომრჩეველი.

არჩევნების შემდეგ თემის საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ ილიკო იოსების ძე გაგუა, სამაზრო ყრილობის დელეგატებად- გაგუა ილიკო, გაგუა პარმენი და ბეჭვაია იასონ გიორგის ძე.

ლედგებეში 1929 წელს დაარსებულ არტელის კრების ოქმს ხელს აწერს დიდი ჭყონის თემის საბჭოს თავმჯდომარე კ. კილასონია (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 288, ანაწერ 1, საქმე 2184).

დიდი ჭყონის საბჭოს თავმჯდომარედ 1929 წელს დამტკიცდა კ. კილასონია, მდივნად რაჟდენ ბეჭვაია. 1931 წელს დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დაადგინეს ქსენია ჟვანიას კანდიდატურა. 1932 წელს დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბიქტორ დარციმელიას მიეცა შვებულება (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის არქივი, ფონდი 1, ანაწ. 1, საქმეები: 1 და 9).

დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ 1932 წელს მუშაობდა სევერიანე ლომია. 1932-33 წლებში საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა ტერენტი ახალაია. საბჭოში მუშაობდნენ კვარაცხელია ისაკი და ბეჭვაია ქსენია.

1934 წელს დიდი ჭყონის საბჭოს პარტკომის მდივანი ყოფილა ვასილ ცაავა, თავმჯდომარე- ვ. გოროზია. 1936 წელს საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა ნოე ოკუჯავა. 1939 წელს-ვარლამ ვასილის ძე ბეჭვაია.

1975 წელს დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს მიუღია გადაწყვეტილება ნაფოსტარის საფერშლო პუნქტის, სოფლის ცენტრში, ნამიკოლაოში გადატანის შესახებ (იხ. ,,შრომის დროშა, 1975 წ.).

1979 წელს აშენდა დიდი ჭყონის საბჭოს ახალი შენობა. სხვადასხვა დროს საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ: თედორე ჯოჯუა, პარმენ გაგუა, ილიკო გაგუა, კ. კილასონია, ქსენია ჟვანია, ბიქტორ დარციმელია, სევერიანე ლომია, ტერენტი ახალაია, ვ. გოროზია, რ. გვილავა, არსენ ჯანაშია, ნოე ოკუჯავა, ვარლამ ბეჭვაია, ვლადიმერ ახვლედიანი, ამბროსი კვაშილავა, შოთა კილასონია, ვაჟა ბეჭვაია, აკაკი გაგუა, შოთა ჯინჯოლავა, ნოდარ ხარებავა, ანზორ გაგუა.

კირილე ერქვანია და მალაქია ჯანაშია ათეული წლების განმავლობაში იყვნენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები.

დიდი ჭყონის საკრებულოს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ოთარ ნაჭყებია, ნოდარ ჯანაშია, ელვარდი კანკია და რევაზ კილასონია.

დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულად მუშაობდა ელვარდი კანკია, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად მუშაობს-დავით ხუხუა.

ორი დიდი ჭყონი

გარაიონება მოხდა კოლექტივიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ხელისუფლებამ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, 1932 წელს დაასრულა სოფლების კოლექტივიზაცია. დროთა განმავლობაში კოლმეურნეობებმა გარდა სამეურნეოსი, ადმინისტრაციული და მმართველობითი ფუნქციებიც შეიძინეს. ფორმალურად სოფელში ადგილობრივ ხელისუფლებას სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო და აღმასკომი ახორციელებდნენ, რეალურად კი- კოლმეურნეობის გამგეობა.

კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება გაწეული სამუშაოს მიხედვით ხდებოდა, საბჭოთა მეურნეობებში კი- ფიქსირებული ხელფასით.

მოსკოვში 1975 წელს გამოცემულ არქიტექტურის ზოგადი ისტორიის XII ტომში აღნიშნულია, რომ 30-იანი წლების შუახანებიდან საქართველოში კოლმეურნეობების, სოფლებისა და მეურნეობის დასახლებების მშენებლობა დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის კოლექტიური ფორმის საბოლოო გამარჯვებასთან. ამ პერიოდში მოხდა სახელმწიფო მეურნეობების დაპროექტება მახარაძეში, დიდი ჭყონში, სუფსაში, ნატანებში, გომში.

ოჯახებს არავინ ითვლიდა დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკისა და დიდი ჭყონის მეურნეობის ბინებში. 1937 წელს N1 ჩაის ფაბრიკის ბინებში ცხოვრობდა 180 სული; მეურნეობის ბინებში ცხოვრობდა 947 სული, სოფელ ჟინოთაში ცხოვრობდა 143 კომლი. დიდი ჭყონის მეურნეობაში მაცხოვრები ადამიანები შეჰყავდათ სააღრიცხვო წიგნში. სოფლებში მაცხოვრებლები- საკომლო წიგნში (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი I, დოკუმენტები: N1411, N1413, N1415, N1416).

1970 წლის აღწერის თანახმად დიდი ჭყონის მეურნეობაში ცხოვრობდა-177 ოჯახი (1077 სული). მიხეილ მანიას წიგნიდან ირკვევა, რომ მეურნეობა 1970 წელს დაბის ტიპის დასახლება იყო და არა სოფელი: ,,მეურნეობის 1100 მუშა ცხოვრობს კეთილმოწყობილ კორპუსებში, რომელთა უმრავლესობა 12 და 24 ბინიანია. კორპუსებს შორის გაზონები და სკვერებია გაშენებული, ქუჩები

მოასფალტებულია, განათებულია ლამპიონებით (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს“, თბ. 1971 წ., გვ. 40).

ერთ, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ორი ერთნაირი სახელწოდების მქონე თემის არსებობის, მათი სახელწოდებებისა და საზღვრების უცოდინარობის შედეგად მივიღებთ ,,ენციკლოპედიური სიბრძნე“ :

,,დიდი ჭყონი სოფელი გეგეჭკორის რაიონში, ოდიშის ვაკეზე, მდინარე ტეხურის მარჯვენა მხარეს, აბაშა-დიდი ჭყონის საავტომობილო გზაზე, ჭყონის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: დიდი ჭყონი, ლედგებე, ნამიკოლავო მეორე, ოჩე, ჟინოთა). ზღვის დონიდან 250 მ, გეგეჭკორიდან 15 კმ. ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა, საშუალო სკოლა ინტერნატით, საბავშვო ბაღი, კინოთეატრი, საავადმყოფო, კავშირგაბმულობის განყოფილება (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 541);

,,ჟინოთა, სოფელი გეგეჭკორის რაიონში (დიდი ჭყონის სოფსაბჭო), ოდიშის ვაკეზე, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 220 მეტრი, გეგეჭკორიდან 13 კმ. დიდი ჭყონის ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა (მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშუალო სკოლა სოფელ დიდი ჭყონში (1, 5 კმ)“ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, გვ. 251).

,,ოჩე სოფელი გეგეჭკორის რაიონში (დიდი ჭყონის სოფსაბჭო), ოდიშის ვაკეზე, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირას. ზღვის დონიდან 320 მეტრი, გეგეჭკორიდან 20 კმ. დიდი ჭყონის ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). რვაწლიანი სკოლა პატარა ოჩეში (უშუალოდ ებმის)“ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 623).

,,პატარა ოჩე სოფელი გეგეჭკორის რაიონში (ტალერის სოფსაბჭო), მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 300 მეტრი, გეგეჭკორიდან 23 კმ. დიდი ჭყონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა, რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა“ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 709).

,,ეწერი, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (ტალერის სოფსაბჭო), ტეხურის ხეობაში. ზ. დ. 310 მ, გეგეჭკორიდან 25 კმ. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, დაწყ. სკოლა, საშ. სკოლა სოფ ტალერში (3კმ)“ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 258).

,,ლეჟვანიე სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (დოშაყეს სოფსაბ-ჭო), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჩხოუშიის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 320 მ. გეგეჭკორიდან 32 კმ. დიდი ჭყონის მე-ჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. დოშაყეში (3 კმ)“ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 198).

,,ლექობალე სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (დოშაყეს სოფსაბჭო), ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 320 მ. გეგეჭკორიდან 33 კმ. დიდი ჭყონის მეჩაიეო-ბის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. დოშაყეში (2,5 კმ) (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 202).

მცდარია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ავტორების მტკიცება, რომ სოფელი დიდი ჭყონი ,,მდებარეობს“: აბაშა-დიდი ჭყონის საავტომობილო გზაზე, ზღვის დონიდან 250 მეტრის სი-მაღლეზე. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-სოფელ დიდი ჭყონის შემადგენელი ნაწილია და ამ ნაწილში შედის ტალერის და დოშაყეს საბჭოებში შემავალი სოფლები: ნობულევი, ეწერი, პატარა ოჩე, ლეჟვანიე და ლექობალე.

2002 წელს გამოცემულ საქართველოს ენციკლოპედიის II ტომში სწერია: დიდი ჭყონი სოფელი მარტვილის მუნიციპალი-ტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: დ. ჭ. ლედგებე, ნამიკოლავო მეორე, ოჩე, ჟინოთა) ზღვის დონიდან 200 მეტრი, მარტვილიდან 15 კმ. 774 მცხ. 2002 წ.

დიდი ჭყონის N1 სკოლა 1919 წელს გაიხსნა სოფელ ჟინოთაში. დიდი ჭყონის N2 სკოლა 1933 წელს გაიხსნა დიდი ჭყონის მეურ-ნეობაში (ეწერში). სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენა-ზე. ომის შემდგომ გაიხსნა ქართული და სომხური სკოლები (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 300, ანაწერი 13, საქმე 2005).

კომუნისტების დროს სოფელ დიდი ჭყონში არსებობდა N1 ჩაის ფაბრიკა, 25 საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც ემსახურე-ბოდა კიწიის, გურძემის, თამაკონის და დიდი ჭყონის საბჭოებში მაცხოვრებლებს;

დიდი ჭყონის მეურნეობის მუშათა დასახლებაში ფუნქციონი-რებდა N2 ჩაის ფაბრიკა, 35 საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც დიდი ჭყონის მუშათა დასახლებაში მცხოვრებლებთან ერთად ემსახურებოდა კურზუს, ტალერის და დოშაყეს საბჭოში მცხოვ-

რებლებს (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 289, ანაწერი 1, საქმეები: N9320, N10769, N12509).

1924 წელს მარტვილიდან 15 კილომეტრში გაიხსნა დიდი ჭყონის ბაზარი;

მარტვილიდან 30-40 კილომეტრში ოდესღაც არსებობდა: დიდი ჭყონის კოლონია, დიდი ჭყონის მეტეროლოგიური სადგური.

მეურნეობა და კოლმეურნეობა

სენაკის მაზრის დიდი ჭყონის რაიონის, დიდი ჭყონის თემის სოფელ ეწერიდან მოსახლეობის გასახლება დაიწყო 1929 წელს. მანამდე: ,,ეწერი ერქვა ძალზე ფართო ტერიტორიას, სადაც შემდეგ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები გაშენდა“ (იხ. პ. ცხადაია სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ტ. VI, გვ. 224); ,,ეწერი ეწოდებოდა დღევანდელ ტალერსა და ისტორიულ სოფელ დოშაყეს შორის მდებარე დასახლებულ ტერიტორიას“ (იხ. პ. ცხადაია, იქვე, გვ. 106).

პარტიის ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დიდი ჭყონის ჩაის მამული ამავე დასახელების რაიონში შეიქმნა და არა სოფელში.

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1929 წლის 17 თებერვალს დაადგინა: ეთხოვოს ცეკას განკარგულება საქართველოს სახკომსაბჭოსადმი, რათა საზოგადოება საქართველოს ჩაიმ ჩვენი მაზრის დიდი ჭყონის რაიონში მოაწყოს ჩაის საბჭოთა მამული (იხ. პ. ი. არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 144, ფურცელი 73).

ს. კ. პ. ბ. და ა. ლ. კ. კ. სენაკის მაზრკომის გაერთიანებულ სხდომაზე 1929 წლის 27 თებერვალს დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად კომპარტის ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილების მომართვა დიდი ჭყონის რაიონში ჩაის მამული მოწყობის შესახებ (იხ. დასახ. არქივი, იქვე, ფურცელი 85).

1929 წლის 13 ნოემბერს შედგა საქ. კ. პ. (ბ) დიდი ჭყონის რაიონის, დიდი ჭყონის თემორგანიზაციის გაერთიანებული კრება რომელსაც დაესწრო დიდი ჭყონის რაიკომის მდივანი ბეგლარ ჩაგუნავა. შეიმუშავეს დიდი ჭყონის საბჭოთა მამულში კ. პ. უჯ-

რედის დაარსების გეგმა. ამ დროს მამულში უკვე არსებობდა კანტორა. მამულის კოოპ. ბიუროში არჩეულ იქნენ: პ. გაგუა, ათანასე სალუქვაძე, მათე ბახტაძე, ალექსანდრე და ვალერიანე თოდუა. ადგილკომის თავმჯდომარედ დაინიშნა ვალერიანე თოდუა (იხ. პ. ი. ა. ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 167).

1930 წლის 18 მაისს გაიმართა სენაკის მაზრის XII პარტკონფერენცია. შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა დიდი ჭყონის თემის საბჭოს თავმჯდომარე ილიკო გაგუამ განაცხადა, რომ დიდი ჭყონში არსებობს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მამული, სადაც მუშაობს 3500 კაცამდე, რომლებსაც დღემდე სათანადო ყურადრება არ ექცევა. შესწავლილი უნდა იქნეს მამულიდან გადასახლებული მოქალაქეების მდგომარეობა და მათზე მისაცემი ადგილები (პ. ი. ა. ფოდი 31, ანაწერი 1, საქმე 145, ფურცელი 199).

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მიხეილ მანია წერს, რომ სოფელ ეწერის ტერიტორიაზე გაშენდა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა: ,,1929 წლის ნოემბერი იყო. ლეზარდეს მთებიდან დაშვებული ზვავები ეწერის მეზობლად მდებარე წკირგოლასა და მონგირიესაც მისწვდენოდა. წყურგილეს ზეგანზე კი ბარებით, წერაქვებით, ნაჯახ-წალდებით მოვიდნენ ადამიანები...პირველი ბარი წყურგილისპირა ეწერში დაჰკრეს ენთუზიასტებმა. იმ დღეს ორმოციოდე კაცი იყო...ალექსანდრე ჯოჯუა (მეურნეობის პირველი დირექტორი), კირილე, გაბრიელ და სიდო კილასონიები, იულონ თორდინავა, პანტელეიმონ ნანავა და სხვები-აი ისინი, რომლებმაც პირველი ხნული გაავლეს მეურნეობის ვრცელ ყამირზე (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს“, თბ. 1971, გვ. 3);

,,ეს იყო წლები, როცა საქართველოს პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჩაის კულტურის მასორივად გავრცელებას რესპუბლიკაში. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ჩაის ტრესტმა სენაკის სამაზრო კომიტეტში (მაშინ ჩვენი რაიონიც სენაკის მაზრაში შედიოდა) გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი ვანო ჩაკვეტაძე. იგი მაზრის პროკურორ ისიდორე გულორდავასთან ერთად მოვიდა დიდ ჭყონში და ეწერში გამართულ სახალხო მიტინგზე მოსახლეობას მთავრობის გადაწყვეტილება

აუწყა-ამ ადგილზე ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნებაო (იხ. მ. მანია, იქვე);

1930 წელს მეურნეობის ტერიტორია 1933 ჰექტარს შეადგენდა. აქედან ჩაის კულტურა გაშენებული იყო 150 ჰექტარზე...ეწერში ჩაის ფოთოლი პირველად 1933 წელს მოიკრიფა. ერთადერთმა ჩაის ფაბრიკამ (ამჟამად ოთხია) 15 ტონა ნედლეული მიიღო დიდი ჭყონელებისგან (იხ. მ. მანია, იქვე, გვ. 5-8).

ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა თათბირი გაიმართა 1932 წელს. ამ თათბირზე სიტყვით გამოსულმა დიდი ჭყონის მეურნეობის დირექტორმა გვილავამ განაცხადა: ,,დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ყველაზე მოუწყობელია, ჩვენ არ მოგვეპოვება ბარაკები მუშებისთვის, აბანო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობები. 1931 წელს მეურნეობაში არ დამთავრებულა არცერთი შენობის აგება, მოუგვარებელია სასადილოს პრობლემა (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1932 წლის 29 თებერვალი, N50).

გაზეთ ,,სოციალისტური სოფელი“-ს ფურცლებზე წერია, რომ მეურნეობას 1939 წელს ჰყოლია 239 მკრეფავი; კოლმეურნეობებმა – მეურნეობას უნდა მიაწოდონ საჭირო რაოდენობის მკრეფავები (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1939 წლის 12 აპრილი, N18).

უახლესი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1977 წლის 1 ნოემბრისთვის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ირიცხებოდა 1449 მუშა-მოსამსახურე, შევსებული იყო შრომის წიგნაკი 1026 კაცზე. ამავე რიცხვისთვის მეურნეობას ერიცხებოდა 26 თავისუფალი შრომის წიგნაკი (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 288, ანაწერი 1, საქმე 8194).

მიხეილ მანია წერს, რომ დიდი ჭყონის მეურნეობის I დირექტორი იყო ალექსანდრე ჯოჯუა (იხ. მ. მანია, დას. ნაშრომი, გვ. 3). გაზეთ ,,კოლხეთში“ (ცხაკაია) 1967 წლის 3 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში წერია, რომ ალექსანდრე ჯოჯუა დაიბადა ტალერში. მუშაობდა სალხინოს რევკომის მდივნად. 1930 წელს აირჩიეს აბაშის რაიკომის I მდივნად. გარაიონების მერე იყო კოლხიდმშენის პარტკომის მდივანი; გალის რაიკომის II მდივანი, რანის ქარხნის დირექტორი.

მარტვილის რაიაღმასკომმა მეურნეონეობის დირექტორად 1931 წლის 18 ოქტომბერს დაადგინა ილიკო გაგუას კანდიდატუ-

რა. გაგუა ერთ თვეში მარტვილის რაიმილიციის უფროსად გადაიყვანეს. მეურნეობის დირექტორად დაინიშნა მონიავა.

სხვადასხვა დროს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორები იყვნენ: ალექსანდრე ჯოჯუა, ილიკო გაგუა, მონიავა, გვილავა, ვლადიმერ ცაგარელი, ტარასი კვარაცხელია, ილია გიგოს ძე კვარაცხელია, დავით ჯანჯღავა, კალისტრატე შეროზია, კოსტანტინე გოგია, მ. მელუა, პეტრე ჯინჯიხაძე, მიხეილ მანია, ჯოდო ბეჭვაია, ნოდარ ჯანაშია, მურად კვაშილავა, მირიან გაბუნია, გურამ გამსახურდია.

საქართველოს სსრ აგროსამრეწვლო კომიტეტის მიერ შედგენილი, სოფ. დიდი ჭყონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის ტყის მეურნეობის წარმოების 1986-1987 წლების პერსპექტიული გეგმის თანახმად: ,, სოფ. დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა მდებარეობს საქართველოს სსრ გეგეჭკორის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე. კოლმეურნეობის საერთო ფართობი შეადგენს 2125 ჰექტარს, მათ შორის ტყით დაფარული ფართობია 272 ჰექტარი. კოლმეურნეობას სამხრეთიდან ესაზღვრება თამაკონის კოლმეურნეობის მიწები და დასავლეთიდან სოფ. დიდი ჭყონის კუიბიშევის სახ. მიწები. კოლმეურნეობის კანტორა მდებარეობს სოფელ დიდი ჭყონში, რომელიც რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 15 კმ-ით. (მეურნეობა დაშორებულია 23 კილომეტრით).

სოფ. კიწია ,,პრავდის“ კოლმეურნეობის ტყის მეურნეობის წარმოების 1986-1987 წლების პერსპექტიული გეგმის თანახმად: სოფელ კიწია ,,პრავდის“ კოლმეურნეობას ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან სოფ. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მიწები, აღმოსავლეთიდან-დიდი ჭყონის კუიბიშევის კოლმეურნეობა.

სოფ. სალხინოს კოლმეურნეობის ტყის მეურნეობის პერსპექტიული გეგმის თანახმად, კოლმეურნეობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება: სოფ. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მიწები და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები; დასავლეთიდან ესაზღვრება მდინარე ტეხურა.

დიდი ჭყონის კოლმეურნეობა და მეურნეობა სხვადასხვა გეოგრაფიული და ეკონომიკური ერთეულები იყო 1992 წლამდე. დიდი ჭყონის კალინინის (ბერიას) სახელობის კოლმეურნეობა

შეუერთდა დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 1963 წელს, გამოეყო-1989 წელს. დიდი ჭყონის მეურნეობას 1985 წელს გამოეყო დოშაყეს მეურნეობა.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები 1992 წლამდე იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის სარგებლობაში. საქართველოს მთავრობის 1992 წლის N949 დადგენილებით: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონება სახელმწიფო საკუთრებად იქცა.

დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქალაქ მარტვილიდან 15 კილომეტრში, ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე ტეხურასა და მდინარე ჩხოუშიას შორის.

ლებარდეს მთათა სისტემაში შემავალ ,,მონგირიე“-სა და ,,წკირიგოლა“-ს მთების ფერდობზე, ქალაქ მარტვილიდან 25 კილომეტრში, 1929 წელს დაარსდა დიდი ჭყონის მამული.

,,შემდგომში-1957 და 1959 წლებში ორი კოლმეურნეობა, დოშაყე და ტალერი შეუერთდა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობას. საერთო ფართობი 4368 ჰექტრამდე გადიდდა (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზრუდეებს“, თბ. 1971 წ., გვ. 7).

დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სახსრებით 1958-1966 წლებში აშენდა დიდი ჭყონის კულტურის სახლი.

დიდი ჭყონის (ლედგებეს) კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ეზოში 1966 წელს დაიდგა ვალერიან კუიბიშევის ძეგლი.

,,მეურნეობის სახსრებით აიგო და 300 ბავშს ემსახურება 6 საბავშო ბაგა-ბაღი, აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საავადმყოფო, სასპორტო მოედანი, კლუბი, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი და სატელეფონო სადგური, ტალერის საშუალო სკოლა 300 მოსწავლისთვის, ოჩეს რვაწლიანი სკოლის ორსართულიანი შენობა;

მშენებლობის პროცესშია კლუბი 400 მაყურებლისთვის; შენდება დოშაყეს 8 წლიანი სკოლა, სპორტული დარბაზი, ეწერის დაწყებითი სკოლა;

სასმელ წყალს მეურნეობა მიიღებს ხირზენიდან, რომელიც ჩვენგან 10-15 კილომეტრითაა დაშორებული;

არც ნორჩებს აკლია ყურადღება-ყოველწლიურად საბავშვო ბაღის 100 აღსაზრდელი იგზავნება კურორტ ლებარდეში მეურნეობის სახსრებით აგებულ დასასვენებელ სახლში, 50 ბავშვი კი რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტებზე;

კურორტ ლებარდეში აგებულია აგრეთვე 24-ადგილიანი კეთილმოწყობილი კოტეჯი, კურორტის ცენტრში გათვალისწინებულია კიდევ 2 ასეთი კოტეჯის აშენება;

მეურნეობა შეფობას უწევს გეგეჭკორის საბავშვო სახლს, ამისთვის შევიძინეთ ტელევიზორი, რადიოლა, პიანინო, დავეხმარეთ 5 ათასი მანეთის საშენი მასალით (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს“, თბ. 1971 წ., გვერდები: 38-40).

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის დაშლიდან 30 წლის მერე მაინც უნდა გამოვიტანოთ დასკვნები და ვაღიაროთ: დიდი ჭყონის კოლმეურნეობები და მეურნეობა სხვადასხვა გეოგრაფიული და ეკონომიკური ერთეულები იყო ყოველთვის. პატრონი, რადიოლა, პიანინო, საზოგადოებრივი ცენტრი, სახანძრო-სამაშველო სამსახური, კულტურის ცენტრი, კეთილმოწყობის ცენტრი, ბიბლიოთეკა- ჭყონში გვჭირდება და არა გეგეჭკორში.

ეწერი, ტალერი, ნობულევი, დოშაყე, სალხინო... სალიპარტიანოს რაიონის შემადგენელი ნაწილია. მუნიციპალიტეტის ცენტრად მიურატების მამული, დიდი ჭყონის კოლმეურნეობა და მეურნეობა ვერ გამოდგება. ვალერიან კუიბიშევის ძეგლი არსად არ გვჭირდება. უნდა გავიგოთ, თუ სად, რომელ სოფელში მდებარეობს დიდი ჭყონის ბაზარი.

1924 წლის აჯანყება

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლენინის მითითებით წითელია არმია დარჩა საქართველოში. ჯარისკაცები ქართულ სოფლებში ისე ჩააყენეს, რომ არავის უკითხავს, ქონდა თუ არა გლეხობას მათი რჩენის საშუალება, ან რას იზამდა მშიერი რუსი ჯარისკაცი.

პიმენ ჩარგაზიას წერილიდან ირკვევა, რომ ჯარი სალხინო-დიდი ჭყონის რაიონშიც მდგარა (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N56, 1921 წლის 13 ოქტომბერი).

მოსკოვის მითითებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაასხვისა. თურქეთს გადაეცა 9969, 71 კვ. კმ. ტერიტორია 158 728 მცხოვრებით, სომხეთს-2575, 38 კვ. კმ. ტერიტორია 37 800 მცხოვრებით, აზერბაიჯანს - 5199, 47 კვ. კმ. ტერიტორია 92 608 მცხოვრებით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა, რომელსაც ოსურ სოფლებთან ერთად 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი გადაეცა.

საქართველოს მოჩვენებით სუვერენიტეტს ბოლო მოეღო. 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც გაერთიანდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

1923 წლის 10 აპრილს დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო ნიშანსვეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ერთეული ქართული ბონები საბოლოოდ გაუქმდა და ერთიანი ფულის ნიშნება შემოვიდა.

1921 წლის 25 თებერვალს დამყარებულ საოკუპაციო რეჟიმს ქართველი ერი არ ცნობდა. მთელ საქართველოში 26 მაისთან დაკავშირებით საპროტესტო აქციები იმართებოდა.

1922 წლის 11 თებერვალს ანტისაბჭოთა სამგლოვიარო დემონსტრაცია მოაწყო მოსწავლე ახალგაზრდობამ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, შორაპანში, ზესტაფონში, ფოთში, სამტრედიაში, ოზურგეთში, თელავში, ბანძაში, ლანჩხუთში, ნატანებში და სხვაგან.

სვანეთში 1921 წელს იფეთქა აჯანყებამ, მას სათავეში ედგნენ ნესტორ გარდაფხაძე, ეგნატე გაბლიანი და ბიძინა პირველი. 1922 წელს აჯანყდა ხევსურეთი.

1922 წლის ოქტომბერში ხელისუფლებამ დააპირა ციმბირში გაესახლებინა 62 პოლიტპატიმარი. პატიმრების პროტესტმა სამ თვეს გასტანა. ხელისუფლებამ მათი გერმანიაში გასახლება დააპირა, პატიმრები ამაზეც არ დათანხმდენ; ისინი ითხოვდნენ საქართველოში გასამართლებას, ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი სხვა ქვეყანაა და ქართველ პატიმრებს იქ არაფერი ესაქმებათ. სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, ციხის მეორე განყოფილებაში მყოფი ეროვნული მთავრობის წევრები მოლაპარაკებაში ჩაერთნენ და

გრიგოლ ლორთქიფანიძის თხოვნით ტუსაღები ბერლინში გასახლებას დაემორჩილნენ.

1922 წლის 10 ოქტომბერს გერმანიაში გასახლებულ პატიმრებს შორის იყვნენ: ივლიანე კოკაია და ნესტორ სხულუხია. 1922 წლის 16 დეკემბერს რუსეთში გაასახლეს 52 პოლიტპატიმარი, მათ შორის იყო დიდი ჭყონელი კოლია დგებუაძე.

1923 წელს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რეფერენდუმის მოთხოვნით მიმართა ხელისუფლებას: თუ რეფერენდუმში ბოლშევიკები, თუნდაც ხმების ერთ მესამედს მიიღებდნენ, სოციალ-დემოკრატები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ.

ბოლშევიკური დიქტატურა სხვა პარტიების გაქრობას მოითხოვდა და საქართველოს ოკუპაციისთანავე ხელისუფლებამ დაიწყო რეპრესიები. სტალინის მითითებით გადაწყდა: ,,საქართველოს ცხელი უთოთი უნდა გადავუაროთ“.

პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად საჭირო იყო სხვა კლასების განადგურება. ამიერკავკასიის ცაკ-ის მეორე პლენუმზე საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ღოღობერიძემ განაცხადა: ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურთა რაოდენობა. არცერთ ქვეყანაში არაა მოსახლეობის 6% თავად-აზნაურობა (იმ დროს ჟინოთასა და ნამიკოლაოში ათობით თავად-აზნაურის ოჯახი ცხოვრობდა).

1924 წლის 29 აპრილს მიღებული N87 დადგენილებით დაიწყო ყოფილი თავადების და აზნაურების ადმინისტრაციული წესით გასახლება, რომელიც მთელი 10 წელი გაგრძელდა.

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1928 წელს განიხილა დიდი ჭყონის თემკომის შუამდგომლობა სოფელ ლედგებიეში მცხოვრებ ყოფილი თავადის სიმონ დგებუაძის გადასახლების შესახებ. მასალები სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ თავადაზნაურობის გადამახალისებელ კომისიას.

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ბედი იმთავითვე გადაწყვეტილი იყო. ეკლესიას ჩამოერთვა უძრავ-მოძრავი საკუთრების ფლობის

უფლება და ეკლესიის მთელი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

1921 წლის 15 აპრილს გამოცემული დეკრეტით: სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია და ეკლესიას-სკოლა. ამავე წლის ივლისში ეკლესიას აეკრძალა დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობების გაცემა.

1921 წლისთვის საქართველოს მართმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას 1450 მოქმედი ეკლესია, 25 მონასტერი, 1600 სასულიერო პირი ჰყავდა. ეს მნიშვნელოვანი ძალა იყო და ბოლშევიკების მტკიცებით საჭირო იყო მათი განადგურება (იხ. ს. ვარდოსანიძე, ,,საქართველოს მართმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე 1917-2017 წლები“, თბ. 2017 წ. გვ. 197).

ხელისუფლება ახალ რელიგიას -,,სოციალიზმს და კომუნიზმს“ სთავაზობდა საზოგადოებას და იქ ჭეშმარიტი რელიგიის ადგილი აღარ რჩებოდა.

1921 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პატრიარქად აირჩიეს ამბროსი ხელაია. 1922 წელს მან თხოვნით მიმართა გენუის კონფერენციას: გაეყვანათ საქართველოდან წითელი არმია და მოეწყოთ რეფერენდუმი.

წერილის გამო ამბროსი ხელაიასთან ერთად დააპატიმრეს საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრი. მათ ბრალად წაუყენეს: 1) კონფერენციაზე წერილის გაგზავნა, 2) ეკლესია-მონასტრებში არსებული საგანძურის გადამალვა, 3) საეკლესიო წიგნების არასწორი წარმოება და 4) სამხედრო ტაძრის (დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილზე იდგა) კომკავშირისთვის გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა.

1923 წელს საქართველოში 1400-ზე მეტი ეკლესია დაიხურა, მათი დიდი ნაწილი გამოიყენეს თავლებად, საწყობებად, ბევრი დაანგრიეს. სენაკის მაზრაში დაიხურა 165-მდე ეკლესია (იხ. გაზეთი ,,კომუნა“, 1923 წლის N5).

1922 წლის ივლისში ჩატარდა სენაკის მაზრის ეკლესიებში დაცული განძეულობის აღწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ ლედგებიეს წმიდა გიორგის ეკლესიაში მღვდელი ყოფილა ყოფილა სამსონ ნიკოლოზის ძე ჩაჩიბაია. ჟინოთის სამების სახელობის ეკლესიაში მღვდელი ყოფილა თედორე ბესარიონის ძე ჯანჯღავა. ჟინოთის

ეკლესიაში მღვდელი ყოფილა ესტატე ხარებავა. აღნიშნულ ეკლესიებში კომისიამ ვერანაირი განძი ვერ აღმოაჩინა;

სოფელ ნამიკოლაოს მაცხოვრის სახ. ეკლესიაში მღვდელი ყოფილა სოლომონ უტუს ძე ჯანაშია. ეკლესიაში იმ დროს ინახებოდა: 1) ერთი მაცხოვრის ხატი ვერცხლით გაჭედილი. 2) ერთი წმიდა გიორგის ხატი ვერცხლით გაჭედილი. 3) ერთი პატარა ჯვარი ვერცხლის. 4) ბარძიმი და ფეშხუმი ვერცხლის. 5) ერთი ვერცხლის კოვზი. 6) დასახელება არ იკითხება (იხ. უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 54).

დიდი ჭყონის თემში 4 ადგილას იყო ეკლესია. ბოლშევიკებმა ოთხივე დაანგრიეს. ხალხში შემორჩენილი რწმენის თანახმად: ყველა ის პირი ვინც მონაწილეობა მიიღო ეკლესიის დანგრევაში, მღვდლების შეურაცხყოფაში, დაისაჯა.

ლედგებეს კაპიტალური ეკლესიის სპეციალურად გათლილი და მოხატული თეთრი ქვის მასალა გამოიყენეს მდინარე ჩხოუშიაზე ხიდის მშენებლობისთვის და სოფლის სკოლის კედლებისთვის.

ნამიკოლაოში ეკლესიის გაუქმების შემდეგ, ჩამოუგდიათ ჯვარი, ცეცხლში დაუწვავთ ხატები, ჩამოუგლეჯიათ კარები.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აქტივისტები აწყობდნენ ანტირელიგიურ ღონისძიებებს. მაგალითად ქუთაისში საჯარო სასამართლო გაუმართეს 735-738 წლებში მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპულ წმ. დავით და წმ. კოსტანტინეს ნეშტებს. ორი კვირის განმავლობაში მათ ლანძღავდნენ, ამტკიცებდნე, რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ და ხალხს ატყუებდნენ. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: წმინდა დავით და კოსტანტინეს ნეშტები რიონში უნდა გადაეყარათ. საბედნიეროდ ეს ვერ აღასრულეს (იხ. ს ვარდოსანიძე, დას. ნაშრომი, გვ. 160).

გოგილო ბასილაია წერს: ,,სალხინოელებს წარსულის მწარე მოგონებად დაურჩათ ერთი ასეთი ამბავი: გოდოგანი-ნაფიჩხოვოს კუთხიდან მოიყვანეს ახალგაზრდა კაცი, ორი თუ სამი შეკვრა თუთუნის ქურდობისთვის. იგი რაიონის ხელმძღვანელობის მითითებით მოკლეს სოფლის კანცელარიის ეზოში და იქვე გზისპირას ,,დააგდეს“, რათა ,,შიშისა და წესირიგის შექმნისთვის“ ენახა

გამვლელ-გამომვლელთ, ორი დღე-ღამის შემდეგ ჭირისუფალმა მიცვალებული მალულად წაიღო“ (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 166).

საბჭოთა ხელისუფლება არ იძლეოდა მიცვალებულების ეკლესიის ეზოებში დაკრძალვის უფლებას.

,,სენაკის რაიონის სოფ. სალხინოში ტრადიციული ქრისტიანული წესით დაკრძალული მიცვალებულები ამოასვენეს და წითელი დროშებისა და რევოლუციური სიმღერების, სასულე ორკესტრის თანხლებით გადაასვენეს კომუნისტურ სასაფლაოზე. ეკლესიებიდან გამოჰქონდათ წმინდა ნაწილები და აგიზგიზებულ კოცონზე წვავდნენ (იხ. ს. ვარდოსანიძე, დას. ნაშრომი, გვ. 162).

უფრო დამაჯერებლად და დეტალურად აგვიწერს აღნიშნულ მოვლენას ი. კვესელავა: ,,სენაკის მაზრის სალხინოს რაიონში ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოსცა დადგენილება ძველ სასაფლაოებზე, ე. ი. ეკლესიის ეზოში მიცვალებულის დამარხვის აკრძალვის შესახებ. გამოიყო სასაფლაოები ათზე მეტ ადგილას, სადაც აღმართეს წითელი დროშები. ამავე რაიონის სოფელ ჟინოთაში დაკრძალული მიცვალებული ამოიღეს საფლავიდან და დაკრძალეს ახალ სასაფლაოზე (იხ. ი. კვესელავა, ,,XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები“, გვ. 82). ავტორს აღნიშნული ფაქტის წყაროდ მითითებული აქვს პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 14, აღწერა 1, ნაწილი 1, საქმე 854, ფურცელი 75).

1922 წელს შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და მისი სამხედრო ცენტრი, რომელსაც კავშირი ჰქონდა 1921 წლის 5 ნოემბერს პარიზში შექმნილ ,,სამხედრო ცენტრთან“.

გამცემლობის შედეგად 1923 წლის მარტში ,,ჩეკამ“ მოახერხა ,,სამხედრო ცენტრის“ წევრთა დაპატიმრება. მათ იმავე წლის 19 მაისს მიესაჯათ დახვრეტა. განაჩენი აღასრულეს 20 მაისს, თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ პარკის ტერიტორიაზე დაიხვრიტა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რამდენიმე ათასი პატრიოტი. ბოლშევიკებმა ამ ადგილას შეგნებულად შექმნეს პარკი, რათა ხალხს ეტაშფანდურა წამებულ მამულიშვილთა ძვლებზე.

ხელისუფლება ხედავდა, რომ მთელი ქვეყანა მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. ის 1921-1924 წლებში არანაირ პროვოკაციებს არ ერიდებოდა, ოღონდ კი ხალხს იარაღი აეღო ხელში.

1924 წლის აჯანყების წინა დღეებში სტალინს აცნობეს, რომ საქართველოში მზადდება აჯანყება, შესაძლებელია მისი ჩაქრობა.

სტალინმა კვირკველიას და ორახელაშვილს უთხრა: არ ვიცოდი ასეთი ბრიყვები თუ იყავით. საქართველომ უსისხლოდ მიიღო რევოლუცია. ახლა საბაბი გვეძლევა მას სისხლი გამოვადნოთ. გამოვიდნენ, რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთ.

უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების თანახმად: 1924 წლის აჯანყებას სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში ხელმძღვანელობდა დიდი ჭყონელი (გოდოგანში დაბადებულ-გაზრდილი) თედო ესართია, აჭარაში-კიწიელი გიზო ანჯაფარიძე. ქვემო იმერეთში- ნამიკოლაოელი ლეო დგებუაძე. ვაზიანის განიარაღების შემდეგ, თბილისი- ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად უნდა აეღო ირაკლი ცაგურიას, რომლის მამა გურძემში დაიბადა.

საშა გეგეჭკორი წერს, რომ თედორე ესართია იყო სენაკის და ზუგდიდის მაზრებში აჯანყებულთა ,,ბელადი“ (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1924 წლის 21 სექტემბერი N216).

სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტში თ. ესართიასთან ერთად შედიოდნენ: ვანო ესვანჯია, შალვა კალანდარიშვილი და შალვა თვალთვაძე. სამეგრელოს დამკომი ამავე დროს იყო სენაკის მაზრის დამკომიც, რომელიც ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტს ზედამხედველობას უწევდა (იხ. ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2012 წ. გვ. 100).

სამეგრელოში აჯანყებისათვის მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. შეიქმნა რეგიონალური სამხედრო შტაბი. დამკომმა სამეგრელოში აჯანყების ხელმძღვანელად დანიშნა-გენერალი თოფურია. შტაბის უფროსად-პოლკოვნიკი კოდუა, ზურგის უფროსად-გენერალი ჯიჯიხია, სამხედრო კავალერიის უფროსად-დავით მხეიძე. თოფურიამ და ჯიჯიხიამ ბოლო მომენტში უარი თქვეს აჯანყე-

ბაში მონაწილეობაზე. სამხედრო შტაბიდან აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ოფიცერი დავით მხეიძე იყო და ამიტომაც, სამეგრელოს დამმკომა მხეიძე დანიშნა აჯანყების საერთო მეთაურად. შტაბში ასევე შეყვანილი იყვნენ: ხარიტონ ლაშხია, აქვსენტი შალამბერიძე და სპირიდონ სხულუხია.

სალხინო-დიდი ჭყონის რაიონში პოლიტიკურ ხელმძღვანელად მენშევიკებიდან მელიტონ სხულუხია მიავლინეს; დანარჩენი პარტიებიდან წევრებზე ინფორმაცია არ იძებნება. სამხედრო ხელმძღვანელად ხარიტონ ადამია შეირჩა. ფედერალისტებიდან სამხედრო შტაბში შევიდა-ნიკო ლაშხია, ესერთა პარტიიდან- ნიკო კუხალეაიშვილი. გარდა ამისა, ქ. ახალ-სენაკში მაზრის დამკომთან კოორდინირებულად სტუდენტების ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელსაც სათავეში ედგა სტუდენტი კეშელავა.

აჯანყების ზუსტი თარიღი, აჯანყებამდე სამი დღით ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა თედო ესართიას შეატყობინა. მას თავის მხრივ, ამ სამი დღის განმავლობაში უნდა მოესწრო სენაკის, ზუგდიდის და სამურზაყანოს მაზრების პარიტეტული კომიტეტების გაფრთხილება, რაც შესრულდა კიდეც 26 და 27 აგვისტოს (იხ. ლ. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 145).

ზუგდიდის დამკომმა აჯანყები თარიღი თედო ესართიასაგან შეიტყო (იქვე, გვ. 163). ,,აგვისტოს 26-ს ჩემთან ხელახლად მოვიდნენ და დამინიშნეს გამოსვლის დრო ოცდარვიდან-ოცდაცხრის ღამის 3 საათი“ (დავით მხეიძის მოხსენება, საქართველოს დამოუკიდელობის კომიტეტს პარიზში).

,,1924 წლის აჯანყების წინ სენაკის მაზრის დამკომმა დაადგინა, რომ აბაშის, ბანძის და სალხინოს რაიონებში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები კარგად იყო ჩატარებული, მარტვილსა და ნოქალაქევში ცუდად, ამიტომ სალხინოსა და ბანძის აჯანყებულებს თავიანთ რაიონებში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მარტვილისა და ნოქალაქევის დაკავებაზე უნდა ეზრუნათ (იხ. ლ. ჯიქია, დასახ. ნაშრომი გვ. 145).

სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში, ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს სამურზაყანოს მაზრა უნდა დაეკავებინათ და შემდეგ სოხუმის

მიმართულებით გაელაშქრათ. სოხუმისკენ უნდა დაძრულიყვნენ ასევე აჯანყებული სვანები.

პოლიციის აკადემიის არქივში ინახება სენაკის მაზრის დამკომის წევრის აკაკი კალანდარიშვილის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების ჩანაწერი: ,,26 აგვისტოს მე ვიყავი სენაკში, ჩემს სახლში, როდესაც მოუვიდა ბრძანება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებულს, თედო ესართიას აჯანყების შესახებ. გამოსვლები დანიშნული იყო 28 აგვისტოს ღამით. შემდეგ შტაბმა გადაწყვიტა, რომ 200 კაცი მიაჩნიათ საკმარისად და დანიშნეს 2 პუნქტი შეტევისათვის. მე მოვხვდი გამოსვლის ღამეს ერთ-ერთ ასეთ პუნქტში. ეს იყო ეკლესიის ეზოში. როგორც წინასწარ იყო განსაზღვრული, აქ უნდა მოსულიყო 60 კაცი, მაგრამ ღამის 12 საათი, პირველი საათი შესრულდა და დაახლოებით 20 კაცამდე შეიარაღებული გამოცხადდა, დანარჩენი 30-მდე უიარაღო. ამის გარდა ცნობები გვქონდა, რომ შორიახლოს არიან შეიარაღებული ჯგუფები, მაგრამ იმათ გზა აებნათ, თუ ვერ მოასწრეს არ ვიცი, ვერ მოვიდნენ. დაისვა საკითხი ასე-შეეძლო თუ არა ამ რაზმს სენაკის აღება და გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, სენაკი აგვეღო. მეთაურად ამ რაზმს ჩაუდგა დავით მხეიძე, დააწყო სამხედრო წესით რაზმი, უიარაღო ხალხი უკანვე გაისტუმრა და წამოვედით. ჩვენ სენაკი კარგად ვიცოდით და შუაგულში ისე შევედით, რომ არავინ იცოდა, არც არავის გაუგია. როცა აღმასკომს მივუახლოვდით შეგვნიშნეს და ახლა უხმაუროთ აღარ შეგვეძლო წინსვლა. გადავწყვიტეთ ბრძოლის დაწყება. მხეიძემ გასცა ბრძანება. დავიწყეთ სროლა და ვაშას ძახილით წავედით წინ. ჩვენ გვეგონა, რომ ეს ჩვენი გამოსვლები დიდი საიდუმლოებით მზადდებოდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს საიდუმლი მთელს სენაკის მცხოვრებლებს სცოდნოდა. სროლა რომ ატყდა, სუყველა ხმაურით და საშინელი ყვირილით გამოვიდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ აქ ოცი კაცი კი არა, რამოდენიმე ათასი კაცი გამოვიდაო და შეიძლება ესეც იყო მიზეზი, რომ კომუნისტებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობა და ქალაქი დავიკავეთ (იხ. ლ.ჯიქია, ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ. 2017 წ. გვ. 79).

აჯანყებულებმა დაიკავეს სამეგრელოს ყველა ქალაქი და სოფელი. დააპატიმრეს სამსონ მამულია, ანა მამულია, ვანო ჩაკვეტაძე, ესტატე გვილავა, პანტე ნაჭყებია, იასონ ნადარაია და სხვები. ეტლზე დასვეს რამდენიმე მღვდელი და ქალაქი ახალ-სენაკი და მისი შემოგარენი აკურთხებინეს. შეადგინეს დროებითი მთავრობა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა (იხ. ლ. ჯიქია, დისერტაცია გვ. 150).

1924 წლის გამოსვლები შემთხვევით არ იყო დაკავშირებული 28 აგვისტოსთან, მარიამობის რელიგიურ დღესასწაულთან; თვით აჯანყების შტაბი შიომღვიმის მონასტერში მდებარეობდა.

არასრული მონაცემებით სენაკის მაზრიდან აჯანყებაში მონაწილეობდა 59 მღვდელი. სამღვდელოება წინ მიუძღოდა ამბოხებულებს და მოითხოვდა სარწმუნოების თავისუფლების აღდგენას.

კომუნისტებს 29 აგვისტო დასვენების დღედ ჰქონდათ გამოცხადებული. აგარაკ ,,ჩეგოლა“-დან მომავალი მაკარ ბედია ნოქალაქევში დარჩა. ძველი სენაკის რაიონში მყოფმა კომუნისტებმა ადგილობრივი საგანგებო სამეული შექმნეს: ლავრენტი დავითაიას, მიხეილ გოგიასა და ი. ბეჭვაიას შემადგენლობით.

ბოლშევიკებმა ანაკლია-სოხუმში ზღვიდან გადმოსხეს რამდენიმე დესანტი, მათ შეურეთდნენ ლაკობას ხელმძღვანელობით აფხაზი ბოლშევიკები. თბილისიდან წამოვიდა რუსისა და სომხის წითელი ჯარი. ფოთიდან შემოვიდა ქვემეხებით აღჭურვილი ჯარი. სვანეთში შემოვიდნენ წითლები ყარაჩაიდან.

გოგილო ბასილაია წერს: ,,1924 წლის აჯანყებამ მოულოდნელად იფეთქა სალხინოს რაიონშიც. მაგრამ მისმა რაიპარტკომის პრეზიდიუმმა, რომელსაც უკვე ჰყავდა კარგად შეიარაღებული საპოლიციო სამსახური ბათუ კეკუტიასა და ძაკი სხულუხიას შემადგენლობით, შეძლო სწრაფი რეაგირებით აჯანყების ადვილად ჩახშობა...სალხინოს რაიონში სერგო ორჯონიკიძის და საშა გეგეჭკორის რაზმები არ შემოსულან, რადგან რაიონის ხელმძღვანელობამ საკუთარი პოლიციის ძალებით უზრუნველყო აჯანყების ლიკვიდაცია და წესრიგის შენარჩუნება“ (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 166).

არასწორ დასკვნას აკეთებს გოგილო ბასილაია, გ. საითიძის წიგნიდან გადმოწერილი ფაქტების: ,,სამაზრო აღმასკომის თავ-

ჯდომარე ამხ. ს. მამულია დაუჭერიათ და წაუყვანიათ ციხეში თავის ცოლთან ერთად... დამარცხებულმა აჯანყებულებმა მძევლად წაიყვანეს 20 კაცი...მათ თავი შეაფარეს მარტვილ-სალხინოს მთაგორიან ადგილებს და დატყვევებული სენაკელი ბოლშევიკებიც თან წაიყვანეს. მაშინ იარაღით ხელში საშა გეგეჭკორი რამდენიმე ამხანაგთან ერთად თვითონ წავიდა მეგობართა დასახსნელად და უზრუნველყო კიდეც მათი განთავისუფლება“ (იხ. გ. საითიძე, ,,სამსონ მამულია“, თბ. 1969, გვ. 81).

,,ზუგდიდისა და ახალ-სენაკის რაიონებში ბანდიტებმა მოითხოვეს შერიგება საზღვარგარეთ მათი გაშვების პირობით. მაგრამ ჩვენი რაზმები ბანდიტებთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავიდნენ და განაგრძნობდნენ მათ დევნას. დაჭერილი ბანდიტები დახვრეტილ იქნენ (იხ. გაზეთი ,,მუშა და გლეხი“, 1924 წლის 7 სექტემბერი, N35).

აჯანყებულებმა სოფელ ჯვარის ეკლესიასთან ტყვეები, არჩილ რუხაძის და სამსონ მამულიას გარდა, ყველა გაანთავისუფლეს. აჯანყებულებმა ა. რუხაძის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკება სცადეს, თუმცა უშედეგოდ (იხ. ლ. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 151).

,,ქვემო სვანეთში მყოფ აჯანყებულებს 1924 წლის 11 წექტემბერს სოფ. ლექსურაში ზემო სვანეთიდან მოსული აჯანყებულები შეუერთდნენ, რომელთა შორის იყვნენ სამეგრელოს აჯანყების მეთაურები: ხარიტონ ლაშხია, დავით მხეიძე, შალვა კალანდარიშვილი, აკაკი კალანდარიშვილი, თეოფანე შენგელია და სხვები, სულ 120 კაცი (სამეგრელოში აჯანყების დამარცხების შემდეგ მათ სვანეთის ტყეებს შეაფარეს თავი (იხ. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).1925 წ. გვ. 113).

როგორ უზრუნველყო საშა გეგეჭკორმა მამულიას და რუხაძის განთავისუფლება უცნობია. მძევლების იარაღით განთავისუფლებაზე, სალხინოს რაიონის ხელმძღვანელების, სალხინოელი პოლიციელების გმირობაზე არავის-არაფერი სმენია.

ცნობილია: ,,1924 წლის სექტემბერში, სენაკისკენ მიმავალ დაკავებულთა 21-კაციან ჯგუფს, ლაზარიების აღმართის დასაწყისში შემოხვდათ სალხინოსკენ მომავალი სენაკის სამაზრო აღმას-

კომის წარმომადგენლები, რომლებმაც ბადრაგის ხელმძღვანელს გულცივად მკაცრი მითითება მისცეს; სენაკში, პატიმართა სათავსის არყოფნის გამო, ადგილზე მოეხდინათ დაკავებულთა ლიკვიდაცია“ (იხ. გ. ბასილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 165).

ბურუსითაა მოცული ხვანჭკირის ტრაგედია. წყაროსთან 3 პატიმრის განთავისუფლებას, 18 ადამიანის დახვრეტას არავინ უარყოფს. საეჭვოდ მიგვაჩნია დადიანების სასახლეში დაკავებულები სენაკის ციხეში ადგილების არ ქონის გამო დაეხვრიტოთ. ვერ დავიჯერებთ, რომ სენაკის მაზრის აღმასკომის წარმომადგენლებს, საშა გეგეჭკორთან შეთანხმების გარეშე, ვინმეს დახვრეტაზე, თუნდაც ჩურჩული გაებედოთ.

,,კომუნისტებმა ადგილობრივი ვაჭრებისგან წართმეული თოკებით შეუკრეს ხელები ბანძის სინაგოგაში გამომწყვდეულ პატიმრებს, ერთმანეთზე გადააბეს და გაუყენეს ახალ-სენაკის გზას, სადაც საშა გეგეჭკორის ბრძანებით, თავი უნდა მოეყარათ სენაკის მაზრაში დაპატიმრებულ აჯანყებულთათვის. თითქოს იქ უნდა მომხდარიყო მათი დაკითხვა და გასამართლება. აჯანყებულთა ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი-შეიარაღებულმა ბადრაგმა იცოდა, რომ პატიმრები გზაში უნდა დაეხოცათ“ (იხ. ი. კეკელია, გაზეთი ,,ჭყონდიდი“, 2001 წლის მაის-ივნისი, N4).

ამ წერილიდან ვიგებთ, რომ აჯანყებულები დახვრიტეს სოფლის ბოლოს, აბაშას მარჯვენა ნაპირზე. იმ ადგილს მოსახლეობა დღესაც ,,კოჩგენაyვილას უწოდებს. საშა გეგეჭკორის დეიდაშვილმა მენიკი ფარულავამ, 40 დღის შემდეგ შეძლო მოკლული შვილის, ჭიკვიტი შელეგიას ცხედრის მოპარვა, მანამდე ცარიელ კუბოს დასტიროდა თურმე.

25 წლის შემდეგ, მენიკი ფარულავამ სამჯერ ამოთხარა შვილის მკვლელი საფლავიდან და ღორებს მიუგდო საჯიჯგნად... სწორედ ეს შემზარავი ფაქტი დაედო საფუძვლად საკმაოდ გახმაურებულ კინოფილმს-,,მონანიებას“.

სენაკის მაზრის პოლიციის უფროსის, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის განყოფილებებისადმი გაგზავნილ წერილში წერია, რომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული პატიმრები გაქცეულან (იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,

ფონდი 285, სენაკის მაზრის პოლიციის უფროსის წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიციის განყოფილებას).

,,სენაკის აღმასკომის თავმჯდომარე, მთელი მისი ოჯახით სადღაც ტყეში გაიტაცეს. გადავწყვიტეთ გვემოქმედა უაღრესად გაბედულად. უკეთესია რამდენიმე ათეული მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის მსხვერპლად გაწირვა, ვიდრე მუშის ან გლეხის ერთი წვეთი სისხლის დაღვრა“ (იხ. ორჯონიკიძე, ,,სტატიები და სიტყვები“, ტ I, 1957, გვ 540).

სერგო ორჯონიკიძის განცხადება აჩენს კითხვას: ვისი სისხლის ფასად გაანთავისუფლეს სენაკის აღმასკომის თავჯდომარე? მამულიას განთავისუფლების მიზნით, ხომ არ დაიგეგმა ხვანჭკირის და ,,კოჩგენაyვილას“ ტრაგედიები?!

სასაცილოდ გვეჩვენება სალხინოს რაიონის ხემძღვანელობის უნარიანობაზე საუბარი. უშიშროების არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ლევან ჯიქია ამტკიცებს, რომ აჯანყებულები სალხინოს რაიონში 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ ძალაუფლებას. მათ დადიანების სასახლის სარდაფში ყავდათ დამწყვდეული რაიონის ხელმძღვანელობა. სალხინოს რაიონიდან შეიჭრნენ აჯანყებულები მარტვილის რაიონში. სალიპარტიანოს რაიონის მოსახლეობა სხვებზე მეტად აქტიურობდა 1924 წელს და ამიტომაც დასაჯეს ხვანჭკირის ტრაგედიით.

,,1924 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტისა და წითელი არმიის შტაბის განკარგულებით კომუნარები ლ. დავითაიას მეთაურობით აჯანყებულებისგან სოფლების: ლეძაძამეს, თამაკონისა და სალხინოს გასათავისუფლებლად გაიგზავნენ. მათ ახალსენაკის და ნოქალაქევის რაიონის კომუნარებიც შეურთდნენ. ყველა ამ ძალის მეთაურად ლ. დავითაია დაინიშნა. მან დასახელებული სოფლები აჯანყებულებისგან სრულად გაათავისუფლა“ (იხ. სშსსა (III), ფონდი N14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 161).

2003 წელს ისტორიკოს შოთა კუკანიას ჩაუწერია, აჯანყების თვითმხილველ, 1910 წელს დაბადებულ ა. კოკაიას მონაყოლი: აჯანყებულებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს დიდი ჭყონსა და სალხინოში, დააპატიმრეს ბოლშევიკი ხელმძღვანელები თვით

სამაზრო კომიტეტის მდივნის ჩარგაზიას ჩათვლით. პატიმრები მოათავსეს დადიანების სასახლის სარდაფში. აჯანყებულების წინააღმდეგ ხელისუფლებამ გამოგზავნა დამსჯელი რაზმი. შეტაკება მოხდა მდ. აბაშისპირას. ქვემეხის ორი ჭურვი დაეცა ნაფოსტარის ფერდობს. აჯანყებულები ბოლშევიკებმა იმავე სარდაფში გამოკეტეს სადაც თავად იყვნენ მოთავსებული ადრე. ხვანჭკირში დახვრიტეს დიდი ჭყონელები: უ. ბეჭვაია, ლ. კოკაია, მ. ქაჯაია (იხ. შ. კუკანია, მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი).

1977 წლის 31 მაისს გაზეთ ,,შრომის დროშა“-ში გამოქვეყნდა პენსიონერი პედაგოგ ნ. წულაიას მოგონება: ,,გაიგო რა აჯანყების შესახებ, საშა გეგეჭკორმა მებრძოლი რაზმი ჩამოიყვანა მარტვილელ ბოლშევიკთა დასახმარებლად. მათ რამოდენიმე ქვემეხი ქონდათ, მარტვილის მისადგომებთან რაზმს შეუერთდნენ ქუთაისის არტილერისტი კურსანტები, რომელთაც ტალახაძე ხემძღვანელობდა. (ტალახაძემ გასცა ბრძანება ზესტაფონში, ვაგონებში ხალხის დახოცვის). ადგილობრივი ბოლშევიკების, საშას რაზმისა და კურსანტ არტილერისტთა ერთობლივი მოქმედებით მენშევიკები განადგურებულ იქნენ“.

წულაიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ დამხმარე ძალის (არტილერიის) მოსვლამდე ადგილობრივი ბოლშევიკები ტყეში იყვნენ დამალულები. ნ. წულაია და ოქროპირ ბჟალავა სურსათს უზიდავდნენ ტყეში დამალულებს.

,,მენშევიკთა ავანტიურის ლიკვიდაციისთვის თბილისიდან ჩამოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები“ (იხ. კირილე ერქვანია, ,,შრომის დროშა“ 1987 წლის 13 ოქტომბერი).

,,1922 წელს შეიქმნა კომკავშირის ნაფოსტარის უჯრედი, რომელსაც უფასოდ დაუთმო ბინა ოქროპირ კოკაიამ. კომკავშირის ნაფოსტარის უჯრედის წევრები იარაღით ხელში იბრძოდნენ 1924 წლის აგვისტოში მენშევიკების მოწყობილი ბანდიტური გამოსვლის წინააღმდეგ“ (იხ. ალ. კოკაია, გაზეთი ,,ახალგაზრდა კომუნისტი“, 1971 წლის 28 სექტემბერი, N115).

გაზეთ ,,შრომის დროშა“-ს 1977 წლის 8 დეკემბერის ნომერში დაიბეჭდა რეზო კოკაიას წერილი-,,უბერებელი პედაგოგ-რევოლუციონერი“ :1941-1947 წლებში დიდი ჭყონის N2 ჩაის ფაბრიკის კომენდანტის, სამეურნეო ნაწილის გამგის ტარასი ბეგლარის ძე

ნადარაიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ ტარასი ნადარაია სოფლის გამოჩენილ რევოლუციონერებთან (ისაკი, იუ, პორი და იასონ ნადარაიებთან) ერთად აჯანყებულებს მოუთავსებიათ პრინცის დოხორეში (დადიანების სასახლეში).

ტარასი ნადარაიას მტკიცებით აჯანყებულებს დაპატიმრებულთა დახვრეტა გადააფიქრებინა ექიმმა ბეგლარ გობეჩიამ. პატიმრებს მარტვილის მხრიდან ესმოდათ გამაყრუებელი ბათქი. ,,წითლების ნაოღალევში შემოსვლის შემდეგ აჯანყებულებმა კარები თავად გაუღეს პატიმრებს. სალხინოში შემოსულ რაზმს ხელმძღვანელობდა საშა გეგეჭკორი. იმავე დღეს სალხინოში შექმნილა 21 კაციანი რაზმი რომელთა რიგებში ტარასიც ერია. რაზმს დაევალა დადევნებოდა და გაენადგურებინა მენშევიკები, რაც მათ პირნათლად შეასრულეს, კურზუსა და ლებარდეში ლაშქრობით, საიდანაც 120-მდე დაპატიმრებული მენშევიკი სალხინოს ციხეში შერეკეს. მეორე დღეს რაზმმა ილაშქრა კიწიასა და თამაკონში“.

10 სექტემბერს სენაკის მაზრის რაიკომებს გაეგზავნა ცირკულარი: 1) შეწყვიტეთ ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეებისთვის პირუტყვის ჩამორთმევა 2) არსებული რაზმები, რომლებსაც მეთაურობენ კვანტალიანი, ნადარაია და ჩაჩიბაია, სურსათ-სანოვაგეს ყიდულობენ. 3) დანარჩენი რაზმები კვანტალიანი, ნადარაია და ჩაჩიბაიას გარდა იშლებიან. 4) მსხვილ მემამულეებს, თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას უნდა ჩამოერთვას ყველა შენობები გარდა პატარა მიწური სახლებისა, რომლებიც დაუტოვეთ საცხოვრებლად (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 42, ფ. 85).

აჯანყება დამარცხების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მდივანი ლომინაძე პოლიტბიუროს საიდუმლოდ სწერდა, რომ 1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა და მან ზოგან მთელი მაზრებიც მოიცვა, მაგალითად გურიასა და სამეგრელოში. უშიშროების მონაცემებით, სამეგრელოდან აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 8599 კაცმა.

უახლესი ისტორიისა და უშიშროების არქივებში დაცული დოკუმენტების თანახმად: მარტვილის ზემო ზონაში 1924 წელს ცხოვრობდა 14 686 სული, საიდანაც აჯანყებაში მონაწილეობა მი-

იღო 446 კაცმა; მარტვილის რაიონში ცხოვრობდა 17 160 სული, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 247 კაცმა; ბანძას რაიონში ცხოვრობდა 16 375 სული, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 253 კაცმა.

სალხინო-დიდი ჭყონის რაიონში აჯანყებაში მონაწილე 446 კაციდან 20 საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურე იყო, 12 მოსწავლე, 2 მღვდელი, 5 ყოფილი თავადი, 73 ყოფილი აზნაური, 6 ვაჭარი, 24 ღარიბი გლეხი, 19 საშუალო გლეხი, 84 ბობოლა გლეხი, 81 სოციალ-დემოკრატი, 6 სოციალ-ფედერალისტი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი, 86 ეროვნულ-დემოკრატი...(იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 42, ფურცლები 13-18).

აჯანყებულები 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ: სალხინოს, კურზუს, თამაკონს, კიწიას, დიდი ჭყონს. ,,მათ კომუნისტები (კომუნარები და მილიცია) საკუთარ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. შეტაკების დროს ორი კომუნარი დაიჭრა. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის აღდგენა, ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება.

კურზუს თემიდან აჯანყებაში მონაწილეობდა-72 კაცი, თამაკონიდან-117, კიწიიდან-145.

სალხინო-დიდი ჭყონის თემიდან აჯანყებაში მონაწილეობა 112 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულების 5 მოსამსახურე, 31 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალ-ფედერალისტი, 2 სოციალის-რევოლუციონერი, 17 ეროვნულ-დემოკრატი (იხ. ლ. ჯიქია, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ. 2017 წ. გვ. 25).

დაიწყო რეპრესიები 1924 წლის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისთვის დააპატიმრეს ვასილ (ტუტუ) გუიას ძე დგებუაძე. უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დიდი ჭყონის საბჭო აჯანყების შემდეგ შეიქმნა. თავადი ვასილ დგებუაძე და ყველა მისი თანასოფლელი სალხინოს თემში ცხოვრობდა.

სოფელ სალხინოში მცხოვრებ ანგელინა ჯანჯღავას გადმოცემით: აჯანყებაში მონაწილეობა მიუღიათ მის ბიძიებს, ჭყონში მცხოვრებ, ოციმესთან სავაჭრო დუქნების მფლობელ უთუ და

ისიდორე ჯარუს ძე ბეჭვაიებს, იმ დროს ჭყონში (ოციმესთან) აფთიაქის მფლობელ გაბისონიას. ბოლშევიკებმა სამივე დააპატიმრეს, დაამწყვდიეს დადიანების სასახლეში. ისიდორემ გაქცევა მოახერხა, გაბისონია და უთუ ბეჭვაია დახვრიტეს ხვანჭკირში.

ისიდორე ბეჭვაია გარდაიცვალა 1965 წლის მარტში (იხ. ,,საბჭოთა აფხაზეთი“ N58, 1965 წ 24 მარტი).

თებრო წულაიას შვილიშვილისთვის, ჟორა ქვარცხავასთვის უთქვამს: დახვრეტილებისთვის მიწის დაყრა დაუვალებიათ მისი მეუღლე ფილიპე ქვარცხავასთვის, რომელიც იქვე, ხვანჭკირში მიწას ამუშავებდა. უთუ ბეჭვაიას თხოვნა-ცოცხალი ვარ, მიწა არ დამაყარო, იქვე მდგომ პოლიციელს გაუგია და დაჭრილი ბეჭვაია მოუკლავს. სახლში მისული ფილიპე ქვარცხავა ხვანჭკირის ტრაგედიიდან ერთ კვირაში გარდაიცვალა (უთუ ბეჭვაია მისი ნათესავი იყო).

ნელი ისიდორეს ასულ კობახიძის გადმოცემით: 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს 6 ნამიკოლაოელი, რომელთაგან ხვანჭკირში დახვრეტილი პართენ კოკაიას ნეშტი ძმამ მოიპარა და საკუთარ ეზოში დამარხა. აჯანყებაში მონაწილეობდა გრიგოლ ჯანაშია.

პართენ კოკაიას ძმისშვილის, ლეილა კოკაიას გადმოცემით: პართენ ივანეს ძე კოკაიას ოჯახი ხელისუფლებამ აიძულა, რომ ცხედარი გადაესვენებინათ სოფლის სასაფლაოზე (იხ. მურმან წოწორია, ,,სიჩუმის ხმაური“, 2018 წ).

ამირან მიხეილის ძე ჯანაშიას გადმოცემით: აჯანყებას თამაკონის თემში ხელმძღვანელობდა იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია. დიდი ჭყონის და სალხინოს პოლიციის განიარაღებაში მონაწილეობა მიუღიათ მის მამას და ბიძას (ივანე ჯანაშიას).

ბოლშევიკებმა იპოლიტე ბარამია ხვანჭკირში დახვიტეს. მისი ცხედარი ოჯახმა მოიპარა და ეზოში დამარხა. ამირან ჯანაშიას კარგად ახსოვს შვილის საფლავთან დამხობილი დედა. იპოლიტე ბარამიას ცხედარი მისი სტუდენტობის პერიოდში გადაასვენეს მეორე ნამიკოლაოს სასაფლაოზე.

მიხეილ ჯანაშიას გადმოცემით: 1924 წლის 28 აგვისტოს ღამეს, სოფელ ნამიკოლაოში, იპოლიტე ბარამიას ოჯახში ერთად იყვნენ: იპოლიტე ბარამია, მიხეილ და ივლიანე ჯანაშიები. ღამით სახ-

ლში მოვიდა თედო ესართია, რომელმაც აჯანყების გეგმა გააცნო ბარამიას.

მიხეილ ჯანაშია 1936 წლამდე მუშაობდა პატარა ლილოს, ზემო ალვანის, ქვემო სიმონეთის, ხიდისთავის სკოლებში მასწავლებლად. აჯანყებიდან 12 წლის შემდეგ ,,მოიძებნა“ მისთვის დიდი ჭყონისა და ნამიკოლავოს სკოლებში ადგილი (მიხეილ ჯანაშიას შვილიშვილია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია).

დამკომის წევრებს დახვრეტა შეუცვალეს გადასახლებით 2 მიზეზის გამო: 1) აჯანყების ჩაქრობამდე ათასობით ადამიანი დახვრიტეს, ანუ საკმარისი სისხლი გამოუშვეს; 2) საზოგადოებაში შექმნეს აზრი-ლიდერებს აპატიეს, ხალხი დაიღუპა.

უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების თანახმად თედო ესართია არალეგალურ მდგომარეობაში ყოფილა 1921-1926 წლებში. კომუნისტებს 1926 წლის შემოდგომაზე მოუხერხებიათ მისი დაჭერა. 1927 წლის 3 იანვარს მიუსჯიათ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. გადასახლებაში ყოფილა 8 წელი. გადასახლებიდან დაბრუნებული ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, ამბობდა: საბჭოთა კავშირი დაიშლება და იქნება ახალი სახალხო ხელისუფლება. თედო ესართია 1936 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს (იხ. პოლიციის აკადემიის არქივი, ფონდი 08, საქმე 2013).

პარტიის ისტორიის არქივში ინახება სენაკის მაზრის ხელმძღვანელ სამსონ მამულიას მიერ 1927 წლის 24 ივლისს ინფორმპუნქტში გაგზავნილი საიდუმლო წერილი: სალხინოელმა ამხანაგებმა მაცნობეს თითქოს მოქალაქე თედო ესართია იყოს გამოპარული გადასახლების ადგილიდან. ამბობენ, ვიღაცას უნახავსო. შეეკითხეთ პოლიციის სამმართველოს, იმყოფება თუ არა ესართია გადასახლების ადგილას (იხ. ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 101, ფურცელი 16).

მეგობრის, ჯღაკუ ცქვიტაიასადმი გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილში ესართია წერს: ,,ერთი თვის წინათ კინაღამ ვუფეშქაშე ჩრდილო-ყირგიზეთის სამარეს ჩემი გაოხრებული თავი...სოფელში მინდა მშობელ მიწას მივებარო...საქართველოს ნაზი ბუნების შვილს საქართველოში დამარხვა მირჩევნია“ (იხ. მაკა და ელიზა კალანდია, ,,კურზუ და კურზუელები“, ქუთაისი, 2004 წ. გვ. 40).

პარიზში 1930 წლის იანვარში გამოცემული გაზეთი ,,ბრძოლის ხმა“ აუწყებს მკითხველს, რომ ნარიმანის მხარეში იმყოფება პოლიტპატიმარი თედო ესართია. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის არქივში ინახება ნარიმანის მხარეში მყოფი პოლიტპატიმართა ერთი ნაწილის სურათი, რომელზეც გამოსახულია თედო ესართია.

დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში 1934 წელს შედგენილ საკომლო დავთარში სწერია, რომ თედო ესართია ცხოვრობდა დიდი ჭყონში.

დიდი ჭყონელი ბონდო და ლიანა ბეჭვაიების გადმოცემით: თედო ესართიას მეუღლე-ფედოსია მებონია, შვილებთან ერთად ცხოვრობდა დიდი ჭყონში, იქ სადაც ემზარ კვაშილავას ოჯახი ცხოვრობს ამჟამად. დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის ბაღში მასწავლებლად მუშაობდა თედოს ქალიშვილი. 1957 წელს ესართიები საცხოვრებლად გადავიდნენ გაგრაში.

კურზუს სკოლის მასწავლებელ მურად ესართიას გადმოცემით: თედო ესართიას ვაჟი, ხუტა ესართია 1988 წელს სტუმრად იყო მასთან. ხუტა თავის 2 ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა თბილისში. მას ყოლია ნათესავები სალხინოში.

ქართველების ცნობიერებაში 1924 წლის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. არადა: მაზრებში ადგილობრივი დამკომი ნიშნავდა სამხედრო ხელმძღვანელს და შტაბის უფროსს. საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აჯანყების ერთ კაცთან, ერთ მაზრაში აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელთან დაკავშირება, ათი-ათასობით ადამიანის უპატივცემლობაა, ამ აჯანყების მნიშვნელობის ვერ გააზრებაა.

აჯანყებულებმა აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში დაამარცხეს საბჭოთა ხელისუფლება. ნოე ჟორდანიას განმარტებით, აჯანყებას დასავლეთ საქართველოში ჰქონდა ხალხური, აღმოსავლეთში-რაზმული ხასიათი. დასავლეთ საქართველოში ხანდაზმული ადამიანებიც ითხოვდნენ იარაღს.

1924 წლის აჯანყება უმაგალითოა ქართველი ხალხის აჯანყებათა ისტორიაში. ეს იყო სრულიად საქართველოს აჯანყება.

აჯანყების მონაწილეებმა იცოდნენ გაცემული რომ იყვნენ და აჯანყებაზე მაინც არ აიღეს ხელი. უმაგალითოა იმით, რომ ამ აჯანყება მოჰყვა ყველა სხვა ამბოხზე დიდი მსხვერპლი. 1924 წლის აჯანყება უპრეცედენტოა მსოფლიოს აჯანყებათა ისტორიაში იმით, რომ მეამბოხეებს არ დაუსჯიათ არცერთი მოწინააღმდეგე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეტაკების დროს დაღუპულებს. ეს იყო თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ამბოხი მისი ისტორიის მანძილზე. უცხოელ ისტორიკოსთა მტკიცებით: 1924 წლის აჯანყება საბჭოეთის წინააღმდეგ არარუსი ხალხების ყველაზე დიდი ამბოხი იყო. მოსკოვში გამოცემული გაზეთები წერდნენ: განახლდა რუსეთ-საქართველოს ომი, რომ ამ აჯანყებამ მთელი მსოფლიო- საქართველოზე ააყვირა.

მართალია 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ 1924 წელს ქართველმა ერმა ზნეობრივად დაამარცხა მონსტრი-საბჭოთა კავშირი. ყველას უნდა ესმოდეს, რომ 1924 წლის აჯანყება ერთ-ერთი ის კარია, რომლითაც ჩვენი ქვეყანა გაეროსა და ევროსაბჭოში შევიდა 25-30 წლის უკან.

ირაკლი ცაგურია

მარტვილელ ირაკლი ცაგურიას გმირობებზე ლეგენდები დადიოდა მენშევიკურ საქართველოში. ის იყო 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. მას უნდა აეღო ვაზიანი, შემდგომ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად- ქალაქი თბილისი.

დევნილთა სამინისტროს ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციების მოძიებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის დავით ფეიქრიშვილის მიერ, 2020 წლის 28 ოქტომბერს ინტერნეტში mematiane ge-ში ატვირთული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია მარტვილიდანაა.

პაატა ცხადაიას განმარტებით დიდი ჭყონში ოხვამეკართან (ჟინოთის სასაფლაოსთან) ცხოვრობდნენ ცაგურიები. (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 406).

მარტვილის მუზეუმში დაცული დოკუმენტების თანახმად ბეჟან კაციას ძე დადიანი, თავად დიმიტრი დგებუაძეს უბოძებს აზნაურ გიორგიტა ცაგურიას ოჯახს (ხ. მ. ფ. 11221 ა-1934). მართა დადიანის წყალობის წიგნში ბეჟან დგებუაძისადმი წერია: მამა-შენს, დიმიტრი დგებუაძეს მტყვე გაექცა აფხაზეთს ცაგურიას შვილი და ის მე დავიხსენი... ის ცაგურია ჩემის თეთრით და იმ სახსარ თეთრიშიდ გლეხი მყავდა მამის შენის და მე თქვენ გიბოძეთ რომელსაც ვაწერ ხელსა ჩემსა (მარტვილის მუზეუმი დოკ. ა-1935).

1913 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრი იყო ბესარიონ მიხეილის ძე ცაგურია.

მარინა თოფურიას გადმოცემით: XIX საუკუნეში ბორჯომის მთავარეპისკოპოსად მსახურობდა ივანე ცაგურია, რომელსაც 1837 წელს გამოუცია წიგნი-,,ჟამნი". აღნიშნული წიგნი ინახებოდა მის ოჯახში და აჩუქა მიტროპოლიტ პეტრეს.

2016 წელს ,,ხაშურის მოამბე"-ში (N6) გამოქვეყნდა წერილი, რომლის თანახმად: ბესარიონ ივანეს ძე ცაგურიას ოჯახი სურამში დამკვიდრდა XIX საუკუნის ბოლოს. ამ ოჯახში იზრდებოდა 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი. ზოგიერთმა მათგანმა დაამთავრა ხაშურის ვაჟთა გიმნაზია.

ცაგურიების 3 ვაჟი-შალვა, ნიკოლოზი და ირაკლი ბელგიაში აღმოჩნდნენ 20-იანი წლებიდან. დარჩენილებს ჩამოართვეს სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. თამარი და მარიამი პედაგოგები იყვნენ, ვლადიმერი- იურისტი. სურამში 1986 წლამდე ცხოვრობდა მარიამ ცაგურია. იგი სხვადასხვა დროს ასწავლიდა ხაშურის გიმნაზიაში, სურამის სკოლებში.

ირაკლი ცაგურია, ,,პოლკოვნიკი სურამელი" წიგნში ,,საქართველო გოლგოთის გზაზე" განმარტავს, რომ მისი მშობლები 1924 წელს ცხოვრობდნენ სურამში. ცაგურიას წიგნიდან ირკვევა, რომ ის კარგად იცნობს მარტვილს და მარტვილელებს; იყო თავად-აზნაურთა წრიდან. მისი წიგნიდან პირველად გავიგე, რომ საშა გეგეჭკორი გაქურდვის მიზნით საკუთარი საყვარლის მკვლელობისთვის დონის როსტოვში იხდიდა სასჯელს. გეგეჭკორის რაზმელების სიმხეცის შემყურე დ. მხეიძე გონებიდან შეიშალა ევროპაში. აჯანყების შემდგომ, გეგეჭკორის რაზმელებ-

თან ერთად, სამეგრელოს არბევდა აფხაზთა რაზმი ლაკობას ხემძღვანელობით.

2022 წლის სექტემბერში სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ წერილში ირაკლი ცაგურიას შვილიშვილი პიერ ცაგურია წერდა: ,,95 წლის ასაკში გარდაიცვალა ჟანი კოლონელ ცაგურია. ის ირაკლი ცაგურიას ვაჟი იყო.

ჟანი ცაგურია საფრანგეთში დასახლდა 1959 წელს, როგორც ფერმერი, ხშირად ამბობდა, რომ მიწაზე ისევე მუშაობდა, როგორც მისი წინაპრები. ღვინის და ვაზის მიმართ მისი სიყვარული განსაკუთრებული იყო. მოგვიანებით მასწავლებელი გახლდათ ისევ აგრარულ სფეროში“.

მარინა ცაგურიას გადმოცემით, პიერ ცაგურია რამდენიმეჯერ ჩამოვიდა გურძემში, მოინათლა მართმადიდებლად, იცის ქართული.

ირაკლი ცაგურია დაიბადა 1896 წელს. სავარაუდოდ 1915 წელს პრაპორშიკის წოდებით დაამთავრა პეტროგრადში მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. 1919 წლის 1 ივნისს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1924 წლის აჯანყების შემდგომ ცხოვროდა ბრიუსელში, გარდაიცვალა 1969 წელს.

ცაგურიას გმირობაზე თვითმხილველი წერს: 1917 წლის 17 ივლისს პეტერბურგში დემონსტრაციაზე 500 ათასამდე კაცი გამოვიდა. დიდი ნაწილი შეიარაღებული იყო. ფაქტობრივად ყველაფერი მზად იყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის, დააპატიმრეს მიწათმოქმედების მინისტრი ჩერნოვი, იყო მინისტრ ირაკლი წერეთლის დაკავების მცდელობა. დროებითი მთავრობის ნაწილი გადადგა, ნაწილი კი ბედს მინდობოდა. უკვე გამოცხადებული იყო ახალი მთავრობა ლენინის მეთაურობით. ირაკლი ცაგურიამ მარტომ, დარჩენილი ერთი ზარბაზნიდან გახსნა ცეცხლი. ჯერ ჩააჩუმა ტყვიამფრქვევი ხიდზე, შემდგომ რამდენიმე გასროლით ბრბოც გაფანტა (იხ. ბ. ნიკიტინი, ,,საბედისწერო წლები“, ,,ხაშურის მოამბე“ 2016 წ., N6).

მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში 1917 წლის 1 (14) ოქტომბერს მოხდა უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარქის კირიონ II-ის ინტრონიზაცია (აღსაყდრება). მცხეთობის დღესასწაულს დაესწრო 11. 000 კაცი. ქართუ-

ლი ჯარის სახელით პატრიარქს აღსაყდრება მიულოცა კაპიტანმა ირაკლი ცაგურიამ (იხ. სერგო ვარდოსანიძე, ,,საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე“, თბ. 2017 წ., გვ. 24).

ი. ცაგურია 1918 წელს სომხებთან ომისას, ალყაში მოექცა და აი მაშინ: ,,ერთად შეკუმშულან 80 მეომარი პოლკოვნიკ ცაგურიას მეთაურობით და მგლის ხროვასავით გარშემორტყმულ მტრისთვის თავზარდამცემი შეჭყივლებით ჰკვეთებიან. პოლკოვნიკ ცაგურიას მიუგდია ცხენი მოიერიშეებზე, გაუკაფავს ხმლით რამდენიმე კაცი და ასე ბრძოლით უვნებლად გამოსულან სამშვიდობოზე. დაჭრილა ცაგურია ბარძაყსა და ხელში ხიშტით.“ (იხ. ა. ჩაჩხიანი, ,,დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“).

,,პოლკოვნიკი ცაგურია ლომი იყო ამ დროს. გაშიშვლებული ხმლით გადახტა მტრის ურდოში და როდესაც მათი წინამძღოლი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი გაჰკეპა, სხვანი დაფრთხნენ და გაიქცნენ“ (იხ. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წ., N 418).

1921 წლის 24 თებერვალს ის მცირერიცხოვანი რაზმით რუსების კავალერიას ეკვეთა, დაიჭრა, მაგრამ მისმა მანევრმა მთლიანად შეაჩერა ჟლობას მოძრაობა (აკაკი კვიტაიშვილი, გვარდიის იმერეთის ბატალიონის უფროსი).

1924 წლის აგვისტოში ირაკლი ცაგურიას უნდა აეღო ვაზიანი და შემდგომ, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად, ქალაქი თბილისი. სამწუხაროდ ცაგურიამ ვერ შეძლო დავალების შესრულება: ვაზიანში რუსებს უფრო მეტი ზარბაზანი ქონდათ, ვიდრე ცაგურიას ჯარისკაცი ჰყავდა.

თედო ესართიას, გიზო ანჯაფარიძის, ირაკლი ცაგურიას, ლეონ დგებუაძის, ნიკოლოზ დგებუაძის სახელები არის ერის კუთვნილება. ისინი ისეთივე გმირები არიან საქართველოსი, როგორც ცოტნე დადიანი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვა. ქართველებს მათი ცნობა გვჭირდება აწყმოდან-მომავალში გადასახედად, ევროკავშირსა და ნატოში შესასვლელი კარების გასაღებად.

არტელები, კომუნები და კოლმეურნეობები

საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში, ინახება: სენაკის მაზრის სოფელ ქვემო ლედგებიეს არტელის წესდება და ოქმი (იხ. ფონდი 288, ანაწერი I, საქმე 2184).

არტელის სახელწოდება ყოფილა ,,ახალი ცხოვრება“. კომუნაში გაერთიანებული ყოფილა 11 კაცი, საიდანაც 25 წლის ენუქი მიხეილის ძე ოჩიგავა ყოფილა უმაღლესი აგრონომიული განათლებით. კომუნა დაარსებულა 1929 წელს. კრების ოქმს წევრებთან ერთად ხელს აწერს დიდი ჭყონის თემის საბჭოს თავმჯდომარე კ. კილასონია. კომუნის წევრები ყოფილან: ერასტო ფირცხალავა, ელიზბარ ფაცაცია, ილია ჩაგუნავა, ენუქი ოჩიგავა, სევერიანე ხარებავა, აკაკი ჩაგუნავა, სტეფანე ჩაგუნავა, მირონ ოკუჯავა.

წევრებს კომუნაში შეუტანიათ სახლები, გამწევი ძალა, საოჯახო ნივთები: ქვაბები, ნაჯახები...

კომუნა მალე დაშლილა, როგორც 84 წლის ჟ. ნადარაია გადმოგვცემს, (2003 წელს ჩაუწერია შ. კუკანიას) კომუნარები ბევრს ჭამდნენ, სვამდნენ და ცოტას მუშაობდნენ.

ამავე არქივის, ამავე ფონდში ინახება სოფელ II ნამიკოლაოში შედგენილი კრების ოქმი (ანაწერი I, საქმე 2266):

1929 წლის 15 მაისს ახალ-სენაკის მაზრის თამაკონის თემის სოფ. II ნამიკოლავოში შედგა სასოფლო-სამეურნეო არტელის დამფუძნებელთა კრება. ესწრებოდა 16 წევრი. არტელს დაერქვა- ,,ჩვენი ნუგეში“.

დაადგინეს: 1) სასოფლო-სამეურნეო არტელის სამოქმედო რაიონში შედის ახალ-სენაკის მაზრის სოფელი II ნამიკოლავო. 2) არტელის საბჭო იმყოფება II ნამიკოლავოში. 3) საწევრო გადასახადი განისაზღვრა 1 მანეთით, საპაიო გადასახადი 10 მანეთით. 4) საქართველოს კოლმეურნეობათა და დიდი ჭყონის სასოფლო -სამეურნეო ამხანაგობაში წევრად შესვლა.

ზემოთაღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ I ნამიკოლავოს უბანი ,,ლეხვიჩიე“ იმ დროს დიდი ჭყონის თემში შედიოდა, ან კიდევ ცალკე სოფელი იყო. არტელი ძირითადად ხვიჩიებისგან და მორგოშიებისგან შედგებოდა. არქივში შენახულ დოკუმენტში ყველგან აღნიშნულია სოფელი II ნამიკოლაო.

ჩვენთვის უცნობია, რამდენ წევრს აერთიანებდა დიდი ჭყონის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, როდის შეიქმნა და როდის დაიშალა.

შ. კუკანიას ხელნაწერი ისტორიიდან ვიგებთ, რომ ჩვენს სოფელში პირველი ასეთი ამხანაგობა, ეგრეთწოდებული ,,სოზი“ დაუარსებია კირილე ერქვანიას. ერთ-ერთ არტელს ხელმძღვანელობდა ტერენტი ახალაია (იხ. გაზეთი ,,მარტვილი“ 2002 წ. 1 ნოემბერი).

,,1927 წელს დიდი ჭყონში შეიქმნა მიწის საზოგადო დამუშავების ამხანაგობა ,,სოზი“. დაიწყო ჩაის პლანტაციებისთვის მიწის დამუშავება. ამხანაგობაში გაერთიანდნენ: აკაკი, დავით, ივლიანე ერქვანიები, დანიელ წოწორია, პავლე ფარულავა, ანტონ ჯანაშია, ივანე და ბეგლარ სხულუხიები. პირველ რიგში ხელი მოკიდეს ჩაის პლანტაციის გაშენებას. ეს ძვირადღირებული კულტურა 2, 5 ჰექტარზე გააშენეს სოფელ მეორე ნამიკოლაოს ტერიტორიაზე ნადოხორუში (ყოფილი თავადის დგებუაძის საბატონო მამულში). ჩაის ეს ფართობი ახლაც უხმოსავლიანია“ (იხ. კირილე ერქვანია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1987 წ, 13 ოქტომბერი, N124, გვ. 3).

1980 წელს გაზეთ ,,შრომის დროშა“-ში კირილე ერქვანიას გამოქვეყნებულ წერილში წერია, რომ დიდი ჭყონის ,,სოზი“-ს თავმჯდომარე ყოფილა აკაკი ერქვანია. სოფელში არსებულა 60-მდე ,,სოზი“, რომელთა გაერთიანებით შემდგომ 5 კოლმეურნეობა შექმნილა. კირილე ერქვანია 1938-41 წლებში ყოფილა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კიმოთე ჯანაშია წერს, რომ დიდი ჭყონის თემის სოფელ ნამიკოლაოში არსებობს ჩაის საზოგადო დამმუშავებელი ამხანაგობა ,,ლენინელის“ სახელწოდებით (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1932 წლის 26 მარტი, N7).

1933 წელს დიდი ჭყონის თემში არსებობდა კოლმეურნეობები: სტალინის სახელობის ოჩეში, კომუნიზმისკენ (ლედგებე), მახარაძის (ჟინოთა), წითელი ოქტომბერი (ლეკოკაიე), ორჯონიკიძის, პირველი მაისის, წინსვლის, წითელი ვარსკლავის, პირველი ახალსოფელის, მეორე ახალსოფელის. კოლმეურნეობა ,,წითელი ვარსკლავის“ წევრები ყოფილან სოფლის ყოფილი მამასახლისები: ალ. ნანავა და ელიზბარ კილასონია. დიდი ჭყონში გამოდიო-

და კედლის გაზეთი ,,წითელი სხივი“ (იხ. გაზეთ ,,სოციალისტური სოფელი“, N 11, 1933 წლის 6 აპრილი). ზემო ლედგებიეში არსებულა ჩაის ,,სოზი“- ,,ირო ართო“.

დიდი ჭყონის თემში 1935 წელს ყოფილა კოლმეურნეობები: მახარაძის, III ინტერნაციონალის, ლენინელის, კუიბიშევის, კომინტერნის, წითელი ოქტომბერის სახელობის. 1936 წელს მეურნეობაში გამოდიოდა კედლის გაზეთი ,, ჩაის მეთვალყურე“.

დონეცკის შახტის მგრეველმა ალექსი სტახანოვმა 1935 წლის 31 აგვისტოს, ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი გამოანგრია და ნორმას 14-ჯერ გადააჭარა.

სტახანოვურ მოძრაობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ჩვენს სოფელში: ვალენტინა კილასონია, ეფროსიმე ბეჭვაია, ნადია წულაია (ბეჭვაია), ცოლ-ქმარი ედუ და ლევან ოკუჯავები, ჟენია კვარაცხელია, ლუბა კილასონია, გოგუცა ჟვანია...

დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნიკო ოკუჯავა) 1937 წელს მუშაობდა 33 სტახანოველი. გაზეთ ,,სოციალისტური სოფელი“-ს 1937 წლის 1 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ილო არაოსიას ლექსი-,,სტახანოველ ედუ ოკუჯავას“.

დამკვრელ კოლმეურნეთა II ყრილობაზე 1935 წელს მიიღეს გადაწყვეტილება გაეხსნათ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. 1939 წელს 1 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელსაც უნდა წარმოეჩინა საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობის მშენებლობების წარმატებები. მარტვილის რაიონიდან 1940 წელს გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 76 კაცმა, მათ შორის 11 დიდი ჭყონელი იყო: დიანოზ გოროზია, ლევან კობახიძე, ნიკოლოზ კილასონია, რაისა ჩეპილოვა, პოლინა ლოზოგუბოვა, ილარიონ გოგინავა, პავლე სელნეცკი, ოლღა სულეიმანი, ტერენტი ნადარაია, ედუ ოკუჯავა, ქსენია გულორდავა (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1940 წლის 27 ივნისი, N30).

,,1965 წლიდან მეურნეობის 20-25 მოწინავე მუშა სისტემატურად მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ფულადი საჩუქრებითა და გამოფენის ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოებული არიან გოგუცა ჟვანია, ტატიანა კობეცი, მარიამ ანდრენჩენკო და სხვები. 2 ბრინჯაოს მედალი აქვს

მიღებული მთავარ აგრონომს-დიონისე გოროზიას. მეურნეობის მაღალი შრომითი მაჩვენებლების უზრუნველყოფისათვის გამოფენის ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მიაკუთვნეს მიხეილ მანიას“ (იხ. მ. მანია, ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს“, თბ. 1971, გვ. 30).

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სამშენებლო გამოფენები გააერთიანეს 1958 წელს.

დიდი ჭყონის ბაზრობა, ქარხნები და ფაბრიკები

დიდი ჭყონში 1924 წელს გაიხსნა ბაზრობა. წელიწადში ერთხელ შემოდგომაზე იმართებოდა ორკვირიანი ბაზრობა. 1935 წლის 9 მაისიდან ერთდღიანი ბაზრობა იმართება კვირაობით. მანამდე იმართებოდა ხუთშაბათობით (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფ. 1, ან 1, საქმე 8, ფურც. 60).

აქ, ბაზრობაზე სავაჭროდ მოდიოდნენ და ამჟამადაც ჩამოდიან მეზობელი სოფლებიდან, რაიონებიდან და ქალაქებიდან. დიდი ჭყონის ბაზარს ქონდა და ახლაც აქვს მჭიდრო კავშირი სხვა ბაზრებთან. აქ შეძენილი პროდუქტები იყიდება: ქუთაისის, სამტრედიის, ფოთის, ბათუმის და თბილისის ბაზრობებზე.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ნაფოსტარში ამუშავდა სახერხი ქარხანა, სადაც არსებულა სადურგლო საამქრო.

მარტვილის რაიაღმასკომის დადგენილებით, 1940 წელს ნაფოსტარის სახერხ ქარხანაში გაუქმდა დირექტორის შტატი, მისი ხელძღვანელობა დაეკისრა ლებარდეს დირექტორს.

1940 წელს დიდი ჭყონის ტორფოფოსფატის ქარხნის მშენებლობისთვის გამოიყო 168 ჰექტარი მიწა. აქედან ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში- 61 ჰექტარი, მახარაძის კოლმეურნეობაში- 77 ჰექტარი, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში -29 ჰექტარი. აგურის ქარხნის მშენებლობისთვის მახარაძის სახ. კოლმეურნეობამ გამოყო 3, 7 ჰექტარი მიწა (იხ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწ. 1, საქმე 29, ფურც. 25).

სოციალურ ქსელში დიდი ჭყონელი კობა გოროზია წერს, რომ კოლმეურნეობის თავმჯომარე დავით გოროზიას (კობას ბაბუას) ნაფოსტარში კოლმეურნეებისთვის გაუხსნია კრამიტის ქარხანა.

1979 წელს ექსპლუატაციაში შევიდა დიდი ჭყონის ვიტამინირებული ფქვილის ქარხანა. დიდი ჭყონის მეურნეობისთვის ჩაის სათბურებში ზრდიდნენ.

სენაკის, ბანძის, აბაშის და დიდი ჭყონის რაიონებში საზოგადოება ,,აბრეშუმ"-მა 16 აპრილიდან დაიწყო თესლის დარიგება, დაარსებულია მისაღები პუნქტები ახალ-სენაკში, აბაშაში, ბანძაში, მარანში, კიწიაში და დიდი ჭყონში (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი", 1927 წლის 21 ივნისი, გვ. 3).

1929 წლის 8 თებერვალს სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: მაზრაში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით ახალი სანერგეები მოეწყოს აბაშის და დიდი ჭყონის რაიონებში.

სოფელ დიდი ჭყონში 1930 წელს არსებობდა აბრეშუმის ფარდული. გაზეთ ,,შრომის დროშა"-ს 1978 წლის 17 ივლისის ნომერში მოთავსებლია სათაო პარკსაშრობი პუნქტის სურათი.

დიდი ჭყონის პარკსაშრობს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ილია ჩაგუნავა, დავით დგებუაძე, ფანია სხულუხია, საშა ჯანჯღავა, ლიმო ერქვანია.

1933 წლის 3 აპრილს გაზეთ ,,კომუნისტის" N 77-ში გამოქვეყნდა წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ იმ დროს დიდი ჭყონში არსებულა ჩაის მიმღები პუნქტი, საიდანაც სენაკის გავლით ჩაქვში იგზავნებოდა, მარტვილის რაიონის დიდი ჭყონის უბანში: სალხინოს, ჭყონის, თამაკონის, კიწიის და კურზუს თემებში მოკრეფილი ჩაი.

მარტვილის რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით, დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკის ტერიტორიიდან 1935 წელს გადაასახლეს კაპიტონ ალექსის ძე ბეჭვაია. ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დაწყებამდე, ფაბრიკის ტერიტორიიდან გასახლებულ იქნა ანტონ მარკოზიას ოჯახი.

დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის მშენებლობა 1930 წელს დაიწყო, დასრულდა 1933 წელს. მის მშენებლობაზე დაიხარჯა 789.400 მანეთი. 1936 წლამდე მუშაობდა ადგილობრივი ძრავებით. თავდაპირველად ის 500 ტონა ჩაის ამუშავებდა. ფაბრიკაში 1938 წლის ზამთარში მუშაობდა 44 მუშა, საიდანაც 22 სტახანოველი იყო.

დიდი ჭყონის N2 ჩაის ფაბრიკამ 1936 წელს დაიწყო მუშაობა. მის მშენებლობაზე დაიხარჯა 3 000 000 მანეთი. ის შედგებოდა 4 საამქროსგან. ფაბრიკაში 1939 წელს მუშაობდა 139 მუშა-მოსამსახურე.

1936 წელს დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა 4 სტახანოველი (იხ. ა. ბრეგვაძე, ,,ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში", თბ. 1969 წ. გვ. 94).

მარტვილის მუზეუმის სტენდზე გამოფენილია ფოტოსურათები: დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის მთავარი კორპუსის; 1940 წელს გადაღებული დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის კოლექტივის (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო ტ. II, გვ. 135).

,,წელს სასიხარულო ცნობა მოვიდა: დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკამ, რომელსაც ბიქტორ ხვიჩია 14 წელია ხელმძღვანელობს და რომელსაც მთავარ ინჟინრად, აგერ 25 წელია, დავით შანიძე ჰყავს, საკავშირო გარდამავალი დროშა მიიღო.

ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 2211 ტონა ჩაის ფოთოლი. სახელმწიფოს ჩააბარა 544 ტონა ჩაის პროდუქცია" (იხ. ჟურალი ,,საქართველოს ქალი", 1967 წლის N4).

სხვადასხვა დროს N1 ჩაის ფაბრიკას ხელმძღვანელობდნენ: ვლადიმერ ბეჭვაია, ნადია ცომაია, პ. გაგუა, მიხეილ ჟვანია, კირილე კოკაია, დავით გეგელია, ბიქტორ ხვიჩია 1953-1973 წლებში, ველოდი ნაჭყებია, ზურაბ კიკალიშვილი, რეზო ცანავა, მევლუდ გალდავა, მურმან შულაია, გონელი გადელია, რაულ ბაჩილავა.

,,N2 ჩაის ფაბრიკა ემსახურება მეურნეობას, კიწია პრავდას, დიდი ჭყონის კუიბიშევის და გურძემის რუსთაველის კოლმეურნეობებს (იხ. მ. მანია, ,,უხვად, იაფად", თბ. 1972 წ. გვ. 15).

დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბორის ოკუჯავას ინიციატივით 1984 წელს აშენდა ახალი ჩაის ფაბრიკა. ორი საწარმოს (კოლმეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის) გაერთიანებით მივიღეთ: დიდი ჭყონის კოლმეურნეობა - კომბინატი, რომელიც წელიწადში აწარმოებდა 2500 ტონა ნედლეულს. ჩაის ფაბრიკას ხელმძღვანელობდნენ: ავთანდილ კაკულია და ავთანდილ თოდუა.

2009 წელს კომბინატი შეიძინა და აამუშავა გენადი გარჩაგადაშვილმა. განახლდა 102 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ჩაის ფაბრი-

კაში მუშაობს 25 ადამიანი. ჩაის პლანტაციებში დასაქმებულია 150 მკრეფავი.

კომბინატიის სახელწოდებაა-,,ჩაი მარტვილი". ის სისტემატურად ამუშავებს დღე-ღამეში 15 ტონა ჩაის. ადგილზე ხდება ჩაის დაფასოება. არის რამდენიმე დასახელების. პროდუქცია იყიდება უკრაინაში, ბელორუსიასა და საქართველოს ყველა ქალაქში.

,,ჩაი მარტვილი"-ს კომპანია ეხმარება მეზობელი რაიონების მეწარმეებს ნედლი ჩაის გადამუშავებაში.

ჯანდაცვა და სპორტი

ტერმინი მედიცინა მომდინარეობს კოლხეთის მეფის ასულის სახელიდან. ბევრი თანამედროვე მეცნიერი მედეას სახელს უკავშირებს მედიცინის თანამედროვე სახით განვითარებას.

არქანჯელო ლამბერტი წერს: მთელ კოლხიდაში მეტად მიღებული არიან ექიმები და ხალხს ისე არაფერი ენატრება, როგორც ექიმის ხელობა. ამიტომაც შორეული ქვეყნებიდან მოდიან და აქ სახლდებიან თურქები, ირანელები, იტალიელები და ფრანგები, რომელთაც ცოტა რამ იციან ამ ხელობისა.

ადამიანის სრულყოფილი არსებობისთვის აუცილებელია ჯანმრთელობა. 1898 წელს სოფელ მარტვილში არსებულა საავადმყოფო ქსენონი ერთი ექიმით, ორი ფერშლით და ერთი ბებია ქალით. (იხ. ,,ცნობის ფურცელი", 1898 წლის 19 თებერვალი, N458).

აშილ მიურატს სალხინოში და ჭკადუაშში მოუწყვია ქსენონები. ქვიბიაში მოუწყვია დასასვენებელი სახლი, სადაც უმკურნალა საფრანგეთიდან ჩამოსულ ნათესავებს (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო ტ. II, გვ. 922-923).

1915 წელს სოფელ სალხინოში არსებობდა უფასო საფერშლო პუნქტი და აფთიაქი (იხ. გაზეთი ,,თანამედროვე აზრი", 1915 წლის N185).

სალხინოელი დ. ბასილაია გაზეთ ,,ერთობა"-ში წერს: ,,თვეზე მეტია აქ მძინვარებს ე.წ ისპანური ავადმყოფობა, რომელმაც ძალიან მაგრად მოიკიდა ფეხი, ხსენებულ სოფელში ერთი

ფერშალი გვყავს, რომელსაც უხდება სიარული ავადმყოფებთან სხვადასხვა სოფელში და რასაკვირველია, ყველა ავადმყოფის წამლობა მის ძალას აღემატება. ისეთი დღე არ გასულა, რომ სოფელში კაცი არ გარდაცვლილიყო. ხშირად ავადმყოფის პატრონს უხდება 25-30 ვერსის გავლა, რომ წამალი მიუტანოს ავადმყოფს, დაგვპირდნენ ექიმს გამოგიგზავნითო, რაც ჯერჯერობით სისრულეში არ მოუყვანიათ. დაყოვნება მომაკვდინებელი ცოდვაა, მთელი სოფელი განადგურდება და ექიმის დაგვიანებით დანიშვნა უმიზნო იქნება (იხ. გაზეთი ,,ერთობა“, 1918 წლის 30 ნოემბერი, N260).

გ. ბასილაია წერს: ,,საბჭოთა ხელისუფლებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას. სენაკის სამაზრო კომიტეტის 1921 წლის აგვისტოს ბრძანებულებით სალხინოში გაიხსნა 15 საწოლიანი საავადმყოფო. ეს მაშინ, როცა ამავე ბრძანებით აბაშაში, ბანძასა და მარტვილში იხსნება 10-10 საწოლიანი საავადმყოფოები“ (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 175).

დიდი ჭყონის პარტრაიკომის მაშინდელი მდივანი პიმენ ჩარგაზია 1925 წლის 20 იანვარს გაზეთ ,,კომუნისტ“-ში წერს: ,,სალხინოს რაიონი (იგივე დიდი ჭყონი) დაშორებულია სენაკის სამაზრო ცენტრიდან 40 ვერსით. აქ არსებობს საავადმყოფო, რომელიც მოთავსებულია პრინცესა მიურატის ყოფილ ეზოში...ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასცა საავადმყოფოს ერთი დიდი ორსართულიანი სახლი, 8 ოთახი, ოცი რკინის კრავოტი. საავადმყოფო მოწყობილია კარგად. არ ყავს ექიმი.

წარმოიდგინეთ 3 ათასი კომლით (15. 000 სული) დასახლებულ რაიონს არ ყავს ექიმი. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ 2 ექიმი: ერთი სალხინოს საავადმყოფოს გამგედ, მეორე თამაკონის ამბულატორიისთვის“ (იხ. ,,შრომის დროშა“ 1977 წლის 18 ოქტომბერი, N126, გაზეთის რედაქციას მასალა მიაწოდა ალექსანდრე კოკაიამ).

სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1925 წლის 20 ნოემბერს განიხილა სალხინოდან საავადმყოფოს და ფოსტა-ტელეგრაფის დიდი ჭყონში გადატანის საკითხი (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, ანაწერი 1, საქმე 70, ფურც. 113).

,,ჩემს მეხსიერებას სასიამოვნო მოგონებად შემორჩა ქ. ახალსენაკში ექიმ ივლიანე ხოფერიას, მარტვილში ექიმ იასონ ჟორდანიას და აბაშაში ექიმ გიორგი ჯორჯიკიას ძვირფასი სახელები. ისიც კარგად მახსოვს, რომ დიდი ჭყონისა და თამაკონის ახლანდელი საბჭოების ტერიტორიაზე მცხოვრებთ სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ კეთილშობილი და მრავალმხრივ განსწავლული ფერშლები: გრიგოლ ნანავა, ნიკო ფიფია, ანდრია პირტახია, ილარიონ ჩაჩიბაია და სხვები (იხ. ალექსანდრე კოკაია, გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1970 წლის 29 დეკემბერი, N154).

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ არქივში ინახება დოკუმენტები: 1) მარტვილის რაიაღმასკომს 1930 წელს მიმართა სალხინოელმა ხელოსანმა. ის ითხოვდა- დიდი ჭყონის საავადმყოფოს აგებისთვის დარჩენილი თანხის ანაზღაურებას. 2) დიდი ჭყონის საექიმო პუნქტი 1935 წლის მარტში გადაკეთდა საავადმყოფოდ.

უახლესი ისტორიის არქივში (ფონდი 289, ანაწერი 1) შენახული დოკუმენტების თანახმად: 1941 წელს მარტვილის რაიონში 4 საავადმყოფო ყოფილა: მარტვილში, ბანძაში, სალხინოსა და მეურნეობაში. რაიონში ყოფილა 18 საექიმო უბანი და 11 საფერშლო პუნქტი.

დიდი ჭყონში საავადმყოფო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახსნილა. თავდაპირველად ყოფილა 10 საწოლიანი, შემდეგ იყო-25 ადგილიანი; ჰყოლია 4,5 ექიმი. მეურნეობის საავადმყოფო იყო 35 ადგილიანი, მუშაობდა-6,5 ექიმი.

მეურნეობის საავადმყოფოში 1965 წელს მუშაობდა 35 თანამშრომელი, 1971 წელს-46. დიდი ჭყონის საავადმყოფოში 1963 წელს მუშაობდა 25 ადამიანი.

დიდი ჭყონის თემში ასევე არსებობდა ნაფოსტარის და ლედგებეს საფერშლო პუნქტები. სალხინოს საავადმყოფო იყო 35 ადგილიანი.

ალექსანდრე კოკაია წერს: ,,დიდი ჭყონში ორი სამოცადგილიანი საავადმყოფოა, ამდენივე აფთიაქი, პოლიკლინიკა, ხუთი საფერშლო-საბებიო პუნქტი. ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან პროფესორი ივანე ნანავა და ექიმები: აკაკი ხურცილავა, პიმენ გულორდავა, ერმალოზ დიხამინჯია, ევგენი მორგოშია,

ვლადიმერ ერქვანია, ივლონ გოროზია, მედიცინის ღვაწმოსილი მუშაკები: სარდიონ ქვარცხავა, გრიგოლ ჯანაშია, ანტონ გადელია (იხ. ,,შრომის დროშა“, 1966 წლის 15 იანვარი, N6).

ალექსანდრე ბესარიონის ძე რატიანი 1928-40 წლებში მუშაობდა დიდი ჭყონის საექიმო უბნის გამგედ. 1940 წლიდან 1941 წლამდე იყო დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საავადმყოფოს თერაპევტი, 1941-43 წლებში მუშაობდა ამავე საავადმყოფოს გამგედ.

ა. რატიანის კალამს ეკუთვნის წიგნი ,,კურორტ ლებარდეს სამკურნალო თვისებები“. მისი ინციატივით რაიონში დაარსდა ტუბდისპანსერი.

ვლადიმერ ბოშიას ძე ერქვანია მუშაობდა გუდაუთის რაიონში მთავარ ექიმად, საიდაც გაიწვიეს ომში. იყო თეირანში (ირანში) შესული საბჭოთა ჯარის მთავარი ექიმი. ომიდან დაბრუნებული მუშაობდა დიდი ჭყონის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად; იყო დიდი ჭყონის მეურნეობის საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგი.

1946 წელს ევგენი სისოს ძე მორგოშია დაინიშნა დიდი ჭყონის საუბნო საავადმყოფოს გამგედ. ის 2 ათეული წელი მუშაობდა ამ საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1965 წლიდან 1985 წლამდე იყო ამავე საავადმყოფოში თერაპევტ-ორდინატორი. მინიჭებული ქონდა I ხარისხის ექიმის წოდება.

პიმენ გულორდავა 1965 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა დიდი ჭყონის საუბნო საავადმყოფოს გამგედ. სხვადასხვა დროს მუშაობდა კურორტ ლებარდეს დირექტორად.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დიდი ჭყონელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას ექიმი რაულ ბაღიშვილი.

დიდი ჭყონის თემის ტერიტორიაზე სამი აფთიაქია, ორი ამბულატორია, ორი სტომატოლოგიური კაბინეტი, ერთი მრავალპროფილური ჯანმრთელობის ცენტრი და ერთი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი.

1987 წლის აგვისტოში ჩატარდა ტყავის ბურთის საკავშირო პირველობა ფეხბურთში, სადაც III ადგილი დაიკავა დიდი ჭყონის ,,იმედმა“.

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში დიდი ჭყონიდან მონაწილეობდა ორი გუნდი: ,,ტეხურა“ და ,,მამული“. საქართველოს თასის 1990 წლის გათამაშებაში ,,მამულმა“ დაამარცხა გუნდები: სოხუმის ,,გორდა“, სამტრედია 2, დარჩელის ,,ჩელა“, საჩხერის ,,ჩიხურა“, დამარცხდა გორის ,,დილასთან“.

დიდი ჭყონის ,,ტეხურა“ 1979-1982 წლებში მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. გუნდის უფროსი იყო ავთანდილ თოდუა, მოთამაშე მწვრთნელად მუშაობდა ბუთხუზ ნადარაია

ბოლშევიკური რეპრესიები

არ შეესაბამება სიმართლეს მტკიცება, რომ ბოლშევიკურ რეპრესიებს ქართული ელიტა და ინტელიგენცია შეეწირა მხოლოდ.

საქართველოს ოკუპაციისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო რეპრესიები, ციხეები გაივსო პატიმრებით, გასხვისდა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაინგრა ეკლესიები, დაიწყო თავად-აზნაურობის ,,შემცირება“ (იხ, 1924 წლის აჯანყება).

თავად -აზნაურებს მიწებთან ერთად სახლებიც ჩამოართვეს. თავადების უმრავლესობა გაიქცა და გაშორდა სოფელს. დიდი ჭყონში გაჩნდა ტოპონიმები: ,,გუიას ნოხორი“, ილიას კარი-ილიას ნასახლარი, ,,დუტუს ნოხორი“.

,,უსისხლოდ მიღებული რევოლუცია“ სისხლს ითხოვდა. აჯანყების დაწყებიდან 2 დღეში, 1924 წლის 30 აგვისტოს, დილის 3 საათზე ზესტაფონიდან გასული მატარებელი სოფელ არგვეთის ხიდთან გაჩერდა. I ვაგონიდან დაპატიმრებულები გადმოიყვანეს და უკლებლივ ყველა დახოცეს. დახვრეტის დროს პატიმრების ღრიალმა, ტყვიამფრქვევის კაკანმა დანარჩენ ვაგონებში მყოფი პატიმრები საქმის კურსში ჩააყენა. მათ უარი თქვეს ვაგონებიდან გადმოსვლაზე. ილარიონ ტალახაძის ბრძანებით: პატიმრები ვაგონებშივე ჩაცხრილეს.

აჯანყების შემდეგ უმკაცრესი რეპრესიები განხორციელდა სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. სენაკში საშა გეგეჭკორის მითი-

თებით 500 კაცი დახვრიტეს. ტიპიურია სენაკის კომუნისტური რაზმის მეთაურის დავითაიას მოხსენება: ,,თვითოეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლიო“.

ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივანი კახიანი საჯაროდ აღიარებდა, რომ უხერხემლო სოციალ-დემოკრატებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც კი ვერ გაბედეს მაშინ, როდესაც ჩვენ მათი ამხანაგები ასობით დავხვრიტეთო.

აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის სერგო ორჯონიკიძის სახელზე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი რიკოვის დეპეშა მივიდა დახვრეტების დაუყონებლივ შეწყვეტის შესახებ. ს. ორჯონიკიძემ თავის თანამებრძოლთა ვიწრო თათბირი მოიწვია, სადაც განაცხადა: ჯერ-ჯერობით ამ განცხადებას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრევოლუციური უწმინდურებისაგანო (იხ. გაზეთი ,,ერთობა“, 1991 წ. N6).

1924 წლის აჯანყების შემდეგ მარტვილის მონასტერი დაარბიეს, სამრეკლოდან ზარები ჩამოაგდეს, დავით დადიანის და ეკატერინე ჭავჭავაძის საფლავები შეურაცხყვეს (იხ. ჭითანავა, ხორავა, ციმინტია, შენგელია, ,,სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“, თბ. 2021 წ. გვ. 209).

უმრავლესობისგან განსხვავებულ მოსაზრებებს ბოლშევიკები თავისიანებსაც არ პატიოდნენ: ,,1927 წლის 22 ივლისს სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა დამტკიცებლად ცნო, ფარული ოპოზიციური მუშაობის ხემძღვანელობა სენაკის მაზრაში თბილისიდან შემდეგი ამხანაგების მხრივ: ათანასე კოკაია, ჟორა ფრანგიშვილი და მიხა კაჭარავა და ეთხოვა საქ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მათ წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება“ (იხ. პ. ი. ა. ფოდი 31, ანაწერი 1, საქმე 98).

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ნიკო შამათავამ, რის გამოც მოხსნეს სამსახურიდან-კოწია ცაავა და ვანო ჩანკვეტაძე. გამოირიცხა პარტიიდან-ისიდორე გულორდავა, დახვრიტეს პიმენ ჩარგაზია და ბიქტორ ცაავა.

კოლექტივიზაციის პერიოდში ბოლშევიკებმა გამოაცხვეს ლოზუნგი: ,,ვინც არ შევა კოლმეურნეობაში, იგი საბჭოთა ხალხის მტერია“. საკოლმეურნეო მოძრაობა გადაიქცა აშკარა ძალადობად. დაუნდობელი იერიში მიჰქონდათ შეძლებულ გლეხებზე.

1929 წელს კულაკებად და ვაჭრებად გამოაცხადეს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს: ალექსანდრე ბახვას ძე დგებუაძეს, ელიზბარ დგებუაძეს, მიხეილ ყარამანის ძე დგებუაძეს, ისიდორე თოდუას, იასონ თოდუას, ვ. თორდინავას, არტემ კალანდიას, ბიკენტი კალანდიას, საბა ბეჭვაიას, ანტონ ქუთათელაძეს...

არჩევნებს საბჭოთა ხელისუფლება კულაკებისა და ვაჭრებისგან ამოღებული ფულით ატარებდა. არჩევნების წინ ანტონ ქუთათელაძე დაიბეგრა 380 მანეთით, მიხეილ დგებუაძე 440 მანეთით... (იხ. პარტიის ისტორიის არქივი, ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 167).

საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო უნივერსიტეტის ძირფესვიანი ,,წმენდა“, რის შედეგადაც თბილისის უნივერსიტეტში მოსწავლე 4 ათასი სტუდენტიდან 1200 გარიცხეს (იხ. გრ. ჟვანია ,,საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისთვის ბრძოლაში 1921-1925 წ. წ, თბ. 1956 წ., გვ. 55).

სენაკის მაზრის ხელმძღვანელი მამულია გაზეთში წერდა: მასწავლებელი მოწამლულია მენშევიკური შხამით, განწყობილია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მომავალი წლიდან ჩვენ თითოეულ სკოლაში გვეყოლება კომუნისტი მასწავლებელი (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1922 წლის 27 აგვისტო, N196).

1927 წელს დიდი ჭყონის სკოლიდან გაუშვეს ილია ფარცვანია, ლედგებეს სკოლიდან-მელიტონ გადელია, ნამიკოლაოს სკოლიდან-ლუკა კეშელავა და ალექსანდრე პაპავა. ტალერის სკოლიდან-ნესტორ თოდუა, დიდი ჭყონის აფთიაქიდან-გობეჩია, მათ ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა საქმიანობა.

თამაკონის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებლის ისიდორე კობახიძის საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეგზავნა სამაზრო პარტკომს. ჯერ გაათავისუფლეს შემდგომ აღადგინეს მასწავლებლები: ვლადიმერ გოროზია და კონდრატე ჩაჩიბაია.

ვორონეჟში 3 წლით გადაასახლეს წაჩხურუს სკოლის რუსულის მასწავლებელი ვლადიმერ იონას ძე კოკაია. მან გადასახლე-

ბაში გაატარა 6 წელი. ის დიდი ჭყონში დაბრუნდა 1936 წელს. ვ. კოკაია დააკავეს 1937 წელს და 1938 წლის მაისში დახვრიტეს.

1931-32 წლებში ალტაის მხარეში იყო გადასახლებული ივლიანე პავლეს ძე ჯანაშია (ცხოვრობდა II ნამიკოლაოში, რუსულს ასწავლიდა დიდი ჭყონის სკოლაში). მარტვილის მუზეუმში ინახება მისი წერილი, სადაც აღწერილია მისი პატიმრობაში ყოფნა (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, წიგნი II, დოკ-1985).

დიდი ჭყონის თემში მცხოვრებ ელიზბარ ფაცაციასთვის ქალაქში წასვლის და იქ ვაჭრობის საშუალების მიცემის გამო კომკავშირიდან გარიცხეს მელიტონ ნადარაია და იპოლიტე დგებუაძე, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის (საბუთზე ხელმოწერის და ბეჭდის დარტყმისთვის) პროკურატურას გადაეცა ტერენტი ახალაიას საქმე (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1933 წლის N13).

გაზეთ ,,სოციალისტური სოფლის“ 1933 წლის N32-ში დაიბეჭდა ფრიდონ ნაროუშვილის პოემა ,,დიდი ჭყონი“. პოეტი ნაროუშვილი და პოემის გმირი, დიდი ჭყონის მეურნეობის დირექტორი ცაგარელი ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაიჭირეს და დახვრიტეს.

1937 წელს დააპატიმრეს დიდი ჭყონის მეურნეობის დირექტორი ტარასი კვარაცხელია და მისი მოადგილე გრიშა დანელია.

1937 წელს დაიჭირეს, დიდი ჭყონში 1904 წელს დაბადებული შალვა ნესტორის ძე დგებუაძე. საქმე გადაეცა სპეცკოლეგიას. (იხ. დიდი ტერორი აფხაზეთში ტ. I, გვ. 154).

მარტვილის მუზეუმში დაცული დოკუმენტიდან ირკვევა: 1) შვილის დაჭერამდე რამდენიმე თვით ადრე ნესტორ დგებუაძე საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში. 2) დიდი ჭყონის საბჭომ უარი უთხრა ილია ივანეს ძე დგებუაძეს საარჩევნო სიაში შეტანაზე, რადგან ის მანამდე იყო გადასახლებაში (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკ. 1415-დიდი ჭყონის აღმასკომის 1937 წლის სხდომების ოქმები).

დიდი ჭყონის კულტურის სახლში ინახება სხვადასხვა დროს მეურნეობის, კურზუს სკოლების დირექტორის, სალხინოს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის გრიშა ბეჭვაიას მოგონებები, სადაც წერია: 1) ახლანდელი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე, ანტონ

მარკოზიას სახლში, 1919 წელს მენშევიკმა თედო ესართიამ გახსნა სკოლა. 2) აზნაურის შთამომავალმა ილია დგებუაძემ, ჩაის ფაბრიკის ასაშენებლად აირჩია სწორედ ანტონ მარკოზიას საცხოვრებელი ადგილი, ამის საპასუხოდ თადეოზ ანტონის ძე მარკოზიამ, ილია დგებუაძეს სამჯერ დაუწვა სახლი პირუტყვიანად.

რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ: ესტატე ოკუჯავა და პერსპექტიული მეცნიერი ათანასე კოკაია, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვამდე იყო სენაკის მაზრის ხელმძღვანელი. კომუნისტებმა დაწვეს ნაფოსტარში ათანასე კოკაიას სახლი.

1938 წელს დახვრიტეს სოფელ ნამიკოლაოში 1891 წელს დაბადებული სამსონ ზურაბის ძე ჯანაშია. ის მუშაობდა კავკასიის გზების მშენებლობის ტრესტის უფროსის მოადგილედ.

30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი ბევრი უდანაშაულო ადამიანი გახდა, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებდათ და უბრალოდ, ინტრიგებს შეეწირნენ. ბოლშევიკური რეპრესიები შეეხო დიდი ჭყონის გლეხობას. გადაასახლეს პოლიტიკიდან შორს მდგარი გლეხები: ჭუჭუ ბეჭვაია და დიდიკო ოკუჯავა.

ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას, განუკითხაობას არაერთი დიდი ჭყონელი გაექცა. საფრანგეთში წავიდნენ საცხოვრებლად ძმები არტემ და სოსო ქვარცხავები, მათი ბიძაშვილი გუგუტა ქვარცხავა. ყაჩაღ გეგელიას მკურნალობის გამო ყაზახეთში გადაასახლეს ექიმი სარდიონ ქვარცხავა.

საბჭოთა ხალხი ომის პერიოდში ბოლშევიკურ რეპრესიებს გადაეჩვია, ევროპაში კარგი ცხოვრება ნახა. საჭირო იყო ამ ხალხის ხელახლა დამონება და მათთვის ადგილის მიჩენა.

1951 წლის 6 ნოემბერს სტალინმა ხელი მოაწერა დადგენილებას-,,საქართველოს ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 9 ნოემბერს სტალინი ხელს აწერს კიდევ ერთ დადგენილებას- ,,მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ საქართველოში“.

1951 წლის 29 ნოემბერს N4893-2113 დადგენილებით: ,,არაკეთილსაიმედოობის“ მოტივით დაიგეგმა საქართველოდან შუა აზიაში რამდენიმე ათასი ადამიანის გასახლება. ამ მიზნით რუსეთიდან იქნა მოწვეული შინაგანი ჯარების საგანგებოდ მომ-

ზადებული ქვედანაყოფი. ,,სპეცგასახლებას“ დაექვემდებარნენ 1941-45 წლებში ტყვედ ნამყოფთა ოჯახები, პოლიტიკურ ემიგრანტთა ოჯახების წევრები და ნათესავები, ,,ხალხის მტრების“ ოჯახები.

1951 წლის 25 დეკემბერს, 11 ათასზე მეტი ადამიანი ჩაყარეს ვაგონებში და შუა აზიისკენ მიმავალ გზას გაუყენეს. მათ შორის იყო მანჯურიის და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გერონტი კანკია. ტექსილის კუნძულზე ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერონტი მოხვდა მექსიკაში. საქართველოში დაბრუნებული მეუღლესთან ერთად გადაასახლეს შუა აზიაში. პატიმარ ცოლ-ქმარს გზაში შეეძინათ შვილი, რომელიც შუა აზიაში ჩასვლამდე გარდაიცვალა.

სტალინური რეპრესიები დასრულდა 1953 წლის 10 აპრილს. ამ დღეს სსრკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება- ,,სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროების მიერ საბჭოთა კანონების დარღვევის შესახებ“.

ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობას ალბათ ვერავინ-ვერასდროს დაითვლის. პეტრე კირთაძის და დემურ კილასონიას წიგნში წერია, რომ კირილე ერქვანია იყო პოლიტიკური პატიმარი. მარტვილის მუზეუმში ინახება რეპრესირებულ აკაკი გაგუას წერილი-მოგონება.

ჩემს ოჯახში ყოველთვის არსებობდა თავად გუა დგებუაძის კულტი. ის რომ ბაბუა მისი ნათლული იყო, გავიგე 2023 წელს. მას არასდროს არ უთქვამს, თუ რატომ გაათავისუფლეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობიდან, არადა სახლში შენახული ჰქონდა ლენინისა და სტალინის ვეებერთელა სურათები.

კომუნისტების ხელისუფლებაში ყოფნის დროს რეპრესიებზე და რეპრესირებულებზე საუბარი აკრძალული იყო და ამიტომაც გვაქვს მათზე მწირი ინფორმაცია.

მეგრელების საქმე

სტალინის სიცოცხლეში განუწყვეტლივ ბრუნავდა დიდი რეპრესიების ბორბალი და ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილს ,,გასავალში“ ჩამოწერდა, ნაწილისგან კი ,,საბჭოთა ადამიანებს“ სჭედდა.

რეჟიმი საჭიროდ თვლიდა დროდადრო დაეგორებინა N რაოდენობის თავები, რათა ხალხისთვის შეეხსენებინა, რომ მას არ სძინავს. ასე მოევლინა ქვეყანას: ,,ლენინგრადის საქმე“, ,,ექიმთა საქმე“, ,,მეგრელთა საქმე“.

მაფალუ - მეგრულად კვირტის გაშლას, ყვავილობის ჟამს ნიშნავს. უნიჭიერესმა და უჭკვიანესმა კაცმა მიუსადაგა ეს სახელი გასული საუკუნის გარიჟრაჟზე გაღვიძებულ მოძრაობას-სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკის შესაქმნელად.

ლავრენტი ბერია გასული საუკუნის 20-იან წლებში ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე იყო მეგრული ავტონომიის.

ვერ გამოვდგები კრემლის ინტრიგებში მხარედ. სტალინი ეძებდა გენიალურ და უაღრესად ნიჭიერ ადამიანებს. ამ კრიტერიუმების გამო აღმოჩნდა ბერია კრემლში. ერთიც და მეორეც ბოლშევიკური იმპერიის მამლუქები არიან. ფაქტია ამ ორ მამლუქს არ ეხატათ ერთმანეთი გულზე.

ომის შემდგომ სტალინმა დაიწყო ბერიას კადრების წმენდა. 1948 წელს საქართველოს უშიშროების მინისტრად დაინიშნა რუხაძე. 1951 წლისთვის იგი ვითარებათა ,,ფლობის“ ზენიტში იყო. რუხაძის ავტორიტარიზმს, თვითნებობას, უსაფუძვლო მასობრივ დაპატიმრებებს, საკადრო ვოლუნტარიზმს, ცეკას ბიუროს წევრად არჩევას, წინ აღუდგა საქართველოს ცეკას მეორე მდივანი მიხეილ ბარამია.

,,მეგრელთა საქმე“ დაიწყო სტალინის შვილებისადმი გაგზავნილი ანონიმური წერილებით. ავტორები ბელადის შვილებს ატყობინებდნენ საქართველოში მეგრული მაფიის არსებობას. მათი მტკიცებით ,,ანტიპარტიულ ჯგუფს“ სათავეში ედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის II მდივანი მიხეილ ბარამია.

500-მდე ადამიანი დაიჭირეს, ვერაფერი დაუმტკიცეს, მერე მექრთამეობა დააბრალეს არაფერი გამოვიდა. ბოლოს აბსურდის თეატრი დაიწყო: დაპატიმრებულებს საბჭოთა კავშირიდან სამეგრელოს გამოყოფის და თურქეთთან შეერთების მცდელობაში დასდეს ბრალი.

,,ერთობ საყურადღებოა ,,მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით ა. მიქოიანის მოგონება-აღიარება, რომელიც მას უამბნია მასთან სტუმრად მყოფი ჩვენ თანამემამულეებისთვის: როცა პოლიტბიუროს სხდომაზე ,,მეგრელთა საქმის“ შესახებ წინასწარი ბჭობა მიმდინარეობდა, მე ჩემი ეჭვი გავუმხილე სტალინს იმის შესახებ, რომ ვინც კი საქართველოს ისტორია მეტ-ნაკლებად იცის, არავინ დაიჯერებს, რომ მეგრელებს სურთ მოსწყვიტონ სამეგრელო საქართველოს და თურქეთს შეუერთდნენო, უმჯობესია თუ დადგენილებაში ჩავწერთ, რომ მეგრელებს საფრანგეთთან (?) შეერთება სურთო. სტალინმა მცირე ხნის პაუზის შემდეგ მიპასუხა, რომ საფრანგეთი შორსაა, როგორც დავწერთ ხალხიც ისე დაიჯერებსო“ (იხ. გერმანე ფაცაცია, ,,უზნეობის ზეიმი ანუ ,,მეგრელთა საქმე“, თბ. 2019 წ.).

უშიშროებამ გაავრცელა ჭორი, თითქოს ბარამიამ გზა ლეზარდეში იმიტომ გაიყვანა, რომ იქ გაემართა რაიკომის მდივნების საიდუმლო თათბირები და მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება.

სტალინის მიერ 1951 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილი დადგენილებით დაიწყო მეგრული წარმოშობის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების დაპატიმრებები. 10 ნოემბერს დააპატიმრეს ბარამია. 13 ნოემბერს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ბარამიას ჯგუფის ქმედებების შესახებ. მოხსნეს თანამდებობიდან და იქვე დააპატიმრეს ზუგდიდის რაიკომის I მდივანი, კიწიელი ჩაჩიბაია. ბიუროზე გამოითქვა უკმაყოფილება დიდი ჭყონელ ვასო ბეჭვაიას არყოფნის გამო. ითქვა: 1937 წელს ბეჭვაია დაუძვრა დაპატიმრებას და მას შემდეგ ,,სისტემატურად ეწეოდა ანტიპარტიულ მუშაობას“.

1951 წლის 15 ნოემბერს ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავჯდომარე ვასო ბეჭვაია მაინც დააპატიმრეს. იმავე დღეს მის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა. სახლიდან წაიღეს პირადი მი-

მოწერა, მათ შორის ვასოს მეგობრის, კონსტანტინე გამსახურდიას წერილები.

პატიმარ ბეჭვაიას დღეში 4-5 ჯერ იძახებდნენ დაკითხვაზე და მისგან ითხოვდნენ მეგობრების; საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის II მდივნის მიხეილ ბარამიას და ზუგდიდის რაიკომის I მდივნის ჩაჩიბაიას მხილებას არარსებულ დანაშაულებში.

ვასოსგან ითხოვდნენ ეთქვა: ბარამია ლებარდეში რაიკომის მდივნებს ესაუბრებოდა საქართველოს თურქეთთან შეერთებაზე. ჩაჩიბაია თითქოს ღამღამობით ჩადიოდა ანაკლიაში და საიდუ-ლო მასალებს გადასცემდა თურქეთის დაზვერვის მუშაკებს და კავშირი ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ რაფავას თურქეთში მყოფ ძმასთან.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბეჭვაიას მიუსაჯა 20 წლის პატიმრობა. დაპატიმრებისთანავე მოხსნეს სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცეს მისი მეუღლე ლუდმილა ჭითანავა. და-აპატიმრეს ვასოს ძმა, მარტვილის რაიკომის II მდივანი ვლადი-მერ ბეჭვაია.

20 მარტს დააპატიმრეს ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივა-ნი გრიგოლ კოკაია. დააპატიმრეს პართენ კორთხონჯია, უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე, გეგეჭკორის რაიკო-მის ყოფილი I მდივანი. დააპატიმრეს სამეგრელოს ყველა რაიო-ნის რაიკომის მდივანი.

სხვებთან ერთად დააპატიმრეს აჭარის საოლქო კომიტეტის I მდივანი კირილე ბეჭვაია. სამსახურიდან განთავისუფლებამ-დე, დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე, კირილე ბეჭვაია ბათუმის სანაპიროს მშენებლობას ათვალიერებდა ღამით. დაი-ჭირეს, არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი საბუთი. დაურეკა უშიშროების მინისტრ რუხაძეს, რომელმაც ხარხარი დაიწყო და მეგობრული ტონით უთხრა: კირილ გიორგევიჩ, ყველაფერი ხდება, თქვენს ადგილას მეც თქვენს ბედს გავიზი-არებდიო. რა თქმა უნდა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რუხაძესთან საუბრის შემდეგ დიდი მოკრძალებით გაა-ცილეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ სამსახურიდან გაათა-ვისუფლეს, დაიჭირეს და თურქეთის, საფრანგეთის, ინგლისის

და ბრაზილიის აგენტობა დააბრალეს. (იხ. გაზეთი ,,ილორი“, 2011 წ. N133).

პატიმარ ბეჭვაიასგან უშიშროება ითხოვდა ეღიარებინა, რომ იყო ევგენი გეგეჭკორის ნათესავი. ანტიპარტიულ საქმედ ჩაუთვალეს გრიგოლ კოკაიას პალიასტომის ტბაზე მონადირებული ორი იხვის საჩუქრად გაგზავნა მიხა ბარამიასთვის.

დაკავებულებს სცემდნენ ჯოხებით, აშიმშილებდნენ, არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას. საშინელი წამების მიუხედავად, ,,მეგრელთა საქმე“-მ საშინელი ფიასკო განიცადა. საქმის დამატებით კურატორად დაინიშნა ბერიას დიდი ხნის მტერი, ქუთაისის სამხარეო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, უკვე საქართველოს სსრ ხელმძღვანელი აკაკი მგელაძე.

,,გავიდა დრო, გაგრძელდა დაკითხვები, ძიება მიყავთ აკრძალული მეთოდებით, დგება დაკითხვის ოქმები, იკინძება ტომები. მაგალითად, ბარამიაზე შედგენილი იყო 29 ტომი, კოკაიაზე-32, მირცხულავაზე-27 და ასე შემდგომ.

გრიგოლ კოკაიამ ყველაზე საინტერესო როლი ითამაშა იმ დრამაში, რომელიც მაშინ იდგმებოდა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. მან ჩვენების მიცემა იმ მომენტიდან შეწყვიტა, როგორც კი გაიგო, რომ ჩარკვიანი მოხსნეს და მის ადგილზე (1-2 აპრილს) მგელაძე გადაიყვანეს.

უშიშროების მინისტრმა რუხაძემ კოკაია მიაყვანინა თავის კაბინეტში და უთხრა: ,,შე ,,ჟულიკო“, რატომ არ იძლევა ჩვენებას? გინდა ძალით აგალაპარაკოთ? შენ იცი, სადა ხარ? დედას გიტირებ, აქედან ცოცხალი ვერ გახვალ“.

-ვნახოთ, ვის ეტირება დედა. მგელაძე მე ძირფესვიანად მიცნობს. მან დღეს იცის, რომ ჩვენ არავითარი ჯგუფი არ გვქონია და არც სახელმწიფო მოღალატეები ვართ. მან იცის, რომ მე ქვეყნისა და პარტიის ერთგული ვარ. იგი ჩემს დაუკითხავად არც ერთ რაიკომის მდივანს არ ნიშნავდა. ყველა დიდ საქმეზე მე მეთათბირებოდა ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობის დროს. მან მაშინვე ეჭვი შეიტანა ყველაფერში, რასაც შენ სჩადიოდი. ახლა ყველამ ვიცით, რომ ეს უსაზიზღრესი ბრალდებები შენი ხემძღვანელობითაა შეთითხნილი. ისიც ვიცით, ვინ გყავს ამ სისაძაგ-

ლეში ჩართული და რა არხებით მიდის ეს საშინელი მონაჩმახი სტალინთან. მგელაძე ქუთაისშივე მეუბნებოდა: ,,გრიშა, ცოტა მოიცადე, რუხაძეს დედა ეტირება. მტარვალო, ახლოსაა ანგარიშების გასწორების დრო“.

კოკაია იმდენად იყო ნაწამები და დასუსტებული, რომ აჩრდილს გავდა, მაგრამ ღონე მოიკრიბა და ზემოთქმული საბრალდებულო დასკვნასავით მიახალა რუხაძეს. უნდა ითქვას, რომ რუხაძე გატყდა, გამოიძახა მცველი და ბრძანა-კოკაია საკანში ჩაეყვანათ“. (იხ. გიორგი კვესიტაძე, ჟურნალი ,,თბილისელები“, 2012 წ. 3 დეკემბერი).

რუხაძემ კოკაიას დაკითხვის მერე საჩივარი დაწერა მგელაძეზე: დედით მეგრელია, კოკაიას ძმაკაცია და ვერაფრით შეურიგდა მის დაპატიმრებასო.

სტალინი გაეცნო საჩივარს და წააწერა: ,,ამხ. აკ. მგელაძეს, ჩემი აზრით, თვით რუხაძეა პროვოკატორი, იმოქმედეთ კანონის მთელი სიმკაცრით“.

1952 წლის მაისში მგელაძემ მოიწვია ცკ ბიუროს სხდომა. მან რუხაძეს ბიუროს წევრების თვალწინ ააგლიჯა სამხრეები, დააპატიმრა და საკანში ჩააგდო.

,,მეგრელთა საქმის“ დაწყების შემდეგ ბერიამ დაიჭირა სტალინის დაცვის უფროსი ვლასიკი, მთელი მისი დაცვა ახალი კადრებით შეივსო.

1953 წლის 10 აპრილს მოსკოვში მიღებული დადგენილების თანახმად 14 აპრილს, საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმზე ,,მიიტანეს“ რეაბლიტირებული 37 პატიმარი. პლენუმზე ყველამ-ყველაფერი აღიარა. ყოფილმა პატიმრებმა კირილე ბეჭვაიამ, გრიგოლ კოკაიამ, ჩაჩიბაიამ, კილასონიამ, ზოდელავამ, სიჭინავამ, ჯიქიამ, კალანდიამ, ბარამიამ...საქართველოს კომპარტიის ცეკას I მდივნად აირჩიეს ყოფილი პატიმარი ალიოშა მირცხულავა.

საზოგადოებამ, საქართველოს არცერთმა პოლიტიკურნა ძალამ, საქართველოს არცერთმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ,,მეგრელთა საქმის“ მსგავსი ანტიქართული გამოვლენა ჩვენს ქვეყანაში.

მამულიშვილთა ოდაბადე

პატარა თამაკონი (ნაფოსტარი-შკანთა) ოდაბადეა: დგებუაძეების, ოკუჯავების, ბეჭვაიების, ჯანაშიების, ერქვანიების... ამ ოდაბადემ არაერთი ღირსეული ქართველი შვა.

დევნილთა სამინისტროს ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციების მოძიებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის დავით ფეიქრიშვილის მიერ 2020 წლის 29 იანვარს ინტერნეტში, mematiane ge-ში ატვირთული ინფორმაციის თანახმად წარმოშობით მარტვილიდანაა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის I მდივანი მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავა. ინტერნეტში განთავსებული სხვა ინფორმაციის თანახმად, სტეფანე ოკუჯავა დაიბადა სოფელ ნამიკოლაოში.

ოლია სტეფანეს ასულ ოკუჯავას ბიძაშვილის შვილის, ნატო ოკუჯავას განმარტებით: სამეგრელოდან ქალაქში საცხოვრებლად წასული 2 ძმიდან: სტეფანე ქუთაისში დარჩა, ხოლო მისი ბაბუა თბილისში დასახლდა (იხ. შ. ლაბაძე, ,,ოკუჯავები და გალაკტიონი“, ჟურნალი ,,გზა“ 2015 წ. 22 თებერვალი).

დიდი ჭყონელი გოდერძი ოკუჯავა სოციალურ ქსელში წერს: ,,ამაღელვებელია გალაკტიონის და ოლღას სიყვარულის ისტორია. ჩემი ბაბუა ესტატე და მიხეილი ბიძაშვილები იყვნენ. მიხეილის დაპატიმრების შემდეგ დააპატიმრეს ბაბუა და გადაასახლეს შუა აზიაში, საიდანაც იგი ვეღარ დაბრუნდა. მამა, სერგო ოკუჯავა კარგად იცნობდა ვაჟა ოკუჯავას და მეც გამაცნო. რამდენიმეჯერ შევხვდი. ვსაუბრობდით გვარის წარმომავლობაზე, წინაპრებზე, სურდა ეხილა თამაკონი“.

ისტორიკოს სოსო გოროზიას გადმოცემით: ლედგებეში მცხოვრები ოკუჯავები, ადრე თამაკონის თემის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: აქ იყო მათი სალოცავი-უძველესი მაცხოვრის ეკლესია. აქვთ, ოკუჯავების საგვარეულო დღესასწაული, რომელიც ემთხვევა ამაღლებას.

ლედგებეში ოკუჯავებით დასახლებული უბანი, ნამიკოლაო პირველი და ნამიკოლაო მეორე ერთი სოფელი იყო 1921 წლამდე. სოფელი შედიოდა თამაკონის სასოფლო საზოგადოებაში. XVIII

საუკუნეში დაწერილ დოკუმენტებში სალიპარტიანოს მოურავებს, თამაკონის მოურავებს ეძახიან.

თამაკონის თემის გამგებელ თემურ პირტახიას ცნობით: 2006 თუ 2007 წელს თამაკონში ჩამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარატ გიზატულინი, თავის მეუღლესთან ერთად. მოსკოველ სტუმრებს თან ახლდნენ თბილისელი ოკუჯავები, რომელთაგან ერთს ერქვა ნატალი. ის დაახლოებით 60 წლის იყო. სტუმრები ეძებდნენ ბულატ ოკუჯავას ოდაბადეს და მისი ბაბუის საფლავს.

სტუმრების თამაკონიდან წასვლის მერე გაარკვია პირტახიამ, რომ ბულატ ოკუჯავას ბაბუა დაიბადა სოფელ პატარა თამაკონში.

ინტერნეტში მოძიებული მასალების მიხედვით: სტეფანე ვასილის ძე ოკუჯავა XIX საუკუნის 80-იან წლებში საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში. ის იყო უაღრესად განათლებული პიროვნება. მას ქუთაისში ბაზართან ჰქონია კანტორა, სადაც რუსულად და ქართულად წერდა წერილებს; დაქორწინდა პავლე პერემუშევის და სალომე მეძმარიაშვილის ასულ ელისაბედ პერემუშევაზე. მათ ყავდათ 9 შვილი, საიდანაც ერთი ბავშვობაში გარდაცვლილა.

6 ვაჟის და 3 ქალიშვილის მამა, შვილებს ,,ანარქისტებს“ ეძახდა და უკვე შეგუებული იყო, რომ ხან საიდუმლო კრებებს აწყობდნენ, ხან პროკლამაციებს წერდნენ, მაგრამ მისმა ქალიშვილმა მაინცდამაინც ღარიბსა და ერთობ უცნაურ პოეტზე რომ შეაჩერა არჩევანი ეს აღარ მოეწონა. სხვა ვერსიით გალაკტიონის და ოლიას შეუღლების წინააღმდეგი იყო სასიდედრო ლიზიკო პერემუშევი.

მწერალი ფუცუ დგებუაძე იგონებდა: ,,ჯერ კიდევ 19 წლის მიშა ოკუჯავას პარტიის ნამუსს ეძახდნენ. ჩემთვის საინტერესო იყო ასეთი კაცის გაცნობა.

შინ მისულმა დედას ვახარე, მიშა ოკუჯავა გავიცანი, რა ბედნიერება მეღირსა-თქო, სახეზე მაჩნდა სიხარული. იქვე დედის გვერდით სოფლიდან ჩამოსული ბიცოლა იჯდა, რომელმაც ერთი გაიცინა და ასე მიპასუხა:

-შე დალოცვილო, ოკუჯავების გასაცნობად გაკვდება დედ-მამა? მაგისთვის რაღა ქუთაისში მოდიოდი, ნამკოლუ სავსეა ჩვენი ნაყმევი ოკუჯავებითო.

ძლიერ ავღელდი, მაგრამ მას მხოლოდ ასე ვუპასუხე:

-ის ძალიან მომზადებული ახალგაზრდაა-თქო, - და დაბღვერილი გავედი ოთახიდან (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ., გვ. 466).

მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავა დაიბადა 1883 წელს ქალაქ ქუთაისში. მან ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია; სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ის იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1903 წლიდან; შემდგომში- ბოლშევიკთა ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში. 1905, 1908 და 1914 წლებში დააპატიმრეს პოლიტიკური ბრალდებით. იყო ,,შულავერის კომიტეტი“-ს წევრი.

1921 წელს იყო საქართველოს კომპარტიის ცკ წევრი, მდივანი, 1922 წელს- პირველი მდივანი. ,,ნაციონალ-უკლონისტთა“ ერთ-ერთი ლიდერი, პროტესტის ნიშნად გადადგა ცეკას შემადგენლობასთან ერთად.

ქართველი ,,ნაციონალ-უკლონისტები“ მხარს უჭერდნენ საქართველოს გაერთიანებას სსრკ-ში ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე. მოითხოვდნენ საქართველოს ჰქონოდა საკუთარი ფული. ისინი არ თმობდნენ არც ზაქათალას, არც ლორეს, არც გარეჯს და საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის მიმართაც. საკითხი გადაეცა კავკასიის ბიუროს (ორჯონიკიძეს) და ეროვნებათა სახალხო კომისარს (სტალინს).

გადადგომის შემდეგ მუშაობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორად. 1924 წლიდან - ამიერკავკასიის სფსრ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად. 1926 წლიდან, კომპარტიაში შიდაპარტიული ბრძოლისას, იყო ,,ტროცკისტული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში, რის გამოც 1927 წელს პარტიიდან გარიცხეს, დააპატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს.

მ. ოკუჯავა 1930 წელს აღადგინეს პარტიაში; იყო სახკინმრეწვის დირექტორი, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. 1936 წელს ისევ დააპატიმრეს, 1937 წელს მეუღლესთან ერთად დახვრიტეს.

ნიკოლოზ სტეფანეს ძე ოკუჯავა დაიბადა 1885 წელს; 1925 წელს იყო რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე (მოადგილე). 1936 წელს ის გაასამართლეს და 1939 წელს დახვრიტეს.

ჩვენი ქუთაისელი ახალგაზრდობის რჩეული იყო ,,ჩემი თაობის ყველა ქუთაისელი მოწაფისთვის ტკბილადმოსაგონარი ვალოდია ოკუჯავა-დიდი ერუდიციის მქონე ახალგაზრდა, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, გულწრფელი რევოლუციონერი და პოეტი, თავისი საჯარო გამოსვლებით ცნობილი ორატორი“ (იხ. ლადო ჯაფარიძე, ,,მოგონებები, ჩანაწერები“, თბ 2004 წ. გვ. 235).

ვლადიმერ ოკუჯავამ მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, ემიგრაციიდან დაბრუნდა იმავე პლომბირებული ვაგონით, რომლითაც ლენინი ჩამოიყვანეს შვეიცარიიდან.

ბულატ ოკუჯავას ავტობიოგრაფიული რომანიდან ირკვევა, რომ ვალოდია ოკუჯავა ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბნელ პერსპექტივებს წინასწარმეტყველებდა. ის ხშირად აკრიტიკებდა ლენინს, ხოლო თავის ბოლშევიკ ძმებს: საკუთარი თავისთვის ბოლოსმომღები ციხის მშენებელ ყმაწვილ იდიოტებს ეძახდა.

ოლღა სტეფანეს ასული ოკუჯავა დაიბადა 1888 წელს. გალაკტიონ ტაბიძე გაიცნო 1912 წელს. ოლია თავადაც წერდა ლექსებს, იყო აქტიური წიგნომანი. დედის წინააღმდეგობის მიუხედავად 1916 წელს ცოლად გაყვა გალაკტიონს (იხ. მარატ გიზატულინი, ბულატ ოკუჯავას უნივერსიტეტები, ჟურნალი ,,ცისკარი“, 2005 წლის N 1-2, გვ. 114).

1929 წელს ოლია ბრალდებულ იქნა ტროცკიზმში, გადაასახლეს 3 წლით. 1932 წელს გალაკტიონ ტაბიძეს ლენინის ორდენი მიანიჭეს და ოლია გადასახლებიდან დააბრუნეს.

მალე ოლია ისევ დაიჭირეს; გალაკტიონმა დაწერა ლექსი: ,,ცხოვრების ეტლის სადარეგელი,/ საცაა გავა მატარებელი,/ მიემგზავრება იმედი ჩემი,/ ბედის ვარსკლავის სადარებელი;/ აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,/ მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები,/ გემშვიდობები სამარადისოდ,/ სამარადისოდ გემშვიდობები!“- და მართლაც: 1941 წელს, როცა ქალაქი ორიოლი გერმანელებისგან იბომბებოდა, ოლია სხვა პატიმრებთან ერთად ტყეში გაიყვანეს და დახვრიტეს.

1957 წელს გალაკტიონს შეატყობინეს, რომ ოლღა ოკუჯავა რეაბილიტირებულია, თუმცა პოეტს მისი დახვრეტის შესახებ არა-

ფერი უთხრეს. სიკვდილის წინ გალაკტიონს უთქვამს, თავისი ბოლო სიტყვები: ,,ოლია მოვდივარ!“

ოლია ოკუჯავა იყო გალაკტიონის პოეზიის ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი. დახვრეტამდე რამდენიმე დღით ადრე ოლია გალაკტიონს სწერდა: ,,ვესალმები და ვეამბორები შენს წიგნებს და ხელნაწერებს. აუწყე მათ, რომ ისინი ძველებურად მიყვარს და თავს ვევლები, როგორც ყოველთვის“.

1924 წელს გალაკტიონმა ,,მნათობში“ გამოაქვეყნა პოემა ,,მოგონებები იმ დღეების როცა იელვა“, რომელშიც ჩართო 1924 წელს აჯანყებულთა დახვრეტის უსასტიკესი ეპიზოდი. გალაკტიონი დაიჭირეს. ის ციხიდან ოლიამ გამოაშვებინა.

მარატ გიზატულინი წერს: ,,არსებობს ლეგენდა (ან, ეს იქნებ ნამდვილი ამბავიცაა), რომლის თანახმადაც 1959 წლის მარტში, როცა გალაკტიონი საავადმყოფოში იწვა, მასთან დაუპატიჟებელი სტუმრები მივიდნენ და ბორის პასტერნაკის, როგორც სამშობლოს მოღალატის, გაკიცხვის წერილზე ხელისმოწერა სთხოვეს. ჰყვებიან, მათთვის პასუხის გაცემის ნაცვლად, გალაკტიონმა ხელები ფრთებივით გაშალა და დაიძახა: შენთან მოვფრინავ ოლია! (იხ. მარატ გიზატულინი, ჟურნალი ,,ცისკარი“, იქვე, გვ. 115).

ბულატ ოკუჯავას სხვა ბიოგრაფი წერს: ,,გალაკტიონი აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც მორიგი გოლგოთის ჟამს ჯალათებსა და ბრბოს ერთსულოვნების ზეიმი ჩაამწარა. ღირსება რუსი პოეტისა-ბორის პასტერნაკისა-გადაარჩინა ქართველმა... ბულატმა იცოდა ეს ყოველივე და არაფერს მეუბნებოდა. ანკი რა საჭირო იყო?! (იხ. გალაკტიონ ტაბიძე 125. საიუბილეო კრებული, ლიტერატურის ინსტიტუტი).

ბულატ ოკუჯავას ბიოგრაფების ვერსიას არ იზიარებენ ქართველი კრიტიკოსები. ისინი ამბობენ: გალაკტიონს თავისი მარტოობა მაინც დავანებოთ?!

შალვა სტეფანეს ძე ოკუჯავა დაიბადა 1901 წელს. იყო კომკავშირის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. 1919-1921 წლებში იყო კომკავშირის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე; 1921-1929 წლებში - საქართველოს კომკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე; თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამ-

გე; ქართული სამხედრო-სამეთაურო სკოლის კომისარი, შემდეგ -დივიზიის კომისარი. ბერიასთან დაპირისპირების გამო, 1931 წელს სერგო ორჯონიკიძემ გადაიყვანა ურალში. 1934 წელს იყო სკკპ (ბ) XVII ყრილობის დელეგატი; ნიჟნი ტაგილის საქალაქო კომიტეტის I მდივანი. 1937 წელს დახვრიტეს. რეაბლიტირებულ იქნა 1956 წელს. იმ ქალაქში სადაც შალვა დახვრიტეს, დღეს მისი ძეგლია. სახლში, სადაც შალვა ცხოვრობდა, არის მისი მემორიალური დაფა.

ბულატ შალვას ძე ოკუჯავა დაიბადა 1924 წლის 9 მაისს. მამის დახვრეტის, დედის დაპატიმრების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში. სკოლაშიც სწავლობდა და თან მუშაობდა ზეინკლად. მეცხრე კლასში იყო, მოხალისედ რომ წავიდა ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა. ომის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მერე კალუგაში გაემგზავრა, სადაც სოფლის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. აქ გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული. კომუნისტურ სივრცეში ბულატ ოკუჯავა ნამდვილი რევოლუციონერი იყო.

1968 წელს, პრაღაში საბჭოთა ტანკების შეყვანის შემდეგ, პოეტი დემონსტრაციულად გაემიჯნა კომპარტიას. მან პოლონელებს მიუძღვნა სიმღერა რომლის ქვეტექსტი ყველასთვის გასაგები იყო.

ბულატ ოკუჯავას 1985 წელს მიანიჭეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენი. ამავე წელს სან-რემოში გამართულ ფესტივალზე მან მიიღო პრიზი ოქროს გიტარა. 1990 წელს გახდა ნორვიჩის (აშშ) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. 1991 წელს მიანიჭეს სსრკ სახელმწიფო პრემია; 1991 წელს გახდა ბუკერის პრემიის ლაურეატი.

ქართველმა დისიდენტებმა ბულატი ვერშემდგარი ქართველობის გამო არ მიიღეს. რუსმა და ქართველმა მწერლებმა არ აღიარეს ბულატი დიდ რუს პოეტად. მათ ურჩევნიათ ბულატი იყოს მხოლოდ მომღერალი.

ბულატ ოკუჯავას შემოქმედებითი ცხოვრება, მისი აღიარება მილიონობით მსმენელისა და მკითხველის მიერ, დევნის ყველას, ვისაც არაფერი უყვარს და არც სჯერა.

მწერალ ჯუმბერ თითბერიას აქვს ნათარგმნი ბულატ ოკუჯავას რომანი ,,გაუქმებული თეატრი“, რომლისთვისაც ავტორს ბუკერის პრემია მიენიჭა. ,,გაუქმებული თეატრი“ ესაა ბულატ ოკუ-

ჯავას ბავშვობა, მამის დაპატიმრება, ოლღა ოკუჯავას და გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი.

რომანში მწერალმა დოკუმენტური სიზუსტით წარმოაჩინა ძმებ ოკუჯავებთან, სტალინისა და ბერიას დაპირისპირების ამბავი. ყოფილ სემინარიელს (სტალინს), ბულატის ბიძები თვალში ეკლად ესობოდა.

ლავრენტი ბერია შალვა ოკუჯავას ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი მის მიერ ,,თავგამოდებულ ტროცკისტებად" მიჩნეულ მისივე ძმებთან ერთად სვამდა ღვინოს, კოლმეურნეობების შექმნას ეწინააღმდეგებოდა და ამით ,,დიდი სტალინის" პოლიტიკას უპირისპირდებოდა.

ოკუჯავას შემოქმედებაში საქართველო წარმოჩნდება როგორც სასიამოვნო ნავთსაყუდელი. მან არაერთი ქართველი მწერლის ლექსი თარგმნა რუსულად. მას არასოდეს უთქვამს უარი თავის გვარზე, მშობლებზე, თბილისში გატარებულ წლებზე.

ოკუჯავას ,,დილენტატის მოგზაურობა" ყველა ადამიანმა უნდა წაიკითხოს. აქ ბულატ ოკუჯავა წარმოჩნდება, როგორც ნამდვილი ქართველი, ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი მსოფლიო მოქალაქე. რომანში ოკუჯავა მიანიშნებს ამირან ამილახვარისა და მის იდენტობაზე.

ვისოცკი, გალიჩი, როზენბაუმი არ იქნებოდნენ რომ არა ოკუჯავა. ვლადიმერ ვისოცკი მას სულიერ მამად თვლიდა და ყოველთვის იმეორებდა, რომ სწორედ ოკუჯავას შემოქმედებამ უბიძგა მას სიმღერისკენ.

1995 წლის 23 ივნისს ბ. ოკუჯავას უკანასკნელი კონცერტი შედგა იუნესკოს შტაბ-ბინაში. 1997 წელს ის გარდაიცვალა პარიზში. მოსკოვში ორ სხვადასხვა ადგილას, არბატზე და მისი სახლის წინ დადგეს კომპოზიტორის, მომღერლის, მწერლის, მთარგმნელის ძეგლები.

ბულატ ოკუჯავას ორი ცოლი ჰყავდა. პირველთან ორი შვილი შეეძინა, ორივე გარდაიცვალა. მეორესთან სიკვდილამდე ცხოვრობდა. მისი ვაჟი გახდა მუსიკოსი და კომპოზიტორი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა მიხეილის ასული ოკუჯავა დაიბადა 1923 წელს. გარდაიცვალა 2009 წელს.

ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა დაიბადა თბილისში 1930 წელს. მამას დედისთვის უთქვამს: ნინო იცოდე მე მართალი ვარ ყველაფერში, მაგრამ სასიკეთო არაფერი მელის, შენ ეცადე, ბავშვები გადაარჩინო და სოფელში წაიყვანო. 44 წლის ასაკში ვაჟა ოკუჯავა აკადემიკოსი იყო. 1975-1980 წლებში ის იყო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი, 1980-1985 წლებში- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. იყო საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. 2000-2006 წლებში მუშაობდა ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. გარდაიცვალა 2011 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ვაჟას ასული ოკუჯავა დაიბადა 1964 წელს. ის არის ასოციაცია ,,ეპილეფსია და გარე სამყარო"-ს პრეზიდენტი.

,,თოდუას კლინიკის" გამორჩეული წევრია მიხეილ ვაჟას ძე ოკუჯავა. ის დაიბადა 1970 წელს. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1999 წელს, სადოქტორო-2006 წელს.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ოკუჯავა მუშაობდა ტყიბულის მაღაროს უფროსად. როცა მაღაროში წყალი შევარდა, ოკუჯავამ ყველა მუშა გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა (იხ. შ. ლაბაძე, ჟურნალი ,,გზა", 2015 წ. 22 თებერვალი).

გაზეთ ,,კომუნა"-ს 1923 წლის N6 იუწყება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1900 წლიდან ყოფილა ესტატე ივანეს ძე ოკუჯავა.

გაზეთ ,,ერთობა"-ში (1917 წ. N4), დაბეჭდილი წერილის თანახმად, თამაკონის საზოგადოებაში ჩატარებულა დიდი მიტინგი, რომლის თავმჯდომარედ აურჩევიათ ესტატე ოკუჯავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ესტატე ოკუჯავა იყო თამაკონის საზოგადოების კომისარი.

დიდი ჭყონელი გოდერძი ოკუჯავას განმარტებით, ბაბუამისი, ესტატე ოკუჯავა 30-იან წლებში დაუჭერიათ და გადაუსახლებიათ, საიდანაც ის არ დაბრუნებულა. გადმოცემების თანახმად: ესტატეს ნასროლმა ტყვიამ დააკოჭლა საშა გეგეჭკორი (არა მგონია ეს სიმართლე იყოს).

სერგო ესტატეს ძე ოკუჯავა იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. მუშაობდა დიდი ჭყონის კულტურის სახლის დირექტორად. ,,რა-

იონის თეატრის ჩამოყალიბებაში დიდია სერგო ოკუჯავას წვლილი. ამ თეატრის სცენაზე მან არაერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეამაყებოდა მისი სოფელი და თანასოფლელები. უხაროდა აქ ცხოვრება (იხ. პ. კირთაძე, დ. კილასონია, ,,არდავიწყება", წიგნი I, 1997 წ. გვ. 382).

გოდერძი სერგოს ძე ოკუჯავას დირექტორობისას გაჭედილის საშუალო სკოლა ერთ-ერთი სანიმუშო იყო რეგიონში.

,,იმხნად აფხაზეთში ქუხდა დავით ერქვანიას სახელი. ხობის რაიონის მკვიდრმა, ბატონმა დავითმა შორს გაუთქვა სახელი მშობლიურ რაიონს. ყველგან და ყოველთვის ახსოვდა ვისი ,,გორის" იყო...მამის მშობლიურ რაიონს ხელმძღვანელობდა ზურაბ ერქვანია" (იხ. წიგნი ,,ეგრისელები").

დავით ლევანის ძე ერქვანია იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაგრის რაიონის განთიადის კოლმეურნეობა ,,მეგობრობა"-ს. იყო აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. 1963-1966 წლებში იყო საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატი. 1966 წელს მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ინდიკო ჯამბურია რამდენიმე წელი მუშაობდა დავით ერქვანიას მძღოლად. მისი გადმოცემით, დავით ერქვანიას ყოველთვის ახსოვდა, რომ მისი წინაპრები იყვნენ დიდი ჭყონიდან.

გენერალი ზურაბ ერქვანია წერს, რომ ერქვანიების და წოწერიების ოდაბადე თამაკონია; მას ეამაყება რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის, მამუკა წოწერიას შვილები დედით ერქვანიები არიან (იხ. Facebok, Zurab Erqvania, 2021 წლის 28 ოქტომბერი).

საერქვანიოს, ოდაბადეს კიდევ ერთი აღიარება (ილია ერქვანიასთვის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის მინიჭება) სოცილურ ქსელში მიულოცა გენერალმა ზურაბ ერქვანიამ (იხ. Facebok, Zurab Erqvania 2023 წლის 26 თებერვალი).

ზურაბ დავითის ძე ერქვანია სხვადასხვა დროს მუშაოდა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. 1992-1993 წლეში იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993-1998 წლებში იყო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე; 1998 წლიდან - საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, 2003 წლიდან- თადარიგშია. 1999 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი. 2000 წელს გენერალ-მაიორის წოდება (იხ. ენციკლოპედია საქართველო, ტ. III, წიგნი ღირსებისა ტ. 4/ შემდგ: თამაზ ყიფიანი (რედაქტორი), თენგიზ გაჩეჩილაძე, გურამ სიმონიშვილი, თბ. 2002 წ.).

ნუგზარ დავითის ძე ერქვანია მუშაობდა ბიჭვინთაში. იყო სანატორიუმის მთავარი ექიმი.

დავით ზოსიმეს ძე ერქვანია დაიბადა 1916 წელს. 1936 წელს დაამთავრა გეგეჭკორის სახელმწიფო პედაგოგიური ტექნიკუმი. 1943-1947 წლებში მუშაობდა საქ. ალკკ გეგეჭკორის რაიკომის I მდივნად. სწავლობდა ორწლიან პარტიულ სკოლაში. იყო გეგეჭკორის რაიკომის ჯერ II, შემდეგ- I მდივნი.

დავით დავითის ძე ერქვანია დაიბადა 1950 წელს სოფელ ნამიკოლავო მეორეში. სკოლა სენაკში დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაოდა თბილისის I მაისის რაიონის პროკურორის მოადგილედ, ამავე რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ. მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ. თბილისის საქალაქო, საოლქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ.

ალექსანდრე დავითის ძე ერქვანია დაიბადა 1975 წელს. 2016-2020 წლებში ის იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ვერა ილარიონის ასული ერქვანია დაიბადა ქალაქ სოხუმში 1929 წელს. მუშაობდა კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის I მდივნად, პარტიის სოხუმის რაიკომის II მდივნად. გარდაიცვალა 1977 წელს.

ისტორიკოს შალვა ჯღარკავა წერს, რომ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ბაბუა, სიმონი საცხოვრებლად ჩვენი რაიონის სოფელ ნამკოლუდან აფხაზეთში გადასულა (იხ. გაზეთი ,,ჭყონდიდი“, 1991 წლის 1 დეკემბერი, N144).

რუსუდან სიმონის ასული ჯანაშია წერს: ,,ჯანაშიები მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონიდან არიან. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში რამდენიმე ჯანაშია და ერთი ფაცაცია გაქცეულან სოფლიდან და წებელდისთვის შეუფარებიათ თავი. რატომ აიყარნენ

ჯანაშიები თავისი სამკვიდროდან?-იმიტომ, რომ ვინმე დგებია (დგებუაძე) დადიანის მოურავი, გლეხებს ხიდის სარგებლობაში ფულს ართმევდა. გაქცეულებმა 10 წლის მერე მიატოვეს წებელდა და ჩავიდნენ აბჟუაში (კოდორში) და დაიწყო სიმონ, პეტრე, იუა, ანსია... ჯანაშიების ცხოვრება აფხაზეთში (იხ. ჟურნალი ,,ქართველოლოგია", 2019 წლის აპრილ-ივნისი).

სვიმონ ჯანაშია დაოჯახდა 1871 წელს, პეტრე ჯანაშია-1893 წელს. ნამიკოლაოელი ჯანაშიების ,,55-75 წლის" ასაკში დაოჯახება, სიმონ ჯანაშია ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალება ბადებს ეჭვს, რომ ჯანაშიები აფხაზეთში გაიქცნენ XIX საუკუნის 50-იან წლების მიწურულს.

ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშია დაიბადა 1872 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძუჟბაში.

1891 წელს დაასრულა გორის საოსტატო სემინარია და მუშაობა დაიწყო სოხუმის მთიელთა სკოლაში, სადაც ახალგაზრდა მასწავლებელს ბრალად წაუყენეს გაქართველების პოლიტიკის მიმდევრობა და მოინდომეს მისი დასჯა, მაგრამ იგი დროულად გაეცალა სოხუმს და ოზურგეთის სოფელ მაკვანეთში დაიწყო მუშაობა. 1894 წელს მუშაობა დაიწყო გუდაუთის სამინისტრო სკოლის გამგედ. 1898-1908 წლებში მუშაობდა ძველ სენაკში, საიდანაც სამუშაოდ გადავიდა აფხაზეთში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დაარსებაში (1915 წ.). იყო იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებების მიმდევარი. 1909 წელს მისი აქტიური მონაწილეობით გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ფილიალი. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. დიდი წვლილი შეიტანა აფხაზი ხალხის ყოფისა და რელიგიური რწმენების კვლევაში.

ნიკო ჯანაშია არა მარტო ცნობილი სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, არამედ თვალსაჩინო ეთნოგრაფი იყო. ის თვითონ დადიოდა ხალხში, იწერდა ზღაპრებს, თქმულებებს ანდაზებს. ნამიკოლაოში ჩაიწერა ნიკო ჯანაშიამ ზღაპარი-,,მეფე თამარი", რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა პერიოდული პრესის

ფურცლებზე (იხ. ბორის კვარაცხელია, ,,ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“, თბ. 2009 წ. გვ. 143).

1918 წელს როცა ქართული უნივერსიტეტი დაარსდა, ივანე ჯავახიშვილმა ნიკო ჯანაშია აფხაზური ენის ლექტორად მიიწვია. სამწუხაროდ იგი იმავე წელს გარდაიცვალა.

საქართველოს და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია დაიბადა 1900 წელს სოფელ მაკვანეთში (ახლანდელი ოზურგეთის რაიონი). 1908 წლამდე ცხოვრობდა ძველ სენაკში. ახალგაზრდობის წლები (1909-1918 წ. წ.) გაატარა აფხაზეთში. დაოჯახდა 1930 წელს. მისი მეჯვარე იყო კონსტანტინე გამსახურდია.

1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1924 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სიმონ ჯანაშიას შრომებში სრულიად ახლებურადაა გაშუქებული ქართველთა ეთნოგენეზისის, კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ფეოდლიზმის გენეზისის საკითხები. ჯანაშიამ შეიმუშავა საქართველოს ისტორიის ახლებური, მეცნიერულად დამუშავებული პერიოდიზაცია. მან პირველმა გამოყო საქართველოს ისტორიაში პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდი.

აკადემიკოსმა ჯანაშიამ უარყო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ქართველი ერი XIX საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა (სტალინი). მან საგანგებოდ შეისწავლა აფხაზეთის ისტორია და ამტკიცებდა, რომ ,,საკუთრივ აფხაზებს“ (მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე) წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით სვანური შტოსი, მეორე მხრით-ჭანურ- მეგრულისა.

მრავალფეროვანია ჯანაშიას როგორც ენათმეცნიერის, სამოღვაწეო სფერო. მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ-ადიღურ ენათა მეცნიერულ შესწავლას ჩვენში. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართული კულტურის ისტორიას, ისტორიული გეოგრაფიის სა-

კითხებს. ჯანაშია ხელმძღვანელობდა არქოლოგიურ კვლევა-ძიებებს საქართველოში.

1943 და 1947 წლებში აკადემიკოს ჯანაშიას მიენიჭა სახელმწიფო პრემია. იყო სსრკ II მოწვევის უმაღლეს საბჭოს წევრი. გარდაიცვალა 1947 წელს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნიკოლოზ (ლაშა) სიმონის ძე ჯანაშია დაიბადა 1931 წელს. 1970 -82 წლებში მუშაობდა კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. იკვლევდა IV-V საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ძველ სომხურ საისტორიო მწერლობას. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფილოლოგიურ მეცნიერება დოქტორი, ენათმეცნიერი რუსუდან სიმონის ასული ჯანაშია დაიბადა 1937 წელს. გარდაიცვალა 2017 წელს.

რუსუდან ჯანაშია წერს, რომ მათი ოჯახის მუდმივი სტუმარი იყო შოთა (ბაგრატ) ჯანაშია. მისი შექმნილია პირველი ქართულ-აფხაზური ლექსიკონი (იხ. ჟურნალი ,,ქართველოლოგია“, 2020 წლის აპრილ-ივნისი).

პლატონ დიმიტრის ძე ჯანაში დაიბადა სოფელ წებელდაში (აფხაზეთი). ის მრავალი წელი მუშაობდა საქართველოს ბანკის მმართველად. გადმოცემების თანახმად სტალინი, თურმე პლატონ ჯანაშიას და პაატა გუგუშვილს მოსკოვში მასთან კრემლში იწვევდა, რომ მათი რჩევა მოესმინა კავშირის ამა თუ იმ ძნელად გადასაწყვეტ საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით (იხ. ნ. ჯანაშია ,,გზა ტაძრამდე“, თბ. 2014 წ. გვ. 206).

ისტორიკოს ანზორ სიჭინავას მოძიებული მასალების მიხედვით: გამოჩენილი ქართველი ხელოვანი, მსახიობი და პედაგოგი, ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელი, სსრკ სახალო არტისტი, სსრკ I-IV მოწვევის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი აკაკი ალექსის ძე ხორავა სოფელ ნამიკოლაოდან სოფელ ოჩხომურში გადასახლებულთა შთამომავალია.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე გენო ჯანაშია დაიბადა ნამიკოლაოში. მუშაობდა თბილისში ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორად, მინისტრის მოადგილედ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადმიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი გივი ჯამბურია დაიბადა სოფელ ნაფოსტარში.

პოლიციის გენერალ-მაიორი ელგუჯა ჯამბურია დაიბადა 1951 წელს. 1995 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი.

გენერალი თემურ ჯანაშია 1969 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში. 2009-2010 წლებში მუშაობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად. 2010-2013 წლებში იყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი. 2020 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი.

ლიდერების ოდაბადე

იყო დრო, საბჭოთა კავშირს-ორი ქართველი, დასავლეთ საქართველოს ორი დიდი ჭყონელი მართავდა.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით შეიქმნა ქუთაისის ოლქი. მასში გაერთიანდა დასავლეთ საქართველო, აფხაზეთისა და აჭარის გამოკლებით.

ქუთაისის საოლქო კომიტეტს ხელმძღვანელობდა გრიგოლ კოკაია, აჭარისას კირილე ბეჭვაია, რომელიც 1937-40 წლებში იყო აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

1946 და 1950 წლებში საქართველოდან საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეული 60 კაციდან, ორი დიდი ჭყონელი იყო.

დიდი ჭყონელების ავტორიტეტს სცნობდა და აფასებდა: სოხუმის, ბათუმის, ფოთის, საჩხერის, წალკის, აბაშის... მოსახლეობა.

აჭარას დღემდე ახსოვს კირილე ბეჭვაია, კაცი რომელსაც ქალაქი ხელისგულზე ატარებდა, სანამ სამუშაო საათები დაიწყებოდა, მთელს ქალაქს მოივლიდა თურმე, ეზოებში შედიოდა და პრობლემებს საკუთარი თვალით ნახულობდა (იხ. ,,საერთო გაზეთი“, 2017 წლის 27 აგვისტო, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დაზვერვის ყოფილი უფროსი რეზო რომანიძე).

დიდი ჭყონის ცენტრიდან სულ რაღაც 200 მეტრში მდებარეობს კირილე ბეჭვაიას ოდაბადე. დაიბადა 1903 წელს სოფელ ჟი-

ნოთაში. სალხინოს ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდგომ, 1916 წელს შევიდა ამავე სოფელში არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. 1920 წელს სწავლა გააგრძელა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა.

მუშაობდა კომკავშირის სოხუმის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1929 წელს მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცკ-ს პიონერთა განყოფილების გამგედ, იყო კომკავშირის ბიუროს წევრი.

1930 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში იყო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი; მუშაობდა პარტიის სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების გამგედ.

1934 წლის იანვრიდან, 1937 წლის ივლისამდე იყო მარტვილის რაიკომის პირველი მდივანი, 4 თვე იმუშავა ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად.

4 წელი მუშაობდა აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად; იყო არჩეული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად. იყო საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, მიწსახკომის პოლიტსამმართველოს უფროსი.

1943 წლიდან მუშაობდა ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, 1944-52 წლებში მუშაობდა- აჭარის საოლქო კომიტეტის და ქალაქ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1953 წელს კ. ბეჭვაია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე იყო. 1954 წლიდან მუშაობდა პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობებზე. დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკლავის და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით.

1938 წელს განუზრახავს აფხაზურ სკოლებში, სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა, ხელი შეუშალეს კანდიდ ჩარკვიანმა და აფხაზეთის განათლების მაშინდელმა მინისტრმა იასონ დარსანიამ.

კირილე ბეჭვაია სამჯერ აირჩიეს სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. რამდენიმეჯერ არჩეული იყო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

1952 წლის გაზაფხულზე დაიჭირეს და ბრალად დასდეს-თურქეთის, საფრანგეთის, ინგლისის და ბრაზილიის ჯაშუშობა. გაანთავისუფლეს და ყველა ბრალდება მოუხსნეს სტალინის გარდაცვალებისთანავე. გარდაიცვალა 1974 წლის მაისში.

რამდენიმე წლის წინ, დიდი ჭყონში გამგებლის რწმუნებულ ელვარდი კანკიას დაუკავშირდა და ტელეფონით ესაუბრა კირილე ბეჭვაიას შთამომავალი, უკრაინის პარლამენტის წევრი ზაზა ბეჭვაია.

ქუთაისის (დასავლეთ საქართველოს) საოლქო კომიტეტის მდივნის, ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გრიგოლ (გრიშა) ნესტორის ძე კოკაიას სახელის სადიდებლად, მგზავრთა გულების გასახარად, 3550 მეტრზე შრიალებს ჭადრების ხეივანი ჭალადიდი-ფოთის გზაზე.

ვინ იყო გრიგოლ კოკაია, რატომ ეწოდება საქართველოში ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩას, ხეივანს, 1979 წლიდან მისი სახელი?!

დაიბადა 1904 წლის იანვარს სოფელ ნაფოსტარში. მამა, ნესტორ კოკაია არაერთხელ იყო დაპატიმრებული ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამო. გრიგოლი 1918 წელს ამთავრებს თამაკონის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელს და შედის სალხინოს უმაღლეს დაწყებით სკოლაში, რომლის დამთავრების შემდგომ სწავლას აგრძელებს მარტვილის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

1924 წელს გრიგოლ კოკაია დაინიშნა ასეულის პოლიტხელად პირველ ქართულ დივიზიაში. მუშაობდა ბათუმსა და ჭიათურაში. 1933 წელს მსახურობდა გეგეჭკორის რაიკავშირის თავმჯდომარედ.

1938 წელს დაინიშნა სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად; 1940 წლის მარტში გადაიყვანეს გუდაუთის რაიკომის პირველ მდივნად. 1944 წელს ინიშნება ქალაქ ფოთის ქალაქკომის პირველ მდივნად.

1946 წლის 10 თებერვალს, ფოთის N103 ოლქიდან აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. 1950 წლის 12 მარტს, ფო-

თის N128 ოლქიდან მეორედ იქნა არჩეული სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

1940 წელს აირჩიეს საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, 1949 წელს-წევრად. დაჯილდოებულია-ლენინის, შრომის წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკლავის ორდენით.

გ. კოკაია დააპატიმრეს 1952 წელს. ის გაანთავისუფლეს 1953 წელს. 1954-61 წლებში ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზეა; გარდაიცვალა 1969 წელს. (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი", 1969 წ. 10 სექტემბერი; ,,კომუნისტი" 1969 წ. 11 სექტემბერი).

1924 წლის აგვისტოში, აჯანყებულებმა დააპატიმრეს: სამსონ მამულია, ანა მამულია, ვანო ჩანკვეტაძე, ესტატე გვილავა, პანტე ნაჭყებია, იასონ ნადარაია (იხ. ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 2011 წ. დისერტაცია, გვ. 150).

ლედგებეში დაბადებულ-გაზრდილი იასონ ნიკოლოზის ძე ნადარაია 1940 წლის 27 იანვარს დაინიშნა სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს რესპუბლიკაში, 1941 წლის 8 მაისს- საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

კაპიტონ პორფილეს ძე ჯანჯღავა დაიბადა ნაფოსტარში. მუშაობდა ქუთაისის საოლქო კომიტეტის კულტურის და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ცაგერის რაიკომის I მდივნად. გარდაიცვალა 1931 წელს.

სარდიონ პორფილეს ძე ჯანჯღავა დაიბადა 1907 წლის 24 დეკემბერს ნაფოსტარში. 1938-1947 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ. 1947-1953 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილე. 1943 წელს მიენიჭა იუსტიციის III კლასის სახელმწიფო მრჩეველის (გენერალ-მაიორის) წოდება. ის პირველი ქართველი პროკურორია, რომელსაც გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1957 წლის 24 დეკემბერს.

გაზეთ ,,კომუნა"-ში 1923 წლის 3 ივნისს დაბეჭდილი ინფორმაციის თანახმად ათანასე კოკაია ასრულებდა სენაკის სამაზრო კომიტეტის მდივნის მოვალეობას, იყო სენაკის მაზრაში კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი

მდივანი. სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იხ. რჩეულთა ოდაბადე).

ლაზარე კოკაია იყო სენაკის მაზრაში სამხედრო კომისარიატის საქმეთა მმართველი, პროფკავშირის სამმართველოს თავმჯდომარე, სენაკის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ხეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ჩაის ფაბრიკის დირექტორი. 1941-42 წლებში მსახურობდა სამხედრო ჰოსპიტლის უფროსის მოადგილედ. 1931-34 წლებში იყო საქართველოს ც. ა. კ-ის წევრი.

გასული საუკუნის 30-იან წლებში სენაკის რაიკომის I მდივნად მუშაობდა იასონ ბეჭვაია. მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია. მის შესახებ ცნობილია ის, რომ იგი სპარტაკელთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ტალერში (იხ. გაზეთი ,,შრომის დროშა“, 1967 წლის 20 ივნისი, N72); 1929 წელს იასონ გიორგის ძე ბეჭვაია (კირილე ბეჭვაიას ძმა) დიდი ჭყონის საბჭოდან არჩეულ იქნა სენაკის, სამაზრო კონფერენციის დელეგატად.

ბეგლარ მათეს ძე ჩაგუნავა დაიბადა 1897 წელს. 1915-1917 წლებში იყო მეფის არმიაში. 1919-21 წლებში მსახურობდა ეროვნულ არმიაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: დიდი ჭყონის რაიონის მილიციის უფროსად, დიდი ჭყონის რაიკომის მდივნად, სენაკის მაზრის მილიციის უფროსის მოადგილედ, მარტვილის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, წითელ არმიაში ასეულის პოლიტხელად, დიდი ჭყონის N2 ჩაის ფაბრიკის დირექტორად, საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის მმართველის I მოადგილედ.

1938-42 წლებში მარტვილის რაიკომის მდივანი კადრების დარგში იყო-ექვთიმე კონსტანტინეს ძე ნადარაია. მანამდე მუშაობდა აჩიგვარაში მუშათა კომიტეტის თავჯდომარედ (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“ 1942 წ. 5 ივლისი, N28).

ვლადიმერ ახვლედიანი 1920 წელს დაიბადა სოფელ ჟინოთაში (დღევანდელი პატარა ჟინოთა). 1942 წელს ომიდან დაჭრილი დაბრუნდა და დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს მდივნად, შემდეგ-თავმჯდომარედ მუშაობდა. იყო მარტვილის რაიკომის მდივანი, მეორე მდივანი. 1961 წლიდან მუშაობდა მშობლიურ სალხინოს სკოლა-ინტერნატის დირექტორად.

ვალერიან ლუკას ძე გაგუა დაიბადა 1913 წელს დიდი ჭყონში. (მეორე ვერსიით ტალერში). მუშაობდა ბანძაში საღამოს ცვლის საშუალო სკოლის დირექტორად, მარტვილის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, მარტვილის რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად, ბანძის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, მარტვილის ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორად. გარდაიცვალა 1979 წელს.

დიდი ჭყონში (ჟინოთაში) 1911 წელს დაბადებული ვლადიმერ კოსტანტინეს ძე ბეჭვაია 1944-52 წლებში მუშაობდა მარტვილის რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად. დიდი ჭყონში 1914 წელს დაბადებული ვლადიმერ კოსტანტინეს ძე ბეჭვაია 1947 წელს დაინიშნა გულრიფშის რაიკომის მდივნად. 1951-52 წლებში მუშაობდა გულრიფშის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1952-1953 წლებში გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა ბიქტორ ხვიჩია. 1953 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

ნოე სოფრომის ძე ჩაგუნავა დაიბადა 1923 წელს. 1942-45 წლებში იყო საბჭოთა არმიის კავშირგაბმულობის ოფიცერი. მუშაობდა გეგეჭკორის რაიონში მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ და რვაწლიანი სკოლის დირექტორად.

1951-61 წლებში იყო ასპინძაში სკოლის დირექტორი, რაიკომში პროპაგანდა -აგიტაციის განყოფილების გამგე, რაიკომის II მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე.

1961-64 წლებში - გეგეჭკორის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეა. 1965 წლის იანვარში აირჩიეს აბაშის რაიკომის პირველ მდივნად. ორჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად (იხ. ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექცია).

საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს განყოფილების უფროს ნოე ჩაგუნავას 1985 წლის 28 ივნისს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელის წოდება.

2012 წელს გამოიცა ნოე ჩაგუნავას წიგნი: ,,საუბრები ე. ა. შევარდნაძე-საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მეოცნებე თუ, საკუთარი განდიდებისთვის მებრძოლი კარიერისტი?“

ჩაგუნავას წიგნი თავისებური დოკუმენტია შევარდნაძის დროინდელი საქართველოს ისტორიისა. ავტორი 1956 წლიდან იცნობს შევარდნაძეს და იცის, თუ როგორი უზნეო ადამიანის ხელმძღვანელობით უხდებოდა საქართველოს მოსახლეობას ცხოვრება 1972-2003 წლებში.

შევარდნაძის ბიუროზე ნათქვამი სიტყვებია: ჩაგუნავა უნდა განთავისუფლდეს, რადგან მისი მოწინაღმდეგეები ანონიმური საჩივრების წერას ალბათ გააგრძელებენ და მას რისკიანად მუშაობის საშუალებას არ მისცემენ.

კინომატოგრაფისტი კირილე (კარლო) კირილეს ძე ბეჭვაია დაიბადა 1931 წელს. მუშაობდა საქ. სსრ კინომატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილედ. ხელმძღვანელობდა კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას, ასრულებდა კულტურის მინისტრის თანაშემწის მოვალეობას. იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი. გარდაიცვალა 1977 წელს (იხ, გაზეთი ,,კომუნისტი“, 1977 წ. 29 დეკემბერი).

საქართველოს დამსახურებული ექიმი, პოლიტიკოსი, მეცნიერი ამირან ნადარაია დაიბადა 1927 წელს. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. 1951-1991 წლებში მუშაობდა თბილისში, ჯანდაცვის სფეროში. 1992-95 წლებში მსახურობდა ბოგდანოვკაში, ტყვარჩელში და სოხუმში.

1992 წელს აირჩიეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის პარტია ,,სამშობლოს ფარი“-ს თავმჯდომარედ. 1992-95 წლებში პარტიული სიით იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. გარდაიცვალა 2012 წლის 9 აპრილს.

ანზორ ჯანჯღავა 1939 წელს დაიბადა მეურნეობაში. 1957 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1970 წლიდან მუშაობდა სტატისტიკის სამსახურში განყოფილების გამგედ, თავმჯდომარის მოადგილედ, 1991-1992 წლებში - სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა იურა ბეჭვაია.

XX საუკუნის 90-იან წლებში მარტვილის რაიონის გამგებელი იყო სოსო გადელია. გამგებლის მოადგილეებად მუშაობდნენ: რევაზ კილასონია და ვასილ კუკანია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში სამტრედიის რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა დავით (დათო) შამშეს ძე კუკანია.

გენო ბონდოს ძე ბეჭვაია დაიბადა 1968 წელს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობდა 2001-2005 წლებში. ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ მსახურობდა 2006-2010 წლებში.

რევაზ ნადარაია 2021 წლის ივლისში, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, უვადოდ იქნა არჩეული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. დაიბადა 1979 წელს. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ადვოკატად, სასამართლოში სხდომის მდივნად, მოსამართლის თანაშემწედ.

მოსამართლედ მუშაობდა ჩხოროწყუში, ფოთში, თბილისში. 2012-2016 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, 2017-2020 წლებში - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2019 წლიდან არის საპროკურორო საბჭოს წევრი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად მუშაობდა ზაზა გოროზია, მინისტრის მოადგილედ -ია (ნადია) ნაულის ასული ჯანანაშია.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ორჯერ აირჩიეს ზაალი გოროზია.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებად მუშაობდნენ როლანდ გაგუა და მერაბ ქვარცხავა. საკრებულოს თავმჯდომარის I მოადგილედ მუშაობს ელდარ თოდუა.

გასული საუკუნის 40-იან წლებში გეგეჭკორის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას ხემძღვანელობდა რაფაელ ჯანაშია, 70-იან წლებში- დემურ კილასონია.

ტერენტი ჯემალის ძე კოკაია მუშაობდა მესტიის მუნიციპალიტეტის პროკურორად.

კობა ჩაგუნავა დაიბადა 1987 წელს. მუშაობდა მოსამართლის თანაშემწედ. 2020 წლიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

სენაკის რაიონული პროკურორი ბესიკ ქვარცხავა დაიბადა 1990 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორსა და თბილისში პროკურორად.

გიორგი ემზარის ძე კვაშილავა 2012 წელს აირჩიეს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტად. ადვოკატი გიორგი კვაშილავა საემიგრაციო სამართლის მიმართულებით უპირობო ლიდერია საქართველოში. 2023 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საემიგრაციო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

გიორგი ახალაია მუშაობს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. არის ანალიტიკური დეპარტამენტის საგადასახადო დავალიანების მართვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

გიორგი გოროზიამ 2021 წელს დაამთავრა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. სწავლობდა ამერიკაში. არის თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი.

გულიანი კაცები

ყველაზე ძვირფასი და დიდებული, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს, არის უანგარო სიკეთე.

გულის გენია უფრო ცხოველმყოფელია, ვიდრე გენია გონი-საქართული გულის გენია ორი სიტყვით შემიძლია გამოვხატო: ,,გაახარე-გაიხარე“, არა პირუკუ. ამ გეზით მინდა გავმართო, ჩემი დღევანდელი სიტყვა (გრიგოლ რობაქიძე).

ჟინოთას წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია 1848 წელს ააშენა ჟინოთელმა თავადმა ბეჟან დგებუაძემ. მისი უფროსი ვაჟის, ევგენი დგებუაძის გარჯის შედეგად შეინარჩუნა ეკლესიამ დამოუკიდებლობა.

ალექსი დგებუაძემ ღანირის ეკლესიის ასაშენებლად შეუწირავს 500 მანეთი, ხოლო ამ ეკლესიის შიდა მოწყობისთვის კიდევ ამდენივე.

როგორც წესი, ყოველი, ქვეყნისთვის სასიკეთო წამოწყების თაოსნად ხშირად ერთი ადამიანი გვევლინება ხოლმე, მაგრამ

მხოლოდ ერთი კაცი, რაც არ უნდა მონდომებული, მიზანმიმართულად მოქმედი არ უნდა იყოს, კეთილ წამოწყებას საქმედ ვერ აქცევდა, თუ მის გვერდით არ იქნებოდნენ ისინი, რომელთაც ასეთ წამოწყებათა უანგარო მხარდაჭერა ადამიანურ მოვალეობად, ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ.

მარტვილის მუზეუმის გახსნისთვის ზრუნვა უკავშირდება სოფიო დგებუაძის, ალექსანდრე კოკაიას, ილია მარკოზიას სახელს. 1957 წელს ღვაწლმოსილმა ადამიანმა ვასილ გადილიამ მარტვილის მუზეუმს გადასცა 5200 მანეთის შემოწირულობა.

ვასილ ჩიტოს ძე გადილია დაიბადა 1872 წელს სოფელ კიწიაში. 1898 წელს მონაწილეობდა ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვაში. 1901 წელს თბილისში გახსნა წიგნის მაღაზია, რომელიც რევოლუციონერთა თავშეყრის ადგილად გადაიქცა. გამოსცემდა წიგნებს. ფლობდა ფირმებს. მისი რედაქტორობით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატების გაზეთი, რომელიც გადასცა სოსო ჯუღაშვილს. რამდენიმეჯერ დააპატიმრეს.

1925-1931 წ. წ. მაღაზია ქართული წიგნის გამგეა. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სენაკში, სოხუმსა და დიდი ჭყონში. იყო სიძველეთა შემკრები, ყიდულობდა ანტიკვარულ წიგნებს, სამუზეუმო ნივთებს და ჩუქნიდა მუზეუმებს. ვასილ გადილია გარდაიცვალა 1958 წლის ნოემბერში. დასაფლავებულია აფხაზეთში, სოფელ შრომაში.

სოფელ სალხინოში წარმოებული პროდუქციის მომხმარებლისთვის სახმარად გამოსადეგი სახით მიწოდებაში დიდი წვლილი მიუძღვით დიდი ჭყონელებს: კლიმენტი გაგუას (ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელს), ავთანდილ კოკაიას (ტანსაცმლის სამკერვალო საწარმოს ხელმძღვანელს), დავით გულორდავას (უალკოჰოლო სასმელების საწარმოს ხელმძღვანელს).

არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება დაიხარჯო შენი ხალხისთვის, შენი კუთხისთვის, შეგეძლოს სულის შთაბერვა ყოველგვარი კეთილი საქმისთვის.

დავით ტერენტის ძე გულორდავას ძალისხმევის შედეგად შეინარჩუნა დიდი ჭყონის სასოფლო საბჭომ შტატები, გასული საუკუნის 80-იან წლებში. ის იყო ჭყონში გამართული ლიტერა-

ტურული ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი. მისმა თანადგომამ მიბიძგა წიგნის გამომეცა.

გოგილო ბასილაია წერს: ,,ჩაის პროდუქციის ნაყენისა და ოჯალეშის ღვინის ბაზაზე 1988 წელს ამუშავდა უალკოჰოლო სასმელების საწარმო (ხელმძღვანელი დავით გულორდავა), რომელიც წლიურად აწარმოებდა მილიონ მანეთამდე პროდუქციას. მისი სასმელი ,,სალხინო" მეზობელ რაიონებთან ერთად მიეწოდებოდა ქუთაისს, წყალტუბოს, ზუგდიდსა და სათანადო მოთხოვნა-ხელშეკრულებით ქალაქ სოჭს. დიდი მოთხოვნა იყო მინერალურ წყალ ,,ლებარდეზე", რომელიც მისი არსებობის ისტორიაში პირველად სალხინოს უაკოჰოლო სასმელების საწარმომ ჩამოასხა; სასმელ ,,სალხინოს" კომპოზიცია (კომცენტრატი) იგზავნებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ კრასნოდარში, როსტოვსა და დონეცკში. აღნიშნულმა საწარმომ 1990 წელს მომხმარებელს მიაწოდა ოჯალეშის ჩამოსხმული ღვინო სათანადო გაფორმებული სახით, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა (იხ. გ. ბასილაია, დას. ნაშრომი, გვ. 201).

1994 წელს თბილისში ტიუმენიდან ჩამოფრინდა 2 სატვირთო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიტანა დიდი ჭყონელ რობერტ ფირცხალავას მიერ ლტოლვილებისთვის გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება (იხ. გარე ჭყონელები).

1995-1999 წლებში სენაკის რაიონის მოსახლეობამ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრად ორჯერ ზედიზედ აირჩია წარმატებული მეწარმე, აღიარებული ქველმოქმედი, მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამგზის საპატიო მეგზევე, ღირსების ორდენის ორგზის და წმიდა ნიკოლოზის ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, კომპანია ,,არქეოპოლისის" პრეზიდენტი, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე დემურ გადილია.

დაიბადა 1940 წელს. დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1975 წლამდე მუშაობდა დიდი ჭყონში, მარტვილსა და ვედიდკარში.

დემურ გადილიამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას) სახელობის ტაძრის მშენებლობა, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია, მარ-

ტვილის მამათა მონასტრის რესტავრაცია, მარტვილის საკათედრო ტაძართან, ბალდის, აბედათის, სენაკის ეკლესია-მონასტრებთან მისასვლელი გზების მშენებლობა, სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლესთან, მდინარე ონტყოლეზე, ქვის თაღოვანი ხიდის მშენებლობის სამუშაოები. დააგო ასფალტი მეურნეობის ქუჩებზე.

უდიდესი დახმარება აქვს გაწეული სენაკის იოანე ნათლისმცემლის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის, აბაშის, ფოთის, მესტიის მუნიციპალიტეტებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციისა და კეთილმოწყობის საქმეში.

მეწარმე, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, ცნობილი ქველმოქმედი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ნაული იოსების ძე ჯანაშია დაიბადა 1947 წელს.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ქალაქ შევჩენკოში (ყაზახეთი), ლენინგრადში. სტუდენტთა რაზმა მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობაში, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა რკინიგზელის საპატიო ორდენით.

მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე: დირექტორის მოადგილედ შევჩენკოს სამთო-სამრეწველო კომბინატის, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის, მოსკოვის მეტროპოლიტენის ელექტრო-მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი ქარხნების. ნაულის ძალისხმევით გაიხსნა მოსკოვის ქარხნის ფილიალი თბილისში. დასაქმდა 120 კაცი.

1992-1993 წლებში მაიორი ნაული ჯანაშია იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იყო თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის სურსათით მომარაგების უფროსი.

დევნილობაში მყოფმა ორი მინი ჰესი და წყლის წისქვილი აუშენა სოფელს. აღადგინა რამდენიმე ხიდი. ნიღბიანი პირები ეზოში შეუცვივდნენ და ყველაფერი რაც გააჩნდა წაიღეს.

მოსკოვში მუშაობის პერიოდში ააგო ნაფოსტარის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც გაიხსნა 2002 წელს. სალხინოს და შქანთას ეკლესიებს გადასცა რელიგიური ნივთ-სამკაულები; დიდი ჭყონის ამბულატორია დაასაჩუქრა

კარდიოგრამის თანამედროვე უცხოური აპარატურით, პოლიციის ქვეგანყოფილებას საჩუქრად გადასცა ფორმები. დიდი ჭყონის სკოლას - სპორტული ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, კულტურის სახლს - როიალი; მასწავლებლების წახალისების მიზნით შექმნა სპეციალური ფონდი.

საკუთარი სახსრებით ზუგდიდის სანერგე მეურნეობაში შეიძინა და მარტვილში ჩამოიტანა ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის მცენარეების ასობით ნერგი, რომლებიც დაირგო: დიდი ჭყონის ცენტრში, მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში, მარტვილის მონასტრის ეზოს ფერდობზე.

სოფელ დიდი ჭყონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (ტალერის, კიწიის, თამაკონის მიმართულებით) მისი ფინანსური დახმარების შედეგად კეთილმოეწყო გზები, ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები; მარტვილის მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ჯარგვალის ჩასადგმელად 1500 დოლარი გაიღო...

როცა დეპუტატი გახდა, მოსკოვში არაკეთილმოსურნე პოლიტიკოსებმა ყველაფერი იღონეს, დაეხურათ ან გაეკოტრებინათ ის ფირმები, რომლებთანაც ერთობლივ კომერციულ საქმიანობას ეწეოდა და საიდანაც შემოსავალი ქონდა.

დეპუტატი ჯანაშია საკუთარი დანაზოგებით აგებს დიდი ჭყონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს, დაეხმარა ეთნოგრაფიულ მუზეუმს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებაში, მარტვილის ტურისტული გზამკვლევის გამოშვებაში.

საკუთარი სახსრებით გამოსცემდა ყოველწლიურ გაზეთს და ჟურნალს ,,მაჟორიტარი“. სკოლები მოამარაგა სპორტული ინვენტარით და ფორმებით, შეუძინა კომპიუტერული ტექნიკა და მუსიკალური საკრავი ინსტრუმენტები. აფინანსებდა ექსკურსიებს ისტორიულ ადგილებში.

პარლამენტარ ნაული ჯანაშიას ძალისხმევით დიდი ჭყონში ზემო ზონისთვის ცალკე გაიხსნა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგური, აშენდა ახალი სკოლები მამულში, სალხინოსა და ნახუნაოში, დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოები, დიდი ჭყონში ამუშავდა ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა...

უანგაროდ დაეხმარა მოსკოვის ქართულ ეკლესიას, ქართულ სათვისტომოს, მოსკოვში საქართველოს საელჩოს. ქარხანამ, რო-

მელსაც ნაული ხელმძღვანელობდა რუსულ ენაზე გამოსცა ,,ვისრამიანი“.

1956 წელს თბილისში დაიბადა ცნობილი ბიზმესმენი, პოლიტიკოსი, საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის“ მფლობელი, ფიფას I აგენტი საქართველოში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი აქციონერი, ჭიათურმანგანეზის, ვარცხიხეჰესის ერთ-ერთი მეპატრონე ილია კოკაია. მისი ბაბუა (ილია კოკაია) დაიბადა და გაიზარდა ნაფოსტარში, იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში.

,,მინდა გამოვხატო ჩემი წრფელი და გულითადი სამძიმარი ილია კოკაიას ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სიტყვები უძლურია გადმოცეს ის სევდა, რომელიც ჩვენ ამ დანაკლისის გამო განვიცადეთ... მისი მიღწევები და მემკვიდრეობა, განსაკუთრებით მისი ხასიათი, ლიდერობის უნარი და მისი ადამიანური თვისებები არასდროს იქნება დავიწყებული და ის ყველას დაგვაკლდება“ (იხ. ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს წერილი).

ფასდაუდებელია ილია კოკაიას წვლილი ქართული ფეხბურთის წინაშე. მან თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძინა მიწის ნაკვეთი და ააშენა იდეალური 2 სტადიონი ბუნებრივი საფარით. კოკაიას სახელობის საფეხბურთო ცენტრი საუკეთესოა საქართველოში. შეუფასებელია მისი წვლილი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობის საქმეში.

,,გიორგი (გოგი) დავითის ძე გულორდავა დაიბადა 1967 წლის 6 ოქტომბერს ქალაქ მარტვილში (სოფელ დიდი ჭყონში). 1998 წლიდან 2004 წლამდე, როგორც შ. პ. ს. ,,მშენებელი XXI“-ის და ,,დაგის“ დამფუძნებელს, შესრულებული აქვს თბილისის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია- გაფართოების სამუშაოები. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენა-რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის საქმეში. მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები“ (იხ. საქართველოს არქიტექტორთა და მშენელთა ენციკლოპედია, თბ. 2017 წ., გვ. 172).

გოგი გულორდავამ საკუთარი სახსრებით გაარემონტა სალხინოში დადიანების სასახლე და სკოლა-ინტერნტი. მისი დაფინანსებით შემორაგულ იქნა სკოლა-ინტერნატის ეზო.

ნაული ჯანაშია წერს: თბილსში მოქმედი სამშენებლო ფირმა ,,დაგის“ ხელმძღვანელმა ჩვენი ტაძრის სამრეკლო ააგო (იხ. ნაული ჯანაშია, ,,გზა ტაძრისკენ“, გვ. 143).

სამშენებლო მასალით შეეწია ნამიკოლაოს, მამულის ეკლესიებს.

2003 წელს დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,დაგი“, რომელიც ეწევა სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. კომპანიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესრულებული აქვს 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი. მინიჭებული აქვს სამი საერთაშორისო სერთიფიკატი, რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ,,თეთრ სიაში“. კომპანიაში დასაქმებულია 2000 ადამიანი. 2023 წელს მიენიჭა მარტვილის საპატიო მოქალაქის წოდება.

ნუგზარ გაგუამ დიდი ჭყონში ააშენა თანმედროვე ტიპის ,,ბერმუხას“ სტადიონი, სადაც ყოველწლიურად ტარდება სარაიონო-სასკოლო ჩემპიონატის დასკვნითი ტური ფეხბურთში (სამ ასაკობრივ ჯგუფში). გამარჯვებულებს აჯილდოვებს პრიზებით. საკუთარი სახსრებით სოფელს აუშენა წისქვილი და ,,მცირე ჰესი“, რომელიც რამდენიმე ოჯახს უფასოდ ემსახურება (იხ. ფ. ნადარაია, ,,მარტვილელი ქველმოქმედები“, გვ. 54). ტალერის (ეწერის) ეკლესიას შესწირა ზარი. 2016 წელს მიენიჭა მარტვილის საპატიო მოქალაქის წოდება.

დიდი ჭყონში, სალხინოში გამართულ ლიტერატურულ, მუსიკალურ ფესტივალებს სისტემატურად აფინანსებენ, ეკლესიათა მშენებლობლობაში თავიანთი აგური აქვთ დადებული: კარლო ბეჭვაიას, დავით, გია და გოდერძი გულორდავებს, გენო ბეჭვაიას, გიზო კორთხონჯიას...

სალხინოს დადიანების სასახლის ეზოში დგას 1782 წელს კაცია II დადიანის მიერ აშენებული ეკლესია. ამ ეკლესიის სამრეკლო ააგეს დიდი ჭყონელმა ახალგაზრდებმა.

მეორე ნამიკოლაოს ახალი ეკლესია აკურთხეს 2014 წელს. ეკლესიის ასაშენებელი ფინანსები და სამშენებლო მასალა მოიძია თამაზ ჯანაშიამ.

2000 წელს შკანთაში ხის ეკლესია ააგეს ალიოშა და ამირან ჯანაშიებმა. შესანიშნავი ქვის ეკლესია ააშენა ირაკლი დანელიამ.

ბავშვების გასართობი ცენტრის ინვენტარი შეიძინა, ჭყონში ჩამოიტანა და დიდი ჭყონის კულტურის სახლის ეზოში დაამონტაჟა თემურ ბეჭვაიამ.

მეორე ნამიკოლავოს სკოლაში ალიკა კოკაიას სახელობის სტიპენდია დააწესა და წარმატებულ მოსწავლეებს ფულადი პრემიით ასაჩუქრებს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კოკაია.

თაობების ისტორია

ამ თავში მოთხრობილია ოჯახებზე, რომელთა წევრები ფლობდნენ ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს, განაგებდნენ ასობით და ათასობით ადამიანის ბედს.

2004 წელს გამოვიდა ლუდმილა ჭითანავას წიგნი ,,ხიფათიანი გზა“. გასული საუკუნის 30-იან წლებში ქალბატონი ლუდმილა მუშაობდა მარტვილში კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ცოლად გაყვა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანს, დიდი ჭყონელ ვასო ბეჭვაიას.

ვასოს მამა, კონსტანტინე ბეჭვაია იბრძოდა I მსოფლიო ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა. ბეჭვაიას მეუღლე ივლიტა კვაშილავამ გადაწყვიტა ქმრისთვის წერილის და საკვები პროდუქტების გაგზავნა. ივლიტა ვასოსთან ერთად მივიდა დადიანების სასახლეში. ,,ვასო იგონებდა, რომ როდესაც დედაჩემმა ჭიშკარი შეაღო, უცებ დაიჩოქა და ასე ჩოჩიალით შუა ეზომდე რომ მივაღწიეთ, სასახლის აივნიდან გადმოვიდა დიდებული ვაჟკაცი, დედაჩემი ორივე ხელებით ფეხზე წამოაყენა და უთხრა: ამას რატომ შვებიო, რაზე შეწუხებულხარო და როცა დედაჩემის თხოვნა მოისმინა, თქვა, წადით ეს პროდუქტი შენს შვილებს აჭამე და შენი ქმარი პროდუქტს და წერილს იქ მიიღებსო, მე იქ წერილს გავაგზავნი, რომ ტყვეებს დახმარება აღმოუჩინონო. რამდენიმე ხნის შემდეგ მიუღიათ მეორე წერილი, სადაც კონსტანტინე იწერებოდა თურმე: ,,ნეტა რა მოხდა საქართველოში ისეთი, თქვენ რომ ასე გამდიდრებულხართო? იმდენი პროდუქტი მივიღე, მთელ ორმოცდაათ კაცს ერთი კვირა გვეყოფაო“ (იხ. ლ. ჭითანავა, ,,ხიფათიანი გზა“, 2004 წ. გვ. 119).

ომიდან კოსტანტინე არ დაბრუნებულა. კოსტანტინეს შვილი ზაქარია ბეჭვაია დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ზაქარიას უფროსი შვილი, ვაჟა ბეჭვაია მუშაობდა დიდ ჭყონის სასოფლო საბჭოს, შემდეგ - კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ვაჟას ძმა, შუტუ ბეჭვაია მუშაობდა მძღოლად. დაჯილდოვდა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი- ლენინის ორდენით (იხ. ლ. ჭითანავა, დას. ნაშრომი).

ნადია კოსტანტინეს ასულ ბეჭვაია 1950 წელს დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, იყო პირველი მეჩაიე სტახანოველი (იხ. გაზეთი ,,შრომის დროშა“ 1978. წ. 30 დეკემბერი). გარდაიცვალა 52 წლის ასაკში.

უნივერსიტეტის სტუდენტი ბარნაბა კოსტანტინეს ძე ბეჭვაია გულის ინფაქტით გარდაიცვალა. (იხ. ლ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი).

ვლადიმერ კოსტან ტინეს ძე ბეჭვაია დაიბადა 1911 წელს. მუშაობდა დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკის ეკონომისტად, დირექტორად. მარტვილის რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად. 1952 წელს ,,მეგრელთა საქმის“ გამო შეიპყრეს. განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა სალხინოს ავეჯის ქარხნის დირექტორად, დიდი ჭყონის მუშათა კომიტეტის თავჯდომარედ. იყო სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი. გარდაიცვალა 1969 წელს.

მურმან ვლადიმერის ძე ბეჭვაია მუშაობდა ლედგებეს სკოლის დირექტორად. 2017 წელს მიენიჭა მარტვილის საპატიო მოქალაქის წოდება. ცოტნე ბეჭვაია მუშაობს მარტვილის მერიაში.

,,მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ვასო კოსტანტინეს ძე ბეჭვაია დაიბადა 1907 წელს. 1930 წელს ,,ცხენოსანთა ლეგიონის“ სარდლობის წარდგინებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა წალენჯიხაში, ხობში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ზუგდიდში - კომკავშირის კომიტეტის მდივნად, კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნად, რაიკოოპკავშირის თავმჯდომარედ, ადგილობრივი მრეწველობის დი-

რექტორად, ინგურქაღალდ-კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივნად.

1942-1951 წლებში მუშაობდა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. დააპატიმრეს ,,მეგრელთა საქმის“ გამო. ციხეში შევიდა ჯამრთელი და იქიდან II ჯგუფის ინვალიდი გამოვიდა. შემდეგ მუშაობდა ჩაის ფაბრიკის დირექტორად. გარდაიცვალა 1967 წელს.

სოსო ვასოს ძე ბეჭვაია მუშაობდა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ,,საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის სარაიონთაშორისო გაერთიანების მმართველად. 1989 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. გროზნოდან დაბრუნებულმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრად.

რაჭველი პეტრე წყალობას ძე კობახიძე ისე მოეწონა სალომე დადიანს და ბებე მიურატს, რომ გაზარდეს და დააქორწინეს ნამიკოლაოელ დიმიტრი გოროზიას და სამეგრელოში სახელგანთქმულ სახალხო მკურნალ ეკა ცანავას ქალიშვილზე, სოფია გოროზიაზე. პეტრეს და სოფიას შეეძინათ 3 გოგო და 3 ვაჟი.

ევგენი გოროზიას გადმოცემით, 1919 წელს პეტრე კობახიძე შედიოდა ნამიკოლაოში შექმნილ სასკოლო კომისიის შემადგენლობაში.

ისიდორე პეტრეს ძე კობახიძე დაიბადა 1896 წელს სოფელ ნამიკოლაოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ: ,,ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა ისიდორე კობახიძეს-პედაგოგიურ და სამეურნეოზე. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად ართმევდა თავს ამ ორივე მოვალეობას. მას უწოდებდნენ ,,ბუნების მინდიას“. მან პირველმა დანერგა მყნობის სხვადასხვა მეთოდი, გააშენა ახალი ჯიშის ხეხილი და მრავალი უცხო ჯიშის მცენარეები (იხ. დ. კილასონია, ,,არდავიწყება“, წიგნი I, გვ. 353).

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის ბრძანებულებით, განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის ი. კობახიძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. გარდაიცვალა 1983 წელს.

დიმიტრი (ტარიელ) პეტრეს ძე კობახიძე დაიბადა 1900 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის ასპირანტურა. უნივერსიტეტის გაზეთ ,,ბოლშევიკური კადრებისთვის“ 1936 წლის N2-ში დაბეჭდილია მისი წერილი: ხელმძღვანელის მიერ დიპლომანტებთან ჩატარებული მუშაობის ანალიზი. სხვადასხვა დროს იყო ხონის ჩაის ფაბრიკის, აჩიგვარას ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ლევან პეტრეს ძე კობახიძე დაიბადა 1907 წელს. 1934 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობებს, მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომად. 1950 წლის 29 ნოემბერს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

,,ჩაგივლიათ მარტვილის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისკენ? აქაურობის აშენება-აყვავება და დამშვენება მისი შინაარსიანი მოღვაწობის ბოლო ეტაპი იყო“ (პ. კირთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84). ტექნიკუმის დირექტორი ლევან კობახიძე გარდაიცვალა 1975 წლის 10 დეკემბერს, სამუშაო კაბინეტში.

იზოლდა პაპავა წერს: ,,საკავშირო მაშტაბით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების შემცირების დროს ლევან კობახიძემ მიაღწია ,,ნოჯიხევის“ ტრიალ მინდორზე, საუკეთესო პროექტით, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მშენებლობის დაწყებას... უპრიანია მარტვილის ტექნიკუმს ლევან კობახიძის სახელი ეწოდოს“ (იხ. გაზეთი ,,ჭყონდიდის ზარი“, 2003 წლის 8 მარტი, N1).

ნოდარ ისიდორეს ძე კობახიძის ინიციატივით შეიქმნა გეგეჭკორში მცენარეთა დაცვის სარაიონთაშორისო სადგური. სხვადასხვა დროს მუშაობდა გეგეჭკორის რაიონის ენტომოლოგად, კიწიის კოლმეურნეობის თავჯდომარედ. 34 წელი ხემძღვანელობდა რაიონის მცენარეთა დაცვის სამსახურს. ნინო ნოდარის ასული კობახიძე მუშაობს მარტვილის მერიაში.

კობახიძეთა დიდი ოჯახის წევრი იყო ნოდარ ნიკოლოზის ძე ჯანაშია. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ვედიდკარისა და დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობებს, დიდი ჭყონის საკრებულოს.

1873 წლის აღწერის თანახმად სოფელ ჟინოთაში ცხოვრობდა მარკოზიების გვარის 4 ოჯახი. 1919 წელს ანტონ მარკოზიას სახლში გაიხსნა დიდი ჭყონის (ჟინოთის) სკოლა.

ჟინოთელი უტუნა მარკოზია მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში; გმირობის საზღაურად მიიღო 5 ქცევა მიწა, გარდაიცვალა 136 წლის ასაკში. უტუნას შვილი იაკობ მარკოზია 1905 წლის რევოლუციის დროს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა.

ანტონ უტუნას ძე მარკოზიას შეეძინა 3 ვაჟი და 2 ქალიშვილი. ბავშვები ადრე დაობლდნენ, მათ ზრდიდნენ ბებია და ბაბუა.

სოციალისტური შრომის გმირი ლევან ანტონის ძე მარკოზია დაიბადა 1913 წლის 14 აპრილს, სოფელ ჟინოთაში. დაამთავრა დიდი ჭყონის შვიდწლიანი სკოლა, მარტვილის საშუალო სკოლა, თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი.

40 წელი მუშაობდა დონბასის მაღაროებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იყო შახტის უფროსი, მაღაროთა სამმართველოს ხელმძღვანელი. 1966 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. (იხ. გაზეთი ,,კომუნისტი“, 1983 წლის 23 აგვისტო).

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ილია ანტონის ძე მარკოზია დაიბადა 1906 წელს სენაკის მაზრის სოფელ ჟინოთაში. 1921 წელს დაამთავრა სალხინოს სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა მარტვილის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1925 წელს სენაკის მაზრის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მიავლინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად; ჩაირიცხა პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც შემდგომ გადაკეთდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტად.

ილია მარკოზია იდგა საქართველოში გეოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბების სათავეებთან. მოღვაწეობდა საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში. 57 წელი მუშაობდა საქართველოს გეოლოგიურ სისტემაში. 1961 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. შედგენილი აქვს მარტვილის რაიონის გეოლოგიური რუკა. გარდაიცვალა 2001 წელს-95 წლის ასაკში.

ილია ილიას ძე მარკოზია გეოლოგიურ სამმართველოში მუშაობდა 44 წელი; არის 30-ზე მეტი გეოლოგიური პროექტის და

ამდენივე გეოლოგიური ანგარიშის ავტორი, თანაავტორი, ხელმძღვანელი.

პოლკოვნიკი ლეონიდე ბართლომეს ძე დგებუაძე დაიბადა 1920 წელს. მუშაობდა ბათუმის ქარხანაში ტექნოლოგად, კომკავშირისა და პროფკავშირის თავმჯდომარედ. მოხალისედ წავიდა ომში. თავიდან ბოლომდე განვლო ჯერ ,,ფინეთის", შემდგომ - მეორე მსოფლიო ომი, სადაც ცხრაჯერ დაიჭრა. 18 წლის ასაკში ხელმძღვანელობდა საარტილერიო-საზენიტო ,,ბატარეას", ომი დაასრულა კაპიტნის ჩინში.

ომის შემდეგ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლკის მეთაურად, სამმართველოს უფროსად. მისი ინიციატივით შეიქმნა შსს-ს მილიციის მოტორიზებული პოლკი. წლების განმავლობაში იყო შსს-ს კოლეგიის წევრი. მინიჭებლი ქონდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის წოდება. დამთავრებული აქვს უმაღლესი საგენერლო სკოლა. გარდაიცვალა 1973 წელს (ი. ახუაშვილი, ,,თავადი დგებუაძეები", თბ. 2006 წ. გვ. 95-96; გაზეთი ,,კომუნისტი" 1973 წლის 20 თებერვალი).

პოლიციის პოლკოვნიკი მეგროსი ბართლომეს ძე დგებუაძე დაიბადა 1925 წელს. დაამთავრა რკინიგზის ინსტიტუტი, კალინგრადის სამხედრო სასწავლებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლა. 1980-1985 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამმართველოს წყალთა დაცვის პოლკის უფროსად. პოლკის მეთაურად მუშაობის პერიოდში შექმნა შესანიშნავი ფოლკლორული ანსამბლი-,,ეგრისი", რომელშიც მონაწილეობდნენ მილიციის პოლკის თანამშრომლები. გარდაიცვალა 1994 წელს.

გურამ ლეონიდეს ძე დგებუაძე დაიბადა 1951 წელს. მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოში ქირურგად, განყოფილების გამგედ; დაამთავრა ასპირანტურა, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და ერთი გამოგონება. 1998 წელს აირჩიეს თბილისის საკრებულოს წევრად, ფრაქციის თავმჯდომარედ.

თამაზ ლეონიდეს ძე დგებუაძე დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მილიციის უმაღლესი სკოლა. 1991-1992 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 1993 წელს სათავეში ჩაუდგა მოხალისეთა ჯგუფს და სოხუმის დაცემის ბოლო დღეებამდე იბრძოდა ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის დასაცავად. ომის დასრულების მერე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სამმართველოს, ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსად.

პოლკოვნიკი თამაზ დგებუაძე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის (საბჭოს) წევრი. მინიჭებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკის წოდება. დაჯილდოებლია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ნაუმი ბართლომეს ძე დგებუაძე მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მუშაობდა დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

2016 წელს გამოვიდა წიგნი ,,ზუგდიდის ასი ოჯახის ღირსებისმეტყველება". მისი ავტორია რევაზ ცაავა. წიგნი გვაცნობს 100 ღირსეულ ზუგდიდელ ოჯახს, რომელთა შორისაა ბორის და გენრიხ (გენო) ბეჭვაიების ოჯახები.

ვეთანხმები წიგნის ავტორს: ბეჭვაიების ოდაბადე სოფელი დიდი ჭყონია. გიორგი ჭყონდიდელის დიდი ჭყონში ცხოვრება კი- ლამაზი ლეგენდაა.

ომისა და შრომის გმირები

სსრკ გმირის წოდება შემოიღეს 1934 წელს, 1939 წელს დაწესდა ოქროს მედალი ,,საბჭოთა კავშირის გმირი", შეუცვალეს მალე სახელი და ეწოდა-,,ოქროს ვასკლავი".

სოციალისტური შრომის გმირის წოდება შემოიღეს 1938 წლის დეკემბერში. 1940 წელს დაწესდა ოქროს მედალი ,,ნამგალი და ურო".

II მსოფლიო ომამდე გმირის წოდება მინიჭებული ჰქონდა საქართველოს 8 მოქალაქეს. საქართველოში დაბადებული და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ ომში გაწვეულ მებრძოლთა შორის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 156 მეომარს. საბჭოთა კავშირის 164 გმირიდან- 2 მარტვილელია (კანკავა და გახოკიძე).

საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ვასილი ტარანოვსკი დაიბადა 1907 წელს. თბილისის მასწავლებელთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მასწავლებლად, სკოლის დირექტორად დიდი ჭყონის მეურნეობაში.

1942 წელს ჯარში გაიწვია გეგეჭკორის სამხედრო კომისარიატმა და იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, სადაც დაიჭრა მძიმედ. განკურნების შემდეგ ისევ ფრონტზეა. 1945 წლის იანვარში ტარანოვსკის 20 კაციანმა ოცეულმა გაანადგურა მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ ჩაიგდო გერმანული არმიის უმაღლესი შტაბის ოფიცერთა ჯგუფი. სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა მასწავლებლად. მინიჭებული ქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალულია სოჭში.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 8 ნოემბერის ბრძანებულებით დაწესდა დიდების ორდენი, რომლითაც აჯილდოვებდნენ რიგითებს და სერჟანტებს. დიდების ორდენი 3 ხარისხისაა. I ხარისხისა მზადდება ოქროსგან, II და III ხარისხისა-ვერცხლისგან.

1943 წელს დიდი ჭყონელი ივანე სტეფანეს ძე ნანავა დაჯილდოვდა დიდების III ხარისხის ორდენით, 1945 წელს- დიდების II ხარისხის ორდენით. ომის შემდგომ მუშაობდა დიდი ჭყონის მეურნეობაში სახანძრო დაცვის უფროსად.

1986 წელს დიდების I ხარისხის ორდენი მიენიჭა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირ არტემ ჯანაშიას. ,,სამამულო ომის I ხარისხისა“ და ,,წითელი ვარსკლავის“ ორდენებით დაჯილდოვდა ახალაია ტერენტი.

ასობით დიდი ჭყონელი ებრძოდა მტერს მიწაზე, ცაში, ზღვაში. დიდი ჭყონელი პარტიზანები იბრძოდნენ: იტალიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში.

მარტვილის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში შენახული დოკუმენტის თანახმად; ომის დროს დიდი ჭყონში არსებულა გა-

მანადგურებელი ბატალიონი, რომელშიც ირიცხებოდა 31 კაცი. დაკომპლექტებული იყო სკოლების, კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელი პირებისგან. ბატალიონს ხელმძღვანელობდა დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე-ალიოშა ჯანჯღავა, სამხედრო ნაწილის უფროსი იყო შ. ნაროუშვილი, პოლიტიკური ნაწილის ხელმძღვანელი ა. ფარცვანია. ბატალიონს გამოყოფილი ქონდა სპეციალური შენობა N1 ჩაის ფაბრიკის ეზოში, სადაც ჰქონიათ 35 შაშხანა, საკმაო რაოდენობით საბრძოლო ვაზნები. შემოღებული იყო სადღეღამისო მორიგეობა. შტაბში მორიგეებისთვის ჰქონიათ 5 საწოლი. ჟურნალში აღირიცხებოდა ზონის სოფლებიდან შემოსული ცნობები.

ბატალიონს მონაწილეობა მიუღია ლებარდესა და ჯოლევში გადმოსხმულ დესანტის შეპყრობაში. ღამით მორიგეობდნენ 3 ადგილას: თამაკონში, კიწია-გურძემის გზაჯვარედინზე და ჭყონი-სალხინოს ასახვევთან. თითოეულ გზაჯვარედინზე მორიგეობდა ორი კაცი. (იხ. მარტვილის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, პიროვნული არქივი, N737, მოგონებები ა. ჯანჯღავასი-დიდი ჭყონის გამანადგურებელი ბატალიონის საქმიანობის შესახებ. ერთვის ბატალიონის წევრთა სია).

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 7 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად უფროს კლასებში შემოღეს სავალდებულო სამხედრო სწავლება. 1942 წელს საქართველოს 100 ათასმა მოსწავლემ და 7 ათასმა მასწავლებელმა გამოიმუშავა 6 მილიონი შრომადღე.

ამბობენ ომს ქალური სახე არა აქვს. ასეც უნდა იყოს, რადგან ბუნებამ შექმნა ქალი არა საკუთარი სახის განადგურებისთვის, არამედ გამრავლებისთვის, დედობისთვის. ომს არა აქვს ქალის სახე, მაგრამ სწორედ ქალებმა შეიტანეს ჭეშმარიტად ფასდაუდებელი წვლილი გამარჯვებაში: მამაკაცებთან ერთად ისინი გახდნენ ნამდვილი საყრდენი მშობლიური ქვეყნისთვის. ქალები იბრძოდნენ, იხსნიდნენ დაჭრილებს, გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან, დაუღალავად შრომობდნენ ზურგში, ოკუპირებულ მიწებზე, ანათებდნენ იმ ბნელ დღეებს თავიანთი უბრალო ქალური სინაზით.

2009 წელს გამოიცა წიგნი ,,ბიისკის მედიცინის სამი საუკუნე“, სადაც 163-ე გვერდზე არის სტრიქონი-,,ამავდროულად იქ მუშაობდა ექიმი ლარისა ივანოვნა შახრაი“.

სამედიცინო სამსახურის უფროსმა ლეიტენატმა, კალინინის ფრონტის საველე ჰოსპიტლის ქირურგმა ლარისა შახრაიმ II მსოფლიო ომში იპოვა ქალის ბედი- კაპიტანი გიორგი გრიგოლის ძე კოკაია, ქართველი, სოფელ დიდი ჭყონიდან. ის იბრძოდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, სადაც იყო სათხილამურო კომპანიის მეთაური, მეთაურობდა საჰაერო-სადესანტო ბატალიონს სტეპის ფრონტზე, იბრძოდა კალინინის ფრონტზე, სადაც შეხვდა ლარისა ივანოვნას. სწორედ ის გახდა ლარისა ივანოვნას ერთადერთი ვაჟის-გიორგი გიორგის ძე კოკაიას მამა.

ნათესავების გადმოცემით, გრიგოლ (ჟორა) კოკაია დაიბადა 1918 წლის 15 მაისს. ომის შემდგომ მუშაობდა აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრად, საქ. სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ. მისი შვილის ნათლია იყო მარშალი ჟუკოვი. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა: სოხუმში, თბილისში, გაგრაში.

გაგრაში მუშაობის დროს გიორგი კოკაიასთან სამუშაო ოთახში შევიდა უცნობი ახალგაზრდა, რომელმაც რუსულ ენაზე უთხრა: ,,გამარჯობა მამა, მე მოვედი“. მამის და შვილის შეხვედრას მიუძღვნა გურამ ფანჯიკიძემ მოთხრობა.

,,ის იყო კურზუს საშუალო სკოლა დაამთავრა და აკაკი ლაშხიაც მოხალისედ წავიდა ფრონტზე. რაღაც სასწაულად, ბედმა აქ, მშობელ მამასთან-ირაკლი ლაშხიასთან შეხვედრა არგუნა. ირაკლი ლაშხია იმხნად კურზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე-რაიონის გამანადგურებელ ბატალიონში ირიცხებოდა და შვილს მამა შინ ეგულებოდა, მაგრამ სჩანს, სამშობლოს უკიდურესი განსაცდელის ჟამს, მგზნებარე ბოლშევიკს მებრძოლი გული შინ არ დაუდგა-ფრონტზე გასწია.

მამა-შვილის მოულოდნელი შეხვედრა ღამის წყვდიადში 7-8 წუთს გაგრძელდა, ეს იყო რაღაც საოცარი, შთამბეჭდავი შეხვედრა ფრონტის ხაზზე ჯარისკაცისა და ჯარისკაცის მამისა“ (იხ. ბუკლეტი ,,აკაკი ლაშხია 1925-2013“, გამომცემლები მარიკა ლექვინაძე და მურმან წოწორია, ქუთაისი, 2013 წ.).

1985 წელს გეგეჭკორში დაარსდა საბრძოლო დიდების მუზეუმი. ამ მუზეუმიდან რა გადარჩა და რა დაიკარგა უცნობია. მარტვილის მუზეუმში დაცული დოკუმენტის თანახმად: ომიდან-სოფელში დაბრუნდა 89 კაცი. (სამწუხაროდ სიაში უამრავი ჩემთვის ცნობილი ომიდან დაბრუნებული დიდი ჭყონელი არ იძებნება).

დიდების მუზეუმში შენახული ყოფილა, სამამულო ომის აქტიური მონაწილის, კომისარ ალექსანდრე კოკაიას საბრძოლო ბიოგრაფია.

გადმოცემების თანახმად: ომის პერიოდში დიდი ჭყონელებს უჩვენეს, ომზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი. დედამ, დიდი ჭყონელმა ანტისა გაგუამ, იცნო შვილი- ჟორა ჯანჯღავა. კინოჩვენება შეწყდა: დედამ ჩამოხია და გულში ჩაიკრა თეთრი ქსოვილი, რომელზეც კინოს ჩვენება მიდიოდა.

დიდი ჭყონის კულტურის სახლის ეზოში 74 შინმოუსვლელი ჯარისკაცის სტენდია. ომში დაღუპულთა სტენდზე ერთი უსახელო (გვარის და ინიციალების არმქონე) ჯარისკაცის სურათია. დედამისს, ანტისა გაგუას სტენდის მშენებლობისას უთქვამს: ჩემს შვილს ვინ არ იცნობსო!

ბებიაჩემის ომში დაღუპული უფროსი ძმის სახსოვრად დამარქვეს სახელი. მაიორმა აკაკი პავლეს ძე ჯანჯღავამ დაამთავრა ჯერ სასოფლო, შემდგომ- სამხედრო აკადემია, საიდანაც გაიწვიეს ომში. სახლში დარჩა 16 წლის ფეხმძიმე ცოლი. ის ვერ მოესწრო ომის დასრულებას, ერთადერთი ქალიშვილის, გიული ჯანჯღავას დაბადებას. უცნობია მისი საფლავის ადგილსამყოფელი.

სოფელ ლედგებედან 83 ჯარისკაცი დაიღუპა. ნამიკოლაოს სკოლაში უკვე აღარ არსებობს შინმოუსვლელთა სტენდი.

ომში მონაწილეობდნენ დემურ კილასონიას და პეტრე კირთაძის წიგნის დიდი ჭყონელი გმირები: მიხეილ გაგუა, ნოე ოკუჯავა, გიორგი გოროზია, ვლადიმერ ერქვანია, კირილე ერქვანია, გერონტი კანკია, რაჟდენ კანკია, არჩილ მარკოზია, სერგო ოკუჯავა, პარმენ სალუქვაძე. XXI საუკუნეში, კომპიუტერის ხანაში, იმედია ომის მონაწილე დიდი ჭყონელთა სახელები არ დარჩება სოფლის ისტორიის თეთრ ლაქად.

1991 წელს ოსებმა საშინელი წამებით მოკლეს დიდი ჭყონელი ტრისტან კილასონია. მისი, როგორც ყველაზე საშიში მტრის სურათი ოსებს გაკრული ქონიათ ხეებზე, ბოძებზე, სტენდზე.

კახა კილასონია წერს, რომ სოფელ ლედგებში ტრისტან კილასონიას საპატივცემლოდ მოეწყო სპორტული მოედანი, დაწესდა ფეხბურთში ტრისტან კილასონიას სახელობის პრიზი (იხ. გაზეთი ,,ჭყონდიდი", 1995 წლის N6).

ჩემი თაობისთვის ომები ცხოვრების ნაწილია, ომებში დაკარგული ბაბუის, კლასელის, მეზობლების, ნათესავების, მეგობრების მოგონებაა.

,,აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, გონელი თოდუა 1992 წლის 1 ნოემბრიდან -1993 წლის 19 სექტემბრამდე ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის შემადგენლობაში. აქტიურად მონაწილეობდა დივიზიონის მიერ წარმოებულ ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციაში. გამოირჩეოდა ოპერატიულობით და გამბედაობით. განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა 17-18-19 სექტემბრის საბრძოლი ოპერაციების დროს. 19 სექტემბერს ახალდაბის მისადგომებთან ბევრი მეომარი დაიღუპა, მათ შორის- გონელი თოდუა (იხ. mematiane ge, 06. 07. 2021 წ.).

მეზობლები და ნათესავები: ლონია მარკოზია და ავთანდილ კაკულია 1993 წლის სექტემბერში გაუჩინარდნენ. ზღვაში ჰპოვეს სამუდამო ნავთსაყუდელი დიდი ჭყონელმა ქალიშვილებმა ნინო და რუსუდან წოწორიებმა.

თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის სურსათით მომარაგებას ხელმძღვანელობდა მაიორი ნაული ჯანაშია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხალისეთა ჯგუფი შეადგინა და სოხუმის დაცემის ბოლო დღეებამდე იბრძოდა პოლკოვნიკი თამაზ დგებუაძე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

საქართველოს 1282 მოქალაქეს სხვადასხვა დროს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1950 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ლევან კობახიძეს, 1966 წელს-ლევან მარკოზიას.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ჩვენი რაიონის მოწინავე ადამიანებს: ნინო დანელიას, ანეტა კოკაიას, ლენა ფინთურიას, ვალენტინა პეტრეს ასულ კილასონიას-გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს კუიბიშევის სახ. კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.127 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 25 ივლისი 1950 წ. N60). ამავე გაზეთი 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია ვალენტინას სურათი.

სოციალისტური შრომის გმირი იყო 1914 წელს დიდი ჭყონში დაბადებული ვლადიმერ კოსტანტინეს ძე ბეჭვაია.

სენაკის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშაფის არასრული სკოლის დირექტორად. 1937-40 წლებში სოფელ სინათლეს არასრული სკოლის დირექტორია; დაუსწრებლად ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს. 1940-43 წლებში იყო ანასტასიევკის საშუალო სკოლის დირექტორი. 1943 წლიდან მუშაობდა გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1944-45 წლებში ხელმძღვანელობდა რაონულ გაზეთს ,,ლენინელი“.

1945 წლიდან იყო გულრიფშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. 1947 წელს ნიშნავენ რაიკომის მდივნად. 1951-52 წლებში არჩეული იყო აღმასკომის თავმჯდომარედ. იყო აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს წევრი.

1952-61 წლებში დრანდის შემფუთავი ქარხნის დირექტორია, შემდგომ- სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

1975 წლის 6 სექტემბერს გაზეთ ,,შრომის დროშა“-ში გამოქვეყნებული წერილის თანახმად: სოციალისტური შრომის გმირის წოდება ჰქონდა მინიჭებული დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკის მუშას-ეფროსიმე ბეჭვაიას.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდებები მიენიჭათ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორ მი-

ხეილ მოსეს ძე მელუას და ამავე მეურნეობის უფროს აგრონომ ილარიონ იოსების ძე გოგინავას.

დავით ნესტორის ძე ჯანჯღავა დაიბადა გაჭედილში, სხვა ვერსიით- თამაკონში. 1937 წელს მუშაობდა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომად, დირექტორად. სხვადასხვა დროს იყო: ოჩამჩირის, გუდაუთის, გეგეჭკორის რაიკომების პირველი მდივანი. სამჯერ აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ორჯერ იყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით. 1948 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

კოსტანტინე გოგია დაიბადა ზუგდიდში. 1939 წელ დაინიშნა აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილედ. 1942 წელს აირჩიეს სოხუმის რაიკომის I მდივნად. 1943 წელს დაინიშნა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1944 წელს -ჩაქვის მეურნეობის დირექტორად. 1949 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1983 წლის 23 მარტს გაზეთ ,,შრომის დროშა“-ში გამოქვეყნდა სოცილისტური შრომის გმირის გრიგოლ დუტუს ძე ჩაჩიბაიას ნეკროლოგი, სადაც წერია: 1924 წლიდან მუშაობდა დიდი ჭყონის კომკავშირის რაიკომის მდივნად.

გრიგოლ ჩაჩიბაია მუშაობდა გეგეჭკორის რაიკომის II მდივნად, 1938-52 წლებში - ზუგდიდის რაიკომის I მდივნად. იყო აჩიგვარას ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი.

1980 წლის შემოდგომაზე მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სოციალისტურმა შრომის გმირი, სამგზის ლენინის ორდენოსანი კალისტრატე შეროზია გამოეხმაურა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის ნუგზარ ჟვანიას თხოვნას და კოლექტივს მიულოცა დაარსებიდან 50 წელი.

1963 წლის 1 აგვისტოს გმირი დედის წოდება მიენიჭა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას, შურა კოსტანტინეს ასულ თოდუას.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულებით გმირი დედის წოდება მიენიჭა მედიკო ნაჭყებიას. ბოჩია და მედიკო ნაჭყებიებმა აღზარდეს 11 შვილი.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლუბა ანტონის ასული ბასილაია-ჯიჯელავა 1963 წელს აირჩიეს საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. იყო ლენინის ორდენის კავალერი. დაიბადა სოფელ სალხინოში 1918 წელს. 24 წელი მუშაობდა ტალერის კოლმეურნეობაში.

ვენერა სანდროს ასული ლიპარტია 1940 წელს დაიბადა დიდი ჭყონში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დიდი ჭყონის N1 ჩაის ფაბრიკაში. 1966 წელს აირჩიეს საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ,,მაყვალა ნაჭყებიამ მუშაობა დაიწყო 1964 წელს. ამავე დროს სწავლობდა დიდი ჭყონის საღამოს საშუალო სკოლაში. სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩიეს 1970 წელს“ (იხ. მ. მანია, ,,უხვად, იაფად“, თბ. 1972 წ. გვ. 12).

დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქიდან სხვადასხვა დროს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: სალხინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალიკო თოდუა, მხატვარი უჩა ჯაფარიძე, რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

1985 წლის 24 თებერვალს დიდი ჭყონის N348 ოლქიდან საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა, დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე რუსუდან ვაჟიკოს ასული კილასონია (იხ. საჯარი ბიბლიოთეკა, პლაკატების კოლექცია).

1958 წელს, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრად აირჩიეს ჟორჟი (ჟორა) პავლეს ძე ჯანჯღავა. დაიბადა 1919 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ომში. დაიჭრა მძიმედ.

ომის დასრულების შემდეგ სწავლობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მუშაობდა გაზეთ ,,წინსვლა“-ს განყოფილების გამგედ, მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად. იყო სამტრედიის რაიკომის ბიუროს წევრი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1962 წლიდან საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი იყო საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, საპატიო ბიბლიოთეკარი, ქალაქ მარტვილის საპატიო მოქალაქე,

მეცნიერი, პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინ-სტიტუტის ლექტორი, ალექსანდრე ანდრიას ძე კოკაია.

სახვადასხვა დროს ალექსანდრე კოკაია მუშაობდა მასწავლებ-ლად ხორშის საშუალო სკოლაში და ფოთის პარტსკოლაში, ქალაქ ფოთის I სანიმუშო სკოლის დირექტორად. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1937 წელს გარიცხეს პარტიიდან, აპირებდნენ დაპატიმრებას, მაგრამ ბერიასთან შეხვდრის შემდეგ აღადგინეს პარტიაში და აუ-ნაზღაურეს 8 თვის ხელფასი (იხ. დავით მხეიძე, გაზეთი ,,ილო-რი“, 2019 წ, N448).

მარტვილის მუზეუმში ინახება 1942 წელს წელს ალექსანდრე კოკაიას მოქმედ არმიაში მივლინების მანდატი (იხ. დოკ. 1930).

ალექსანდრე კოკაია წლების განმავლობაში მუშაობდა თბი-ლისის საჯარო ბიბლიოთეკის სწავლულ მდივნად, პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. იყო კათედრის გამგის მოადგილე. 1968 წლის იანვარში მიენიჭა საქ. სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

მისი ინიციატივით სოფელ ნაფოსტარში გაიხსნა ბიბლიოთე-კა, რომელსაც საჩუქრად გამოუგზავნა 1000-ზე მეტი დასახელე-ბის წიგნი, ბროშურა და ჟურნალი. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, 1989 წლის აპრილში.

საჯარო ბიბლიოთეკის სწავლული მდივანი ალექსანდრე კო-კაია თავისი ინიციატივით ეძებდა, პოულობდა და მარტვილის მუზეუმს უგზავნიდა მასალებს. ,,მან კრებულად აგვიკინძა მის მიერ მოპოვებული ეს მასალები და გადმოგვცა მუზეუმის ფონ-დში დასაცავად“ (იხ. გ. ელიავა, სამეგრელო ტ. II, გვ. 225).

ალექსანდრე კოკაიას მეუღლე, ლულუ მოსეშვილი ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას, წერდა ლექსებს და მოთხრობებს, ით-ვლებოდა გერმანული ენის საუკეთესო სპეციალისტად.

სსრკ და საქართველოს კოლმეურნეთა ყრილობის დელეგა-ტად რამდენიმეჯერ აირჩიეს სოფლის მეურნეობის მეცნიერება-თა კანდიდატი, თამაკონის ,,შრომის დროშა“-ს და დიდი ჭყონის ,,მახარაძე“-ს კოლმეურნეობების თავმჯდომარე ბორის შალვას ძე ოკუჯავა.

პროფკავშირების რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობის დელეგატად აირჩიეს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ნოვატორი მეჩაიე ლეილა ნაჭყებია.

საქართველოს მასწავლებელთა XV ყრილობის დელეგატად აირჩიეს დიდი ჭყონის მეურნეობის სკოლის დირექტორი აკაკი ირაკლის ძე ლაშხია. ის ,,სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნის“ მფლობელია. დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით. მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა ანსამბლი ,,ია“, რომელიც პოპულარული გახდა არა მარტო რაიონსა და რესპუბლიკაში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც.

ირაკლი სიკოს ძე ლაშხია დაიბადა კურზუში. მონაწილეობდა I და II მსოფლიო ომებში, ვლადიკავკაზში დენიკინის წინააღმდეგ ომში. იყო კურზუს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, სალხინოს რაიმილიციის უფროსის მოადგილე, დიდი ჭყონის რაიმილიციის უფროსი, კურზუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მიღებული ჰქონდა ლენინის ორდენი.

1948 წლის 25 მაისს ლენინის ორდენი მიენიჭა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველ მუშა მედეა შავდიას.

დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნე მარგუშა კოსტანტინეს ასულ ნადარაიას 1950 წელს გადაეცა ლენინის ორდენი. ამავე ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ნადია ბეჭვაია.

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის ბრძანებულებით ლენინის ორდენი მოენიჭა ვენერა კირილეს ასულ კილასონიას (იხ. სოციალისტური სოფელი“ 1951 წლის 7 აგვისტო, N63).

,,იმ სახელოვან მეჩაიეებს შორის, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის სიამაყეს წარმოადგენენ, საპატიო ადგილი უჭირავს ორგზის ლენინის ორდენოსან ანა სედნიცკაიას (გულუას)“ (იხ. ,,სოციალისტური სოფელი“, 1957 წლის 26 აპრილი N49).

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულებით, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ვარლამ თოდუა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ვერა ძუკუს ასული ოკუჯავა 1966 წლის 19 მაისს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ის მუშაობდა კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე-მექანიზატორი რამაზ (რანის) დგებუაძე 1970 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ლუბა ბასას ასულ ნადარაია 1980 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ის მუშაობდა დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში.

საერთაშორისო მნიშვნელობის საპროექტო ინსტიტუტის ,,თბილავტოგზის" მთავარი ინჟინერი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალოსანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო მეგზევე ავთანდილ ბაგრატის ძე გოროზია დაიბადა 1927 წელს სოფელ დიდი ჭყონში (ნამიკოლაოში). 1950 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა ,,აგურა-ადლერის" საავტომობილო გზის პროექტის მთავარ ინჟინრად, მისი მონაწილეობით დაპროექტდა გზები-კავასიაში, შუა აზიაში, პამირზე, ჰიმალაიზე, აფრიკასა და მაგადასკარში.

1975-1985 წლებში ხელმძღვანელობდა შავიზღვისპირეთის საგზაო ქსელის განვითარების საპროექტო სამუშაოებს, რისთვისაც მიენიჭა სსრკ-ს სახელმწიფო პრემია.

1959-1989 წლებში მონაწილეობდა ავღანეთის საგზაო ქსელის დაპროექტებაში. 1987-1988 წლებში მუშაობდა ქალაქ ქაბულის საგზაო დეპარტამენტის მთავარ ინჟინრად და საპროექტო ჯგუფის უფროსად (იხ. საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ. 2017 წ. გვ. 162-163).

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი ბორის გადელია დაიბადა 1935 წელს. ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს მუშაობდა აბაშისა და გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, 1972 წლიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამავე სამინისტროს N2 სამშენებლო ტრესტის ჯერ ხობის, შემდეგ მარნეულის სამშენელო

სამმართველოებს, მისი მონაწილეობით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა არაერთი მნიშვნელოვანი სასოფლო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტი დასავლეთ საქართველოში და ქვემო ქართლის რეგიონში (იხ. საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ. 2017 წ. გვ. 116).

სოციალისტური შრომის გმირ, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომ ილარიონ იოსების ძე გოგინავას 1955 წელს მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორ მიხეილ ილარიონის ძე მანიას 1965 წლის 1 მარტს მიენიჭა საქართველოს სსრ. დამსახურებული აგრონომის წოდება. ის იყო სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი. 1966 წლის მაისში მიენიჭა ლენინის ორდენი.

სალხინოს ,,ჟდანოვის"-ა და დიდი ჭყონის ,,მახარაძე"-ს კოლმეურნეობების თავჯდომარედ, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობდა საქართველოს დამსახურებული აგრონომი ჯოდო ბეჭვაია. ის დაჯილდოებული იყო სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით. მიღებული ქონდა სოფლის მეურნეობის წარჩინებულის ნიშანი.

1919 წელს დაიბადა საქართველოს დამსახურებული აგრონომი ქსენია ერასტოს ასული ფირცხალავა. მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ თამაკონში, მთავარ აგრონომად- ლედგებეში.

რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი დიონისე (დიანოზ) ტოტიას ძე გოროზია დაიბადა 1907 წელს. იყო მეურნეობის მთავარი აგრონომი. მიღებული ჰქონდა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 2 ბრინჯაოს მედალი.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ექიმ ერმილე გიგოს ძე დიხამინჯიას 1971 წლის 13 ივლისს მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული ექიმის წოდება.

ხობის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარ ექიმად 1954 წლიდან მუშაობდა საქ. სსრ დამსახურებული ექიმი ამბროსი ამბრო-

სის ძე დგებუაძე (1919-1978). დაჯილდოვებული იყო ჯამრთელობს დაცვის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით

1983 წელს ბანძის საავადმყოფოს მთავარ ექიმ აკაკი ხურცილავას მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული ექიმის წოდება. გასული საუკუნის 60-იან წლებში აკაკი ხურცილავა მუშაობდა დიდი ჭყონის მეურნეობის საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

1934-1936 წლებში დიდი ჭყონის საშუალო სკოლის დირექტორ სამსონ გიორგის ძე სხულუხიას 1947 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. 1950 წელს ის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

სამსონ ივანეს ძე ხვიჩია 1894 წელს დაიბადა სოფელ ნამიკოლაოში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ თამაკონში. დაამთავრა ხონის საქალაქო სასწავლებელი. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში.

I მსოფლიო ომის მონაწილეობის მიღების შემდგომ, სამსონ ხვიჩიამ მუშაობა დაიწყო ლედგებეს სკოლაში გამგე- მასწავლებლად, 1920 წელს მასწავლებლად გადავიდა ნამიკოლაოს სკოლაში. იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მინიჭებული ჰქონდა ლენინის ორდენი.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ სოფიო დგებუაძე და ნოე ჩაგუნავა. ლენინის ორდენით იყო დაჯილდოებული ისიდორე კობახიძე, შრომის წითელი დროშის ორდენით -ევგენი გოროზია, საპატიო ნიშნის ორდენით-ალექსანდრა კეშელავა და ლენა ანტონის ასული თოდუა.

1977 წლის 6 იანვარს გაზეთმა ,,შრომის დროშა“-მ აუწყა მკითხველს: ვლადიმერ ვათას ძე თოდუას გარდაცვალება. ვ. თოდუა დაიბადა 1886 წელს ნამიკოლაოში. 1919 წელს დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: კინჩხის, სუჯუნის, ძველი სენაკის, სალხინოს, სამიქაოს, აბაშის, მარტვილის, კიწიის სკოლებში, 1934 წლიდან - დიდი ჭყონის საშუალო სკოლაში. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. 1948 წლის 5 მაისს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

რჩეულთა ოდაბადე

1936 წელს პროფესორი ვასილ ვარაზი გახდა მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ოფიციალური ნომინანტი. ასეთი სახელოვანი პროფესორის ასისტენტი, მის შრომების თანაავტორი იყო დიდი ჭყონელი ივანე ნანავა.

ივანე გრიგოლის ძე ნანავა დაიბადა 1903 წელს. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში ქიმიურ-ფარმაკოლოგიურ ფაკულტეტზე, პარალელურად დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტიც. მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტში დოცენტად. 1942 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დიდხანს იყო შრატებისა და ვაქცინების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, შემდეგ - ონკოლოგიის ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

წლების განმავლობაში იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის წევრი. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. გამოაქვეყნა 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი. გარდაიცვალა 1985 წლის აგვისტოში (იხ. გაზეთი ,,თბილისი“, 1985 წლის 31 აგვისტო, N200).

ათანასე კოკაია, ნაფოსტარიდან, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსახლეობაში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით სტალინს სურდა უნივერსიტეტის რექტორად ათანასეს დანიშვნა, ოღონდ: უარი უნდა ეთქვა ტროცკისთან მეგობრობაზე. ბელადმა ათანასეს არ აპატია სიტყვები: ჩიტი (სტალინი) ვერ ,,დაიმონებს“ მიმინოს. ათანასე კოკაია დახვრიტეს, ხოლო მისი სახლი ნაფოსტარში დაწვეს.

ექიმი, მეცნიერი, პროფესორი მამია ილიას ძე დგებუაძე დაიბადა 1927 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. ამავე ინსტიტუტში იყო ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება. 1994 წლიდან არის საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2011 წელს.

მთარგმნელი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრი დალი ალექსანდრეს ასული კოკაია დაიბადა 1937 წელს. 1995-2005 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის გამგე. 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2018 წელს. მეუღლესთან, მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან ერთად დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პროფესორი დევის ბეჭვაია დაიბადა 1939 წელს ქ. სოხუმში, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, კირილე ბეჭვაის ოჯახში. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, ასპირანტურა, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მან განვლო პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხური ასისტენტობიდან-პროფესორებამდე. ლექციებს კითხულობდა სხვა უმაღლეს საწავლებლებშიც. იყო მ. მამარდაშვილის, ვ. ქვაჩახიას, შ. ნადარეიშვილის წიგნების თანაავტორი. გარდაიცვალა 2006 წელს (იხ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ N33, 2006 წ. 15 თებერვალი; ,,თბილისის უნივერსიტეტი“ N5, 2006 წ. 17 თებერვალი, გვ. 8).

ვაჟა ევგენის ძე გოროზია დაიბადა 1944 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ასპირანტურა. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამხედრო აკადემიაში, უშიშროების აკადემიაში ხელმძღვანელობდა კათედრას. იყო მრავალი საერთაშორისო- სამეცნიერო კონგრესისა და კონფერენციის მონაწილე.

ვაჟა გოროზია იყო საქართველოში სოციოლოგიის სპეციალობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის წევრი, საერთაშორისო ფენომენოლოგიური საზოგადოების ინტერდისციპლინარულ მეცნიერებათა კვლევის საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, თსუ სოციოლოგიის, სოციალური ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს სწავლული მდივანი. ამ ჩინებული ადამიანის ავტორიტეტს ცნობდნენ ყველგან. გარდაიცვალა 2005

წელს (იხ. ვაჟა გოროზიას ხსოვნა, თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ჰუმანიტარული ფაკულტეტი; ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 2005 წ. 24 დეკემბერი, N298-299).

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამართლის აკადემიკოს-მკვლევარი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ღირსების ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი აპალონ გადელია დაიბადა 1946 წელს. სწავლობდა და მუშაობდა ხაბაროვსკში სხვადასხვა თანამდებობებზე, 1977 წლიდან გადმოყვანილ იქნა საქართველოს შინაგან სამინისტროს სისტემაში სამუშაოდ, სადაც ღირსეულად განვლო გზა, რიგითი ოფიცრიდან პოლკოვნიკის ჩინამდე.

ა. გადილია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ეპიცენტრის მონაწილეა; იგი კოლეგებთან ერთად შიშველი ხელებით წინ აღუდგა ორლესულ ნიჩბოსან სპეცდანიშნულების რუს მედესანტეებს და სიკვდილს გადაარჩინა ასეულობით მშვიდობიანი მომიტინგე.

2004 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. არის 7 წიგნის და ასობით პუბლიკაციის ავტორი. 2001 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი. 2020 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 2021 წელს დააფუძნა გაზეთი ,,თემიდა“. 2019 წლიდან არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია ,,ქალდეა საქართველოს“ პრეზიდენტი.

ევროპის ნევროლოგთა ასოციაციის წევრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ,,ამტელ ჰოსპიტალის“ ნევროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვახტანგ ივანეს ძე ნანავა დაიბადა თბილისში. 1994 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

სამედიცინო უნივერსიტეტის ანატომიის კათედრის პროფესორი მაია ამბროსის ასული დგებუაძე 1954 წელს დაიბადა ხობში. 1993 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (იხ. ენციკლოპედია ,,საქართველო“, ტ. 2, თბ., 2012 წ. გვ. 343). გარდაიცვალა 2020 წლის დეკემბერში.

საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გამომგონებელი, ექსპერტი ლეონიდე (ლევან)

შოთას ძე ოკუჯავა დაიბადა 1950 წელს. მუშაობდა სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში. არის შ. პ. ს . ,,მშენებლობის ექსპერტიზის ცენტრი“-ს დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი.

ლეონიდე ოკუჯავას ეკუთვნის გამოგონებები: 1) ვენახების სეტყვის საწინააღმდეგო გადახურვა, 2) მაღალი წნევის წყალსადენებიდან ელექტროენეერგიის მიღების პრინციპი, 3) ზემაღალი სიმტკიცის ბეტონის მიღება, 4) ანულირებული ფისების გამყარების ტექნოლოგიის შემუშავება ღია კოსმოსის პირობებში, 5) პოლიმერული კომპოზიციური მასალების გამოყენება წყალქვეშა ნავების საავარიო სისტემებში.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე კუკანია დაიბადა 1957 წელს. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მან განვლო ყველა საფეხური ასპირატობიდან-პროფესორობამდე. 2004-2006 წლებში ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, 2006-2011 წლებში- საზოგადოებრივ-მეცნიერებათა დეპარტამენტს.

2006 წელს გამოვიდა ვასილ (ვასო) კუკანიას წიგნი ,,ნარკვევები დიალექტიკის თეორიაში“. ამავე წიგნის მეორე ნაწილი გამოვიდა 2007 წელს. ვასო არის 5 სამეცნიერო ნაშრომისა და ვრცელი მონოგრაფიის ავტორი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ნოოლოგიის ცენტრის დირექტორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ემზარ ხვიჩია 1963 წელს დაიბადა. მან განავითარა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია.

ნუგზარ თოდუა დაიბადა 1964 წელს. 1990 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი 1995 წ. პროფესორი 1998 წ. 2002 წლიდან ხელმძღვანელობს კათედრას. არის ,,ასოციაცია მარკეტინგული კვლების“ ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი გოჩა თოდუა 1965 წელს დაიბადა. 1982 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ცირა ანზორის ასული ჯანჯღავა დაიბადა 1964 წელს. მუშაობს ჩიქობავას სახელობის

ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ლექციებს კითხულობს თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი დამზირ ჯოჯუა დაიბადა დიდი ჭყონში. არის უამრავი წიგნის ავტორი და რედაქტორი.

ამერიკის ელჩმა იან კელიმ აღნიშნა: GIPA (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) არის ყველაზე წარმატებული ინვესტიცია, რაც კი ამერიკის შეერთებულ შტატებს განუხორციელებია საქართველოში.

თინათინ ილიას ასული ერქვანია არის GIPA-ს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. ლექციებს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში: GIPA, თსუ, საქართველოს უნივერსიტეტი... არის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; ა (ა)იპ, ,,კონსტიტუციური მმართველობის ცენტრი-საქართველო“.

2017-2018 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი საკონსტიტუციო სასამართლოში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ბერლინში (იხ. გარე ჭყონელები).

თათა ილიას ასული ერქვანია 2017 წლიდან ლექციებს კითხულობს ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი შორენა რეზოს ასული ოკუჯავა. არის საქართველოში სასტუმროების ქსელ ,,ჰილტონის“ დეპარტამენტის უფროსი.

თბილისის აგრარურ უნივერსიტეტში 2010-2013 წლებში ლექციებს კითხულობდა მერაბ ქვარცხავა. 2012 წელს მიენიჭა აკადემიური დოქტორის წოდება.

სენაკის რაიონული პროკურორი ბესიკ ქვარცხავა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი.

მერი მამუკას (ხვიჩას) ასულ ჯანჯღავას 2023 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

ბექარ ჯამბულის ძე კილასონიას 2023 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

საქართველოში პირველად ლაპარასკოპიული (უსისხლო) ოპერაციები ღვიძლის, სანაღვლე გზების და პანკრეასისა ჩაატარა

სეულის ეროვნული საუნივერსიტეტო კლინიკასა და ჰონ-კონგში სტაჟირებულმა ქირურგმა ანზორ (დავით) ემზარის ძე კვაშილავამ.

ლაშა ანზორის ძე ჯანჯღავა დაიბადა 1970 წელს. არის ჭადრაკში სტუდენთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ოთხჯერ მონაწილეობდა საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

1992 წლიდან ეწევა სამწვრთნელო მოღვაწეობას. არის ფიდეს მწვრთნელი, საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდების მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული არაერთი მოზარდი გახდა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი, თუ პრიზიორი. იყო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის და საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის გამარჯვებულ მაია ჩიბურდანიძის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონ ნინო გურიელის პირადი მწვრთნელი, იყო ასევე საჭადრაკო სამყაროს ბევრი უძლიერესი დიდოსტატის, როგორც ქართველის, ასევე უცხოელის სეკუნდანტი.

2000-2003 წლებში ლაშა ჯანჯღავას ავტორობით ინგლისში გამოვიდა 3 წიგნი საჭადრაკო თეორიის შესახებ. 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს ეკუთვნის სიტყვები: საქართველო ყველაზე ძლიერი ადამიანების სამშობლოა. კოტე არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმის, რომ საქართველო არის ყველაზე ძლიერი ადამიანების სამშობლო.

,,ქართველი ხარი“, ასე მოიხსენიებს კოსტანტინე ჯანაშიას მსოფლიოს სთრონგმენთა სამყარო. ჯანაშის ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ამოწევაში. ქართველმა სპორტსმენმა 510 კილოგრამის ამოწევა შეძლო. კოსტანტინე ჯანაშია მსოფლიოს და ევროპის სთრონგმენთა ჩემპიონატების ვერცხლის მედლების მფლობელია. ის მრავალი საერთაშორისო ტურნირის და ფესტივალის გამარჯვებულია. 2009 წლიდან მისი სპონსორია ცნობილი მსახიობი არნოლდ შვარცნეგერი.

სთრონგმენი სპორტის ამერიკული სახეობაა. იქ გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. საქართველოში ფედერაცია 2009 წელს დაფუძნდა. ქართველი სპორტსმენები მუშაობენ არა მხოლოდ შედეგზე, არამედ შოუზე, ხალხზე, ტრაილერების, თვით-

მფრინავების გათრევა. კოტე მონაწილეოდა სატელევიზიო პროექტ ,,ნიჭიერში“, სადაც მანქანა გადაატრიალა და ბოინგი გასწია.

2023 წელს დუგლას დგებუაძე გახდა მკლავჭიდში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი.

დიდი ჭყონის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ჟორა ჯიჯელავა ახალგაზრდობის წლებში ცნობილი სპორტსმენი იყო. ის სტუდენტთა საკავშირო თამაშების არაერთგზის პრიზიორი იყო ფრენბურთში, მრავალჯერ იცავდა სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას.

საქართველოს 17 წლამდელ ქალთა საფეხბურთო გუნდმა 2017 წელს უეფას ტურნირში გაიმარჯვა. გუნდში თამაშობდა დიდი ჭყონელი მარიამ გოროზია.

ფეხბურთში საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის გუნდების შემადგენლობაში თამაშობენ: ცოტნე ნადარაია, ვაჟა და ცოტნე ფაცაცია; თამაშობდნენ: ჯიმშერ მარკოზია და თორნიკე ერქვანია.

2023 წელს ცოტნე მერაბის ძე ფაცაცია საქართველოს ჩემპიონი გახდა ფეხბურთში. ეროვნული ლიგის შემაჯამებელ ღონისძიებაზე სეზონის საუკეთესო გოლად ცოტნე ფაცაციას მიერ საკუთარი ნახევრიდან მეტოქის კარში გატანილი გოლი დასახელდა.

ლატვიის ქალაქ ლიეპაიას გუნდის წევრი 2024 წელს გახდა ვაჟა მერაბის ძე ფაცაცია.

ზაურ ხუხუამ სიმღერით მოიარა საბჭოთა კავშირი, კუბა, ავსტრია, ფინეთი... ის ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირში ჩატარებული მუსიკალური ფესტივალების ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი. მისი ხელმძღვანელობით მარტვილის სახალხო ანსამბლი ,,ჭყონდიდი“ მონაწილეობდა იტალიაში გამართულ ფესტივალზე, სადაც ანსამბლის სრულმა შემადგენლობამ საერთაშორისო ლაურეატის წოდება მიიღო.

ბადრი გვილავა ავტორია სიმღერების: დიდი ჭყონზე, მარტვილზე, ჭყონდიდზე. ის 1985-90 წლებში მუშაობდა მარტვილის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად. 1993 წელს დააარსა მარტვილის ფოლკლორის ცენტრი. 2016 წელს დააარსა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი-,,ლეგენდა მარტვილზე“. შემოქმედებითი არეალის გაფართოებასთან ერთად შეიცვალა

ფესტივალის სახელწოდება და ეწოდა-,,ლეგენდების ქვეყანა“. დაარსებიდან ფესტივალს სტუმრობდა 40-მდე სხვადასხვა ქვეყნის ანსამბლი.

ქართველი კაცის ნიჭიერება და ღირსება მთელ მსოფლიოს დაანახა მომღერალმა გია კვაშილავამ. ,,გია გახლდათ საუკეთესო დრამერი, ლამაზი პირველი ხმით...იყო ,,დიელო“, ,,ჯადოსნური გზები“, ,,მუსიკა“. ძალიან უყვარდა სიცოცხლე (იხ. მაკა გულორდავა, facebook).

გრემის ჯილდო თანამედროვე მუსიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია, რომელიც შეგვიძლია კინომატოგრაფიაში ,,ოსკარის“ ჯილდოს შევადაროთ. დიდი ჭყონელი რეპერის ირაკლი ახალაიას შესრულებულმა მელოდიამ ,,გრემი“ მოიპოვა 2018 წელს. ირაკლი პირველი ქართველია, რომელიც ,,გრემის“ მფლობელ ალბომში საკუთარ მელოდიას უკრავს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალია თორნიკე ხუხუა, სუხიშვილების ანსამბლის წევრია გოჩა (ლუკა) ბეჭვაია.

დიდი ჭყონელმა ლალი გაგუამ მთავარი როლი ითამაშა კინო-ფილმ ,,რეკორდში“.

საქართველოში ,,ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე მეგრული თარგმანი არსებობს. ჰამლეტ ნადარაიას თარგმნილი გამოირჩევა ორიგინალურობით, მეგრულ-ქართული ლექსიკის ღრმა ცოდნით.

დიდი ჭყონის საშუალო სკოლის დირექტორი (საჯარო სკოლის მასწავლებელი) შოთა კუკანია დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ისტორიკოს შოთა კუკანიას ხელნაწერი დიდი ჭყონის ისტორია.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით ღირსების მედლით დაჯილდოვდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, გაზეთ ,,ჭყონდიდი“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე დემურ კილასონია.

ის წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ხელმძღვანელ პარტიულ და კომკავშირულ სამუშაოებზე, იყო ქალაქ მარტვილის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი, გაზეთ ,,მარტვილის მოამბის“ რედაქტორი.

1997 წელს პეტრე კირთაძესთან ერთად გამოსცა 480 გვერდიანი ხსოვნის წიგნი ,,არდავიწყება“, სადაც მოთხრობილია 300-ზე მეტი მარტვილელის ბიოგრაფია. თანაავტორია წიგნისა ,,აწყმო შობილი წარსულისაგან“, რომელიც სერგიეთის სკოლის 120 წლისთავს ეძღვნება. 2005 წელს გამოსცა ლექსთა კრებული ,,ხიბლი მთებისა“. არის საინტერესო საგაზეთო წერილების ავტორი.

დიდი ჭყონში დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთიდან დევნილი პოეტი ამირან თოდუა. ის იყო ქართული ეკლესიის გახსნის მოთავე კიევში. ამირანი წლების განმავლობაში იყო კიევის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე.

პოეტებს არასდროს ულხინდათ საქართველოში (და ალბათ, არც სხვაგან). დიდი ჭყონელმა ილია ერქვანიამ 2019 წელს დააფუძნა ლიტერატურული ფესტივალი ,,ქუჯი“. 2022 წელს, ,,ქუჯის“ IV ფესტივალი ჩატარდა დიდი ჭყონში; გაიცა ფულადი პრემია 3 გამარჯვებულზე. ფინალისტებს საჩუქრად გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ლიტერატურის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის პოეტ ილია ილიას ძე ერქვანიას 2023 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. ილია ავტორია 15 პოეტური კრებულის.

,,გენადი ნანავას ლექსების კრებული შეადგინა, ურედაქტორა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსცა მისმა მეგობარმა, შესანიშნავმა ლიტერატორმა ელგუჯა ჯგერენაიამ (იხ. ფაუსტ ნადარაია, ,,მარტვილში მოღვაწე ავტორები“, თბ. 2018 წ.).

ჟურნალისტთა ასოციაცია ,,თავისუფალი პრესის“ თავმჯდომარეა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, გაზეთ ,,მარტვილის“ რედაქტორი, უამრავი წიგნის ავტორი ფაუსტ ნადარაია.

დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლის დირექტორი დავით ნაჭყებია არის სამი წიგნის და უამრავი საგაზეთო წერილის ავტორი.

დრო კიდევ წინ არის, დიდი ჭყონსა და დიდი ჭყონელებზე კიდევ ბევრი და უფრო ვრცლად დაიწერება. მე ინტერნეტში, წიგნებში, არქივებში, პერიოდული პრესის ფურცლებზე აღწერილი ამბები შევკრიბე ერთად.

დიდი ჭყონის სკოლა არაერთმა სახელოვანმა ადამიანმა დაამთავრა, ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთებზე დუმილი შეუძლებელია:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალისტი, საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევების ავტორი, პოლკოვნიკი პროკოფი ხვიჩია 1929 წელს დაიბადა თამაკონში (ნამიკოლავო პირველში). დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა.

ავიატორ-გამომგონებელი, პროფესორი შალვა ირაკლის ძე ნანავა დაიბადა სოფელ ტალერში. ოქროს მედალზე დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. იყო ლენინგრადში არსებული საიდუმლო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი.

აპალონ ბასილაია დაიბადა სოფელ სალხინოში. დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. იყო ჟურნალ ,,მეცნიერება და ტექნიკა“-ს რედაქტორის მოადგილე. წერდა და გამოსცემდა ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს. ის, ამ ჟანრის მოთხრობების ერთ-ერთი პიონერი იყო საქართველოში. მან პირველმა დაამზადა ჩაის საკრეფი მანქანის მოდელი, რომელიც შემდეგ დაიხვეწა და გაუმჯობესდა.

თვალსაჩინო მეცნიერი, უმაღლესი განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესორი გურამ ყუფუნია 1936 წელს დაიბადა ტალერში. 1954 წელს დაამთვრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა.

1974 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იყო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 2002-2008 წლებში იყო თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი და რექტორი, 2011-2015 წლებში - ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. 2016 წელს მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის წოდება. 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ქართველი იურისტი და პოლიტიკოსი ,,ახალი პოლიტიკური ცენტრი-გირჩის“ თავმჯდომარე, საქართველოს X მოწვევის პარლამენტის წევრი, ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი იაგო ხვიჩია დაიბადა 1982 წელს. დაამთავრა დი-

დი ჭყონის საშუალო სკოლა. 2009-2013 წლებში მუშაობდა საჯარო რეესტრის იურიდიული დეპარტამენტის უფროსად.

გარე-ჭყონელები, არაქართველები- დიდი ჭყონში

დაუზუსტებელი მონაცემებით რუსეთში ცხოვრობს 800 ათასი, ირანში-150 ათასი, თურქეთში- 3 მილიონი, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში-200-250 ათასი ქართველი.

XIX საუკუნის მიწურულს საფრანგეთში სწავლობდა კოკინია დგებუაძე. XX დასაწყისში, ბორდოს უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა პორფირი დგებუაძე.

გასული საუკუნის 30-იან წლების დამლევს საფრანგეთში წავიდნენ საცხოვრებლად ძმები არტემ და სოსო ქვარცხავები.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქალაქ ქაბულის საგზაო დეპარტამენტის მთავარ ინჟინრად მუშაობდა ავთანდილ გოროზია. ქაბულში მუშაობდა ავთანდილ გოროზიას ერთ-ერთი ვაჟი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში შუა აზიის ქვეყნებში გზების საპროექტო სამუშაოებს აწარმოებდა რეზო შოთას ძე ოკუჯავა. ქართველ სამთო ინჟინერთა ჯგუფს რეზო ოკუჯავას ხელმძღვანელობით არაერთი საკავშირო მნიშვნელობის გზა დაუპროექტებია და აუმოქმედებია.

მეცნიერების განვითარება საქართველოში რთულია, ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ,,და რა ქნას იმან, ვისაც თუნდაც დედამიწის ,,გადაბრუნება“ შეუძლია და ამ ძალის რეალიზებას აქ ვერ ახერხებს? ადგება და უცხოეთში წავა!

-და სახელსაც იხვეჭს. რაც უნდა გული დაგვწყდეს, დღეს სხვა ქვეყნების სახელით აკეთებენ აღმოჩენებს დიდი ქართველი ფიზიკოსები: ნიუ-იორკის უნივერსიტეტში გია დვალი, ნიურნბერგის უნივერსიტეტში-შოთა ოკუჯავა, ლინცის უნივერსიტეტში-თემურ კუცია (იხ. ალექსანდრე შენგელია, www kvirispalitra ge, 2012 წლის 21 დეკემბერი).

შოთა ლევანის ძე ოკუჯავა დაიბადა 1977 წელს ქალაქ თბილისში. დიდი ჭყონის საშუალო სკოლის ქიმიის და ზემო ნიქოზის საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტებში გაუჩნდა მას დიდი ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ. მისი ბებია (ადელინა ბასილაია) ქიმიას ასწვლიდა დიდი ჭყონის სკოლაში. ბაბუა (შოთა ოკუჯავა) მარტვილში ცნობილი ინჟინერი და თამადა იყო.

1996 წლიდან მოღვაწეობს გერმანიაში შოთა ლევანის ძე ოკუჯავა. 1998 წლიდან ნიურნბერგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იგი დოცენტად მუშაობდა და საბანკო სფეროში პროგრამირებას ასწავლიდა. 2003-2006 წლებში ეკონომიკის კათედრაზე მეცნიერ-თანამშრომლად მოღვაწეობდა; 2006 წელსვე დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,საინფორმაციო ტექნოლოგიაში ინვესტირების რენტაბელობა". შემდეგ მან კერძო ფირმა დაარსა. 2007-2008 წლებში შოთა ოკუჯავა სისტემა ,,დოიჩლანკარდ"-ის დამუშავებასა და დანერგვაზე მუშაობდა. ამჟამად იგი დასაქმების სამინისტროში ინფორმაციული ტექნოლოგიების განხრით მუშაობს (იხ. თამუნა ჯაყელის ბლოგი, ,,გია დვალის კვლევები", 2010 წ, 14 აპრილი).

2006 წელს შოთა ოკუჯავას მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მისი სადისერტაციო ნაშრომი ,,ინფორმატიკის სფეროში ინვესტიციების ეკონომიური განხილვა" გამოქვეყნდა წიგნის სახით.

სტუდენტი შოთა ოკუჯავა აქტიურად მუშაობდა პროგრამირების დარგში. სტუდენტობის პერიოდში მას ასევე ჩატარებული აქვს 50-ზე მეტი ტრეინიგი გერმანიის უმსხვილესი ბანკების თანამშომელთა ჯგუფებისთვის.

2010 წელს შოთა ოკუჯავამ პარტნიორებთან ერთად დაარსა კომპანია ,,ისენტო", სადაც ამჯამად მუშაობს 75-ზე მეტი თანამშრომელი. ,,ისენტოს" კლიენტები არიან გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები, სადაზღვეო კომპანიები და მსხვილი სამრეწველო კონცერნები.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიმართ შოთა ოკუჯავას ინტერესი განაპირობებს ,,ისენტოს" დიდ მოცულობით ინვესტიციებს კვლევით პროექტებში. ისენტოს დამუშავებული რობოტი PIB წა-

რმატებით გამოიყენება გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების სკოლებსა და უნივერსიტეტებში (მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის) ტექნიკური საგნების დემონსტრაციის განხრით. ,,ისენტომ“ ამ პროექტისთვის 2023 წელს მიიღო პრესტიჟული პრიზი.

,,ისენტო“ აწარმოებს აქტიურ მუშაობას გერმანიის ცნობილ უნივერსიტეტებთან ერთობლივ კვლევით პროექტებზე, რომელთა ნაწილობრივი დაფინანსება ხდება სახელმწიფო გრანტებით.

ამჟამად შოთა მეუღლესთან და 3 შვილათან ერთად ცხოვრობს ნიურბერგში.

მიკრობიოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ლევანის ასული ოკუჯავა, მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. მან 2002 წელს წარმატებით დაასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მაგისტრის ხარისხის მინიჭების შემდგომ 2 წელი მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში მეცნიერ-თანამშრომლის ასისტენტად.

2006 წლის მიწურულს რუსუდანმა მიიღო მოწვევა ბაზელის უნივერსიტეტიდან 4 წლიანი პროგრამის სრული დაფინანსებით. 2011 წელს მიენიჭა მიკრობიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სადოქტორო ნაშრომი გამოქვეყნდა ერთ-ერთ მაღალრეფერირებად საერთაშორისო ჟურნალში.

4 წელი იმუშავა რუსუდან ოკუჯავამ ბაზელის უნივერსიტეტში. 2015 წლიდან ის უერთდება მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს კერძო ფარმაკომპანია F. Hoffman- La Roche-s სამეცნიერო გუნდს, სადაც მუშაობდა მეცნიერად, უფროს მეცნიერად, მთავარ მეცნიერად. ამჟამად არის ანტიბიოტიკების აღმომჩენი ჯგუფის მმართველი გუნდის წევრი და ამ გუნდის მიერ არჩეული პრეზიდენტი.

მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაკომპანიაში რუსუდანი ხელმძღვანელობს ნაციონალურ და ინტერნაციონალურ კვლევით პროექტებს და თავის გუნდთან ერთად აქტიურად განიხილავს კომპანიის როგორც ოპერატიულ, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებს. ის არჩეულია მსოფლიოს უმსხვილესი

კვლევითი და ინდუსტრიული არაკომერციული ორგანიზაცია-INGATE-ს 7 კაციანი კომიტეტის წევრად.

სამეცნიერო საქმიანობის გარდა, რუსუდან ოკუჯავა აქტიურადაა ჩართული დიასპორულ საქმიანობაში. მან 2020 წელს ბაზელში დაარსა ქართული საკვირაო სკოლა ,,ნაკადული", რომელმაც მალე მოიპოვა ბაზელის განათლების დეპარტამენტის აღიარება.

ბაზელის საკვირაო სკოლაში სწავლობენ შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში მცხოვრები ქართული და შერეული ოჯახის მქონე ბავშვები, რომელთაც საშუალება ეძლევათ შეისწავლონ ქართულ ენაზე საუბარი და წერა-კითხვა, გაეცნონ ქართულ ტრადიციებს და კულტურას, გაიმტკიცონ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან-საქართველოსთან.

თინათინ ილიას ასულმა ერქვანიამ ბაბუის მეშვეობით ისწავლა და შეიყვარა გერმანული ენა და კულტურა. თბილისში იურიდიული განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა ჰამბურგში, ბერლინში. ჰუმბოლტის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იყო ბერლინის, პარიზის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების ვიზიტორი მკლევარი. 2011-2012 წლებში იყო გერმანიის ქვედა პალატის დეპუტატის თანაშემწე.

თათა ილიას ასული ერქვანია 2018 წლიდან არის ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი.

გიორგი გოდერძიშვილი სწავლობს პრაღაში. არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორანტი (ნუტრიოლოგი).

მადრიდში 2022 წელს ჩატარებულ სილამაზის კონკურსზე, კატეგორიაში +40 გაიმარჯვა და ,,მის ესპანეთი 2022" გახდა იზაბელა თოდუა. დაიბადა და გაიზარდა დიდი ჭყონში. 12 წელია ბარსელონაში ცხოვრობს დედასთან და შვილთან ერთად. არის ,,მის კატალონიის" გამარჯვებული. ემზადება ,,მის მსოფლიო" კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. მანამდე სამოდელო სფეროსთან და სილამაზის კონკურსებთან იზაბელას შეხება არ ჰქონია.

ტიუმენის ოლქის საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსი, ქველმოქმედი რობერტ ფირცხელავა დაიბადა დიდი ჭყონის მეურნეობაში. სკოლა დაამთავრა ოჩამჩირეში. იყო კრივში საქართველოს ჩემპიონი იუნიორთა შორის.

უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთის ფედერაციაში. ცხოვრობდა და მუშაობდა ტიუმენის ოლქში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იყო ტიუმენის ოლქში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ოლქში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრება ფეხბურთში, სადაც თამაშდება მისი სახელობის პრიზი.

აფხაზეთიდან იძულებით გაადგილებულთა პირთა დასახმარებლად 2 სატვირთო თვითმფრინავით გამოაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება. გადმოცემების თანახმად, შევარდნაძემ შესთავაზა საქართველოში ერთ-ერთ სამინისტროს ხელმძღვანელობა.

მოსკოვში დაიბეჭდა წიგნი: ,,ქართველები მოსკოვში". ავტორები არიან ნანული ჭავჭანიძე და კარლო ვაშაკიძე. წიგნი მოგვითხრობს 31 ღირსეულ ქართველზე, რომელთა შორის არიან აკადემიკოსები: იური ფრანგიშვილი, ვიქტორ გელოვანი, ლეო ბოკერია, სევერიანე ცაგარეიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპოდენტი დავით ზარიძე, მხატვარი ზურაბ წერეთელი;

პროფესორები: ანზორ ხუბუტია, პლატონ ჯანაშია, დემურ კირთაძე, დავით ცაგარელი, გიორგი მანაგაძე, რეჟისორი ეთერ იმნაძე და სხვები.

ამ დიდ თანავარსკლავედში კაშკაშებს დიდი ჭყონელი ნაული ჯანაშიას გვარ-სახელი. მისდამი მიძღვნილ საკმაოდ დიდ ნარკვევში ასახულია, ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს კომერციული დირექტორის საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმიანობის პერიპეტიები.

1949 წლის 10 მაისს დიდი ჭყონში დაიბადა პეტერბურგში მოღვაწე პროფესორი ლეონ ჯინოს (კუკუს) ძე ბეჭვაია. ლექციებს კითხულობს პეტერბუგის სამედიცინო პედიატრიულ აკადემიაში. ხელმძღვანელობს სანკტ-პეტერბურგის ჩრდილო-დასავლეთის თერაპიული ინსტიტუტის ქირურგიულ ფაკულტეტს.

დიდი ჭყონელი სურაჯი ბასილაია ხარკოვში დაქორწინდა. ამ ქალაქში მან გახსნა-კაფე ,,გენაცვალე".

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტესიური მიგრაციების არეალში.

გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და სამოქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად ხელისუფლება ხშირად იყენებდა უცხო ეთნიკურ ერთეულს. ხშირად მათ სამხედრო მიზ-

ნებისთვისაც იყენებდა. ამ მიზნით შემოიყვანა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები.

1802-1806 წლებში ენგურზე დონელი კაზაკების დიდი ჯგუფი დასახლდა, ეიხვალდს ნაოღალევში დახვდა 22-ე ეგერთა პოლკი და მისი მეთაური აფხაზავა. თუმცა არანაირი საბუთი XIX საუკუნის I ნახევარში მარტვილის ზემო ზონაში რუსების ცხოვრების არ არსებობს.

ნამიკოლაოში რუსი აზნაურების ცხოვრება, ჯანაშიების გვარის მათთან დაკავშირება არის ლეგენდა. 1886 წლის აღწერის თანახმად მარტვილის საბოქაულოში: მეგრელების გარდა არავინ ცხოვრობდა.

ნაჩაჩანუ-ტოპონიმია დიდი ჭყონში. გივი ელიავა წერს, რომ 200 წლის წინ აქ ბოშები დაბანაკებულან და ამის შემდეგ ნაჩაჩანუს ეძახიან (იხ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ. 1977, გვ. 136).

ჭყონში არის ადგილი, სადაც ბერძნებს თამბაქო ეთესათ. ადგილს ნათუთუნუ ქვია (იხ. გ.ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 134).

,,ჩვენდა ბედად იმჟამად ნამიკოლუში ჩამოვიდა, მიწის მზომავი ლებედევი, სოფელი მას ,,მეჟევანიას“ (გამიჯვნა) ეძახდა. ჩემმა მშობლებმა მას ორი ოთახი დაუთმეს. მისი მეუღლე შეუდგა ჩემს მომზადებას (ქუთაისის) წმიდა ნინოს სასწავლებელში მისაღებად“ (იხ. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ., გვ. 449).

XVI საუკუნეში თეოლოგმა მარტინ ლუთერმა ბრძოლა გამოუცხადა საქრისტიანოში რომის ბატონობას. ნაპოლეონის დაპყრობითი ომების დროს დაიწყო ამ რელიგიის მიმდევარი ლუთერანი გერმანელების დასახლება საქართველოში. 1818 წლისთვის შექმნეს 8 კოლონია. მოგვიანებით კიდევ რამოდენიმე კოლონია შეიქმნა.

სხვადასხვა მონაცემებით, 1941 წელს საქართველოდან 24 ათასამდე გერმანული ოჯახი გაასახლეს. დიდი ჭყონიდან გასახლებულ იქნა 10-12 ოჯახი;

,,მამა და თათუშა მასწავლებელი კლასელები არიან. ორივე ფილოლოგია და საინტერესოდ მოსაუბრე. ამას წინათ წარსულს იხსენებდნენ; ვინ და რა არ მოიგონეს, განსაკუთრებული სითბოთი და

სიყვარულით კი -ბავშვობის მეგობარი, გერმანელი ლამაზი გოგონა სოფია მიულერი. დაინტერესებული ჩავერთე საუბარში. მათგან გავიგე, რომ ჩვენს სოფელში დიდი ჭყონში 1930 წლიდან 1941 წლამდე გერმანელთა 10-12 ოჯახი ცხოვრობდა, რომელთაც კარგად სცოდნიათ ქართული ენა. სწყინდათ, როცა რუსებად მოიხსენიებდნენ. ადგილობრივები პატივისცემით ეპყრობოდნენ მათგან განსხვავებული გარეგნობისა და წეს-ჩვეულებების მქონე ,,ნემცებს". გერმანელთა საცხოვრებელი სახლები, დამხმარე მეურნეობა და კარ-მიდამო ჩინებულად იყო მოვლილი. ადგილობრივთათვის მისაბაძი და სამაგალითო იყო მათი შრომისმოყვარეობა, აკურატულობა და მოწესრიგებულობა, ისინი კარგი ხელოსნები, ზეინკლები, მშენებლები, ელექტრიკოსები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკის მშენებლობაში" (იხ. მ. ბეჭვაია, გერმანელები დიდი ჭყონში, ჟურნალი ,,სათანო", 2008 წ. N5, გვ. 23).

მ. ბეჭვაიას მტკიცებით: გერმანელები დიდი ჭყონში საცხოვრებლად ბოლნისიდან ჩამოსულან. მათ ნაფუძარზე დროთა განმავლობაში რაიონის მთაგორიანი სოფლებიდან ჩამოსული ოჯახები დასახლებულან.

საქართველოში ამჟამად 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს. სოფლები მთლიანად არის დაცლილი ებრაელებისგან. გვიანფეოდალურ ხანაში ებრაელები ცხოვრობდნენ: ფოთში, ბანძაში, სენაკში.

ზიგული მარკოზიას გადმოცემით, დიდი ჭყონში, ბაზრიდან 100 მეტრის მოშორებით, გასული საუკუნის 60-იან წლებში ცხოვრობდა ებრაელების ოჯახი. ძმები, აჩიკო და შალიკო აჯიაშვილები მაღაზიაში გამყიდველებლად მუშაობდნენ. ამავე პერიოდში დიდი ჭყონში ნავთის გამყიდველი იყო ებრაელი მიშა შამელაშვილი. მეზობლებთან წერილებს ძმები აჯიაშვილები ქალაქ აშქელონიდან აგზავნიდნენ.

დიდი ჭყონის თემის სოფელ ლედგებიეში 1926 წლის აღწერით ცხოვრობდა 4 არაქართველი, საიდანაც ერთი იყო რუსი. სხვა სოფლებში არაქართველი საერთოდ არ ცხოვრობდა.

არაქართველების დიდი ჭყონში დასახლება დაიწყო 1929-1930 წლებში. დიდი ჭყონის ჩაის მეურნეობაში, ჩაის ფაბრიკებში ქართველებთან ერთად მუშაოდნენ: რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები...საქმის ცოდნით და გამრჯელობით მეურნეო-

ბის კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს ჩაქ-ვიდან მოწვეულმა აგრონომ-მეჩაიეებმა ისაკ ჩაკილიდიმ (ბერძე-ნი) და ალექსი მურადოვმა.

ომამდე დღევანდელი დიდი ჭყონის ტერიტორიაზე 4 სკოლა არსებობდა. მეურნეობის სკოლაში სწავლა რუსულ ენაზე ტარდე-ბოდა. ამავე დასახლებაში არსებობდა რუსული ბაღი, ომის შემ-დეგ- სომხური სკოლაც. მეურნეობის სკოლის დირექტორი იყო რუსული წარმოშობის ებრაელი ვასილ ტარანოვსკი. სკოლაში ას-წავლიდნენ: ალექსანდრა კლიმოვა, ნადეჟდა მედვედევა, იაკობ გალჩენპოვი...

ომის დროს სოხუმიდან, ფოთიდან, ბათუმიდან ევაკუირებუ-ლი 480-მდე ქართველი მიიღო მარტვილის რაიონმა. რუსეთიდან, უკრაინიდან ევაკუირებული 165 მოქალაქე დააბინავეს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (იხ. უახლესი ისტორიის არ-ქი-ვი, ფონდი 288, ანაწერი I, დოკ. 4450).

1937 წელს საარჩევნო სიაში დაამატეს: ნიკოლოზ ისაკის ძე მარდაჩი, ოლგა და ბორის ჟელეზნიაკი. მეურნეობაში იმ დროს ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ: გურანოვი, ჩაგინი, სკონიკი, გლუ-ხოვა, პასაჟინი, გრუდინოვა, მარფალუდი, ეფიმენკო, ბოგდანოვა, შატონინა, ბერმესი, ლაპტიევა, კარაულინა, ჩორნი, ზახულინა, კუპრინა, ვასილენკო, სელჩინკო, ტეტერევა, სიაგინი, პოპოვა, ბა-რანოვსკი ოლია, სიმონიანი, ვარკანიანი, პოღოსიანი, ართუნიანი, მარტიროსიანი, უზარმაშიანი, ისპირიანი, მარკოსიანი, სიდნეცკა-ია, ბელოცკაია...

დიდი ჭყონის 25 კაციანი საბჭოს წევრებად 1939 წელს აირჩი-ეს: რასლევსკი ელენა, დოროშენკო ლეონტი და რიბალკინა პაშა.

1939 წლის აღწერის მონაცემებით, გეგეჭკორის რაიონში აღრი-ცხულია 1778 რუსი, 476 უკრაინელი. მათი უმრავლესობა ცხოვ-რობდა დიდი ჭყონში.

კობა გოროზიას გადმოცემით: დავით გოროზიას თავმჯდომა-რეობისას კოლმეურნეობას ჰყოლია ფორდის მარკის 2 მანქანა, სა-იდანაც ერთის მძღოლი ყოფილა რუსი-ეფიმი, მეორეს მართავდა სომეხი ხაჩიკა.

1975 წელს მეურნეობის რუსულ სკოლაში 7 ეროვნების ბავშვი სწავლობდა. ჩაის სარეკორდო მოსავალს იღებდნენ: გოგუცა ჟვა-

ნია, ჟუჟუნა ჯოჯუა, დინარა არახამია, დაშა ხიმჩენკო, ტატიანა კობეცი...სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ: გოგუცა ჟვანია, ტატიანა კობეცი, მარიამ ანდრენჩენკო და სხვები.

ვასილ ტარანოვსკი ერთადერთი დიდი ჭყონელია, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. ანა სედნიცკაია ერთადერთი დიდი ჭყონელია, რომელსაც ლენინის ორდენი ორჯერ მიაკუთვნეს.

მხოლოდ დიდი ჭყონის თემში ცხოვრობენ მარტვილისთვის იშვიათი გვარის წარმომადგენლები: ტიმუში, ბოლბოთი, ბოროდოვკა, ფისენკო...

1954 წლის 5 სექტემბერს სალხინოს გზაზე ხევში გადავარდა ავტომანქანა. დაიღუპა დიდი ჭყონის მეურნეობაში ჩაის საკრეფად მიმავალი ბანძის სკოლის 5 პედაგოგი და 16 მოსწავლე. დაიღუპნენ ებრაელი მოსწავლეებიც.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, დიდი ჭყონის თემში ცხოვრობდა: 49 რუსი, 11 უკრაინელი, 10 სომეხი, 8 მოლდაველი.

კალიფორნიელმა ბროდ მაკლაინმა მოიარა: თურქეთი, ალბანეთი და კოსოვო. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ამბობენ, რომ საქართველოში ღმერთმა მოიყვანა. მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ 2015 წლიდან. აქვთ საქართველოს მოქალაქეობა.

მაკლაინებმა 6 თვე იცხოვრეს თბილისში, 2 თვე მუხურში- ნაქირავებ ბინაში. დიდი ჭყონი ისე მოეწონათ, რომ აქ დასახლდნენ.

კიწიაში იყიდეს მიწა, ჰყავთ ძროხები და ღორები. გრიგოლეთში აქვთ სახლი. ძალიან სურთ, რომ მათ სახლში იცხოვრონ ობოლმა ბავშვებმა. მიმართეს სახელმწიფოს, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ. აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო საქმიანობაში. სოფლის ბავშვებს ასწავლიან ინგლისურს.

დოშაყეში „გადამალული დიდი ჭყონი“

„რესპოდენტი სვიმო თოდუა (90 წ) აზუსტებს: „დოშაყეა ყველა უბანი ერთად აღებული. ეს უბნებია: 1) ლეახალე-ნაკიანის ლეახალეს საზღვართან; 2) ლექობალე-ზანასა და მის მარცხ. შენაკად

ოჟვაბუეს შორის; 3) ლეჟვანიე-ზანასა და მის შენაკად მაჩხაპეს შუა. აქვე შემოდის ჭიჭე სოფელი, ანუ ლეთოდუე (ზანას სათავეებთან, დღვანას საზღვარზე); 4) ლეღურწკე-ლეფარულუე-ოჟვაბესა და ცივს შორის; 5) ლეგადელიე, სადაც მოსახლეობა ამჟამად აღარაა (იყო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და 1949 წ. გადასახლდნენ უგზოობის გამო). საკრებულოს ცენტრი არის ლეჟვანიესა და ლეთოდუეს საზღვარზე, მაჩხაპე-ზანის წყალგამყოფზე. აქვეა ნაოხვამუ -ბორცვი ნაეკლესიარით და სასაფლაოთი...

საერთოდ, დოშაყეს სას. საბჭოში ტოპონიმთა აღწერისას (1970 წლის 2-5 ოქტომბერი) ადგილობრივი მცხოვრებნი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ სოფელს დოშაყე ეწოდება და იგი ფაქტობრივად შედგება 5 უბნისგან (და არა სამი სოფლისგან). აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ: დოშაყე, ლეახალე და ლექობალე მტკაველ-მტკაველ დავიარე 1970 წლის 1-6 ოქტომბერს დიდი ჭყონის ჩ/ს მეურნეობის დირექტორის, მიშა მანიას მიერ გამოყოფილი მანქანით (მძღოლი ველოდი თოდუა), რაც იმ პერიოდისათვის იშვიათი სიუპრიზი იყო“. (იხ. პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 43-45).

რატომ ვერ იპოვა პაატა ცხადაიამ სოფლები ლეჟვანიე და ლექობალე?! 2014 წლამდე რატომ არ იცოდნენ ამ სოფლების არსებობა ადგილობრივებმა? რატომ ვერ ატარებდა ამ სოფლებში აღწერას ხელისუფლება?!

სოფელი დოშაკი 1841 წელს შედიოდა ჯვარის მაზრაში; 1873 წლის აღწერის მიხედვით - კიწიის საზოგადოებაში, სოფელში ცხოვრობდა 55 დროებითვალდებული გლეხის ოჯახი. 1886 წლის აღწერის თანახმად აქ ცხოვრობდა 96 კომლი, 653 სული. 1926 წელს კიწიის სასოფლო საბჭოს სოფელ დოშაყეში ცხოვრობდა 111 კომლი, 580 სული.

საქართველოს ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის 1937 წლის N26 დადგენილებით კიწიის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელები დოშაყე და პირველი კიწია. დაარსდა ახალი, დოშაყეს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დოშაყეში.

საქ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის, 1955 წლის 31 აგვისტოს N5 ბრძანებულებით: მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა დოშაყეს სასოფლო საბჭოს სოფელი კიწია პირველი.

1939 წლის აღწერის თანახმად, სოფელ დოშაყეში ცხოვრობდა 1074 სული. ამავე აღწერის თანახმად დიდი ჭყონის სასოფლო საბ-ჭოში შემავალ სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ცხოვრობდა 1438 სული; სოფელი დიდი ჭყონი არ არსებობდა.

1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნო-ბარის მიხედვით, დოშაყეს სასოფლო საბჭო შედგება 4 სოფლის-გან: დოშაყე, ლეჟვანიე, ლექობალე და კიწია პირველი. ამავე ცნო-ბარის თანახმად დიდი ჭყონის საბჭოში არ ჩანს სოფელი დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

1970, 1979, 1989, 2002 წლის აღწერების მონაცემებით, დოშაყეს საბჭოში (საკრებულოში) შემავალი სოფლები: ლეჟვანიე და ლე-ქობალე ,,დაუსახლებელი დასახლებებია".

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ომის შემდგომ კოლმეურნეობისა და მეურნეობის სახელწოდება დასახ-ლებულ პუნქტებზეც გავრცელდა. მივიღეთ ორი დიდი ჭყონი, საიდანაც დიდი ჭყონის მეურნეობისთვის უნდა მიენიჭებინათ დაბას სტატუსი. ასობით ოჯახისთვის მიწების ჩამოჭრა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, და ამიტომ გამოყვეს მეურნეობას -ლეჟვანიე და ლექობალე.

კომუნისტებმა მაინც ვერ მოახერხეს დიდი ჭყონის მეურნეო-ბისთვის დაბას სტატუსის მინიჭება, რადგან მხოლოდ ქაღალდზე არსებული სოფლების (ლეჟვანიესა და ლექობალეს) მოსახლეობას არც მიწების ჩამორთმევა აწყობდა და არც დოშაყესთან მიერთება.

დიდი ჭყონის მეურნეობიდან-დოშაყეს მეურნეობის გამო-ყოფის პარალელურად ლეჟვანიესა და ლექობალეს მოსახლეობა ამოირიცხა დიდი ჭყონის საბჭოდან და ჩაირიცხა დოშაყეს საბ-ჭოში.

ხარისხებში აყვანილი უაზრობაა მტკიცება: სოფელ დიდი ჭყონში ცხოვრობს 1454 სული, ჟინოთაში 9 სული და მეურნეო-ბა არ არსებობს. გრძედი, გრადუსი, მინუტი, ანუ გეოგრაფიული კოორდინატები გვეუბნება: სოფელ ჟინოთაში უფრო მეტი ადამი-ანი ცხოვრობს, ვიდრე სოფელ დიდი ჭყონში. მთავრობის დადგე-ნილება გვეუბნება: თუ ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდე-ბა დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, მაშინ მოგცემ ფულს, მოგანიჭებ სტატუსს.

მარტვილის საკრებულოს მიერ 2013-2019 წლებში მიღებული დადგენილება და განკარგულებები, ტრანსპორტის და კომუნიკაციების, განათლების ჯანდაცვის, ეკონომიკის მინისტრების ბრძანებები გვეუბნება: დიდი ჭყონი და მეურნეობა (მამული, დიდი ჭყონი I, დიდი ჭყონი II, ტალერის აგროფირმის მეურნეობა, აგროფირმა I) სხვადასხვა სოფლებია.

დამოუკიდებელ საქართველოში

განგებამ ასე ინება, რომ ერთდროულად ვყოფილიყავი: სტუდენტი, ქარხნის მუშა, პროფკავშირის, შრომითი კოლექტივის საბჭოს, საუბნო-საარჩევნო კომისიის, ენის დაცვის კომისიის, ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოებისა და პარტიის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელი.

უნივერსიტეტში საღამოს განყოფილების I კურსზე ვსწავლობდი, როცა მთაწმინდაზე ააფეთქეს ფილიპე მახარაძის საფლავი. ცნობისმოყვარეობა, დაკეტილი პანთეონის კედელზე გადაძრომა, დაჭერით დასრულდა. არ მქონდა საბუთი. ვინაობის დადგენის მიზნით წამიყვანეს მილიციის განყოფილებაში. მთაწმინდაზე ჩემთან ერთად მყოფმა მეგობრებმა მოიტანეს საბუთები.

ქარხნის მუშა საბუთის ნახვისთანავე ,,გამოუშვეს“. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი მეორე სართულზე პოლიციის უფროსთან ამიყვანეს.

ოთახში, ორი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი დამხვდა. უფროსის გვარი არ მახსოვს. გენერალ ელგუჯა ჯამბურიას ჩვენი შეხვედრა, ალბათ, არ ახსოვს.

დაკითხვაზე არავის აინტერესებდა ფილიპე და მისი საფლავი. ძლევამოსილი საბჭოთა მილიცია უკვე სვამდა ,,გარდაცვლილი“ კომპარტიის შესანდობარს.

მიყვარს რუსთაველზე სიარული. 1988 წლის 22 ნოემბრიდან ვარ ამ გამზირის ,,მუდმივი ბინადარი“.

რა დამავიწყებს 1988-1989 წლის აქციებს და გამოსვლებს. ქარხანაში ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერთლის, ირაკლი შენგე-

ლაიას, ნოდარ ნათაძის...სტუმრობებს. მერაბ კოსტავას, ვაჟა ადამიას, ირაკლი წერეთლის ბინებში შეხვედრებს.

პირველად მიკროფონთან რომ მივედი ერთ მხარეს ზვიად გამსახურდია იდგა, მეორე მხარეს- ირაკლი წერეთელი. მიმყავდა და მომყავს ხელისუფლებები რუსთაველის გამზირიდან.

,,ტალონების ქვეყანაში" ბინიდან დაწყებული, პურით და შაქრით დამთავრებული ყველაფერი პროფკავშირებს უნდა გაენაწილებინა. ძნელი იყო 4-5 ტალონის, 400 ადამიანზე განაწილება, მაგრამ ვახერხებდი.

დემოკრატია (ხალხის ხელისუფლება), სადაც კი არსებობს ყველგან ორ ფეხზე დგას: თავისუფალი სასამართლო და დამოუკიდებელი თვითმართველობა.

30 წელია რაც სსრკ არ არსებობს, მაგრამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა უცვლელია. პოსტკომუნისტური საქართველოს სამხარეო მოწყობა არის ფეოდალური გადმონაშთი.

დამოუკიდებელ საქართველოში გაუქმდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ნაციონალებმა გააუქმეს 1004 ქვედა დონის თვითმართველობა. ხელისუფლება კიდევ უფრო დაშორდა ხალხს. ევროპაში 4-5 ათას კაცზე ერთი თვითმართველობა მოდის, საქართველოში- 55 ათასზე.

განათლებულ ადამიანს ეპატიება ფიზიკის, ქიმიის და ასე შემდგომ ელემენტარული ფაქტებისა და კანონზომიერებების არცოდნა, ამის გარეშე იგი მაინც ჩაითვლება განათლებულად. მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება მთელისა და ნაწილის, სოფლისა და უბნის, თემისა და სოფლის, ერთმანეთისაგან ვერ გარჩევა.

საქართველოში 69 მუნიციპალიტეტია: 5 თვითმართველი ქალაქი და 64 თვითმართველი თემი, საიდანაც 5 მუნიციპალიტეტი ოკუპირებულია რუსების მიერ.

მუნიციპალიტეტი არის თვითმართველი ერთეული. ის შედგება ერთი ან რამდენიმე დასახლებისგან. ოპტიმალური მართვისთვის მუნიციპალიტეტი იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად.

თვითმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული, დასახლების (სოფელი, დაბა, ქალაქი) ნაწილია. სამწუხაროდ ხელისუფლებას გარკვეული არა აქვს, თბილისის მუნიციპალიტეტი

თვითმართველი ქალაქია თუ თვითმართველი თემი. გარკვეულია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში შედის 27 დასახლება: ერთი ქალაქი, 4 დაბა და 22 სოფელი. ქალაქ თბილისში მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, სოფელ ქოშიგორაში-23. თბილისის მუნიციპალიტეტი იყოფა რაიონებად და არა ქალაქი თბილისი.

თვითმართველი თემის ადმინისტრაციული ერთეული შედგება ერთი ან რამდენიმე დასახლებისაგან (სოფელი, დაბა, ქალაქი).

ამა თუ იმ დასახლების შემადგენელი ნაწილია: უბანი, ქუჩა, ეკლესია, ციხე, სახლი, სკოლა, სასაფლაო, მერიის შენობა, საკრებულოს შენობა....

კაცობრიობის 4 უდიდესი გამოგონება: ციფრები, ანბანური დამწერლობა, ბორბალი და კომპიუტერი ერთ ხმაში ამტკიცებს, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქის ადმინისტრაციული, საბანკო, სამედიცინო, სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, საპოლიციო და ასე შემდგომ ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია მთელს საქართველოში.

მარტვილის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მართვის ოპტიმიზაცია. გაუგებარია რა კრიტერიუმებით არის შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულები, მაჟორიტარული ოლქები. არ არსებობს დასახლებული პუნქტების ზუსტი სია. მუნიციპალიტეტების რეესტრში სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ამატებენ, იღებენ და სახელს უცვლიან სოფლებს. დასახლების ნაწილს (უბანს) აცხადებენ სოფლად და შეაქვთ დასახლებული პუნქტების სიაში.

ხელისუფლება პრობლემების მოგვარების, დასახლება მამულის სახელდების, კატეგორიის დადგენის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფების ნაცვლად ახალ პრობლემებს ქმნის: საქსტატის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელს სოფელ ჟინოთაში 1033 სული ცხოვრობდა, 2014 წელს-9 სული; მუნიციპალიტეტების რეესტრში 2-ჯერ უკანონოდ იქნა რეგისტრირებული ქალაქ გეგეჭკორთან შეზრდილი სოფლები: ნახარებავო, საელიავო, ქვაითი და ნალეფსაო; სოფლებში მაცხოვრებლებისთვის კოეფიციენტებით გამოყოფილი ფულით ტარდებოდა ,,სოფლის

პროგრამები“ ქალაქ მარტვილში; სოფელ ჟინოთასთვის გამოყოფილი ფულით ტარდებოდა სოფლის პროგრამები მამულში (მეურნეობაში); ვერა და ვერ ხერხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის N654 დადგენილებით სოფელ ,,მამული“-სთვის გამოყოფილი თანხის ადრესატამდე მიტანა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ 15 წლის განმავლობაში ვერ დაითვალეს დიდი ჭყონის და დოშაყეს ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების რაოდენობა, ვერ შეძლეს სოფელ მამულის და სოფელ ჟინოთას იდენტობის დამტკიცება და კოლმეურნეობისგან-მეურნეობის გამოყოფის, დიდი ჭყონის რაიონის გაყოფის თხოვნით მიმართეს მთავრობის ადმინისტრაციას (იხ. საჯარო რეესტრის 2019 წლის N107064 წერილი მარტვილის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს; მარტვილის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის N34 და N35 განკარგულებები, საკრებულოდან-მთავრობის ადმინისტრაციაში გაგზავნილი N59-59221082 წერილი).

მერიის ინიცირებული, საკრებულოს მიერ დამტკიცებული აქტების მიხედვით: 2009-2012 წლებში მეურნეობას ერქვა-ჟინოთა, 2013-2016 წლებში-მამული, 2019 წელს-ისევ ჟინოთა, 2020 წლიდან ქვია-დიდი ჭყონი; 2013 წელს ,,დაიბადა“ სოფლები: ლეჟვანიე და ლექობალე; 2019 წელს ,,გარდაიცვალა“ სოფლები: ნახარეგავო, საელიავო, ქვაითი და ნალეფსაო (იხ. მარტვილის მერიის ,,ვებგვერდი“).

ლამაზია მარტვილის იუსტიციის სახლი. იმ ფულით, მდინარე ინჩხიას ნაპირზე არსებულ ჭაობში რომ ჩავყარეთ, შესაძლებელი იყო: მარტვილში, დიდი ჭყონში, ბანძაში, სალხინოსა და აბედათში საზოგადოებრივი ცენტრების აშენება. ჭაობის ამოშრობით, ,,ტაშ-ფანდურის სახლის აშენებით“ დაზარალდა მთელი რაიონი. 5 დასახლებაში საზოგადოებრივი ცენტრის აშენებით მოგებული დარჩებოდა ყველა მარტვილელი.

ანაკლიისა და ზუგდიდის სახანძრო-სამაშველო სამსახურებზე უფრო მეტ ტერიტორიას ემსახურება მარტვილის ერთი სახანძრო-სამაშველო სამსახური.

მარტვილის რაიონი წალენჯიხის რაიონზე მეტია ტერიტორიით, მოსახლეობისა და დასახლებების რაოდენობით. ,,პატრო-

ნიან“ წალენჯიხაში სამი საზოგადოებრივი ცენტრია, ორი სახანძრო-სამაშველო სამსახური, ორი კეთილმოწყობის ცენტრი, ორი კულტურის ცენტრი. 26 ათასი წალენჯიხელის ჯანმრთელობას ემსახურება 4 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა. დამოუკიდებლობისთვის 30 წლიანი დაუღალავი ბრძოლის შედეგად მიაღწია ამ ყველაფერს ჯვარის მოსახლეობამ.

მარტვილის მუნიციპალიტეტიდან გამოყოფით, დიდი ჭყონის მუნიციპალიტეტის შექმნით მოხდება: 1) საზოგადოებრივ ინტერესებზე უფრო მეტად ორიენტირებული ბიუჯეტის მქონე თვითმართველი ერთეულის შექმნა. 2) დაიზოგება მოსახლეობის ადმინისტრაციაში მისასვლელად საჭირო დრო და ფინანსები. 3) შემცირდება აპარატის საოპერაციო ხარჯები. 4) გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა თვითმართველობის საქმიანობაში. 5) დღევანდელ მარტვილის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის გაიზრდება ადმინისტრაციული, საპოლიციო, სამედიცინო, სახანძრო, საბანკო, კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი.

ისტორიული სალიპარტიანო (ამჟამინდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ზედა ზონა) ცენტრით-დიდი ჭყონი იყო და არის ადმინისტრაციულად, გეოგრაფიულად, ინფრასტრუქტურულად მარტვილისგან განსხვავებული სივრცე, რომელიც ტერიტორიით, დასახლებებისა და მოსახლეობის რაოდენობით, საქართველოში არსებული 69 მუნიციპალიტეტიდან, 15-20 მუნიციპალიტეტს აჭარბებს.

სოფელი დიდი ჭყონი უფრო მეტი სივრცის, მეტი დასახლების ცენტრია, ვიდრე ქალაქები: მარტვილი, აბაშა, წალენჯიხა, ჯვარი. სოფლის, თემის ცენტრი ერთმანეთთან აკავშირებს ორი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას. დიდი ჭყონის ბაზრობაზე სავაჭროდ მოდიან მეზობელი სოფლებიდან, ქალაქებიდან, მუნიციპალიტეტებიდან.

მარტვილის ზედა ზონა ტერიტორიით, მოსახლეობისა და სოფლების რაოდენობით მეტია: ჭანისწყლისპირა წალენჯიხაზე და ენგურისპირა ჯვარზე.

ჭანისწყლისპირა წალენჯიხაში ორი საზოგადოებრივი ცენტრია, მარტვილის ზედა ზონაში- არცერთი. ქალაქ წალენჯიხი-

დან 7 კილომეტრში მდებარეობს სოფელი ჯგალი. ამ დასახლებაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრი ემსახურება 4 სოფელში მცხოვრებ ორ-სამ ათას ადამიანს. მარტვილის ზედა ზონის 38 სოფელში ცხოვრობს 14-15 ათასი სული.

ჯვარისა და წალენჯიხის ორ-ორი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადაზე უფრო მეტ სივრცეს, სოფელს და ადამიანს ემსახურება დიდი ჭყონის ერთი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში 4386 კაცი ცხოვრობს და ორი სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადა ემსახურება. მარტვილის- ორი, აბაშის სამი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადაზე მეტ სივრცეს, მეტ სოფელს ემსახურება დიდი ჭყონის ერთი ბრიგადა.

მარტვილის რაიონის სიდიდის გამო მარტვილის პოლიციის სამმართველო იყოფა: დიდი ჭყონის და ბანძის საპოლიციო უბნებად. 584 კვადრატულ კილომეტრზე განფენილ 38 სოფელს ემსახურება დიდი ჭყონის პოლიციის განყოფილება. უფრო ნაკლებ სივრცეს, სოფელს და მოსახლეობას ემსახურება ჯვარის და ლიას პოლიციის განყოფილებები ერთად აღებული.

ერთ დასახლებაზე, ,,ერთი ციხის“ (მერია-საკრებულოს) ბინადრებზეა მორგებული მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ქალაქ მარტვილის კულტურულ-სპორტულ აღზრდასა და გაზრდას ხმარდება მილიონ 600 ათასი ლარი. დამატებით მილიონი ლარია გამოყოფილი კულტურული ღონისძიებებისთვის;

მარტვილის ზედა ზონისთვის გამოყოფილია მხოლოდ 12 ათასი ლარი. მარტვილსა და მის მომიჯნავე სოფლებში 6 თუ 7 ბიბლიოთეკაა-ზემო ზონაში არცერთი.

მარტვილის ზედა ზონაში მცხოვრებლებს უნდა ,,გვაპატიოს“- რაიონის განაპირა სოფლად ყოფნა სალხინოს, კიწიის, კურზუს... მოსახლეობამ.

თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შესაძლებელია დიდი ჭყონიდან-სალხინოში, მეურნეობაში გადავიტანოთ აგრალური ბაზარი, გადავიყვანოთ-პოლიციის განყოფილება, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რაიონის, თემის ოპტიმალური მართვა, მოგება-წაგება და ცენტრის ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი. ერთმანეთისაგან უნდა

გავარჩიოთ: რაიონი, საბჭოთა მეურნეობა და მიურატების მამული.

არ გვაწყენს ვიცოდეთ, გავიხსენოთ, რომ კიწიის კულტურის სახლი ემსახურება 4 სოფელს, სალხინოსი-შვიდს, დიდი ჭყონისა-ოცდაშვიდს.

უნდა გავიგოთ და ყველამ ერთად ხელისუფლებასაც უნდა გავაგებინოთ, რომ მუნიციპალიტეტის, თემის ცენტრი, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, საარჩევნო თუ საპოლიციო უბანი, უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირველ რიგში მოსახლეობის უმრავლესობისთვის. რაიონის, თემის სამართლიანი და სამართლებრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სწორად შერჩეული ცენტრი: აუმჯობესებს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, აძლიერებს ხელისუფლებას.

ბუნებაში ნახევრადფეხმძიმობა, ნახევრადქალიშვილობა არ არსებობს. დედამიწა ან მრგვალია, ან არ არის მრგვალი. XXI საუკუნეში, კომპიუტერის ხანაში ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, თუ რამდენი სოფლისგან შედგება მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონისა და დოშაყეს ადმინისტრაციული ერთეულები.

მრგვალ დედამიწაზე მცხოვრებლებმა იციან, რომ სახელმწიფო ვატიკანი-ქალაქ რომის უბანია, ხელვაჩაურის მერია და საკრებულო ქალაქ ბათუმის შემადგენელი ნაწილია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ცენტრი არის დაბა სტეფანწმინდა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მარტვილის მერიაში, საკრებულოში ,,იციან“, რომ ოჩე, ნამიკოლაო მეორე და ლედგებე სოფელ დიდი ჭყონის ,,უბნებია“, მეურნეობას (მამულს) ,,უბნის სტატუსი“ რატომ არა აქვს-გაგება უჭირთ.

მრგვალ დედამიწაზე სხვადასხვა დასახლებაა, სხვადასხვა სოფელია: ვარიანი და ვარიანის მეურნეობა. ორივე სოფელი შედის გორის მუნიციპალიტეტის ვარიანის თემში. სოფელი ბრეთი-ქარელის მუნიციპალიტეტის ბრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. სოფელი ,,ბრეთის მეურნეობა“-ამავე მუნიციპალიტეტის, გიგანტის თემში შედის.

საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის ბრძანებულებით წითელყაროს რაიონს გამოეყო კასრისწყლის სასოფლო საბჭო და გადაეცა ახმეტის რაიონს.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში, საქართველო-რუსეთის საზღვართან მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტი. ამავე მუნიციპალიტეტს ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული სოფელი კასრისწყალი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან. თუში (ახმეტელი) მეცხვარეების ზამთრის საცხოვრისი არის სოფელი კასრისწყალი (ელდარი).

ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით დიდი ჭყონის თემი 2-ჯერ მეტია ბანძის თემზე, 10-ჯერ მეტია დოშაყეს თემზე.

,,ბრტყელი დედამიწის", მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა მდებარეობს ქალაქ მარტვილიდან 15 კილომეტრში. ამავე ადმინისტრაციულ ერთეულს დაქვემდებარებული სოფელი ,,დიდი ჭყონის მამული" მდებარეობს ქალაქ მარტვილიდან 23 კილომეტრში.

დიდი ჭყონსა და დიდი ჭყონის მამულს ერთმანეთისგან ყოფს ტალერის ადმინისტრაციული ერთეული. დიდი ჭყონის თემის ცენტრიდან სალხინოს თემის ცენტრამდე 3 კილომეტრია. დიდი ჭყონის N1 სკოლიდან- N2 სკოლამდე- 8 კილომეტრი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის დოშაყეს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი არის სოფელი ,,დიდი ჭყონის მამული". ამ სოფელში მდებარეობს დოშაყეს თემის ამბულატორია, ბაღი, საჯარო სკოლა. ამ სოფლის გავლით უკავშირდება დოშაყეს თემი გარესამყაროს.

დოშაყეს საკრებულოში, ადმინისტრაციულ ერთეულში 2013 წლამდე არ იცოდნენ სოფლების: ლეჟვანიეს და ლექობალეს არსებობა, რადგანაც დიდი ჭყონის მეურნეობის ბარაკები და ლეჟვანიეს, ლექობალეს სახლები ერთი, დიდი ჭყონის საბჭოში შემავალი დასახლება იყო დიდი ჭყონის მეურნეობიდან დოშაყეს მეურნეობის გამოყოფამდე.

1970, 1979, 1989, 2002 წლების აღწერის თანახმად, სოფლები: ლეჟვანიე და ლექობალე, ქაღალდზე არსებული სოფლები იყო. 2013-2016 წლებში სოფლის პროგრამები აღნიშნულ სოფლებში ჩატარდა კოეფიციენტებით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისთვის გამოყოფილი ფულით.

რუკების, ორთოფოტოების მიხედვით: სოფელ ლეჟვანიეს ცენტრი ,,მდებარეობს" დიდი ჭყონის მამულის (მეურნეობის)

სტადიონთან; ამავე სოფლის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიასთან ,,მდებარეობს“ სოფელ პატარა ოჩეს ცენტრი.

2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით: დოშაყეს ადმინისტრაციულ ერთეულში აღრიცხულია 101 ოჯახი, საიდანაც 81 ოჯახი ცხოვრობს დიდი ჭყონის საბჭოსგან გამოყოფილ სოფლებში: ლეჟვანიესა და ლექობალეში. კიწიის საბჭოსგან გამოყოფილ სოფელ დოშაყეში ცხოვრობს 20 ოჯახი.

მეურნეობაში, ლეჟვანიეში, ლექობალეში მცხოვრებ ასობით ოჯახს უმცირესობაში ყოფნა უნდა ,,აპატიოს“ დოშაყეში მცხოვრებმა 20 ოჯახმა. ხელისუფლების, საკრებულოს უუნარობის გამო არ უნდა იტანჯებოდეს, შორეულ დოშაყეში, დიდი ჭყონში არ უნდა უწევდეს უაზრო სირბილი მეურნეობაში, ლეჟვანიეში, ლექობალეში მცხოვრებ ასობით ოჯახს.

კონსტიტუცია გვეუბნება, რომ ბანძაში, დოშაყესა და დიდი ჭყონში მცხოვრებ ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა უნდა ქონდეს. არ შეიძლება ერთი საკრებულოს წევრი ყავდეს 1700 ბანძელს და 3300 დიდი ჭყონელს დავამატოთ დოშაყე. თემის საზღვრების დაუდგენლობის გამო ვერ მოვახერხოთ ნამიკოლავოს და ლედგებეს გაზიფიცირება.

გარდაბნის, წალკის, ბორჯომის, წყალტუბოს, სამტრედიის, ჩხოროწყუს...საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები არ უნდა ირჩევდნენ მარტვილის საკრებულოს წევრებს.

უნდა გავიგოთ და ხელისუფლებასაც უნდა გავაგებინოთ, რომ ტალერის თემისთვის მიწერილი არახამიების 4 ოჯახი და სოფლები: დიდი ჭყონი I (მეურნეობა), ლეჟვანიე, ლექობალე და დოშაყე, ერთი სივრცეა, ერთი თემია, ერთ ფარგალში მოქცეული სოფლებია. სოფლებში საფოსტო განყოფილებების გაუქმებამდე, ამ სივრცის საფოსტო ინდექსი იყო-3106;

სულ სხვა სივრცეა, სულ სხვა თემია, სხვა ფარგალში მოქცეული სოფლებია: დიდი ჭყონი, ჟინოთა, ოჩე, ლედგებე. ,,კოლმეურნეობათა თემის“ საფოსტო ინდექსი იყო 3105 (იხ. ტრანსპორტის და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის N50 და 2002 წლის N60 ბრძანებები).

დიდი ჭყონის ამბულატორია ემსახურება სოფლებს: დიდი ჭყონი, ჟინოთა, ოჩე, ლედგებე და ნამიკოლავო მეორე.

ტალერის (აგროფირმის მეურნეობის) ამბულატორია ემსახურება სოფლებს: ზედა ეწერი, ნობულევი, ოჩე, დოშაყე, ლეჟვანიე, ლექობალე (იხ. ჯანდაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის N01/-264/ო ბრძანება; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება).

კართაგენი უნდა დაინგრეს. ბოლშევიკური აზროვნება უნდა მოვიშოროთ. დიდი ჭყონის თემს უნდა გამოეყოს მეურნეობა-დოშაყეს თემი. ამ თემის ადმინისტრაციის შენობა უნდა განთავსდეს იქ, სადაც არის თემის ამბულატორია, ბაღი და სკოლა.

ბოლოთქმა

მწამს სამყაროს მარადიულობის. მჯერა, რომ ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება. მადლობელი ვარ უფლის ჩვენი კუთხის საოცარი ისტორიის მოძიების მადლის მონიჭებისთვის.

იყო დრო ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ განცხადებისთვის-დედამიწა მრგვალია. 7 წლის წინ მარტვილში არავის სჯეროდა, რომ ჟინოთა დიდი ჭყონის თემში შემავალი სოფელია. ბევრი ისტორიკოსი, საჯარო მოხელე ვერ არჩევდა ერთმანეთისგან: თემს, სოფელს და სოფლის ნაწილს (უბანს).

სიმართლესთან ბრძოლაში ყოველთვის მარცხდება: თეოკრატია, კლეპტოკრატია, ნაცი და ქოცი. ერთი აკაკი ახალაიას მოთხოვნის საფუძველზე, 4-ჯერ შეიცვალა საქართველოს მთავრობის დადგენილება; შეიცვალა მუნიციპალიტეტების რეესტრში მარტვილის მუნიციპალიტეტის მონაცემები, მისი სქემატური რუკა; 5-ჯერ შეიცვალა საარჩევნო უბნების საზღვრები. ჩემი მონდომების შედეგად ეძლევა სოფელ ჟინოთას სოფლის პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა.

მუნიციპალიტეტების რეესტრში, სქემატურ რუკაზე სოფელ ჟინოთას დაბრუნებით დაიწყო მარტვილის მუნიციპალიტეტის ოპტიმალური მართვა. მჯერა, გაუგებარი მახინჯი აქტების ,,კრებული" გასწორდება. მჯერა დიდი ჭყონის თემშიც დავითვლით

სოფლების რაოდენობას, გვეცოდინება მათი სახელწოდებები და საზღვრები.

მჯერა წიგნის გაცნობის მერე, მარტვილელი ,,პოლიტიკოსებიც“ გაიაზრებენ სოფლის, თემის, მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ პრობლემებს. მჯერა სოფელის, თემის, მუნიციპალიტეტის უკეთესი აწმყოსი და შესანიშნავი მომავლის.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული წყაროები

1) საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი
2) საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი
3) შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის (უშიშროების) არქივი
4) შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის (პარტიის ისტორიის) არქივი.
5) ქუთაისის ცენტრალური არქივი
6) სამეგრელო-ზემო სვანეთის (ზუგდიდის) რეგიონალური არქივი
7) საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
8) ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
9) მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
10) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

პერიოდიკა

ა) კრებულები:

1) ქართველური მემკვიდრეობა, ტ. 2, 1998 წ.
2) ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XX, 2016 წ.
3) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, თბ. 1965 წ.
4) ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ. 1959 წ. ტ. 1
5) მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, 1937 წ. ნაკვეთი 1

ბ) ჟურნალები:

1) КАВКАЗКИЙ КАЛЕНДАРЬ 1845-1916 წლები
2) ,,არტანუჯი“ 1994-2003 წლები
3) არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. XII
4) ,,გზა“
5) ,,დავითის ფარი”

6) ,,დიოსკურია“ 2020 წ. N4-5
7) ,,ერთობა“ 1990 წ.
8) ,,თბილისელები“
9) ,,მაჟორიტარი“
10) ,,მნათობი“
11) ,,მწყემსი“ 1884-1910 წლები
12) ,,მოამბე” შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა 1921-1923 წლები
13) ,,სათანო”
14) ,,საპატრიარქოს უწყებანი”, 2020 წ., N9, 2007 წ., N29
15) ,,საქართველოს ქალი“
16) ,,ცისკარი“, 1861 წ. N1
17) ,,ცისკარი“, 2005 წ. N1-2
18) ,,ქართველოლოგია“

გ) გაზეთები:
1) ,,ალიონი“
2) ,,ახალი ხმა“
3) ,,ახალგაზრდა კომუნისტი“
4) ,,ბათუმის ცხოვრება“
5) გურია NEVS“
6) ,,დროება“
7) ,,ერთობა“
8) ,,თანამედროვე აზრი“
9) ,,თბილისი“
10) ,,ივერია“
11) ,,ილორი“
12) ,,კვალი“
13) ,,კოლხიდა“
14) ,,კოლხეთის ცისკარი“, ცხაკაია 1961-1966 წ.წ.
15) ,,კომუნა“
16) ,,კომუნიზმის გზით“, წულუკიძე
17) ,,კომუნისტი“
18) ,,მამული“
19) ,,მარტვილი“

20) ,,მუშა და გლეხი“
21) ,,საბჭოთა აფხაზეთი“
22) ,,საერთო საქმე“
23) ,,საქართველოს რესპუბლიკა“
24) ,,საქმე“
25) ,,სახალხო საქმე“
26) ,,სიმართლის ხმა“
27) ,,სოფლის ცხოვრება“
28) ,,სოციალისტური სოფელი“, მარტვილი-გეგეჭკორი 1931-1961 წ.წ.
29) ,,სხივი“
30) ,,ფონი“
31) ,,შინაური საქმეები“
32) ,,შრომის დროშა“, გეგეჭკორი 1967-1990 წ.წ.
33) ,,ცნობის ფურცელი“
34) ,,წინსვლა“, სამტრედია
35) ,,ჭყონდიდი“, მარტვილი, 1990-2006 წ.
36) ,,ჭყონდიდის ზარი“, მარტვილი 2001-2021 წ. წ.
37) ,,ხაშურის მოამბე“

გამოყენებული ლიტერატურა

1) აბდალაძე ლ. ,,სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში”, დისერტაცია, ქუთ. 2014 წ.
2) აბრამიშვილი თ. ,,საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, თბ. 1965 წ.
3) ,,ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის კომლობრივი აღწერა 1886 წლის ცნობარში“
4) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები: 1925, 1930, 1949, 1961, 1966, 1977, 1987 წლების.
5) ,,არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია“, თბ. 2017 წ.
6) ანთელავა ვ. ,,ფიქრები მამულზე“, თბ. 2006 წ.
7) ანთია ე. ,,ჭკადუაში ჩინებულთა კერა და მიურატთა ნავთსაყუდელი“, თბ. 2010 წ.

8) ახალაია დ. ,,წარსული ცხოვრების ფურცლები“, ქუთაისი 2018 წ.
9) ახალაია ი. ,,საგლეხო რეფორმა სამეგრელოში“, სოხუმი 1958 წ.
10) ახუაშვილი ი. ,,თავადი დგებუაძე“, თბ. 2006 წ.
11) ბართაია ე. ,,ადამიანები და საქმეები“, თბ. 1963 წ.
12) ბასილაია გ. ,,ჩვენი სალხინო“, ქუთაისი, 2023 წ.
13) ბატონიშვილი ი. ,,კალმასობა“, ტ. 2, თბ. 1992 წ.
14) ბერაია მაკა, კალანდია ელიზა, ,,კურზუ და კურზუელები“, ქუთაისი 2004 წ.
15) ბოროზდინი კ. ,,სამეგრელო და სვანეთი“ 1856-1867 წლებში, თბ. 1934 წ.
16) გალდავა გ. ,,მარტვილის I საშუალო სკოლის ისტორია“, თბ. 2023 წ.
17) გელოვანი ა. ,,მითოლოგიური ლექსიკონი”, თბ. 1983 წ.
18) გულორდავა ლ. ,,რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა 1803-1867 წლებში დასავლეთ საქართველოში, ოდიშის სამთავრო“, დისერტაცია, 2021 წ.
19) დადიანი ნ. ,,ქართველთა ცხოვრება“, თბ. 1962 წ.
20) დავითაია ბ. ,,ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე“, თბ. 1976 წ.
21) დგებუაძე ე. პოემა ,,ოფოფი“
22) დგებუაძე-ფულარია ფუცუ, ,,ოქროს ბეჭედი“, თბ. 1968 წ.
23) დგებუაძე-ფულარია ფუცუ, ,,მოგონებები“, თბ. 1968 წ.
24) ელიავა გ. ,,აბაშისა და ტეხურის ხეობის ღირშესანიშნაობანი”, თბ. 1971 წ.
25) ელიავა გ, ,,აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა”, თბ., 1977 წ.
26) ელიავა გ. ,,სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები“, ტ. I, თბ. 2022 წ.
27) ელიავა გ. ,,სამეგრელო მხარეთმცოდნეობითი შრომები“, ტ. II, თბ. 2023 წ.
28) ვასაძე ნ. ,,პედაგოგიკის ისტორია”, თბ. 1988 წ.
29) ვარდოსანიძე ს. ,,საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ასწლოვანი მატიანე 1917-2017 წლები“
30) თავზიშვილი გ. ,,რჩეული ნაწერები”, ტ. I, თბ. 1974 წ.
31) თაყაიშვილი ე. ,,არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში“, თბ. 1914 წ.

32) თელია ა. ,,ნალოლიავები და სათუთად გაზრდილი ოთხი ხის მოკვეთა“, თბ. 1990 წ.
33) კალანდია გ. ,,ოდიშის საეპისკოპოსოები“ თბ. 2004 წ.
34) კეკელია ი. ,,მარტვილის რაიონის იოკინიმია“, თბ. 2010 წ.
35) კეკელია ი, ბჟალავა დ. ,,დიდი ჭყონის ეტიმოლოგიის შესახებ“, თბ. 2010 წ.
36) კეკელია ი. ,,ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში“, ქუთაისი, 2013 წ.
37) კეკელია ი. ,,ბანძის ესკიზები“, წიგნი III, ქუთაისი 2021 წ.
38) კვარაცხელია ბ. ,,მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში”, დისერტაცია, თბ., 2003 წ.
39) კვარაცხელია ბ. ,,ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“, თბ. 2009 წელი.
40) კვესელავა ი. ,,XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები“, თბ. 1990 წ.
41) კირთაძე პ. კილასონია დ. ,,არდავიწყება“, წიგნი 1, ქუთაისი 1997 წ.
42) კოკაია ალ. ,,საქართველოს ბოლშევიკები არჩევითი სასოფლო ორგანოების სათავეში 1905-1907 წლების რევლუციის პერიოდში“, დისერტაცია, 1961 წ.
43) კოლხიდელი მ. ,,გლეხთა აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა“, თბ. 1926 წ.
44) კუდავა ბ. ,,დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI ს.ს), დისერტაცია, თბ. 2002 წ.
45) ლამბერტი ა. ,,სამეგრელოს აღწერა“, თბ. 1938 წ.
46) ლემონჯავა დ. ,,გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წ. წ. თბ. 1957 წ).
47) ლემონჯავა დ. ,,გლეხთა აჯანყება სამეგრელოში”, თბ. 1970 წ.
48) მაკალათია ს. ,,სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, თბ. 1941 წ.
49) მანია მ. ,,ვიღებთ ახალ ზღუდეებს“, თბ. 1971 წ.
50) მანია მ. ,,უხვად იაფად“, თბ. 1972 წ.

51) მელიქიშვილი დ. ,,წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე“, თბ. 2017 წ.
52) მეუნარგია ი. ,,სამეგრელო დავით დადიანის დროს“ თბ. 1939 წ.
53) მიქელაძე ჯ. ,,მეგობართა პორტრეტები“, თბ. 2008 წ.
54) ნადარაია ფ. ,,მარტვილში მოღვაწე ავტორები“, თბ. 2017 წ.
55) ნადარაია ფ. ,,მარტვილელი ქველმოქმედები“, ჭყონდიდი, 2009 წ.
56) ნაჭყებია ი. ,,ფრანგი ავტორების ცნობები XIX საუკუნის საქართველოს შესახებ“, ტ. 4
57) პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. 2, თბ. 1993 წ.
58) პატარიძე მ, ,,სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ- ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები”, თბ. 2017 წ.
59) საბახტარიშვილი ვ. ,,დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წ. თბ. 1975 წ.
60) საითიძე გ. ,,სამსონ მამულია“, თბ. 1968 წ.
61) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვატომეული, თბ. 1972-1980 წ.წ.
62) საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ. 2017 წ.
63) სიჭინავა ა. ,,დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია“, თბ. 2020 წ.
64) ფაცაცია გ. ,,უზნეობის ზეიმი, ანუ მეგრელთა საქმე“, თბ. 2019 წ.
65) ქადარია ხ. თ. ,,სამეგრელოს სამთავრო მე-19 საუკუნის I ნახევარში“, თბ. 2001 წ.
66) ,,ქართველი გენერლები“ თბ. 2015 წ
67) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI ტომი
68) ქობალია ა. ,,მეგრული ლექსიკონი“, თბ. 2010 წ.
69) შარდენი ჟ. ,,ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ. 1976 წ.
70) ჩაგუნავა ნ. ,,საუბრები ე. ა. შევარდნაძე-საქრთველოს დამოუკიდებლობისთვის მეოცნებე თუ, საკუთარი განდიდებისთვის მებრძოლი კარიერისტი?!“, თბ. 2012 წ.

71) ჩაჩხიანი ა. ,,დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“, თბ. 2007 წ.
72) ცაავა რ. ,,ზუგდიდის ასი ოჯახის ღირსებისმეტყველება“ თბ. 2016 წ.
73) ცაგარელი ა. ,,მეგრული ეტიუდები“, 1870 წ.
74) ცაგურია ი. ,,საქართველო გოლგოთის გზაზე“, ქართული ემიგრაცია 3 (6), თბ. 2015 წ.
75) ცხადაია პ. ,,სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“, ტ. VI, თბ. 2012 წ.
76) წოწორია მ. ,,სიჩუმის ხმაური“, ქუთაისი, 2018 წ.
77) ჭითანავა დ., ,,ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“, თბ., 2010 წ.
78) ჭითანავა, ხორავა, ციმინტია, შენგელია ,,სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“, თბ. 2021 წ.
79) ჭითანავა ლ. ,,ხიფათიანი გზა“, თბ. 2004 წ.
80) ჭუმბურიძე ზ., ჩიქოვანი ს., სიჭინავა ა., სამეგრელო თავადები და აზნაურები, თბ., 2013 წ.
81) ჯავახიშვილი ი. ,,მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის“, წიგნი 1, თბ. 1964 წ.
82) ჯამბურია გ. ,,გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905-1907 წ.წ.” თბ. 1957 წ.
83) ჯანაშია ნ. ,,გზა ტაძრამდე“, თბ. 2014 წ.
84) ჯანჯღავა ვ. ,,გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლები, თბ. 1983 წ.
85) ჯაფარიძე ლ. ,,მოგონებები, ჩანაწერები“, თბ. 2004 წ.
86) ჯიქია ლ. ,,1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“, დისერტაცია, თბ. 2012 წ.
87) ჯიქია ლ. ,,ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, ნარკვევები, დოკუმენტები და მასალები“, თბ. 2017 წ.

საიტები და ბლოგები:
www kvirispalitra ge
mematiane.ge
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია
მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თენგიზ ვერულავას ბლოგი
გრიგოლ მახარაძის ბლოგი

სარჩევი

ანოტაცია 3
წინათქმა 7
დიდი ჭყონის მეგზური 9
არტეფაქტები 21
,,ჭყონის“ კულტი და წარმართული ხანის სალოცავები 23
დასახლებები, ციხე-კოშკები და ეკლესიები 32
სოფლები და ტოპონიმები 57
თავადების ოდაბადე 70
ოდიშის სამთავროს ფეოდალური მმართველობა 75
ევგენი დგებუაძე 85
სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 88
ნამიკოლაოს გლეხთა აჯანყება 94
ისტორიული რომანები და სინამდვილე 97
ნოსირელი დგებუაძეები 100
სასოფლო საზოგადოებები 103
ნაოღალევის მარტვილის საბოქაულო 108
,,ანანოვების იმპერიაში“ 110
სწავლა-განათლება და სკოლები 111
კულტურა და ხელოვნება 135
სოციალ-დემოკრატების დიდი ჭყონში 144
დიდი ჭყონის მარადიული ოჯახი 152
დიდი დიასახლისი 159
ევგენი დგებუაძის შვილები 162
ნამიკოლაოელი დგებუაძეები 165
გენერალი დგებუაძე 176
პერიოდული პრესის ფურცლებზე 179
სენაკის ბოლშევიკური მაზრა 186
დიდი ჭყონის რაიონი 190
მარტვილის რაიონში 197
დიდი ჭყონის საბჭო 201

ორი დიდი ჭყონი 208
მეურნეობა და კოლმეურნეობა..... 211
1924 წლის აჯანყება..... 216
ირაკლი ცაგურია 235
არტელები, კომუნები და კოლმეურნეობები 239
დიდი ჭყონის ბაზრობა, ქარხნები და ფაბრიკები..... 242
ჯანდაცვა და სპორტი 245
ბოლშევიკური რეპრესიები 249
მეგრელთა საქმე..... 255
მამულიშვილთა ოდაბადე..... 260
ლიდერების ოდაბადე 273
გულიანი კაცები 281
თაობები ისტორია..... 288
ომისა და შრომის გმირები..... 294
რჩეულთა ოდაბადე 308
გარე-ჭყონელები, არაქართველები-დიდი ჭყონში 318
„დოშაყეში გადამალული დიდი ჭყონი“..... 324
დამოუკიდებელ საქართველოში 329
ბოლოთქმა 338
ბიბლიოგრაფია, წყაროები, გამოყენებული ლიტერატურა 340

წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისთვის მადლობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ თორნიკე ჯანაშიას და მერიის თანამშრომლებს.